

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ქართველურ ენათა სტრუქტურის  
საკითხები

**XIII**

Issues of the Structure of Kartvelian  
Languages

თბილისი 2015 Tbilisi

## მთავარი რედაქტორი

გიორგი გოგოლაშვილი

## Editor-in-Chief

Giorgi Gogolashvili

## სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული  
თეა ბურჭულაძე (სწავლული მდივანი)  
მურმან სუხიშვილი  
თედო უთურგაიძე  
ვაჟა შენგელია  
იზა ჩანტლაძე  
მერაბ ჩუხუა

## Editorial Board

Avtandil Arabuli  
Tea Burchuladze (scientific secretary)  
Murman Sukhishvili  
Tedo Uturgaidze  
Vazha Shengelia  
Iza Chantladze  
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8  
არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8  
Arn. Chikobava Institute  
of Linguistics

E-mail: [contact@ice.ge](mailto:contact@ice.ge)

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN

## სოფიკო ბერულავა, მარინა ჯღარაკავა

### გამოსაცემად მომზადებული ლაზური ტექსტების შესახებ

2009 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო პროექტი „**ლაზური ტექსტების ელექტრონული არქივი**“, რომელიც ითვალისწინებდა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში შემონახული მე-20 საუკუნის 60-იან წლებში სოფ. სარფში ბაბინებზე ჩაწერილი ლაზური ტექსტების გაშიფრვას, ახალი მასალის მოპოვებას თურქეთის ლაზეთში, ძველი და ახალი ჩანაწერების შედარებას, დამუშავებული მასალის განთავსებას დიალექტური ტექსტების კორპუსში.

პროექტის ფარგლებში თურქეთში განხორციელებული მივლინებების დროს მოგვეცა საშუალება, ჩაგვეწერა ლაზურის სხვადასხვა კილოკავის ნიმუშები. მოპოვებული მასალა გაიშიფრა, შესრულდა სიტყვასიტყვითი თარგმანი, მიმდინარეობს დამუშავებული ჩანაწერების ეტაპობრივი ინტეგრირება ქართული დიალექტური ტექსტების კორპუსში. გაშიფრული და თარგმნილი ტექსტები მზადდება გამოსაცემად. ტექსტების უმეტესი ნაწილი არის გაბმული მეტყველება, თხრობა, დიალოგი. მათი თემატიკა მრავალფეროვანია: ძველი ტრადიციების, რიტუალების აღწერა; მოგონებები ბავშვობიდან, თამაშობები; რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომი პერიოდის ცხოვრების აღწერა; სიყვარულის ისტორია; კულინარია; მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

ვაქვეყნებთ არქაბში ჩაწერილი საუბრის ნაწილს, რომელსაც პირობითად „**მიმინოთი ნადირობა**“ დავარქვით. ტექსტი წარმოადგენს ნაწყვეტს არდაშენელ **ირფან ალექსივასა** და არქაბელ **ოსმან შაფაქ ბუიუქლუს** შორის დიალოგისა, რომელიც ეხება ნადირობასა და თევზჭერას. ეს ორი დარგი უძველესი დროიდან პოპულარული იყო ლაზეთში, მაგრამ დღეს, როგორც უხუცესი ლაზები აღნიშნავენ, მივიწყებას ეძლევა, ვინაიდან ახალგაზრდები არ იჩენენ სათანადო ინტერესს. შუახნის მამაკაცები მაინც ცდილობენ შეინარჩუნონ მამა-პაპათა ტრადიციები და გადასცენ შემდგომ თაობებს. ტექსტებს ბოლოში დაერთვის თემატური ლექსიკონი.

#### მიმინოთი ნადირობა

1. – ნამ კინჩეფე ჭოფუმტით?
2. – კინჩკახი, თიფიშ კინჩი. 3. ჭუტა ჩერგეფე ბიქომტით, ჰემუთე მხესქუ, მსიუდა, ჰეთეფე პჭოფუმტით. 4. ჭუტა მობირდი შკულე ტუჭელი დობიქაჩი ხეს. 5. ვითოხუთ წანეჲ ბორტიში, ტუჭელი დობიქაჩი. 6.

ტუჩედითე კინჩიშ ოილუშა ბიდი. 7. ჰემ ოას მუფი კინჩეფე ტუ იშთე, მსი-  
უდა ტუ, მზესკუ ტუ. 8. ჩქვა იშთე, მციქა ნა იდიენ, კინჩეფეთი ქო რტუ. 9.  
ჰეთეფე პილომტით. 10. რაგითე პჭოფუმტით.

11. – წკაქოთუმე?

12. – წკარქოთუმეთი, (რ)ეე, ტკაშ ქოთუმე, წკარქოთუმეთი პილომ-  
ტით. 13. ჰეა, ღალეფე ნა ენ, სვაფეს ივეტუ. 14. აანი, ჩქვა სვაფეს ვა ივეტუ.  
15. წყარქოთუმე ღალეფეში სვა ივეტუ. 16. ჰექ ჯუმარქიმში კალა ბულუ-  
ტით, კინჩი პილომტით. 17. მეთანუნითე მუთუნფე ბიმერტით. 18. სეა მე-  
ბუთანამტით კინჩის. 19. კინჩის თოლის თე მატაში, ვა ოხანკანეტუ. 20.  
ზათენ ილვისთერ ტუ. 21. ტუჩედი გილეზოტკვაცინამტით, დოპილომ-  
ტით.

22. – ოტრიკიშა ულუტითი, ოტრიკე?

23. – ოტრიკემეთი ბულუტი. ოტრიკეშე ბულუტით. 24. ოტრიკე, ჰე-  
თი სეის ბჭოფუმტით ოტრიკე. დღალეა ათმაჯათი. ათმაჯა - სიჭთერი.

25. – თქვა მუ უწუმერთ?

26. – დადულიწი.

27. – ვარ, ჰაქო მუ?

28. – ჰა, მა „მამულიწი“ ბუწუმერ დო ჰაქ ათმაჯა უწუმელან. სიჭთე-  
რი ვა უწუმელან დო.

29. – ათმაჯა?

30. – ბიჭი მუშის მამულიწი ნა ითქვენსთეი, მაჟუნისი დადულიწი  
ითქვენ. დადულიწითი ბუწუმეთ.

31. – მუჭო ჭოუმტით?

32. – მა სიჭთერიშენ მერაქლი ვა ბორტი.

33. – სი ჩხომიში მერაქლი რტი?

34. – ჩხომიში მერაქლი. ჩქვა კინჩეფეშე მერაქლი ბორტი. ბაზაჩქიმი  
მერაქლი ტუ.

35. – სიჭთერიში?

36. – იშთე, ამა მათი სიჭთერი ოჭოფუშა მენდემიხთიმუნ. 37. იფთი  
ღვაპა პჭოფუმთ. 38. ღვაპა თურქული მუში ოთქუ ვა ონუ, ქოგაჩქინან. 39.  
ჰეა წკაითენ ღომაფემენ გამაზონამტით. 40. ჰემუთე რაგის მეშაბდუმეტით  
დო რაგის ღაჭო პჭოფუმტით -ათმაჯაში ოჭოფუში კინჩი. 41. რაგის ღაჭო  
პჭოფუმტით. 42. ნა პჭოფუმთ რაგის ღაჭო, ონჯე, იფთი კეტის გეზოკოამ-  
ტით, ჰეა ზოსტეამტით, გეზოგამტით. ხორცი ოჭკომუშა გეფუთხინუს-ეფუ-  
თხინუს. 43. უკაჩხე სიჭთერი მოთ დიომტასმა დო თოლიში ჟინ მეჩინი მუ-  
ჭაბამტეს. 44. ცაშე ნა მულუნ დიდი კინჩი, მოთ დიომტაზა დო, ჰეა ძიას  
ნა, ღაჭო ჩქარ ვა ოხინკანამს, ქოიაჭაბენ ნა ენ აეის შქურინათენ. 45. ჰემუშე-  
ნი ჟინ თოლის ჰეა იჭაბეტუ, მეშინი. 46. ჰეა ქოგედაგა შკულე, იშთე მოსა,  
ოჭკომალე, ღაჭო ეკეზიკიდამტით, გერმაფეშე ეშეზიდამტით, მაღალა გერ-  
მაფეშე, სიჭთერი ნა გოლულუნ, ათმაჯა ნა გოლულუნ. 47. მაღალა გერმა-  
ფეშექი გზა ან, აეი ენ ჰამუში. 48. მაღალაშენ გოლულუნ ათმაჯა, თაფალა-  
შენ ვარ ოლუნ. 49. ჰეა, არ ეშო მემსქვანეი არ სვას მოსა ქოგებდგიმტით, ა-  
ნის ჩერგე ქელეზუდგინამტით, ჰექ ქომეშაფხედუტით ტკობინეა, ჩუნქი  
ათმაჯაქი ნა ვა გძირასენ. 50. გძია ნა, ვა გმულუნ. 51. ათმაჯა მენდრაშენ ქი-  
ძირუი, თაამო-თამო ღაჭოს ნუსტეა, ღაჭო კეტიშენ გეფუთხინა-ოფუთხი-

ნააქი, ათმაჯაქ ჰეა ძიას. 52. ქომიუი, დოლიკიდენ ცაში არ დუდიშენ, მსვაფე ოკოთუმეს მოსაშველე კინჩი ოჭოფუმენი, ღაჭო ოჭოფუმენი ქოდოლიკონენ. 53. მოხთაში, კინჩი გოწუსტვინამ, მოთ ნაკაპეტას, კინჩი მოთ მეგიშქინამტას დო კინჩი გოწუსტვინამ. 54. მოსას ქომატენ. ქომატაში, მოსაში ჟინ ნა ან კეტი, მელამს, მოსას ქომელიკოემს. 55. მელიკოაშა ათმაჯა ოაჭოფენ. 56. ამა ათმაჯა ართიქ დიდო ჩქვადოჩქვა ჯოხო ონი. 57. ათმაჯაფე რენ, იშთე: მჭითა, უჩა, უჩა-კარა, აჩიქ-კიზილი. დიდო ენ. 58. ეთეფეში კაი ნა ან, გომიონენ. ნა ვა(რ) იფელენ.

59. – ნამუ კაი ენ?

60. – ნამუ კაი ენ, ჰეკოთი ვა მიჩქინ, ამა ისპირ უწუმენან, ქეე ათმაჯა. 61. ჰეა დიდო კაი ენდა, იტუნან, ამა მა ვა მიძიამუნ, ქეე. ჰეა მა ვა მიძირამუნ. 62. ათმაჯა ოჭოფაშველე ვა იფელს-ნა, ოფუთხინამ, ნაშქუმე. 63. ნა იფელენ ათმაჯა ენ-ნა, ჰეა ეზდიმ, მენდილის მელაკო(რ)უმ. 64. არ, ჟურ, სუმ, ნაკო გინონ ნა, ჰოფუმ, გერმაშენ გოიქეთეტაში ქოგეიმერ ოხოიშა. 65. ოხოიშე მოილაშ ჰეა, თამო-თამო ა დიდი ხვანის ქოიოკოამ კუჩხეთენ, შქაში ოშიბალე ნუკიდამ ქი, ფუთხაში, დიკიდაში შქა მოთ გამულამტასდა დო. 66. შქას ოშიბალე უღუნ ჰემუს, ჰეა ნუკუიამ კუჩხესთი მოთ დოლაწილეთასდა დო ნუკეფე, 67. თოკი მოთ დოლაწილეთასდა დო მეჩინი ნუკოამან ქი დიდო მოთ დოლაწილეთას ნოკეფეა და. 68. ჰეა თამო-თამო, იფთი, კოჩეფე ძიასი, ემკუთუნ, ფუთხუნ. 69. კოჩეფე თამო-თამო გეგაში, ოფუთხინუ ნაშქუმეს. (ანნე, ა ჰულტა თამო!) 70. თამო-თამო კოჩეფემ ქოგადგუი, ართუქ, კოჩიმ ძიაში, ვა ეფუთხუნ. 71. ეა კალაბალული ნა ენ ეის, კოჩეფე დიდო ნა ენ ეის, ოონაა ქი, კოჩისთი მოდაგასენ დანი, კოჩის გადაგასენ, ვა ეფუთხას, ვა ემკუთასენ. 72. ჰეა ქოგეგაშველე, ჰემინდომკალა, მჭიფემ კინჩი, ვანათი, იშთე, ხრაცქინეი ოტრიკეთე ოჭოფუს გეიგენ. 73. თოკითე ნოკოამ, მესელა, ოხროცქინეი ნა ვა ან კინჩი, მჭიფე თოკი ნუკიდამ დო ოფუთხინამ. 74. ათმაჯა ჰემუს ნოტკომე. 75. ნოტკომე, თამო-თამო ოჭოფინუს გადაგინ ათმაჯა. 76. ჰემინდომკულა ართუქ ჰემუსთი ვით მეტრე ნოკეფე ნუკიდამ ქი, ჰემუთე ხეს გოქაჩუნ. 77. ოტრიკეში ოჭოფუს ქოგეიგინენ. 78. ოტრიკემ ოჭოფუს ქოგინდგინაში, ოტრიკეში ორა მოხთუნ, ართუქ მტკალეფუნას, თიფეფუნას გოხთიმუს... 79. ჯოლოითი ქოგიონუნ ნა, ჯოლოითეი იჭოფენ. 80. ვანა დიდი ა ჰეფხე გიღუნ მტკაფეს დოლოვრატკამ. 81. ოტრიკე დანდან ეფუთხუნ. 82. ეფუთხაში, ათმაჯა ნოტკომე. 83. ოჭოფუმს გეგაფინეი ნა ანშენი, ნა ჰოფუმს ეის ქოდოხედუნ. 84. ჰეა ნა დოხუნ, ეი ოხოწონამ. ოხოწონუმენითი კუდელი ოწკვიანონი ნუკიდამან. 85. დანი, სო ენ ვა გაძიენ ნა, ნა ვაძირუნ ეის ვა ენ ნა და ჰემუში სესი ოგნამ დო ოწკვიანუნსი სო ენ ათმაჯა ო სესთენ ემუმენ მეგასიმადენ. 86. ოჭოფა შველე ქოგადამხვენ. 87. თამო-თამო ულუ. 88. ხემენ ქეუზდამ, ამა ჰეა იუზდაში ოტრიკე, მუთუ მეჩაი ქი არ ჭარა, მაჟუნ ჭარა ჰოფაშისი, სი მექჩას და და ოჭკომუს ქოგდოჭკამს. 89. ოჭკომუს მოოგუ უნონ. 90. დანი, ოჭკომუს მოოგუ უნონ სი მექჩასენ. 91. მაქვალი, გუბეი მაქვალი, მუთუნ მეჩამ, ჰემოთე გოგამ. 92. ქიმი კოჩეფექ ათმაჯა არ-ჟურ წანას შინახუმან. 93. ჰეა მოლოხუნამან ოხოის. 94. ინორას ოხოეფეს შინახუმან დო ორა მუში მოხთაში, ოტრიკემ ორა მოხთაში, ხოლოთი საქლი ათმაჯა, შინახეი ათმაჯა ენდა დო გამოონამან.

1. – რომელ ჩიტებს იჭერდით?
2. – სკვინჩა, თივის ჩიტი. 3. პატარა ბადეებს ვაკეთებდით, იმით შაშვს, შოშიას ამათ ვიჭერდით. 4. ცოტა რომ წამოვიზარდე (გაზრდის შემდეგ), თოფი დავიკავე ხელში. 5. თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, თოფი დავიკავე. 6. თოფით ჩიტის მოსაკლავად წავედი. 7. იმ დროს რა (როგორი) ჩიტები იყო, აი, პატარა შაშვი იყო. შაშვი იყო. 8. სხვა აი, პატარა რომ ჩანს, ჩიტებიც იყო. 9. იმათ ვკლავდით. 10. ხაფანგით ვიჭერდით.
11. – წყლის ქათამი (ბეკასი)?
12. – წყლის ქათამიც, ტყის ქათამი, წყლის ქათამსაც ვკლავდით. 13. ის, ღელეები რომ არის, იმ ადგილებში იყო. 14. აქ, სხვა ადგილებში არ იყო (არ იქნებოდა). 15. ბეკასი ღელეების მიდამოებში იყო. 16. იქ ჩემს ძმასთან ერთად დავდიოდით, ჩიტს ვკლავდით. 17. მისანათებელი რაღაცებით ავაფრენდით. 18. ღამე მივუნათებდით ჩიტს. 19. ჩიტს თვალში სინათლე რომ ეცემოდა, ვერ ინძრეოდა. 20. მაინც ფართხალებდა. 21. თოფს ვესროდით, მოვკლავდით.
22. – მწყერზე სანადიროდ დადიოდით? მწყერი.
23. – მწყერზე სანადიროდაც დავდიოდი. მწყერზეც დავდიოდით.
24. მწყერი, ამასაც ღამე ვიჭერდით, მწყერი. დღისით მიმინოთი. მიმინო \_ „სიჭთერი“.
25. – თქვენ რას ეძახით?
26. – „დადულიწი“.
27. – არა, აქ რას...
28. – ჰა. მე „მამულიწის“ ვამბობ და აქ „ათმაჯას“ ამბობენ. „სიჭთერს“ არ ამბობენ.
29. – მიმინო?
30. – მამრი (ბიჭი მისი) „მამულიწი“ რომ ჰქვია, მეორეს „დადულიწი“ ეწოდება. „დადულიწისაც“ ვამბობთ.
31. – როგორ იჭერდით?
32. – მე მიმინოთი დაინტერესებული არ ვიყავი.
33. – შენ თევზის (თევზაობის) მოყვარული იყავი?
34. – თევზის (თევზაობის) მოყვარული ვიყავი. ასევე ჩიტების მოყვარული ვიყავი. მამაჩემი მოყვარული იყო.
35. – მიმინოსი?
36. – აი, მეც წავსულვარ მიმინოს დასაჭერად. 37. პირველად მახრას ვიჭერთ. 38. „ღვაპა“ მისი თურქული სახელი არ არის, იცით. 39. იმას წყლით ხვრელიდან გამოვიყვანდით. 40. მას ხაფანგში შევდებდით და ხაფანგში ღაჟოს ვიჭერდით – მიმინოს დასაჭერ ჩიტს. 41. ხაფანგში ღაჟოს ვიჭერდით. 42. რომ დავიჭერდით ხაფანგში ღაჟოს, ჯერ, პირველად, ჯოხზე მივაბამდით, იმას ვათამაშებდით, შევაჩვევდით. ხორცის საჭმელად აფრინდება-დაფრინდება. 43. შემდეგ მიმინო არ ნახოსო და თვალზე (თვალის ზევით) ტყავს აკრავდნენ. 44. ციდან რომ მოდის დიდი ჩიტი, არ ნახოსო და იმას რომ ნახავს, ღაჟო საერთოდ ვერ გაინძრევა, მიეკრობა შიშით იმ ადგილს, სადაც არის. 45. ამიტომ ზედ თვალზე ტყავს აკრავდნენ ხოლმე. 46. რომ შეეჩვეოდა, ამის შემდეგ ბადეს, საჭმელს, ღაჟოს ავიკიდებდით, ტყე(ებ)ში ავიტანდით, მაღლა ტყეში, მიმინო რომ დაფრინავს. 47. მაღლა

ტყე(ებ)ში გზა არის, ადგილი არის მისი. 48. მაღლა დაფრინავს მიმინო, დაბლა არ დაფრინავს. 49. იქ ამის შესაფერ ერთ ადგილას ბადეს დავდგამდით, ახლოს საფარს (ფარდაგი) ამოვუდგამდით, იქ ჩავსხდებოდით მაღლულად, რადგან მიმინომ შენ არ დაგინახოს. 50. თუ გნახა, არ მოვა. 51. მიმინო შორიდან რომ ნახავს, ნელ-ნელა დაჟოს მიეპარება. დაჟოს კეტიდან რომ ააფრენ-დააფრენ, მიმინომ ამას ნახავს. 52. რომ ნახავს, დაეკიდება ცის თავზე ერთგან, ფრთებს შეკრავს ბადისაკენ ჩიტის დასაჭერად, დაჟოს დასაჭერად გამოემართება. 53. რომ მოვა, ჩიტს გამოსწევ, ძალიან არა, სანამ ჩიტი მოგყვება, გამოსწევ. 54. ბადეში შევა, რომ შევა, ბადის ზევით რომ კეცია, ჩავარდება. ბადეში შევარდება. 55. გახვეულ მიმინოს დაიჭერ (შეგიძლია დაიჭირო). 56. საერთოდ, მიმინოს ბევრი სხვადასხვა სახელის არის. 57. მიმინოები არის: წითელი, შავი, ღია შინდისფერი. ბევრი არის. 58. იმათგან კარგი რომელიც არის, გამოიყვანება. რომელიც არ ივარგებს...

59. – რომელი არის კარგი?

60. – რომელია კარგი, ეს კი არ ვიცი, მაგრამ „ისპირს“ ეძახიან, თეთრი მიმინო. 61. ის ძალიან კარგი არისო, ამბობენ, მაგრამ მე არ მინახავს თეთრი. ის მე არ მინახავს. 62. მიმინოს, დაჭერის მერე თუ არ ივარგებს, გააფრენ, გაუშვებ. 63. რომელი მიმინოც ივარგებს იმას აიყვან, ნაჭერში გაახვევ. 64. ერთს, ორს, სამს რამდენსაც რომ გინდა, დაიჭერ, ტყიდან დაბრუნებული სახლში მოიყვან. 65. სახლში მოიყვან იმას, ნელ-ნელა ერთ დიდ ჯოხზე მიაბამ ფეხით, წელზე ოშიბალეს (წვრილ თოკს) მოაბამ. აფრენისას თუ ჩამოეკიდა 66. არ მოძვრესო და წელზე სარტყელი (ოშიბალე) აქვს მას. ნისკარტით ფეხიდან არ გამოიძროსო და ნისკარტით 67. თოკი არ მოაძროსო და ტყავის ასაფარებელს (მეჩინი) ააფარებენ, რომ არ მოიძროს ნისკარტით და, 68. ასე ნელ-ნელა, პირველად კაცებს რომ ნახავს, შეფართხალდება, აფრინდება. 69. კაცებს თანდათან რომ მიეჩვევა, გაფრენას თავს ანებებს. (დედა! ცოტა ნელა!) 70. ნელ-ნელა კაცებს შეეჩვევა. უკვე, კაცის დანახვისას არ შეეშინდება, არ აფრინდება. 71. ხალხმრავალ ადგილას, ბევრი კაცები რომ არის, იმ ადგილას წაიყვან, ადამიანებსაც მიეჩვევა. კაცს მიეჩვევა, არ აფრინდება, არ შეეშინდება. 72. ის მოთვინიერების შემდეგ პატარა ჩიტის, ან მოკლული მწყრის დასაჭერად დაიგეშება. 73. თოკით მიაბამ, მაგალითად, მკვდარი რომ არ არის ჩიტს, წვრილ თოკს მიაბამ და ააფრენ. 74. მიმინო მას ეძგერება, ეძგერება. 75. ნელ-ნელა დასაჭერად დაიგეშება მიმინო. 76. ამის შემდეგ, უკვე, მასაც ათ მეტრ ბაწარს მოაბამ, იმით ხელში გიჭირავს. 77. მწყრის დასაჭერად დაიგეშება. 78. მწყრის დასაჭერად რომ დაგეშავ, მწყერზე ნადირობის დრო რომ მოვა, მაშინ მინდვრებში, ბალახებში სიარულისას, 79. ძალი თუ გყავს, ძალითაც შეგიძლია დაიჭირო. 80. ან დიდი ჯოხი თუ გაქვს, ბალახებში ისვრი. 81. მწყერი ადგილიდან აფრინდება. 82. აფრენილს მიმინო ეძგერება. 83. დაიჭერს, გაწვრთნილი რადგან არის, რომ დაიჭერს, იმავე ადგილზე დაჯდება. 84. ის რომ დაჯდება, ნახავ. მისაგნებად კულზე ეყვანს დაჰკიდებენ. 85. აი, სად არის, თუ ვერ ნახე, რომ ვერ ნახო, იმ ადგილზე თუ არ არის, იმის ხმას გაიგებ და ჟღარუნის სადაც არის, იქ მიმინოა, ის ხმა იმიტომ გესმის. 86. დაჭერის შემდეგ მოიცდი, 87. ნელ-ნელა წახვალ. 88. ხელში აიყვან. მაგრამ მწყრის ასაღებად რამე უნდა მისცე ერთხელ. მეორედ დაჭერისას, შენ მოგცემს იმას რა. ის კი ჭამას დაი-

წყებს. 89. საჭმელს მიაჩვიო უნდა. 90. საერთოდ, მიჩვევა უნდა, შენ რომ მოგცეს. 91. კვერცხს, მოხარშულ კვერცხს, რასაც მისცემ, იმას მიაჩვევ. 92. ზოგი კაცები მიმინოს ერთი-ორი წელი შეინახავენ. 93. ამას დასვამენ სახლში. 94. ზამთარში სახლში შეინახავენ და დრო მისი რომ მოვა, მწყერზე ნადირობის დრო რომ მოვა, გაწვრთნილ მიმინოს, მოვლილი არისო და გამოიყვანენ.

### ლექსიკონი:

ათმაჯა – მიმინო  
 აჩიქ-კიზილი ათმაჯა – მიმინოს სახეობა (ღია შინდისფერი)  
 გეგაფა – მიჩვევა, შეჩვევა, დაგეშვა  
 გეგაფინერი/გეგაფინეი – მიჩვეული, შეჩვეული, გაწვრთნილი, დაგეშვილი  
 გოლულუნ (ოლუნ) – დადის, დაფრინავს  
 დადულიწი – დედალი მიმინო  
 დოლიკიდენ – დაეკიდება (გაშეშდება)  
 თიფიშ კინჩი – თივის ჩიტი, პატარა ჩიტი (თივაში იბუღებს)  
 ისპირი – მიმინოს სახეობა (საუკეთესო ჯიში)  
 კინჩკახი – სკვინჩა  
 მამულიწი – მამალი მიმინო  
 მერაქლი – მოყვარული, დაინტერესებული  
 მზესქუ – შაშვი  
 მსიუდა – შოშია (პატარა შაშვსაც ეძახიან)  
 მეჩინი//მეშინი – ფრინველის თვალზე ასაკრავი ტყავი  
 მჭითა ათმაჯა – მიმინოს სახეობა (წითელი მიმინო)  
 მჭიფეშ კინჩი – პატარა ჩიტი (ჩიტის სახეობა)  
 ოტრიკე – მწყერი  
 რაგი – ჩიტის საჭერი ერთგვარი ხაფანგი  
 საქლი ათმაჯა – შენახული მიმინო  
 სიჭთერი – მიმინო (თურქ.)  
 უჩა ათმაჯა – მიმინოს სახეობა (შავი მიმინო)  
 უჩა-კარა ათმაჯა – მიმინოს სახეობა (მალიან შავი მიმინო)  
 ღაჭო – ღაჟო  
 ღვაპა – მახრა  
 ჩერგე – კარავი (სანადირო საფარი)  
 წკარკოთუმე/წკაქოთუმე – წყლის ქათამი, ბეკასი



**Sophiko Berulava, Marina Jgarkava**

On the Laz Texts Prepared for the Edition

Summary

During the expedition in Turkey (Lazistan) in the summer of 2009 the materials of the Laz dialects were recorded. The texts are in the process of preparing for the edition. We have added the Georgian literal translation. The subjects of the texts are different. The thematic glossary will be added to the end of each text. We also give an example of the Arkhav dialect in the article. The respondents were Irfan Cagatay Aleksishi and Osman Şafak Büyüklü. The text is entitled as "Falconry".

## მანანა ზუკია

### დიმიტრი გულია – ქართველურ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების მკვლევარი

ქართველურ-აფხაზურ ლექსიკურ ურთიერთობებზე ბევრი ნაშრომი შექმნილა, ამ თემას მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია თუ ცალკეული სტატია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა, ხშირად რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები.

ამ მონათესავე ენათა ენობრივი ურთიერთობების კვლევის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია დიმიტრი გულიას „აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიტყვების შედარებითი ლექსიკონი“, რომლის ორიგინალი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ფონდი H-1934), გამოქვეყნდა გაზეთ „რაეო“-ს ყოველთვიურ დამატებაში „მახარია“ (2004 წლის №1)

დიმიტრი გულიას დამოკიდებულება ქართული სინამდვილის მიმართ არაერთგვაროვანი იყო, რაც, სამწუხაროდ, გაპირობებული იყო იმ პოლიტიკით, რასაც რუსეთი ატარებდა აფხაზეთში, თუმცა სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები: „აფხაზეთი, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ცხოვრობდა მასთან ერთად ერთი ცხოვრებით მთელი ისტორიის მანძილზე, ორგანულად მონაწილეობდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში და ასრულებდა არსებით როლს ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ცალკეული ქართული ტომებისა და ოლქების გაერთიანებისათვის ბრძოლაში ერთიან, მძლავრ, ეროვნულ ქართულ სახელმწიფოდ“.

დ. გულია აქტიურად უჭერდა მხარს აფხაზური დამწერლობის გადაყვანას ქართულ ანბანზე. ის წერდა: „Это мероприятие, безусловно, будет способствовать укреплению и росту всей абхазской культуры, ибо грузинский алфавит является наиболее подходящим для более полного и совершенного обозначения звуков абхазского языка („Советская Абхазия“ 1937 წელი, 11 ივლისი)

ჩანს, „აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიტყვების შედარებითი ლექსიკონი“ მომზადებულია 1910-იან წლებში. 1921 წელს ავტორს ის გაუგზავნია ექვთიმე თაყაიშვილისთვის. ლექსიკონს ერთვის დ. გულიას წერილი ცნობილი ისტორიკოსისადმი, რომელიც იმჟამად ხელმძღვანელობდა საქართველოს საარქეოლოგიო საზოგადოებას. წერილში ნათქვამია (სტილი დაცულია):

„დიდათ პატივცემულო ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილს! მე შევადგინე აფხაზურში სამასამდე სიტყვა, რომელთაც თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს ქართულ-მეგრულ-აფხაზურად.

მე არ შევდივარ იმის გარჩევაში, რომელი ენიდან არის შესული ეს სიტყვები მეორე ენის ლექსიკონში, ის ჩემთვის ძნელია, მხოლოდ გაახლებთ ამ ჩემს ნაშრომს იმ იმედით, რომ არქეოლოგიური საზოგადოება ჩემ მიერ მოწოდებულ მასალას გამოიყენებს ლინგვისტურ მუშაობის დროს. თუ საზოგადოებისთვის საჭიროა მსგავსი მასალა სვანური ენიდან, მე უკვე მზად მაქვს და შემიძლია მოგაწოდოთ.

პატივისცემით სოხუმის საისტორიო აფხაზური ენის მასწავლებელი დიმიტრი იოსების ძე გულია

1921 წ. 15 იანვარი. ქ. სოხუმი“.

ლექსიკონისთვის მკვლევარს დაურთავს შენიშვნაც, სადაც ნეიტრალური ხმოვნის ბუნებას განმარტავს. ის დ. გულიას ლათინური V-თი აქვს აღნიშნული და მიუთითებს: „V-ასეთი ასო შეგხვდებათ თქვენ ჩემს ნაწერებში, რომელიც გამოითქმის, როგორც რუსული ასო в (მაგ. „внл“), მაგრამ ყრუთ და ყელში ისე, რომ სუფთა „ი“ არ უნდა გამოისმოდეს ბოლოს“.

ლექსიკონში 300-მდე ლექსიკური ერთეულია წარმოდგენილი. ავტორი არ იკვლევს, არ უთითებს საერთოკავკასიურ ფორმებს თუ სიტყვათა სესხების მიმართულებას.

დღეს, როდესაც ქართველურ და კავკასიურ ლინგვისტიკაში უამრავი პრობლემა გადაწყვეტილია, როდესაც დადგენილია კანონზომიერ ბგერათმესატყვისობათა, სესხებისას მიმდინარე ფონეტიკურ ადაპტაციათა კანონები, ბუნებრივია, ბევრი რამ დ. გულიას ნაშრომში გადასახედია, ზოგი შესატყვისობა შეიძლება გულუბრყვილოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ თავად ფაქტი, რომ აფხაზი მეცნიერი ხედავდა საერთოს ქართველურსა და აფხაზურ ლექსიკას შორის, ცდილობდა, ეს კავშირი დაედგინა, უკვე მრავლისმეტყველია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის შექმნამდე ჩატარებული იყო გარკვეული კვლევები ქართველური და აფხაზური ლექსიკის ურთიერთმიმართების შესახებ, პირველად დ. გულიასთან გვხვდება შემდეგი სიტყვების დაკავშირების მცდელობა:

ქართ. **აბრეშუმი** : მეგრ. **აბრეშუმი** : აფხაზ. **ა-ბერფენ**;

ქართ. **ატამი** : მეგრ. **ატამა** : აფხაზ. **ა-ტამა**;

ქართ. **ბამბა** : მეგრ. **ბამბე** : აფხაზ. **ა-ბამბა**;

ქართ. **ბელურა** : მეგრ. **ბადგრე** : აფხაზ. **ა-ბადგრ**;

ქართ. **ბზე** : მეგრ. **ბზე** : აფხაზ. **ა-ჩაზ**;

ქართ. **ბოგირი**:მეგრ. **ბოგა** (გულიასთან **ბოგირი**):აფხაზ. **ა-ბოგირ**;

ქართ. **ბრინჯი** : მეგრ. **ბრინჯი** : აფხაზ. **ა-ბრინჯ**;

ქართ. **გველეშაპი** : მეგრ. **გვერშაპი** : აფხაზ. **ა-გულშაპ**;

ქართ. **ვაჭარი** : მეგრ. **ვაჭარი** : აფხაზ. **ა-ჭაჭარ**;

ქართ. **თვალი**: მეგრ. **თოლი** : აფხაზ. **ა-ლა**;

ქართ. **ისლი** : მეგრ. **ისირი** : აფხაზ. **ა-ისგრ**;

- ქართ. **კანდელი** : მეგრ. — : აფხაზ. **ა-კანდელ**;  
 ქართ. **კაჭკაჭი** : მეგრ. — : აფხაზ. **ა-კაჭკაჭ**;  
 ქართ. **კიბე** : მეგრ. **კიბე** : აფხაზ. **ა-კიბ**;  
 ქართ. **კოლოფი** : მეგრ. **კოლოფი** : აფხაზ. **ა-კ<sup>ა</sup>ლაფ**;  
 ქართ. **კოწახური** : მეგრ. **კოწახური** : აფხაზ. **ა-კარწახულ**;  
 ქართ. **ლარი** : მეგრ. **ლარი** : აფხაზ. **ა-ლარ**;

რიგ შემთხვევაში დ. გულიასეული შედარებები მიუღებელია, ეჭვქვეშ დგას ამა თუ იმ ფორმის პოვნოეობა მითითებულ ენაში. ქართულში ასეთი სიტყვებია: **ადაყუა**, მის მეგრულ შესატყვისად მოყვანილია **დაგვა** და მითითებულია, რომ აფხაზური სიტყვა არაა. ქართულში **ადაყუა** არ გვხვდება, ხოლო მეგრული **დაგვა** „ყრუ“ აფხაზურიდანაა ნასესხები (ბუკია 2013: 283). შდრ. **ა-დაგ<sup>ა</sup>გა** (აფხაზ.) „ყრუ“ (ჯანაშია 1954: 91); **დაგ<sup>ა</sup>** (აფხაზ.) „ყრუ“ (აბრლ 1967: 200), აგრეთვე უბიხ. **დ<sup>ა</sup>გ<sup>ა</sup>გ** ადილ. **დ<sup>ა</sup>გ<sup>ა</sup> / დ<sup>ა</sup>გ<sup>ა</sup>გ** „ყრუ“ (შაგიროვი 1977: 145).

**ბორა** (აფხაზურში მის შესატყვისად მითითებულია **ა-ბორა**, რომელიც მეგრულში გვხვდება, მაგრამ დ. გულიას განმარტებით, ეს სიტყვა მეგრულში არ ჩანს);

**ბურადი** – აფხაზური შესატყვისია **ა-ბად<sup>ა</sup>რმა**;

**კირცხი** მეგრული სიტყვაა, ნიშნავს „სეტყვას“ და აქედანაა შესული აფხაზურში. ქართულში ეს სიტყვა არ გვხვდება;

**ხუზე** – ლადი, **გახუზებული** – გალადებული მეგრული ფორმებია, ქართულში ეს სიტყვა არ გვხვდება;

ლექსიკონში შეტანილია რუსულიდან ნასესხები სიტყვები, რომელიც ქართულში ბარბარიზმად განიხილება:

ქართული **პარომი** : მეგრ. **პარონი** : აფხაზ. **ა-პარან**;

ქართ. **სტოლი** : მეგრ. **სტოლი** : აფხაზ. **ა-სტოლ**;

ქართ. **ქაში** : მეგრ. **ქაში** : აფხაზ. **ა-ქაშ**;

ქართ. **ჩაინიკი** : მეგრ. **ჩაინიკი** : აფხაზ. **ა-ჩაინიკ**;

ალბათ ზედმეტია ქართ. **გიტარა** : მეგრ. **გიტარა** : აფხაზ. **ა-გიტარა** სიტყვების შეტანა ლექსიკონში. ეს სიტყვები ახალი ნასესხობაა და სესხების მიმართულების რკვევა ჭირს. ამავე რიგში განვიხილავთ ქართ. **მაშინა** : მეგრ. **მაშინა** : აფხაზ. **ა-მაშინა** ფორმებს. ასევე ზედმეტია ქართ. **ექიმი** : მეგრ. **ექიმი** : აფხაზ. **ა-ჰაქიმ** სიტყვების შემოტანა, აფხაზური ფორმა თურქულიდანაა ნასესხები. არ ვფიქრობთ, რომ ერთ სიბრტყეზე უნდა განვიხილოთ ქართულ-მეგრული **ბოთლი** და აფხაზური **ა-ბოთლიკა**. ეს უკანასკნელი რუსული **бутылка** ფორმიდან მომდინარეობს.

ავტორს ქართული **დამბაჩა**-ს შესატყვისად მეგრულშიც **დამბაჩა** მოჰყავს. რეალურად მეგრულში გვაქვს **ტაპანჩა / ტაბანჩა / ტაბაჩა**. შესაძლოა, თურქული წარმოშობის სიტყვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ესესხებინა ორივე ენას.

გარკვეული ხარვეზებია ლექსიკონში წარმოდგენილ მეგრულ მასალასთან დაკავშირებითაც:

მეგრულში პოვნიერია ქართული **გამდელ**-ის შესატყვისი **განდელო**, მეტიც, აფხაზური **ა-განდალ** ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს (ლომთათიძე 1976: 47), თუმცა დ. გულია მიუთითებს, რომ მეგრულში ეს სიტყვა არ გვხვდება.

უცნაურია, მაგრამ მეგრული შესატყვისი ვერ მოიძებნა ქართული **ელაჯი** : აფხაზური **ა-ელაჯ** ფორმებისთვის, არადა, დ. გულიას მიერ მითითებული ქართული **ელაჯი** სწორედ მეგრული **ელარჯ**-იდან მომდინარეობს.

დ. გულიას მოყვანილი აქვს ასეთი წყვილი: ქართ. **კეფა** : მეგრ. **კეფა** : აფხაზ. **ახ**. თუ ეს კორექტურული შეცდომა არ არის, უნდა აღინიშნოს, რომ **კეფა** „ცხვრის დუმა“ აფხაზურიდანაა შეთვისებული მეგრულში და ამოსავალი არის **ა-კაფა**, რომელიც პოვნიერია აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში, მეტიც, მიიჩნევა, რომ ის აფხაზურ-აბაზურში ადიღურიდანაა შესული. შდრ.: აბაზ. **კაფა**, ადიღ. **ჭაფგ**, ყაბარდ. **ჭაფგ** „დუმა ცხვრისა“. გაუგებარია, რატომ შეუსაბამა მკვლევარმა ქართულ ფორმებს თავის აღმნიშვნელი აფხაზური **ახ**. აფხაზურში ის სიტყვაა დაცული, რომელიც მეგრული **კეფა**-სთვისაა ამოსავალი.

მეგრულში არ გვხვდება ქართული **მკვახე / მკუხე**-ს შესატყვისად სიტყვა **კუხილი**, თუმცა გვაქვს **კობა**, საიდანაც მომდინარეობს აფხაზური **ა-კახ** (დ. გულიას მიხედვით **ა-კუხ**). ქართველური და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა ა. შაგიროვმა (შაგიროვი 1989: 150).

გაუგებარი შესატყვისობაა ქართ. **ყვალანდარი** : მეგრ. **ჭყონდარი** : აფხაზ. **ა-ჩყუნდარ**. რეალურად სურათი ასე იხატება: ქართ. (resp. ქართველური) **კონდარი / კოლანდარი / ყოლანდარ**-ის შესატყვისია აფხაზური **ა-კლანდერ**. მეგრული **ჭყონდარი / ჭყონდარი** ქართული „ჭყონდიდელია“ და მეგრულიდან აქვს ნასესხებ აფხაზურს **ა-ჭყანდარ** ფორმით და „ეპისკოპოსს“ ნიშნავს (გვანცელაძე 1992: 11). ეს ტერმინი კარგად ასახავს ქართველურ-აფხაზურ ისტორიულ ურთიერთობას – როგორც ჩანს, აფხაზეთში უპირატესი იერარქი ჭყონდიდელი იყო.

მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, დ. გულიას „აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიტყვების შედარებითი ლექსიკონი“ პ. ჭარაიას ნაშრომთან “Об отношении ахазского языка к яфетическим” (ჭარაია 1912) ერთად შეიძლება ჩაითვალოს ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული და ეთნოლინგვისტური ურთიერთობის კვლევის ერთ-ერთ პირველ ცდად.

## ლიტერატურა

**აბრლ 1967** – Абазинско-русский словарь. Москва

**ბუკია 2013** – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი

**გვანცელაძე 1992** – თ. გვანცელაძე, ქართველური ლექსიკა აფხაზურში. I. ა-ჭყანდარ „ეპისკოპოსი“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი

**ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ – შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი

**შაგიროვი 1977** – А. К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. I. Москва

**შაგიროვი 1989** – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва

**ჭარაია 1912** – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб

**ჯანაშია 1954** – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

### Manana Bukia

Dimitri Gulia – A Researcher of the Kartvelian – Abkhaz Linguistic Relations

#### Summary

The article deals with "The Comparative Dictionary of Georgian-Megrelian-Abkhaz Vocabulary" by D. Gulia that is preserved in the National Center of Manuscripts.

The work contains about 300 words which can be found in the Kartvelian and Abkhaz languages.

The dictionary is the first attempt to study the Kartvelian-Abkhaz linguistic relations.

## თვა ბურჭულაძე

### ერთი სახის წინადადებათა აგებულების თაობაზე ქართულში

ქართულ ენაში საკომუნიკაციო მნიშვნელობით წინადადების სამ ტიპს გამოყოფენ: მარტივს, შერწყმულსა და რთულს. ამათგან საკუთრივ რთულ წინადადებაში ორი ჯგუფი ვლინდება – რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი. რთულ წინადადებად მიიჩნევა ისეთი სინტაქსური ერთეული, რომლის კომპონენტებად ერთმანეთთან სინტაქსური კავშირით დაკავშირებული წინადადებები გვევლინება. სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ, რომ ქვეწყობა ჰქვია წინადადებათა ისეთი სახის დაკავშირებას, როცა მასში შემავალი წინადადებები ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად (სინტაქსურად) არ არიან თანასწორნი: ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზე დაქვემდებარებული. მაშასადამე, ქვეწყობის, დაქვემდებარების საშუალებით მიღებულ წინადადებას რთული ქვეწყობილი წინადადება ეწოდება (კვაჭაძე 1996: 353-354).

მიიჩნევენ, რომ დამოკიდებული წინადადება ფუნქციის მიხედვით მრავალგვარია. მისი ფუნქციები იმთავითვე გათანაბრებული იყო წინადადებათა ფუნქციებთან – დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, მისი გაფართოებული სახეა. იმისდა მიხედვით, თუ წინადადების რამდენი წევრი არსებობს, შესაბამისად გამოიყო დამოკიდებული წინადადების სახეებიც: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატებითი), განსაზღვრებითი, გარემოებითი (მისი ყველა სახის მიხედვით). აგრეთვე გამოყოფენ შედეგობით, პირობით, დათმობით და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებს.<sup>1</sup>

სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ კონსტრუქციაზე, სადაც მთავარ წინადადებად მხოლოდ შორისდებული გვევლინება: "ვაი, თუ სუფრის თავშივე ვერ მიუსწრო ხორცის ახალ ნაჭრებსო" (ლეონ., გვ.104); "ვაი, რომ არც ეს არის" (ილია, გვ. 35); "ვაი, რომ ვედარ ვიგებთ ციციკორეს დარიგებებს, გულშემატკივრობას" (ლეონ. გვ.183); "ვაი, თუ იმ წუთს ხელში ჩაუვარდებოდა" (ჯავ. გვ. 462); "ვაი, რომ საკითხავი ყოფილა" (ილია, გვ. 276).

დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციისას პირობითი დამოკიდებული წინადადების შესახებ მსჯელობისას აღნიშნულია, რომ მთავარი წინადადება, რომელსაც პირობითი დამოკიდებული წინადადება ახლავს, ზოგჯერ უზმნოა. ამ შემთხვევაში მთავარი წინადადება სახელით ან

---

<sup>1</sup> დამოკიდებული წინადადების ჩვენული კლასიფიკაცია სხვაგვარია (იხ. ბურჭულაძე 2014).

წინადადების ტოლფასი გაარსებითებული შორისდებულთ არის გადმოცემული, ან კიდევ მთავარ წევრად (ქვემდებარედ...) ივარაუდება ასეთ წინადადებაში. ამ ტიპის მთავარი წინადადება ჩვეულებრივ ძახილისაა: „ვაი, თუ მაგისი გარეგანი სიწყნარე შავი დღის მომასწავებელი იყო ჩვენთვის“; „თუ ეს ამბავი შეუტყია ვისმე, ვაი თქვენი ბრალი!"; „თუ მინდორ-მინდორ სიარული დედ-მამას გირჩევნია, ჰა ბურთი და ჰა მოედანი"...(კვაჭაძე 1996: 449-450). შორისდებულებზე მსჯელობისას კი ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, რომ შორისდებულს, რომელიც წინადადების ეკვივალენტია, სიტყვა-წინადადებასაც უწოდებენ. ასეთი შორისდებული შეიძლება იყოს ერთ-ერთი კომპონენტი რთული წინადადებისა: „ჰაი, ჰაი, რომ ცოლოა!"; „დასწვდა, ბატონებო, შეშინებულ ქალს, შემოიგდო ტახტზე და ჰერი!"; „მარო, ისეთი კარგია რკინისგზა, ისეთი, რომ ჰაა! “არაერთხელ მითითებულა, რომ შორისდებული, რომელიც სახელის მნიშვნელობით არის ნახმარი, ბრუნვის ფორმას იღებს და წინადადების წევრია: „ოთხი გამოქცეული ვაის გაეყარა და ვუის შეეყარა” (კვაჭაძე 1996: 343-344).

ანტონ კიზირია გამოთქვამს მნიშვნელოვან თვალსაზრისს შორისდებულთან დაკავშირებით, რომ იმისდა მიხედვით, თუ რას გამოხატავს იგი (გარეგანი გამლიზიანების განცდას, მოუბრის ნება-სურვილს ასახავს თუ ალერსსა და ფიცხილს), წინადადებაში შეაქვს შესაფერისი ემოცია, თუმცა არ წარმოადგენს მის უშუალო შემადგენელ ნაწილს, მის წევრს. ავტორს მიაჩნია, რომ იმის მიხედვით, წინადადებას ახლავს შორისდებული, თუ დიალოგში გამოხატავს მონაწილის საპასუხო რეაქციას გარეშე გამლიზიანებისადმი, ჩანს თავისებურებები: პირველ შემთხვევაში შორისდებულს ეკისრება წინადადებაში ემოციის გამოხატვა, მეორეში იგი ემოციური კომუნიკატივია და თავისი დანიშნულებით წინადადებას ეფარდება. რამდენადაც იგი კომუნიკატივია და წინადადებას ეფარდება, აქვს უნარი დამოკიდებული წინადადება შემოიერთოს და აღიჭურვოს მთავარი წინადადების ფუნქციით. გამოტანილია დასკვნა, რომ შორისდებული არ არის წინადადება, არც მისი ორგანული ნაწილი, არ მონაწილეობს წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში, მაგრამ თავისი ფუნქციით დიალოგში კომუნიკატივია და ადამინთა ურთიერთობაში წარმოიქმნება როგორც გარეშე გამლიზიანების შეგრძნების გამოვლენა (კიზირია 1987: 80-83).

სტრუქტურის მიხედვით ამგვარი სურათია ზოგ ჰიპოტაქსურ კითხვით კონსტრუქციაში, რომელიც საყურადღებოა წინადადების მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების აზრობრივი მიმართების თვალსაზრისით. საქმე ეხება კითხვით წინადადებას კითხვითსიტყვიანი, კითხვითნაწილაკიანი, კითხვითი სიტყვის ან ნაწილაკის გარეშე: ჩონთა ვინ გდია, რომ მაგას ასმევ მარტოკას?!; თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მასე ოხრავ და კვენესი-მეთქი? აღნიშნულია, რომ მთავარში პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ **ვინ** და **რა** სინტაქსური ფუნქციით განსაზღვრებას უტოლდება. სხვაგვარია რთული წინადადების აზრობრივი მიმართება, თუ კითხვით სიტყვას უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში შინაარსით უფრო ზოგადი და მტკიცებითი უარყოფითი მთავარი წინადადება გამოირიცხავს იმას, რაზეც დამოკიდებულშია საუბარი. დამოკიდებული გამომდინარეობს მთავრისაგან, როგორც კერძო შემთხვევა და არის ასევე უარ-



ყოფითი. ე.ი. თუ შინაარსს გავუწევთ ანგარიშს, დამოკიდებული წინადადება შედეგობით-უარყოფითად შეიძლება მივიჩნიოთ: ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს?!; სასმელ-საჭმელი ჩვენ რა გექონდა ბევრი, რომ მისთვისაც ბევრი მიგვეცა?! (კვანტალიანი 1988:211-212). ამას გარდა, ზოგი ჰიპოტაქსური კითხვითი წინადადების ნაწილების აზრობრივი მიმართება ნაირფეროვანია: დაპირისპირება, გამორიცხვა, პირობით-შედეგობითი მიმართებები... ამ მიმართების მიხედვით დგინდება, თუ რა სახის დამოკიდებული წინადადებაა.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ შორისდებული შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც არს.სახელი, ბრუნვის ნიშნები მიიღოს და წინადადებაში ჩადგეს ამა თუ იმ წევრის ფუნქციით: ბუნებაც ვაშას უძახის; ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე... ავტორი მიიჩნევს, რომ შორისდებული წინადადების ბადალია. იგი ზოგჯერ წარმოდგენილია მთავარ წინადადებად, რომელსაც **რომ**-ით ან **თუ**-თი დაკავშირებული დამოკიდებული მოსდევს (შანიძე 1980: 626-627). მსგავსად ზოგი კითხვითი ჰიპოტაქსური წინადადებისა, ასეთი კონსტრუქციები ნეიტრალურ კავშირს (რომ) იკუთხენ ან **თუ**-ს.

ისეთი ტიპის წინადადებებში, სადაც მთავარ წინადადებად მხოლოდ შორისდებული გვევლინება, დგას მნიშვნელოვანი საკითხი – აგებულების მიხედვით რა სახისაა? მართლაც ჰიპოტაქსური კონსტრუქციისა თუ სხვა წყობა აქვს? თუ მას ჩავთვლით რთულ ქვეწყობილ წინადადებად, ცხადია, დაისმის კითხვაც – რა სახის დამოკიდებული წინადადებაა ის?

როგორც აღინიშნა, დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციისას სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მისი ფუნქციები იმთავითვე გათანაბრებული იყო წინადადებათა ფუნქციებთან – დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის **სინტაქსურ ფუნქციას** ასრულებს, მისი გაფართოებული სახეა. გარდა ამისა, დამოკიდებულ წინადადებათა უმრავლესობა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. კითხვა დაესმის მთავარ წინადადებას, პასუხს კი დამოკიდებული წინადადება იძლევა. დამოკიდებული წინადადების კითხვა იგივეა, რაც მისი შესაბამისი წევრისა. მაგალითად, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარის კითხვებზე მიუგებს, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება – განსაზღვრების კითხვებზე და ა. შ. მიიჩნევენ, რომ ეს დამოკიდებული წინადადების დაქვემდებარების შინაგანი თვისებაა (კვაჭაძე 1996:388).

მოყვანილი საშუალებების მიხედვით გაჭირდება ჰიპოტაქსური წყობის წინადადებად ისეთი შემთხვევის კლასიფიკაცია, როცა მთავარ წინადადებად მხოლოდ შორისდებული გვევლინება. მთავარი წინადადების შორისდებულს რა თვალსაზრისით, როგორი სინტაქსური ფუნქციით უკავშირდება დამოკიდებული წინადადება? კითხვის დასმის ხერხს აქ ვერ გამოვიყენებთ, რადგან, როგორც აღინიშნა, შორისდებული ადამიანის გრძნობებსა და ნება-სურვილს უშუალოდ გამოხატავს. თუ მას, ცალკე აღებულიასაც, თავისი დანიშნულებით წინადადების ბადალად მივიჩნევთ, მაინც გაჭირდება კლასიფიკაციის დადგენა. მთავარი წინადადების რომელიმე წევრს უნდა აზუსტებდეს დამოკიდებული წინადადება, აქ კი მხოლოდ შინაარსობრივი დაკავშირებაა. ჩვენი აზრით, ამ ტიპის წინადადებებში შორისდებული ზმნური შინაარსით, ზმნური ფუნქციით არ გამოიყენება (წი-

ნადადების ღერძი და უმთავრესი ნაწილი კი სწორედ ზმნა-შემასმენელია). თუ შორისდებულთ წარმოდგენილ მთავარ წინადადებას მოსდევს **თუ** კავშირი, შესაძლოა, ერთგვარ პირობას გამოხატავდეს, რაც დამოკიდებული წინადადებითაა გადმოცემული (შესაბამისად, ჩაითვალოს პირობით დამოკიდებულ წინადადებად), მაგრამ მთავარშიც მხოლოდ აზრობრივი მხარეა გადმოცემული და არა სინტაქსური. ჩვეულებისამებრ, ჰიპოტაქსური წყობის მაგალითებში მთავარი **წინადადება**ა ღერძი და მას შინაარსობრივად ებმის პირობითი, დათმობითი, შედეგობითი დამოკიდებული წინადადებები. დასახელებულ მაგალითებში კი ეს არ ჩანს. რაც შეეხება შორისდებულთან **რომ** კავშირით შეერთებულ წინადადებას (ვაი, რომ საკითხავი ყოფილა; ვაი, რომ ვედარ გავიგებთ ციციკორეს დარიგებას...), აქ არც პირობაა და არც შედეგი ან რაიმე მოქმედების გამორიცხვითი შინაარსი, მხოლოდ ფაქტის გარკვეული გრძნობებით აღნიშვნაა.

ჩვენ ვიზიარებთ ანტ. კიზირიას თვალსაზრისს, რომ შორისდებული არ არის წინადადება, არც მისი ორგანული ნაწილი, რადგან **არ მონაწილეობს წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში** (კიზირია 1987 : 83). მართალია, ჩვენ მიერ დასახელებულ წინადადებებში ცალკე აღებულ შორისდებულს კავშირები (რომ, თუ) მოსდევს და ერთი შეხედვით დაქვემდებარებასთან გვაქვს საქმე, აქვს უნარი, შეიერთოს დამოკიდებული წინადადება, მაგრამ ის არაა ისეთი **სინტაქსური ფუნქციისა**, როგორც გვაქვს ყველა სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებში. ამიტომაც არ ხერხდება იმის დადგენა, თუ რა სახის დამოკიდებული წინადადებაა. ხშირად სინტაქსურად ერთი და იგივე აგებულება და გააზრება გვაქვს ასეთი წინადადებებში: ვაი, **რომ** არც ეს არის/ვაი, არც ეს არის – ვაი, ცხენს ფეხი მოუტყდა/ვაი, რომ ცხენს ფეხი მოუტყდა. შეიძლება ითქვას, რომ ორივე სახის შემთხვევაში რომ კავშირი შეიძლება აღდგეს ან პიქით, უკავშიროდაც გამოვიყენოთ.

გვაქვს თუ არა დასახელებულ წინადადებებში დაქვემდებარება? ჩვენი აზრით, აქ მხოლოდ აზრობრივი დაკავშირებაა და არა დაქვემდებარება. ასეთ შემთხვევებში მთავარ წინადადებად ვერ ჩავთვლით შორისდებულს. ჩვენთვის ის კომუნიკატივია და შესაძლოა წინადადების ტოლფასი იყოს, მაგრამ **სინტაქსურად მთავარი წინადადება ვერ იქნება დაუნაწევრებელი ერთეული**, ისევე როგორც სხვა კომუნიკატივები ვერ ჩაითვლება წინადადებად: მიგებითი ნაწილაკები, წამომახილები, აბრები და სახელწოდებანი. კომუნიკატივი ვერ იქნება წინადადება – მასში არ გვაქვს წინადადებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა წინადადებაც და კომუნიკატივიც საინფორმაციო საშუალებაა. ამას გარდა, კომუნიკატივი ისეთივე ერთიანი ინტონაციის მქონე ერთეულია, როგორც წინადადება და ესაა მიზეზი იმისა, რომ მას წინადადებად თვლიან (კიზირია 1986 : 67). დაქვემდებარება კი ასეთი სტრუქტურის წინადადებებში ფორმალურია და არ აქვს სინტაქსური ფუნქცია. ეს ისეთი შემთხვევებია, მთავარ წინადადებად რომ ჩაითვალოს ასეთი კონსტრუქციის პირველი შემადგენელი ნაწილი: "ლევიან ხიდაშელო, რომ ვერ შეძლო ამდენის გაკეთება მისთვის? (ფანჯ. გვ. 134); "შენმა მზემ, რომ კარგია" (ილია, გვ.276); "მართლაც, რომ ლამაზი ვიყავი" (ლონ., გვ.29).

რთულ წინადადებად მიიჩნევა ისეთი სინტაქსური ერთეული, რომლის კომპონენტებად ერთმანეთთან სინტაქსური კავშირით დაკავშირებული წინადადებები გვევლინება და არა მხოლოდ შინაარსობრივად დაკავშირებული ერთეულები. მაშასადამე, ჩვენი აზრით, დასახელებულ მაგალითებში არ გვაქვს დაქვემდებარება (მხოლოდ აზრობრივი დაკავშირება) და, შესაბამისად, აგებულებით არც რთული ქვეწყობილი წინადადებაა. ეს ტიპი წინადადებებისა უტოლდება **შორისდებულის შემცველ მარტივ წინადადებებს**: ოჰო, ბიჭებო, თქვენც აქ ხართ?; ეჰ, შენ კიდევ შენსას მოჰყვები; ვაი, თქვენც აქ ყოფილხართ...

### ლიტერატურა

**ბურჭულაძე 2014** – თ. ბურჭულაძე, ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში, თბილისი

**კვანტალიანი, 1988** – ლ. კვანტალიანი, ზოგი კითხვითი წინადადების შედგენილობისა და ფუნქციის საკითხისათვის ქართულში, კრ.-ში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVII, თბილისი

**კვაჭაძე, 1996** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი

**კიზირია, 1987** – ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბილისი

**შანიძე, 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი

### Tea Burchuladze

#### On the structure of a Sentence Type in Georgian

##### Summary

In the sentences where the main clause is just an interjection that has an ability to connect to a subordinate clause, it is important to find out the issue of its structure. Traditionally, such a sentence is considered as a complex one.

For the clarification of the issue we cannot use the method of asking a question as an interjection directly expresses the will and the feelings. Here we have just a semantic connection and not the subordination. We cannot consider an interjection as a main clause. It is a communicative unit and it may be equal to a clause but **syntactically a main clause cannot be an indivisible unit.**

If a sentence is not simple it should consist of clauses that are connected to each other not only semantically but also syntactically. In the said type there is no subordination (there is just a semantic connection) and therefore it is not a complex sentence either. This type of a sentence is similar to a simple sentence containing an interjection.

## ელისაბედ გაზდელიანი

### ვითარებითი ბრუნვის ზოგი საკითხი სვანურში

XVIII-XIX საუკუნის ქართველი გრამატიკოსები ვითარებით ბრუნვას ბრუნვათა რიგში არ განიხილავდნენ და არც გამოყოფდნენ. მას შემდეგ, რაც დასახელებულ ბრუნვას სათანადო ყურადღება მიექცა, მისი სახელწოდება ხშირად იცვლებოდა იმისდა მიხედვით თუ რა შეხედულება ჰქონდა ამ ბრუნვით დაინტერესებულ მკვლევარს. არნ. ჩიქობავა ნაშრომში: „მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის“. ჩამოთვლის აღნიშნული ბრუნვის სახელწოდებებს და მათ ავტორებს. შენიშნავს, რადგან ამ ბრუნვის მნიშვნელობა მეტად მრავალფეროვანია სახელის შერჩევა გაჭირდაო. ბრუნვის სახელწოდება: „მთლიანად პირობითი ვერ იქნება: ბრუნვის მნიშვნელობის ყველა მომენტი თუ არა, ძირითადი მაინც უნდა იქნეს აღნიშნული სათანადო ტერმინით“. თვით მეცნიერი ამ ბრუნვის სახელად მიმართულებითს ირჩევს (ჩიქობავა 1956, 13). ადრეულ შრომებში ვ. თოფურიაც მიმართულებითს იყენებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართველური ენებისათვის, დღეს უმეტესად ამ ბრუნვის სახელად ვითარებითია გავრცელებული, როგორც მას აკაკი შანიძემ უწოდა. ენათმეცნიერები თვლიან, რომ ვითარებითი, ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვების შემდეგ, ყველაზე ძველი, მრავალფუნქციური ბრუნვაა: „ვითარებითი ბრუნვა... საერთო ქართველური მოვლენაა, ფუძე ენიდან მომდინარე, ის მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ისეთივე სიძველისაა როგორც ქართულში“ (ჩიქობავა 22-25). აღნიშნულია აგრეთვე, რომ სვანურში ბრუნვათა განლაგება ოდენ გრამატიკული ნიშნების მიხედვით ვერ ხერხდება (აბესაძე 1975, 5). ამიტომ, სპეციალისტები ვითარებითს ბრუნვათა რიგში სხვადასხვა ადგილზე ათავსებენ.

სვანური ენის ყველა დიალექტში ბოლოხმოვნია და ბოლოთანხმოვნია სახელები ვითარებით ბრუნვაში მხოლოდ ერთ ნიშანს, -დს დაირთავს.

მაგ.: ბოლოხმოვნები: **დინა-დ** ბზ., ლშხ. **დენა-დ** ლნტ. **დინა-დ** ბქ. „გოგოდ, ქალიშვილად“. **მარე-დ** ბზ., ლშხ. **მარე-დ** ბქ., ლნტ. „კაცა;დ“. **თხერე-დ** ბზ., ლშხ. **თხერე-დ** ბქ. ლნტ. „მგლად“. **მუშგური-დ** ხს., ლშხ. **მუშგური-დ** ლნტ. „სტუმრად“. **ფაუ-დ** „ჯოხად“ და სხვა.

ბოლოთანხმოვნები: **ზურალ-დ** „ქალად“. **კყინტ-დ** „ბიჭად“ **კან-დ** „ხარად“. **ქორ-დ** „სახლად“. **კან-დ** „ქმრად“. **ბან-დ** ხს., ლნტ. **ბეჩ-დ** ლშხ. „ქვად“...

ცნობილია, რომ სვანურში მოთხრობით ბრუნვას ორი ფორმანტი აქვს და ერთ-ერთი მათგანი -**დ**ა. მკვლევართა ერთი ნაწილი მოთხრობითის -**დ**სა და ვითარებითის -**დ**ს ერთმანეთს უკავშირებს. კ. დონდუა ამ ვარაუდს შემდეგნაირად ასაბუთებს: „ის გარემოება, რომ სვანურის ვითარებითი ბრუნვა თითქმის სავსებით ემთხვევა ქართული ენის ვითარებითს და სვანური ვითარებითის -**დ** გენეზისურად (არა მარტო მატერიალურად) მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტია, ნებას გვაძლევს სვანურის -**დ**იან მოთხრობითს ქართველური ტიპის მოთხრობითი ვუწოდოთ. ასეთი სახელწოდება ერთ ნიშანს ემყარება, სახელდობრ, სვანურსა და ქართულში ვითარებითი ბრუნვის ერთისა და იმავე ფორმანტის (-**ა**დ)-ის არსებობას“ (დონდუა 1967, 52).

სვანური მოთხრობითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშანთა იდენტურობას იზიარებს გ. მაჭავარიანი და მას მოთხრობით-ვითარებითს უწოდებს (მაჭავარიანი 1985, 237-241).

არნ. ჩიქობავა უარყოფს ამ ბრუნვათა -**დ**-ს იგივეობას: „-დ მაწარმოებელი სვანურს მოთხრობითისთვისაც აქვს, მაგრამ ეს -**დ** სხვა წარმოშობის ჩანს“ (ჩიქობავა 1956, 22).

ა. ონიანის მოსაზრებით, სვანური მოთხრობითის და ვითარებითის -**დ** სხვადასხვა წარმოშობისანი არიან: „ვითარებითი და მოთხრობითი ერთმანეთისაგან იმდენად დამოუკიდებელი ბრუნვებია ყველა ქართველურ ენაში და იმდენად თავისთავადი წევრებია ბრუნების პარადიგმებისა, რომ მათი ერთი ბრუნვისაგან მომდინარეობის მტკიცების საფუძველი არ არსებობს“ (ონიანი 1989, 218).

სვანური ვითარებითის -**დ** ფორმანტი ზუსტად შეესატყვისება ქართულის -**ად** ნიშანს, როგორც მასალაობრივ ისე ძირითადი ფუნქციებით. სვანურ პოეზიაში იძებნება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -**ად** ვარიანტიც. მაგ.: **თხუმ-ად** „თავამდე“ შდრ. **თხუმ** „თავი“. რის საფუძველზეც, გ. კლიმოვმა ვითარებითი მორფემის საერთოქართველური ფუძე ენისათვის -**ად** არქეტიპი აღადგინა (Климов 1964 43; 1962, 84-85).

„ქართველური ენების ფუძე-ენისათვის ვითარებითი ბრუნვის აფიქსად უნდა ჩაითვალოს -**ად**. შემდეგში მისგან კოლხურში მივიღეთ -ოთ > ო და -თ, ქართულში – ად, -ა, -დ, დ-ა; სვანურში – \*-ად, -დ (ლომთაძე 1987, 47).

-**ად** ფორმანტის ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გამოყოფის შესახებ არსებობს სხვა ვარაუდიც: „-დ<sup>ს</sup> წინამავალი -ა- ან ფუძისეულია, ან პროსოდიული საჭიროებისათვის გაჩენილი უტყვი ხმოვანია“ (ჩანტლაძე 1998, 98).

სამეცნიერო ლიტერატურაში საკუთრივ სვანურის უძველეს ნიშნად მიცემით, ნათესაობით და ვითარებით ბრუნვებში -**ნ** ნიშანს გამოყოფენ და აღნიშნავენ, რომ -**ნ**, -**დ**ს მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა სვანურში.

მაგ.: **მახა-ნ** || **მახა-დ** „თავიდან, ახლად, ხელახლა“. **ჩი-ნ** || **ჩი-დ** „ყველაზე“. **სგებ-ნ** || **სგებ-დ** „წინათ“. **ისკუა-ნ** || **ისკუა-დ** „შენზე“.

ვითარებითი ბრუნვა -**ნ** ნიშნით რიცხვითი სახელებშიც გვხვდება, მაგრამ აქაც -**ნ**ს ჩვეულებრივ ენაცვლება -**დ**. **მესმა-ნ** || **მესმა-დ** ქათქეწდ (ბქ.) „მესამედ ვნახე“. **მესმა-ნ** || **მესმა-დ** ჩუ იჩქოჟიხ (ლშხ.) „მესამედ დაიჩოქებენ“. **მესმა-ნ** || **მესმა-დ** ადად ქანასკინე ქამხო (ლნტ.) „მესამედ კვლავ გამოხტა გარეთ“. **მერბა-ნ** || **მერბა-დ** ნოსა ანჯე (ლნტ.) „მეორედ არ მოხვიდე“.

ვითარებითა და მიცემითში -**წ** ნიშნის არსებობას გადმონაშთად თვლის გ. თოფურია. -**წ** ნიშანი სვანურ ვითარებითში მეორეულად მიჩნია გ. კლიმოვს. ი. ჩანტლაძის ვარაუდით: „-**წ** ელემენტში შეიძლება სახელის ფუძის მარჯვნივ სუფიქსის (დეტერმინანტის?) დანახვა. სწორედ იმიტომაც, რომ ის ყველა ბრუნვაში გვხვდება“ (ჩანტლაძე 1998, 123).

„ვითარებითი ბრუნვის უდავო გამომხატველი სუფიქსები თანამედროვე სვანურში არის... -**დ** ან -**ამდ**“ (ონიანი 1998, 85). საინტერესოა -**ამდ** მორფემის გამოყოფა -**ა**ზე დაბოლოებულ სახელებთან ვითარებით ბრუნვის ნიშნად. ის ხშირად იჩენს თავს გაქვეავებულ ფორმებად მიჩნეულ ზედსართავებთან და ზოგ -**ა** ბოლოხმოვნიან რიცხვით სახელებთან, სადაც -**ამდ** სუფიქსში -**ა** ფუძის ბოლო ხმოვანია, **მ** < **ემ** მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი, რომელსაც დაერთვის ვითარებითის -**დ** სუფიქსი. აღსანიშნავია, რომ ბრუნვათა პარადიგმაში მოთხრობითისა და ვითარებითის ფორმები, ხმოვანზე დასრულებულ ზედსართავ სახელთა ბრუნვის დროს, ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან განსხვავებული ფუძეების გამოყენებით. ვითარებითში ბრუნვის -**დ** ნიშანი მოთხრობითის ფუძეს დაერთვის, ხოლო მოთხრობითის -**დ** შეიძლება უშუალოდ ფუძეს მოსდევდეს.

მაგ.: **ხოჩა** „კარგი“ ვით. ბრ. **ხოჩ-ამ-დ** ლშხ., **ხოჩ-ამ-დ** ლნტ. „კარგად“. მოთხრობითში იქნება **ხოჩა-დ** „კარგმა“. მინ როქტუ **ხოჩ-ამ-დ** ჩუდ ადუოხმ-მანხ (სვან. პოეზ. 92, 57) „მათ კი კარგად ივახმმესო“. მერმა ლადელ **ხოჩ-ამ-დ ხუარდ** (ბქ.) „მეორე დღეს კარგად ვიყავი“. ხალხს ხეყედა **ხოჩ-ამ-დ** (ლშხ. ქრ. 256) „ხალხს ჰყავდა უფროსად“. შდრ. **ხოჩა-დ** ლიგუნი ედბინე (ლშხ.) „უფროსმა ტირილი დაიწყო“. **ხოლ-ამ-დ** ადკად (ლშხ.) „ცუდად გახდა“. შდრ. **ხოლა-დ** „ცუდმა“. ბალსქვემოურ დიალექტში შეიძლება შეგვხვდეს: ჩიდ **მაჩენ-დ** იზგეხ (ბქ.) „ყველაზე კარგად ცხოვრობენ“. შეიძლება **მაჩენ-დ** ფორმის ნაცვლად იყოს: **მაჩენ-ამ-დ** არიხ (ბქ.) ყველაზე კარგად (საუკეთესოდ) არიან“.

სვანურში ვითარებითი ბრუნვა, ქართულის მსგავსად, ფუნქციურად საკმაოდ დატვირთული ბრუნვაა. ამ ბრუნვაში დასმული სახელი გვიჩვენებს და გამოხატავს ვითარებას, საგნის როგორობას და ა.შ.

მაგ. ბზ. ნამსყურ **შუიდებ-დ** აგუტახ (სვან. პოეზ. 88, 93) „ნამსყური მშვიდობით დაგვიბრუნდა“. ლატლი ფადასგ **გუამი-დ** ახჰიმ (სვან. პოეზ. 88,56) „ლატლის მდევარი მძიმედ მოსდევს“. ეჩეჩუ იგნიხ **ჰარი-დ** (ბზ. ქრ. 179) „იქ დგებიან მწკრივად“. მარე **ხოლამ-დ** არი (ბზ. ქრ. 65) „კაცი ცუდად არის“. ლელუს **ზესყი-დ** ჩუთაწალიხ (ბზ. ქრ. 15) „ხორცს ნედლად დაანაწილებენ“.

ბქ.: ითქ **წყელიან-დ** ლგუყედ ლი (ბქ.) „მარცვალი სუფთად არის გარეცხილი“. ჰან-დ მესდე ჰან (ბქ. ქრ. 216) „დაუკოდავად დარჩენილი ხარი“. **ლიხირტლ...ლი** ტიწყუტ-დ (ბქ. ქრ. 81) „მხიარულება არის უწყვეტად“.

ლშხ. სპირტთქისა ხუაგნად **ლუარ-დ** (ლშხ. ქრ. 261) „სპირტში ცოცხლად ვსვამდით“. **მეკუტა-დ** იზბიხ (ლშხ. IV, 247) „ფრთხილად ჰამენ“. **ცქუტი-დ** ედრტუნ (ლშხ.) „სწრაფად (ცქვიტად) გაიქცა“. ჩუ ლოქ აშიხი **შიმ-დ** (ლშხ. IV, 20) „სწრაფად (ხელად) დაწვავსო“.

ლნტ.: ბოფმარ წყენარ-დ არიხ (ლნტ.) „ბავშვები წყნარად არიან“. **მეკუტა-დ** იზბიხ ლეხუტებს (ლნტ.) „ფრთხილად ჰამენ საჰმელს“ ჰედენიხ ამჟი **ლეჰანჰა-დ** (ლნტ.) „მოდიან ასე გადაბმულად“.

განსაკუთრებით ხშირია სვანურში ვითარებითი ბრუნვის დანიშნულების მნიშვნელობით გამოყენება:

ბზ.: **ტყუტ-დ** ესყენახ მგლხაზრს (ბზ. ქრ. 93) „ტყვედ მიჰყავდათ მულახელეზს“. ბეფშუ ადზგზე **მეტალ-დ** (ბზ. ქრ. 62) „ბავშვი გაგზავნა მძევლად“. ხაღხი **ლაცუბა-დ** სანყურის აშუმახ (ბზ. ქრ. 182) „ხალხის შესაგროვებლად საყვირს უკრავდნენ“.

ბქ.: **ლანუტად-დ** ნულუტე ლანუტადარ (ბქ. ქრ. 203) „საწურად გვაქვს საწური“. ტუფუტარ **ლაცურა-დ** ნერშენ (ბქ. ქრ. 208) „ტყავები საწოლად გვეგო“. მიჩ დო ხენკრენი **ახუტ-დ** (ბქ.) „მე გამომყევიო ცოლად“. ხილს ჰაესდახ **ლეფანა-დ** (ბქ.) „ხილი მიჰქონდათ საკურთხად“.

ლშხ. ქირცს **ნწყუნ-დ** ასყხ (ლშხ.) „ოსპს შეჰამადად აკეთებნ“. არაყს აიესდახ ლეჯგრი-დ (ლშხ.) „არაყი მიჰქონდათ საკურთხად“. **მე-შგალი-დ** ზურულ ხაყახ (ლშხ. IV, 288, 7) „მწველავად ქალი ჰყავთ“. თეკუარს აშტრანდახ სეტა **ნათლუნ-დ** (ლშხ. IV, 41, 6) „თოკებს გრეხდნენ მარხილის მოსაჭერად“.

ლნტ.: თხუმე **ლამტახნა-დ** ხაკუხ (ლნტ.) „თავის გასართობად უნდათ“. ღერთა **ლაცგრალ-დ** ლიზი ხაკუ (ლნტ. ქრ. 307) „ღვთის სავედრებლად უნდა წასვლა“. ბეფშუს... **მგლდად-დ** ალშანიხ (ლნტ. ქრ. 304) ბავშვს მწყემსად ნიშნავენ“. მერბე სოფლი **მუთუტერი-დ** ადგან (ლნტ. ქრ. 304) „მეორე სოფლის მასწავლებლად დადგა“.

დანიშნულება, პოსესიურობას გამოხატავს ქართული **-თვის** თანდებულის ბადალი, სვანური **-იშ'ტ'დ**. ის რთული თანდებულია და შედგება ნათესაობითის **-იშ** და ვითარებითის **-დ** ნიშნისაგან. ვითარებითის **-დ** ნიშნის წინ, დიალექტების და ფუძის როგორი მიხედვით, შეიძლება სვანურში არსებული ნათესაობითი ბრუნვის ყველა ვარიანტი გამოვლინდეს: ბზ.: **-იშდ**, **-იშდ**, **-ჰშდ**, **-ჰშდ**, **-ემდ**, **-ემდ**; ბქ.: **-იშდ**, **-ჰშდ**, **-ემდ**; ლშხ.: **-იშ'ტ'დ**, **-იშ'ტ'დ**, **-აშ'ტ'დ**, **-აშ'ტ'დ**, **-აშ'ტ'დ**, **-ემ'ტ'დ**, **-ემ'ტ'დ**, **-რშ'ტ'დ**, **-რშ'ტ'დ**; ლნტ.: **-იშ'ტ'დ**, **-აშ'ტ'დ**, **-აშ'ტ'დ**, **-ემ'ტ'დ**. გასარკვევია **-ტ'დ**-ს საკითხი, ის გვხვდება ნათესაობითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნებს შორის, უმეტესად ქვემო სვანურში, თუმცა ხშირად ის მეტყველებისას არ ისმის – იკარგება.

სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში ამ თანდებულის შემადგენელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი ხან გრძელია, ხანც ფუძედ იყენებს **-ემ** იანი ერგატივის ფორმას, რომელსაც აღნიშნული თანდებული დაერთვის, განსაკუთრებით ხშირად **-ე** ბოლოხმოვნიან სახელებს: **თხერ-ემ-იშ'ტ'დ** „მგლისთვის“, **ხალ-ემ-იშ'ტ'დ** „ფოთლისთვის“, **ღებელ-ემ-იშ'ტ'დ** „გაბერილისთვის“. **ლეგმერიდ-ემ-იშ'ტ'დ** „ავადმყოფისთვის“. ზოგ შემთხვევაში შეიძლება უშუალოდ ბოლოხმოვნიანი სახელის ფუძეს დაერთოს: **დედ-ემდ** „დედისთვის“, **ბებე-ემდ** „ბებიისთვის“; **გიგ-აშ'ტ'დ** „დედისთვის“, „მამიდისთვის“; **ლახუბ-აშ'ტ'დ** „ძმებისთვის“, **ლიგერგ-რშ'ტ'დ** „გიორგობისთვის“, **ლიმზერ-რშ'ტ'დ** „ლოცვისათვის“ და სხვა.

აღნიშნული თანდებულის სხვადასხვა ვარიანტებს შორის ამოსავალია **-იშ'ტ'დ** ფორმა, დანარჩენი ფორმები მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესების შედეგია.

მაგ. ბზ.: **მერზილ-ჰმდ** დაშნილ ჟიჲ მიკიდა (სვან. პოეზ. 92, 66) „მერზილასთვის ხმალი ამიცლია“, ჟი იმხუნინ **ჰელმ-ჰმდ** (ბზ. ქრ. 17) „ინახავენ სულთა შაბათისთვის (სულთაობისთვის)“. ტაბზგ ხარხ ლემარე **მუშგურარ-ემდ** (ბზ. ქრ. 18) „ტაბლა (სუფრა) აქვთ გამზადებული სტუმრებისთვის“. სკრიბენ მერმა **ლადდ-იმდ** (ბზ. ქრ. 124) „დაადგენენ მეორე დღისთვის“. მანგ ქუთუარს ანყა **ჰამ-ჰმდ** (ბზ. ქრ. 15) ყველა ხაჰაპურებს აცხოზდა დილსთვის“.

ბქ.: ანენხ... საჩქჲრს მახა **თელღერ-ჰმდ** (ბქ. ქრ. 175) „წაიღებდნენ საჩქჲრს ახალი რძლისთვის“ პჲტიჲ ხოყრა **წეკჲ-ჰმდ** (ბქ. ქრ. 207) „პატივი უცია (უქნია) წეკჲასთვის“. ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვასთან შეიძლება, ამ თანდებულის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები შეგვხვდეს: ლემარ ლიხ **ქჲერწლობ-ჰმდ** (ბქ. ქრ. 170) „მზად არიან ქორწილისთვის“. იქვე: არანყს **ქჲერწლობ-იმდ**... ლეკმჲშს იჩო მაგ – „არანყს ქორწილისთვის მაგარს ხდის (აკეთებს) ყველა“. ხახჲემ **ლიღჲჲალ-ემდ** მეზგე არანყი არანყს (ბქ. ქრ. 178) „ცოლის მშობიარობისთვის ოჯახი არანყს ხდის“.

ლშბ.: **ხენწიფ-იმდ** ზექ ხაგად (ლშბ. 88, 36) „ხელმწიფისთვის შეშა მართებს“. ხოწჲენა მიჩა **აეხჲ-ემდ** (ლშბ. ქრ. 285, 1) „უჩვენებია თავისი ცოლისთვის“. ოთქადა დაგრა **მუხხემ-იმდ** (ლშბ. IV; 268,35) „მძისთვის სიკვდილი აუცილებია“. ხარხ ფას ლეჲდი დინჲ **მუ-ემჲდ** (ლშბ.) „საფასური (ფასი) აქვთ მისაცემი ქალიშვილის მამისთვის“. **დაჲ-აშ'ჲ'დ** ზექ ჟი ხრცჲდა (ლშბ. 89, 14) „დევისთვის შეშა ჰქონდა აკიდებული“.

ლნტ.: ლახოჲოდა **ამშ-ჰმდ** (ლნტ. ქრ. 13) „მიუცია ამისთვის“. დენა-გეზალჲ ჰჲშ მიჩა ქორა **მარემ-იმ'ჲ'დ** ჩიჲე ლი (ლნტ. 20, 1) „ქალიშვილის ქმარი სახლის კაცებისათვის (წევრებისთვის) სიძეა“. ჩიჲე **ჩიჲე-ამჲდ** მოქშჲ ლი (ლნტ. 20, 3) სიძე სიძისთვის ქვისლია“.

სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადად **-ემ'ჲ'დ** თანდებული დაერთვის. რადგან სახელებს მრ. რიცხვის ნათესაობით ზრუნვაში **-ემ** ნიშანი აქვთ.

მაგ.: ტაბზგ ხარხ ლემარე **მუშგურარ-ემდ** (ბზ. ქრ. 18) „სუფრა (ტაბლა) სტუმრებისთვის გამზადებული აქვთ. **ჲედრ-ემდ** || > **ჲედარ-დ** ბოჯჲრ ოთკჲარახ (ბქ.) „ძაღლებისთვის პურის ნატეხები გადაუგდიათ“. ზარალ ხოყრა ტჲიბი **დაბარ-ემდ** (ლშბ.) „ზარალი უქნია ხეობის ყანებისთვის“. ქა ლეზცი ლოქ ხარენა **დაჲარ-ემ'ჲ'დ** (ლშბ. 82, 25) „შესაპირებელი გაუხდა (ჰქონია) დევებისთვის“.

ლნტ.: **ჩაჲარ-ემდ** ჟ'ახოკიდა ქერ (ქრ. ლნტ. 315) „ცხენებისთვის აუღია (მოუპარავს) ქერი“. ზურალ ირბიელ **ჰელვანარ-ემდ** (ლნტ.) „ქალი აცხოზს ხელოსნებისთვის“. თუმც **-ემ'ჲ'დ** ვარიანტი შეიძლება სახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმებთანაც შეგვხვდეს: **მუ-ემდ** „მამისთვის“; **დი-ემდ** „დედისთვის“; **ჰყინტ-ემ'ჲ'დ** ლშბ. „ბიჰისთვის“.

ცნობილია, რომ **-იმ'ჲ'დ**, **-ამ'ჲ'დ**... დერივატი პარალელს პოლოლობს ძველ ქართულში არსებულ ნანათესაობითარი-ვითარებითის **-ის-ად** აფიქსთან, რომელიც დღესაც დასტურდება ხევსურულ და ფშაურ დიალექტებში: მაგ.: ერთ დღისად დაამზადებს. მეთორმეტისად შემოუკრავს ჰმალი. აი ცხენოკრისად ქვა დაეკრ ი არგასაზრდელს. რის გულისად. ჩემ



კაცისად ეთქვ და სხვა. წარმოდგენილ თანდებულს სრული მორფოლოგიურ-ფონეტიკური შესატყვისი მოეპოვება ქართულსა და მეგრულში (თოფურია 2002, 143).

ძვ. ქართულის და მთის დიალექტების **-ის-ად** ფორმაში კუთვნილებას გამოხატავს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (კაც-ის), ხოლო დანიშნულებას **-ად** სუფიქსი (ლომთამე: 1987, 86). ასევე სვანურში, **-იმ** თავისი ვარიანტებით კუთვნილებას გამოხატავს, **-დ** დანიშნულებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თანდებულთან და საერთოდ ვითარებითი ბრუნვის **-დ** ნიშანთან დაკავშირებულ ფონეტიკურ პროცესებზე ნათქვამია: „**-დ** სვანურში არც იკვეცება და არც ფშვინვიერდება. ამით განსხვავდება შესაბამის ქართულ-კოლხური (-ად > ოთ) მორფემისაგან“ (ლომთამე 47). შენიშვნა, რომ სვანურში ვითარებითი ბრუნვის **-დ** არ ფშვინვიერდება სწორია, მაგრამ, რაც შეეხება მის დაკარგვას აუსლაუტში ჩვეულებრივი მოვლენაა.

სვანურისათვის „განსაკუთრებით დამახასიათებელია ფორმათა ცვლა აუსლაუტში... იმდენად შორს მიდის საკმაოდ რთული პარადიგმატული სისტემის გამარტივების ტენდენცია სვანურში, რომ ე. წ. ორმაგი ბრუნების წარმომადგენელი ნანათესაობითარი-ვითარებითის (დესტინატივის, მიზნობრივი ფუნქციის გადმოცემი, ფორმები ბზ. -იმდ ბქ. ქს. იმ-<sup>ა</sup>დ), ჩვეულებრივ, მარტივი (დ<sup>იანი</sup>) ვითარებითის ფორმითაც გვევლინება ხოლმე.

მაგ.: ბზ.: ალი ქრთლახ **ხოხტრა უდილ-დ** (||**უდლ-ჰმ-დ**) – „ეს წაურთმევიათ უმცროსი დისთვის (ზედმიწ. „და-დ || დ-ის-<sup>ა</sup>დ).

ბქ.: მიჩა მალტან **ჰეჲ-დ** დას ესერ ხოთალა – „თავისი ქონება სოფლისთვის (ზედმიწ. ხევ-ად) არავის გაუნაწილებია“. გიგოს ხოქტა **გლეხბ-დ** მიჩა (სვან. პოეზ. 46,8) „გიგოს უთქვამს თავისი გლეხებისთვის (ზედმიწ. გლეხებ-ად)“... ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმათა ჩანაცვლება. რთული **-იმ-ჲ-დ** ფორმანტი ისეთივე ცვლილებებს განიცდის აუსლაუტში, როგორც სხვა ბრუნვის ნიშნები, ჩვეულებრივ იკარგვის **-დ**, ზოგჯერ კი **ჲ**; ბქ. **ჯიმლ-ჰმ < ჯიმლ-ჰმ-დ**, ლშხ. **ღერთ-ამ < ღერთ-ჰმ-დ** ლნტ. **დადიან-ჰმ-ჲ-დ || დადიან-იმ-ჲ-დ** „დადიანისთვის“. ბუნებრივია, აუსლაუტის გამარტივების პროცესი ეხება არა მარტო ნანათესაობითარი, არამედ მარტივი ვითარებითის ფორმასაც: ბზ. **ფუსდ<sup>ა</sup>დ<sup>ა</sup>** „ბატონად“, – ზს. **ამნარ<sup>ა</sup>დ<sup>ა</sup>** „ამად, ამისთვის“, **ეჯნარ<sup>ა</sup>დ<sup>ა</sup>** „იმად იმისთვის“... (ჩანტლამე 1998, 93-94). ყველა ეს ფორმანტი თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს და რაიმე განსხვავებული მორფოლოგიური ფუნქცია მათ არ აკისრიათ.

ვითარებითი ბრუნვის **-დ** ნიშანი დაერთვის დანიშნულება, განკუთვნილების მაჩვენებელ **-იჲქ, -აჲქ** ბზ., ლშხ., **-იაქ, ააქ** ბქ., ლნტ. აფიქსს, რომელიც შეესაბამება ქართულ **სა-** – **ო, სა-** – **ე** კონფიქსს. მაგ.: სა-ეკლესი-ო, სა-ერთ-ო, სა-დოლ-ე, სა-ცოლ-ე ფორმებს. ამ შემთხვევაშიც **-დ** ხშირად იკარგება. ქორთ ესლჲნ... **თაკჲარი-ჲქ<sup>ა</sup>დ<sup>ა</sup>** (ბზ. ქრ. 99) „სახლში მიჰქონდა სათოკედ (თოკებისთვის)“. ალი როქჲ ლი მიჩა **ჰჰმჲქდ** (ბზ. 444). „ეს არის ჩემ საქმროდ“. ქორი-ჲქ-დ მეგემ სგენმაჯებ (ლშხ.) „სახლისთვის ხე (ხეები) შემოზიდეს“. **იმ-იჲქ<sup>ა</sup>დ<sup>ა</sup>**. ჯაკუ? (ლშხ.) „რისთვის გინდა?“ **კაბ-აჲქ<sup>ა</sup>დ<sup>ა</sup>** მაკუ

(ბზ. ლშხ.) „საკაბედ მინდა“, ხამწრს ხუანშყედ **აღბიერიშ-იაქ-დ**<sup>1</sup> (ბქ.) „ღორებს ვასუქებთ სააღებოდ“. ქანა თხუმტარ ხალტუნახ **სგურალ-მაქ-დ**<sup>1</sup> (ლშხ. IV, 54, 7) „კანაფის თავთავები ჰქონიათ სატილოედ (ტილოებისთვის)“. იმკახდახ **ლეჯგრიჟინ-აშდ კამარა-მაქდ** (ლშხ. IV, 240, 16) „იყენებდნენ საკურთხისთვის საკამარედ (კამარისთვის)“. ალე ლოქ ხაკუ **მეხტ-იაქ-დ**<sup>1</sup> (ლნტ.) „ეს მინდა საცოლედ (ცოლად)“. **ნაცომუნ-მაქდ** ხოჩა ლი (ლნტ.) „საცხად (საცხისთვის) კარგია“.

როგორც ცნობილია, ვითარებით ბრუნვას სვანურში, ქართულის მსგავსად, გარკვეულ ზმნებთან გარდაქცევითობის (ცვალების, გარდასახვის, გარდაქმნის, სხვადა ქცევის) მნიშვნელობა აქვს.

მაგ. ბზ.: რუკავ **ზწად** ასე ხალხს (ბზ.) ჯადოქარი (როკავი) „ქვად აქცევს ხალხს“. ყტირ ლახ ქა რწქტინინა, **ზწ-დ** ისპოლ (ბზ. 256,34) „მამალი თუ იყივლებდა (იტყოდა) ქვად იქცეოდა“. დრკუტენ ესრალუ ჰაყრილი **პანტ-დ** ესგენე (ბზ. 238, 6) „დიაკონი წაიქცა და ჭურჭელი ნამსხვრევებად აქცია (დააყენა)“. **ტბტ-დ** ლგსპა ჰერწმს მეშხე ფერიშ ხეფსი (ბზ. ქრ. 135) „ნაცრად ქცეული ნაცარწმენდილი შავი ფერის ხდება (გამოდის)“. (ბქ.: მიჩა თე სგე-ზინჩუ ბერეჟ **ოქრ-დ** ადსიპან (ბქ.) მის თვალწინ რკინა ოქროდ იქცა“. ამჟიმ ხოჩა მარე, სოფლიშ **ლალგაღალ-დ** ანსყან (ბქ.) „ასეთი კარგი კაცი, სოფლის სამასხროდ იქცა“.

ლშხ.: ხოყირახ მადრატ, **წელ-დ** ლოქ ოსსიპახ (ლშხ. ქრ. 285) „დაურტყამთ მათრახი, ვირად უქცევიათ“. ფულხანისა **გრამდ** ლოქ აგნე (ლშხ. IV, 250, 21) „ერთ წამში **ფერფლად** აქცევს (აყენებს)“.

ლნტ.: ჩერი **მეგამდ** ლოქ ისპი (ლნტ. ქრ. 334) „თითისტარი ხედ გადაიქცევაო“. ედ ბეფშ **ირემდ** ალისპელი (ლნტ. 284, 35) „ის ბავშვი ირმა-დ ქცეულა“. ნაშხუნ ჩინთ **ლიც-დ** აჩად (ლნტ.) „შენანახი ჩითი წყლად იქცა (წავიდა)“.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ერთი წყება -ა სუფიქსიანი საწყისები (რომლებიც პირველად საწყისებად ითვლებიან), თავისებურებას ამჟღავნებენ **ლიგნე** „დადგომა“ „დაყენება“ ზმნასთან კომბინაციაში. ამ ზმნას ძირითადი მნიშვნელობის გარდა, გარდაქცევითობის სემანტიკაც აქვს და ასეთ შემთხვევაში, მასთან დაკავშირებულ სახელს ვითარებით ბრუნვაში მოითხოვს. მაგ.: **ბიფხდ** ლიგნე „ცვარ-ნამად“ ქცევა, დაყენება“, გადატანითი მნიშვნელობა – საქმის მოგვარება. **ცქაფდ** აგნე || **ცქიფე** „ხეთქად აქცევს, ხეთქს“. **ცაღ-დ** ადგენე || **ჩუაღილ** „ხევა-დ აქცია, გახია“. **ჟღაბ-დ** აგნე || **ჟღიბე** „ჰყლეტად აქცევს, ჰყლეტს“. -ა ბოლოსართიანი საწყისები **ლიგნე** ზმნის ფორმებთან ერთად აღწერთად გამოხატავს მოქმედებას, რომელიც, როგორც ვნახეთ, ორგანული წარმოებითაც გადმოიცემა“ (ჭკადლა 2005, 325).

კ. დონდუა წერილში, „ადიდეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში“, განმარტავს: „სვანურის ვითარებითი ბრუნვა თითქმის საცხებიტ ემთხვევა ქართული ენის ვითარებითს“ და იქვე სქოლიოში შენიშნავს, „რომ ქართულთან განსხვავებით, სვანურში ვითარებითი იხმარება აგრეთვე შედარებით ხარისხთან – შესადარებელი საგნის აღსანიშნავა: **დიარ-დ** ხომა ეშ ხეკუტეს ძღედტუმ ლესეს (ონიანი 1917) „სიდიდით პურზე უფრო დიდი უნდა იყოს“. ქვეყანაჟი **ეჯაბარ-დ** ხოჩა დესა ლემარდ (სვან. პროზ. I,

124). „ქვეყანაზე მათზე უკეთესი არავინ ყოფილა“ (დონდუა 1967, 52). ასეთ შემთხვევაში შესადარებელი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა ქართულში **-ზე** თანდებულთ ითარგმნება. ჩვენი მხრიდან დავამატებთ მაგალითებს: თბილისი **ქუთაშ-დ** ხომა ლი (ბზ.) „თბილისი ქუთაისზე დიდია“. ზაჟლადელ **ლუფხუ-დ** ხოდთა ლი (ბზ.) „ზაფხული გაზაფხულზე უფრო ცხელია“. ყვითელ ბარდან წერნი **ბარდან-დ** მეტრშუ ხომა ლი (ბქ.) „ყვითელი მატერია წითელ მატერიაზე მეტრით დიდია“. ნამშარან **მეტრ-დ** ხომალი (ჰქ.) „სიფართით მეტრზე დიდია“. უსხუობს **თანაფ-დ** ხომამ ხეხიადნლხ (ლშხ. IV, 273, 9) „უსხობას (დღესასწაულია) აღდგომაზე მეტად დახარია“.

ნ. აბესაძე, როცა განიხილავს: „ბრუნვათა სინტაქსურ ფუნქციებს სვანურში“, ვითარებითი ბრუნვის შესახებ შენიშნავს: „ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართულში ზოგჯერ თანაობასაც გადმოსცემს. განსაკუთრებით **-იან** სფიქსიან სახელებთან. სვანურში კი ვითარებითი ბრუნვით თანაობის გადმოცემა არ ხდება“ (აბესაძე 1995, 8).

ჩვენი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ სვანური ვითარებითი ბრუნვა, ქართულის მსგავსად, ქონების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებზე **-დ** ბრუნვის ნიშნის დართვით თანაობას გამოხატავს.

მქონებლობის (ქონების) გამომხატველი ზედსართავები იწარმოება: „ლგ- თავსართით და მოკვეცილი **-ი** (ან **-ე**) ბოლოსართით და უდრის ქართულ **-იან**, **-ოვან**, **-ოსან** სუფიქსებს“ (თოფურია 2002, 171). მაგ.: **ლგ-ფაყუ** „ქუდიანი“, **ლგ-ხეფშ** „უ“ „ბავშვ(ებ)იანი“, **ლგ-ბარგ** ზს. ლნტ. „ბარგიანი“, **ლგ-მეხუ** „ცოლიანი“, **ლგ-ჭიშხ** „ფეხიანი“ და სხვა. თანაობას გამოხატავს: ანგანხ მანგ **ლუზრალ-ლგბოფშ-დ**, **ლუგოკ-დ**... ი მანგ აჩადხ (ბზ. ქრ. 165). „ადგენენ ყველა კეისრისანები ქალ-ბავშვინად, **გოკ(ებ)იანად** და ყველანი წავიდნენ“. იშგუთი კერან რიჩქუიანან ნაგაუ **-ლგტგტ-დ (ლგშხ-ლგტგტ-დ)** ჟი გვივიდა (სვან. პოეზ. 78, 64) „შვიდი ოჯახი რიჩქვიანები ნაგავ-ნაცრიანად (ნახშირ-ნაცრიანად) ამოგვიწყვეტია“. თელ სოფელ **ლგციცუ-დ** ეჩეჩუ ესფამდუ (ბქ.) „მთელი სოფელი კატიანად იქ მოვიდა“. ფირუ **ლუდუნ-დ** ნწიდი (ბქ.) „ძროხა **ხხიიანა-დ** მოიყვანა“ ჟაგარ-დ ჩუაჭკურის... ბალახს **ლგ-ძირ-დ** (ლშხ. ქრ. 267) „წამლად დაჭრიან ბალახს ძირიანად“. ღუნი მაჭიკს მიჩა **ლგლგკ-დ**... იშხენიხ (ლშხ. ქრ. 267) „ხბოს მაჭიკს თავისი ხსენიანად ინახავენ“. მიჩა **ლგბარგ-დ** აჩად (ლშხ. ქრ. 287) „თავის ბარგიანად წავიდა“. ჟან ჩუათოხუთირა ქორ **ლგმურყუამ-დ** (ლნტ.) „ზვავს სახლი კომპიანად დაუნგრევია“. **ლგეხუ-ლგზელ-დ** ანკად (ლნტ.) „ცოლ-შვილიანად მოვიდა“.

არნ. ჩიქობავას მიერ 70 წლის წინანდელი დასკვნა ვითარებითი ბრუნვის შესახებ ქართველურ ენებში, ზოგი გამონაკლისის გარდა, სრულად დადასტურდა: „ვითარებითი ბრუნვა... საერთო ქართველური მოვლენაა, ფუძენიდან მომდინარე, ის მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ისეთივე სიძველისაა, როგორც ქართულში.“

გასარკვევი დარჩა ვითარებით ბრუნვასთან დაკავშირებული ზოგი ნიუანსი სვანურში, რომელთა წარმოჩენა შემდგომში ივარაუდება.

### ლიტერატურა

**აბესაძე 1975** – ნ. აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები 164.

**დონდუა 1967** – ვ. დონდუა, ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში, რჩეული ნაშრომები, თბილისი.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში, შრომები II, 2002.

**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, ვთარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში, შრომები II, 2002.

**ლომთაძე 1987** – ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბილისი.

**მაჭავარიანი 1985** – გ. მაჭავარიანი, ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში, იკე XXIII, თბილისი.

**ონიანი 1989** – ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი.

**ონიანი 1998** – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

**ჩანტლაძე 1998** – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჩიქობავა 1937** – არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, სახელთა ბრ. ისტორიისათვის ქართველურ ენებში, შრომები, II, თბილისი.

**ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, შრომები III, თბილისი.

**ჭკადუა 2005** – რ. ჭკადუა, ა სუფიქსიანი მასდარისა და პირველად სახელთა შეპირისპირებისათვის სვანურში, ქართ. ენათა სტრუქტურის საკითხები IX, თბილისი.

**Климов 1964** – Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков.

**Климов 1962** – Г. Климов, склонение картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М.

**Elisbed Gazdeliani**

## On Some Issues of the Equative Case in Svan

## Summary

The paper deals with the issues related to the Equative Case and it shows the views of different scientists.

In the scientific literature the name of this case was changed quite often depending on the view of an interested scientist. About seventy years ago Arnold Chikobava named it as “the Directive Case” but nowadays it is called the Equative Case.

In all the dialects of the Svan language the nominals with the final vowels or consonants take the case marker **-d** in the Equative Case e.g. **māre-d** „**ḳacad**“; **čqinta-d** „**bičad**“. The nominal in this case shows the situation, the kind, the purpose, the possessiveness etc.

The Equative Case is a Proto Kartvelian phenomenon. In Megrelian, Chan and Svan it is as ancient as it is in the Georgian language.

### გიორგი გოგოლაშვილი

#### -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ტრანსფორმაციისათვის

ძველ ქართულ ენაში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმა რამდენიმე თავისებურებას ავლენს. ყველა სხვა ტიპის ზმნისაგან განსხვავებით უწყვეტლის მწკრივის ფუძე არ ემყარება აწმყოს ფუძეს; ეს არის პარადიგმა, სადაც ირღვევა **თემის პრინციპი**: თემა (ანუ სერიისათვის საერთო ფუძე) მოეპოვება | სერიის სამ მწკრივს (უწყვეტელს, | თურმეობითსა და | კავშირებითს); აწმყოს „თემა“ (საყრდენი ფუძე) სხვაა. | ხოლმეობითისა და | კავშირებითისათვის საყრდენია უწყვეტლის III პირის ფორმა (**ვ-იდ**, **მ-იდ** დაბოლოებით); ასე რომ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა პირველ სერიაში საერთო თემა არა გვაქვს: სამი პრინციპულად განსხვავებული ფუძე მოგვეპოვება: აწმყოში **-ავ** **ამ** ფორმანტიანი, უწყვეტლის | და || პირში **-ევ-დ** **ემ-დ** დაბოლოებიანი და უწყვეტლის III პირში და მომდევნო მწკრივებში **-ვ-იდ** **ემ-იდ** დაბოლოებიანი.

- I. **მალ-ავ** / ა-ბ-ამ (I ვარიანტი)
- II. **მალ-ევ-დ** / ა-ბ-ემ-დ (II ვარიანტი)
- III. **მალ-ვ-იდ** / ა-ბ-მ-იდ (III ვარიანტი)

ეს სამი ვარიანტი გვაქვს | სერიაში მწკრივის საყრდენი ფუძისა. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

აწმყო	<b>ვ-მალ-ავ</b>	<b>ვ-მალ-ავ-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-ამ</b>	<b>ვ-ა-ბ-ამ-თ</b>
	<b>ჰ-მალ-ავ</b>	<b>ჰ-მალ-ავ-თ</b>	<b>ა-ბ-ამ</b>	<b>ა-ბ-ამ-თ</b>
	<b>მალ-ავ-ს</b>	<b>მალ-ვ-ენ</b>	<b>ა-ბ-ამ-ს</b>	<b>ა-ბ-მ-ენ</b>
უწყვე.	<b>ვ-მალ-ევ-დ</b>	<b>ვ-მალ-ევ-დ-ი-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-ემ-დ</b>	<b>ვ-ა-ბ-ემ-დ-ი-თ</b>
	<b>ჰ-მალ-ევ-დ</b>	<b>ჰ-მალ-ევ-დ-ი-თ</b>	<b>ა-ბ-ემ-დ</b>	<b>ა-ბ-ემ-დ-ი-თ</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ა</b>	<b>მალ-ვ-იდ-ეს</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ა</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ეს</b>
ხოლმ.	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ი</b>	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ი-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ი</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ი-თ</b>
	<b>ჰ-მალ-ვ-იდ-ი</b>	<b>ჰ-მალ-ვ-იდ-ი-თ</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ი</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ი-თ</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ი-ს</b>	<b>მალ-ვ-იდ-ი-ან</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ი-ს</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ი-ან</b>
კავშ.	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ე</b>	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ე-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ე</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ე-თ</b>
	<b>ჰ-მალ-ვ-იდ-ე</b>	<b>ჰ-მალ-ვ-იდ-ე-თ</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ე</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ე-თ</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ე-ს</b>	<b>მალ-ვ-იდ-ე-ნ</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ე-ს</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ე-ნ</b>

რა ხდება ახალ ქართულში?

ზემოთ წარმოვადგინეთ სამი ვარიანტი | სერიის ფორმათა საყრდენი ფუძისა: **მალ-ავ / მალ-ევ / მალ-ვ-იდ**. ახალ ქართულში უწყვეტლის პარადიგმის ტრანფორმაცია განხორციელდა სწორედ ამ სამი მიმართულებით. სხვადასხვა დიალექტმა სხვადასხვა გზა აირჩია **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა | სერიის პარადიგმის ასაგებად.

ერთსაც შევნიშნავთ: თავად **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანი დიალექტებში სხვადასხვა ცვლილებას განიცდის: **-ავ→ამ, ამ→ავ, ავამ→ან**. ჩვენ ამჯერად ეს ცვლილებები არ გვანტერესებს; ვსაუბრობთ უწყვეტლის წარმოების პრინციპებზე, ამიტომ ამოსავალ **ავ/ამ** ვარიანტზე ვიმსჯელებთ. ამ შემთხვევაში ყურადღებას არ მივაქცევთ არც პირის ნიშნებს (მაგ. თუშური უწყვეტლის ფორმაა **ღ-მალ-ევ-დ** და ა. შ.). ცხადია, თითოეული დიალექტის აღწერისას, მის პარადიგმებში ეს ყოველივე გათვალისწინებული იქნება.

1. დიალექტთა ერთ ჯგუფში | სერიის პარადიგმა გასწორდა და უწყვეტელსა და მასზე დამყარებულ მწკრივებს საფუძვლად დაედო | ვარიანტი ფუძისა **-ავ/-ამ** თემისნიშნიანი ფუძე. მსჯელობის სიმარტივისათვის მხოლოდ **-ავ** თემისნიშნიან ზმნებს წარმოვადგენთ. როგორც ცნობილია, **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები ძირითადად იმეორებს იმ თავისებურებებს, რაც **-ავ** თემისნიშნიანებს აქვთ. არსებობს მცირე სხვაობა, რასაც თავის ადგილზე მივუთითებთ.

2. დიალექტთა ამ ჯგუფში პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

აწმყო:	ვ- <b>მალ-ავ</b>	ვ- <b>მალ-ავ-თ</b>
	<b>მალ-ავ</b>	<b>მალ-ავ-თ</b>
	<b>მალ-ავ-ს</b>	<b>მალ-ავ-ენ</b>
უწყვ.	ვ- <b>მალ-ავ-დ-ი</b>	ვ- <b>მალ-ავ-დ-ი-თ</b>
	<b>მალ-ავ-დ-ი</b>	<b>მალ-ავ-დ-ი-თ</b>
	<b>მალ-ავ-დ-ა</b>	<b>მალ-ავ-დ-ნენ</b>
კავშ.	ვ- <b>მალ-ავ-დ-ე</b>	ვ- <b>მალ-ავ-დ-ე-თ</b>
	<b>მალ-ავ-დ-ე</b>	<b>მალ-ავ-დ-ე-თ</b>
	<b>მალ-ავ-დ-ე-ს</b>	<b>მალ-ავ-დ-ნენ</b>

თუ არის რომელიმე დიალექტში | ხოლმეობითი, პრინციპულად იგი იმეორებს უწყვეტლისა და | კავშირებითის საყრდენ ფუძეს. რამდენადაც | ხოლმეობითის ორგანული წარმოება მხოლოდ ზოგ დიალექტში დასტურდება და თანაც მწკრივის წარმოება სხვადასხვაობს, პარადიგმას აქ არ წარმოვადგენთ.

დავარქვათ ამ ვარიანტს **ავ/ამ** თემისნიშნიან ზმნათა **უწყვეტლის პარადიგმის განვითარების პირველი გზა**.

ეს ვარიანტი **ავ/ამ** თემისნიშნიან ზმნებში | სერიის მწკრივთა წარმოებისა გვაქვს **ქართლურში, კახურში, მოხეურში, მთიულურ-გუ-დამაყრულში, ქვემოიმერულში**. როგორც ჩანს, აქ შემოვა ლეჩხუმურიც: დღემდე გამოქვეყნებული ტექსტები და სამეცნიერო ლიტერატურა ამას უჭერს მხარს. თუმცა ქ. ძოწენიძე შენიშნავდა, რომ მკვლევარ მ. ალავიძის ცნობით, ლეჩხუმურისათვის დამახასიათებელია **მალ-ვ-იდ-ა** ტიპის წარმოებაო (ძოწენიძე, 1971). ჩვენ ეს ვერ დავადასტურეთ.

ასევე უნდა ითქვას ინგილოურზეც. გ. იმნაიშვილი იმოწმებს ფორმას **დაინახიდნენ** (გ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 116). ამ მაგალითს იმოწმებს ვ. აბაშვილიც (ვ. აბაშვილი). თუმცა ამ ტიპის ფორმები, ფაქტობრივ დღეს არ დასტურდება (მ. ბარიხაშვილის ცნობით).

უწყვეტლის წარმოების ამ ვარიანტს ეფუძნება ახალი ქართული სალიტერატურო ენა. როგორც ვთქვით, ამ ვარიანტით მოხდა პარადიგმის გასწორება: **ავ/ამ** თემისნიშნიანი ზმნები | სერიის ფორმებს სხვა თემისნიშნიან ზმნათა მსგავსად იწარმოებენ.

2. დიალექტთა მეორე ჯგუფში საყრდენად გამოიყენება ფუძის მეორე — ე ხმოვნიაანი — ვარიანტი: **მალ-ევ-დ**. აწმყო ჩვეულებრივ **ავ** თემისნიშნიანია. უწყვეტლის პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

ვ- <b>მალ-ევ-დ</b> -ი	ვ- <b>მალ-ევ-დ</b> -ი-თ
<b>მალ-ევ-დ</b> -ი	<b>მალ-ევ-დ</b> -ი-თ
<b>მალ-ევ-დ</b> -ა	<b>მალ-ევ-დ</b> -ენ (ზოგ დიალექტში

დაბოლოება **-ეს** გვაქვს; თუმცა, როგორც შევნიშნეთ, განსახილველი საკითხისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს).

ეს ფუძე არის საყრდენი | კავშირებითისა და | ხოლმეობითისათვისაც (სადაც ეს მწკრივი გვაქვს).

ამ ვარიანტში არქაული არის ის, რომ **ევ-დ** დაბოლოება არის გამოყენებული. ინოვაცია არის ის, რომ ეს დაბოლოება გვაქვს სამივე პირში (ძველში მხოლოდ I-II პირში იყო) და უწყვეტლისაგან წარმოებულ მწკრივებში (ძველად ეს მწკრივები III პირის ფორმას ემყარებოდნენ, **ვ-იდ** დაბოლოებიანს).

მსგავსი პარადიგმა გვაქვს **ხევსურულში, თუშურში, ფერეიდნულში, ზემოიმერულში, რაჭულში, აჭარულში, შავშურსა და კლარჯალში**.

ეს (**ევ-დ** დაბოლოებიანი წარმოება) არის **მეორე გზა უწყვეტლის პარადიგმის ტრანფორმაციისა**.

3. **მესამე გზა უწყვეტლის პარადიგმის ტრანფორმაციისა** არის **ვ-იდ** დაბოლოებიანი წარმოება; ანუ მესამე ვარიანტი ძველი ქართულის | სერიის ფუძისა. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

უწყვეტელი:	ვ- <b>მალ-ვ-იდ</b> -ი	ვ- <b>მალ-ვ-იდ</b> -ი-თ
------------	-----------------------	-------------------------



**მალ-ვ-იდ-ი**

**მალ-ვ-იდ-ი-თ**

**მალ-ვ-იდ-ა**

**მალ-ვ-იდ-ენ (ან -ეს)**

ეს ფუძე (**მალ-ვ-იდ**) არის საყრდენი | სერიის სხვა მწკრივთათვისაც.

ამ ვარიანტში არქაული არის უწყვეტლის მესამე პირისა და სხვა მწკრივთა წარმოების პრინციპი; ინოვაცია არის უწყვეტლის I-II პირთა წარმოება. არქაული ფაქტია ასევე აწმყოსა და უწყვეტლის ფუძეთა სხვაობაც.

ამგვარი წარმოება გვაქვს **ფშაურში, რაჭულში, გურულში, აჭარულსა და შავშურში**. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი წარმოების კვალს პოულობენ ლეჩხუმურსა და ინგილოურშიც, თუმცა ეს უკვე გავლილი ეტაპია...

როგორც ვხედავთ, რაჭულში, შავშურსა და აჭარულში II და III დასტურდება პარადიგმის განვითარების ორი გზა: **ევ-დ** და **ვ-იდ** დაბოლოებიანი. სპეციალურ დიტერატურაში ამ დიალექტებში დადასტურებული ეს ორი ვარიანტი პარალელურ წარმოებად განიხილება. თავისთავად საინტერესო ფაქტია. როგორია ამ დიალექტებში ამ წარმოებათა ურთიერთმიმართება; ერთსა და იმავე კილოკავსა თუ თქმაში, ერთსა და იმავე პირთან დასტურდება ორივე ვარიანტი თუ არის რაიმე განსხვავება მათ გამოყენებაში, როგორია ტენდენციები ამ მოვლენის განვითარებისა — ამ კითხვებზე პასუხი სპეციალურ ლიტერატურაში არ არის. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

\* \* \*


როგორც ვიცით, **ავ/ამ** თემისნიშნისეული ხმოვანი ძველ ქართულში რედუცირდება, როცა მას ხმოვანსუფიქსი დაერთვის. პირიან ფორმებში ეს არის აწმყოს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა (**მალ-ვ-ენ, ა-ბ-მ-ენ...**) და უპირო ზმნებში (**მალ-ვ-ა, დაბ-მ-ა...** **მალ-(ვ)-ულ-ი, დაბ-მულ-ი...**).

ახალ ქართულში ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა. პირიან ფორმაში ხმოვანი შენარჩუნებულია — მალ-ავ-ენ, აბ-ამ-ენ... უპირო ფორმებში რედუცირდება (**მალ-ვ-ა, დაბ-მ-ა...**).

დიალექტებში ამ მხრივ არ არის ერთგვარი ვითარება: სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში თემისნიშნისეული ხმოვანი ზოგან რედუცირებულია (**მალ-ვ-ენ, აბ-მ-ენ...**), ზოგან შენარჩუნებულია (**მალ-ავ-ენ, აბ-ამ-ენ**).

შეინიშნება ერთი კანონზომიერება: **იმ დიალექტებში, რომლებშიც აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში ხმოვანი რედუცირებულია, უწყვეტელში გვაქვს ან მეორე (ევ-დ დაბოლოებიანი), ან მესამე ტიპის (ვ-იდ დაბოლოებიანი) პარადიგ-**

**მა.** დიალექტებში, სადაც ავ/ამ თემისნიშნისეული ხმოვანი რედუქციას არ განიცდის, გვაქვს I ტიპის (ავ-დ დაბოლოებით) პარადიგმა.



ძნელი სათქმელია, რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არის აწმყოში თემისნიშნისეული ხმოვნის რედუქციასა და უწყვეტლის წარმოების ტიპს შორის. თუმცა შესაბამისობა ფაქტია.

**მალ-ვ-ენ** ტიპის ფორმები სადაც ნორმაა, იქ ეს შესაბამისობა მყარია.

სადაც ამ ტიპის ფორმათა გადასვლა ხდება **მალავ** ტიპის წარმოებაზე, იქ ეს შესაბამისობა მოხსნილია.

მაგალითად, მოხეურში პარალელურად იხმარება **მალ-ავ-ენ** და **მალ-ვ-ენ** ტიპის წარმოება. რაც შეეხება **ამ** თემისნიშნიანებს, ისინი ჩვეულებრივ სრულად წარმოგვიდგენენ ხმოვანს: აბ-**ამ**-ენ.

ე. ი. გვაქვს: მალ-ვ-ენ || მალ-ავ-ენ

მაგრამ — აბ-**ამ**-ენ

აშკარაა ტენდენცია უკუმშველობისა. უწყვეტლის I ტიპის პარადიგმაც სწორედ ამის შედეგი ჩანს — შესაბამისია იმ ვითარებისა, რა ტენდენციაც დაისახა დიალექტში.

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მოხეური გვიჩვენებს გარდამავალ ვითარებას არქაულსა და ახალ წარმოებას შორის. ამის დასტურია მოხეურში ხოლმეობითის წარმოება: ერთდროულად დასტურდება რამდენიმე ვარიანტი: აკეთ-ებ-დ-ი-ს || აკეთ-ებ-დ-ის-კე || აკეთ-ებ-და-კე; ორგანული და აღწერითი წარმოება გვაქვს გვერდივრედ. ეს არის ტენდენცია აღწერითი წარმოების გაბატონებისა... თითქმის იგივე ითქმის მთიულურ-გუდმაყოულზეც **ავ/ამ** თემისნიშნათა ხმოვანი არ რედუცირდება ძირითადად, თუმცა სპორადულად შეკუმშული ვარიანტიც შეიძლება შეგვხვდეს. აქაც აშკარაა ტენდენცია უკუმშველობისა. უწყვეტლის წარმოება პირველი ტიპისაა.

**ავ/ამ** თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ტრანსფორმაცია, როგორც ვხედავთ, სამი მიმართულებით განვითარდა. ძველი ქართული პარადიგმა სუბლექტური იყო: I-II პირის ფუძე განსხვავებული იყო III პირის ფუძისაგან.

**ვ-მალ-ევ-დ**

**მალ-ევ-დ**

**მალ-ვ-იდ-ა**

ახალი ქართულის სამივე ვარიანტში უწყვეტლის პარადიგმა გასწორდა:

(1) ვ- <b>მალ-ავ-დ-ი</b> <b>მალ-ავ-დ-ი</b> <b>მალ-ავ-დ-ა</b>	(2) ვ- <b>მალ-ევ-დ-ი</b> <b>მალ-ევ-დ-ი</b> <b>მალ-ევ-დ-ა</b>	(3) ვ- <b>მალ-ვ-იდ-ი</b> <b>მალ-ვ-იდ-ი</b> <b>მალ-ვ-იდ-ა</b>
--	--	--

| ვარიანტის შემთხვევაში თვისობა იცვალა თემის ნიშნებმა: აწ-მყოს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის რიცხვში თემისნიშნისეული ხმოვანი არ რედუცირდება: მალ-ავ-ენ, ა-ბ-ამ-ენ. უწყვეტლის წარმოების პრინციპიდან გამომდინარე გოგოლაშვილი, 2010, გვ. 313), მარცვლოვანი, არარედუცირებადი საყრდენი მორფემის შემთხვევაში უწყვეტელი -დ სუფიქსს დაირთავს. შესაბამისად, ამ ვარიანტში გასწორდა | სერიის პარადიგმა.

აწმყო:	ვ- <b>მალ-ავ</b> <b>მალ-ავ</b> <b>მალ-ავ-ს</b> ვ- <b>მალ-ავ-თ</b> <b>მალ-ავ-თ</b> <b>მალ-ავ-ენ</b>	ვ- <b>ა-ბ-ამ</b> <b>ა-ბ-ამ</b> <b>ა-ბ-ამ-ს</b> ვ- <b>ა-ბ-ამ-თ</b> <b>ა-ბ-ამ-თ</b> <b>ა-ბ-ამ-ენ</b>
უწყვეტელი:	ვ- <b>მალ-ავ-დ-ი</b> <b>მალ-ავ-დ-ი</b> <b>მალ-ავ-დ-ა</b> ვ- <b>მალ-ავ-დ-ი-თ</b> <b>მალ-ავ-დ-ი-თ</b> <b>მალ-ავ-დ-ენ</b>	ვ- <b>ა-ბ-ამ-დ-ი</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ი</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ა</b> ვ- <b>ა-ბ-ამ-დ-ი-თ</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ი-თ</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ენ</b>
კავშირებითი:	ვ- <b>მალ-ავ-დ-ე</b> <b>მალ-ავ-დ-ე</b> <b>მალ-ავ-დ-ე-ს</b> ვ- <b>მალ-ავ-დ-ე-თ</b> <b>მალ-ავ-დ-ე-თ</b> <b>მალ-ავ-დ-ენ</b>	ვ- <b>ა-ბ-ამ-დ-ე</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ე</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ე-ს</b> ვ- <b>ა-ბ-ამ-დ-ე-თ</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ე-თ</b> <b>ა-ბ-ამ-დ-ენ</b>

დიალექტებში, სადაც გვაქვს | ხოლმეობითის მწკრივი, ჩვეულებრივ უწყვეტლის ფუძე მეორდება.

| სერიის პარადიგმა გასწორდა III ვარიანტშიც. **ავამ** თემისნიშნისათა თვისობა უცვლელი დარჩა; აწმყოს სუბიექტურ მესამე პირის მრავლობით რიცხვში თემისნიშნისეული ხმოვანი რედუცირდება: მალ-ვ-ენ, ა-ბ-მ-ენ... უწყვეტლის წარმოების პრინციპიდან გამომდინარე, კუმშვა-დი საყრდენი მორფემის შემთხვევაში უწყვეტელს -იდ სუფიქსი აწარმოებს. შესაბამისად, ამ ვარიანტშიც, როგორც ითქვა, გასწორდა სერიის პარადიგმა:

აწმყო:	<b>ვ-მალ-ავ</b>	<b>ვ-ა-ბ-ამ</b>
	<b>მალ-ავ</b>	<b>ა-ბ-ამ</b>
	<b>მალ-ავ-ს</b>	<b>ა-ბ-ამ-ს</b>
	<b>ვ-მალ-ავ-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-ამ-თ</b>
	<b>მალ-ავ-თ</b>	<b>ა-ბ-ამ-თ</b>
	<b>მალ-ვ-ენ</b>	<b>ა-ბ-მ-ენ</b>
უწყვეტელი:	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ი</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ი</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ი</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ი</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ა</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ა</b>
	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ი-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ი-თ</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ი-თ</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ი-თ</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ნენ</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ნენ</b>
კავშირებითი:	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ე</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ე</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ე</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ე</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ე-ს</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ე-ს</b>
	<b>ვ-მალ-ვ-იდ-ე-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-მ-იდ-ე-თ</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ე-თ</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ე-თ</b>
	<b>მალ-ვ-იდ-ნენ</b>	<b>ა-ბ-მ-იდ-ნენ</b>

უწყვეტლისა და მისგან ნაწარმოებ მწკრივთა პარადიგმა გასწორდა, მაგრამ სხვაობას გვაძლევს აწმყოს პარადიგმასთან მეორე ვარიანტი: უწყვეტელი **ევტმ** სუფიქსიანია, რაც ვარაუდობს **-დ** სუფიქსიან წარმოებას, ხოლო აწმყო **ავტ, ამტ** სუფიქსიანია:

აწმყო:	<b>ვ-მალ-ავ</b>	<b>ვ-ა-ბ-ამ</b>
	<b>მალ-ავ</b>	<b>ა-ბ-ამ</b>
	<b>მალ-ავ-ს</b>	<b>ა-ბ-ამ-ს</b>
	<b>ვ-მალ-ავ-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-ამ-თ</b>
	<b>მალ-ავ-თ</b>	<b>ა-ბ-ამ-თ</b>
	<b>მალ-ვ-ენ</b>	<b>ა-ბ-მ-ენ</b>
უწყვეტელი:	<b>ვ-მალ-ევ-დ-ი</b>	<b>ვ-ა-ბ-ემ-დ-ი</b>
	<b>მალ-ევ-დ-ი</b>	<b>ა-ბ-ემ-დ-ი</b>
	<b>მალ-ევ-დ-ა</b>	<b>ა-ბ-ემ-დ-ა</b>
	<b>ვ-მალ-ევ-დ-ი-თ</b>	<b>ვ-ა-ბ-ემ-დ-ი-თ</b>
	<b>მალ-ევ-დ-ი-თ</b>	<b>ა-ბ-ემ-დ-ი-თ</b>
	<b>მალ-ევ-დ-ნენ</b>	<b>ა-ბ-ემ-დ-ნენ</b>
კავშირებითი:	<b>ვ-მალ-ევ-დ-ე</b>	<b>ვ-ა-ბ-ემ-დ-ე</b>
	<b>მალ-ევ-დ-ე</b>	<b>ა-ბ-ემ-დ-ე</b>

<b>მალ-ევ-დ-ე-ს</b>	<b>ა-ზ-ემ-დ-ე-ს</b>
<b>ვ-მალ-ევ-დ-ე-თ</b>	<b>ვ-ა-ზ-ემ-დ-ე-თ</b>
<b>მალ-ევ-დ-ე-თ</b>	<b>ა-ზ-ემ-დ-ე-თ</b>
<b>მალ-ევ-დ-ენ</b>	<b>ა-ზ-ემ-დ-ენ</b>

ესაა ის ვარიანტი, როცა სერიის პარადიგმა არაა გასწორებული. თუმცა იმერულში ძალიან საინტერესო ტენდენცია იჩენს თავს: აწმყო-ში **ე** ხმოვნის ვარიანტები დასტურდება თემის ნიშნებისა: მალ-ევ-ენ, ბარ-ევ-ენ, თიბ-ევ-ენ, სვ-ევ-ენ... **მალ-ევ, ბარ-ევ, თიბ-ევ** (...) აწმყოს მესამე პირის მრავლობითის ფორმაში გამოვლინდება... მსგავს ფაქტებს ადასტურებენ კლარჯულშიც. ვფიქრობთ, ეს არის მცდელობა I-III ტიპის პარადიგმათა მსგავსად სერიის პარადიგმის გასწორებისა. რით დასრულდება ეს მცდელობა, მნელი სათქმელია.

როგორც ითქვა, მესხურში გვაქვს პროცესი **ავ→ან** (მალ-ან-ს), **ებ→ან** (აკეთ-ან-ს). პარალელურად დასტურდება **ენ** ფორმანტიანი ვარიანტი აწმყოსი — აკეთ-ენ-ს, მალ-ენ-ს.

აქ, მესხურში, პარალელურ პარადიგმებს ადასტურებენ (მ. ბერიძე):

ვ-რგ-ან || ვ-რგ-ენ  
 რგ-ან || რგ-ენ

რგ-ან-ს || რგ-ენ-ს... მესხურში მეორე ტიპის პარადიგმა უწყვეტელში: ვ-რგ-ენ-დ-ი... ეს ფაქტიც პარადიგმის გასწორების მცდელობად გვესახება...

**ავ/ამ** თემისნიშნის ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ტრანსფორმაციის ცხრილი

	აწმყო S <sub>3</sub> მრავლობითი		უწყვეტლის წარმოების ტიპი		
	ვ/მ-ენ	ავ/ამ-ენ	ავ/ამ-დ	ევ/ემ-დ	ვ/მ-იდ
ხევესურული	+			+	
ფშაური	+				+
თუშური	+			+	
მოხეური	ვ-ენ +	ამ-ენ +	+		
მთიულურ- გუდამაყრული		+	+		
ქართლური		+	+		
კახური		+	+		
ინგილოური		+	+		
ფერეიდნული	+			+	

მესხურ-ჯავახური	+			+	
ზემოიმერული	+			+	
ქვემოიმერული		+	+		
ლეჩხუმური		+	+		
რაჭული	+			+	+
გურული	+				+
აჭარული	+			+	+
შავშური	+			+	
კლარჯული	+			+	+

### Giorgi Gogolashvili

## On the Transformation of the Continual Screeve Paradigm of the Verbs with the Stem Markers **-av** and **-am**

### Summary

In Old Georgian the continual screeve paradigm of the verbs with the stem markers **-av** and **-am** reveals quite interesting peculiarities. The verbs take the endings **-ev-d/-em-d** for the first and the second persons in the continual screeve while for the third person they take the endings **id/-m-id** :

**mal-av** / **a-b-am** (variant I)

**mal-ev-d** / **a-b-em-d** (variant II)

**mal-v-id** / **a-b-m-id** (variant III)

In the dialects the paradigm of the verbs with the stem markers **-av** and **-am** underwent three types of transformation:

1. In one group of the daialects the paradigm of Series I got corrected and the continual screeve and the screeves based on it take the first variant of a base :

**v-mal-av-d-i**

**mal-av-d-i**

**mal-av-d-a**

**v-mal-av-d-i-t**

**mal-av-d-i-t**

**mal-av-d-ncn**

2. In the second group of the dialects the second variant with the vowel e is basic – **mal-ev-d**. The present tense takes the stem marker **-av**. The continual paradigm is as follows :

---

v-mal-ev-d-i	v-mal-ev-d-i-t
mal-ev-d-i	mal-ev-d-i-t
mal-ev-d-a	mal-ev-d-en

3. The third type of the transformation of the paradigm is the conjugation with the ending **v-id**. It is the third variant of a base of Series I of Old Georgian:

v-mal-v-id-i	v-mal-v-id-i-t
mal-v-id-i	mal-v-id-i-t
mal-v-id-a	mal-v-id-nen (an <b>-es</b> )

The stem in the following screeves is the same as in the continual screeve. The situation is similar in all the dialects.

### რადოსლავ კანარკოვსკი

#### ქართული „-ცხ-“ ძირის აგებულებისა და წარმომავლობისათვის

ექვვარეშა, რომ სიტყვები: ქართ. „ცეცხლი“, „ცხელი“ და „სიცხე“; მეგრ. **ჩხე** „ცხელი“, **ჩხ-ან-ა** „მზის სინათლე-სითბო“ ერთმანეთს უკავშირდება. მათ აგებულებას ამგვარად ხსნის არნ. ჩიქობავა:

ქართ. **ცე-ცხ-ლ-ი, ცხ-ელ-ი, სი-ცხ-ე;**

მეგრ. **ჩხ-ე, ჩხ-ან-ა.**

ამაზე დაყრდნობით მორფემა **-ცხ-** ითვლება სახელურ ძირად. გასარკვევია, რამდენად არის იგი დაუნაწევრებელი ელემენტი და თუ დასტურდება ქართველური ჯგუფის გარდა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ჩემი აზრით, აქ განხილული ძირი იყოფა: **ცხ < ც-ხ**, რასაც ამტკიცებს, სხვათა შორის, ქართ. **გა-[ხ]-ურ-ებ-ა**. არნ. ჩიქობავას ვარაუდი, რომ ეს ზმნა იწარმოება **-ხურ-** ფუძისაგან, რომელიც თვითონ არის ნასესხობა სომხ. **ჰურ** -ისგან „ცეცხლი“, ფონეტიკური თვალსაზრისით მიუღებელია, რადგან სომხურ სიტყვაში **ჰურ < huyr>** თავკიდური თანხმოვანი არ არის უკანაველარული, არამედ ლარინგალური. როგორც სომხურში, ისე ქართულში ორივე თანხმოვანს მოეპოვება ფონოლოგიური ღირებულება, ამის გამო ჰიპოთეზა – თითქოს ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ბგერით ცვლილებას **ჰ > ხ**, უსაფუძვლო იქნებოდა. ამის ნაცვლად უნდა მივიღოთ, რომ ზმნა **გა-[ხ]-ურ-ება** ეტიმოლოგიურად არის ნასახელარი ზმნა და **-[ხ]-ურ-** ელემენტი წარმოადგენს სახელურ ფუძეს. ჩემი ვარაუდით, ამოსავლად ეს უნდა ყოფილიყო **-ურ-**ით გათავებული მიმღეობა **†ხ-ურ-ი**, რომელიც შემდეგ სახელად გადაიქცა, მსგავსი ტიპისა როგორც მაგ.:

ქართ. **მ-[დგ]-ურ-ი, სა-[დგ]-ურ-ი ← დგ-ომ-ა**

აქაც შდრ. ზმნა: **გა-ნა-დგ-ურ-ებ-ა ← †გა-ნა-დგ-ურ-ი<sup>1</sup>**

ამის სავარაუდო მნიშვნელობა უნდა იყოს აღდგენილი: „რაც აცხელებს“, „რაც ათბობს“ (მაგ. ლუმელში).

თანამედროვე ენაში სახელური ფუძე დაცული არ არის.

ძირი **-ხ-** უნდა მომდინარეობდეს **-ხ<sup>0</sup>-**სგან, რასაც ამტკიცებს მონათესავე ენათა მონაცემები; დეტალებისათვის იხ. ქვემოთ.

ამავე ძირი პოვნიერია ქართ. სიტყვაში **ზა-ფ-[ხ]-ულ-ი**, სადაც წინამავალი **-ფ-** < \***-ბ-** უნდა იყოს მიჩნეული გაქვავებულ კლას-ნიშნად. ასეთი მოსაზრება სავარაუდო ჩანს, ვინაიდან კონსონანტური კომპლექსი **-ფ-ხ-** < \***-ბ-ხ-** დადასტურებულია აგრეთვე ქართველური ჯგუფის გარეთ, მაგ.:

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა 1942: 74.



აფხ. **ა-ფ-ხა** „თბილი“; აფხ. **ა-ფ-ხ-გნ** „ზაფხული“.

აფხაზურში პარალელურ აგებულებას გვიჩვენებს მაგ.: **ა-ფ-სგ** „სულ“, რასაც უპირისპირდება ქართ. **ს-ულ**-ი; აფხ. **ა-ძგ** < **ა-დ-ზგ** < \***ა-დ-სგ**, მდრ.: ჩერქ. **ფ-სგ** < \***ზ-სგ** „წყალი“.

პარალელური სტრუქტურა აქვს მაგ. ქართ. **სი-თ-ხ-ე** -საც, სადაც **სი-...-ე** კონფიქსია, **-ხ-** არის ძირი, წინამავალი **-თ-** გაქვევებული კლას-ნიშანია.

თუ ივარაუდება **ხ<\*ხ°** გარდაქმნა, მაშინ მონათესავე ძირები იძებნება აფხაზურ-ადილურ ჯგუფშიც, მაგ.:

ყაბ. **[ხ°ა]-ხა°**; ად. **[ჭა]-ხა°** < **[ხ°ა]-ხა°** „თბილი“;

ყაბ. **მა-[ხ°ა°]**; ად. **მა-[ჭა°]** „დღე“- ეტიმ. მნიშვნელობა: „თბილი დღე“;

უბიხ. **დ-ა-[ხ°ა]** „ზაფხული“.

აფხაზურსა და აბაზურში ყურადღებას იქცევს ძირეული სპირანტის დელაბიალიზაცია: \***ხ°>ხ**, რომელიც, იქნებ, აიხსნებოდა როგორც ადგილმდებარეობით ბილაბიალური თანხმოვნის შემდეგ გამოწვეული დისიმილაცია: \***ფ-ხ°** > **ფ-ხ**. პარალელური მაგალითი იქნებოდა: აფხ. **ა-მ-ცა** < \***ა-მ-ც°ა** „ცეცხლი“; ლაბიალიზებული თანხმოვანი დაცულია სიტყვაში აფხ. **ა-რ-ა-ც°ა** „ნახშირი“.

აბაზ. **ფ-[ხა]** „თბილი, ცხელი“; აფხ. **ა-ფ-[ხა]**, სადაც **-ხა** < \***ხ°ა** „თბილი“

აფხ. **ა-ფ-[ხ]-გნ**; აბაზ. **ფ-[ხ]-ნგ**, სადაც **-ხ-** < \***ხ°-** < \***ხ°ა-** „ზაფხული“.

გამორიცხული არ არის, რომ ამოსავლად აფხაზურ-ადილურ ფუძეენაში თანაარსებობდა ორი სემანტიკურად ახლომდგომი ძირი, რომელთა ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი იყო ლაბიალიზაცია \***ხ**: \***ხ°**. ეს საკითხი სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

ვფიქრობ, იგივე ძირი დასტურდება ქართ. **დ-[ლ]-ე** -ში, სადაც თავკიდური **დ-** წარმოადგენს ამოსავალ კლას-ნიშანს, რომლის ზეგავლენითაც ძირეული თანხმოვანი გამჟღერდა: \***დ-[ხ°]** > \***დ-[ხ]** > **დ-[ლ]**. ეს ძირი ვლინდება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, მაგ.: ად. **რ-ა-[ლ]** < \***რ-ა-ლა** < \***რ-ა-ხა** < \***რ-ა-ხ°ა** „მზე“, სადაც ძირეულმა თანხმოვანმა ჯერ განიცადა დელაბიალიზაცია და სონორიზაცია ინტერვოკალურ პოზიციაში, შემდეგ კი ბოლოკიდურ მარცვალში განხორციელდა აპოკოპე.

უბიხ. **ნ-დ-[ლა]** < \***დ-ლა** < \***დ-ხა** < \***დ-ხ°ა** „მზე“

ამ შემთხვევაში ძირეული თანხმოვნის გამჟღერება იხსნება კონტაქტური პროგრესული ასიმილაციით წინამავალი მჟღერი ენაკბილისმიერი თანხმოვნის მიმართ: \***დხ-** > \***დღ-**.

მეორე მხრივ, უბიხურში პოვნირია არსებითი სახელი: **დ-ა-ხ°ა** „ზაფხული“. გამორიცხული არ არის, რომ ორივე სიტყვა მომდინარეობდეს ერთი საზიარო ძირისაგან: \***დ-ხ°ა**, მაგრამ მათი ფონეტიკური განვითარება იყო განსხვავებული, რაც გამოწვეულია ზოგადი ენობრივი ტენდენციით ჰომოფონურ წყვილთა თავიდან ასაცილებლად. სემანტიკური კავშირი ზემოთ განხილულ სიტყვათა შორის ეჭვს არ ბადებს.

რაც შეეხება თავკიდურ **ც-** ელემენტს, ის არნ. ჩიქობავას მიაჩნდა განვითარებულად, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ უკავშირდება აფხ.

**ა-მ-[ცა]** < \***ა-მ-[ც°ა]** -ს „ცეცხლი“ ანუ **ა-რ-ა-[ც°ა]** „ნახშირი“, სადაც შემონახულია ამოსავალი ლაბიალიზაცია. დელაბიალიზებული კორელატი პოვნირია ქართ. **ნა-[ც]-არ** ფუძეშიც, სადაც ძირეული **-ც** < \***-ც°**-. უბიხ. **ცა-ნგ** აგრეთვე ადასტურებს დელაბიალიზებულ თანხმოვანს.

ზემოთქმულის შუქზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ შესწავლილი მორფემა **-ცხ**- სინამდვილეში შედგება ორი ამოსავალი ძირისაგან: **-ც** < \***-ც°**- და **-ხ** < \***-ხ°**-, რომლებიც წინარე ქართველურში შერწყმულ იქნა და მერე ამოსავალი კომპოზიტი დაექვემდებარა ლექსიკალიზაციას. ამის შედეგად წარმოიქმნა ახალი ძირი **-ცხ**-.

პარალელურ აგებულებას მოწმობს ქართ. **წყალი**, რომელიც ასე დაიყოფა: **[წყ]-ალი** < \***[ც-ყ]-ალი** < \***[ცი-ყ]-ალი**, სადაც პირველი ორი მორფემა წარმოადგენს სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს. ამაზე მიუთითებს მონათესავე ენათა შედარებითი მასალა.

პირველი მორფემა: **წ**- < \***ც**- < \***ცი**- < \***ცი°**- დადასტურებულია „წყაროს“ აღმნიშვნელ სიტყვებში ბევრ დალესტნურ ენაში, მაგ.:

ხუნდ. **იც**: < \***იც°**; ანდ. **ინც**: **ი**;

ჭამ. **ი°ც°** < \***ი-ნ-ც°** < \***იც°**;

ბეჟ. **იც** < \***იც°**;

აგრეთვე სვან. **ლიც/ნიც**.

მეორე ელემენტი: **-ყ** < \***-ყ°** დასტურდება მრავალ ნახურ და დალესტნურ ენაში, მაგ.:

ჩეჩნ. **ყუ-ლლა**; ტინდ. **ყუ-ლლა**; ჭამ. **ყუ-ლა**, სადაც **ყუ**- < \***ყუ**- < \***ყა**-; ხინ. **გნ-ყ** „წყარო“.

ასეთივე აგებულება დასტურდება ქართ. სიტყვაში **წყვილი**, რომელიც დაიშლება:

**[წყვ]-ილი** < \***[წყ°]-ილი** < \***[წი-ყ°]-ილი**,

სადაც პირველი მორფემა უკავშირდება დალესტნურ ენათა რიცხვით სახელ „ორს“, მაგ.:

ანდ. **ჰე-გუ** < \***წე-გუ** < \***კე-გუ**;

ბაგვ. **ჰე-და** < \***წე-და** < \***კე-და**;

ჭამ. **ე-ჰი-და** < \***ჰე-ჰი-და** < \***წე-წი-და** < \***კე-კი-და**<sup>1</sup>

რაც შეეხება ზემოთ პოსტულირებულ პალატალიზაციას, შდრ.:

ხუნდ. **კი-გო**;

ახვ. **კი-და/კე-და**;

ტინდ. **კე-მა**

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულში განხორციელდა პალატალიზაცია და ასიმილაცია:

\***კი**- > \***წი**-, მერე თავკიდურ მარცვალში მოხდა ხმოვნის სინკოპე: \***წი**- > **წ**-.

მეორე წვერი დაცულია დალესტნურ ენათა „ორისა“ და „ოცის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებში, მაგ.:

არჩ. **ყ°ე** < \***ყ°ე** < \***ყ°ე-დ** < \***ყ°ა-დ**;

<sup>1</sup> იხ. ტ. გუდავა 1980: 204.

კრიწ. ყ<sup>ა</sup>-დ;

თაბ. ყუ-ბ < \*ყუ-ბ < \*ყ<sup>ა</sup>-ბ < \*ყ<sup>ა</sup>-ბ „ორი“

ხინ. ყან < \*ყ<sup>ან</sup>/ყა~ < \*ყან < \*ყ<sup>ან</sup>;

ხუნძ. ყო-გო, სადაც ყო- < \*ყ<sup>ო</sup>- < \*ყ<sup>ა</sup> „ოცი“<sup>1</sup>

რეგულარული ბგერითი შესატყვისობა -ცხ-:-ჩხ- ქართულსა და კოლხურს შორის უდავოა. ამის შესაბამისად ქართ. ცხ-ელ- -ს ეფარდება მეგრ. ჩხ-ე „ცხელი“.

ანალოგიური ვითარება გვხვდება მაგალითში:

ქართ. ძვ-ელ-ი < ძუ<sup>ა</sup>-ელ-ი : ჭან. მ-ჯვ-ე „ძველი“<sup>2</sup>.

განყენებული არსებითი სახელი სი-ცხ-ე ← ცხ-ელ-ი -ელ- სუფიქსი-ანი ზედსართავისაგან იწარმოება უსუფიქსოდ, ანალოგიურად როგორც მაგ.: სი-გრძ-ე ← გრძ-ელ-ი; ძვ. ქართ. სი-ტყბ-ო-მ < \*სი-ტყბ-ე-მ ← ტყრპ-ელ-ი<sup>3</sup>].

ზემოთ მოყვანილ შედარებით მონაცემთა შუქზე წინამდებარე ნა-შრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა „-ცხ-“ ძირის აგებულებისა და წარმომავლობისათვის ჩანს საკმაოდ დამაჯერებელი.

## ლიტერატურა

**გუდავა 1980** – Т. Е. Гудава, Количественные числительные в аварско-андийско-дидойских языках (историко-сравнительный анализ), ЕИКЯ, VII, Тбилиси

**კლიმოვი, ხალილოვი 2003** – Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва

**ქურდიანი 2007** – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი

**ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი

<sup>1</sup> შდრ. აგრეთვე ქართ. ტყუბი = ტ-ყუ-ბ-ი < \*თ-ყუ-ბ-ი, სადაც ძირი: -ყუ- < \*ყ<sup>ა</sup>- < \*ყ<sup>ა</sup>-, რაც ადასტურებს სვან. ტ-ყუ<sup>ა</sup>-ბ „ტყუპი“.

<sup>2</sup> იხ. ჩიქობავა 1942: 37.

<sup>3</sup> ჩიქობავა 1942: 237.

**Radosław Kanarowski**

On the structure and origin of the Georgian root **-cx-**.

Summary

The paper deals with the structure and the etymology of the root **-cx-** which can be found in such words as: Geo. **cx-el-i** “hot”; **ce-cx-l-i** “fire”; Megr. **čx-e** “hot”.

The root which has been considered as indivisible up to now can be divided into two morphemes **c-x** according to the comparative data and each of them belongs to the other root.

The morpheme **c-** < \***c<sup>w</sup>**- is attested in Abkh. **a-m-ca** “fire”; Geo. **na-c-ar-i** “ash”.

The morpheme **-x-** < \***-x<sup>w</sup>**- is preserved in Geo. **ga-x-ur-eb-a** “kindle”; **za-p-x-ul-i** “summer”; Ub. **d-a-x<sup>w</sup>a** “summer”.

The stem **-cx-** came into existence as a result of the fusion of these two morphemes. Such Georgian nouns as **č-q-al-i** “water” or **č-qv-il-i** “pair” have the similar structure.

## ლომთაძე თამარი

### ბასკურის სოციოლინგვისტური ფუნქციები

ბასკეთი, როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ ეუსკალა ჰერია (ქვეყანა, სადაც ბასკურად ლაპარაკობენ), მდებარეობს ატლანტის რკალთან, პირენეის მთის ორივე მხარეს და გაყოფილია ესპანეთსა და საფრანგეთს შორის. ბასკურად მოლაპარაკე თემი საკმაოდ პატარაა რიცხობრივად და ტერიტორიულად, თუმცა როგორც მკვლევარები მიიჩნევენ, იგი უაღრესად რთული და კომპლექსური ნაციაა. შვიდი ისტორიული პროვინცია, რომელიც ქმნის ეუსკალ ჰერიას, ამჟამად დაყოფილია შემდეგნაირად: 1. ჰეგოალდი, ანუ სამხრეთ ბასკეთი – მდებარეობს ესპანეთის სახელმწიფოში, სადაც ბასკები, ძირითადად, ორ ავტონომიურ თემში მოსახლეობენ, რომლებშიც 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით კასტილიურთან ერთად ოფიციალური ენის სტატუსი აქვს ბასკურსაც. ესინია: არაბა, ბისკაი და გიპუზკოა ( ბასკეთის ავტონომიური თემი) და ნავარას თემი. 2. იპარალდი, ანუ ჩრდილოეთ ბასკეთი, – მდებარეობს საფრანგეთში: ლაპურდი, ბეჰეროა ნაფაროა და ზუბეროა, რომლებიც არის პირენეის ატლანტიკური პრეფექტურის ნაწილი. ისინი არ ქმნიან ცალკე, დამოუკიდებელ ადმინისტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ბასკურს ოფიციალური სტატუსი არა აქვს საფრანგეთში, თანამედროვე პერიოდის განმავლობაში ბასკურად მოლაპარაკე ზონა თავისსავე საზღვრებში შენარჩუნდა.

ბასკეთის ტერიტორია მთლიანობაში 20, 664 კვადრატული კილომეტრია. აქედან, ე. წ. ბასკეთის ქვეყანა 7, 234 კვადრატული კილომეტრი, ნავარი 10, 392 კვადრატული კილომეტრი და იპარალდი (ბეჰეროა ნაფაროა 1, 284 კვადრატული კილომეტრი, ლაპურდი 800 კვადრატული კილომეტრი და სოული – ბასკურად ზუბეროა – 785კმ2) 3, 039 კვადრატული კილომეტრი.

ბასკი მოსახლეობა 3 მილიონამდეა. 2001 წლის მონაცემების მიხედვით ესპანეთის ე. წ. ბასკეთის ქვეყნის მოსახლეობა 2,082, 587, ნავარში 556,263, ხოლო 1991 მონაცემების მიხედვით, საფრანგეთში, კერძოდ, იპარალდიში 262,440 ( ნინო-მურსია, როთმანი 2008, 36).

### ბასკური ენის ისტორიიდან

ენა, რომლითაც ბასკი ხალხი ლაპარაკობს, ზოგადად ცნობილია როგორც ბასკური (ქართულად, ინგლისურად, ფრანგულად და ა. შ.), ესპანეთში მას უწოდებენ ბასკონგადოს ან ბასკონგადას ენას. ეს სახელი დადასტურებული იყო 1936 წლის ავტონომიის სტატუსით და ნავარში დღესაც ასე ეძახიან მას. ბასკური ეროვნული მოძრაობის დროს გააქტიურდა

ტერმინი ეუსკადი და ეს სახელი გამოჩნდა ბასკეთის ქვეყნის ავტონომიის სტატუსშიც. მას იყენებს სისტემატურად ბასკეთის ქვეყნის მთავრობა.

სხვა ენებისაგან განსხვავებით, რომლებიც გავრცელებული იყო და არის იბერიის ნახევარკუნძულზე, ბასკური არ არის რომანული ენა, არ მიეკუთვნება ინდოევროპულ ენებს. ამიტომაც ის განსხვავებულია ეროვნულად გავრცელებული ენებისაგან და როგორც მიუთითებს კ. მიჩელენა, ბასკურის მთავარი თავისებურება არის სუფიქსთა დომინანტობა და ამიტომ მას შეიძლება ვუწოდოთ სუფიქსური ენა. მართლაც სიტყვის ბოლოს აქ რამდენიმე ბოლოსართია თავმოყრილი, ბასკურს მოეპოვება ერგატიული კონსტრუქცია და გარდამავალი ზმნები (მიჩელენა, 1982)

ბასკურის წარმომავლობის საკითხი დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა. დღეისათვის მსგავსების საფუძველზე არსებობს მისი კავკასიურთან (კერძოდ, ქართველურ ენებთან) ახლოობის ჰიპოთეზა, თუმცა მსგავსება არ არის საკმარისი მტკიცებულება საერთო წარმომავლობისთვის. არსებობს მოსაზრება, რომელიც მას აფრიკული წარმოშობისად მიიჩნევს. მიუხედავად ამ სხვაობებისა, ფაქტია, რომ ბასკური არის ევროპაში გავრცელებული ერთ-ერთი უძველესი ენა. ბასკურის უძველესობას ადასტურებს ადგილის სახელწოდებები, რომელთა შესწავლის შედეგად მეცნიერები ასკვნიათ, რომ ბასკური ბევრად უფრო ადრე იყო გავრცელებული, ვიდრე აქ რომანელები გამოჩნდებოდნენ. ბასკურად საუბრობდნენ პირენეის ორივე მხარეს - სამხრეთით ებრომდე და აღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, უძველეს დროში, როცა ბასკეთის საზღვრები გაცილებით დიდი იყო, ვიდრე დღესაა, მხოლოდ ერთი საერთო ენა იყო გავრცელებული თუ ენათა ჯგუფი, მაგრამ დღევანდელი ფორმები აშკარად პროტო-ბასკურიდან მომდინარეა (სიგუანი 1992, 133). რადგან რომანელები მთაში ნაკლებად მიიწევდნენ, ხოლო ბასკების საცხოვრისი დაბლობთან ერთად მთაც იყო, სავარაუდოა, რომ მაღალმთიან ზონაში ბასკური თანაცხოვრობდა ლათინურთან რომანული პერიოდის ბოლომდე. იგი ამ პერიოდში მხოლოდ ზეპირ პრაქტიკაში გამოიყენებოდა. ამ დროს არსებობდნენ ლირიკოსები, რომელთა ნაწარმოებებმა მოაღწია ფრაგმენტულად.

პირველი ნაბეჭდი წიგნი ბასკურად გამოჩნდა მხოლოდ თანამედროვე ეპოქის დასაწყისში. ეს გახლავთ პოეტ ბერნარდ დეჩეპარის ლექსების კრებული. ამავე პერიოდისაა (მე-17 საუკუნე) რეფორმისტი მღვდელი ლეიზარაგა, რომელმაც თარგმნა ახალი აღთქმა ბასკურად, დაწერა კათეხიზმო და პროტესტანტული დოქტრინა გაავრცელა ბასკებს შორის. მე-17 საუკუნეში ბასკეთში იყო ბევრი რელიგიური, დიდაქტიკური და ესთეტიკური ხასიათის ტექსტი. რადგან არ არსებობდა ერთიანი ბასკური ამ პერიოდისათვის, ბევრი მათგანი დაწერილია ლაპურდი დიალექტზე (საფრანგეთის ბასკეთი). შემდგომ ეს სტილი გამოიყენეს ესპანეთის ბასკეთშიც. მე-18 საუკუნეში გამოჩნდა გიპოზუკოა დიალექტზე დაწერილი შრომებიც. სწორედ ამ პერიოდში მღვდელი ლარამენდი წერს ესპანურად ბასკურის დაცვაზე, რომელსაც მიიჩნევს ყველაზე რაციონალურ და უძველეს ენად. ეტჩებერი ურჩევდა საზოგადოებას, ბასკური გამოიყენებინათ განათლების ენადაც. მე-18 საუკუნეში ჩნდება ბასკური სახალხო თეატრები. მე-19 საუ-

კუნის დასაწყისში მღვდელი ხუან ანტონიო მოგუელი ბასკურად წერს „დოქტორ პერუ აბარკას“. ეს იყო ბასკეთში გავრცელებული გლეხების სიმღერა. ამ პერიოდისათვის ბასკური ძირითადად რელიგიისა და სასულიერო პირების მეშვეობით ხდება ბასკი ხალხისა და რწმენის იდენტიფიკაციის სიმბოლო (სარასოლა, 1976).

მე-19 საუკუნეში პრინცმა ლუის ბონაპარტმა, ნაპოლეონის ძმის-შვილმა, წამოიწყო ბასკურის მეცნიერული შესწავლა, აღწერა და დაახასიათა თითოეული დიალექტი. პრინცი ვარაუდობდა, რომ ნახევარ საუკუნეში ენა გაუჩინარდებოდა. მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ბასკებმა მიატოვეს საკუთარი ენა ფრანგულის სასარგებლოდ და იგი დადგა გადაშენების საფრთხის წინაშე. ამ პერიოდისთვის საფრანგეთის ბასკეთის მოსახლეობის ერთ მესამედს ესმოდა ბასკური და 14 პროცენტი იყენებდა მას ყოველდღიურად. 1960-იანი წლებიდან გასამხედროებული ნაციონალისტები, რომლებიც პოლიტიკურად გაერთიანებული იყვნენ ბასკეთის ინსტიტუციონალური აღიარების იდეის ირგვლივ, იწყებენ ქმედებებს ბასკურის ასაღორძინებლად. მოძრაობაში აქტიურად ჩაერთვნენ ბასკი სტუდენტების პირველი თაობა, რომლებიც ქვეყანაში დაბრუნდნენ განათლების მიღების შემდეგ. მათზე გავლენას ახდენდა საფრანგეთის კოლონიების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები და ის ბასკი ლტოლვილები, რომლებიც ფრანკოს რეპრესიებს გაურბოდნენ (ლორეგუბერი, [http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque\\_language\\_pdf.pdf](http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque_language_pdf.pdf)).

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ესპანეთშიც. სამოქალაქო ომის შემდეგ, როცა ბასკების წინააღმდეგობამ ფრანკოს მიმართ ნაციონალიზმის აღორძინება გამოიწვია, წამოიჭრა საერთო ენის საკითხი, რომელიც სასწრაფოდ იყო გადასაჭრელი. 1964 წელს ბაიონაში ჩატარდა ბასკი მწერლების შეხვედრა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რამდენიმე წლის შემდეგ ბასკური ენის აკადემიამ შეკრიბა წინადადებები, შემოთავაზებები და მიიღო რამდენიმე ზოგადი პრინციპი და შექმნა კომისიები, რომლებსაც დაეკისრათ პასუხისმგებლობა, შეემუშავებინათ პასუხები სხვადასხვა სფეროში. მოსაწესრიგებელი იყო ორთოგრაფია, გრამატიკა, ლექსიკონები. გადაწყვეტილებები ძირითადად დაეფუძნა ლინგვისტ კოლდო მიჩელენას შეხედულებებს. საერთო ენად აქციეს ეუსკერა ბატუა, რომელსაც საფუძვლად გიპოზუკოა და ლაპურდი დიალექტების წერილობითი ტრადიციები დაედო, თუმცა პერიფერიული დიალექტებიდანაც მოხდა ზოგი ფორმის არჩევა. საბოლოო გადაწყვეტილებამ გამოიწვია პროტესტები, განსაკუთრებით ნაციონალიზმის უფრო ტრადიციონალისტური რიგებიდან, რომლებიც ბრალს სდებდნენ ეუსკარა ბატუს, რომ ეს იყო ხელოვნური ენა გლეხების ზეპირმეტყველებასთან შედარებით. წინააღმდეგები იყვნენ ბისკაი დიალექტის წარმომადგენელი ლინგვისტებიც. მიუხედავად იმისა, რომ დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით დღესაც არ წყდება, საზოგადოდ უნიფიცირებული (საერთო ბასკური) ფართოდ მიღებულია (სიგუანი 1992, 134). შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტიზაციის საკითხი წარმატებით დაგვირგვინდა ბასკური ენის აკადემიის ძალისხმევის შედეგად.

60-70-იან წლებში ბასკურმა განიცადა გარკვეული აღმავლობა, განვითარება და ხელშეწყობა. იგი გახლდათ ეტას სიმბოლო. ბასკების მხრიდან ამ პერიოდში გატარებული ყველა ღონისძიება იყო მიმართული ბასკების იდენტობის გამყარებისათვის (მოლინერო 1997, 135). სწორედ ამ პერიოდში იწყებს პედრო ირიზარი აღწერას მთელ ბასკეთში (როგორც ესპანეთში, ასევე საფრანგეთში), რათა მოეცა ბასკურენოვანი მოსახლეობის დაახლოებითი რიცხვი; შედეგები ასე გამოიყურება: ბისკაი 140,229, გიპუზკოა 276,843, ალაბა 1,863, ნავარი 35,228, იპარალდი 79 000. ირიზარი გვაძლევს ბასკურის გავრცელების რაოდენობრივ მაჩვენებელს ბასკურენოვანი ტერიტორიის გარეთ 80 000.

აღსანიშნავია, რომ ირიზარს არ მოუხდენია დაყოფა, თუ ვისთვისაა ბასკური დედაენა და ვისთვის – მეორე ენა. ასევე ის არ ასხვავებს ცოდნის დონეებს, თუმცა ამის მიუხედავად მის მონაცემებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს (ირიზარი, 1973, 1981).

ფრანკოს რეჟიმის შემდეგ, როცა დაიწყო პოლიტიკური ცვლილებები, ყველა დემოკრატიული ძალა შეთანხმდა, რომ ისტორიული ერების მოთხოვნებს დააკმაყოფილებდნენ და მისცემდნენ ავტონომიებს. ამისათვის საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის მიღება. სიგუანი აღნიშნავს, ძნელია თქვა, რომ კონსტიტუციამ დანერგა ფორმულა ისტორიულ ერების თემების სტატუსის ასამოქმედებლად, რადგან რთულია გამოიცნო, რატომ მიიღო ზოგმა ავტონომია და ზოგმა – არა. კონსტიტუცია ნერგავს მხოლოდ მექანიზმს ავტონომიურობის მისაღებად (სიგუანი 1992, 71).

მიუხედავად იმისა, რომ ბასკეთში ნაციონალიზმი ძალიან ძლიერია, ენის ცოდნა იქ პროპორციულად ყველაზე დაბალია. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ისტორიის მანძილზე ბასკეთის გეოგრაფიული არეალი თანდათანობით მცირდებოდა და თავად ბასკეთშიც არის რეგიონები, სადაც ბასკურად საუკუნეებია აღარ ლაპარაკობენ. მე-20 საუკუნის ბოლომდე არ არსებობდა საყოველთაოდ მიღებული სტანდარტი როგორც წერილობითი მოდელი ლიტერატურისა და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ის წარმოადგენდა უმცირესობის ენას მნიშვნელოვანი დიალექტური ფრაგმენტაციით იზოლირებულ სოფლებში. აკლდა პოზიტიური ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმარების მცდელობა. ამას უნდა დავამატოთ ისიც, რომ ლინგვისტურად კასტილიური და ბასკური ძალიან განსხვავებული ენებია და ამიტომაც მისი ათვისება იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ამ ენაზე არ აღზრდილან, მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

1979 წლის დეკემბერში ბასკეთის ავტონომიური სტატუსი ამოქმედდა.

ბასკეთის ავტონომიის კანონმდებლობის მე-6 მუხლი გვაუწყებს:

1. ეუსკარას ( ბასკური) ბასკეთის საკუთარ ენას, კასტილიურთან ერთად მიენიჭოს ეუსკადის ოფიციალური ენის სტატუსი, ხოლო ქვეყნის ყველა მოსახლეს ორივე ენის ცოდნისა და გამოყენების უფლება.

2. ავტონომიური თემის საჯარო ინსტიტუტებმა, ბასკეთის სოციო-ლინგვისტური მრავალფეროვნების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყონ ორივე ენის გამოყენება, დაარეგულირონ მათი ოფიციალური ხასიათი და მიიღონ სათანადო ზომები მათ შესასწავლად.



3. ენის გამო ვინმეს დისკრიმინაცია დაუშვებელია

4. ბასკეთის ენათა სამეფო აკადემია (Euskaltzaindia) წარმოადგენს ოფიციალურ საკონსულტაციო დაწესებულებას ყველა საკითხში, რომელიც ბასკურ ენას შეეხება.

ნავარის ავტონომიის კანონმდებლობა ძალაში შევიდა 1982 წელს. მას ჰქვია „ნავარის პრივილეგიების რეჟიმის რეინტეგრაციისა და გაუმჯობესების კონსტიტუციური კანონი“. ეს სახელი მიიღეს იმ ფაქტის ხაზგასასმელად, რომ ამ განსაკუთრებულ რეჟიმს ნავარი ინარჩუნებდა შუასაუკუნეებიდან. ნავარის კანონმდებლობა, ისევე როგორც ბასკეთის, გაცილებით მეტ ფინანსურ ავტონომიას უზრუნველყოფს, ვიდრე სხვა ავტონომიური თემები. დანარჩენ უფლება-მოვალეობებში არც ისე დიდია განსხვავება (ტორნოსი, 1986). განახლებული „ნავარის პრივილეგიების რეჟიმის“ კანონის მე-9 მუხლი გვაუწყებს:

1. ნავარის ოფიციალური ენა არის კასტილიური

2. ბასკურსაც მიენიჭოს ოფიციალური ენის სტატუსი ნავარის ბასკურენოვან მხარეებში. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელია ეს მხარეები/ოლქები, დაარეგულირებს ბასკურის ოფიციალურ გამოყენებას და ზოგადსახელმწიფო კანონმდებლობის კონტექსტში დაარეგულირებს ამ ენის გავრცელებას.

1982 წლიდან ბასკეთში ამოქმედდა „ბასკური ენის გამოყენების ნორმალიზაციის კანონი“ („Basque language use Normalization Law“). გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოლო რამდენიმე წელიწადში უდავოდ შეიმჩნევა პროგრესი.

ამ კანონის მიხედვით, „რადგანაც ჩვენ მივიღეთ ენა როგორც ყველა მოქალაქის ინტეგრაციის ელემენტი ბასკეთში, ბასკეთის მოქალაქის უფლებები ენის საქმესთან მიმართებით უნდა იყოს ჩვენს იურისპუდენციაში შეტანილი, განსაკუთრებით ორი ოფიციალური ენიდან თავისუფალი არჩევის უფლებაში და გარანტია ენის დაცვისა, როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი ბასკეთის კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემისა, რომელზეც პასუხისმგებელია ბასკეთი“.

მოგვიანებით, 1986 წელს ნავარშიც ამოქმედდა მსგავსი კანონი, სახელწოდებით „ბასკური ენის კანონი რეგიონალურ კანონმდებლობასთან მიმართებაში“ („Basque Language Law drawn up in relation to the Regional Law“), რამაც კიდევ უფრო წაახალისა ბასკურის განვითარება ამ მხარეში. მისი შესწავლისა და გამოყენების განახლების მცდელობებმა გარკვეული შედეგი გამოიღო და ამჟამად მთელ ნავარში შეიძლება ნახოთ ბასკურ ენაზე მოსაუბრე ადამიანები, თუმცა, მცირე რაოდენობით.

ბასკურს ოფიციალური სტატუსი დღემდე არა აქვს საფრანგეთში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ენის განვითარებას აქ ხელს არ უწყობენ. 1980 წელს იპარალდიში შეიქმნა ბასკური ენის აღორძინების საკოორდინაციო ორგანო. ის ზრდასრულებს სთავაზობს საღამოს ინტენსიურ კურსებს დღეში ექვსსაათიანი სწავლებით. ხანგრძლივობა ერთი ან ორი თვე და რამდენიმე კვირიან კურსებს ზამთრისა და ზაფხულის არდადეგებზე. სტუდენტთა რაოდენობა 1980 წელს იყო 540, ხოლო 2008 წელს 926. საფრანგეთის ბასკურენოვან რეგიონში ასეთი 14 სასწავლო ცენტრია გახსნი-

ლი. 2007-2008 წლის მონაცემებით, აქ ბასკურის შესასწავლად მერიებისა და ადმინისტრაციული სამსახურებიდან 19 სპეციფიკურ ჯგუფში 210 ადამიანი გადიოდა ინტენსიურ კურსებს. 2004 წელს იპარალდიში შეიქმნა ბასკურის ენის საჯარო ოფისი. ამ ოფისს 30 პროცენტით აფინანსებს ცენტრალური სახელმწიფო, 30პროცენტით რეგიონი, 30 პროცენტით პირენეულ-ატლანტიკური დეპარტამენტი და 10 პროცენტით ბასკური კომუნა. ამ სტრუქტურის მიზანი იყო შეემუშავებინა და დაენერგა ლინგვისტური პოლიტიკა ბასკური ენის მხარდასაჭერად და ასევე მოეხდინა საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზაცია. მისი ბიუჯეტი ამჟამად არის ორი მილიონი ევრო წელიწადში. 2006 წელს ბასკური ენის საჯარო ოფისმა მიიღო ლინგვისტური პოლიტიკის პროექტი და სასწავლო დაწესებულებებთან პარტნიორობით მოახდინა ბასკური ენის სწავლების მრავალწლიანი დაგეგმარება. ასევე 2007 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ამ ოფისსა და ბასკეთის ავტონომიური თემის მთავრობის კულტურულ საბჭოს შორის (<http://www.uoc.edu/euromosaic/web/document/basc/an/i3/i3.html#4>).

### სტატისტიკური მონაცემები

ბასკეთისა და ნავარის ავტონომიების დაარსების შემდეგ, ესპანეთისა და საფრანგეთის ბასკურენოვან რეგიონებში, მოკლე ვადაში რამდენჯერმე ჩატარდა ლინგვისტური აღწერა (1981, 1986, 1996, 2006, 2011). აღწერისას მოქალაქეებს უნდა მოეხდინათ კლასიფიკაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

1. ბასკურად მოლაპარაკე: რომლებსაც შეუძლიათ ბასკურად გაგება და ლაპარაკი, რომლებიც დონეების მიხედვით დაიყო სამ სუბკატეგორიად.

2. შეზღუდული ცოდნა ბასკურისა: ენის პასიური მატარებლები, ასევე დაიყო სამ კატეგორიად.

3. ესპანურად მოლაპარაკე, რომელთაც არ იციან ბასკური ენა.

1981 წლის აღწერის მიხედვით, ბასკეთის ქვეყნის ავტონომიურ თემში პროვინციების მიხედვით ენების ცოდნის მაჩვენებელი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

პროვინციები	ესპანური	შეზღუდული ბასკური	ბასკური
ალაბა	86,59%	9,52%	3,88%
ბისკაი	71,75%	13,39%	14,85%
გიპუზკოა	42,42%	18,10%	36,47%

ამდენად, 1981 წლის მიხედვით ბასკეთის ავტონომიურ თემში ბასკურის მცოდნე 21,53%.

ამავე პერიოდის ნავარის მონაცემები: ბასკურად მოლაპარაკეთა ზონა: ბასკური იცოდა 85%; შერეული ზონის მოსახლეობა: ბასკური იცოდა 25%; კასტილიურად მოლაპარაკეთა ზონაში ბასკური თითქმის არავინ არ იცოდა. პამპლონაში ბასკური იცოდა მოსახლეობის 9%.

ამდენად, 1981 წლის მონაცემების მიხედვით, ნავარში მოსახლეობის 11% შეეძლო ბასკურად ლაპარაკი.

1986 წლის მონაცემების მიხედვით, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ბასკეთში შემდეგი მდგომარეობა დაფიქსირდა:

პროვინციები	ესპანური	შეზღუდული ბასკური	ბასკური
ალაბა	75,68%	12,96%	6,72%
ბისკაი	63,67%	18,62%	17,63%
გიპუზკოა	38,84%	17,71%	43,44%

საერთო მდგომარეობა 1986 წლის მიხედვით: ესპანურად მოსაუბრე 57,15%, შეზღუდულ ბასკურად 18,18%, ბასკურად 24,65%.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნორმალიზაციის კანონის ამოქმედებამ 5%-ით გაზარდა ბასკურის ცოდნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში იგრძნობოდა ზრდა ბასკურად მოლაპარაკეთა რიცხვისა, ეს მაჩვენებელი სხვა თემებთან შედარებით მაინც დაბალი მონაცემი იყო ზრდისა.

აქ მხედველობაშია მისაღები ის, რომ ინდუსტრიის ზრდამ ბასკეთში გაზარდა იმიგრანტთა რიცხვი. 25 პროცენტი დაახლოებით ბასკეთის მოსახლეობისა არ არის ბასკეთში დაბადებული, ისინი სხვადასხვა მხარიდან არიან. კვლევები აჩვენებენ, რომ ბასკეთში დაბადებულთა 33 პროცენტსა და ნავარში დაბადებულთა 26 პროცენტს შეუძლია ბასკურად ლაპარაკი, ხოლო სხვაგან დაბადებულთაგან მხოლოდ 2,5 პროცენტი საუბრობს ბასკურად.

რადგან ბასკური ძირითადად პერიფერიებში იყო გავრცელებული და თან ბასკურად მოსაუბრეთა ზონა უმეტესად სასოფლო-სამეურნეო მხარეა, ფერმერთა 64 პროცენტი საუბრობს ბასკურად. საჯარო სამსახურებში ბასკურის მცოდნეთათვის უპირატესობის მინიჭებამ, გამოიწვია ამ სფეროში ენის მომხმარებელთა რიცხვის ზრდა, ამიტომ მათი მაჩვენებელი დაახლოებით 18 პროცენტამდეა. ასაკობრივად, მოხუცებშია უფრო მაღალი მაჩვენებელი, დაახლოებით 35 პროცენტი და ახალ თაობაში – დაახლოებით 20 პროცენტი.

მოსახლეობის აღწერა 1986 წელს ნავარშიც გამოიყენეს ლინგვისტური აღწერის ჩასატარებლად. კითხვარი გახლდათ იგივე, რაც ბასკეთში.

აღწერის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ისაა, რომ ბასკეთის მსგავსად, ბასკურად მოლაპარაკე მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული ნავარის ტერიტორიაზე. აქ გამოყოფილია სამი ზონა: ბასკურად მოსაუბრეთა მხარე, სადაც დომინანტურია ბასკური; შერეული ანუ გარდამავალი მხარე, რომელშიც წამყვანი კასტილიურია და მესამე, კასტილიურად მოსაუბრეთა მხარე, რომელშიც ერთადერთი ენა კასტილიურია. ნავარის დედაქალაქი პამპლონა, ბასკურად ირუნა, მიუხედავად იმისა, რომ მდებარეობს შერეულ არეალში, არ ემთხვევა ამ არეალის ლინგვისტურ სურათს. ის ყველა მხრიდან იზიდავს ემიგრანტებს. ამიტომ მას აქვს გამორჩეული, განსაკუთრებული მახასიათებლები, რომლებიც არ ემთხვევა შერეულისას. შედეგები შემდეგნაირად გადაწილდა ნავარში: ბასკურად მოლაპარაკეთა ზონა: ბასკური იცის 68%, შერეული ზონა: ბასკური იცის 13%, კასტი-

ლიურად მოლაპარაკეთა ზონაში ბასკური იცის 2%, პამპლონაში ბასკური იცის 13%.

ამდენად, ნავარში საერთო სურათი ასეთი იყო: კასტილიურად მოლაპარაკე 84,8%, ბასკურად შეზღუდულად მოლაპარაკე 5,23% და ბასკურად მოლაპარაკე 9, 95%. ზრდა ნავარშიც დაფიქსირდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 8 წლის ინტერვალით ჩატარებული აღწერის პირდაპირი შედარება შეუძლებელია, რადგან ზონების ფარგლები არ იყო ერთნაირი ამ ორი აღწერისას და გამოყენებული კითხვარიც შეიცვალა, რათა უკეთ მომხდარიყო მოსახლეობის ლინგვისტური კომპეტენციის შეფასება. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია შევაფასოთ ზოგიერთი ტენდენცია: ბასკურად მოსაუბრეთა ზონაში ბასკურმა ენამ აშკარად უკან დაიხია. ასევე აშკარაა მისი უკანდახევა შერეულ ზონაშიც, თუმცა ეს შესაძლოა მხოლოდ ილუზია იყოს გამოწვეული ზონის განვრცობით. მეორე მხრივ, ბასკურის ცოდნა გაიზარდა პამპლონასა და კასტილიურად მოლაპარაკე ზონაშიც კი. ნავარში გამოვლენილი ეს ორმაგი ტენდენცია ანალოგიურია ბასკეთის ავტონომიისა.

ნავარის ბასკურად მოლაპარაკეთა ზონა არის მეჩხერად დასახლებული ტერიტორია და ესკლოზიურად სასოფლოა, სადაც ბასკური გადაეცემოდა თაობებს საუკუნეთა მანძილზე ორალური ფორმით. ამ ზონაში ენას იცავდა მისი იზოლაცია. თუმცა ამჟამად, გარე სამყაროსთან კონტაქტების ზრდამ, საყოველთაო-სასკოლო განათლებამ და მასმედიამ გაზარდა კასტილიურის ზეგავლენა და გამოიწვია ბასკურის შემცირება. ამას ემატება ასევე მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, რადგან ისინი ემიგრაციაში წავიდნენ უფრო მდიდარ მხარეებში. ბასკურად მოლაპარაკეთა რაოდენობის ზრდა არაბასკურ ზონაში შეიძლება სწორედ ამ ემიგრაციით აიხსნას. მაგრამ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც, რაც არის ბასკურისადმი განახლებული ინტერესი ახალგაზრდა თაობებში, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ მოტივებს (სიგუანი 1992, 216).

იპარალდიში ბასკურის გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოკითხვას ორგანიზება გაუწია ბასკეთის ავტონომიური თემის მთავრობამ. ირიზარის მონაცემები 70-იან წლებში გვიჩვენებდა ბასკურის სავალალო სტატუსს. ის იყო მომავლდავი ენა, რომელიც თითქმის მთლიანად გაუჩუნარდა იპარალდის ურბანულ ტერიტორიებში. ბასკურის ცოდნა შემორჩენილი იყო სასოფლო მხარეებში. ისევე როგორ ესპანეთში, საფრანგეთშიც ბასკური არათანაბრადაა განაწილებული. ბეჰერეა ნაფაროა და სოული ყველაზე ნაკლებად დასახლებულია და დემოგრაფიულად ყველაზე ნაკლებად დინამიური სექტორია. აქ არის ორენოვანთა ყველაზე მაღალი პროცენტი (18 200 ადამიანი) 55,5%, მაშინ როდესაც ურბანულ ზონაში - ყველაზე მეტად დასახლებულსექტორში - არის ორენოვანთა ყველაზე ნაკლები პროცენტი 8,8% (ანუ 8 800 ადამიანი). ლაპურდის დანარჩენ ნაწილს ჰყავს 25, 6% ორენოვანი ( 24 700 ადამიანი).

საფრანგეთის ბასკეთის მთელი მოსახლეობა შეადგენს 277 400 ადამიანს. ასაკის მიხედვით ყველაზე მეტი ორენოვანია 65 წელზე ზემოთ. თუმცა ასაკობრივი კლება მუდმივად მიმდინარეობს. 2001 წლის გამოკვლევამ აჩვენა, რომ 2 საუკუნის მანძილზე პირველად შეიმჩნევა ორენო-

ვანთა პროცესის სტაბილიზაცია ახალგაზრდების ჯგუფში. 2006 წლის გამოკვლევამ კი უაღრესად მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოავლინა. ორენოვანთა რაოდენობა 16-24 წლამდე ასაკოვანთა შორის ხუთი პროცენტით-მეტია, ვიდრე 24-35 წლამდე. ეს არის პირველი შედეგები, იმ ნებაყოფლობითი პოლიტიკისა, რომელსაც სკოლებში ატარებენ ორენოვნების მხარდასაჭერად. ტენდენციის ასეთი შემოტრიალება არ არის საყოველთაო ყველა მხარეში. ეს უფრო დასტურდება ურბანულ ზონებსა და ლაპურდის შიგა ნაწილში. ასაკის მიხედვით ორენოვანთა შემცირება გრძელდება სასოფლო სექტორში ბეჰერენაფაროასა და სოულში.

მთლიანობაში, იპარალდიში ბასკური არის მოსახლეობის 21, 6 პროცენტის ენა. 6,1 პროცენტმა მიიღო ბასკური და ფრანგული როგორც დედაენა. 72, 3 პროცენტის დედაენა მხოლოდ ფრანგულია. მაგრამ სავალალო ტენდენცია არის ის, რომ ახალგაზრდა თაობაში (16-24 წლამდე ჯგუფში) ბასკური დედაენაა მხოლოდ 6, 4 პროცენტისათვის, ხოლო ბასკური და ფრანგული 7, 7 პროცენტისათვის. 40 წლის მანძილზე იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსთვისაც ფრანგული ერთადერთი მშობლიური ენაა, გაიზარდა 85,9 პროცენტამდე.

თუ ჩვენ განვიხილავთ ბასკურის არა ლინგვისტურ კონპეტენციას, არამედ მის გამოყენებას, ციფრები უფრო დაბალია. 10,3% იყენებს ბასკურს ყოველდღიური კომუნიკაციისათვის (ფრანგულზე მეტად 3,6%, ხოლო ფრანგულის თანაბრად 6,7%). 12, 3% ძირითადად, იყენებს ფრანგულს და ზოგჯერ ბასკურს. ხოლო 77, 4% არასოდეს იყენებს ბასკურს.

2006 წლის შედეგები საფრანგეთის ბასკეთში შემდეგნაირია: ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბასკურის მცოდნეებისა და ფიქსირდა ლაპურდისა და სოულში (55,5%), დაბალი მაჩვენებელია ურბანულ ზონაშიც (8,8%). მთლიანობაში, იპარალდიში 22,5% საუბრობს ბასკურად, 8,6% პასიური მცოდნეა ენისა და 68,9% საერთოდ არ იცის ბასკური. 2006 წლის გამოკითხვის შედეგად 22,5% მოსახლეობისა არის ორენოვანი (ფრანგული და ბასკური). შედეგები სრულიად სხვადასხვა იყო ზონების მიხედვითაც: შიდა ზონაში 66,6% ბასკურად საუბრობდა ან ესმოდა ეს ენა, სანაპირო ზონაში (ლაპური) 36,9% საუბრობს ბასკურად და ურბანულ ზონაში მხოლოდ 14,2% იცის ბასკური. აღსანიშნავია, რომ ამ ზონის 20% საუბრობს ან ესმის გასკონური.

შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთში ბასკურთან დაკავშირებით არის პარადოქსული სიტუაცია. მაშინ როცა, იპარალდის მხოლოდ 22,5 % ლაპარაკობს ბასკურად, 83% გამოხატავს დაინტერესებას ბასკურისადმი, 41, 2% მხარს უჭერს ბასკურის აქტიურ განვითარებას და 56 % ფიქრობს, რომ ყველა ბავშვმა უნდა შეისწავლოს ბასკური სკოლაში. მხოლოდ 23 % წინააღმდეგია ამისა და ბასკურის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს 17, 4%. (ლორეგუბერი, [http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque\\_language\\_pdf.pdf](http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque_language_pdf.pdf)).

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში გამოკითხვა ჩატარდა დემოგრაფიულად ტიპურ სექტორებში და არა პროვინციების მიხედვით. მაგალითად, ურბანული სექტორი, სადაც ცხოვრობს 100 900 ადამიანი; ლაპურდის დანარჩენი ნაწილი, მაღალი დემოგრაფიული ექსპანსიის მქონე ტერიტორია,

სადაც ცხოვრობს 96 500 ადამიანი და მესამე სექტორი ბეჭერეა-ნაფაროსოლის პროვინციები – სასოფლო მხარე, სადაც 32 800 მოსახლეა.

საფრანგეთში ბასკური უფრო გავრცელებულია ყოველდღიურად ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობისას, ბაზარში, ეკლესიაში. კომუნიკაციის სხვა სფეროებში ის იშვიათად გამოიყენება. რელიგიაში ბასკურს საკმაოდ ხელსაყრელი პოზიცია უჭირავს, რადგან ამ ენაზე მღვდელმსახურთა 80 პროცენტი ლაპარაკობს. ოჯახებს შეუძლიათ შეარჩიონ ისეთი ცერემონიალების ენა, როგორცაა ქორწილი, ნათლობა. ბასკური მოსახლეობის 30-50 პროცენტი რეგულარულად დადის ეკლესიაში. თუ გავითვალისწინებთ მღვდელმსახურთა გავლენას, ეს ენის შენარჩუნების ერთ-ერთი ფაქტორია. ამის მიუხედავად ბასკურის ყოველდღიური გამოყენება სულ უფრო იკლებს (<http://www.uoc.edu/euromosaic/web/document/basc/an/i3/i3.html#4>).

მამასადამე, 2006 წლის სოციოლინგვისტური აღწერის შედეგების მიხედვით, ბასკეთის ქვეყნის ავტონომიურ თემში 30,1% არის ბასკურის აქტიური მცოდნე, 18,3% პასიური მოლაპარაკე და 51,5% არ იცის ბასკური. ბასკურის გავრცელებით პირველ ადგილზეა გიპზუზკოა (49,1%) და ნაკლებადაა გავრცელებული ის ალაბას დაბლობში (14, 2%). ნავარში ამავე მონაცემების მიხედვით, ბასკურის მცოდნეა 11,1%, პასიურად მოლაპარაკე 7,6% და 81,3% საერთოდ ვერ ფლობს ბასკურს. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბასკურის მცოდნეებისა არის ბასკურად მოლაპარაკეთა ზონაში (60,1%), ხოლო ყველაზე დაბალი, არაბასკურ ზონაში (1,9%). საფრანგეთის ბასკეთში 22,5% საუბრობს ბასკურად, 8,6% პასიური მცოდნეა ენისა და 68,9% საერთოდ არ იცის ბასკური.

ამავე კრიტერიუმებით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ 2011 წელს ბასკურის მცოდნეთა რაოდენობამ ბასკეთის მთელ ტერიტორიაზე 27% მიაღწია (ლორეგუბერი, [http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque\\_language\\_pdf.pdf](http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque_language_pdf.pdf)).

ბასკური როგორც ცხოვრების ტრადიციულ და სასოფლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ენა, უკან იხევს კასტილიურის წინაშე, რომელიც თავის მხრივ არის განვითარებული ცხოვრების ენა. ამავდროულად ბასკური ასოცირდება განახლებულ პოლიტიკურ ცნობიერებასთან და სოლიდარობის გარკვეულ ფორმებთან და იწვევს ბასკურის განვითარებას განსაკუთრებით ურბანულ მხარეებში.

ენის გამოყენებაადმინისტრაციაში

ბასკეთისა და ნავარის ნორმალიზაციის კანონები შეიცავს მუხლებს, რომლებიც შეეხება ლინგვისტური პოლიტიკის დაგეგმარებას და მის ინსტრუმენტებს. იგი ეხება ენის გამოყენებას ადმინისტრაციაში, განათლებაში და მასმედიაში.

„ბასკურის ნორმალიზაციის კანონის“ შესავალში აღნიშნულია, რომ მისი მიზანია, აღიაროს ბასკური, როგორც თემის იდენტობის ხილული ნიშანი და როგორც ინდივიდის სრული ინტეგრირების ინსტრუმენტი, მის მიერ ენის ცოდნისა და გამოყენების გზით.“ ბასკეთის მთავრობას აქვს ენერგიული პოლიტიკა ენის დაცვისა და ხელშეწყობისა. მისი ეს თავგამოდება გასაგებია და მოსალოდნელიც, უპირატესად, ნაციონალური მთავრობისაგან.

საზოგადოებასთან ურთიერთობებს ბასკეთის მთავრობა ორივე ენაზე აწარმოებს. ბასკეთის ნორმალიზაციის კანონი ადგენს, რომ ბასკეთის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციას ნებისმიერ ენაზე (ამ ორიდან). ბასკურად მუშაობენ, ძირითადად, ენასთან და კულტურასთან დაკავშირებული დეპარტამენტები. შიდაადმინისტრაციული მუშაობის ენა, უმეტესად, ჯერ კიდევ კასტილიურია. მიუხედავად იმისა, რომ ბასკური არ არის ადმინისტრაციის ძირითადი ენა, დოკუმენტების წარმოება ბასკურად იზრდება. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო მოხელეთა შორის ენის უკეთ ცოდნის საჭიროებაც.

ბასკეთის პარლამენტის სამუშაო ენა არის კასტილიური და ბასკური. ენის არჩევანში ყველა თავისუფალია, ამიტომ აქ არსებობს სინქრონული თარგმანის სერვისი.

ბასკეთის საჯარო ადმინისტრაციის ინსტიტუტს აქვს ორმაგი მისია: ბასკურად ადმინისტრაციული ენის განვითარება და საჯარო მოხელეების ბასკურის ცოდნის გაუმჯობესება.

ბასკეთის მთავრობამ დაადგინა იმ თანამდებობების სია, რომლებზეც შეიძლება მოთხოვონ საჯარო მოხელეებს ბასკურის ცოდნა, ამიტომ, კონკურსების დროს ბასკურის ცოდნა ცხადდება ან აუცილებელ პირობად, ან უპირატესობას ანიჭებს კონკურსანტს. თუმცა ზოგჯერ მიიჩნევენ ამას ენობრივ საფუძველზე დისკრიმინაციად და ანტიკონსტიტუციურ ქმედებად. ბასკეთის მთავრობა იყენებს ორივე ენას ოფიციალური დენომინაციისათვის ყველა საჯარო ორგანოსა და პოსტზე. მართლაც, ლათინურზე დაფუძნებული ნებისმიერი ენის წარმომადგენლისათვის ესპანეთში გასაგები იქნება ნებისმიერი დასახელება კატალონიურად, გალიციურად და კასტილიურად. აქტიური და პასიური მცოდნე ენისა, ორივე გაიგებს ძირითად შინაარს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ბასკურის შესახებ. ამიტომ არსებობს მთარგმნელობითი სერვისები საჯარო ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტში, თუმცა მათ არა აქვთ მინიჭებული მთარგმნელობითი ოფისების კლასიფიკაცია, რადგან ეს იქნებოდა პირდაპირი აღიარება, რომ სამოქალაქო პირებმა ორივე ენა არ იციან.

როგორც აღვნიშნეთ, ნავარის პარლამენტმა 1986 წელს ამოქმედა „ნავარის რეგიონალური კანონი ბასკური ენის შესახებ“, სადაც აღნიშნულია: „ისეთი ავტონომია როგორც არის ნავარი აქვს ღირსება მემკვიდრეობით ჰქონდეს ერთზე მეტი ენა, არის ვალდებული, მიხედოს ამ განძს და აიცილოს გაუჩინარება და დაკნინება ამ ენების. თუმცა ამ მემკვიდრეობის დაცვა არ უნდა იყოს კონფრონტაცია და მეტოქეობა ორ ენას შორის, როგორც ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის მე-3 მუხლში, იგი განსაკუთრებული დაცვისა და პატივისცემის საგანი უნდა იყოს.“

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კანონი მოქმედებდა ყველა ავტონომიაში და ნავარმა ის მიიღო სულ ბოლოს. ეს შეყოვნება გამოიწვია ტექსტის ფორმულირებაზე შეუთანხმებლობამ, რადგან ბასკი ნაციონალისტები აღნიშნულ კანონპროექტს არასაკმარისად მიიჩნევენ და ხმას არ აძლევდნენ. მათი აზრით, ნავარი არის ბასკეთის ნაწილი და ენის აღორძინება, როგორც იდენტობის ნიშანი, უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული ამოცანა. ნავარის დანარჩენი პარტიები გამოხატავდნენ ბასკური ენისადმი პა-

ტიცისცემას, როგორც ისტორიის სიმბოლო და როგორ აწმყოს რეალობა, მაგრამ მის ექსპანსიას არ განიხილავდნენ პრიორიტეტულ საკითხად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნავარში არის საგრაფოები, სადაც ბასკურად არ ლაპარაკობენ. ავტონომიის კანონმდებლობის მომზადების წლებში, პოზიციები ენასთან დაკავშირებით იყო პოლარული. მოგვიანებით მათ მოახერხეს შეთანხმება.

ნავარის ნორმალიზაციის კანონი უწესებს საზღვრებს ნავარის ტერიტორიაზე არსებულ 3 ლინგვისტურ ზონას: ბასკურად მოლაპარაკეთა ზონაში, სადაც ბასკური ოფიციალური ენაა, სამოქალაქო მოსამსახურეებმა უნდა იცოდნენ ბასკური და სკოლებმა უნდა ასწავლონ ეს ენა. შერეული ანუ საშუალო ზონა, სადაც მოქალაქეებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ ადმინისტრაციულ ორგანოებს მიმართონ ბასკურად და სადაც ადმინისტრაციულმა მომსახურეების გარკვეულმა ნაწილმა უნდა იცოდეს ბასკური და სკოლებში სწავლება ნებაყოფლობითია, მშობელთა სურვილის მიხედვით. და მესამე გახლავთ კასტილიურად მოსაუბრეთა ზონა, სადაც ბასკურის რეჟიმი იდენტურია შერეული ზონის რეჟიმისა.

იმ ფაქტის გამო, რომ ბასკურის ცოდნა და გამოყენება კონცენტრირებულია ნავარის ერთ ზონაში, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე იმ მოსახლეთა წილი, რომელთაც შეუძლიათ ბასკურის გამოყენება მცირეა, ამიტომ ადმინისტრაციულად ამ ენის გამოყენება მცირეა და სიმბოლურს ოდნავ აღემატება. გამონაკლისია ბასკურად მოლაპარაკეთა ზონა, სადაც მუნიციპალიტეტის მუშაობა, სხდომები ხორციელდება ბასკურად. ნავარის დანარჩენ ნაწილში ბასკურის გამოყენება შემოიფარგლება იმ უფლების დაცვით, რომელიც გააჩნია ყველა მოქალაქეს, სურვილის შემთხვევაში ადმინისტრაციას მიმართოს ბასკურად და მიიღოს დადგენილებები ბასკურად. ამ მიზნით არსებობს მთარგმნელობითი სერვისი, რომელსაც ევალება შესთავაზოს უფასო თარგმანები. ამას ემატება ისიც, რომ საქალაქო საბჭოები იყენებენ ბასკურს გარკვეულ საზეიმო შემთხვევებში და ისინი ინფორმაციას იძლევიან ორ ენაზე.

გარდა ამისა, ბასკეთსა და ნავარში არსებობს ესპანეთის ადმინისტრაციის ფილიალები. ნებისმიერ ასეთ საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში, ბასკურის არსებობა შემოიფარგლება საზოგადოებისათვის შეთავაზებული ინფორმაციით, რომელიც არის ორენოვანი და მოსამსახურემ, რომელსაც უშუალო შეხება აქვს საზოგადოებასთან, უნდა იცოდეს ეს ენა.

საფრანგეთში, იპარალდიში, საჯარო ხელისუფლებაში ბასკური იშვიათად გამოიყენება ეროვნულ და რეგიონალურ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობაში. ადგილობრივი ხელისუფლება კი იყენებს ბასკურს გარკვეულ შემთხვევებში. საჯარო და ნახევრად საჯარო სერვისები ექვლუზიურად ფრანგულად ურთიერთობენ. ზოგიერთ მუნიციპალიტეტს აღმართული აქვს ორენოვანი საგზაო ნიშნებიც. ბასკურს არა აქვს რეგალური სტატუსი იპარალდის რეგიონის სასამართლოებში, თუმცა ბასკურ ენაზე ჩაბარებულ დოკუმენტებს ღებულობენ. პროცედურების და სხდომების დროს, საფრანგეთის მოქალაქეებს არა აქვთ ბასკურის გამოყენების უფლება, ხოლო ესპანეთის მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ სასა-



მართლოს ბასკურ ენაზე. აღსანიშნავია, რომ თარჯიმნებიც იოლად ხელმი-საწვდომია ასეთ შემთხვევებში.

ბასკურის ცოდნა არის უპირატესობა იმ აპლიკანტებისათვის, რომ-ლებიც აპირებენ ისეთ სამსახურებში მუშაობას, რომლებიც გულისხმობს საზოგადოებასთან ურთიერთობას. ბასკურს იყენებენ ზოგჯერსოფლის მე-ურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის, საბანკო სექტორებში. ბასკურენოვან-რადიოსადგურებში რეკლამირება თითქმის ყოველთვის ბასკურად ხდება. სამომხმარებლო ინფორმაცია ბასკურად ძალიან ცოტა პროდუქტის ეტი-კეტზეა. უმთავრესად, სახვადასხვა სახეობის ადგილობრივ ყველსა და ღვინოზე (<http://www.uoc.edu/euromosaic/web/document/basc/an/i3/i3.html#4>).

### განათლება

ბასკურის ნორმალიზაციის კანონი განათლებაში ენის საკითხს ეხება მე-15 და მე-16 მუხლებში:

მუხლი 15:

აღიარებულია ყველა სტუდენტის უფლება, მიიღოს განათლება ბას-კურად ან კასტილიურად.

მუხლი 16

უნივერსიტეტამდე განათლების პერიოდში სავალდებულო იქნება ოფიციალური ენის შესწავლა, რომელიც განათლების ენად არ აღრჩევიან მშობლებს და მასწავლებლებს ან თვითონ მოსწავლეს.

ნავარის ნორმალიზაციის კანონი ბასკურად მოლაპარაკე ზონისთვის ადგენს:

მუხლი 24

ყველა სტუდენტი განათლებას მიიღებს იმ ოფიციალურ ენაზე, რომელიც აირჩიეს ან მშობლებმა ან თვითონ,

ბილინგვიზმის დეკრეტის გამოქვეყნებამდე (1978) მთელ ესპანეთში განათლების ენა იყო მხოლოდ კასტილიური. მიუხედავად ამისა, 60-იან წლებში, ფრანკოს რეჟიმის დროს, ბასკურ ტერიტორიებზე, როგორც ესპანეთში, ასევე საფრანგეთში დაარსდა სკოლები, რომელსაც ბასკები ეძახდნენ იკასტოლას. აქ ისწავლებოდა ბასკური. ეს სკოლები დაარსდა ბასკი ნაციონალისტების ინიციატივით და მიზანი იყო არა მხოლოდ ბასკური ენის შესწავლა, არამედ განათლების მიღება ბასკურად. ამ დამოკიდებულებას ბასკურთან ამართლებდნენ იმით, რომ დღევანდელი ბავშვები, ხვალის დღეის ზრდასრულები, იქნებოდნენ დახელოვნებული ბასკურში და ბასკური გახდებოდა მათთვის მშობლიური ენა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სკოლები არსებობდა შემოწირულობების საფუძველზე, მათი რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა. თავდაპირველად იკასტოლა შეიქმნა ბასკეთში, მაგრამ მალე ნავარსა და იპარალდიშიც გაიშალა ფესვი. ნავარის მიწაზე პირველი იკასტოლა დაარსდა 1965 წელს, ცოტა მოგვიანებითიხსნება იკასტოლა საფრანგეთშიც. შემდეგომ წლებში ისინი სწრაფად გავრცელდა, არამარტო ბასკურად მოლაპარაკე ზონაში, არამედ სპეციფიკური გზით ესპანეთისა და საფრანგეთის ურბანულ ზონებშიც, რომელშიც ბასკური დიდი ხნის წინ იყო გამქრალი. ეს ნიშნავს იმას, რომ ბევრ შემთხვევაში მოსწავლეები იყვნენ კასტილიურად მოსაუბრე ოჯახებიდან.

ბასკეთის ქვეყნის ავტონომიური თემის დაარსების შემდეგ ბასკეთის მთავრობამ თავის თავზე აიღო ბასკურის გაძლიერებაზე ზრუნვა განათლების სისტემაში. ამ პერიოდში აქ იყო 3 ტიპის სკოლა ჩამოყალიბებული:

1. საჯარო სკოლების ქსელი, რომლებშიც მასწავლებელთა 95 პროცენტმა არ იცოდა ბასკური და ამიტომ ბილინგვიზმის დეკრეტები (დადგენილებები) ფაქტობრივად გამოუყენებელი იყო. საჯარო საგანმანათლებლო სკოლების ამ ქსელში შედიოდა დაახლოებით ბასკეთის ქვეყნის დაწყებითი და საშუალო სკოლების დაახლოებით ნახევარი.

2. კერძო სკოლების ქსელი, რომელთაგან ზოგი რელიგიური იყო, ზოგიც საერო, რომლებსაც ურთიერთობა არ ჰქონდათ ერთმანეთთან და ხასიათდებოდა პედაგოგიური და იდეოლოგიური მრავალფეროვნებით. მათ უმეტესობაში სწავლების ენა იყო კასტილიური, თუმცა ზოგჯერ იყო გამონაკლისებიც. ეს ქსელი მოიცავდა ბასკეთის სასკოლო ბავშვების 40 პროცენტამდე.

3. იკასტოლას ქსელი, რომლებშიც ბასკური იყო ძირითადი ენა. ბასკეთის მთავრობა შეეცადა მათ პედაგოგიურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას, მაგრამ ვერ შეძლეს მათი გაკონტროლება.

ბასკეთის მთავრობის ენობრივი პოლიტიკა განათლების საკითხებს ეხება 1983 წლის დეკრეტში, რომლის მიხედვით ბასკეთში დაამკვიდრეს 3 მოდელის სკოლა და რომლებშიც წამყვანი როლი ბასკურის განაწილების საქმეს ენიჭება.

მოდელი A: განათლება კასტილიურად, ბასკური ისწავლება ყველა კლასშიმინიმუმ 3 საათი.

მოდელი B: სწავლება კასტილიურად, ბასკური ისწავლება ყველა კლასში და ამასთანავე, ბასკურად ისწავლება რამდენიმე საგანი.

მოდელი C: სწავლება ბასკურად, კასტილიური ისწავლება ყველა კლასში.

1978 წლამდე ბასკურის ცოდნის დონე დაბალი იყო მასწავლებელთა შორის (დაახლოებით 5% მასწავლებლებისა ფლობდნენ ბასკურს), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბასკური ფაქტობრივად იგნორირებული იყო ოფიციალური განათლებიდან (აიერბე, 1983). ბილინგვიზმის დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ, განათლების დეპარტამენტი მუდმივად აწყობს ტრენინგებს მასწავლებელთათვის. ამიტომ ბასკურის მცოდნე მასწავლებელთა რიცხვი დღემდე იზრდება.

მოგვიანებით ბასკეთში ისევ დაიხვეწა სასკოლო მოდელები. მართალია ისევ სამი მოდელის სკოლა დარჩა თუმცა C მოდელი ჩაანაცვლა D მოდელმა გარკვეული ცვლილებებით, რომელიც დღეისათვის ყველაზე წარმატებულ მოდელად ითვლება ბასკეთში ( სპოლსკი, 2009, 199).

ბასკეთის ავტონომიისაგან განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ნავარში, რომლის საგანმანათლებლო სისტემა თავიდან ესპანეთის განათლების დეპარტამენტზე იყო დამოკიდებული, ხოლო მოგვიანებით დაუქვემდებარეს ნავარის ავტონომიის ადმინისტრაციას. ბასკურად მოლაპარაკეთა ზონაში ბასკური სავალდებულოა და არსებობს 3 ტიპის დაგეგმარება 1.

სკოლები, რომლებშიც განათლება კასტილიურად არის და ბასკური ისწავლება

2. სკოლები, რომლებიც განათლებას ორივე ენაზე იძლევა

3. სკოლები, რომლებიც განათლებას იძლევა ბასკურად და კასტილიური საგნად ისწავლება.

შერეულ და კასტილიურად მოლაპარაკეთა ზონაში, ძირითადად მხოლოდ კასტილიურს იყენებენ განათლების ენად და ბასკური არ ისწავლება. თუმცა თუ მშობლები მოითხოვენ, ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს კვალიფიკაციური მასწავლებლები ბასკურის შესასწავლად (საბალერა, 1983). როდესაც ნავარის ავტონომიის კანონმდებლობა ძალაში შევიდა, ბასკურის მცოდნე მასწავლებელთა რაოდენობა მინიმალური იყო, თუმცა ფინანსურმა წახალისებამ აქაც შედეგი გამოიღო და ბასკურის მცოდნე მასწავლებელთა რიცხვი გაიზარდა. ისინი ბასკურის კურსებს ასწავლიან კასტილიურსა და შერეულ ზონაში, ასევე პამპლონაში.

იპარალდიში რეგიონალურ ადმინისტრაციას არა აქვს უფლებამოსილება განათლების სფეროში. ნაციონალური ხელისუფლება კი ნაკლებ ყურადღებას უთმობს რეგიონალური ენების განვითარებას. ბასკურის ადგილის განსაზღვრაზე განათლების სისტემაში პასუხისმგებელია ლოკალური მთავრობა. სკოლამდელი და დაწყებითი საფეხურის მხოლოდ რამდენიმე სკოლა იყენებს ბასკურს სწავლების ენად. ხოლო უმეტესობას თავაზობს ბასკურს ერთ-ერთ საგნად. მოთხოვნა ბასკურის კურსებზე ბოლო რამდენიმე წელი გამუდმებით იზრდება. ამჟამად დაახლოებით 3000 მოსწავლე შეისწავლის ბასკურს კერძო სკოლებში, სადაც ყველაზე ძლიერია მშობლების გავლენა. გარდა ამისა, 1969 წელს დაარსებული ბასკური სკოლების ასოციაცია აკონტროლებს 18 სკოლისაგან შემდგარ ქსელს, სადაც 90 მასწავლებელი და 1300 მოსწავლეა (900 ლაპურდიში, 300 ბეჰეროა ნაფაროაში და 100 ზუბეროაში). ხარჯების 70 პროცენტს ფარავს სახელმწიფო და 30 პროცენტს – მშობლები. საშუალო განათლების დონეზე კი მხოლოდ ერთი სკოლა ასწავლის ბასკურს, როგორც სავალდებულო საგანს ([http://www.mercator-research.eu/fileadmin/mercator/dossiers\\_pdf/basque\\_in\\_france2nd.pdf](http://www.mercator-research.eu/fileadmin/mercator/dossiers_pdf/basque_in_france2nd.pdf)).

იპარალდიში ყველაზე მნიშვნელოვანი მობილიზაცია ბასკურის მხარდასაჭერად, რომლის მიზანი იყო ორენოვანი სკოლების მხარდაჭერა, დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. 1982 წლის 1 ივნისს საფრანგეთის მთავრობამ გამოსცა ოფიციალური ბიულეტენი, რომელიც შეიცავდა ცირკულარს რეგიონალური კულტურებისა და ენების სწავლების შესახებ ეროვნულ საგანმანათლებლო სერვისში. 1983 წლიდან შემოიღეს პირველი ორენოვანი ბასკურ-ფრანგული კლასები. მას შემდეგ ამგვარი კლასების გახსნა უწყვეტად მიმდინარეობს. 1986 წელს საჯარო სექტორის ანალოგიურად, ბილინგვური ნაკადი შევიდა კერძო სკოლებშიც. მანამდე სკოლამდელ და დაწყებით სკოლებში სიტუაცია ამგვარი იყო: ბავშვებს რიცხვად ნენ ჯგუფებში ნებაყოფლობით, სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად. სკოლამდელი პერიოდის მოსწავლეს (3-6 წელი) ნებისმიერ დროს შეემლომიეტოვებინა ორენოვანი ნაკადი და გადასულიყო მხოლოდ ფრანგულ ჯგუფში. ორენოვან ნაკადებში მეცადინეობების ნახევარი (14 საათი) მიმდინარეობდა ფრანგულად და ნახევარი (14 საა-

თი) ბასკურად. რაც შეეხება 6-12 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, ყველა სწავლობს ფრანგულადისტორიას, მათემატიკას, გეოგრაფიასა და ფიზიკურ და შემოქმედებითაქტივობებს, ხოლო დანარჩენ საგნებში ჯგუფი იყოფა: ნაწილი ბასკურად სწავლობს საგნებს, ნაწილი ფრანგულად. ორენოვანი ნაკადი წარმატებული აღმოჩნდა. 1983 წელს 17 მოსწავლე ირიცხებოდა ორენოვან ჯგუფში და 2008 წლისთვის მათი რაოდენობა გაიზარდა 4280 მდე. იკასტოლებში, სადაც ფრანგული არის ცალკე საგთაგანი, 3-12 წლამდე მოსწავლეთა რაოდენობამ 2008 წელს 1629-მდე მიაღწია. სულ საჯარო და კერძო სკოლებში საფრანგეთის ბასკურენოვან მხარეში 25 138 მოსწავლიდან 7725 ლებულობს ორენოვან განათლებას (ლორეგუბერი, [http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque\\_language.pdf.pdf](http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque_language.pdf.pdf)).

რაც შეეხება საუნივერსიტეტო სწავლებას, ბასკეთის უნივერსიტეტს აქვს ფაკულტეტები და სასწავლო ცენტრები ბასკეთის სამივე პროვინციაში. ბასკეთის ქვეყნის უნივერსიტეტი არის ერთგული ქვეყნის ენისა და კულტურისა. ორივე ენა ინსტიტუციალიზირებულია თანაოფიციალურის სტატუსით. ამ პრინციპების შესაბამისად დიდი ძალისხმევა გასწია უნივერსიტეტმა ბასკურის წასახალისებლად საუნივერსიტეტო საქმიანობაში და ამ ძალისხმევას მხარს უჭერდა ბასკეთის მთავრობა.

ბასკურის ცოდნის დონე მასწავლებლების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციული ხელმძღვანელების, ძირითადად, მოსახლეობის ცოდნის დონის მსგავსია. ამიტომაც ის მეტისმეტად დაბალია იმისათვის, რომ შემოიტანონ საუნივერსიტეტო საქმიანობაში მთელი დატვირთვით. უნივერსიტეტმა სასწავლო და ადმინისტრაციულ პერსონალს გამოუყო დრო სამუშაო საათებიდან ბასკურის შესასწავლად. ბასკური შემოიღეს აკადემიური ინფორმაციისა და ადმინისტრაციული დოკუმენტებისთვის, რომელიც სისტემატურად გამოიცემა ბილინგვური ფორმით.

არსებობს საუნივერსიტეტო საგნები, რომლებიც შეიძლება იყოს მთლიანად ბასკურად მაგ., პედაგოგია, ფსიქოლოგია. არსებობს საუნივერსიტეტო კურსები, რომლებიც ბასკურადაც არის და კასტილიურადაც (ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია...). არსებობს კურსები, რომლებიც მთლიანად კასტილიურია მაგ., მედიცინა, სამართალი და საინჟინრო სკოლების უმრავლესობა. სხვადასხვა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე ენის გამოყენება სხვადასხვაა. ბასკეთს ასევე აქვს კერძო უნივერსიტეტი და მასწავლებელთა მოსამზადებელი კოლეჯი, რომლებიც დამოკიდებულია ეკლესიაზე. აქაც ბასკურის მდგომარეობა ანალოგიურია სახელმწიფო უნივერსიტეტისა.

საუნივერსიტეტო განათლებაში ენის შემოტანამ მოითხოვა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების მომზადება ბასკურად, რისთვისაც სუბსიდირება მოახდინა ბასკეთის მთავრობამ. სადოქტორო დისერტაციებისა და გამოკვლევების რაოდენობა ბასკურ ენაზე ძალიან შეზღუდულია.

ნავარში არსებობს კერძო უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს მაღალი პრესტიჟი, თუმცა მას ბასკურით დაინტერესება არ გამოუმჟღავნებია.

იპარალდიში, ზაიონაში არსებობს უნივერსიტეტი, რომელიც დაინტერესებულ პირებს ბასკოლოგიის სრულ პროგრამას სთავაზობს. აქ სწავლების ძირითადი ენა ბასკურია. რაც შეეხება სხვა უმაღლეს სასწავლებ-

ლებს, ამ რეგიონში მხოლოდ რამდენიმეს აქვს გარკვეული მასალა ბასკურის სწავლებისათვის.

### მასმედია

წიგნების ყოველწლიური გამოცემა ბასკურ ენაზე 1965 წლამდე უმნიშვნელო იყო. 60-იანი წლებიდან ეროვნული თვითმეგნების გამოვლიძებისა და იკასტოლას გახსნასთან ერთად, ბასკურად პუბლიკაციების რაოდენობა იზრდებოდა. ავტონომიის დაარსების შემდეგ გატარდა უამრავი ღონისძიება, რომელთა შორის განსაკუთრებული იყო ის, რომ ბასკურად დაწერილი წიგნების დასაბეჭდად სუბსიდიებს სცემს როგორც ესპანეთის ცენტრალური, ასევე ბასკეთის მთავრობა და ბასკურ წიგნებს მთავრობა შეისყიდის ბიბლიოთეკებისათვის. ამიტომაც დღეს ყოველწლიურად გამოცემული წიგნების რაოდენობა 3000-მდეა. ძირითადად გამოიცემა ბასკურის თვითმასწავლებელი, პედაგოგიური და საბავშვო წიგნები. ძირითადი გაზეთები, რომლებიც მადრიდსა და ბარსელონაში გამოდის, აქაც კითხვადია, ასევე აქ მათ რიცხვს ემატება რამდენიმე ბასკური გაზეთიც. 1988 წლიდან პერიოდული გამოცემები ბასკურად გამოსცემს შრომებს ლიტერატურაზე, რელიგიასა და პედაგოგიკაზე.

ბასკური რადიოები მაუწყებლობს ბასკურად ან ნაწილობრივ ბასკურად. ბასკეთის სამთავრობო არხი მაუწყებლობს მხოლოდ ბასკურად და ფარავს ბასკურად მოლაპარაკე არეალს ბასკეთში, ნავარსა და საფრანგეთის ბასკეთში. ნაწილობრივ ბასკურად გადმოსცემენ სან სეზასტიანოსა და ბიტორიას რადიოები.

ბასკეთში მაუწყებლობდა ორი სახელმწიფო კასტილიური არხი. 1982 წლიდან ბასკეთში დაარსდა ბასკეთის ტელევიზიაც. მას აქვს ორი არხი, რომლებიც მაუწყებლობენ ბასკურად ან ნაწილობრივ ბასკურად. ბასკეთის ტელევიზიას უყურებს მთელი ბასკურად მოლაპარაკე არეალი, ბასკეთი, ნავარი და საფრანგეთის ბასკეთი. ეს ზრდის ენის პრესტიჟსა და აგრეთვე ხელს უწყობს ენის შესწავლას, ასევე ამყარებს ეუსკარა ბატუას პოზიციას – საერთო ბასკურისას – დიალექტური დიფერენციაციის პირობებში.

ბევრი პუბლიკაცია და წიგნი, რომელიც ბასკურ ენაზეა გამოცემული ნავარში მოქვთ ბასკეთიდან, თუმცა აქ არსებობს ბასკური გამომცემლობაც. ამასთანავე, ნავარის მთავრობა, ადმინისტრაცია და ინსტიტუცია აქვეყნებს ისტორიულ და ლიტერატურულ წიგნებს ბასკურად. მთავრობა გამოყოფს სუბსიდიებს ბასკური ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოებისათვის და სკოლის მოსწავლეთა საკითხავი წიგნებისათვის.

ამჟამად პამპლონაში გამოდის ორი გაზეთი. ისინი ბეჭდავენ ერთ ყოველკვირეულ გვერდს ბასკურად. ასევე აქ ჩამოაქვთ ბასკეთში გამოძვალნი გაზეთები, რომლებსაც სპეციალური გამოცემები აქვს ნავარისათვის.

ოთხი ესპანური რადიოსადგურიდან სამი მაუწყებლობს ნაწილობრივ ბასკურადაც. ნავარში არ არის ადგილობრივი ტელემაუწყებლობა. ესპანურ არხს აქვს რეგიონალური პროგრამა, რომელიც ყოველდღიურად გადასცემს საინფორმაციო გამოშვების შემდეგ რეზიუმეს ბასკურად, ასევე შესაძლებელია ბასკური ტელევიზიის ყურება.

არა გვაქვს ზუსტი მონაცემი, თუ რამდენი წიგნი იბეჭდება ბასკურად იპარალდიში. არსებობს ბასკურენოვანი წიგნების მცირე რაოდენობა, ძირითადად, სასკოლო სახელმძღვანელოები, საბავშვო და რელიგიური ხასიათის წიგნები.

აქ მთლიანად ბასკურენოვანია სამი პერიოდული გამოცემა, ტირაჟით 400 /3000 / 100. გარდა ამისა, არის სამი ყოველკვირეული გამოცემა, რომელიც ბასკურსაც იყენებს ფრანგულთან ერთად. მისი ტირაჟია 1500/1500/ 500.

საფრანგეთის ბასკეთში გამოდის ერთი რეგიონალური ყოველდღიური გაზეთი, რომელიც კვირაში ერთ სტატიას ბეჭდავს ბასკურ ენაზე.

ამ რეგიონის რადიომაუწყებლობიდან მთლიანად ბასკური არც ერთი არ არის. მხოლოდ ერთი რადიო გადასცემს კვირაში 5-ჯერ 1 საათიან გადაცემას ბასკურად და ჰყავს დაახლოებით 60 000 მსმენელი. იპარალდიში არის 3 კერძო რადიოსადგური, რომლებიც ჯამში კვირაში 105 საათს გადასცემენ ბასკურად. აქვე ფუნქციონირებს კიდევ ერთი კერძო სადგური, რომელიც მაუწყებლობს დღეში 6 საათი ფრანგულად და 6 საათი ბასკურად.

სახელმწიფო ტელევიზიის ერთ-ერთი არხი მაუწყებლობს დღეში 3 საათს ბასკურ ენაზე (ადრე ეს არხი 6 საათი მაუწყებლობდა ბასკურად). ამ რეგიონში კერძო ტელეარხები არ არსებობს. თუმცა ბასკურენოვანი მოსახლეობის 15-20 პროცენტს შეუძლია მიიღოს ესპანეთის ბასკეთის სატელევიზიო არხები, თუმცა აქაც მაყურებელთა რაოდენობა დაბალია.

ამ რეგიონში ბასკური ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ პოპ და როკ მუსიკაში. თეატრში არსებობს პროფესიონალური კომედიის დასი, რომელიც ასრულებს წარმოდგენებს მთლიანად ბასკურად. აქვე ფუნქციონირებს ხუთი სხვადასხვა მოყვარული დასი, ასევე ბასკურენოვანი. ყოველწლიურად ტარდება ორენოვანი კულტურული ფესტივალი, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ დაინტერესებას იწვევს. იმართება დოლი, რომელიც გაირბენს მთელ ბასკურენოვან ტერიტორიას და შემოსული თანხაც ირიცხება ბასკურის კურსების მხარდასაჭერად. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ოფიციალური პოლიტიკა არც ნაციონალურ, არც რეგიონალურ და არც ლოკალურ დონეზე, რომელიც მხარს დაუჭერდა ბასკურის შემოტანას კულტურის სფეროში. მართალია, არსებობს ბასკური კულტურის ინსტიტუტი, თუმცა მისი ძირითადი ბიუჯეტი შერჩევითი გრანტებია (<http://www.uoc.edu/euromosaic/web/document/basc/an/i3/i3.html#4>).

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მიიჩნევენ, რომ ბასკურის ხელშეწყობა უფრო სიმბოლურია, ვიდრე პრაქტიკული (მოლინერო, 2000). მისი გადარჩენა დამოკიდებულია, თუ რამდენად იქნება წარმოდგებილი სკოლებსა და მასმედიაში, როგორც წერითი, ასევე ვიზუალური ფორმით და ამგვარი გამოყენებისათვის კი აუცილებელია საერთო კოდის ქონა. არსებულ ვითარებაში ეუსკერა ბატუას კრიტიკა შესაძლებელია მხოლოდ იმ პოზიციიდან, რომელიც სხვა უნიტარულ შემოთავაზებას დაიცავს და დაამტკიცებს მის უპირატესობას. რადგანაც ბასკური თითქმის არ გამოიყენებოდა სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროებში, აუცილებელი იყო მისი მოდერნიზაცია, მოდერნიზაციის შემოთავაზებები უფრო ორიენტი-

რებულია ბერძნულ-ლათინური ლექსიკის ადაპტაციისაკენ. წინააღმდეგობა, რომელიც უკავშირდება მასმედიაში გამოსაყენებელ ლინგვისტურ მოდელს და ასევე იმ რთულ ბალანსს, რომელიც საჭიროა ზეპირ სამეტყველო და აკადემიურ ენებს შორის განსაკუთრებით ურბანულ მოსახლეობაში ჯერ კიდევ საგრძნობია (სიგუანი, 1992, 225).

იუნესკოს თანახმად, ენა სერიოზულ საფრთხეშია იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა თაობა, რომლებიც ამ ენაზე ლაპარაკობს 30 პროცენტზე ნაკლებია. სწორედ ასეთ ვითარებაში იყო ბასკური ესპანეთსა და საფრანგეთში მეოცე საუკუნის ბოლოსათვის. 1980-იან წლებამდე ჩატარებული სოციოლინგვისტური გამოკვლევები აჩვენებდნენ ბასკურის გადაშენების საფრთხეს. თუმცა 2001 წლიდან ჩატარებული გამოკვლევები იმედისმომცემია, რაც პირველ რიგში, არის იმის დამსახურება, რომ სულ უფრო ბევრი მშობელი აგზავნის ბავშვებს ბილინგვურ სკოლებში და მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში აქ მოსწავლეთა 50 % ისწავლის (ლორეგუბერი, [http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque\\_language\\_pdf.pdf](http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque_language_pdf.pdf)).

ბასკური ენით დაინტერესება აიხსნება იმიტაც, რომ ბასკურის კვლევა მიმდინარეობს ესპანეთის გარდა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში: საქართველოში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, უნგრეთში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში.

### ლიტერატურა

**აიერბე, სიგუანი 1983** – Aierbe, Pello. Situacion general y escolar del bilinguismo en Euskady. In: Siguan (coord.) *Lenguas y educacion en el ambito del Estado Espanol*. University of Barcelona, 1983

**ირიზარი 1973** – Yirizar, Pedro. Los dialectos y variedades de la lengua vasca. A linguistic and demographical study. Bulletin of the “Sociedad Vascongada de Amigos del Pais” Vol. XXIX (1973)

**ირიზარი 1981** – Yirizar, Pedro. Contribucion a la dialectologia de la lengua vasca (2 vols.). Gaja de Ahorros de Gupuzcoa. San Sebastian 1981

**მიჩელენა 1982** – Michelena L. Normalization de la forma escrita de una lengua: the case of Basque, *Recobid. Revista de Occidente*. Num.10-11, February.

**მოლინერო 1997** – Mar-MolineroClare. *The Spanish Speaking World, A Practical introduction to sociolinguistic issues*, Clare Mar-Molinero Routledge London and new York.

**მოლინერო 2000** – Clare Mar-Molinero. *The Politics of Language in the Spanish-Speaking World*, London and New York.

**მურსია, როთმანი 2008** – Bilingualism and Identity, Spanish at the crossroads with other languages, Edited by Mercedes Nino-Murcia, Jason Rothman, The university of Iowa, John Benjamins Publishing Company, Amsterdam/Philadelphia.

Statistical and socio-linguistic policy Padron de habitants (1986): (1986 census initial results). *Avance de resultados estadisticos*. Basque Statistical Institute, Vitoria/Gasteiz.

Statistical and socio-linguistic data. Distribution de la poblacion de Navarre segun el nivel de conocimiento de euskera. Navarre Provincial Government. Statistics Section. Pamplona 1988

**საბალერა, სიგუანი 1983** – Zabaleta, M, F. Situacion del euskera en el Sistema educacion de Navarra. In: Siguan (Coord.) Lenguas y educacion en el ambito del Estado Espanol. University of Barcelona, 1983

**სარასოლა 1976** – Sarasola, I., Historia social de la literature vasca. Akal. Madrid 1976.

**სიგუანი 1992** – Miuél Siguan Multilingual Spain, European studies on Multilingualism 2.

**სპოლსკი 2012** – Spolsky, B., The Cambridge Handbook of Language Policy, Edited by Bernard Spolsky, First published 2012, Cambridge University Press

**ტორნოსი 1986** – Tornos, J., (Coord.) Legislation sobre Comunidades Autonomas (Estatutos de Autonomia). Tecnos. Madrid (2 vol) 1986

[https://en.wikipedia.org/wiki/Basque\\_language](https://en.wikipedia.org/wiki/Basque_language)

[https://en.wikipedia.org/wiki/French\\_Basque\\_Country](https://en.wikipedia.org/wiki/French_Basque_Country)

<http://jauregui.perso.univ->

[pau.fr/Publicite%20bouquins/Basque\\_language\\_pdf.pdf](http://jauregui.perso.univ-pau.fr/Publicite%20bouquins/Basque_language_pdf.pdf)

<http://www.uoc.edu/euromosaic/web/document/basc/an/i3/i3.html#4>

<http://www.mercator->

[research.eu/fileadmin/mercator/dossiers\\_pdf/basque\\_in\\_france2nd.pdf](http://www.mercator-research.eu/fileadmin/mercator/dossiers_pdf/basque_in_france2nd.pdf)

<http://www.britannica.com/topic/Basque-language>

## Tamari Lomtadze

### The Socio-linguistic Functions of the Basque Language in Spain

#### Summary

Basque Country is located in the Atlantic arc, on both sides of the Pyrenees mountains and is divided between Spain and France as follows: 1. Hegoaldi, or the Southern Basque Country is located in Spain where the Basques inhabit two autonomous communities: the Basque Country and Navarre autonomies. 2. Iparaldi or the Northern Basque Country located in France where the Basque language does not have an official status.

Unlike the other languages spoken in the Iberian Peninsula, Basque is not a Romance language, it does not belong to the Indo-European languages and its origins are not conclusively known.

The birth of the national movement at the beginning of the 20th century led to the increased interest towards the Basque language, eventually resulting in the standardization of the language.

After the enactment of the Spanish constitution and statutes of the Basque Country and Navarre autonomies in 1978 the Basque language became an official



---

language alongside with the Castilian in these communities. The introduction of the normalization law regulating its functioning in education, administration and mass media further reinforced its positions. Education and the administrative laws are available in both languages and there are the Basque newspapers and the radio-TV stations.

Basque is not an official language in France but due to the taken measures the number of the bilinguals is constantly growing which is a prerequisite for the preservation of the Basque language. According to the statistic data, the bilinguals are mostly under 25 years old and representatives of the elderly generation in Iparaldi as well. The radio broadcast and books are available in Basque though in relatively limited numbers. There are also few Basque-speakers in the public services. Its use is more common in the domain of culture.

Although nationalism is very strong in the Basque, proportionally they have the lowest percentage of the Basque-speaking population (approximately 27%). The encouragement of the Basque language has a symbolic rather than a practical character.

## თამარ მახარობლიძე

### ზე- პრეფიქსის შესახებ ქართულში

ზე- პრეფიქსი თანამედროვე ქართულ ენაში ზოგ შემთხვევებში გამოიყენება როგორც აღმატებითი ხარისხის ნიშანი. საზოგადოდ, ზედსართავი სახელების ხარისხის ფორმები ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართველი მეცნიერების მიერ (შანიძე 1980, ჩიქობავა 1950, იმნაიშვილი 2008, ფიქრიშვილი 2003 და სხვ.). ზოგადი ტიპოლოგიური თვალსაზრისით, თვისება შეიძლება იყოს მეტნაკლები. აქედან გამომდინარე, თვისებას გააჩნია ხარისხი. ეს უნივერსალური მოვლენა ენებში, მაგრამ ენები განსხვავებულ მიდგომებს გვიჩვენებენ ამ კუთხით. ხარისხის ძირითადი ზოგადი მოდელები ასე გამოიყურება:

1. ნეიტრალური - უფროობითი
2. ნეიტრალური - აღმატებითი
3. ნეიტრალური - ოდნაობითი
4. ნეიტრალური - თანაბრობითი
5. ნეიტრალური - თანაბრობითი - უფროობითი
6. ნეიტრალური - თანაბრობითი - ოდნაობითი
7. ნეიტრალური - თანაბრობითი - აღმატებითი
8. ნეიტრალური - უფროობითი - აღმატებითი
9. ნეიტრალური - უფროობითი - ოდნაობითი
10. ნეიტრალური - ოდნაობითი - აღმატებითი
11. ნეიტრალური - თანაბრობითი - უფროობითი - ოდნაობითი
12. ნეიტრალური - თანაბრობითი - უფროობითი - აღმატებითი
13. ნეიტრალური - უფროობითი - ოდნაობითი - აღმატებითი
14. ნეიტრალური - უფროობითი - ოდნაობითი - აღმატებითი
15. ნეიტრალური - თანაბრობითი - უფროობითი - ოდნაობითი - აღმატებითი

როგორც ვხედავთ, ნეიტრალური ფორმა არის საყრდენი, ამოსავალი ფორმა. ეს ძირითადი და აუცილებელი ფორმაა ყველა მოდელისთვის. ზოგ ენაში უფროობითს ენაცვლება ტერმინი „შედარებითი“. ზედსართავი ხარისხის ფორმებს აქვთ ორწევრიანი (1-3 მოდელი), სამწევრიანი (4-10), ოთხწევრიანი (11-14) ან ხუთწევრიანი (15) ოპოზიცია. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართულს მათე ვერსია აქვს ნეიტრალური - ოდნაობითი - აღმატებითი, თუმცა არ არის საერთო აზრი იმის შესახებ, ქართულში ხარისხის მეტობითი ფორმა უფროობითია თუ აღმატებითი. მეგრულს აქვს მეთერთმეტე მოდელი: ნეიტრალური – თანაბრო-

ბითი – უფროობითი – ოდნაობითი, ინგლისურს – მერვე: ნეიტრალური – უფროობითი – აღმატებითი.

როგორც ჩანს, ქართულ ენაში აღმატებით/უფროობით ხარისხთან მიმართებაში არის გარკვეული მოთხოვნა, რომ იყოს მეტი გამომსახველობა ან გაჩნდეს დამატებითი ენობრივი შესაძლებლობები. ცნობილია, რომ ზოგჯერ უ-ეს ცირკუმფიქსთან ორი უ- აღინიშნება პრეფიქსად (*უუმაღლესი*, *უუძვენიერესი* და სხვ.). სავარაუდოდ, ამ მოთხოვნის შევსების მცდელობაა ქართულ ენაში არსებული ზე- პრეფიქსის ენობრივი აქტივობა. ზე-პრეფიქსი წარმოშობით არის ფორმიდან ზედა / ზენა. მისი გენეზისი საკმაოდ ნათელია და ეჭვს არ იწვევს. ეს პრეფიქსული ფორმა ზე- გვაქვს ლექსემაში ზეცა, რომელიც ამ აფიქსით განსხვავდება სიტყვისგან ცა. განმარტებითი ლექსიკონი ამ სიტყვებს ასე გვიხსნის:

1. ცა - „დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე (რომელიც გუმბათის ფორმისა ჩანს), - ზეცა.“

2. ზეცა - „იგივეა, რაც ცა... ძვ. რელიგ. ვითომდა ზეცაში მყოფი ღვთაებრივი ძალა, – ღმერთი, განგება.“

მიუხედავად იმისა, რომ ეს საერთო წარმოშობის სიტყვები (*ცა* და *ზეცა*) ენაში სინონიმებადაა გააზრებული, რეალური სხვაობა ამ სიტყვებს შორის მაინც ცხადია: *ცა* (და მისგან ნაწარმოები „ციური“) არის ასტრონომიული სივრცე, ხოლო *ზეცა* (და მისგან ნაწარმოები „ზეციური“) არის ამ ასტრონომიული სივრცის ზემოთ არსებული ღვთაებრივი სამყარო, ანუ უფრო ზევით საფეხურზე არსებული განზომილება. საგულისხმოა ამ ტიპის ღვთაებრივი კატეგორიების მიმართ ენის დამოკიდებულება. ქართულ ენაში წინადადებაში ნათქვამი ან ნაგულისხმევი ასეთი სახელები ვინ-კატეგორიაში არ თავსდება. უფრო ხშირად მას დაესმის უსულოს კითხვა და რა-კატეგორიით ხდება მისი სახელდება: *რადაცამ მომიყვანა აქ. რამ შემეძვნა?* და ა. შ. ადამიანის ვინ-კითხვა ასევე არ დაესმის რელიგიურ ფიგურებს. ზე- და ზენა (და აქვე, ანტონიმური *ქვენა*) ასეთივე რელიგიურ-ფილოსოფიური სემანტიკით გვხვდება ძველ ქართულშიც, მაგ., *ზეგარდმო*, *ზენაარსი* და სხვ.

ზე- პრეფიქსი თანამედროვე ქართულ ენაში ზოგ სიტყვებთან გამოიყენება როგორც აღმატებითი ხარისხის ნიშანი:

*ზეაღმატებული*

*ზეწარმატებული*

*ზეაღტაცება*

*ზეკაცი*

საინტერესოა, რომ ენაში არის ზე- პრეფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელიც – *ზეკაცი* სწორედაც *ზეციურ კაცს*, *კაც ზე მეთს*, *ყველა ზე მეთ კაცს* გულისხმობს. აქ ამ პრეფიქსს რელიგიურ კონტექსტში გადაჰყავს ლექსემა *კაცი*. ზე- პრეფიქსი იმავე ფუნქციით ძალიან იშვიათია, მაგრამ მაინც დასტურდება ზმნის ფორმებშიც: *ზეაღმატება*, *ზეგარდამოვა* და სხვ. თუმცა ამ უკანასკნელ მაგალითში ვექტორული სემანტიკა უფრო იკითხება, ვიდრე აღმატებითობა.

ზე-პრეფიქსიანი ხარისხის ფორმები უმეტესად ნაზმნარ სახელებს მოუდით - მიმღობებსა და საწყისებს. მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა, რომ სემანტიკურად ზე-პრეფიქსიანი ფორმები უმეტესად პოზიტიური სემანტიკის მქონე სიტყვებთან გვხვდება. თითქმის არ გვხვდება უარყოფით, ნეგატიურ ფორმებთან. არ გავქვს ასეთი ფორმები:

*ზეცუდი*  
*ზებოროტი*  
*ზეგაფუჭებული*  
*ზეწამხდარი*  
*ზეუვარგისი*

თუმცა, ანტონიმური წარმოების პრინციპით ენას შეუძლია ფორმალურად აწარმოოს ამდაგვარი ფორმები: *ზეკეთილი* და *ზებოროტი*, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ნეგატიური ფორმები ზე-პრეფიქსით საჩოთიროა ენის მატარებელთათვის. *ზემაღალი* უფრო მისაღები იქნება ვიდრე *ზედაბალი* – ეს უკანასკნელი ფორმა (და ამ ტიპის ნეგატიური ან კლებადი შინაარსის მქონე სიტყვები) შიდა წინააღდეგობაშია საკუთარ შინაარსთან და ამის გამო იგი ჩანს მიუღებელი. საინტერესოა ის გარემოება, რომ ნეგატიური შინაარსის ფორმებს ყოველთვის ვერ უხერხდებათ აღმატებითი ხარისხის ფორმაწარმოება. ენაში არა გვაქვს ფორმები *მოკეთილო*, *მოკარგო*. ამრიგად, აღინიშნება გარკვეული სტრუქტურული სიმეტრია. ლინგვისტური ლოგიკა ნათელია: აღმატება და მეტობა ზოგადად აღმავალი ვექტორული მოვლენაა, ოდანობითობა, კლება და დაქვეითება კი - დაღმავალი ვექტორით ხასიათდება.

განხილულ საკითხთან მიმართებით საინტერესოა ქართული ჟესტური ენის მასალა. ამ ენაში დეიქტიური ჟესტებით იწარმოება ზედსართავის სახელის ხარისხის ფორმები. ქართულ ჟესტურ ენაში ზედსართავ სახელთა უმეტესობა აღმატებით ხარისხს აწარმოებს ზევით მიმართული ვექტორით, რომელიც ხელის მოძრაობის მიმართულებაშია გადმოცემული. მაგრამ გვხვდება განსხვავებული მიდგომაც. ერთმანეთს შევადაროთ ქვემოთ მოყვანილი ფორმები:



**უკეთესი** – ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ და მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გა-

შლილი და ქვევით დაშვებული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უარესი** – ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ *უარესი* აღმატებითი (მეტობითი) ფორმაა, ხელის მოძრაობის მიმართულება, მაინც ქვევით მიმართული ვექტორით წარმართება. ის იმიტომ ხდება, რომ ნეგატიური შინაარსის გამღიერება ასახული და ზოგადად ნეგატიური შინაარსი კი დადმაგალია.

ერთი მიდგომით, ქართულ სამეტყველო ენაში, შესაძლოა, *ზე-პრეფიქსი* განხილული იქნას როგორც აღმატებითი ხარისხის ნიშანი. ზედსართავი ხარისხის ფორმების ოპოზიციაში *ზე-პრეფიქსიანი* ფორმები შეგვიძლია ბუნებრივად მივიჩნიოთ:

- წითელი*
- მოწითალო*
- უწითლესი*
- ზეწითელი*

- ლამაზი*
- მოლამაზო*
- ულამაზესი*
- ზელამაზი*

მართალია, „*ზელამაზი*“ არ არის ხშირი ხმარების ფორმა, მაგრამ არც „*მოლამაზოა*“ აქტიურ გამოყენებაში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეტობის ფენომენი ზევით აღმავალი (ფარული, სემანტიკური ვექტორით) მოვლენაა და ამდენად, გასაგებია, თუ რატომ გახდა ენისთვის დასაშვები თვისების სიჭარბის აღნიშვნა ზე-პრეფიქსით.

სხვა შეხედულებით, შესაძლოა ზე-პრეფიქსის განხილვა როგორც აღმატებითი სემანტიკის დერივანტისა. ეს მიდგომა მეტ ყურადღებას იმსახურებს და უფრო შეესაბამება ქართული ენის სინქრონულ სიბრტყეს სტრუქტურული თვალსაზრისით. ერთი შეხედვით, ქართულ ენაში ზედსართავი ხარისხის ფორმათა გრამატიკული ოპოზიციის სრულყოფილი წევრი ზე-პრეფიქსიანი ფორმები ვერ გახდება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ზე-პრეფიქსით წარმოებისას ერთეულის ლექსიკურ-სემანტიკური კონტენტია გადამწყვეტი და ნეგატიური ფორმები არ აწარმოებენ ამ პრეფიქსით აღმატებით ხარისხს.
2. ზედსართავი სახელის ხარისხი კონკრეტულად ამ მეტყველების ნაწილის მორფო-სემანტიკური კატეგორიაა და ისიც, მხოლოდ პირველად ზედსართავებშია მოსალოდნელი. ხარისხის წარმოება მიმდებარებს უჭირს და სხვა მეტყველების ნაწილებს კი საერთოდ ვერ უხერხდება. ზე-პრეფიქსი კი მიმდებარების გარდა შეიძლება დაერთოს არსებით სახელს (*ზე-კაცი*, *ზე-ადამიანი*, *ზეამოცანა*) და საწყისს (*ზეგარდამოსვლა*, *ზეალტკინება*, *ზეწარმატება*). სავარაუდოდ, ზე-პრეფიქსიში ორი სემანტიკის შერწყმა ხდება: ზემოთა/ზევითა ვექტორული მიმართულების და თვისების ან მოვლენის სიჭარბისა ან მეტობის. ამიტომაც მას აქვს უფრო მეტი ლინგვისტური შესაძლებლობა. აღმატებითი ნიშანი ზე-გადის ზედსართავი სახელების ხარისხის კატეგორიის გარეთ და აწარმოებს აღმატებით ფორმებს სუბსტანტივებში (არსებითებსა და საწყისებში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ფუნქციური არეალი გაფართოვებულია.
3. თუ ჩვენ ამოვალთ წმინდა ფორმალური მიდგომიდან, ზე-პრეფიქსი როგორც გრამატიკული კატეგორიის ნიშანი ოპოზიციის სრულყოფილი წევრი ვერ იქნება ზედსართავის სახელის ხარისხის (როგორც კატეგორიის) ცირკუმფიქსური წარმოების ოპოზიციურ სქემაში.

ამ სამივე წინააღმდეგობას აქვს შესაბამისი საპირწონე არგუმენტები:

1. ის გარემოება, რომ ზე-პრეფიქსი ვერ აწარმოებს ფორმებს ყველა პირველადი ზედსართავიდან (ნეგატიური ფორმებიდან), ვერ გამორიცხავს ხარისხის მაწარმოებლად მის გააზრებას. ყველა პირველად ზედსართავს ოდნაობითის და უფროობითის ფორმებიც ვერ ეწარმოება. ზოგჯერ ძალიან ხელოვნურია ოდნაობითი და უფროობითი ფორმაწარმოება. ამასთან, ზოგადად დერივაციული აფიქსი მუდამ მოიზარებს ფორმის სემანტიკური შინაარსის გარკვეულ ცვლილებას.

2. ტიპოლოგიურ ჭრილში თუ განვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ სუბსანტივებთან ხარისხის (ან ინტენსივობის) მაწარმოებელი აფიქსები უცხო არაა სხვადასხვა ენებისთვის. (სეპირი 1944:94-95, ჯიქია 2011:280). ზოგან ამისთვის ან რედუპლიკაციაა გამოყენებული ან ცალკე ლექსიკური ერთეულები (ისევე როგორც ხარისხის წარმოებისთვისაც ზოგ შემთხვევაში). ქართულს აქვს ხარისხის (და ინტენსივობის) წარმოების სამივე შესაძლებლობა: აფიქსური, რედუპლიცირების (*ნელ-ნელა, ჩქარ-ჩქარი*) და დამატებითი ლექსიკური ფორმების დართვით (*ძალიან, მეტად, ნაკლებად*). სწორედ ეს დამატებითი ლექსიკური ერთეულები და მათი რედუცირებული ფორმები გარდაიქცევა მორფემებად ხანგრძლივ ენობრივ პროცესებში. ის ფაქტი, რომ რომელიმე კატეგორიის ამა თუ იმ აფიქსს შეიძლება ჰქონდეს ორმაგი სემანტიკა და მოქმედების შედარებით ფართო ენობრივი სივრცე, უცხო არაა ენებისათვის. აქ მაგალითისთვის კმარა ქართული *ი-* ან *ა-* ზმნური პრეფიქსები.
3. ქართული ხარისხის მაწარმოებლები ცირკუმფიქსებია, ზე-პრეფიქსი ფორმალურად განსხვავდება ამ კუთხით. მაგრამ დიაქრონიულად თუ მივუდგებით, ცირკუმფიქსები აფიქსთა ჯგუფია. არც ისაა გამორიცხული, რომ ენის განვითარების რომელიმე შორეულ ეტაპზე ასეთი ფორმებიც მივიღოთ: *ზე-აღმატებულები*. აქვე აღვნიშნავთ, რომ გრამატიკული კატეგორიის საოპოზიციო ცალები, შესაძლოა, სხვადასხვა ტიპის აფიქსებით იწარმოებოდეს. ამის კარგი მაგალითია პირის ნიშნები ქართულ ენაში.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ზე-პრეფიქსიანი ფორმები შეგვიძლია მივიჩნიოთ ზედსართავის სახელის ხარისხის კატეგორიის საოპოზიციო ფორმებად. ის გარემოება რომ ამ პრეფიქსს შეუძლია მეტობითი / აღმატებითი ფორმების წარმოება მეტყველების სხვა ნაწილებთანაც ანუ ის, რომ მას აქვს უფრო ფართო ასპარეზი, ვერ დააკნინებს მის როლს ხარისხის კატეგორიის წარმოებაში და პირიქით - შესაძლოა მყარი არგუმენტიც გახდეს მისი ასეთი გრამატიკული აქტივობა. ზოგადად დერივანტი აფიქსები გრამატიკალიზაციის პროცესებში ზუსტად ასე მოქმედებენ გადამკვეთ სიბრტყეებზე. თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს იყო ლექსემა *ზედა / ზენა* და აფიქსად ქცევისას მოხდა მისი ბოლო მარცვლის დაგარგვა, არის მორფემათა გრამატიკალიზაციის უნივერსალური პროცესის უტყუარი დასტური. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იდენტური ფაქტი დადასტურებულად ცნობილია - ზე სუფიქსთან მიმართებაში. მხედველობაში გვაქვს - ზე თანდებული. ამდენად, თანამედროვე ქართულ ენაში ზე აფიქსი სუფიქსურ პოზიციაში ძირითადად ლოკალური შინაარის მქონეა (თუმცა აქაც გვაქვს გამონაკლისები: *დროზე მოსვლა, ამაზე საუბარი* და სხვ.) და პრეფიქსურ პოზიციაში კი - აღმატებითი ხარისხის (ინტენსივობის) მაჩვენებელია.

ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ცხადია, ცვლილებებს ექვემდებარება. ეს ცვლილებები ხდება ენის იერარქიის ყველა დონეზე და ყველა

მორფო-სემანტურ კატეგორიას შეიძლება შეეხოს. ხდება გარკვეული მორფოლოგიური კატეგორიების ახლებური გადააზრება. უნდა ითქვას, რომ ენის კორპუსის სტატისტიკური მასალის გარეშე რთულია კონკრეტული დასკვნების გამოტანა. იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში ასეთი სტატისტიკური მასალაც ხელმისაწვდომი იქნება. ქართული ენის კორპუსის მასალები საბოლოო პასუხს გასცემს ყველა კითხვას ამ თემასთან დაკავშირებით. ნათელი მოეფინება იმას, თუ როგორი იყო დიაქრონიული როლი და ფუნქციები ზე-პრეფიქსისა ძველ ქართულში და ეპატობრივად როგორ განხორციელდა ამ აფიქსის გრამატიკალიზაციის პროცესი.

### ლიტერატურა

**იმნაიშვილი 2008** – „აღმატებითი“ ხარისხის განსაკუთრებული სახეობა. ქართველოლოგია, №12, თბილისი. 2008

**მარტიროსოვი 1946** – თანდებული ქართულში, იკვ. ტ. I, თბილისი, 1946

**მახარობლიძე 1995** – ზედსართავ სახელთა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ. ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1995

**ფეიქრიშვილი 2003** – ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკის გამოხატვის საშუალებები თანამედროვე ქართულში და აღმატებითი ხარისხის საკითხი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი №6, ქუთაისი. 2003

**შანიძე 1973** – ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი. 1973.

**ჩიქობავა 1950** – ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქეგლ, ტ. I თბილისი. 1950

Greenberg, Josef H. Some universals of grammar with particular reference to the order of meaningful elements. In: Universals of language, ed. by Greenberg J.H., second edition. Cambridge, Mass.: MIT Press, 1966, 48 - 61.

Jikia, Marika. “New” Type of Adjectives in the Ingilo Dialect of Georgian and Udi Languages as a Result of Turkic (Azerbaijani) Interferences \_ Languages and Cultures in the Caucasus . Papers from the International Conference“Current Advances in Caucasian Studies”(Macerata, January 21-23, 2010). Berlin/München: Sagner, 2011,pp. 277-284.

Sapir , Edward. Grading, a study in semantics. In: Philosophy of Science. In Language: vol.11, № 2, 1944, 93-116.



**Tamar Makharoblidze**On the Prefix *ze-* in Georgian

## Summary

The prefix *ze-* in Georgian is becoming more productive. It is used as a superlative morpheme, although this prefix may have the spatial vector as well. The prefix *ze-* appears with nouns, adjectives, participles, infinitives and very rarely, with finite verbs. The detailed morpho-semantic analysis of the prefix *ze-* is displayed in the paper. The forms of adjectives and participles with this prefix could be considered as prefixed opposition forms for the degrees of adjectives with the wider usage.

The presented paper illustrates the process of grammaticalization of the prefix *ze-* along with the theoretical typological explanations for this process, exposing the additional examples from the Georgian Sign Language.

## კობა მითაგარია, ლელა გიგლემიანი

### ზოონიმების შემცველი ფრაზეოლოგიზმები მეგრულში

მეგრული ენა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით, მათი წარმომავლობის გარკვევა კი მეტად მნიშვნელოვანია.

მრავალფეროვან ფრაზეოლოგიურ მაკროსისტემაში სხვადასხვა მიკროსისტემებს (ანუ ფრაზეოლოგიურ ბუდეებს) გამოყოფენ.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი თემაა ზოონიმების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი მეგრულში. ჩვენ მიერ სავსე პირობებში მოპოვებული და განხილული მეგრული მასალა ქართულ-სვანურთან შეპირისპირებით, ბუნებრივია, მეტად საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს. ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობის გარდა, აღნიშნული ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც წარმომავლობით, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკურად და, რაღა თქმა უნდა, განსხვავებულია მათი სინტაქსური ფუნქციებიც.

მეგრულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი:

1. იდიომი, რომელიც არის საკუთრივ მეგრული:

**გერიში გიმახვენჯი** „გულადი, შეუპოვარი“ (ზედმ. – მგელზე მჯდომი). გამოთქმა ისეთი ადამიანის (განსაკუთრებით ქალის) მიმართ გამოიყენება, რომელიც ვაჟკაცობით, გაბედულებით გამოირჩევა. სტრუქტურულად ეს გამოთქმა მართული მსაზღვრელ-საზღვრულია. საზღვრული **გე-მახვენჯი** სასუბიექტო მიმღეობაა (მაწარმოებელია პრეფიქს-სუფიქსი **მა-ჯ**) (შენგელია, 2013).

**კამბეშიქ მუში ნახონა მუქ დოტაბაკუა** „რაც გააკეთა თვითონ მოიხმარა“ (ზედმ. – კამეჩმა თავის ნახნავი თვითონ დატკეპნა)

**ფსუა ელატახილი ქოთომცალო გილურს** „მარტოხელაა“ (ზედმ. – ფრთა მოტეხილი ქათამივით დადის)

**კატუნცალო ორცხიმინანს** „გაკაპასებული ქალის მზერა“ (ზედმ. – კატასავით იყურება“)

**უჭყეშური თხა** „უთავბოლოდ მოხეტიალე“ (ზედმ. – უმწყემსარი თხა)

**ტურაში მაჭვალარი** „მოხერხებული, მარჯვე“ (ზედმ. – ტურის მწველავი.) **ჭვალ-** „წველა“ ზმნის ფუძეა, მიმღეობას **მა-ალ** აწარმოებს (შენგელია 2013)

მეგრ. **უჩა ქოთმიცალო გეკეთ** „გამდიდრდა“ (ზედმ. – შავი ქათამივით გაკეთდა)

მეგრ. **ყვარიაში ბედი უღუნია** „იღბლიანია“ (ზედმ. – ყვავის ბედი აქვს)

2. იდიომი, რომელსაც პარალელი ეძებნება ქართულსა და სვანურში:

მეგრ. **ჯოდორიში ბედი უღუ** „უმართლებს“ (ზედმ. – ძაღლის ბედი აქვს)

სვან. **ჟელი ბედ ხულჟა** „ბედნიერია“ (ზედმ. – ძაღლის ბედი აქვს)

მეგრ. **ჯოდორი დო კატუცალო რენა** „ვერ რიგდებიან“ (ზედმ. – ძაღლი და კატასავით არიან)

ქართ. **კატა-თაგვივით არიან** (ვერ რიგდებიან)

სვან. **ციცტ ი შდუგუდ ხაგხ უშხუარ** „გადამტერებულები არიან“ (ზედმ. – კატა და თაგვად ადგანან ერთმანეთს)

მეგრ. **მაჭვალი ჩხოუ** „გამოსაყენებელი კაცი“ (ზედმ. – მეწველი ძროხა)

ქართ. **მეწველი ძროხა** „გამოსაყენებელი კაცი“

სვან. **ლაშგალი ფუირ** „ქალაჩუნა კაცი“ (ზედმ. – ჩამოსაწველი ძროხა)

მეგრ. **გირინცალო მუშენც** „უზომოდ, დაუზოგავად მუშაობს“ (ზედმ. – ვირივით მუშაობს)

ქართ. **ვირივით მუშაობს** „უზომოდ, დაუზოგავად მუშაობს“

სვან. **წელშალ ლიშდუბ** „უზომოდ, დაუზოგავად მუშაობს“ (ზედმ. – ვირივით მუშაობა)

მეგრ. **მასქუალი ქოთომიცალო ვეგიაცადინე** „მოუსვენრობს“ (ზედმ. – კვერცხმდეები ქათამივით მოუსვენრობს)

სვან. **კროხ დუდუშალ ციაგე** „მოუსვენრობს“ (ზედმ. – კრუხი დედალივით მოუსვენრობს)

მეგრ. **ვირიშ მუშა** „იაფი, უფასო მუშა“ (ზედმ. – ვირის მუშა)

ქართ. **ვირის მუშა** „იაფი, უფასო მუშა“

მეგრ. **ათასი ოფოფი უხე დუს** „არასერიოზული აზრი უტრიალებს თავში, სერიოზულობა აკლია“ (ზედმ. – ათასი ოფოფი უზის თავში)

ქართ. **ოფოფები ყავს თავში** „არასერიოზული აზრები უტრიალებს თავში“

მეგრ. **ჯოდორიშ ნაჩამინცალო შუ** „მტკივნეულად ახსოვს“ (ზედმ. – ძაღლის ნაკბენივით ახსოვს)

ქართ. **ძაღლის ნაკბენივით ახსოვს** „მტკივნეულად ახსოვს“.

მეგრ. **კატუშ გუნაზინდა** „გასაცოდავებული“ (ზედმ. – კატის ნათრევი)

ქართ. **კატების ნათრევი** „გასაცოდავებული“

მეგრ. **ჯორშე გიმულა** „დათმობა, სიჯიუტის მოშლა“ (ზედმ. – ჯორიდან ჩამოსვლა)

ქართ. **ჯორიდან ჩამოსვლა** „დათმობა, სიჯიუტის მოშლა“.

3. იდიომი, რომელიც ნაწილობრივ თანხვედრას პოულობს ქართულთან ან სვანურთან:

მეგრ. **ჩხოლქ ინადვარუ** „ყრუ ადამიანი“ (ზედმ. – ძროხამ ჩაბღავლა)

სვან. **წელიშ ყულ დემ ხესმი** „შეუსმენელია“ (ზედმ. – სახედრის ყროყინი არ ესმის)

მეგრ. **ვირიშ გეხუნა** „სირცხვილში, უხერხულობაში ყოფნა“ (ზედმ. – ვირზე შეჯდომა) მეგრულში ასევე გამოიყენება **ჯორიშ გეხუნა** რომელსაც აქვს გაჯიუტების მნიშვნელობა.

ქართ. **ვირზე შეჯდომა** „გაჯიუტება“

მეგრ. **დუს ჩიტი ვეგიოჭურჭულანს** „ბუზიც არ აუფრინდება, მცირეოდენ შეწუხებასაც ვერავინ გაუბედავს“ (ზედმ. – თავზე ჩიტიც ვერ დააჭიკჭიკებს)

ქართ. **ბუზსაც არ აიფრენს** (შეწუხებას ვერავინ გაუბედავს)

სვან. **მერს დემ იგნე** „მცირეოდენ შეწუხებასაც ვერავინ გაუბედავს“, (ზედმ. – ბუზსაც არ დაისვამს)

მეგრ. **გორდიქ ხოლო კუჩხი გაფიცხინუა** „ამანაც ხმა ამოიღო, თავი წამოყო“ (ზედმ. ბაყაყმაც ფეხი გაიშვირაო)

ქართ. **კუმ ფეხი გამოყო** „ამანაც ხმა ამოიღო“.

ამრიგად, როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, მეგრულს, რომელიც სხვა ქართველური ენების მსგავსად, მდიდარი და მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით გამოირჩევა, ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ-სვანურთან. გვაქვს სიტყვიერი და სემანტიკური თანხვედრა, რომელიც გვხდება სამივე ქართველურ ენაში ან ორში. გვაქვს ნაწილობრივი თანხვედრა და საკუთრივ მეგრულში წარმოდგენილი იდიმატური გამოთქმები, რომლებიც სხვა ქართველურ ენებში არ შეინიშნება.

## ლიტერატურა

**მითაგვარია, გიგლეშიანი 2013** – კ. მითაგვარია, ლ. გიგლეშიანი, „ზოონიზმების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ მეგრულში“ რესპუბლიკურ დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXXIII.

**საღლიანი 2013** – მ. საღლიანი, „სვანური ფრაზეოლოგიური გამოთქვამების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, იკე, XLI.

**სახოკია 1954** – თ. სახოკია „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ II.

**ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, I.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, II

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, III.

**ქაჯაია 2009** – ო. ქაჯაია „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, IV

**ქობალაია 2010** – ა. ქობალაია „მეგრული ლექსიკონი“.

**შენგელია 2013** – ვ. შენგელია „გერიში გემახვენჯი“ რესპუბლიკურ დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXXIII.

**ჩიქვანაია 1954** – ა. ჩიქვანაია „მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“.

**Koba Mitagvaria, Lela Giglemiani**

**On the Phraseologisms Containing Zoonyms in Megrelian**

Summary

The Megrelian language is rather rich and diverse in terms of phraseological expressions. It is very important to find out their origins.

As the research material shows Megrelian that is characterized with rich and diverse phraseological expressions, just like other Kartvelian Languages, has much in common with Georgian and Svan. We have the verbal and semantic matching which is found in all three or two of the Kartvelian languages. We also have the partial matching and the idiomatic expressions that are characteristic solely for Megrelian.

## ნანა სააკაძე

### აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკური ნასესხობანი საჭმელ-სასმლის აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში (ქვემოქართლური კილოკავის მიხედვით)

აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ქართულ ნასესხობათა შესახებ არაერთგზისი გამოკვლევა აქვთ ივ.ჯავახიშვილს, ს.ჯიქიას, ვ.ჯანგიძეს.

წლების მანძილზე დაკვირვებისას დიალექტოლოგიური მონაცემების გათვალისწინება არ ხერხდებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიალექტების ლექსიკური მონაცემები უკანასკნელ წლებამდე ნაკლებად იყო შესწავლილი. დღეს კი წინა პლანზეა წამოწეული ამა თუ იმ დიალექტის უფრო ვრცლად და დეტალურად აღწერა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ აზერბაიჯანულ ენაში დამკვიდრებული ქართული ლექსიკური ერთეულები და პირიქით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ა.აზიზბეგოვის „აზერბაიჯანულ-რუსული ლექსიკონი“ და ვ.ჯანგიძის „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი“.

ნაშრომში ძირითადად განხილულია ქვემო ქართლში დადასტურებული ჭამასთან დაკავშირებული ლექსიკის ნიმუშები, რომელიც ნასესხებია ქართულიდან და მიჩნეული აქვთ (ზოგიერთ ქართველ მკვლევარსაც კი) აზერბაიჯანულ ლექსიკურ ერთეულებად და პირიქით, ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი მათი წარმომავლობაც და გამოყენების სფეროც ქართულია. ასეთებია: ქართული – ხინკალი, შეჭამადი; აზერბაიჯანული – ყაურმა, ყურუთი, არაყი.

**ხინკალი** იმერულში დასტურდება და აღნიშნავს „ნამუსრევი ნამცეცი“ (ქეგლ, 1981 : 415). სულხან-საბასა და ნ.ჩუბინაშვილის ლექსიკონებში ფიქსირებულია „დუმის შაშხის“ -ს მნიშვნელობით (საბა, 1993 : 423 ; ჩუბინაშვილი, 1961 : 469). ალ. ლლონტს ლეჩხუმურში აღნუსხული აქვს როგორც „წვრილი ფიჩხი“ (ლლონტი, 1984 : 463).

ქვემო ქართლში დადასტურებული **ხინკალი** იდენტურია ქიზიყური ხინკლის მნიშვნელობისა. აღნიშნული ლექსემა ფონეტიკური სახესხვაობით „ხანგალი“ გვხვდება ქვემოქართლელ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში ქართული ხინკლის, როგორც საკვები პროდუქტის მნიშვნელობით. ფორმა „ხანგალი“, ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „მაფის კონა ან შულო საკერავთათვს მომზადებული“-ა (ჩუბინაშვილი, 1961 : 462). ეგვევ მნიშვნელობით დასტურდება თურქულშიც და პროფ. ლ. რუხაძე მიიჩნევს, როგორც თურქულ ლექსემას (რუხაძე, 1999 : 18).

აზერბაიჯანული – ხანგალი – ფორმა, თავკიდურ პოზიციაში თურქულ K-ს ქართულში შეესაბამება -ხ. აზერბ. ხანგალი < თურქ. Kangal. აზერბაიჯანული -ხანგალი- ფორმა ქართულ -ხინკალი- ს როგორც საკვები პროდუქტის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობაა.

ხ[ანგ]ალი < ხ[ინკ]ალი. სიტყვის ბოლოკიდური -ი ხმოვანი წინა რიგის -ხ

თანხმოვნის შემდეგ აზერბაიჯანულში გადავიდა -ა ხმოვანში. იმოქმედა აზერბაიჯანულმა ფონეტიკურმა კანონმა - ჰარმონიამ ხმოვანსა და თანხმოვნებს შორის, რომლის თანახმადაც -გ , -კ თანხმოვნებთან იხმარება შუა რიგის -ა ხმოვნები. წინა რიგის -ი ხმოვნის -ა-ში გადასვლა შეიძლება აიხსნას ხმოვანთა ჰარმონიის კანონის ზემოქმედებით. ცნობილია, რომ ქართულ „კ“ აბრუპტივს აზერბაიჯანულში შეესატყვისება „გ“ და ქართულმა „ხინკალმა“ მოგვცა აზერბაიჯანული „ხანგალი“ ფორმა.

ამრიგად ირკვევა, რომ თურქულენოვან მოსახლეობაში ფორმა „kangal“ ორი მნიშვნელობით დასტურდება: 1. ძაფის კონა ან შულო საკერავთათვის ; 2. საქმელი ხინკალი. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსემის პირველი მნიშვნელობა თურქული წარმომავლობისაა, მისი მეორე მნიშვნელობა კი, ჩანს - ქართულენოვანი წარმომავლობისა უნდა იყოს.

**შეჭამადი** > თურქ. Шешамоду > აზ. Шешамади წვნიანი საქმელია. მაგ. : „მაწვნის შეჭამადი“, „შინდის შეჭამადი“, „მჟაუნის შეჭამადი“, „დოს შეჭამადი“, „ლობოს შეჭამადი“, რომელსაც ფართოდ იყენებენ ყოფაცხოვრებაში არამარტო ქვემოქართლელი აზერბაიჯანელები, არამედ თვით ქვემოქართლის ქართული მოსახლეობაც.

ამ ლექსემასთან დაკავშირებით შესაძლებელი ხდება გამოვავლინოთ სიტყვათა ექსტენსიონალზე დამყარებული ჰიპონიმია , როცა ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვას იქვემდებარებს, რომლის დროსაც იქმნება ცალმხრივი იმპლიკაცია.

კუთხური ლექსიკის დარგობრივად ასახვის დროს ლექსიკური ერთეულების ბუდეების მიხედვით წარმოდგენისას მყარდება ჰიპონიმური მიმართებანი. ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა იქვემდებარებს კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს და ამ გზით წარმოიქმნება სუბორდინაციური მიმართება სემანტიკურ ველსა და ლექსიკურ ერთეულებს შორის.

მოცემულ შემთხვევაში „შეჭამადი“, როგორც კლასი, ქმნის სემანტიკურ ველს, როგორც გარკვეული თვისებების მქონე წვნიანი, ანუ თხევადი საკვები პროდუქტი, ხოლო „მაწვნის შეჭამადი“, „შინდის შეჭამადი“ (იგივე მახობი), „მჟაუნის შეჭამადი“, „დოს შეჭამადი“, „ლობოს შეჭამადი“, როგორც ნაკლები ექსტენსიონალის მქონე სიტყვები, ჩართული აღმოჩნდება თხევადი საკვების აღმნიშვნელი მეტი ექსტენსიონალის მქონე სიტყვაში, ე.ი. კლასში , როგორიცაა „შეჭამადი“.

საყურადღებოა, რომ საანალიზო ლექსემა „შეჭამადი“ დასტურდება ძველ ქართულ ძეგლებში. სულხან-საბას მიხედვით „ მინესტრო“ B.თ. ფარიზანა B, იემაგ C.B.ს. პასუგ B.უტელუ CB (საბა, 1993 : 580). ნ. ჩუბინაშვი-

ლის ლექსიკონში ფიქსირებულია „შეჭამადი საჭამადი, სამარხოთაგან შემზადებული სანოვაგე“-ს მნიშვნელობით (ჩუბინაშვილი, 1961 : 424).

„шешамади“ ყაზახის რაიონში ფართოდ გავრცელებულია და აღნიშნავს „ხმელი ლობიოსაგან მომზადებულ საჭმელს“. ყოველივე ზემოთქმულის თანახმად, ვფიქრობთ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული ქართულიდან უნდა იყოს შესული ქვემოქართლელ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში, რადგანაც აზერბ. Шешамади ფორმა ოდნავ სახელცვლილია ქართული შეჭამადისა. „III“ თანხმოვანმა დაიმსგავსა მომდევნო მარცვლის „ჭ“ და მოხდა სრული ასიმილაცია, რაც ქართულ დიალექტებში არ დასტურდება, შემდეგ „მ“ თანხმოვანმა გააბაგისმიერა მომდევნო გვერდითი A და გადააქცია O-დ, ხოლო O-მ კი გააბაგისმიერა II და დისიმილაციის საფუძველზე Y-დ გადააქცია, რის შედეგადაც მივიღეთ „шешамоду“ ფორმა. საანალიზო ლექსემა ქვემოქართლელ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მაგ : მარნეულელ აზერბაიჯანელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია ფორმა шешамоду, ვინაიდან მარნეული აზერბაიჯანის სასაზღვრო რაიონია და თავისთავად აქტიურ ზეგავლენას ახდენს ლექსიკურ სფეროზე, ხოლო დმანისელ და ბოლნისელ აზერბაიჯანელთათვის კი – шешамади, რადგან ეს რაიონები უფრო ქართულ გარემოცვაში იმყოფებიან.

**არაყი** < араг ქვემო ქართლის ქართველთა მეტყველებაში აზერბაიჯანულიდან ნასესხები ლექსემაა, რასაც ნათელყოფს ამ სიტყვის ქართული **არაყი** – ფორმა.

ვ. ვ. რადლოვის განმარტებით, аракы (არაკი) ტელეუტის, საგაინის, ყაზანის, ბარაბინის, ტობოლური, ყირიმის, ოსმალურ-მონღოლურ-არაბული წარმოშობისაა და პოლისემიური ლექსიკური ერთეულია. ალტაიში, ტელეუტსა და საგაინში აღნიშნავს 1. რძისგან დამზადებულ არაყს; 2. ყურძნის ღვინოს. ლებედინის, საგაინის, კოიბალსკისა და კაჩინის დიალექტებში დადასტურებულია არაყი-ს მნიშვნელობით (В.В.Радлов, 1893 : 249-250) ვ. ჰაჯიევის აზერბაიჯანულ-ქართულ ლექსიკონში კლასიფიცირებულია АРАГ-ფორმა, რაც აღნიშნავს არაყს (ჰაჯიევი, 1997:17).

ნ. ჩუბინაშვილისა და სულხან-საბას მიხედვით **არაყი** რახი არაბულად ოფლი, რამეთუ სასმელი არაყი არს ქუაბის ოფლი арак (ჩუბინაშვილი, 1961 : 139) „ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების (საბა, 1991 :60). ვ.ჯანგიძის ქართულ-აზერბაიჯანულ ლექსიკონში არაყი = arag დასტურდება (ჯანგიძე, 1987 : 31). აზერბაიჯანელები -არაყ ფორმის ნაცვლად არაგ-ს ხმარობენ, ვინაიდან ქართული „ყ“ აბრუპტივი გადადის „გ“-ში და გვაქვს არაყი ← არაგ.

აღსანიშნავია, რომ ქვემოქართლელი აზერბაიჯანელი მოსახლეობა არაყს ჭაჭასაც უწოდებს. სულხან-საბას განმარტებით კი ჭაჭა ყურძნის ქერქია (საბა 199 : 399). ნ. ჩუბინაშვილს აღნუსხული აქვს, როგორც „დაწურვილის ყურძნის დანარჩენი ჩენჩო; იმერულში თირკმელი ან სუკი“ (ჩუბინაშვილი, 1961: 457). ვ. ვ. რადლოვს სხვადასხვა მნიშვნელობით აქვს აღწერილი : чәчә (1) (Osm.) – маленькая рыба,мясо, которая горькая и несъедобная . чәчә (2) (Sag.) – Старшая сестра, тетка, мачеха., чәчә (3) (Sag. Kas. Tob.) – 1. Захлебнуться; 2. (Kas.Tob.) рыгать (Радлов 1905: 1906).



ზემოთქმულის თანახმად, გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ ჭაჭა და არაყი არის არაბული წარმოშობის სხვადასხვა მნიშვნელობის ლექსემები, ხოლო ქართულში ამ ორი ლექსემის მნიშვნელობა ერთმანეთის იდენტურია და მაგარ არაყს ნიშნავს, მაშინ როდესაც **ჭაჭა** აზერბაიჯანულში არის სასმელი არაყი, ოსმალურში არის 1. პატარა თევზი; 2. უფროსი და; დედინაცვალი; 3. ყაზანისა და ტობოლურ დიალექტში კი წაბორძიკება, ქვითინი. ხოლო ქართულში **ჭაჭა** არის 1. ყურძნის მარცვლის ჩენჩო და აქვს მეორე მნიშვნელობაც – ყურძნის ჩენჩოსგან დამზადებული არაყის აღსანიშნავადაც გამოიყენება. ხილის არაყის აღსანიშნავად კი ჭამა-სმის აღმნიშვნელ ქართულ დიალექტოლოგიურ ლექსიკურ ფონდში შემონახული გვაქვს ლექსემები : „ჭიპიტაური“, „რახი“. მათი სიძლიერის აღსანიშნავად კი დასტურდება ტერმინები : „ნაბოლავარი“, „მამანი“, „წინნაქარი“ → „წინწანაქარი“.

**ყაურმა** < აზ. Govurma შემწვარი ხორცი-ს მნიშვნელობითაა კლასიფიცირებული ქვემოქართლელ აზერბაიჯანელ და ქართველთა მეტყველებაში. საანალიზო ლექსემა აქტიურად იხმარება ქართული ენის მთის დიალექტებში (ფშაური, ხევსურული). ქიზიყურში დასტურდება და აღნიშნავს „ქვაბში, უწყლოდ, თავის ქონში მომწვარი ხორცი. დიდხანს იხარშება. მთაშიც აკეთებენ და ბარად ჩამოაქვთ გუდით“ (მენტემ., 1943, 205). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ქვემოქართლელთა მეტყველებაშიც.

მესხურში **ყაურმა** რთული სიტყვის კომპონენტია: ყაურმუშოვა „კურის ფქვილისა და ერბოსაგან მომზადებული წვნიანი შეჭამადი (ალ. ღლ., 1984, 604). ყაურმუშოვას სინონიმია ქვემოქართლური ყაურმელა||ფუმრუკი||მუკლუკი||ლუკლუკი.

ყაურმა აზერბაიჯანული წარმომავლობის ლექსემაა, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობითაა ფიქსირებული აზიზბეკოვის აზერბაიჯანულ-რუსულ ლექსიკონში. 1) Govurma-Kavurma (жареное мясо), жаркое, жаревое; 2) Govurma-поджаривание (Азизз., 1928, 108).

**ყურუთი** < თურქ. Gürüt ყურუთი, ქვემოქართლელ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში აქტიური ხმარების ფონდს განეკუთვნება და გამოიყენება აზერბაიჯანულ ხანგალზე მოსასხმელად, რომელიც დამზადებულია გაწურული გამხმარი მაწვნისაგან. ყურუთის მომზადება : მაწონს გაწურავენ დოლბანდში, ისე რომ შრატი არ შეეყვს, შემდეგ დაუმატებენ მარილს, პატარ-პატარა გუნდებს გააკეთებენ (დაახლოებით 300-400 გრ.) და გასახმობად დაალაგებენ ფიცარზე. მთელი წლის განმავლობაში ინახავენ. როცა ხინკალს მოამზადებენ, წინდლით ცივ წყალში უნდა დაალბონ, ათქვიფონ, დანაყილი ნიორი ჩამატონ და ზემოდან მოასხან **ხანგალს**. ეგვევ მნიშვნელობითა და ეგვევ წესით იყენებს ბოლნისის რაიონის ქართული მოსახლეობაც.

როგორც ჩანს, ქვემოქართლური ყურუთის აზერბაიჯანული Gürüt სიტყვიდან მომდინარეობა ეჭვს არ უნდა იწვედეს, რადგანაც აღნიშნული ლექსემა არცერთ დიალექტურ და სხვა ქართულ ლექსიკონებში არ არის კლასიფიცირებული.

წარმოდგენილი ლექსიკური შეხვედრების სახით, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ხალხთა მჭიდრო და მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიუ-

ლი თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტების შედეგად ჩამოყალიბებულ სიტყვათა ჩვეულებრივ სესხებასა და უკუსესხებასთან, ვიდრე ტიპოლოგიურ მსგავსებასთან.

### ლიტერატურა

- აზიზბეკოვი** – А. Азизбеков, Азербайджанско-русский словарь, Баку.
- ორბელიანი** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.
- რუხაძე** – ლ. რუხაძე, თურქიზმები ქეგლ-ში, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი.
- რადლოვი** – В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, Санкт-Петербург.
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.
- ღლონტი** – ალ. ღლონტი, ქართულ კილ-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.
- ჩუბინაშვილი** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ჯანგიძე** – ვ. ჯანგიძე, ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი, თბილისი.
- ჰაჯიევი, ნასიბოვი** – ვ. ჰაჯიევი, ნ. ნასიბოვი, აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი, ბაქო.

### Nana Saakadze

#### The Azerbaijan-Georgian Lexical Borrowings in the Semantic Field Denoting Food and Drink (Based on the Lower Kartlian Dialect)

#### Summary

In the speech of the residents of the Lower Kartli region the Azerbaijan lexical borrowings are attested. The reason may be the centuries-old cultural and historical, political and economic contacts.

The paper mainly deals with the food and drink vocabulary attested in Lower Kartli that was borrowed from Georgian and sometimes from the Azerbaijani language e.g. Geo. Khinkali, Shechamadi; Azer. Kaurma, Kuruti, Vodka.

## მედეა საღლიანი

### სივრცული ლოკალიზაციისათვის სვანურში

#### II. უსულო საგნების (resp. ობიექტების) სივრცული ლოკალიზაცია

1. **უსულო საგნების** (resp. ობიექტების) **სივრცული ლოკალიზაცია**. რა შეიძლება ითქვას უსულო საგნების (resp. ობიექტების) სივრცული ლოკალიზაციის შესახებ სვანურში? ასეთ შემთხვევაში, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ტოპოლოგიურ საფუძველზე ობიექტების კლასიფიცირება, სულიერთან შედარებით, კიდეც უფრო არათანმიმდევრულია, რაც სვანური მასალის ანალიზიდანაც ნათლად ჩანს. უფრო მეტიც, სვანური ენის დიალექტები ამ მხრივაც ერთგვარ უნივერსალურ ვითარებას ასახავენ. ცნობილია ისიც, რომ უსულო საგნებს შემდეგნაირად აჯგუფებენ: ერთი მხრივ, გამოიყოფა ზევით წაგრძელებული – „ვერტიკალურად ორიენტირებული“ ობიექტები, მეორე მხრივ, ბრტყელი – „ჰორიზონტალურად ორიენტირებული“ ობიექტები. ე. რახილინის აზრით, მოსალოდნელი იყო, რომ ამ ობიექტების მდებარეობა შესაბამისი ზმნებით (ზოგადად, „დგომა“, „დება“) აღნიშნულიყო, მაგრამ აშკარაა, რომ ენებში ეს მიმართება, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფიქრობენ (ნ. ლოლაძე), ასე ცალსახა არაა. ერთი მხრივ, მსგავსი მახასიათებლების მქონე ობიექტებს სხვადასხვა პრედიკატი მიემართება; მეორე მხრივ, ობიექტთა ნაწილის აღწერა ჰორიზონტალური / ვერტიკალური მიმართებებით „მეტისმეტად მეტაფორულია“. მაგ.: В конце предложения *стоит* точка (რახილინი 1998:70), შდრ. ქართ. წინადადების ბოლოს *ზის* / დასმულია წერტილი (ნ. ლოლაძე) და, ასევე, სვან. **წინადადებებში ღოშგიმ ლგგ/ზაგ წერტილ/** „დასმულია წერტილი (ანუ „*დგას/ადგას* წერტილი“)“. გარდა ამისა, მეტაფორიზაციად შეიძლება ჩაითვალოს სვანურში **ხაძრა** „აწერია“ პრედიკატის ნაცვლად გამოყენებული **ხაგ** „ადგას“ (მაგ.: ვხგჷვზ ამეისგა მიჩა მუჷ ლაირ, ... **ამეიი ხაგ** აღჷჷინტი **ღალატ** (ზზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 151:24-26) „ამაში იპოვა მამამისის წერილი, სადაც ეწერა ამ ბიჭის დაღუპვის ამბავი („ამაზე ა-დგ-ას ამ ბიჭის **ღალატ-ი**“); ალ **ლაძრისგა** მა **ხაგ**, ალი მაგ ტკიც ლი (ზქ.) „ამ წიგნში რაც წერია („ა-დგ-ას-ს“), ეს ყველაფერი სიმართლეა“; **ლეღაშა** ზაგარ ჩხენ ქა თერა ი **რუქელეი** ჩაგ **ეი ხაგ** (ლშზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 203:23-24) „ლაშხეთის გორაკი ყველა მხრიდან ჩანს და რუკებზე ყველგან გამოსახულია („ზე ა-დგ-ას“)“ და ა. შ.

აღნიშნულ ზმნათა სემანტიკური განაწილების საფუძვლის ახსნა, მეცნიერთა აზრით, ტოპოლოგიით შეუძლებელია (რახილინი 1998:70).

სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარია, ასევე, ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც აღნიშნული ზმნები ამა თუ იმ მოვლენას მიემართება და არა კონკრეტულ ობიექტებს (მაგ., ქართ. *საშინელი ხმაური იდგა; ცუდი სუნი დგას...*). აღნიშნული ვითარებას ქართულში ეხება ნ. ლოლაძე. რაც შეეხება სვანურს, ჩვენ ამ საკითხის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა.<sup>1</sup>

საინტერესოა რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში და რის მიხედვით ხდება არაცოცხალი სამყაროს ობიექტების კლასიფიკაცია (ანუ *მცენარეების, საგნების, ნივთების* მდებარეობის, პოზიციის აღნიშვნა)?

ფიქრობთ, არაცოცხალი სამყაროს ობიექტები (ანუ *მცენარეები, საგნები, ნივთები*) მათი სივრცული ლოკალიზაციიდან გამომდინარე ორ ნაწილად უნდა დაიყოს – *მცენარეები* და *არაცოცხალი საგნები*, ვინაიდან აღნიშნული ობიექტების ფუნქციონირება სვანური ენის კილო-კილოკავების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია.

2. **მცენარეთა სივრცული მიმართებები სვანურში.** ძალზე საყურადღებო სურათს წარმოგვიდგენს სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით მცენარეთა აღმნიშვნელი სახელები სვანური ენის კილო-კილოკავებში, რომელთაც მიემართება რამდენიმე პრედიკატი – **ხაგ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.), **ხაგ** (ბქ., ლნტ.) „ხარობს, მცენობს, დგას („ადგას“)“, **ხოგ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.)<sup>2</sup>, **ხოგ** (ბქ., ლნტ.) „აქვს, უდგას“, **ხალაშა** (ზზ., ლშზ., ჩოლ.), **ხალაშა** (ბქ., ლნტ.), **ხოლაშა** (ზზ., ლშზ., ჩოლ.), **ხოლაშა** (ბქ., ლნტ.) „უთესია („ურგია“)“, **ხალჯა** (ზს., ქს.), **ხოლჯა** (ზს., ლშზ., ჩოლ.), **ხოლაჯა** (ლნტ.) „უთესია, ურგია“, **ხონგრგაჟა** (ზს.), **ხონერგაჟა** (ლნტ.) „უთესია, ურგია (უნერგია“)“ და ა. შ.

**ხაგ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.), **ხაგ** (ბქ., ლნტ.) „ხარობს, მცენობს, დგას („ადგას“)“

#### ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

გოროდისგა ლახილ ლი: ჩიწგ **გაკ ი ქილჟანდ ი ბარყუნდ**, უისგჟ ი ამენქა მამაგჟემ **ხაგ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 47:7-8) „ქალაქში ხილნარია: ყველგან კაკალი და ქლიავი და ტყემალი, ვაშლი და ამის მეტი არაფერი ხარობს („ა-დგ-ა-ს“)“; ცხეკდ **ჯიპრა** გარ **ხაგ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 48:1-2) „ტყეში მხოლოდ მუხა ხარობს („ტყედ მუხა მხოლოდ ა-დგ-ა-ს“)“; ამეჩუ ხოშა **ჯიპრა ხაგ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 117:3) „აქ დიდი მუხა დგას („ა-დგ-ა-ს“)“; ცხეკი ეჩხე პილს **ცაცხუ ხაგ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 117:14-15) „ტყის მეორე მხარეს ცაცხვი დგას („ა-დგ-ა-ს“)“; ... მინე ყორჟი სემი **ჰალჟა მეგამ ხაგ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 411:16)

<sup>1</sup> იხ. სივრცული ლოკალიზაციისათვის სვანურში. I. ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და ქვეწარმავალთა მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნების სივრცული ლოკალიზაცია და მათი ურთიერთმიმართება „მყოფობის“ ზმნებთან. I. ეტიმოლოგიური ძიებანი, XI, 2014.

<sup>2</sup> ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლურული კილო)“ შეგვხვდა და **ციჟალდე** „ჯეჯილობს“ პრედიკატი, რომელიც, ჩვენი აზრით, უდრის „ხარობს, მცენობს“ (1994:322).

„მათ ეზოში სამი ალვის ხე დგას („ა-დგ-ა-ს“); ბეტას ლოხტუნა: „ამგუნა ხოჩა თტალაშ წიფრესერ დესა ხაგ მინემმეც (სვან. ქრესტ., 77:6-7) — ბევამ უპასუხა თურმე: „ამისთანა ლამაზი წიფლის ხე ჩვენთან არ ხარობსო („ა-დგ-ა-ს“); ჰაზრისგა ყუაჟილ ხაგ „ეზოში ყვაილი ხარობს („ყვაილი ა-დგ-ა-ს“); ლარას ამ-ზაჟ ხოჩა ლეკმე ხაგ „სათიბში წელს ბევრი ბალახია („სათიბს წელს კარგი მოსათიბი ა-დგ-ა-ს“); წუირმის ხუამ განკუტ ხაგ „წვირმიში ბევრი ანწლია („ა-დგ-ა-ს“); თუმცა უფრო გავრცელებულია მყოფობის გამომხატველი პრი „არის“ პრედიკატი; ბადისგა ხუამ ხილ მიგ „ბალში ბევრი ხილი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“); ჰაზრისგა ხომა კვლთხი გაკ მიგ „ეზოში ძალიან მაღალი კაკლის ხე მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“); ლარასგა ხოჩა ხილარ ჯიგ „სათიბში კარგი ხილი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“)“ ...

### ბ ა ლ ს ქ ე ე მ ო უ რ ი

ნიშგემმეც განკუტი მასწარ ხაგ (სვან. ქრესტ., 205:11) „ჩვენთან ანწლიც ბევრი ხარობს („ა-დგ-ა-ს“); ... ნიშგემმეც მანთან ხილ ხაგ (სვან. ქრესტ., 1978, 204:42) „ჩვენთან ყველანაირი ხილი ხარობს („ა-დგ-ა-ს“); ხილ ხაგ დანლს ხომა კაკ, ეჩქანლო ბარყუნ, ჟიგბ ი ჟისგ, გუიჯ, ადნად ქილჟარდ, შდის, ატამა, ზია, ანთროლო, ადნად ყუნზელ, მენგმგლდ, ინდა, ცინყა, ჟიღუ, მენცხუარ (სვან. ქრესტ., 188:15-17) „ხილი ხარობს („ა-დგ-ა-ს“)“ დალის ხეობაში უფრო კაკალი, მერე ტყემალი, მსხალი და ვაშლი, წაბლი, კიდევ ქლიავი, თხილი, ატამი, ზია, მსხვილი ვაშლი, კიდევ ყურძენი, მიწის მოცვი, ჟოლო, მოცვი, მაყვალი, მოცხარი“; ჰაზრისგა ხოჩა თტალაშ ყუაჟილ ხაგ „ეზოში ძალიან ლამაზი ყვაილი ხარობს („ყვაილი ა-დგ-ა-ს“); ცხეისგა ხომა სჟირილ მეგმარ ხაგბ „ტყეში უზარმაზარი ხეებია („ხეები ა-დგ-ან-ან“)“ ...

### ლ ა შ ხ უ რ ი

... სასაშ'უ' ... ჟიქანჩუ ხოჩა ლედმურა ხაგ ი ეჩა ქუნ ოხლტა ბუქს (სვან. (ლაშხ.) ტექსტ., 3:33) „სასაშხ ზემოდან ნაძვნარი აკრავს („ა-დგ-ა-ს“) და იმისი სუნი მოაქვს ქარს“; ... ლალჯანნო შუკუ ერ ხადეს, ეჩქა თელდ ლენტხას ქუხერი, ეჯიმაგ ლეკმელ ხაგ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 198:22-23) „სამარხილო გზა რომ იყოს („ჰქონდეს“), მაშინ მთელ ლენტხეს ეყოფა, იმდენი თივა მოდის („ა-დგ-ა-ს“)“; ლესგარს ხოჩა ლეცხეც ლედმურ ხაგ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 200:6) „ფერდობებზე კარგი ხშირი ნაძვნარია („ა-დგ-ა-ს“)“; ალე ლეცხეც გიმ ლი, მარა ნეცინ ცხეც გარ ხაგ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 211:9) „ეს ტყიანი მიწაა, მაგრამ წვრილი ტყეა მხოლოდ („ა-დგ-ა-ს“)“; მეგმი გჟარიშ დესა ხაგ ი დე იშგენ შარტამ ი დე ბალხორა გჟარიშ მალე (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 221:18-19) „ხის მაგვარი არაფერი დგას („ა-დგ-ა-ს“) და არც ბოსტნეული და არც ბალახის მსგავსი არაფერი“; ალ სუფისა ხაგ ცაცხუი მეგემ იტჟიმშ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 223:5-6) „ამ სოფლის მოედანზე დგას („ა-დგ-ა-ს“) უძველესი ცაცხვის ხე“; ამზაჟ ლეკმას ეზარდ ხაგ „წელს სათიბში ბევრი თივაა („წელს სათიბებს კარგად ა-დგ-ა-ს“)“ ...

### ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

მინე ლეგტერი ღარი თხუმეი ჟისკუ ლოქ ხაგ (სვან. პროზ. ტექსტ., III, 244:17-18) „თქვენი წისკვილის ღარის თავზე ვაშლის ხე დგასო“; ყუაჟილარ ხაგ აზრისა „ეზოში ყვაილებია („ადგას“)“, მაგრამ ბოკოკელარ პრი კალისა „ეზოში ყვაილებია“, ეს უკანასკნელი უფრო ბუნებრივია ლენტხურისათვის, ხაგ ფორმას იშვიათად იყენებენ; ბელყერ ჩაზგ ხაგ „არყის ხე ყველგან ხარობს („ადგას“)“, მაგრამ ბელყერ ჩაზგ პრი „არყის ხე ყველგან ხარობს („არის“)“ ...

*ჩოლოურული*

**ამზაჲ ლეკმას ეზარდ ხაგ** „წელს სათიბში ბევრი თივაა („წელს სათიბებს კარგად ადგას“); **ამზაგ ხოჩა ლეკმე ხაგ** „წელს კარგი სათიბი ადგას“ ...

**ხაგ** (ბზ., ლმზ., ჩოლ.), **ხოგ** (ბქ., ლნტ.) „აქვს, უდგას“

*ბალსჯემოური*

ლარანდგა ხუნა **ხილარ ხაგ** „სათიბში ბევრი ხილი აქვს („უ-დგ-ა-ს“)“; ჰაზუნისგა ხომა კვლთხი **გაკ ხაგ** „ეზოში ძალიან მაღალი კაკლის ხე აქვს („უ-დგ-ა-ს“)“; დაბისგა კვლთხი **ჟისგუ ხაგ** „ყანაში მაღალი ვაშლის ხე აქვს („უ-დგ-ა-ს“)“ ...

*ბალსქვემოური*

... დაჩუირდ ხაქუე „მიჩა ჯიმილს“: „... **ანთროლ** ესერ **ხოგ** ოქრემ, ეჯისოდ ოთტერხნე ალი“ (სვან. პროზ., ტექსტ., II, 113:34-36) „დამ უთხრა თავის ძმას: „ოქროს მსხვილი ვაშლი მიდგასო, იმას ესროლეო ეს („იმასმცა ესროლა ეს“)“; მეზგა ფიშირს **ხოგ** ნალაჯუ, მოდეი მიჩემუ ნანგენუ: **ქირჷდ, მარგჷილ, ზია, ატამა, ჰებ, ზარყენ** (სვან. პროზ., ტექსტ., II, 282:18-19) „ბევრ ოჯახს აქვს („უ-დგ-ა-ს“) დარგული, ან თავისით ამოსული: ქლიავი, შავი ქლიავი, ზია, ატამი, ზალი, ტყემალი“; მიჩა-მიჩა **კაკ** ჩი **ხოგ** (სვან. პროზ., ტექსტ., II, 282:30) „თავ-თავისი კაკალი ყველას აქვს („უ-დგ-ა-ს“)“; ლუხორს ხოჩა ლემბეც მეზგე გარ იჩო, მესუნას ფიშირ ჯანარ ხორი ი **კჷციენ** მასარდ **ხოგ**<sup>1</sup>, ეჯი (სვან. ქრესტ., 181:2-3) „თავყრილობას მხოლოდ შეძლებული ოჯახი იხდიდა, ვისაც ბევრი ხარი ჰყავს და ხორბალი ბევრი აქვს („უ-დგ-ა-ს“)“ ...

*ლაშხური*

მეზუნისა **ზარყენ ხაგ** ბაბას „ეზოში ტყემალი უდგას ბაბუას“; ხუნა **ხილ ხაგ** „ბევრი ხილი უდგას“; დაბისა **ჟსგუ ხაგ** „ყანაში ვაშლის ხე უდგას“ ...

*ლენტეხური*

ჰაზუნისა **ჟისგუ ხაგ** ლამარას „ეზოში ვაშლი უდგას ლამარას“; ძღუდ **მებ ხაგ** ლარემსა მიშკუი მეზუბელს „დიდი ბლის ხე უდგას სათიბში ჩემ მეზობელს“; ხუნა **ხილარ ხაგ** ჩოლარს „ბევრი ხეხილი უდგათ ჩოლურელებს“ ...

*ჩოლოურული*

ლაჰმა ჟიქანქა **მები ხილ ხაგ** ჟიტალს „სათიბის თავში („ზემოდან“) ბლის ხე („ხილ-ი“) უდგას ვიტალის“; ქორ სგობინ ძღუდ **ჟისკუი ხილ ხაგ** მიშკუი მამას „სახლის წინ დიდი ვაშლის ხე („ხილ-ი“) უდგას მამაჩემს“; ლადლერჟი **წანწოფ ხაგ** ნუგზარს „საზღვარზე ძახველი უდგას ნუგზარს“ ...

**ხალაშა** (ბზ., ლმზ., ჩოლ.), **ხალაშა** (ბქ., ლნტ.), **ხილაშა** (ბზ., ლმზ., ჩოლ.), **ხილაშა** (ბქ., ლნტ.) „უთესია („ურგია“)“

*ბალსჯემოური*

დაბისგა **კარტოფილ ხალაშა**<sup>2</sup> „ყანაში კარტოფილი თესია“; ჰაზუნისგა **ყუაჟლარ ხილაშა** „ეზოში ყვავილები თესია“; მიშგუ დის დაბისგა **სიმიინდ**

<sup>1</sup> მცენარის ქონის აღსანიშნავად **ხოგ** „უდგას“ პრედიკატის გამოყენება ბალსქვემოურში მოულოდნელი აღმოჩნდა. მსგავსი რამ სხვა დიალექტებში არ დაგვიფიქსირებია.

<sup>2</sup> ბალსჯემოურში **ხალაშა** „ათესია“ პრედიკატი მიემართება მარცვლეულ კულტურებსაც.

**ხოლაშა** „დედაჩემს ყანაში სიმინდი უთესია“; ლარტამისგა **მწჷანილ მილაშა** „ბოსტანში მწჷანილი მითესია“ ...

### *ბ ა ლ ს ქ ე მ ო უ რ ი*

ლენჯერაშ სოფლარს **ხოლაშა**: **სიმინდი**, **ლებია** ი **კობეშა** „ლენხერის სოფლებში უთესიათ: სიმინდი, ლობიო და გოგრა“; ნამშარხენ **ხოლაშა**: **კეცენ** (**ლეფხა** ი **გურ**), **კულ** (მუჟღერეში ი ქამლიზალიშ), **ლუჭრუსუ კეცენ**, ... **ჭემინ**, **მანაშ**, **ფეტუ**, **ზენტხ**, **სიმინდი**; ლგითქერახენ: **ლებია** ფიშირ თანაშ, **როგ**, **დედარ**, **ქირს**. იმგუა ნანკვდ **ხოლჯახ**, მოდეი სიმინდდ ხოჩდინახ ლებიაცახან: **გარდუში**, **კოპეშა**, **ლუჭრუსუ შდის** („სემიჩკა“) ი **გიმიშ ჟისგ** (ლხმ, სვან. პროზ. ტექსტ., II, 280:25-33) „პურეულეზიდან უთესიათ: ხორბალი (ფხიანი და უფხო), წმინდა საგაზაფხულო ხორბალი (შემოდგომის და გაზაფხულის), რუსული ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, შვრია, სიმინდი; მარცვლეულეზიდან: სხვადასხვა ჯიშის ლობიო, ცერცვი, მუხუდო, ოსპი. ხან ცალკე აქვთ დარგული („ურგიათ“), ანდა სიმინდში აქვთ გარეული ლობიოსთან ერთად: კარტოფილი, გოგრა, მხესუმშირა („რუს-ულ-ი თხილ-ი“) და მიწის ვაშლი“; დადას დაბისგა **სიმინდ ხოლაშა** „ბეზიას ყანაში სიმინდი უთესია“; ბაბას **ფეტუ ხოლაშა** „ბაბუას ფეტვი უთესია“; ზურალს ჰარტამისგა **მალაშოლ ხოლაშა** (ბქ.) „ქალს ბოსტანში მწჷანილეული უთესია“ ...

### *ლ ა შ ხ უ რ ი*

**სიმინდი** ი **კეცენ** მრმ-მრმ **ხოლაშა** „სიმინდი და ხორბალი ცალ-ცალკე უთესიათ“; ლარტამისა ხუა **მწჷანილ ხოლაშა** ნაილის „ბოსტანში ბევრი მწჷანილი უთესია ნაილის“; ბებეს **ლეღერტამი** ხუა **ხოლაშა** „ბეზიას ბევრი ბოსტნეული უთესია“ ...

### *ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი*

ესრენე ემშას **მანცხარ ქერ** ი **ჟელი ყურძენ** გარ **ხოლაშა** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 8:8-9) „თურმე ეშმავს მხოლოდ ველური ქერი და ძალეყურძენა დაუთესავს“; **ნიორი** მეტარ **მილაშა** „ნიორიც ბევრი მითესია“; **დედეს კარტოფილ ხოლაშა** „დედას კარტოფილი უთესია“, მაგრამ არა — **ხოლჯა** „ურგია“ ...

### *ჩ ო ლ უ რ უ ლ ო*

**დედეს ქან ხოლაშა ლარტამისა** „დედას კანაფი აქვს დარგული („უთესია“) ბოსტანში“; **დაბისა სიმინდ ხოლაშა დედეს** „ყანაში სიმინდი უთესია დედას“; **ხოლაშა კარტოფილ**, **სიმინდი** ი **ფატუ** „უთესიათ კარტოფილი, სიმინდი და ფეტვი“; **ჩითილარ** ეჩეკა **ხუდუა**, ჟ, კასრუკალშუ. **ჩითილარს გადარგაჟს** ი ექკა პამიდორ ლი, ხოჩამდ იმე ჩუ. **პამიდორ**, **ლახანა**, **ჰარხალ**, **ოხრახუში**, **ქინძ**, **კამა**, **ნიურა**, მაგ, მაგ **ხოლაშა** „ჩითილები იქ აქვს, ე, ქვაბებით. ჩითილებს გადარგავს და იმისთანა პამიდორი არის, კარგად იქმევა. პამიდორი, კომბოსტო, ჰარხალი, ოხრახუში, ქინძი, კამა, ნიორი, ყველაფერი, ყველაფერი უთესიათ“ ...

**ხალჯა** (ზს., ქს.), **ხოლჯა** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **ხოლაჯა** (ლნტ.) „უთესია, ურგია“

### *ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი*

**ქოთანისგა ყუაჟილ ხოლჯა** „ქოთანში ყვაველი აქვს დარგული („ურგია“)“; დედეს ხუა **ყუაჟილარ ხოლჯა** ქორს „დედას ბევრი ყვაველები აქვს სახლში დარგული („ურგია“)“ ...

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში **ხოლჯა** „დარგული აქვს („ურგია“)“ პრედიკატი ყვავილის „მქონებლობასთან“ ასოცირდება (შდრ. **ხნგ/ ხოგ** „უღვას“, რომელიც უდრის „აქვს“-ს.

### *ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი*

ნიშგე დაბისგა **კარტოფილგნქა** მამაგუემ **ხალჯა** „ჩვენს ყანაში კარტოფილის გარდა არაფერი თესია („არგია“)“; **ჰაზრისგა ხოჩა თუალაშ ყუაჟილარ მილჯა** „ეზოში ძალიან ლამაზი ყვავილები მირგია“)“; **ლენჯერაშ სოფლარს ... არტმარს ხოლჯახ: კენტერ, ხერხლაშ ლეზია, სტაფილო, ლახანა, ქინზ, უოხრაბუშ, კამა, ხარბუზ, ხაზუ, ნიურა, ჩიგინდუირ, მაფანა, ჯემე ყუაჟილი ი იშგენ** (ლხმ., სვან. ქრესტ., 204:28-30) „ლენხერის სოფლებში ბოსტნებში დარგული აქვთ („ურგიათ“): კიტრი, სარის ლობიო, სტაფილო, კომბოსტო, ქინძი, ოხრაბუში, კამა, საზამთრო, ხახვი, ნიორი, ჭარხალი, წიწაკა, მარილის ყვავილი და სხვა“; **ბაღარისგა ხოლჯახ ... უსგარ ი უცხარ** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 2:4-5) „ბაღებში დარგული აქვთ („ურგიათ“) ვაშლები და მსხლები“; ათხე მანგი **ხილმახილი ხოლჯახ** ამეჩუ: ... **სანაფ, მარგუილ, ლგლტეხუ ჰეზ, ყუნზელ, კაკ...** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 228:4-5) „ახლა ყველანაირი ხილი აქვთ დარგული („ურგიათ“) აქ: სინაფი, ქლიავი, ლენტეხური ბალი, ყურძენი, კაკალი“; **მიშგუადის ჩუბე დაბისგა კარტოფილ ხოლჯა** „დედაჩემს ქვედა ყანაში კარტოფილი უთესია (ზედმიწ. — ურგია)“; **მიშგომუს ორერეჟემდიემდ მირ კაკ ხოლჯა ნიშგე ქორ ჩუქამჩუ** „მამაჩემს ორმაცდათი ძირი კაკალი აქვს დარგული ჩვენი სახლის ქვემოთ“; **კინტური, პამიდორ, ლახანა ი ბადრიჯან მანგ ჩუ მილჯა** „კიტრი, პამიდორი, კომბოსტო და ბადრიჯანი ყველაფერი დათესილი მაქვს“; **ეხტარს არტმარე ლისყი ხანთქუახ ი მომ-მომ მალაშა<sup>1</sup> ხოლამახ ი ხოლჯახ: ქართ, ლახანა, ჩიგინდუირ, ხაზუ, სოხ|ჭაგუ, ნიურა, პრასა, შაზლიკა, ქინზ, კამა, ნიახურ, უოხრაბუშ, ქუნდარ** (ლხმ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 282:4-8) „ქალებმა ბოსტნის გაკეთება იციან („ცოლებს ბოსტნების კეთება სჩვევიათ“) და სხვადასხვა მწვანელი უთესიათ და ურგიათ: თალგამი, კომბოსტო, ჭარხალი, ხახვი, ჭლაკვი, ნიორი, პრასი, უცხო სუნელი, ქინძი, კამა, ნიახური, ოხრაბუში, ქონდარი“ ...

### *ლ ა შ ხ უ რ ი*

ათხედ ბაზ ნალჯენ **იგხარ ხოლჯახ** სასაშ „ახლაც ბაბუას დარგული მსხლები აქვთ („ურგიათ“) სასაშში“; **გარდაბანს ჩის ხილარ ხოლჯახ** „გარდაბანში ხილი ყველას აქვს („ურგიათ“)“; **ბებეს უსგუ ხოლჯა** დაბისა „ბებეას ვაშლი აქვს („ურგია“) ყანაში“ ...

### *ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი*

ჯუინელ კასრუკადას **ზოჰოჰოლარ ხოლჯა** დედეს „ძველ ქვაბში ყვავილები ურგია დედას“; **ტისკუჟი იგხ ხოლჯა<sup>2</sup>** მამას „ვაშლის ხეზე მსხალი აქვს დამყნობილი („ურგია“) მამას“ ...

### *ჩ ო ლ უ რ უ ლ ი*

მიშგუი მუს **გაკ ხოლჯა** ლაჰმინას „მამაჩემს კაკალი აქვს დარგული („ურგია“) სათიბში“; **ეხტუი სგა ლაჯადისა ყუაჟილარ ხოლჯა** დედეს „ეზოს შემოსას-

<sup>1</sup> ლახამულურში **მალაშა** ბოსტნეულის მნიშვნელობითაც დასტურდება.

<sup>2</sup> ამ პრედიკატს ძირითადად მაშინ ხმარობენ, როცა მცენარე დამყნობილია, თუმცა მის პარალელურად **ხილყინა** „დამყნობილი აქვს“ პრედიკატიც გამოიყენება, რაც უფრო გავრცელებულია.



ვლელში ყვავილები აქვს დარგული („ურგია“) დედას“; იშგნა ლადღტერი ფედას ხილ დარს ხოლჯა „სხვის საზღვართან ახლოს ხილი არავის აქვს დარგული („ურგია“)“ ...

**ხანერგაჟა** (ბქ.), **ხონერგაჟა** (ზს.), **ხონერგაჟა** (ლშხ., ლნტ., ჩოლ.) „უთესია, ურგია (უნერგია)“

#### ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

**მიშგუ დის სტამფილო ხონერგაჟა** „დედაჩემს სტამფილო აქვს დათესილი („უ-ნერგ-ია“)“; **მი ლარტამისგა ლახანა მინერგაჟა** „მე ბოსტანში კომბოსტო მაქვს დათესილი („მ-ი-ნერგ-ია“)“ ...

#### ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

დადას კასრულისგა **ნერგარ ხონერგაჟა** „ბეზიას ქვაბში ნერგები აქვს დარგული“; **ნერგარ** ჰარტამისგა **ხონერგაჟა** „ნერგები ბოსტანში აქვს დათესილი („უ-ნერგ-ია“)“; ამეღსგა **კინტური, ლახანა, ბადრიჯან, ჩიგინდუი** ო **პამიდორ ხანერგაჟა** „ამაში კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ჭარხალი და პამიდორი არის დათესილი („ა-ნერგ-ია“)“ ...

#### ლ ა შ ხ უ რ ი

**ნიჟრა** ... ჩის **ხონერგაჟა** (ლშხ.) „ნიორი ყველას უთესია („უ-ნერგ-ია“)“; ლესმინდ დაბისა **ლოზიონ ხონერგაჟახ** (ლშხ.) „სიმინდის ყანაში ლობიოც უთესიათ („უ-ნერგ-ია-თ“)“ ...

#### ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ესრენე ეშმას **მანგხარ ქერი ეელი ყურბენ** გარ ხოლაშა ი **ხონერგაჟა** ლეჟაჟ (სვან. პროზ. ტექსტ., III, 8:8-9) „თურმე ეშმაც მხოლოდ ველური ქერი და ძალყურბენა დაუთესავს და დაურგავს“; **დედეს კარტოფილ** ხოლაშა / **ხონერგაჟა** (ლნტ.) „დედას კარტოფილი უთესია / უნერგია“, აგრამ არა — **ხოლჯა** „ურგია“ ...

#### ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

მახე ნატყუტი გიმჟი **ქართოფილ ხონერგაჟა** ცისანას „ახალ გადახნულ მიწაზე კარტოფილი აქვს დარგული („უ-ნერგ-ია-თ“) ცისანას“; ლარტამისა პამიდორი **ჩითილარ ხონერგაჟა** დედეს „ბოსტანში პამიდორის ჩითილები აქვს დარგული („უ-ნერგ-ია“) დედას“; ლარტამ ჩუქუნქა **პრასი ყუაჟილარ ხონერგაჟა** მიშგუტი ბებეს „ბოსტნის ბოლოში („ბოსტანს“ ქვემოთ“) პრასის ყვავილები აქვს დარგული („უ-ნერგ-ია“) ბეზიჩემს“ და ა. შ.

ჩოლურელ რესპონდენტთა განმარტებით, **ლინერგაჟი** „დათესვა, დარგვა (ზედმიწ. — გადა-ნერგ-ვა)“ მიემართება ძირითადად *ბოლქვიან მცენარეებს* (*კარტოფილს, ნიორს, ხახვს...*) და, ამასთანავე, *ჩითილებს*, ხოლო **ლილჯი** „დარგვა“ — *ხეხილს, ყვავილებს, სიმინდს, ხორბალს, ვეტყს* და მისთ.

როგორც მრავალფეროვანი საანალიზო მასალის განხილვამ აჩვენა, სვანური ენის კილო-კილოკავებში მცენარეების სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით სავსებით არაერთგვაროვანი სურათია. **ხანგ/ხაგ** „ადგას“ პრედიკატი მცენარეების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ყველა დიალექტში დასტურდება, მაგრამ ნიუანსური განსხვავება

მისი გამოყენების შემთხვევაშიც ვლინდება ბალსზემოურში; მაგალითად, **ხაგ** „ადგას“ პრედიკატი იმ შემთხვევაში მიემართება მცენარეებს, თუ თავისით არის ამოსული რომელიმე მცენარე, მაგრამ თუ ადამიანის მიერაა დარგული ან დათესილი, მაშინ **ხოლჯა** „ურგია“, **ხოლაშა** „უთესია“ ფორმები გამოიყენება, თუმცა **ხოლჯა** „ურგია“, **ხოლაშა** „უთესია“ ფორმებიც გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება სვანური ენის კილო-კილოკავებში, კერძოდ, აქ გარჩეულია *მარცვლოვანი* და *არამარცვლოვანი მცენარეები*, *ბოსტნეული*, *ყვავილები*, *ხეები* და ა. შ. მათი სივრცული ლოკალიზაცია კი მეტად საინტერესო ვითარებას ასახავს. **მილჯა** „მირგია“, **ჯილჯა** „გირგია“, **ხოლჯა** „ურგია“ ფორმები ბალსქვემოურ დალექტში ნებისმიერ მცენარეს მიემართება, ქვემოსვანურ დიალექტებში კი მხოლოდ ხეების სივრცულ ლოკალიზაციას. რაც შეეხება ბალსზემოურს, აქ იკვეთება ერთი მეტად საინტერესო ტენდენცია, ანუ **მილჯა** „მირგია“, **ჯილჯა** „გირგია“, **ხოლჯა** „ურგია“ ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ქოთნის ყვავილზეა საუბარი (მაგ., **ქოთანისგა ყუაჟილ მილჯა / ჯილჯა / ხოლჯა** „ქოთანში ყვავილი მირგია / გირგია / ურგია (...), სხვა შემთხვევაში კი **მილაშა** „მითესია“, **ჯილაშა** „გითესია“, **ხოლაშა** „უთესია“ პრედიკატები გამოიყენება, მაგრამ არა იმ სიხშირით, რა სიხშირითაც ეს გვხვდება ბალსქვემოურ დიალექტში, რადგან მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს, როგორც უკვე ითქვა, უმეტესად *„მყოფობა-მქონებლობის“* აღმნიშვნელი ზმნები ჩაენაცვლებიან.

მიუხედავად იმისა, რომ **მილაშა** „მითესია“, **ჯილაშა** „გითესია“, **ხოლაშა** „უთესია“ ფორმები მცენარეების სივრცულ ლოკაციას სვანურის ყველა დიალექტში მიემართება, ნიუანსურ სხვაობას მეტნაკლებად აქაც აქვს ადგილი, რაზეც მეტყველებს **ხოლჯა** „ურგია“ პრედიკატის ნაცვლად მისი გამოყენება როგორც ბალსზემოურში, ისე ქვემოსვანურ დიალექტებში.

ჩვენი აზრით, სვანურში ნაწილობრივ აღრეულია ერთმანეთში *და-თესვა*, *დარგვა* და *გადარგვა* ფორმების გამოყენება, რასაც საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს და ის მწყობრი სისტემა, რასაც ამ შემთხვევაში ბალსქვემოური დიალექტი ავლენს. ვფიქრობთ, ბალსქვემოური ზედმიწევნით სწორად ახდენს მცენარეთა სივრცული ლოკაციისათვის გამოყენებული პრედიკატების დიფერენცირებას, რისი თქმის უფლებასაც იძლევა შემდეგი გარემოება: *ლენტეხურ*<sup>1</sup> დიალექტში დავაფიქსირეთ ასეთი წინადადება – *ლესმინდ დაბისგა ლობიოი ხონერგაჟაბ* „სიმინდის ყანაში ლობიოც უთესიათ („*უ-ნერგ-ია-თ*)“<sup>2</sup>, რაც არაბუნებრივად აღიქმება იქიდან გამომდინარე, რომ ლობიო, როგორც მარცვლოვანი კულტურა, ითესება და არ ხდება მისი ჩარგვა ნერგის სახით. ბალსქვემოური კი

<sup>1</sup> იშვიათად, მაგრამ მაინც ხეების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად *ლენტეხური* დიალექტი **ლგ/ლგ** „დგას“ პრედიკატსაც იყენებს (მაგ., შდრ... მინე სკუტბინ ლოქ **მეგამ ლგ** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 187:1) „ჩვენს წინ ხე დგასო“; **ჟიგბ ლგ** ძღღ ალ ზუტისა (იქვე, 221:26) „დიდი მსხალი დგას ამ ეზოში...“).

<sup>2</sup> მსგავსი ვითარებაა ლაშხურსა და ჩოლურულშიც, სადაც ბოსტნეულის სივრცული ლოკალიზაცია **ხოლაშა** „უთესია“ და **ხონერგაჟა** „ურგია“ პრედიკატებით გადმოიცემა.

**ხონგრგაჟა** „უთესია („უ-ნერგ-ია“), **ხოლჯა** „ურგია“ და **ხოლაშა** „უთესია“ ფორმებს ასე ანაწილებს:

*ლობოს, სიმინდის, კარტოფილის* სივრცული ლოკალიზაცია **ხანგრგაჟა** „უთესია („ა-ნერგ-ია“) პრედიკატით არ გამოიხატება, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან **ლინგრგაჟი** „დათესვა („და-ნერგ-ვა“) გულისხმობს სწორედ ჩითილების გადანერგვას||დარგვას და არა დათესვას. **ლილაში** „უთესვა“ მიემართება ისეთი მცენარეების დათესვას, რომლებიც მარცვლოვანია (მაგ.: **კუეიენ** „ხორბალი“, **ფეტჷ** „ფეტჷტი“, **ქირს** „ოსპი“, **როგ** „ცერცვი“, **სიმინდ** „სიმინდი“ და ა. შ.), **ლილჯი** „დარგვა“ კი არამარცვლოვანი მცენარეების (მაგ.: **კარტოფილ** „კარტოფილი“, **კობეშია** „გოგრა“და სხვ.), ხეების და, ასევე ჩითილების (სვან. **ნერგარ**) დარგვას.

მცენარეთა სივრცული ლოკაციის გამოსახატავად სვანურში, როგორც საილუსტრაციო მასალიდან გამოჩნდა, მარკირებული **ხოგ/ხოგ** „უდგას“ პრედიკატიც გამოიყენება, რომელიც ძირითადად ხეებს (მაგ.: **სანფარ ხოგ** (ბქ.) „ვაშლის ხეები უდგას“) და ყვავილებს (**ყჷაჷილარ მასარდ ხოგ** (ბქ.) „ბევრი ყვავილები აქვს („უ-დგ-ა-ს“) და ა. შ.) მიემართება და გამოხატავს არაორგანულ კუთვნილებას, რომელიც მქონებლობასთან არის გაიგივებული.

რადგანაც მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის სივრცულ ლოკაციას სტატეკური შინაარსის ზმნათა საქცეო სისტემის სამივე წევრი (**ლგ/ლგ** „დგას“, **ხგ/ხგ** „ადგას“, **ხოგ/ხოგ** „უდგას“) მიემართება სვანურში, ამიტომ უპრიანი იქნება გავითვალისწინოთ ყველა ის ნიუანსი, რაც სვანური ენის კილო-კილოკავებში ვლინდება. ვფიქრობთ, საინტერესოა ბალსზე-მოური დიალექტის წვირმულ კილოკავში ხეების სივრცული ლოკალიზაციის გამოხატველი **მიგ** „მიდგას“ პრედიკატის პარალელურად დადასტურებული საზედაო ურთიერთობის (ა. შანიძის მიხედვით, სიტუაციის გრამატიკული კატეგორია) ამსახველი **მაგ** „მადგას“ პრედიკატი (მაგ.: მი ჰაჷთისგა **ჷისგჷ მგ||მგ** „მე ეზოში ვაშლის ხე მიდგას („მ-ა-დგ-ა-ს“), სი ჰაჷთისგა **ჷისგჷ ჯგ||ჯგ** „შენ ეზოში ვაშლის ხე გიდგას („გ-ა-დგ-ა-ს“), ნა **ხჷაჷ ხილ ნგ** (ზუ.) „ჩვენ ბევრი ხილი გვიდგას („გვ-ა-დგ-ა-ს““), რაც ვერც ერთ სხვა დიალექტსა თუ კილოკავში მცენარის მქონებლობის გამოსახატავად ვერ დავაფიქსირეთ. იგი სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში მხოლოდ ადამიანის სხეულის ნაწილებთან გამოიყენება, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

**შენიშვნა:** ზევით საუბარი გვექონდა იმის შესახებ, რომ სვანურში ძალზე ხშირად მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს უმეტესად „*მყოფობა-მქონებლობის*“ აღმნიშვნელი ზმნები ენაცვლებიან. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრად იკვეთება ბალსზემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში და მათშორის ჩოლურულ მეტყველებაშიც, რომელიც მრავალი თავისებურებით გამოირჩევა. ჩვენ მიერ 2008 წელს ჩოლურის ხეობაში ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ:

**ჩითილარ** ეჩეჷა **მუღჷა** მი, ე, კასრუკალშჷ. **ჩითილარს** **გადაჷრგაჷ** ი ეჷჷა კამიდორ ლი, ხოჩამდ იმნ ჩჷ. **პამიდორს**, **ლახანას**, **ჷარხალს**, **ოხრახუშს**, **ქინშს**,

**კამას, ნიორას,** ჩნს, ჩნს **ხჷალაშიდ** (ჩოლ.) „ჩითილები იქ მაქვს მე, ე, ქვაბებით. ჩითილებს გადავრგავ და იმისთანა პამიდორი არის, კარგად იჭმევა. პამიდორს, კომბოსტოს, ჭარხალს, ოხრახუმს, ქინძს, კამას, ნიორს, ყველაფერს, ყველაფერს ვთესავთ“.

როგორც ვხედავთ, **მილჯა** „მირგია“ / **მილაშა** „მითესია“ ფორმების ნაცვლად ჩოლურულშიც გამოიყენება **მულჷა** „მაქვს“ პრედიკატი, რაც არაბუნებრივად გვეჩვენება<sup>1</sup>.

აქ კიდევ ერთ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, კერძოდ, ისეთ მეტაფორულ ფორმებზე, რომლებიც მცენარეთა მდებარეობას, მათ სივრცულ ლოკაციას ასახავენ, ესენია: **ხალერშა** (ბქ., ლნტ.) „გადაწოლილია, გართხმულია ძირს (მაგ., სიმინდი, ფეტვი...)“, **ხადუნა** (ბზ.), **ხადუნა** (ბქ.) „გადაწოლილია, გართხმულია (მაგ., სიმინდი, ხორბალი, ლობიო...)“, **ხაფანა** (ლზმ.) „გადაწოლილია, გართხმულია („ა-ფენ-ი-ა“, მაგ., ხორბალი, ფეტვი, ოსპი, ბარდა...)“ და ა. შ. ამათგან **ხალერშა** დასტურდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში და მიემართება სიმინდს, ლობიოს, ხორბლეულს (მაგ.: **ნაუჩხუნდჷე სიმინდ, ფეტჷ ილებია მავ გიმქა ხალერშა** (ბქ.) „წვიმის შემდეგ სიმინდი, ფეტვი და ლობიო მთლიანად მიწაზეა გართხმული“), **ხადუნა||ხადუნა** კი გავრცელებულია ზემოსვანურ დიალექტებში და ასახავს სიმინდის, ლობიოს და მისთ. მიწაზე გართხმას. ლახამულურ კილოკავში, რომელიც, როგორც ცნობილია, მრავალი თავისებურებით გამოირჩევა ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის — რ. ჭკადუას თქმით, მსხვილ და წვრილ ღეროიანი მცენარეების მდებარეობის მიმართ ორი პრედიკატი გამოიყენება, კერძოდ, მსხვილღეროიან მცენარეებზე (მაგ., *სიმინდი*) ამბობენ **ხალერშა (სიმინდ დაბქა ხალერშა** „სიმინდი მიწაზეა გართხმული“) ზმნას, ხოლო წვრილღეროიანზე (მაგ., *ხორბალი, ფეტვი, ცერცვი...*) — **ხაფანა** პრედიკატს (**კეცენ მავ გიმქა ხაფანა** „ხორბალი მთლიანად ყანაშია დაწოლილი — „გართხმულა““).

მცენარეების სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავს ასევე **კაჩ** „აღმართულია“ პრედიკატიც, მაგ. **ხილ კაჩ** (ზს., ქს.) „ხილი დგას („აღმართულია““), **მეგემ კაჩ** (ბქ.) „ხე დგას („აღმართულია““), **იმშა ხილშალ კაჩ?! (ჩოლ.)** „როგორ ხესავით დგას“?! და სხვ.

ქვემო სვანურში, კერძოდ, ლაშხურსა და ჩოლურულში, თუ მოჭრილ ხეხილზეა საუბარი, ამ შემთხვევაში შემდეგი პრედიკატები გამოიყენება: **ხასყა / ხარანწყა / ხასჷაპაჷა** „აწყვია“ (მაგ.: **ხილ ხასყა** „ხეხილი აწყვია“, **ხილ ხარანწყა** (ჩოლ., ლზმ.) „ხეხილი აწყვია“, **ხილ ხასჷაპაჷა** „ხეხილი აწყვია“...), ბალსქვემოურში კი — **ხახჷროჷა** (ბქ.) „აწყვია“ და ა. შ., რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, მსგავსი მახასიათებლების მქონე ობიექტებს სვანური ენის კილო-კილოკავებში სხვადასხვა პრედიკატი მიემართება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არაცოცხალი სამყაროს

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა იხ. ქვემოთ.

ობიექტების სივრცული ლოკაციის ამსახველი ზოგი პრედიკატი ერთწევრა სისტემას გვიჩვენებს, ზოგი კი — სამწევრას.

**მცენარეთა სივრცული ლოკაციის გამომხატველი სამწევრა,  
ორწევრა და ერთწევრა სისტემების სქემა**

*ერთწევრა:*

**ღგ** „დგას“, **ხალაშა** „ათესია“, **ხალჯა** „თესია („არგია“)“, **ხანერგაჟა** „თესია (ზედმიწ. — ა-ნერგ-ი-ა“)

*სამწევრა:*

**მნგ** (წვირმ.) „მიდგას“, **ჯნგ** (წვირმ.) „გიდგას“, **ხნგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.) „ადგას“

**მნგ** „მიდგას“, **ჯნგ** „გიდგას“, **ხნგ** „უდგას“

**მილაშა** „მითესია“, **ჯილაშა** „გითესია“, **ხოლაშა** „უთესია“

**მილჯა** „მირგია“, **ჯილჯა** „გირგია“, **ხოლჯა** „ურგია“

**მინერგაჟა** „მირგია“, **ჯინერგაჟა** „გირგია“, **ხონერგაჟა** „ურგია“.

3. **საგნების, ნივთების სივრცული ლოკალიზაცია სვანურში.** სვანურში ენის კილო-კილოკავებში, ჩვენი დაკვირვებით, უსულო საგნის / ობიექტის<sup>1</sup> მდებარეობის აღსანიშნავად შემდეგი პრედიკატები გამოიყენება: ვერტიკალური მდებარეობის აღმნიშვნელი **ღგ/ღგ** „დგას“ და ჰორიზონტალურისა — **ზი/ზგ** „დევს, ძევს“<sup>2</sup>.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ამართულად, რაიმე ზედაპირზე ვერტიკალურად განლაგებული საგნის მდებარეობის აღნიშვნისას *დგას* და *დევს* ზმნები შეიძლება სინონიმურად იქნას გამოყენებული, თუმცა ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაშია ეს ჩანაცვლება ქართულისათვის ბუნებრივი (ლოლაძე 2013).

<sup>1</sup> **შენიშვნა:** ვინაიდან სვანური ენის დალექტ-კილოკავებში შენობა-ნაგებობანის სივრცული ლოკალიზაცია ერთი საერთო პრედიკატით **ღგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ღგ** (ზს., ლნტ.) „დგას“ და მისი მაქვევრიანი (**მნგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **მიგ** (ბზ., ლნტ.) „მიდგას“, **ჯნგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ჯიგ** (ბქ., ლნტ.) „გიდგას“, **ხნგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ხიგ** (ბქ., ლნტ.) „უდგას“) ფორმებით გადმოიცემა (მაგ.: **ქორ ღგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ქორ ღგ** „ბქ., ლნტ.), **ითინღ ღგ** (ლშზ., ჩოლ.) „სალოცავი ნიში დგას“, **მურყუმ ღგ** (ბზ.) „კოშკი დგას“, **ლამერგარ ღგ** „ბოსელი დგას“, **ემსუ ზეჟროღ მნგ** „ერთი ძელური მიდგას“, **ქორ მნგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.) „სახლი მიდგას“, **ქორ ჯნგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.) „სახლი გიდგას“, **მურყუმ ხიგ** (ბქ., ლნტ.) „კოშკი უდგას“, ... ჩი მეზგეს **ხიგ ნადგამობ: ქორ. ნალია, ზელელ, თორნ. მარან, კირაჟ, ლაკუმშ, ლახამ, ლაქათალ** (სვან. პროზ., ტექსტ., III, 20:29-30) „ყველა ოჯახს უდგას შემდეგი შენობები: სახლი, ნალია, ზელელი, თონე, მარანი, სათივე, სამროხე, სალორე, საქათმე“ და ა. შ.) და ა. შ.), ამიტომ ცალკე მსჯელობის საგანი არ იქნება, თუმცა ლენტეხურში პარალელურად შენობა-ნაგებობანის მდებარეობა მქონებლობის აღმნიშვნელი პრედიკატი-თავ აღინიშნება (მაგ., ვრი ემსუ გელტტკარ, **ხულღა** ესრენ **კუმეჟოლ ქორულდ** (სვან. ქრესტ., 349:24) „იყო და არა იყო რა („არის“) იყო ერთი ნაცარქექია, თურმე ერთი პატარა სახლი აქვს“...).

<sup>2</sup> რაც შეეხება **კარ** „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)“, პრედიკატს, იგი, ვფიქრობთ, მეტაფორული გადააზრინებით ვერტიკალური მდებარეობის აღმნიშვნელია და, როგორც უკვე ითქვა, მიემართება უსულოსაც (*ხეებს, გარკვეულ საგნებს...*) და სულიერსაც (*ადაბი-ანს, ცხოველებს...*).

ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ სვანურში.

სვანურში აღნიშნულ ზმნათა (**ღგ/ღგ** „დგას“, **ზი/ზგ** „დევს, ძევს“) სემანტიკური განაწილების ძირითადი წესის მიხედვით, ავეჯის მდებარეობა აღინიშნება ზმნით **ღგ/ღგ** „დგას“. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ქართულში, არც სვანურში არა აქვს მნიშვნელობა „ვერტიკალურად ორიენტირებულია“ ობიექტი (მაგ., **შაფ ლგ** „კარადა დგას“ ...), თუ „ჰორიზონტალურად ორიენტირებული“ (მაგ., **ტახტ ლგ** „ტახტი დგას“...). როდესაც ჭურჭლის მდებარეობაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა საგნის ფორმას: **დოქ ლგ** „დოქი დგას“, **კინ ლგ** „ქვევრი დგას“, **ტაშდ ლგ** „ტაშტი დგას“, **გაბ ლგ** „სათლი დგას“, **ფანინ ლგ** „ჰამი დგას“, **სამნ ლგ** „თეფში დგას“ (შდრ. ქართ. *თეფში დევს*)..., თუმცა „ვერტიკალურად ორიენტირებული“ საგნებისათვის **ღგ** „დგას“ ზმნის პარალელურად იშვიათად, მაგრამ მაინც **ზი||ზგ** „დევს“ ზმნაც გამოიყენება. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა სვანურში *თეფშის*, *ჭიქის* მდებარეობის გამოსახატავად **ღგ/ღგ** „დგას“ ზმნას იყენებს, მაგრამ ეს არ გამოორიციხავს ამგვარი საგნების მდებარეობის აღსანიშნავად **ზი||ზგ** „დევს“ ზმნის გამოყენებას. ჩვენ მიერ სავსე პირობებში მოპოვებულ მასალაში, მიუხედავად იმისა, რომ **ღგ** „დგას“ ზმნის გამოყენების შემთხვევები სჭარბობს, არცთუ იშვიათად **ზი||ზგ** „დევს“ ზმნის ხმარების შემთხვევებიც ფიქსირდება და მის გამოყენებას, ერთი შეხედვით, თითქოს კონტექსტი განსაზღვრავს (მაგ.: **სამნარ ი ჭიქარ შაფისგა ლგბ** (ბქ.) „თეფშები და ჭიქები კარადაში დევს („დვანან“)“, მაგრამ **სამნარ სტოლყი ზგ** (ბქ.) „თეფშები მაგიდაზე დევს („დვანან“)“; **ტაშდ ჰაზჟისგა ლგ** (ბქ.) „ტაშტი ეზოში დგას“, მაგრამ **ტაშდ იმეგ ზგ?** (ბქ.) „ტაშტი სად დევს?“), თუმცა მთლიანი დიალექტოლოგიური სურათი ამის თქმის უფლებას ნაკლებად იძლევა.

წარმოვადგენთ საანალიზო მასალას სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) და, ასევე, ჩოლურული მეტყველებისა და ლაშხამულური კილოკავის მონაცემთა გათვალისწინებით. ცხადია, ნაშრომში საჭიროებისამებრ გათვალისწინებული იქნება სხვა კილოკავთა მონაცემებიც.

### 1. **ღგ** (ზზ., ლშხ., ჩოლ.), **ღგ** (ზს., ლნტ.) „დგას“

#### ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

**სკიურისგა კოლფ ლგ** (სვან., პროზ. ტექსტ., I, 206:17) „სკივრში კოლოგი დგას“; აშხუ მინდურისგა ლგ ჟოქჟრე სჟეტ ი ეჩეჟნ ჟოქჟრე ჭიქგლდ ლგ (სვან., პროზ. ტექსტ., I, 325:21) „ერთ მინდორში დგას ოქროს სვეტი და იმაზე დგას ოქროს ჭიქა“; ალ ჰარანყს ჟი ხამზგრდახ თანლი თარინგზელს ი სგწგტშახ აშხუ კვეთე, ალ კინ ჩივარ ჩუ ლგ ეჩე (სვან. ქრესტ., 20:25) „ამ არაყს შეულოცავდნენ მთავარანგელოზს და ერთ ქვევრში ჩასხამდნენ ხოლმე, ეს ქვევრი ყოველთვის იქ დგას“; გუზანდისგა კერამ გარ ლგ, საკარცხილ ი ხანდარ ი ლაშგ-ლაყელამ ზარგ (სვან. ქრესტ., 115:26-27) „სვანურ სახლის ზედა ნაწილში მხოლოდ კერია დგას, საკარცხული და გრძელი სკამები და ყველის ნაწარმისთვის

განკუთვნილი ნივთები („ხარგ-ი“); **სტოლჟი სან ლგ** „თეფში დგას მაგიდაზე“, მაგრამ **სან არი სტოლჟი** „თეფში დევს („არის“) მაგიდაზე“, **სან არი შკაფისგა** „თეფში არის კარადაში“ და ა. შ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბალსზემოურ დიალექტში იშვიათად, მაგრამ მაინც **ლგ** (ზზ.) „დგას“ ზმნის მაქცევრიანი (მარკირებული) **მიგ** „მიდგას“, **ჯიგ** „გიდგას“, **ხიგ** „უდგას“ ფორმებიც დასტურდება:

**ჟოქჟრემ კათხლდ** სგტებინჩჟ **მიგ** (სვან. პოეზ., 1977, 320:9) „ოქროს კათხა წინ მიდგას“; **ჟედრამსგა ნიგ მიგ** „სათლში წყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **ჟედრამსგა ნიგ მირი** (ზზ.) „სათლში წყალი მაქვს („მივის“)“, ქორს დეს **ჯიგ ლჯშარ**, მდადა? (ეკლინგის მასალები) „სახლში არ გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“) საქსოვი დაზგა, არა?“, **ჟოშა ცხჟად ჯიგ?** „რამდენი ქვაბი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“)“?; **მიშგუ დის ქორს იერჟემდ სან ხიგ** „დედაჩემს სახლში ოცი თეფში აქვს („უ-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **მიშგუ დის ქორს იერჟემდ სან ხორი** „დედაჩემს სახლში ოცი თეფში აქვს („უვის“)“, მიშგუ ჯგმილს **მანქანა ხიგ** „მანქანა აქვს („უ-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **მანქანა ხაყა** (ზზ.) „მანქანა ჰყავს“ და სხვ.

თუმცა ამას ბალსზემოურში სისტემის სახე არა აქვს, რადგან საანალიზოდ წარმოდგენილ მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ძირითადად ქონა-ყოლის ზმნები ენაცვლებიან და ისინი უფრო ბუნებრივია მათი მეტყველებისათვის. ვფიქრობთ, ის მცირე რაოდენობის მაგალითები, რაც სვანურ პუბლიკაციებსა და ჩვენ მიერ საველე პირობებში მოძიებულ მასალებში დავადასტურეთ, ქართულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, იქ ზემოაღნიშნულ ზმნათა გამოყენებას უსულო *საგნის / ობიექტის* მდებარეობის გამოსახატავად სისტემის სახე აქვს, რასაც ქვემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაც ცხადყოფს.

#### ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

**სტამან ტახაგეი ლგ** „დოქი მაგიდაზე დგას“; **გაბ გიმეი ლგ** „სათლი ძირს („მიწაზე“) დგას“; **ეჯი ზანგლანგ** ამჟი **ლგ** სერ ლაჭუმისგა „ის ზარი („ზანზალა-ი“) ასე დგას მოკლეთ ეკლესიაში“; **სანარ ი ჭიქარ** ჟიბე სართულჟი **ლგბ** „თეფშები და ჭიქები მეორე („ზემო“) სართულზე დევს („დგ-ან-ან“)“; **ლამარ** დარზაზისგა **ლგ** „თივის გოდორი სათივეში („დარზაზ-ში“) დევს („დგ-ა-ს“)“; ნარჩჟმ გტეში **ხუყუნ** გტემისგა **ლგ** „საზამთრო ყველით სავსე კასრი („ხუყუნ-ი“) სარდაფში დგას“ და მრავ. სხვ.

ბალსქვემოურ დიალექტში, სხვა დიალექტებისაგან შედარებით, **ლგ** (ბქ.) „დგას“ ზმნის მაქცევრიანი (მარკირებული) **მიგ** „მიდგას“, **ჯიგ** „გიდგას“, **ხიგ** „უდგას“ ფორმების გამოყენების ხშირი შემთხვევები დასტურდება:

აშირთეჟი **სან მიგ** ი დორერტემდიემდ **ჭიქ** „ასამდე თეფში მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“) და ორმოცდაათამდე ჭიქა“; სი **სტოლ ჯიგ** ი მი მამდშჟ ხტიდგარი (სვან. პროზ. ტექსტ., II, 42:26) „შენ სუფრა გიდგას და მე მშიერი ვკვდები“; **ლაჟრამ** კალისგა იმლა **ჯიგ?** „საარაყე კასრი ეზოში რატომ გიდგას?“; გიგუს ხოქტა „ზეტამდ“: „მიჩ ესერ ქორს ყუბ **სტამნგლ ხიგ**“ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 48:3-5) —

გუგულს უთქვამს ბევასთვის: „შენ სახლში ცარიელი დოქი გიდგას“; ... ჯგერაგ ზურაღს ლახჭედნა: „მ'ესერ **ხოგ კონტისგა?**“ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 246:5-6) „წმინდა გიორგი შეეკითხა თურმე ქალს: „რა გაქვსო („უ-დგ-ას“) თიხის ქოთანში?“; დაჟდ ხექე: „... ჯადუისგ'ესერ **კოლფგდ ხოგ**“ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 48:3-5) „დევა უთხრა: „მუცელში კოლოფი მაქვსო („უ-დგ-ას“)“; 'ზოხრა მუხუბედ' ... ხაქუქე: „ზოგჟი ესერ ოქრშუ ი ჟარჩხილშუ გუემი **ლამარ ხოგ**“ (სვან. პროზ., ტექსტ., II, 158:35-36) „უმცროსმა ძმამ უთხრა: „ხიდზე ოქროთი და ვერცხლით სავე გოდორი მიდგასო („უ-დგ-ას“)“ და სხვ.

ბალსქვემოურში *საგნების / ნივთების* სივრცული ლოკალიზაცია ძირითადად **ლგგ** „დგას“ და **ზი/ზგ** „დევს“ პრედიკატებით გადმოიცემა. მათ, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები არ ენაცვლებიან და თუკი ჩაენაცვლებიან, იმასაც თავისებური ახსნა ეძებნება<sup>1</sup>.

რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს და მათმორის ჩოლურულ მეტყველებას, იქ **ლგგ/ლგგ** „დგას“ და მისი მარკირებული **მნგ/მიგ** „მიდგას“, **ჯნგ/ჯიგ** „გიდგას“, **ხნგ/ხოგ** „უდგას“ ფორმათა ხმარება საგნებისა და ნივთების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ძალზე იშვიათია:

#### ლ ა შ ხ უ რ ი

**ჩანად ფეჩი ლგგ** „ჩანახი ღუმელზე დგას“; ტაბაგჟი **ფაკან ლგგ** „მაგიდაზე ჯამი დგას“; გაზჟი **ცხუად ლგგ** „გაზზე ქვაბი დგას“; შკაფჟი **ფაკან ლგგ** „კარადაზე ჯამი დგას“; **ფეჩი კასრულამ მნგ** „ღუმელზე ქვაბი მიდგას“, მაგრამ **ფეჩი კასრულამ მუდჟა** „ღუმელზე ქვაბი მიდგას („მაქვს“)“; სტოლჟი **საინარ ლგგ** „მაგიდაზე თეფშები დგას („დგ-ან-ან“)“, მაგრამ პარალელურად **ლგგზ** „დევს („დგ-ან-ან“)“ ფორმაც გამოიყენება; საინარ **შკაფისა ლგგ** „თეფშები კარადაში დგას („დგ-ან-ან“)“, მაგრამ პარალელურად **ლგგზ** „დევს („დგ-ან-ან“)“ და **არის** „არიან“ ფორმებიც იხმარება.

ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი ნ. ონიანი შეეცადა აეხსნა რა შემთხვევაში **დგას** ან **დევს** ესა თუ ის ჭურჭელი, თუმცა ორივე პრედიკატს „მქონებლობის“ გამომხატველ ფორმებს უნაცვლებდა, რაც სისტემის მოშლაზე და უნიფორმაციისკენ სწრაფვაზე მიანიშნებს.

#### ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ალ **კეც** ათხეი **ჩუ ლგგ** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 5:16-17) „ეს ქვევრი ახლაც დგას“; **ცხუად ცარიელ მიგ** „ქვაბი ცარიელი მიდგას“, მაგრამ **ცხუად ცარიელ მუდჟა** „ქვაბი ცარიელი მაქვს“; **სტამან სტოლჟი მიგ** „დოქი მაგიდაზე მიდგას“, მაგრამ **სტამან სტოლჟი მუდჟა** „დოქი მაგიდაზე მაქვს“; კუპაპა“ს“ ... **კარი ჩუ ხოგ** მუხუტირისკა შიხშუ გუემი (სვან. ქრესტ., 344:39-40) „კუპაპას კუთხეში გოდორი უდგას ნაცრით სავეს“; „ალეს“ სკუტებინჩუ **ხოგ<sup>2</sup> ღერჩალ** (სვან. ქრესტ., 294:38) „ამას წინ უდგას ნაკვერჩხლები“ ...

#### ჩ ო ლ უ რ უ ლ ო

გაზჟი **ცხუად ლგგ** „გაზზე ქვაბი დგას“; **ჩანად ფეჩი ლგგ** „ღუმელზე დგას“; **ზოცა** იმე **ჯნგ?** „ზოცა სად გიდევს („გ-ი-დგ-ას)“?; **ზოჭკა** ემჟუ იმნარ **ჯნგ?**

<sup>1</sup> მსჯელობა იხ. ქვემოთ!

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში ბალსქვემოურში ენაცვლება **ხოზ** „უდევს“.



„კასრი იქ რატომ გიდევს („გ-ი-დგ-ა-ს)?“; ლემეს ლოქ ხოშუხ ალდარს ი **კერიამ ხოგ** „ცეცხლი უნთათო ამათ და კერიაც უდგათო“; **ხაფამდ** ლოქ ... ეშუ ამჩუ ხუტა, მერზე ლოქ ეჩე **ხოგ**, ცხევისა „ხაფანგი ერთი აქ მაქვსო და მეორე იქ მიდგასო, ტყეში“ ...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვემოსვანურ დიალექტებში უსულო *ობიექტების* (resp. *საგნების*) სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად უფრო ხშირია „*მყოფობა-მქონებლობის*“ ზმნათა გამოყენება, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საინტერესო ვითარება ვლინდება თხიერი და საერთოდ სხვადასხვა საგნების სივრცულ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში. აქ შემდეგი ტენდენცია ვლინდება: როცა საუბარია სითხოვან ნივთიერებებზე, ამ შემთხვევაში **ლგ/ლგ** „დგას“ და მისი მარკირებული **მგ/მგ** „მიდგას“, **ჯგ/ჯგ** „გიდგას“, **ხოგ/ხოგ** „უდგას“ ფორმები გამოხატავენ სივრცულ ლოკალიზაციას, მაგრამ თუ საუბარია თხიერ (შედარებით უფრო მკვრივ) ობიექტებზე (მაგ.: *პური, ფქვილი, ყავა; ტომატი, თაფლი, ქონი, კარაქი* და ა. შ.), მაშინ უკვე **ზი/ზგ** „დევს“ და ამ ზმნის მაქცევრიანი (resp. მარკირებული) ფორმები გამოხატავენ მათ სივრცულ ლოკაციას. რაც შეეხება სვანურის სხვა დიალექტებს, იქ ამ შემთხვევაშიც უმეტესად ქონა-ყოლის ზმნები ფიგურირებენ, თუმცა გამონაკლისები იშვიათად, მაგრამ მაინც აქაც იჩენს თავს.

#### *ბ ა ლ ს ქ ე ე მ ო უ რ ი*

*თხიერი (არამკვრივი) ნივთიერებები:*

ემშუ წექუ **ლიც** დემეგ **ლგ** ქორისგა „ერთი წვეთი წყალი არაა („დგას“) სახლში“; **ლეთრემიშ წინალ** მამაგტემ **ლგ** ნიშგე ქორისგა „სასმლის მაგვარი არაფერი დგას ჩვენს ოჯახში“; **ჩუენისგა შუელ ლგ** „კარდალაში შრატი დგას“; **ნაყუნ** ხოშა **ჩუენისგა ლგ** „შეჭამანდი დიდ კარდალაში დგას“; ალ **ბოთლიკისგა გიმბშიშ ზეთ ლგ** „ამ ბოთლში კანაფის ზეთი დგას“; ლეგმერდექ **ლგჯე** დემეგ **მიგ** „ავადმყოფისთვის რძე არ მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“; **სგიმ დემეგ მიგ** „მჟავეწყალი არ მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“; ხოჩა **მარწუნ მიგ კასრულისგა** „კარგი მაწონი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“) ქვაბში“; **სარგიშ ლიც** დემეგ **ჯიგა** ქორს? „წყაროს წყალი არ გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“) სახლში?“; ტოშა ლიტრა **ჰარწყ ჯიგა**? „რამდენი ლიტრა არაყი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“)“?; მიშგტა დადას **სტამნარისგა ჰარწყ ი ღუინალ ხოგ** „ბებიაჩემს დოქებში არაყი და ღვინო აქვს („უ-დგ-ა-ს“)“; ალ ზურალს **სგიმიშ წუეთ** დემეგ **ხოგ** ქორისგა „ამ ქალს წვეთი მჟავეწყალი არა აქვს („უ-დგ-ა-ს“) სახლში“; **თუი** მასრდ **ხოგ** ალ მეზგა „თაფლი ბევრი აქვს ამ ოჯახს“, თუმცა თაფლის ქონის აღსანიშნავად **ხოზ** „უდევს („უ-მ-ევ-ს“) პრედიკატიც გამოიყენება; **ზეთ** როქ დემეგ **ხოგ**, მარე ტომატი როქ ჩუ ხოზ „ზეთი არა აქვსო („უ-დგ-ა-ს“), მაგრამ ტომატი აქვსო („უ-მ-ევ-ს“)“ და მისთ.

*არათხიერი ნივთიერებები:*

**პისჟ ფექ** დემეგ **ზი/ზგ კიბდონისგა** „ერთი ნამცეცი ფქვილი არ არის („მ-ევ-ს“) კიღობანში“; **ქორისგა ნაჰუ დიარ** დემეგ **ზი/ზგ** „ოჯახში ერთი ლუკმა პური არ არის („მ-ევ-ს“)“; **ლეზუბიშ წინალ** დემეგ **ზი ქორისგა** „საჭმლის ნასახი არაა („მ-ევ-ს“) სახლში“; **მოდილ თუი დემეგ ჯიზა**? „ცოტა თაფლი არ გაქვთ („ცოტა თაფლი არ გიდევთ; **ემშუ ნაჰუ დიარ დემეგ მიზ/ჯიზ/ხოზ** „ერთი ლუკმა

პური არ მაქვს, გაქვს, აქვს („მ-ი-ძ-ევ-ს/გ-ი-ძ-ევ-ს/უ-ძ-ევ-ს“); **პისუ ფეჟ დემეგ ნიზ/გუნიზ/ჯიზხ/ზოზხ ქორისგა** „ერთი ნამცეცი ფევილი არ გვაქვს/გაქვთ/აქვთ („გვიძევს/გიძევთ/უძევთ“)“ ოჯახში“; **ლეზუბიშ წინალ დემეგ მიზ/ჯიზ/ზოზ** „საჭმლის ნასახი არ მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ი-ძ-ევ-ს/გ-ი-ძ-ევ-ს/უ-ძ-ევ-ს“)“ და ა. შ.

ბალსქვემოური დიალექტისგან არსებითად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ბალსზემოური, სადაც ნებისმიერ უსულო საგანს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი **ხორი** „აქვს, ჰყავს“/ხაყა „ჰყავს“/წარი „არის“ პრედიკატები მიემართება. თუმცა არც **ლგ** „დგას“, **ზი** „დევს“ და მათ მარკირებულ ფორმებს გამორიცხავს (მაგ., შდრ. ერთი მხრივ: **ჟედრამსგა ნიც მიგ/ჯიგ/ზოგ** (ზზ.) „სათლში წყალი მაქვს/გაქვს, აქვს („მ-ი-დგ-ა-ს, გ-ი-დგ-ა-ს, უ-დგ-ა-ს“)“; **ლეზუბ ეშწუნ ზგ** (ლენჯ.) „საჭმელი იქ დევს („ძ-ევ-ს“)“ და, მეორე მხრივ: **ჟედრამსგა ნიც ხორი** „სათლში წყალი მაქვს („მივის“)“; **ლეზუბ ეშწუნ წარი** (წვირმ.) „საჭმელი იქ არის“; **ჟოშა კასრულ ჯიი?** (ზზ.) „რამდენი ქვაბი გაქვს?“, მაგრამ **ჟოშა კასრულ ჯიგ?** „რამდენი ქვაბი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“)“? და სხვ.).

ბალსზემოურში ხშირად თავს იჩენს კილოკავური სხვაობაც. მაგ.: **ლეზუბ ეშწუნ ზგ** (ლენჯ.) „საჭმელი იქ დევს“, მაგრამ **ლეზუბ ეშწუნ წარი** (წვირმ.) „საჭმელი იქ არის“; **გწ იმე ჯიი?** (ლენჯ.) „დანა სად გიდევს („გივის?“)“?“, მაგრამ **გწ იმე ჯიი?** (წვირმ.) „დანა სად გიდევს?“. როგორც ვხედავთ, წვირმული კილოკავი **ზი||ზგ** „დევს“, **ჯიზ** „გიდევს“ ფორმების ნაცვლად ძირითადად **ხორი** პრედიკატს იყენებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არა მხოლოდ სვანურ დიალექტებს შორისაა ამ მხრივ განსხვავება, არამედ თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი.

რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს, იქ ერთი შეხედვით ბალსზემოურისებური ვითარებაა, თუმცა ერთგვაროვნება არც ქვემოსვანურში იგრძნობა და ნიუანსური სხვაობა აქაც დაჩნდება, განსაკუთრებით კი ჩოლურულ მეტყველებაში. უსულო საგნების (*თხიერი* და *არათხიერი ნივთიერებების*) მდებარეობის აღსანიშნავად **ლგ/ლგ** „დგას“ და არაორგანული კუთვნილების გამომხატველი: **მიგ/მიგ** „მიდგას“, **ჯიგ/ჯიგ** „გიდგას“, **ხიგ/ხიგ** „უდგას“ პრედიკატები ძალზე იშვიათად შესაძლოა ქვემოსვანურშიც შეგვხვდეს (მაგ.: **ჟედრამსა ლიც მიგ** (ლნტ.) „სათლში წყალი მაქვს („მიდგას“)“), თუმცა ამას სისტემად ვერ მივიჩნევთ, რადგან ნებისმიერი უსულო საგნის *მდებარეობას / სივრცულ ლოკალიზაციას* ქონა-ყოლის ზმნები გამოხატავენ, რომლებიც ქვემოსვანური დიალექტების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

#### ლ ა შ ხ უ რ ი

გაზუი **ცხუადისა ნიც მუღა** „გაზზე ქვაბში წყალი მიდგას („მაქვს“)“; **ემუჟ წუეთ ნიც** მწ **მუღა** ქორს „ერთი წვეთი წყალი არ მაქვს სახლში“; **ჟედრამსა ნიც ჯუღა** მწა? „ვედროში წყალი გაქვს?“; **ზანკაისა თუ მუღა** „ქილაში თაფლი მაქვს“, მაგრამ **ზანკაისა თუ მიგუშა** „ქილაში თაფლი მისხია“, შდრ. ბქ., **ზანკაისგა თუი მიგ** „ქილაში თაფლი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“; **კოტოლ ზეთ** მწ **ჯუღა** **ზოთლისა?** „ცოტა ზეთი არ გაქვს ბოთლში?“, ან **კოტოლ ზეთ** მწ არია **ზოთლისა?** „ცოტა ზეთი არ დგას („არის“) ბოთლში?“, შდრ. ბქ., **მოადილ ზეთ** დემეგ **ჯიგა** **ზოთლი-**

კისგა? „ცოტა ზეთი არ გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“) ბოთლში?“; **ცხუადისა ხუაი ქონ**||**ღუესე მუღუა** „ქვაბში ბევრი ქონი მაქვს“; **ტომატ** დესა **ჯუღუა** კოტროლ, ერ ლამომა? „ტომატი არ გაქვთ ცოტა, რომ მომცეთ?“; **ქორს დიარ** დესა **მუღუა** „სახლში პური არ მაქვს“ და სხვ.

### ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ზურალდ ხუქუ: „... **ლიც** ლოქ მად **ხუღუა**“ (სვან. ქრესტ., 313:12-13) „ქალმა უთხრა: „წყალი არ მაქვსო“; **ლიც** დესა **გუღუა** „წყალი არ გვაქვს“; **ემხუ ფინცხ**†**უ** **დიარ** დესა **მუღუა** „ერთი ნამცევი პური არ მაქვს“; **ხანკაისა თუი მუღუა** „ქილაში თაფლი მაქვს“; **ჟედრამასა ლიც მუღუა**<sup>1</sup> „ვედროში წყალი მაქვს (მიდგას მნიშვნელობით)“ და ა. შ.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ლაშხურსა და ლენტეხურში კუთვნილების მნიშვნელობით გამოყენებული **მუღუა/ჯუღუა/ხუღუა** „მაქვს/გაქვს/აქვს“ დომინირებს. რაც შეეხება მყოფობის გამომხატველი **არი** „არის“ ზმნას, იგი იმ შემთხვევაში მიემართება უსულო **საგნებს** (resp. **ობიექტებს**), როცა ზოგადად რომელიმე ამ საგნის მყოფობა-ზეა საუბარი (მაგ.: **ემხუ წუეთ ნიც** მ<sup>ა</sup> **არი სტამანისა** „ერთი წვეთი წყალი არ არის დოქში“, **ცხუადისა ხუაი ქონ**||**ღუესე არი** „ქვაბში ბევრი ქონი არის“, **ქორს დიარ** დესა **არი** „სახლში პური არ არის“...). ძალიან ხშირად კი ლაშხურში და ჩოლურულში ჭურჭელში სითხის დგომის აღსანიშნავად **მიგუშა/ჯიგუშა/ხოგუშა** „მისხია/გისხია/უსხია“ პრედიკატს (მაგ.: **ემხუ წუეთ ნიც** მ<sup>ა</sup> **მიგუშა სტამანისა** „ერთი წვეთი წყალი არ მაქვს („მისხია“) დოქში“ და სხვ.) იყენებენ.

ჩოლურულშიც სითხის სივრცული ლოკალიზაცია ძირითადად მქონებლობის აღმნიშვნელი **მუღუა/ჯუღუა/ხუღუა** „მაქვს/გაქვს/აქვს“ პრედიკატით გადმოიცემა. რაც შეეხება **მიგ** „მიდგას“, **ჯიგ** „გიდგას“, **ხოგ** „უდგას“ ფორმებს, ისინი სითხის სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად იშვიათად ფიგურირებს და ისიც გარკვეულ კონტექსტში, მაგალითად, თუ ჭურჭელში **წყალი**, **ღვინო**, **არაყი** და ა. შ. დგას, ამ შემთხვევაში **ხუღუა** „აქვს“ ზმნის პარალელურად **ხოგ** „უდგას“ პრედიკატსაც ხმარობენ.

### ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

**კასრულისა**||**ჟედრამასა ლიც მუღუა** „ქვაბში||სათლში წყალი მაქვს“; **ლიცმუ გუეში ჟედრა** იმე **ჯუღუა**? „წყლიანი („წყლით სავსე“) სათლი სად გაქვს?“, მაგრამ **ლიცმუ გუეში ჟედრა** იმე **ჯიგ**? „წყლიანი სათლი სად გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“)“?; **სტამანისკა ლიც მუღუა** „დოქში წყალია“; **ხანკაისა თუი მუღუა** „ქილაში თაფლი მაქვს“; **ქორს დიარ** დესა **მუღუა** „სახლში პური არ მაქვს“; **ემხუ წუქუ ზეთ** დესა **მუღუა** „ერთი წვეთი ზეთი არ მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“ და სხვ.

იმ შემთხვევაში, როცა ზოგადად აღნიშნულ **საგანთა** (resp. **ობიექტთა**) მდებარეობაზეა საუბარი, მაშინ ჩოლურულშიც „**მყოფობის**“ გამო-

<sup>1</sup> **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს („უვის“)“, ბალსქვემოური დიალექტის მსგავსად, უსულო საგნებს არც ქვემოსვანურ დიალექტებში არ მიემართება.

მხატველი **არი** „არის“ ზმნა გამოიყენება (მაგ., **სტამანისკა ლიც არი||ხაგჷშა** „დოქში წყალია||ასხია“), რასაც ვერ ვიტყვით ბალსქვემოურ-ზე, სადაც გამორიცხულია ჩოლოურისებური კონსტრუქცია, იქ, როგორც მრავალგზის აღინიშნა, **არი** „არის“ ზმნის ნაცვლად **ლგ** „დგას“ პრედიკატი იხმარება.

საინტერესოდ გვესახება, ასევე, ლახამულური კილოკავის მონაცემთა ჩვენებაც, რომელიც ამა თუ იმ *საგნის / ობიექტის* სივრცული ლოკალიზაციის აღნიშვნისას ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან მეტნაკლებად განსხვავებულ ვითარებას ავლენს.

#### ლ ა ხ ა მ უ ლ უ რ ი

**სანანარ სტოლეი მიზ/ჯიზ/ხოზ** „თეფშები მაგიდაზე მიდევს/გიდევს/უდევს“, შდრ. ბქ., **სანანარ სტოლეი მიგ/ჯიგ/ხოგ** „თეფშები მაგიდაზე მიდგას/გიდგას/უდგას“; **დოქისგა ლიც ლგ** „დოქში წყალი დგას“, მაგრამ **დოქისგა ლიც მიგ/ჯიგ/ხოგ** „დოქში წყალი მიდგას/გიდგას/უდგას“; **ხანკაისგა თჷი ლგ** „ქილაში თაფლია („დგას“)“, მაგრამ **ხანკაისგა თჷი მიზ/ჯიზ/ხოზ** „ქილაში თაფლი მიდევს/გიდევს/უდევს“; **სანანარ შკაფისგა მიგ/ჯიგ/ხოგ**<sup>1</sup> „თეფშები კარადაში მიდგას/გიდგას/უდგას“; **სანანარ შკაფისგა ზიხ** „თეფშები კარადაშია („დგანან“)“, შდრ. ბქ., **სანანარ შკაფისგა ლგზ** „თეფშები კარადაშია („დგანან“)“..., მაგრამ თუ ერთმანეთზე აწყვია თეფშები, ამ შემთხვევაში ლახამულელი იყენებს **ლგზ** „დგანან“ პრედიკატს.

ცხადია, ლახამულურში არის ცდა ნიუანსურ დონეზე *საგნის / ობიექტის* მდგომარეობის მიხედვით პრედიკატთა განაწილებისა<sup>2</sup>, რასაც ბალსქვემოური დიალექტი, სვანურის სხვა დიალექტთაგან განსხვავებით, უკეთ ახერხებს და, შეიძლება ითქვას, რომ ბალსქვემოურში სწორედ ნივთის მდგომარეობა ხდება ხშირ შემთხვევაში პრედიკატთა განაწილების საფუძველი.

2. **ზი** (ზზ.), **ზი||ზე** (ბქ.), **ლგზ** (ლშხ.) **ლგზ||ლგდ** (ლნტ.) „დევს (ზედმიწ. — ძ-ევ-ს)“

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი ზმნური ფორმის (**ზი** (ზზ.), **ზი||ზე** (ბქ.), **ლგზ** (ლშხ.) **ლგზ||ლგდ** (ლნტ.) „დევს (ზედმიწ. — ძ-ევ-ს)“) გამოყენება სვანური ენის კილო-კილოკავებში საკმაოდ შეზღუდულია. ქვემოსვანურ დიალექტებში (კერძოდ, — ლენტეხურსა და ჩოლოურულში) თითქმის გადასულია ხმარებიდან, ბალსხემოურში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება, თუმცა არა ყველა კილოკავში (შდრ. ლენჯერული: **ლეზჷჷებ ეშჩჷნ ზგ** „საჰმელი იქ დევს

<sup>1</sup> **ხოგ** „დამაგრებული აქვს („უდგას“)“ პრედიკატი მიემართება აგრეთვე შემდეგ ფორმებს: **ფოლექ ხოგ** (ბქ.) „ღილი აქვს დაკერებული („უდგას“)“, **ქინძისთაჷ ხოგ კაზიო** (ბქ.) „ქინძისთავი აქვს დამაგრებული კაბაზე“, **მედალ ხოგ ზულუზაი** (ბქ.) „მედალი აქვს დამაგრებული პერანგზე“, **ფოლაქარ ხოგ პალტოი** (ლნტ.) „ღილები აქვს დამაგრებული პალტოზე“, **ბროშკა მიგ პალტოი** (ლნტ.) „ბროშკა მაქვს დაბნეული („მიდგას“) პალტოზე“ და ა. შ.

<sup>2</sup> მსჯელობა აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. ქვემოთ.

(„მ-ევ-ს“) და წვირმული: **ლეზუებ ეშჷნ არი** „საჭმელი იქ არის“), ბალსქვემოურში კი ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გამოიყენება და უსულო საგნების, ნივთების მდებარეობას აღნიშნავს „ჰორიზონტალურ სიბრტყეზე“. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არსებულ სვანური ენის პუბლიკაციებში ქვემოსვანური **ლგზ||ლგდ** „დევს (ზედმიწ. — მ-ევ-ს)“ ზმნის გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა და მათ არსებობაში ეჭვი ეპარებოდა თავად პროფ. ვ. თოფურისაც (თოფურია 1967: 245)<sup>1</sup>, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი დღემდე პროდუქტიულია ლაშხურში, რასაც ჩვენ მიერ ლაშხელი რესპონდენტებისაგან<sup>2</sup> ჩაწერილი მასალებიც ადასტურებს<sup>3</sup>. ვინაიდან ბალსქვემოურში, ლენტეხურსა და ჩოლურულში საანალიზო ზმნური ფორმისა და მისგან ნაწარმოები მარკირებული **მზ/მიზ** „მიდევს“, **ჯზ/ჯიზ** „გიდევს“, **ხზ/ხიზ** „უდევს“ ფორმების ხმარება ან შეზღუდულია, ან საერთოდ არ ფიქსირდება, აქედან გამომდინარე, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მხოლოდ და მხოლოდ ბალსქვემოური და ლაშხური დიალექტის მონაცემებს.

#### ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

**ბლოდ კიბდონისგა ზი/ზე** „სინი კიბდონშია („მ-ევ-ს“)“; **ნიკელიმ ბლოდარ მიზ/ჯიზ/ხიზ** „ნიკელის სინები მაქს/გაქეს/აქეს („მ-ი-მ-ევ-ს/გ-ი-მ-ევ-ს/უ-მ-ევ-ს“)“ და არა, **მივ/ჯივ/ხივ** „მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/უ-დგ-ა-ს“; **ლადარ მასარდ მიზ** „წიგნები ბევრი მაქეს („მ-ი-მ-ევ-ს“)“; ბაბა, **წაბ ჯიზმა?** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 101:10) „ბაბუა, სამართებული გაქეს („გიდევს?“)“; სხუათაშორის ეშხუ **მიზ** მიქორს **ფოტო**, მეზგახენქა ლგკიდ მარ, ეჯჷმ მიჷ დემეგ-იმეგ მიწუა (ეკლინგის მასალები) „სხუათაშორის ერთი ფოტო მაქეს („მიდევს“) სახლში, ოჯახიდან მაქეს გამოტანილი, იმისთანა მზე არსად მინახავს“; სუნკავსგა **მიზ ალი** ჟ'ონჷუ ი ალი ჩ'ოცურა, ა, მერმე, ქა უტმურა (ეკლინგის მასალები) „ჩანთაში 'რომ' მიდევს ეს ამოვიტანე და ეს დავტოვე, აი, მეორე, გაუტყავებელი“; **სიმაქს კიბდონისგა მესკად ხიზ** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 30) „ქალიშვილს კიბდონში ბეჭედი უდევს“ და ა. შ.<sup>4</sup>

#### ლ ა შ ხ უ რ ი

**ბალონ იმე ლგზ?** „ბალონი სად დევს („მ-ევ-ს“)“? „მაგრამ ბალონ იმე ლგგ?“ „ბალონი სად დგას?“ ან **ბალონ იმე არი?** „ბალონი სად არის?“; **კობ ტაბაგეი ლგზ** „კოვზი ტაბლაზე დევს („მ-ევ-ს“)“, მაგრამ **კობ ტაბაგეი არი** „კოვზი ტაბლაზე არის“; **დინას მაგ სგობინწუ ხიზ** (ლშხ.) „გოგოს ყველაფერი წინ უდევს“; **გაზეი ცხუად ლგზ** „გაზზე ქვაბი დგას („მ-ევ-ს“)“, მაგრამ **გაზეი ცხუად ლგგ** „გაზზე

<sup>1</sup> ვ. თოფურის აზრით, თუკი ლენტეხურში აღნიშნული ზმნის არსებობა დადასტურდა, ამით S3 ლ- პრეფიქსიანი ზმნათა რიცხვი კიდეც ერთით გაიზრდებაო (იქვე). თავის დროზე ჩვენ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ხუთიოდე ლ- პრეფიქსიან ზმნას დავამატეთ მეექვსე ზმნური ფორმა **ლგკაჩ** „ადმართულია“ (იხ. მედეა სალიანი, პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში, თბილისი, 2011:34). ვფიქრობთ, ამ ზმნათა რიცხვი დღესდღეობით უკვე შვიდს აღწევს და როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, არ არის გამორიცხული, რომ სვანურში კიდეც დაიმეზნოს მსგავსი მაგალითები (იქვე).

<sup>2</sup> ონისე ჯანხოთელი (38 წლისა), ნატალია ონიანი (43 წლისა), ჟუჟუნა ონიანი (65 წლისა) და ა. შ.

<sup>3</sup> მაგალითები იხ. ქვემოთ.

<sup>4</sup> შდრ. ბზ., **კვლარ ჯიბისგა ხიზ ქაქს** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 276) „გასაღები ჯიბეში უდევს ქაქს“.

ქვაბი დგას“ ან **გაზეი ცხუად არი** „გაზზე ქვაბი არის“; **ჟედრა იმე ჯონ?** „სათლი სად გაქვს („გ-ი-ძ-ე-ვს“)“; მაგრამ **ჟედრა იმე ჯიგ?** „სათლი სად გიდგას?“; **ხორგ იმე ჯონ?** „კასრი სად გაქვს („გ-ი-ძ-ე-ვს“)“; მაგრამ **ხორგ იმე ჯიგ?** „კასრი სად გიდგას?“; **ალეს ხომა ცხუად ხონ** „ამას დიდი ქვაბი აქვს („უ-ძ-ე-ვს“)“; მაგრამ **ალეს ხომა ცხუად ხონ** „ამას დიდი ქვაბი უდგას“; **სტოლეი საინარ ლგზ** „მაგიდაზე თეფშები დევს“, მაგრამ **სტოლეი საინარ ლგზ** „მაგიდაზე თეფშები დგანან“; **საინარ შკაფისა ლგზ** „თეფშები კარადაში დევს“, მაგრამ **საინარ შკაფისა არიხ** „თეფშები კარადაში არიან“ და ა. შ.<sup>1</sup>

თუმცა უფრო ხშირად *საგნის* (resp. *ობიექტის*) მქონებლობას **მულტა/ჯულტა/ხულტა** „მაქვს/გაქვს/აქვს“ ფორმით გამოხატავენ (მაგ.: **ჟომა საინ ჯულტა?** „რამდენი თეფში გაქვს?“; შდრ. ბქ., **ჟომა საინ ჯიგ?** „რამდენი თეფში გიდგას?“; **დედეს საინარ შკაფისა ხულტა** „დედას თეფშები კარადაში აქვს“, შდრ. ბქ., **დიას საინარ შკაფისა ხორგ** „დედას თეფშები კარადაში უდგას“; **ძღვდ კასრულამ ჯულტამა?** „დიდი ქვაბი გაქვს?“; შდრ. ბქ., ხომა კასრულ ჯიგმა? „დიდი ქვაბი გიდგას?“ ...). ხშირად კი **ლგზ** „დევს“ და მის მარკირებულ ფორმებს „მყოფობის“ აღმნიშვნელი **არი** „არის“ ენაცვლება. ვფიქრობთ, ამ ჩანაცვლებასაც თავისი ახსნა აქვს და ხშირად კონტექსტი განსაზღვრავს მდებარეობისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა მონაცვლეობას, თუმცა ეს ჩანაცვლება ბალსქვემოურად მეტყველი ადამიანისთვის ბუნებრივი არ არის. ჩვენი აზრით, **ჯონ** „გიდევს („გ-ი-ძ-ე-ვს“)“ და **ხონ** „უდევს („უ-ძ-ე-ვს“)“ კონკრეტული საგნის კუთვნილებას გულისხმობს, ხოლო **არი** „არის“ ზოგადად მყოფობას. ვფიქრობთ, ლაშხურში ამ საკითხში ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებს არქაულობას, მაგრამ ამ დიალექტშიც აშკარად იგრძნობა უნიფორმაციისაკენ მისწრაფება; ჩანაცვლების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რასაც მასალის ანალიზიც ადასტურებს.

**შენიშვნა:** ჩვენ არაერთგზის შევნიშნეთ, რომ ტრადიციულად ცნობილი სვანური ოთხი დიალექტის გარდა ნაშრომში საჭიროებისამებრ მოხმობილი იქნებოდა ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მონაცემებიც, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ბევრ საინტერესო ვითარებას ავლენენ, მათი უგულებელყოფა და გვერდის აქცევა შეუძლებელია.

საინტერესოა, რა ვითარებაა ლახამულურში უსულო საგნების, ნივთების მდებარეობის აღნიშვნისას როგორც „ჰორიზონტალურ“, ისე „ვერტიკალურ სიბრტყეზე“?

შდრ. ერთი მხრივ, ლხმ. **ლახანკა/ტაშდ/გარჟ ზი** „ლახანკა, ტაშტი, გეჯა დევს“ და, მეორე მხრივ, **სტამან/ჭიქ/ჟაზა ლგ** (ლხმ.) „დოქი, ჭიქა, ვაზა დგას“. ამ ორ ილუსტრაციას შორის, როგორც ვხედავთ, სხვაობა აშკარაა. შეიძლება დაისვას კითხვა, რამ განაპირობა ეს სხვაობა? როგორც არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა რ. ჭკადუამ მიგვითითა, ლახამულურში ბრტყე-

<sup>1</sup> შდრ. ლნტ., **ხოფშარს ლეზუებ ტაბაგეი ხონ** „ბავშვებს საჭმელი ტაბლაზე უდევთ“ და ჩოლ., **შკაფეი თეფე ხონ** „გარდერობზე თოფი უდევს“.

ლი ფორმის ჭურჭელს ძირითადად მიემართება პრედიკატი **ზი** „დევს („მ-ევ-ს“), დანარჩენ ჭურჭელს კი **ლგ** „დგას“. ვფიქრობთ, დაახლოებით ასეთი ვითარებაა ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებშიც, რაც უნივერსალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლახამულური კილოკავი რაღაც დონეზე თითქოს განარჩევს, ერთი მხრივ, **ლგ** „დგას“ და **ზი** „მევს“ პრედიკატების სივრცულ ლოკალიზაციას და, მეორე მხრივ, **მიზ** „მაქვს („მ-ი-მ-ევ-ს““ და **მულღა** „მაქვს“ პრედიკატებისას, რასაც შემდეგი საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს: **მი მასარდ კაზარ მიზ** „მე ბევრი კაბები მაქვს („მიდევს““), მაგრამ **ქუერწილთე ლაზ კაბ დემეგ მულღა** „ქორწილში წასასვლელი კაბა არ მაქვს“ (შდრ. ლნტ., **კაზარ ხუა მულღა**<sup>1</sup> „კაბები ბევრი მაქვს“), რასაც ვერ ვიტყვით ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებზე, სადაც **მულღა** „მაქვს“ ფორმა მიემართება მხოლოდ იმას, რაც ხელში გიჭირავს (მაგ.: **ლანდ მულღა** „წიგნი მაქვს“, **ჟარჩხილ მულღა** „ფული მაქვს“ და სხვ.) და არა იმას, რაც შენგან მოშორებით დევს, რასაც ხელს ვერ კიდებ საუბრის მომენტში, ანუ რაზეც ხელი არ მიგიწვდება<sup>2</sup>.

**ლგ** „დგას“ ზმნის რამდენიმე მნიშვნელობის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება **ზი||ზგ** „დევს („მ-ევ-ს““ ზმნას, მას, ქართულის მსგავსად, *მოთავსებულისა, მდებარეობს* მნიშვნელობა აქვს და, უპირველეს ყოვლისა, მიემართება ამა თუ იმ უსულო საგნის, ნივთის მდებარეობას, თუმცა მისი სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში, კერძოდ, ბალსქვემოურ დიალექტში, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. იგი მეტაფორული გადააზრიანებით *მიწის მდებარეობასაც* გამოხატავს:

**ჰეცერ ზი** ენგურიმ ლერსგუან ფოყხენ, ბეჩუაშ ი ფვარიმ უშხუნრენსგა (სვან. პროზ. ტექსტ., II, 121:3) „ეცერი მდებარეობს („მ-ევ-ს“) ენგურის მარჯვენა მხარეს, ბეჩოსა და ფარის შუაში“; **უსგური ზი** ჯუმფრერიმ თხუმ ი ჰეცერხენ ეშხუ ლადლიმ ლეხენ ხოზი (სვან. პროზ. ტექსტ., II, 121:22) „უსგური მდებარეობს ხუმფრერის თავში და ეცერიდან ერთი დღის სავალზეა („ერთი დღ-ის სავალი უ-მ-ევ-ს“)“; უთურიმ კარკ ჩუაფუხენ..., აშხუ გორაგჟი, ნენსგა ნენჩადსგა **ზი** მასარდ **ჯუედი ი მამრი შუიშელ ნაკ** (იქვე 247:3) „უთვირის ყელის ქვემოთ, ერთ ზეგანზე, ხშირი ტყის მასივის შუაში მდებარეობს („მ-ევ-ს“) საკმაოდ გრძელი და ფართო მოშიშვლებული ვაკე ადგილი“; ნიშგემგე ხოჩა **გიმარ ზგზ** (ბქ.) „ჩვენთან კარგი მიწებია („ჩვენთან კარგი მიწები ძევს“)“, შდრ. ჩოლ. **გიმარ არი** „მიწებია“ და, ასევე, ლნტ. **გუშგუემმოყ გიმარ ხუა არი** „ჩვენთან ბევრი მიწებია“ და სხვ.

მაგრამ თუ მიწა ზმნაში წარმოდგენილი მფლობელი პირის კუთვნილებაა, ამ შემთხვევაში ზემოსვანურშიც და ქვემოსვანურშიც **მულღა** „მაქვს“ ზმნა გამოიყენება. მაგ.: **გიმ მასარდ მულღა** (ბქ.), **ხუა გიმარ მულღა** (ლნტ.) „ბევრი მიწა მაქვს“. ვფიქრობთ, ბალსქვემოურ დიალექტ-

<sup>1</sup> დაწვრილებითი მსჯელობა აღნიშნული პრედიკატის შესახებ იხ. ქვემოთ!

<sup>2</sup> ბალსქვემოურისებური ვითარება ვლინდება აღნიშნულ პრედიკატთან დაკავშირებით ბალსზემოურ დიალექტშიც.

ში მიწის მდებარეობის გადმოსაცემად გამოყენებული **ზი||ზგ** „მევს“ ზმნას „მყოფობის“ სემანტიკა აქვს, რასაც სვანურის სხვა დიალექტური მონაცემებიც უჭერს მხარს.

გარდა ამისა, **ზი||ზგ** „მევს“ ზმნის მარკირებული **ხაზ** „ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს“)“ *მიწის, სოფლის* და ა. შ. მდებარეობას, სივრცულ ლოკაციას გამოხატავს ზემოსვანურ დიალექტებში<sup>1</sup>:

**ვეერს**¹ ... მუჟლაწადხენ **ხაზ** ბეჩტი, მუჟლაჰტანხენ — ფარ. **ეიჰამშენჩუ ხაზ** გოგიშიშ ყტიმბ მერმა ფოყხენ — ჯტარილდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 121: 3) „ეცერს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს“) ბეჩო, დასავლეთიდან — ფარი. ზემოთა მხრიდან ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს“) გოგიშის ყვიმბი (მთა), მეორე მხრიდან — ჯვარილდი (ესეც მთაა)“; **ეიბშენჩუ ჯაკუჰათარ ნაზხ** (ბქ.) „ზემოთა მხრიდან ჯაკვათისანი გვესაზღვრებიან“; ლეზგარას **ეიჰამშენჩუ** ხომატსახტიშ **გორაგ ხაზ** (ბქ.) „ლეზგარას ზემოთა მხრიდან ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს“) უზარმაზარი მთა („გორაკი“)“ და ა. შ.

გადატანითი მნიშვნელობითვე გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის, ან ცხოველის მდგომარეობა უსულო საგნის მდგომარეობასთან ასოცირდება (მაგ.: ბეშმა **ხოშ**ნსნარ ჩუ ლეკაფ **ზი** ი ისემწალ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 21:17) „ბეშისანის უხუცესი თურმე დავარდნილია („წაქცეული ძ-ევ-ს“) და შველას ითხოვს“; ეჩქას ლამბინეხ ლოზი მინე ბაზა რომ ბაჰთე, სგანადხ ყორთესგა ი ლახტუილხ: „ბაზა, **მინე მუ** ლეღვარ ესერ **ზი**...“ (სვან. პროზ. ტექსტ., I, 407:14) — მაშინ წავიდნენ („დაიწყეს სვლა“) თავიანთ ბაბუასთან, რომ მღვდელთან, მივიდნენ („შევიდნენ“) კარებთან და დაუძახეს: „ბაბუა, მამაჩვენი მკვდარი გდიაო („ძ-ევ-ს“)“; **ამეჩუ ლეღვარ ზგ** (ბქ.) „აქ მიცვალეული დევს“, **ჰამუნღუენეზოზდ ლაყურალეჟა ზგ** (ბქ.) „დილიდან-სალამომდე ლოგინზე გდია („მევს“)“ და ა. შ.), თუმცა თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართულის ვითარებას, შესაძლოა, მეტაფორიზაცია გამოვრიცხოთ და ჩავთვალოთ, რომ ცოცხალი საგნის მდებარეობასაც მიემართება, რაც ნაკლებად მოსალოდნელია.

განსახილველი ზმნის ფუძეა გამოყენებული შემდეგ ფორმებშიც: (ბზ.) **ხაზ**, (ბქ., ლნტ.) **ხაზ**, (ლშხ., ჩოლ.) **ხაზ** „ავცია (ფეხსაცმელი, წინდა...)“:

**წიპარალ სგა მაზ**, ალე დემ ემორჩილება უკუტე წიპარელს, ალე კოჯარს (ბზ., ეკლინგის მასალები) „წრიაპები მაცვია, ეს არ ემორჩილება უკვე წრიაპებს, ამ კლდეებს უკვე“; **ნასკარ მაზდა**, მახე ნაჩომ ამიშ, ა, ბერალ, ეჯდარ გაჩტშ ჩუ ლეჰკატრე მად, ქა ლეკდგრე (ბზ., ეკლინგის მასალები) „წინდები მეცვა, ახალი მოქსოვილი ამისი, აი, წინდები, ისინი დანით გასაჭრელი გამიხდა, გასახდელი“; სალდათარს **ჩეჰმალ ხაზდახ** (ბზ.) „ჯარისკაცებს ჩეჰმები ეცვათ“; ბეფშუს **ჩაფელ დემეგ ხასდა** (ბქ.) „ბავშვს ფეხსაცმელი არ ეცვა“; ნადუჟურს **სახტუშირ სგა ხაზ** (ბქ.) „ბიჭს შარვალი აცვია“; მიშგუითან **ჟალინკალ** დარს **ხაზდა** (ჩოლ.) „ჩემისთანა ვალინკები არავის ეცვა“; მახე **შარჟალ ხაზ** (ლშხ.) „ავცია“

<sup>1</sup> ქემოსვანურ დიალექტებში **ხაზ** ფორმის ადგილს იკავებს **ხაიდჟერა** „ესაზღვრება“ ფორმა.



მახე **ჩაფლარ მაზდა** (ლშხ.) „ახალი ფეხსაცმელი მეცვა“; ჯჷინელ **ჩაფლარ ხაზდა** (ლნტ.) „ძველი ფეხსაცმელი ეცვა“; **ლგლგრე ნაჩფულუარ ხაზ** (ჩოლ.) „დახეული ფეხსაცმელები ეცვა“ და სხვ.

როგორც საილუსტრაციო მასალამ აჩვენა, სვანურში ამ მხრივაც განსაკუთრებული ვითარებაა. ის, რაც ქართულში *აცვია* პრედიკატიტად გამოიხატება, სვანურში **ხაზ** „აძევს“ ფორმით გამოიხატება.

**ხი||ზგ** „დევს“ და მისი მარკირებული ფორმების გამოყენება **ლგგ** „დგას“ / **ხაგ** „ადგას“ ფორმებთან შედარებით საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა იდიომატურ გამოთქმებში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება. მაგ.: **ჰარაჰდ ხი||ზგ** (ბქ.) „ნათქვამია (ზედმიწ. — **არაკ**-ად დევს)“, **საყუდირდ ხაზ** (ბქ., ლნტ.) „გალანძლილია (ზედმიწ. — საყვედურ-ად ადევს)“, **ლემგურდ ხაზხ** (ლაშხ.) „სასირცხვილოდ ადევთ“, **ქჷყენიშ ჯაღდ ზგ** (ბქ.) „ქვეყნის სათრევია (ზედმიწ. — **ქვეყენ**-ის მძორად დევს)“, **ლაჯღაჷდ ზგ** (ბქ.) „ქვეყნის დასაცინია (ზედმიწ. — **სა-ჯღანაგ**-ად დევს)“ და ა. შ. შდრ. ჩოლ. **ნაქჷ ლი** „ნათქვამია“, ლნტ. **არაჰდ ლი ალე ნაქჷისკ** „ნათქვამია ეს („არაკად არის ეს ნათქვამი“)“ და მისთ. როგორც მასალის ანალიზიდან ირკვევა, **ზგ||ხი** „დევს“ პრედიკატს აქაც უგულუბელყოფენ ქვემოსვანური დიალექტები. ვფიქრობთ, ქვემოსვანურის ვითარება მეორეულია და მას არქაულ მოვლენად ვერ ჩავთვლით.

საინტერესოდ გვესახება, ასევე, **ხაზი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხოზი** (ბქ., ლნტ.) „უძევს (მანძილი, დრო)“ ფორმის აქ შემოტანა, თუმცა ამჯერად მისი განხილვისაგან თავს შევიკავებთ, ვინაიდან ჩვენ მიერ განსახილველ საკითხს საგრძნობლად სცილდება; მასზე მსჯელობას სამომავლოდ ვვარაუდობთ.

საინტერესოა, რა სხვაობას იძლევა სვანური უსულო *საგნების / ობიექტების* აღნიშვნისას ქართულთან შედარებით?

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, როდესაც ჭურჭელზეა საუბარი, ამ შემთხვევაში ქართულში ყურადღება ექცევა საგნის ფორმას (მაგ., *დოქი დგას*, მაგრამ *თეფში დევს*), თუმცა იმ შემთხვევებზეც მიუთითებენ, როდესაც „ვერტიკალურად ორიენტირებული“ საგნებისათვის *დევს* ზმნაც გამოიყენება (*ჭიქა დგას*, მაგრამ *ჭიქა დევს*) (ნ. ლოლაძე). სვანურშიც, ბუნებრივია, პრედიკატის შერჩევისას ყურადღება ექცევა საგნის ფორმას და დიფერენცირება ხდება შემდეგი წესის მიხედვით: საგანი, რომელიც ოდნავ მაინც ვერტიკალურ მდგომარეობაშია, მნიშვნელობა არა აქვს *დოქია*, *ჭიქა*, *ბოთლი*, *ქვაბი* თუ *თეფში*, მას აუცილებლად ბალსქვემოურ დიალექტში **ლგგ** „დგას“<sup>1</sup> პრედიკატი მიემართება, ხოლო *სინს*, რომელიც „ჰორიზონტალურადაა ორიენტირებული“, მიემართება პრედიკატი **ზგ** „დევს“ (შდრ., ასევე, **ლამრ ზგ** „წიგნი დევს“, **ქარღათ ზგ** „ქალაღი დევს“ და ა. შ.).

<sup>1</sup> თუ *ჭიქა*, *ბოთლი* ან *კასრი*... არ დგას, არამედ ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, ამ შემთხვევაში მათ მდებარეობას სვანურში მიემართება პრედიკატი **ხაგრანაგ** „აგორია“ და არა **ზგ** „დევს“ ან **ლგგ** „დგას“.

ქართულში ასევე გახაზავენ *დგას* და *დევს* ზმნათა მონაცვლეობის ისეთ შემთხვევებს, როგორცაა: *ტელევიზორი ოთახში დგას*, მაგრამ *ტელევიზორი ჯერ კიდევ ყუთში დევს*; ველოსიპედი აივანზე დგას, მაგრამ ველოსიპედი სარდაფში დევს (ნ. ლოლაძე). შესადარებლად მოვიხმობთ ბალქვემოური დიალექტის მონაცემებს:

**ტელეჟიზორ ჯიგზმა?** (ბქ.) „ტელევიზორი გაქვთ („გიდგათ?“)?“, მაგრამ **ტელეჟიზორ იმეგ ლგგ?** (ბქ.) „ტელევიზორი სად დგას?“, **ტელეჟიზორ ოთახისგა ლგგ** „ტელევიზორი ოთახში დგას“, **ტელეჟიზორ ყუთისგა ლგგ** (ბქ.) „ტელევიზორი ყუთში დგას“, ამ შემთხვევაში, ქართულისგან განსხვავებით, სვანურში **ლგგ** „დგას“ და **ზგ** „დევს“ ზმნები არ მონაცვლეობენ. უფრო მეტიც, ლენტეხურში ამ შემთხვევაში საერთოდ არ დომინირებს აღნიშნული ზმნები, მაგ., **ტელეჟიზორ მულჟა აგის** „ტელევიზორი მაქვს სახლში“, **ტელეჟიზორ მიჩა ყუთისა არი** „ტელევიზორი თავის ყუთშია“ და სხვ. როგორც ვხედავთ, **ლგგ** „დგას“ და **ზგ** „დევს“ ზმნებს ლენტეხურ დიალექტში ჩაენაცვლა ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნები.

ამგვარ შემთხვევებში პრედიკატთა განაწილების საფუძვლად რუსულში (რახილინა 1998:72), ობიექტის ფუნქციონალურობა მიიჩნევა, კერძოდ, „დგომისთვის“ (**ლიგნე**) მნიშვნელოვანია სივრცეში საგნის ისეთი ორიენტაცია, რომელიც შეესაბამება მის ფუნქციას, ხოლო „დებისთვის“ (**ლიდისგ**) მთავარია არა ის, ჰორიზონტალურად მდებარეობს საგანი თუ არა, არამედ ის, რომ საგნის მდებარეობა არ შეესაბამება მის ფუნქციას. სინქრონიულ დონეზე ამ ზმნათა სემანტიკაში ლოკატიურობა იმდენად არ დომინირებს, რამდენადაც ფუნქციონალურობა. როგორც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, „ერთი შეხედვით, თითქოს ქართულისთვისაც შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებად ჩაითვალოს პრედიკატთა განაწილების ამგვარი მოტივაცია, მაგრამ ქართულში, რუსულისაგან განსხვავებით, ამ ზმნების (*დგას* და *დევს*) ძირითადი ფუნქცია სივრცული მიმართებების აღნიშვნაა“ (ლოლაძე 2013), ამიტომ ლოკატიურ ზმნათა განაწილება ქართულში, რუსულთან შედარებით, ბევრად უფრო თანმიმდევრულად და სისტემურად მიაჩნიათ.

ვფიქრობთ, ამ ზმნათა (**ლგგ** „დგას“ და **ზი|ზგ** „დევს“) განაწილების მხრივ სვანურშიც თავისებურებას ავლენს და ქართულს ხშირ შემთხვევაში არ მისდევს, ამასთანავე არც იმას გამოვრიცხავთ, რომ სვანური ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ამა თუ იმ საგნის მდებარეობას (ის, რაც ფეხზე დგას და წაქცეული არ არის, სწორედ **ლგგ** „დგას“ პრედიკატით გამოიხატება (მაგ., შდრ., ერთი მხრივ, **ლგგ ჰიქ** „დგას ჰიქ“, **ლგგ სან** „დგას თეფში“, **ლგგ ზუყუინ** „დგას კასრი“ და, მეორე მხრივ, **ზგ ლან** „დევს წიგნი“, **ზგ ყუემ** „დევს კოვზი“, **ზგ ქარდთ** „დევს ქაღალდი“ და ა. შ.), ანუ ობიექტის ფორმა განაპირობებს აღნიშნულ ზმნათა სივრცულ მიმართებას და არა ფუნქცია. რა თქმა უნდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დასკვნა გამოგვაქვს ძირითადად ბალსქვემოურ დიალექტის მონაცემებზე დაყრდნობით, ვინაიდან **ლგგ** „დგას“ და

**ზი||ზე** „დევს“, აგრეთვე ამ ზმნათა მაქცევრიანი (ე. წ. მარკირებული) ფორმების ხმარებას სივრცული მიმართებების აღსანიშნავად ბალსქვემო-ურში სისტემის სახე აქვს. ზემოთ საუბარი გვექონდა იმაზეც, რომ ქვემოსვანურსა და ბალსზემოურში, როგორც წესი, მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ენაცვლებიან (შდრ.: **საან სტოლეი ლგგ** (ზზ.) „თეფში მაგიდაზე დგას“, მაგრამ **საან სტოლეი არი** „თეფში მაგიდაზე დევს („არის“); **საან არი შკაფისგა** (ზზ.) „თეფში არის კარადაში“; **ჟოშა კასრულ ჯირი?** (ზზ.) „რამდენი ქვაბი გაქვს?“, თუმცა იშვიათად შეიძლება ითქვას – **ჟოშა კასრულ ჯიგ?** „რამდენი ქვაბი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს?“)“; **ჟედრამსგა ნიც მნე** (ზზ.) „სათლში წყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“); მაგრამ **ჟედრამსგა ნიც მირი** (ზზ.) „სათლში წყალი მაქვს („მ-ი-ვის“); **გაჩ იმე ჯირი?** (ზზ., ლენჯ.) „დანა სად გიდევს („გივის?“)“, მაგრამ იშვიათად **გაჩ იმე ჯიზ?** „დანა სად გიდევს?“; **გაჩ იმე ჯუღუა?** (ჩოლ.) „დანა სად გიდევს („გაქვს?“)“; **მახუაჟ კუილ ჯუღუა** (ლშზ., ჩოლ.) „რამდენი სკამი გაქვს?“, შდრ. ბქ. **ჟოშა კუილ ჯიზ?** „რამდენი კუნძი გაქვს („გიდევს?“)“; **სტოლეი ჭიქ ლგგ** (ლშზ) „მაგიდაზე ჭიქა დგას“, მაგრამ **სტოლეი ჭიქ არი** „მაგიდაზე ჭიქა დგას („არის“); **მაციჟარეი სტამან ლგზ** (ლშზ) „მაცივარზე დოქი დგას („მ-ევ-ს“); მაგრამ **მაციჟარეი სტამან ლგგ** „მაცივარზე დოქი დგას“, ან **მაციჟარეი სტამან არი** „მაცივარზე დოქი დგას („არის“); **სტოლეი საინ არი** (ჩოლ.) „მაგიდაზე თეფში დევს („არის“); **კასრულისა ლიც მუღუა** (ჩოლ.) „ქვაბში წყალი მიდგას („მაქვს“); ან **კასრულისა ლიც მიგუშა** (ჩოლ.) „კასრულში წყალი მაქვს („მისხია“)“ და მრავ. სხვ.), რაც სისტემის თანდათან მოშლაზე მიანიშნებს.

როგორც საკმაოდ ვრცელი მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში კუთვნილების გამოსახატავად რამდენიმე ზმნური ფორმა გამოიყენება: **მაგ/ჯაგ/ხაგ** „მადგას/გადგას/ადგას“, **მიგ/ჯიგ/ხოგ** „მიდგას/გიდგას/უდგას“, **მირი/ჯირი/ხორი** „მეყავს/გეყავს/ჰეყავს“, **მარ/ჯარ/ხარ** „მაქვს/გაქვს/აქვს“. საინტერესოა მათი განაწილება სივრცული მიმართებების ასახვის თვალსაზრისით სვანური ენის დიალექტების მიხედვით:

**მაგ/ჯაგ/ხაგ** „მადგას/გადგას/ადგას“, ძველი ქართულის მსგავსად, მაშინ გამოიყენება, როცა მორფოლოგიური სუბიექტი ადამიანის, ცხოველის, ან ფრინველის სხეულის რაიმე ნაწილს შეადგენს (მაგ.: **ფაყუ მაგ/ჯაგ/ხაგ** „ქუდი მახურავს/გახურავს/ახურავს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს“); ცილინდრ **მანგ/ჯანგ/ხანგ** თხუიმჟი (ლშზ.) „ცილინდრი /გახურავს/ახურავს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს“) თავზე“, **მუჟუარ მაგ/ჯაგ/ხაგ** „რქა მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს“); **ჩაჟს ფაფრანჯ ხაგ** „ცხენს ფაფარი აქვს („ა-დგ-ა-ს“); **ფათუ მაგ/ჯაგ/ხაგ** „თმა მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს“); **ნეჟარ მაგ/ჯაგ/ხაგ** „წარბები მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს“); **ქათაჟს პინტყელ ხაგ** (ბქ., სვან. ქრესტ., 205:31) „ქათამს ბურტყელი აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ და ა. შ.<sup>1</sup>, თუმ-

<sup>1</sup> დაწვრილებითი მიმოხილვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ!

ცა **ხაგ** „ადგას“ პრედიკატის სემანტიკური შესაძლებლობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. იგი ასევე მიემართება რა ჯგუფის სახელებსაც:

მინე ყორჟი **ხაჩ ხაგ**, ეჩეჟი ჩუ სგურ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 147:18) „თავიანთ კარზე ქვა დევს („ა-დგ-ა-ს“), იმაზე ზის“; აშხუ ლადელ ანვად ქორთე ი მინე ქორს **ხეჭედ ხაგ** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 170:8) „ერთ დღეს მოვიდა სახლში და თავიანთ სახლს ბეჭედი აზის („ა-დგ-ა-ს“); ესრენიშ ალ დენას ემზუ ლუსჟი **დომტულ ხაგ** ი მერბა ლუსჟი — მიჟ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 191:30) „თურმე ამ გოგოს ერთ ძუძუზე მთვარე ახატია („ა-დგ-ა-ს“) და მეორე ძუძუზე — მზე“; **ლიც ხაგ** ჩის (ლნტ., ეკლინგის მასალები) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი ა-დგ-ა-ს ყველაფერს“), შდრ. ბქ., **ლიც ხასგურ** ჩიგჟამ „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს“), **ლიც ხასგურ ჩის** (ჩოლ.) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს“); **მეუ ხაგ ალეს** (ჩოლ.) „მზე ადგას ამას“ და სხვ.

**მიგ/ჯიგ/ზოგ** „მიდგას/გიდგას/უდგას“ ძირითადად ნივთის / საგნის მქონებლობას, კუთვნილებას გამოხატავს (მაგ.: **ქორ მიგ/ჯიგ/ზოგ** „სახლი მიდგას/გიდგას/უდგას“, **ხილ მიგ/ჯიგ/ზოგ** „ხილი მიდგას/გიდგას/უდგას“, **სან მიგ/ჯიგ/ზოგ** „თევში მიდგას/გიდგას/უდგას“, **ტაბან მიგ/ჯიგ/ზოგ** „მაგიდა მიდგას/გიდგას/უდგას“ || სუფრა გაქვს გაშლილი“, **ყუაჟლან მიგ/ჯიგ/ზოგ** „ყვავილები გაქვს („მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს“), **სგი მიგ/ჯიგ/ზოგ** „მჟავე წყალი აქვს („მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს“), **ღჟინალ მიგ/ჯიგ/ზოგ** „ღვინო აქვს („მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს““ და მისთ.

**შენიშვნა:** ბალსქვემოურში **მიგ/ჯიგ/ზოგ** „მიდგას/გიდგას/უდგას“ ზმნური ფორმები გამოიყენება, ასევე, *ღილის*, *სამკაულის* და ა. შ. სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავადაც: **ფოლექ მიგ** „ღილი მაქვს (ანუ მ-ი-დგ-ა-ს, დაკერებული მაქვს“), **ბროშა მიგ** „ბროშა მიკეთია („მ-ი-დგ-ა-ს“), **ქინძისთაჟ მიგ** „ქინძისთავი მიკეთია“ (შდრ. ჩოლ. **ფოლაქ მარ** (ჩოლ.) „ღილი მაქვს“), ბალსქვემოურშივე **მიგ** „მიდგას“ ფორმის პარალელურად ღილის სივრცული ლოკაციის გამოსახატავად **მილჯა** „მაქვს („მარგია“)“ პრედიკატივ გამოიყენება (მაგ., **ფოლექ მილჯა პალიტოჟი** „ღილი მაქვს დამაგრებული („მირგია, მიმარგია“) პალტოზე“), თუმცა უფრო გავრცელებულია **მიგ/ჯიგ/ზოგ** „მიდგას/გიდგას/უდგას“ და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სვანურში ღილების შეკვრა **ლიგემ** „დგმა“ ზმნით გამოიხატება, ე. ი. იგულისხმება ღილების შეკვრა (ზედმიწ. *დადგმა*).

რაც შეეხება **მირი/ჯირი/ზორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ ფორმათა გამოყენებას, აქ შედარებით არამწყობრი სურათი იხატება დიალექტების მიხედვით:

ბალსზემოურში იგი სულიერის ყოლას და უსულო საგნის მქონებლობას აღნიშნავს. ანუ ერთნაირად მიემართება როგორც ვინ ჯგუფის (მაგ.: სგამ მაროლ, მამ ჯინდღდხ, ეჯა მაყერდ: **ხეხუ მირი**, ეჯა ნოსა ამდარად! (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 157:26) „თქვე კაცებო, რაც გინდათ, ის მიქენით: ცოლი მყავს, ის არ მომიკლათ!“, დიდამუ ხარ ღნრბათ, იმჟამ აღმასხანს ჰყინტგეხალ **ჩუ ხორი**! აღმასხანს ნიშგჟედცახან დნსა

ხრქუბა, ერე ჭყინტგეზალ **ჩუ მირი** (იქვე, 227:14) „დიდება უფალს, რომ აღმასხანს ვაჟიშვილი ჰყავს („დიდ-ებ-ა-მცა აქვს **ღმერთ-ს**, სადაც **აღმასხან-ს** ვაჟიშვილი ქე უ-გ-ი-ს!“)! აღმასხანს ჩვენთან არ უთქვამს, რომ ვაჟიშვილი მყავს („ქე მივის“)“, ეშხუ გაბრზხ ჩჷქ მირი „ერთი ჯაგლაგი ცხენი მყავს“ და სხვ.), ისე რა ჯგუფის სახელებსაც (მაგ., **ყანწარ** მი დღეს **მირი** ქორს (ეკლინგის მასალები) „ყანწები მე არ მაქვს („მივის“)“ სახლში“, **გარიმე ჯირი?** (ბზ.) „დანა სად გიდევს („გივის?“)“...).

ბალსქვემოურში კი **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ მხოლოდ სულიერს მიემართება (მაგ., **ეშხუ გეზალ გარ მირი** (ბქ.) „მხოლოდ ერთი შვილი მყავს“; **მიშგუ მეზუბელს აერტუშდ ქტინიშგენე ხორი** (ბქ.) „ჩემ მეზობელს ოცი სული საქონელი ჰყავს („სულდგმული უვის“)“ და ა. შ.).

ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებული ვითარებაა ქვემოსვანურ დიალექტებში, კერძოდ, ჩოლურულში, სადაც აღნიშნული ზმნა რელიქტის სახით არის შემორჩენილი. **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა რომელიმე მწერის (*ტილის, რწყილის, ტკიპას...*) ყოლაზეა საუბარი. მაგ.: **ტიშარ მირი** „ტილები მყავს („მახვევია“)“, **ზესყარ მირი** მყავს („მახვევია“)“, **გჯჯღარ მირი** „ტკიპები მყავს („მახვევია“)“, მაგრამ გამორიცხულია — **კასრულ მირი** „ქვაბი მაქვს“, **საინ მირი** „თეფში მაქვს“ ან **ზოფშარ მირი** „ბავშვები მყავს“, **გეზლირ მირი** „შვილები მყავს“ და მისთ. გაუგებარია რა პრინციპით ანსხვავებენ სულიერს (?), თუმცა ერთი რამ ფაქტია, უძველესი ფორმაციის ზმნის მნიშვნელობა ქვემოსვანურ დიალექტებში თანდათან ვიწროვდება, ბალსქვემოური ნაწილობრივ ინარჩუნებს არქაულობას, ბალსზემოურში კი, როგორც უკვე ითქვა, ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. ვფიქრობთ, ბალსზემოურის ვითარება მეორეულია.

რაც შეეხება **მაგ** „მადგას“ და **მიგ** „მიდგას“ ფორმებს, ისინი მხოლოდ უსულო საგნის კუთვნილებას გამოხატავენ (მაგ.: **ფაყუ მანგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ქუდი მახურავს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ფაყუ მაგ**<sup>1</sup> (ბქ.) „ქუდი მახურავს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ყაბუ მანგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „წვერი მაქვს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ყაბ მაგ** (ბქ., ლნტ.) „წვერი მაქვს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ტეფ მაგ** (ბზ., ჩოლ.) „ოფლი მადგას“, **ტეფ მაგ** (ბქ.) „ოფლი მადგას“, **ტოფ მაგ** (ლშხ.) „ოფლი მადგას“, **ჩაჩ მანგ** (ჩოლ.) „წვერი მაქვს („მ-ა-დგ-ა-ს“)“...; **ქორ მიგ** (ზს., ქს.) „სახლი მიდგას“, **მურყუამ მიგ** (ლშხ.) „კომპი მიდგას“, **სგიმ მიგ** (ბქ.) (ბქ.) „მჟავეწყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“ და ა. შ.), თუმცა ნიუანსური სხვაობა დიალექტების მიხედვით აქაც იჩენს თავს, რაც ძირითადად ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნებით ჩანაცვლებაში გამოიხატება. შდრ., ერთი მხრივ, ბალსქვემოური **სგიმ / ლიგ მიგ** (ბქ.) (ბქ.) „მჟავეწყალი / წყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“, და, მეორე მხრივ, ქვემოსვანური **სგიმი|სკიმი / ლიგ მულტა** „მჟავეწყალი / წყალი მაქვს (მიდგას მნიშვნელობით)“. ბალსზემოურში **მიგ** „მიდგას“ და **მულტა** „მაქვს“ პრედიკატების ადგილს, როგორც ყოველთვის, **მირი** „მაქვს (მ-ი-გ-ი-ს“)“ იკავებს.


<sup>1</sup> მაგრამ **ნეფყუ მაჭონა** „თავსაფარი მახურავს („მახვევია“)“.



**შენიშვნა:** ლენტეხელი თავზე ქუდის სივრცულ ლოკაციას **მაგ** „მადგას“ პრედიკატიტადმოსცემს (მაგ., **ფაყუ მაგ** „ქუდი მახურავს („ა-დგ-ას“)“), მაგრამ თუ ქუდის მქონებლობაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში, ბალსქვემოური დიალექტისაგან განსხვავებით, კვლავ **მულუა** „მაქვს“ ზმნას მიმართავს (მაგ., **ფაყუ ჯულუამა?** „ქუდი გაქვს?“). ბალსქვემოურში კი ქუდის (და არა მხოლოდ ქუდის) მქონებლობის გამოსახატავად, ქუდის მდგომარეობისდა მიხედვით, სხვადასხვა პრედიკატები გამოიყენება: **მულუა** „მაქვს“ და **მიზ** „მიდევს („მ-ი-ძ-ევ-ს“)“, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება, კერძოდ, თუ ქუდის ხელში მქონებლობაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში **მულუა** „მაქვს“ ზმნა იხმარება, მაგრამ თუ ქუდი (და საერთოდ ნებისმიერი ნივთი) ადამიანს ხელში არ უჭირავს (ანუ ხელშეხება არა აქვს მასთან), ამ შემთხვევაში **მიზ** „მიდევს („მ-ი-ძ-ევ-ს“)“ პრედიკატს იყენებს.

ძველი ქართულის მსგავსად, სვანურშიც **მაგ / მიგ / მიზ** ზმნები ნივთის მქონებლობას აღნიშნავენ, ამათგან **მაგ** „მადგას“ სხეულის ნაწილებთან გამოიყენება, **მიგ** „მიდგას“ — „უმრავი ქონების“, საქონლის კუთვნილებას აღნიშნავს, თუმცა აქ იკვეთება ერთი მეტად საინტერესო ვითარება, კერძოდ, **მიგ** „მიდგას“ სიცოცხლის გამომხატველიცაა, მაგ., **ქუნი მიგ** „სული მიდგას“. ხოლო **მიზ** „მიდევს“ ზმნით გამოხატული, მსგავსად ძველი ქართულისა, კუთვნილების სახეობაა — „ჩემთან დევს, ჩემთან არის“, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იშვიათ შემთხვევაში მყოფობის სემანტიკასაც ითავსებს (მაგ., **ხოჩა გუი მიზ** „გახარებული ვარ („კარგი გულ-ი მ-ი-ძ-ევ-ს“)“ და ა. შ.).



ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნაშრომში განხილულ თითქმის ყველა სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმას ქვემოსვანურ დიალექტებში „*მყოფობა-მქონებლობის*“ გამომხატველი ზმნები — **მულუა/ჯულუა/ხულუა** „მაქვს/გაქვს/აქვს“, **მაყა/ჯაყა/ხაყა** „მყავს/გყავს/ჰყავს“, **არი** „არის“ ენაცვლებიან. ბალსზემოურში კი აღნიშნულ ზმნებს **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ პრედიკატიც ემატება. ბალსქვემოურში სივრცული ლოკალიზაციის გამომხატველ ზმნებს შედარებით მყარი ადგილი უჭირავთ და უმრავლეს შემთხვევაში არ საჭიროებენ მათ ქონა-ყოლის ზმნებით ჩანაცვლებას.



**მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სივრცული განაწილება  
სვანური ენის კილო-კილოკავების მიხედვით**














## ლიტერატურა

### ა) სამეცნიერო ლიტერატურა

**ლოლაძე** 2005 — ნ. ლოლაძე, არსებობისა და ქონა-ყოლის ზმნათა მიმართებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005

**ლოლაძე** 2011 — ნ. ლოლაძე, სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIV, თბილისი, 2011

**ლოლაძე** 2013 — ნ. ლოლაძე, „პოზიციური“ პრედიკატები დგას, დევს/წევს, ზის (სემანტიკური ანალიზი), 72-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2013

**რახილინი** 1998 — Рахилина, Семантика русских «позиционных» предикатов: стоять, лежать, сидеть, висеть, *Вопросы Языкознания*, № 6., 1998

### ბ) ლექსიკონები

**თოფურია, ქალდანი** 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

**ლიპარტელიანი** 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1994

## გ) წყაროები

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

**სვან. ენის ქრესტ.** 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

## Medea Saghliani

### On the Spatial Localization in Svan

#### II. The Spatial Localization of Inanimate Objects

##### Summary

We divide the inanimate world into two groups in terms of their spatial localization – plants and inanimate objects as their functioning is quite different according to the dialects of the Svan language.

Almost all the discussed verb forms denoting the spatial localization interchange with the verbs expressing being and possession in the Lower Svan dialects – **muɣwa/ʒuɣwa/xuɣwa** „I have/You have/He has“, **maqa/ʒaqa/xaqa** „I have/You have/He has“, **ari** „He is“. In the Upper Balian dialect we have the predicatives such as **miri/ʒiri/xori** „I have/You have/He has“ next to the said verbs. In the Lower Balian dialects the verbs expressing the spatial localization have a solid place and in the most cases they do not require to be interchanged by the verbs denoting being and possession.

## მურმან სუხიშვილი

### ქართულ-ზანური \*ღ უ დ- ფუძე და მასთან დაკავშირებული ფორმალურ-სემანტიკური საკითხები

ძველ ქართულ სამკურნალო წიგნებში აღწერილია კანის დაავადებათა, გამონაყართა (ბერძნ. ეგზანთემა) სხვადასხვა სახეობები (მღერი/მღიერი, მჭუევი, ბუგრი, სირსველი, მსხმო და ა. შ.), მათი გამოვლენის ნიშნები, დიაგნოსტიკა და მკურნალობის საშუალებები. სანიმუშოდ სააქიმო წიგნებიდან კანის დაავადებათა აღწერის რამდენიმე ნიმუშს დავასახელებდით, მაგ.: „ნიშანი ნედლის მღიერისა იგი არს, რომ პირველი გაბერილობა თითთა შუა გამოჩნდეს და ქაოდეს და ფერად წითელი იყოს, და რა გამლიერდეს ყოველგან დაიპანტოს, და რა მოიფხანდეს მაშინ მისგნით ნედლი თხამლი სდიოდეს (წიგნი სააქიმო, 2-4, 259, 1936), „შეიქნების მისგან მრავალნი სნებანი... და ოდეს იყოს იგი ნამეტნავად მჭურვალი ძნელი || და თხელი გუარად წითლისა ნავლისაგან, შეიქნას მისგან ბუგრი (ფანასკ. 615, 35-38), „სხუა ნიშ(ა)ნი მლოქიასი<sup>3</sup> (იმას ქუიან, რომე ჯორცნი აუბორცდებიან და ქავილი მოუვა (ფანასკ. 623,33), „მქავანისათვის, რომელსა ჯორცნი ბედიტად ჰქონდენ – მდოგი თეთრი მოგალე, ძმრითა დაადგინება და სცხე, ერგოს“. (ფანასკ. 632,11)...

ზემოთ მოყვანილ პირველსავე ამონარიდში („წიგნი სააქიმო“) თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი მღიერის კონკრეტული სახეობის (ნედლი მღიერი, შდრ., კმელი მღიერი) ზედაპირული ნიშნები (გაბერილობა თითთა შუა), დაავადების თანამდევნი მოვლენები (ქავილი, წითელი ფერი), დაავადების განვითარების შემდგომი დინამიკა (გამონაყარის კანის მთელ ზედაპირზე გაფანტვა, ქავილის პროვოცირება და ჩირქდენა).

კანისა და სიმსივნურ დაავადებათა ტრადიციული ცოდნა ხალხში ისევ ცოცხლობს და ფასეულია: „კანის დაავადებათა ხალხური კლასიფიკაცია გარეგნული ნიშნებისა და მიმდინარეობის მიხედვით, ძირითადად ემთხვევა კარაბადინების აღწერილობას. სამკურნალოდ მოწოდებული წამლები ხელს უწყობს დაზიანებული ქსოვილის კვებას და აღდგენას, მათი უმრავლესობა თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით გამართლებულია (ბურდული 2010, 124).

სამკურნალო წიგნებიდან ამოკრეფილი ცოდნა ფასეულია არა მარტო მედიცინის, არამედ ენობრივი (ლექსიკის) და, ზოგადად, კულტურის თვალსაზრისითაც.

კანის გამონაყარის (ეგზანთემის) ერთ-ერთი სახეა **ღუღუღ-ი** || **ღუღუღო**, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გამონაყარის ეს სახე ასეა ახსნილი: **ღუღუღი**... კანზე ამობურცული წამოწითლებული მუწუკების, მეჭეჭების მსგავსი ხორკლები (საილუსტრაციო მაგალითში მრავლობითის სათანადო **ღუღუღ-ებ**- ფორმის ნაცვლად **ღუღუღოებია** დამოწმებული): „ტყემალი მოვკრიფე და ხელებზე სულ **ღუღუღოები** გამიჩნდა, გეგონება რამეს უკბენიაო“ („დიალ.“); პარალელურად დასტურდება ლუღუღო ფორმაც; **ღუღუღო**... 1. იგივეა, რაც **ღუღუღი** [ვაზის ფოთლის ნაწილების] დაზიანებას იწვევს გალებით (**ღუღუღოები** თ) დაფარვა („კოლმ. ხმა“). 2. უხმარიათ ქუთუთოს მნიშვნელობით... ქეგლ VII ასეთი ლუღუღ-ი || ლუღუღო ტიპის ფორმათა მონაცვლეობა ქართულისათვის უცხო არ არის: ღერ-ი და ღერო, წვერ-ი და წვერო, გრილ-ი და გრილო... (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 281...); ივარაუდება რომ ისტორიულად -ო სიტყვაწარმოებითი სუფიქსია (ნ. ჭუმბურიძე 1989, 157) რომელსაც სხვადასხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდა (მნიშვნელობათა დიფერენციაცია, სუბსტანტივაცია, რაიმე ნიშნის მიხედვით მსგავსების დაფიქსირება) (იქვე);

ქეგლში წარმოდგენილია (**ღუღუღ-**) ფუძიდან ნაწარმოები ზმნური (მოქმედებითი და ვნებითი გვარის) ფორმებიც:

**დაუღუღუდებ-ს**... ლუღუღებს დააყრის, გაუჩენს (კანზე). გათოშილს იქამდის თავი არ დაანება, სანამ კანი მთლად არ დაუწითლა და დაუღუღუდა (ა. ყაზბ.).

**დაუღუღუდებ-ა**... ლუღუღებს დააყრის, ლუღუღები გამოუვა (კანზე). ბავშვს კანი დაუღუღუდა.

**ღუღუღი** კანზე გამონაყარის მნიშვნელობით ქართული დიალექტებიდან დამოწმებულია მოხეურში, ინგილოურში...

**ღუღუღ** - **ღუღუღ** **გადმაყარა** დაფოთლა, ფოთლებივით წითლად გამოაყარა. „ჭინჭრის ციება ჰქონდა და ტანზე სულ ლუღუღ-ღუღუღი გადმაყარა... (ქავთარაძე, 1985).

**ღუღუღ** ნაკბენისაგან დაწითლებული და ამომჯდარი, ან ჭინჭრის დანასუსხი ადგილი სხეულზე, კანზე. ~ **ღუღუღ** ბაღლინჯო (ბაღლინჯოს) ნაკბენს ებნევიან; ბაღლინჯოს მუჩაქს (კოლოს) დოუგლეყი ჩემ თავ, დამიფხანი, **ღუღუღევი** ქმნილ; **ღუღუღ** კეპტევი იგივეა, რაც **ღუღუღევი** (ნ. დაღუღუღევი ა ე); **ღუღუღ** - **ღუღუღ** ქნამ იგივეა, რაც **დაღუღუღევი** ა ე, ~ ჭინჭარმა დამეძინა, **ღუღუღ** - **ღუღუღ** ვქნივარ (სინ. **ხორკლ**). **დაღუღუღევი**, **აღუღუღევი** ტანზე ლუღუღების გამჩენა (ღამბაშიძე, 1988).

**ღუღუღის** სინონიმად ინგილოურში **ხორკლ** - ი ფიქსირდება: **ხორკლ** ნუჟრი, პატარა გამონაყარი კანზე, ხეზე, გოგრაზე (როსტიაშვილი, 1978).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ღუღუღ**- ფორმა **ღუღ**- ძირის გაორკვევებით **ღუღ** - **ღუღ** და მეორე სეგმენტის ანლაუტის თანხმობის დაკარგვით არის მიღებული: **ღუღუღ** < **ღუღ** - **ღუღ** -, შდრ., ანალოგიური გზით მიღებული **ფოჩ-ოჩ** <\*ფოჩ - ფოჩ

(ფოჩოჩი (იმერ. გურ.) – სიმინდის თავზე ამოსული ყვავილი, ქოჩორი. ქეგლ. VII (შდრ. ფოჩი- მწვანელიულის ღერო და ფოთოლი ერთად აღებული; სიმინდის ულვაშები... ქეგლ VII), ქ ა ჩ - ა ჩ <\*ქ ა ჩ - ქ ა ჩ (ქაჩაჩი- ცხენისა, ვირისა და მისთანათა გაუპობელი ჩლიქი, საბა; შდრ. ქაჩი-ქაჩაჩი. ჩლიქი, მოხ.) და სხვ. (ერთელიშვილი 1980, 163-164). განსხვავება გაორკეცების გზით მიღებულ დ უ დ უ დ და ფოჩოჩი-, ქ ა ჩ ა ჩ კომპოზიტებს შორის ისაა, რომ ამოსავალი სრული ფორმა დ უ დ დ უ დ- მხოლოდ პირველ შემთხვევაშია დაცული და მნიშვნელობაც განსხვავებულია: ღუდღუდი... წყნარად, უალოდ ნთება ცეცხლისა || კაშკაშა წითელი ფერის გამოცემა (ქეგლ VII), დ უ დ დ უ დ ე ბ-ს... წყნარად ანთია ცეცხლი, – ღულუნებს, ღვივის. კერა ღუდღუდებდა... || კაშკაშა წითელ ფერს გამოსცემს (ქეგლ VII).


ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში ორივე ფორმა დასტურდება; დ უ დ დ უ დ ი (ღუდღუდებს) განმარტებულია, როგორც „ვარვარი, ლაპლაპი, შეშათა კეთილად ნთების ხმა“, ხოლო დ უ დ უ დ ი ახსნილია, როგორც გამონაყარი, „წითლად ამომჯდარი ფოლაქი მწერთ კბენისაგან, რომელიც მალე განჰქარდება“ (ნ. ჩუბინაშვილი, 1961); გამონაყარის ფერზე (წითელი) მითითება ერთგვარად ამოსავალი დ უ დ დ უ დ ფორმის მნიშვნელობასაც („ვარვარი, ლაპლაპი, შეშათა კეთილად ნთების ხმა“) ინახავს. საყურადღებოა, სალექსიკონო ერთეულად გამოტანილ საწყისის დ ა დ უ დ უ დ ე ბ ა ფორმას „მწერთ ნაკბენისაგან ტანის დაწითლება ადგილ-ადგილ და ამოჯდომა“, გვერდზე სრული დ ა დ უ დ უ დ დ ე ბ ი ს ზმნა აქვს მიწერილი.

დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ დ უ დ უ დ-ი განსხვავებული მნიშვნელობების გამო ომონიმურ ფორმებად არის გააზრებული:

- დ უ დ უ დ ი – яркое горение огня, დ უ დ დ უ დ ე ბ ს... ვარვარებ, ვლაპლაპებ, კეთილად ვანთივარ ცეცხლი; ярко горет.  
 დ უ დ უ დ ი – წითლად ამომჯდარი ფოლაქი მწერთ კბენისაგან, რომელიც მალე განჰქრების. красное пятно на теле от укушения, короста.

როგორც ვხედავთ, აქაც დ უ დ უ დ- ფორმის განმმარტველად დამოწმებულია სრული ზმნური ფორმა დ უ დ დ უ დ ე ბ ს. ღუდღუდ- და ღუდღუდ- გაორკეცებული ფუძეების ფორმისა და მნიშვნელობის ცვლილებათა ისტორიული ურთიერთობა ასე გვესახება:

ღუდღუდ-ი 1. ნელი ნთება, გადატ. წითელი გამონაყარი კანზე



ღუდღუდი „ნელი ნთება“    ღუდღუდი „წითელი გამონაყარი ტანზე“

სალექსიკონო ერთეულად „გამონაყარის“ მნიშვნელობით (დ. ჩუბინაშვილთან) საწყისის ფორმებიცაა გამოტანილი:

ლუდუდება (დავლუდუდებ ტანს)... გავუწითლებ ტანს კბენით,  
накусать кому тело.

დალუდლება... დავუწითლებ კანს კბენითა (მწერთათვის), нпкусать,  
оставить следы от кусания, კოლოებმა დამილუდუდეს კანი,  
комары искусали мне тело.

დ. ჩუბინაშვილთან დამოწმებულია რედუპლიცირებული ღ უ -  
დ ღ უ დ- ფუძის შემადგენელი ძირიდან (ლუდ-) ნაწარმოები ზმნაც: ღ უ -  
დ ე ბ ა (ვალუდებ... ნელად ვანთებ, заставляя тихо гореть; ქილ. 179.

საბას ლექსიკონში **ღუდუდი** არ გვაქვს, აქ მხოლოდ ღ უ დ ღ უ დ ი  
„ნელი ცეცხლის ხმა და დუღილისა“ არის დამოწმებული; ძველ ქართულ-  
ში არც ღ უ დ ღ უ დ ი და არც ღ უ დ უ დ ი თითქოს არ იძებნება. ქანა-  
ნელის „უსწორო კარაბადინში“ (XI ს.) კომპოზიტის სრული ფორმა (ღუ-  
დღუდ-ი) წარმოდგენილია „გამონაყარის“ მნიშვნელობით: „მუძუს ტკივი-  
ლი რომე გამაგრდეს დ გაუსივდეს და შიგან **ღუდღუდი** გამოჩნდეს თიასა-  
ვით გორვიდეს, პირველადვე იისავე ზეთი შემოსდევ კვერცხის გულითა  
და მემრე მუმრულანშიგან ვარდის ზეთი და ზროხის ნაღველი გაურივე და  
შემოსდევ. თუ ღვივისა თესლი გაურიოთ ამას, მაშინ მარგე არის. და ძმრის  
თხლე შემოსდვა ისიც მარგე არის და **ღუდღუდსა**, რომე თიასა გვანდეს,  
ნედლი ატმის ფურცელი და ნედლი სადაფის ფურცელი დანაყე და შემო-  
სდევ, მარგე არის“ (ქანანელი 1940, 163, 9-17).

ბუნებრივია, რომ სამკურნალო წიგნში პოლისემიური სიტყვის სპე-  
ციფიკური სამედიცინო მნიშვნელობა შემოგვენახა. სემანტიკური ანალო-  
გიისათვის, შდრ.: **ანთებ**-ა... 1. მოვიდება ცეცხლისა... 2. მედიც. თავისებუ-  
რი ავადმყოფური პროცესი ამა თუ იმ ორგანოში, ჩვეულებრივ ახასიათებს  
ტკივილი, მაღალი სიცხე (ქეგლ I).

ქართ. **ღუდღუდ**- რედუპლიცირებული ფუძის ამოსავალ მარტივ  
ლუდ- ძირს (შდრ. ღუდ-ებ-ა „ნელი ნთება“ ნ. ჩუბინ. შესატყვისები უჩანს  
ზანურში\* ქართული ღუდ- ძირის შესატყვისია მეგრ. ღუდა ღ უ დ უ რ ი ა  
„თბილი, გალუდღუდებული“, (ქობალია, 2010); ამ ძირიდან არის ნაწარმო-  
ები ღ უ დ უ ა... სახელი ილუდუუ(ნ) ზმნისა –სიყვარული –შეყვარება), გუ-  
ლის აჩქროლება... (ქაჯაია, IV, 2009); „სითბოსა“ და „სიყვარულს“ შორის  
სემანტიკური კავშირი უდაოა, შდრ.:

სითბო... გადატ. კეთილი, გულთბილი დამოკიდებულება, – გული-  
თადობა, გულშემატკივრობა... მოალერსე, ტკბილი სითბო  
იგრძნო ლევანმა სამზადისში (ლ. ქიაჩ.).

სიყვარული-ი ... 1. ვისიმე ან რისამე მიმართ ერთგულების, თავდადე-  
ბის, კეთილგანწყობის გრძნობა... || გრძნობა ნათესავისა-  
დმი, ახლობლებისადმი, მეგობრებისადმი... (ქეგლ V).

თბილ-ი ... 3. გადატ. სითბოთი სავსე, გულთბილი, ალერსიანი, თა-  
ნაგრძნობის გამომხატველი (ქეგლ IV).

მოსიყვარულე ... ვისაც (რასაც) სიყვარული სჩვევია, –სიყვარულით  
აღსავსე, მოყვარული ქეგლ V



**ღუდ-** ლექსემა შეტანილია ლაზურისა და მეგრულის საერთო ძირ-ფუძეთა ლექსიკონში:

\***ღუდუ** „თბილი“

ლაზ. **ღუდუ**, **ღუდუ კორე** (მიკროტოპ. ხუნარ-ი) ~ მეგრ. **ღუდ-უ** || **ღუდ-ა** || **ღუდ-ურ**-ია „თბილი“ (ქირია, ეზუგბაია, მემიში-ში, ჩუხუა, 2015, 855).

ქართ. ღ უ დ. ღ უ დ-ებ-ა („ნელი ნთება“) და ზანური ღ უ დ-ი „თბილი“ ფუძეთა სემანტიკური კავშირი მიზეზ-შედეგობრივად მოტივირებული ჩანს, ტიპოლოგიური პარალელისათვის შდრ., რუს. тепло „სითბო“, тёплый „თბილი“ და топить („დანთება (ანთებს), გახურება, გათბობა“ ლექსემათა ეტიმოლოგიური ერთობა (ფასმერი 1987, 44; 78); ამ ფუძეთა ურთიერთმიმართებას მ. ფასმერი ასე წარმოგვიდგენს: წინარესლავური \*teply უფრო ძველია, ვიდრე toplъ (იგივე, 44); ქართული და ზანური საერთო ღ უ დ-ფუძის მნიშვნელობათა იდენტიფიკაციისათვის საყურადღებოდ გვჩვენება აგრეთვე გერმ. warm „თბილი“ და ინდოევროპული \*uer „გახურება, გათბობა“ ფუძეთა ურთიერთმიმართება (გამყრელიძე, ივანოვი 1984, 683).

ასე რომ, ქართულ-ზანურ დონეზე შეიძლება აღდგეს \*ღ უ დ ფუძე „ა`ნთების, თბობის“ მნიშვნელობით.

## ლიტერატურა

**ბურდული 2010** – მ. ბურდული, ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში, ახალციხე.

**გამყრელიძე, ივანოვი 1984** – Т. В. Гамкრелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, II.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**ერთელიშვილი 1980** – ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**როსტიაშვილი 1978** – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი.

**ფანასკერტელი 1978** – ზ. ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, „კარაბადინი“, წიგნი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. მ. შენგელიამ, თბილისი.

**ქანანელი 1940** – ქანანელი, უსწორო კარაბადინი ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. დ. კოტეტიშვილმა, თბილისი.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964 წ.წ., თბილისი.

**ქაჯაია, 2009** – ო. ქაჯაია, ქართულ-მეგრული ლექსიკონი IV (დამატებანი), თბილისი.

**ქობალაია 2010** – ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, კოლხური სერია 8.

**ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015** – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 1, მორფოლოგია, თბილისი.

**დამბაშიძე 1988** – რ. დამბაშიძე, „ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

**ჩუბინაშვილი 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკ. შანიძემ, მეორე ოფსეტური გამოცემა, თბილისი.

**წიგნი სააქიბო ... 1936** – სახელმწიფო გამომცემლობა. სამეცნიერო სექტორი, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1989** – ნ. ჭუმბურიძე, -ო სუფიქსიანი სახელები ქართულში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, შრომები IX, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერთა სერია, თბილისი.

## Murman Sukhishvili

### The Georgian-Zan Stem \**yud-* and the Issues of its Form and Semantics

#### Summary

The paper deals with the name of one of the skin diseases in Georgian: *yudud-i* || *yudud-o*. Historically, the final vowel -o in the word form *yudud-o* is a derivative affix. The parallel forms of the same kind are not rare in the Georgian language: *yer-i* || *yer-o* (the stem of a plant), *črdil-i* || *črdil-o* (shade), etc. Some scientists think that *yudud-i* is a reduplicated form of the root *yud-* in which the anlaut consonant is lost in the second part: *yud-yud-* > *yud-ud-*. The reduplicated stem *yud-yud-* and the word *yudud-* which comes from it have different meanings in both Contemporary and Middle Georgian: *yudyudi* – ‘to light a fire slowly’, *yudud-i* – ‘skin rash, eruption on the skin’. However, in the Medical Book of the 11<sup>th</sup> century by Kananeli, *yudyudi* is also attested with a meaning of ‘skin rash’.

Thus, the composite *yudyud-* had both meanings in Old Georgian: 1. to light a fire slowly, 2. *fig.* skin rash, red eruption on the skin. For the analogical semantic changes, cf. (*anteba* 1. to light a fire, 2. *med.* inflammation. After the phonetic changes (*yudyud-* > *yudud-*), the meanings have been distributed as follows: *yudyudi* – ‘to light a fire slowly’, *yudud-i* – ‘skin rash, red eruption on the skin’.

## მამია ფაღავა

### სამხრული კილოები – შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები

**1. ტერმინოლოგიური პრობლემები.** სამხრულ კილოებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ პრობლემებზე ვმსჯელობთ ადრე გამოქვეყნებულ შრომებში (ფაღავა, 2003(1):3-16; 2013:136-138), მაგრამ საჭიროდ ვთვლით, ზოგიერთი რამის განმეორება-დაზუსტებას.

ქართულ ენათმეცნიერებაში დიალექტთა კლასიფიკაციისას **აჭარული** და **იმერხელი** სხვადასხვა ჯგუფში შეუტანიათ, კერძოდ: ა. აჭარული და იმერხელი ქმნიან ქართული ენის დიალექტთა სამხრულ-დასავლურ ჯგუფს (მარტიროსოვი, 1972; ფუტკარაძე, 1995); ბ. გურული, აჭარული და იმერხელი ქმნიან დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტთა ჯგუფს (ჯორბენაძე, 1989).

მოყვანილი მოსაზრებების გადასინჯვის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც დაიწყო ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების, ფოლკლორის, ყოფის ინტენსიური შესწავლა. ირკვევა, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა, – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი... ხეობის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და მეზობელ რეგიონებთანაც... კვლევები ადასტურებს, რომ ჭოროხის „ქვეყნების“ ავტოქტონური მოსახლეობის მეტყველება ერთმანეთთან ახლოს მდგომი დიალექტები არიან და გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც, ამიტომაც გამოვყოფთ მათ ქართული ენის დიალექტთა ცალკე ჯგუფად და ვუწოდებთ **სამხრულ კილოებს/სამხრულ დიალექტებს** ან **სამხრულ მეტყველებას** (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998; ფაღავა, 2003...). ვფიქრობთ, ეს ტერმინები კარგად ასახავს არსებულ სინამდვილეს.

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას (1904 წლის ზაფხული) ნიკო მარი აკვირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებასაც და მას **იმერხელი კილო** უწოდა. თუ კარგად დავაკვირდებით მკვლევრის მოგზაურობის გეოგრაფიას, ეს არცაა გასაკვირი, მან ხომ სამხრეთ საქართველოს მხოლოდ ეს სექტორი მოიარა, იმერხევისა (სხვა ტერმინით ფაფართის – ავტ.) და მისი მიმდებარე კლარჯეთის სოფლები. ნ. მარმა ჩაიწერა მცირე მოცულობის ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ტექსტები. „დღიურებიდან“ ჩანს, რომ მას იმერხეველთა და კლარჯთა მეტყველება ან ფოლკლორი სპეციალურად არ

უკვლევა, მან სხვა მიზნით იმოგზაურა, აინტერესებდა შავშეთ-კლარჯეთის ამ სექტორში გაბნეული მატერიალური კულტურის ძეგლები, უფრო წმ. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები. მოგზაური ეძებდა ხანძთასა და შატბერდს, წყაროსთავსა და მერეს, მიძნაძორსა და ჯმერკს... სხვა სიტყვებით, იკვლევდა გრიგოლ ხანძთელის ნაკვალებს. ამ მიებაში მოიარა გიორგი მერჩულეს თხზულებაში აღწერილი ათორმეტი სავანის მხარე, გააკეთა საყურადღებო მინიშნებები აქაურ არქიტექტურაზე (შავშეთი ტიპის ეკლესია – ავტ.), ფოლკლორზე, ეთნოლოგიურ ყოფაზე, მეტყველებაზე (იხ. ფალავა, 2012; შდრ. ფალავა, 2014). ბარემ ვიტყვით, რომ ნ. მარის შემდეგ მხოლოდ წმ. ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში სამეცნიერო მიზნით (1917 წელი), მაგრამ მას, როგორც ისტორიკოსს, უფრო მატერიალური კულტურისა და ეპიგრაფიკული ძეგლები აინტერესებდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, შექმნილი ისტორიული ვითარების გამო, ამ კუთხეში ქართველ მკვლევარს, ენათმეცნიერსა და ფოლკლორისტს მაინც (თორემ არქიტექტურული ძეგლების შესასწავლად ჭოროხის ქვეყნებში იმოგზაურა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა ვ. ჯობაძემ, სხვა უცხოელმა მკვლევრებმაც) არ უმოგზაურია. ამიტომაც თანდათან მეტი ფასი დაედო ნიკო მარის ისედაც ძვირფას ჩანაწერებს. **იმერხელი კილო**, როგორც ტერმინი, ქართველოლოგიაში ჭოროხის აუზის ქვემო წელის ქართული მეტყველების აღსანიშნავად დამკვიდრდა (იხ. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961; მარტიროსოვი, 1972). ამავე „დიალექტს“ სხვა მკვლევრები **კლარჯულსაც** უწოდებენ (თოფურია, 1963; ჯორბენაძე, 1989).

მაშასადამე, ერთი და იმავე ქვესისტემის აღსანიშნავად შემუშავდა ორი ტერმინი: **იმერხელი** და **კლარჯული** და რაც მთავარია, ვერც ერთი ვერ ასახავს იმ მეტყველებას, რომლის ნიმუშებიც ჩაიწერა ნ. მარმა. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ტერმინი ჩამოყალიბდა დიალექტის ადგილზე კვლევის გარეშე. როგორც ითქვა, ნ. მარს სპეციალურად არ უკვლევა იმერხეველთა თუ კლარჯთა მეტყველება, სხვებს კიდევ ამ რეგიონში მუშაობის საშუალება არ ჰქონიათ. ასე გაგრძელდა XX საუკუნის 90-იან წლებამდე, ვიდრე ქართველ მკვლევრებს არ მიეცათ საშუალება, ემოგზაურათ ჭოროხის ქვეყნებში და ქართველ მუჰაჯირთა დასახლებებში, დაკვირვებოდნენ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებას, ჩაეწერათ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოეტანათ ახალი მასალები და დაეწერათ პირველი გამოკვლევები...

ჩვენს დროში პროფ. შ. ფუტკარაძე შეეხო პირველად თურქეთელ ქართველთა მეტყველებას და თურქეთის რესპუბლიკაში გავრცელებულ ქართულში გამოყო: **იმერხელი** (ძალაში დატოვა ნ. მარის ტერმინი, უკვე გაზიარებული ლინგვისტურ ქართველოლოგიაში, თუმცა აღნიშნული ტერმინით აღნიშნა მხოლოდ იმერხეველთა მეტყველება, განსხვავებით მარისაგან, რომელიც **იმერხელად** მიიჩნევდა შავშეთისა და ზემო კლარჯეთის, სადაც ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ ისმოდა ქართული, მკვიდრთა მეტყველებას), **ლივანური**, **მაჭახლური** და **ტაოს**

**ქართული**, ცალკე დიალექტად განიხილა **მუჰაჯირთა მეტყველება** (ფუტკარაძე, 1993; 1995).

ჩვენი აზრით, სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფისას უნდა გავითვალისწინოთ ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორები. თუ ასე მივუდგებით პრობლემას, სურათი შეიცვლება, შესაბამისად – ტერმინოლოგიაც, კერძოდ:

ა. იმერხევი ისტორიული შავშეთის ნაწილია, მისი ერთი ხეობაა ორ ათეულამდე ქართულად მოლაპარაკე სოფლით. იმერხევი „დაუპირისპირდა“ შავშეთს მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი შავშეთის იმ ნაწილმა, რომელსაც დღეს შავშეთს უწოდებენ და ცალკე ქვეყნად მოიზარებენ, დაივიწყა ქართული ენა, „გათურქდა“, როგორც იმერხეველები იტყვიან. დავაზუსტებთ, ქართული ენის, როგორც ეროვნული იდენტობის უპირველესი ნიშნის ცოდნით „დაუპირისპირდა“ იმერხევი დანარჩენ შავშეთს. თურქეთელ ქართველთა ცნობიერებაში შავშეთი ორად გაიყო: იმერხევად, რომელმაც შეინახა ქართული ენა, ვუწოდოთ მას **მექართულე შავშეთი** (იმერხევი, უსტამისი...) და **შავშეთად**, რომელმაც დაივიწყა ქართული ენა, ვუწოდოთ მას **მეთურქულე შავშეთი** (მშობლიურენადაკარგული ნაწილი შავშეთის ქვეყნისა). იმერხეველთა მეტყველებას უწოდეს **იმერხეული კილო** და ეს თითქოს ბუნებრივითაცაა, თუმცა ტერმინი ვერ ასახავს სინამდვილეს, ვერც ისტორიულსა და ვერც – თანამედროვეს. საქმე ისაა, რომ იმერხევის გარდა ქართული ისმის შავშეთის სხვა სოფლებშიც, მაგალითად უსტამისში, შესაბამისად, ტერმინი ვერ არის მარჯვე და მოხერხებული. თუ გავითვალისწინებთ ყველა გარემოებას, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, უმჯობესია ამ კუთხის მეტყველებას ვუწოდოთ **შავშური კილო** (მდრ. შავშური ფოლკლორი, შავშური ყოფა, შავშური სიტყვიერება...), **იმერხეული** კი უნდა ეწოდოს შავშურის ერთ კარგად გადარჩენილ კილოკავს.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მეთურქულე შავშეთის მკვიდრთა თურქული მეტყველების ლექსიკის აქტიური ფენაა ქართული ტოპონიმი, მცენარეთა სახელები, ქართული ლექსიკა შეუნახავს შავშთა თურქულსაც. ვფიქრობთ, დიალექტზე საუბარი ვერ იქნება სრულყოფილი აღნიშნულის გაუთვალისწინებლად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ლინგვისტურადაც შავშეთის ნაწილია მაჭახელიც (ზემო და ქვემო), სადაც კარგადაა შენახული ქართული ენა. ვფიქრობთ, **მაჭახლურის** ცალკე დიალექტად გამოყოფა ნაჩქარევი და არასწორია, ისიც შავშურის ნაწილია იმერხეულთან ერთად.

გამომდინარე თქმულიდან, თუ იმერხეულ კილოს გამოვყოფთ, ყურადღების მიღმა დაგვრჩება, ერთი მხრივ, მაჭახლური, მეორე მხრივ, შავშეთის მექართულე სოფლის, უსტამისის მეტყველება და მეთურქულე შავშეთი, სადაც ჯერ კიდევ ხელშესახებია ქართული ელემენტი, რომლის გაუთვალისწინებლად შავშური კილოს ერთიანი ლინგვისტური პორტრეტის შექმნა წარმოუდგენელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემოვიტანეთ ტერმინები: **შავშური კილო//შავშური დიალექტი, იმერხეული კილოკავი, მაჭახლური კილოკავი** (იხ. შავშეთი, 2011).

ვფიქრობთ, ჩვენს მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება.

ბ. ქართულ ენათმეცნიერებაში არის ცდა, ცალკე დიალექტად გამოიყოს **ლივანური** (ფუტკარაძე, 1993; 1995). ცდა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ბადებს გარკვეულ კითხვებს, რისი მიზეზიც ბევრია, უპირველესად ისტორიული რეალობის გაუთვალისწინებლობა. საქმე ისაა, რომ ლივანა ისტორიული კლარჯეთის ნაწილია, ჭოროხის ქვემო წელი. კლარჯეთი კი ვრცელი ქვეყანა იყო. იგი მოიცავდა დღევანდელი არტანუჯის, ართვინის, მურღულისა და ბორჩხის ილჩეებს (რაიონებს). არტანუჯსა და ართვინის რაიონის უმეტეს ნაწილში ქართული დიალექტის, „გათურქდენი“. უნდა აღინიშნოს, რომ მოგზაურთა ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს არტანუჯისა და ართვინის ბევრ სოფელში ქართული ჯერ კიდევ ისმოდა. დღეს კლარჯეთის მეთურქულე ნაწილში ცოცხალია ქართული ტოპონიმია, ადგილობრივ მოსახლეობას, უმეტესად ძველი კლარჯების ჩამომავალთ, ახსოვთ მცენარეთა ქართული სახელები, მათ თურქულში დალექილია ბევრი ქართული სიტყვა (კიკვაძე, 2012). სხვაგვარად, იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც მეთურქულე შავშეთში. კლარჯული ისმის ქლასკურის, მურღულისა და დევსქელის ხეობებში გაშენებულ სოფლებში, ასევე ბორჩხის მიმდებარე სოფლებში მირვეთამდე. გამომდინარე თქმულიდან ტერმინი **ლივანური**, ჩვენი აზრით, ვერ ასახავს არსებულ ვითარებას. ამიტომაც, ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებას უნდა ეწოდოს **კლარჯული კილო//კლარჯული დიალექტი**. ტერმინი მოიცავს ისტორიული კლარჯეთის როგორც მექართულე, ისე მეთურქულე ნაწილს.

მომავალში, ვფიქრობთ, გამოწვლილვით უნდა შევისწავლოთ კლარჯეთისა და შავშეთის თურქული, გამოვყოთ მასში ქართული ელემენტი, რაც დაგვეხმარება კლარჯულისა და შავშურის ისტორიული პროფილის აღდგენაში.

ამჯერად **კლარჯულში** პირობითად გამოვყოფთ **ზემოკლარჯულ** (დევსქელის ხეობის მეტყველება) და **ქვემოკლარჯულ** (//ლივანურ) კილოკავებს. მომავალმა კვლევებმა შეიძლება ეს დაყოფა შეცვალოს.

გ. უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში მოპოვებული დიალექტოლოგიური მასალების საფუძველზე ქართული ენის ცალკე ქვესისტემად გამოვყოფთ ისტორიული ტაოს მკვიდრთა მეტყველებას, რომლის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები: **ტაოს ქართული** (ფუტკარაძე, 1993; 1995) და **ტაური კილო//ტაური დიალექტი** (ცინცაძე, ფაღავა, 1998; ფაღავა, 2003; 2014).

**ტაური დიალექტი** დღეს ისმის ისტორიული ტაოს რამდენიმე სოფელში, ესენია: ჭილათი, ელიასხევი, ქვაბაგი, ცუცეკარი, ხევაძე... (ფაღავა..., 2004). ისტორიულ ტაოს უნდა მიეკუთვნოს ბინათიც, მექართულე სოფელი (მდებარეობს ართვინი-იუსუფელის გზის 25-ე კილომეტრზე გადასახვევიდან ხუთ კილომეტრში, იმავე სექტორში, სადაც გაშენებულია ჭიმჭიმი. იხ. ფაღავა, 2015). ერთ დროს ტაოს ვრცელ ქვეყანა-

ში გავრცელებული დიალექტის „ნამსხვრევებილა“ (ტერმინი შოთა ძიძიგურისაა. იხ. ნიჟარაძე, 1957. რედაქტორის წინასიტყვაობა) გადარჩა. ბუნებრივია, დღეს ძნელია საუბარი ტაოურის კილოკაურ შედგენილობაზე.

დ. **აჭარული კილო/აჭარული დიალექტი** – სამხრული მეტყველებების ყველაზე კარგად გადარჩენილი მოწმეა.

აჭარულში გამოყოფთ **ზემოაჭარულ** (ხულოს, შუახევისა და ქედის მეტყველება), **ქვემოაჭარულ** (ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველება) და **ქობულეთურ** (ქობულეთის, ჩურუქსუს მეტყველება) კილოკავებს. ქვემოაჭარულის აღსანიშნავად ჯ. ნოღაიძელი იყენებდა ტერმინს **ქობულური** (იხ. ნოღაიძელი, 1936). ტერმინი არ დამკვიდრდა ქართულ ენათმეცნიერებაში.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე შემოგვაქვს ტერმინები:

– **შავშური კილო/შავშური დიალექტი** კილოკავებით: ა. **იმერხული**, ბ. **მაჭახლური**.

– **კლარჯული კილო/კლარჯული** დიალექტი კილოკავებით: ა. **ზემოკლარჯული**, ბ. **ქვემოკლარჯული** (ლივანური).

– **ტაოური კილო/ტაოური დიალექტი**.

– **აჭარული კილო/აჭარული დიალექტი** კილოკავებით: **ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური**.

აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც **სამხრულ დიალექტებს/სამხრულ კილოებს ან სამხრულ მეტყველებას** ვუწოდებთ (ფაღავა, 2013: 136-141).

დაბოლოს, ქართულ ენათმეცნიერებაში არის ცდა, ცალკე დიალექტად გამოიყოს მუჰაჯირთა მეტყველება (ფუტკარაძე, 1993; 1995). რამდენადაც მუჰაჯირთა მეტყველება არაა ერთიანი, შესაბამისად, იგი არ შეიძლება გამოიყოს ცალკე დიალექტად. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება არ განიცდის სალიტერატურო ქართულის გავლენას, იგი არის ძვირფასი მასალა სამხრული დიალექტების შესასწავლად.

**2. სამხრული კილოების მასალები.** აღვნიშნავთ, რომ დიალექტური მასალის ჩაწერა რთული საქმეა. მკვლევარი ვალდებულია და ცდილობს კიდევ ჩაწერილ ტექსტს მაქსიმალურად შეუნარჩუნოს ბუნებრივი ჟღერადობა. არც ერთი დამწერლობა, მათ შორის ქართულიც, არ იძლევა თქმულის ქაღალდზე ზუსტად გადატანის საშუალებას. შეიძლება ითქვას, ნებისმიერი კარგად ჩაწერილი ტექსტი მხოლოდ მიახლოებით ასახავს ზეპირმეტყველებას. კარგად შენიშნავს ფერდინანდ დე სოსიური, „დაწერილობა მალავს ენასო“ (სოსიური, 1977:68). ეს უპირველესად ითქმის ენის ფონეტიკურ მხარეზე. ჩაწერილ მასალაში არ ჩანს (და ვერც გამოჩნდება) დიალექტური წარმოთქმა, აქცენტუაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კილოთა თუ კილოკავთა გასამიჯნავად. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: კირნათ-მარადიდის (კლარჯეთი) და ქედ-ქედის (მაჭახელი) მეტყველებისათვის გარკვეულ პოზიციაში დამახასიათებელია ხმოვანთა მაგარი შემართვა, რაც შენიშნულია სპეციალისტთა მიერ: „...ხმოვანთა მალალშემართვიანობა ყველაზე უფრო კარგად

მჟღავნდება მაშინ, როცა სათანადო ხმოვანი მოხვედრილია ხ ან ჰ-ს მეზობლობაში. ხ, ჰ იკარგება, ხმოვანი კი მაგარშემართვიანი ხდება: უსეინი (შდრ. ხუსეინი) ვერ გავგზადა; ამედაა (შდრ. ახმედაა/აჰმედაა) თავკდომარეა, ჰო!" მემედ (შდრ. მეჰმედ) ალი იყო გუშინ თქვენთანეჭ" (ცინცაძე, 1952). როგორ გადაიტანოს აღნიშნული თავისებურება მკვლევარმა ქალაქდზეჭ როგორ ჩაიწეროს მასალა ისე, რომ მკითხველმა სწორად აღიქვას დიალექტური წარმოთქმის თავისებურებაჭ უფრო მეტიც, როგორ აისახოს დიალექტურ ტექსტში ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი, ვთქვათ, დინჯი საუბარი, რაც ასე განასხვავებს ერთმანეთისაგან ერთი სოფლისა თუ ხეობის მეტყველებას მეორისაგან და რაზეც ზოგჯერ რესპოდენტიც მიგვანიშნებს: „მარადილებმა მეტი სხვანაირი ლაპარაკი იციან, ტეხენ სიტყვას ყიაში" (ცინცაძე, 1952:1). როგორ „ჩავიწეროთ" „ყიაში სიტყვის გატეხვა" ისე, რომ მკითხველმა, რომლისთვისაც უცხოა ეს კილო, შეიგრძნოს ეს თავისებურებაჭ ჯერჯერობით ასეთი მეთოდი არ ჩანს. ამიტომაცაა, რომ ჩაწერილი დიალექტური მასალა მთლიანად აღქმადია მხოლოდ ამ დიალექტის მატარებლისათვის. „სხვა დიალექტზე მეტყველისათვის მისი აღქმა-გაგების ხარისხი იკლებს კილოურ თავისებურებათა ზრდის შესაბამისად" (გვანცელაძე, გვანცელაძე, 2000:47). შეიძლება ითქვას, ცოცხალ მეტყველებას სრულად აღიქვამს მხოლოდ უშუალო მსმენელი. ყველაზე „სრუყოფილი" ჩანაწერიც კი მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ კუთხის მეტყველებაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში თქმულის შესახებ არაერთი მინიშნებაა (იხ. Гердер, 1959:358;:89; Руднев, 1997:99; მაკარაძე, 1999:56-66).

ჩაწერის სიძნელების გათვალისწინებით შეიძლება ვისაუბროთ სამხრული კილოების მასალებზე.

სამხრული კილოების მასალები გვხვდება „ტბეთის სულთა მატთანეში" (იხ. მატთანე, 1977). „მატთანე" შედგენილია სამხრეთ საქართველოში და კარგად ასახავს ცოცხალ სამხრულ მეტყველებას. მკვლევარი მასში აღმოაჩენს საინტერესო ფაქტებს სამხრული დიალექტების, განსაკუთრებით შავშურის ისტორიული პროფილის აღსადგენად. აღვნიშნავთ, რომ მატთანისათვის დამახასიათებელია განსხვავებული დაწერილობანი, რასაც თავისი ახსნა მოეპოვება: ძეგლი ხომ რამდენიმე საუკუნის (XII-XVII სს) განმავლობაში იწერებოდა სხვადასხვა პირის მიერ. მასში აშკარაა ცოცხალი მეტყველების გავლენა, მწერალი ხშირად ყურადღებას „არ აქცევს", უფრო „ვერ აქცევს" სამწერლობო ენის ნორმებს და წერს ისე, როგორც ესმის. თქმულის დასტურად გამოდგება ძეგლში გამოვლენილი პარალელური ფორმები: ხარაშან (92), ხვარაშან (505), ხორეშან (66), ხუარაშან (27,72, 118, 516); ხუაშაა (245), ხუაშაქ (120, 126, 212, 573); სეხნა (226, 33), სეხნია (176)...

აღვნიშნავთ, რომ „მატთანისათვის" დამახასიათებელია ე.წ. ასომეტობა (ამ ტერმინით პროფ. ივ. ქავთარაძე აღნიშნავდა ა-ს ზედმეტად ხმარების შემთხვევებს საშუალო ქართულის ძეგლებში. იხ. ქავთარაძე, 1964). ასომეტობაზე მიუთითებს ძეგლის გამომცემელიც (ენუქიძე,



1977:13): სულისა **გორეგასიძის ანდრონიკესა**, მისისა მეუღლისა ნათელის შეუნდვენ... (561)...

შენიშნავთ, რომ ზედმეტი ხმოვანი ჩნდება თანხმოვანთშორის. ბარემ ვიტყვით, რომ „მატიანეში“ შემჩნეული ცდომილებანი მოითხოვს ახალ ინტერპრეტაციას, რომლის დროსაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შავშური (უფრო მაჭახლური კილოკავის) და კლარჯული კილოების (საჭიროების შემთხვევაში სხვა კილოებისაც) თავისებურებანი.

სამხრული კილოების მასალებს, უმეტესად ლექსიკურს, ვპოულობთ დ. ბაქრაძის (იხ. ბაქრაძე, 1987), გ. ყაზბეგის (იხ. ყაზბეგი, 1995), ნ. სოლნიშკინის (იხ. Солншикин, 1912), ზ. ჭიჭინაძის (იხ. ჭიჭინაძე, 1913(1); 1913, თ. სახოკიას (იხ. სახოკია, 1985) და სხვა მოგზაურთა ჩანაწერებში.

განსაკუთრებით ძვირფასია სამხრული კილოების პირველ-მკვლევრის, ნ. მარის მიერ ჩაწერილი დიალექტური ტექსტები (იხ. Марр, 1911; შდრ. მარი, 2012). „დღიურებში“ მკვლევარს შეტანილი აქვს ე.წ. იმერხეული კილოს ნიმუშები, რომელიც 1904 წელს ამ მხარეში მოგზაურობის დროს ჩაიწერა. აღვნიშნავთ, რომ ნ. მარი გულმოდგინედ იწერს მისთვის „უცხო“ მეტყველების ნიმუშებს, ცდილობს შეუნარჩუნოს მას ბუნებრივი ჟღერადობა. აღნიშნული მასალები XX საუკუნის 90-იან წლებამდე ერთადერთი წყარო იყო „ოსმალის საქართველოში“ მცხოვრებ ქართველთა მეტყველების შესასწავლად.

აჭარის ეთნოგრაფიული (შესაბამისად დიალექტურიც) მასალების შეგროვება დაიწყო გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. უპირველესად აღვნიშნავთ ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ ექსპედიციებს, რომლის ჩაწერილი მასალები გამოქვეყნდა მრავალტომეულ გამოცემაში: „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“ (1976-1986 წწ. შემდეგ - მსშხი). აჭარაში მასალებს აგროვებდნენ ქ. ლომთათიძე და თ. ანდლულაძე. მათ მიერ ჩაწერილი შინამრეწველობის მასალები პირველხარისხოვანი დიალექტოლოგიური ტექსტებიცაა, რომლებშიც შენარჩუნებულია კუთხის მეტყველების თავისებურებანი. სანიმუშოდ მოვიყვანთ მცირე ამონარიდს:

„ოდიებში სექვები გვაქ. სექვებზე ქილიმს, ხალს, ხაცირს, ქეჩას ვაგებთ. ქეჩა თურქიიდან მოგვაქ. სექვებზე გვექნება დასაჯდომი ბალიში, ოთურაა ან ყალხოთურაა. ბალიშში ბურდლას, ზოგ გავარჩევთ, ზოგ არა, ჩავყრით. ბურდლას რომ მოვაცლით და მაგარი დარჩება ხეწეწოა ის, აფრათ არ ვარგა. ძველებურ მინდარში ყრიდენ კიდო ბურდლას...“ (მსშხი, I, 453).

აჭარული მასალები გვხვდება სტ. მენთემაშვილის ჩანაწერებში (იხ. მენთემაშვილი, 1937: 139-178). აღნიშნულ მასალებს ითვალისწინებდნენ ჯ. ნოლაიდელი და შ. ნიჟარაძე, აჭარული კილოს სხვა მკვლევრებიც.

ქობულეთურ მეტყველებას 1929 წელს ადგილზე სწავლობდა შ. ძიძიგური. შეკრებილი მასალები მკვლევარმა მოგვიანებით დასტამბა (იხ. ძიძიგური, 1974). შეუჩვეველ ყურს კარგად ვერ აღუქვამს ქობულე-

თური გამოთქმა. მკვლევარი „ცდილობს“, შეუნარჩუნოს ჩაწერილ ტექსტს ბუნებრივი იერი, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტი მონდომება საქმეს ვნებს. შ. ძიმიგურის ჩანაწერები საგრძნობლად სცილდება ქობულეთურ მეტყველებას. სანიმუშოდ მოვიყვანთ მცირე ამონარიდს:

„სიძე **წამაიღებს** სახლიდან ოქრო რუმ იყო თათრული, იგი **ოთხა** რუმ გაყო, გავსილი. სასახლესთან **მაწევს** თუ არა, არაბი **შამაყვანს** კარებში და უნდა დედუკუზოს სიძემ და კარის დვირეზე აკუცოს და **ცერემონიას** გუკეთებს. დედუფალი ჯდის და არ ადგება. თავზე მორთულია ბრულიანტის ქვებით გვირგვინი. **წამაიწევს** შვაგულში და დედაოქება. **სულთან კარ** ადგება! სიძემ **კიდუმ** უნდა აკუცოს სადედუფლო კაბაზე (სულთანებს დიდუანი კაბაზი აქ), გაჩერდეს უნდა, ბრეული ხან გაჩერებს სულთანს. მემრე ადგება, გუყრის კლავში ხელს და მიორე ოთახში **შაყვანს**. სიძე შააბრუნებს ზურგს, ოქროს ყრის აქეთ-იქიდან. დასაწოლა რუმ **წავლიაან**, კიდუმ სულთანს აძლევს ნებას. უცთის და უცთის სიძე. სულთანს კი წევს. სიძე **ჯდანს** და ძილი მუვა. **გამთენიას**, რავარც იქნება, დუმახებს ქალი...“ (ძიმიგური, 1974: 385).

მოყვანილ მასალაში ხაზგასმული ფორმები ნაკლებად სარწმუნოა ოდესმე ყოფილიყო დამახასიათებელი ქობულეთურისათვის. შეიძლება გვითხრას ვინმემ, გასული საუკუნის 30-იან წლებში ასე ლაპარაკობდნენო ქობულეთლები. ვერ დავეთანხმდებით. ჩვენი ვერდათანხმების მიზეზი იმავე წლებში ჩაწერილი ჯემალ ნილაიდელის ტექსტებია, რომელზე დაკვირვებაც ამტკიცებს ჩვენს ეჭვებს, იგი განსხვავებულია შ. ძიმიგურის მიერ ჩაწერილი მასალისაგან:

... ამ დიდარმა კაცმა მალ-მალე წვერის გაპარცვა იცოდა და ამ ქონება რუმ დედაკარქოს, მე დალაქის ფული აღარ მექნებო. გაალო კასის კარი და გამედტანა ოქრუები, მუტანა დალაქს და მისცა. დალაქი ძალიან გაკვირდა, რაა ესავო. უთხრა დიდარმა, ეს შენი ფულია, ედღევო. სიცოცხლეში რაცხა რუმე შენზე მოსაცემლათ დამჭირდება, მაშინ ბელქი ფული აღარ დამჩეს და ერთგან მოგეცი სუნთელიო. აბა ერთი წვერი გამპარცევო, უთხრა. დაჟდა და დალაქმა წვერის გაპარცვა დუწყო. ამ დროზე სახლიდან მჭარდა მოსამსახურე, სახლს ცეხლი წდეკიდავო“ (ნოლაიდელი, 1936:31).

ჩვენ არ შევუდგებით მოყვანილი ორი ამონარიდის შედარებას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჯ. ნოლაიდელი ქობულეთელი იყო, თავად იყო ქობულეთური კილოკავის მატარებელი. გამომდინარე თქმულიდან, იგი უკეთ აღიქვამდა მშობლიურ კილოს, ვიდრე სხვა; ამიტომაც, ვფიქრობთ, მისი ჩაწერილი მასალა უფრო სანდოა, იგი კარგად ასახავს ცოცხალ ქობულეთურ მეტყველებას.

ზემოაქარული კილოკავის მასალები დართული აქვს მ. ხუბუას ნარკვევს (იხ. ხუბუა, 1932). მიუხედავად ნაკლისა, ჩანაწერებს აქვს როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიული მნიშვნელობა.

აჭარული დიალექტის მკვლევრისათვის ფასეულია ჯ. ნოლაიდელის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ჩანაწერები, რომლის ერთი ნაწილი გამოქვეყნდა მკვლევრის ოთხწიგნულში (იხ. ნოლაიდელი, წიგნი I-IV, 1971-1981), ნაწილი კი დევ დაცულია ბსუ ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში. იმისათვის რომ ჩაწერილ მასალას ბუნებრივი ჟღერადობა შეუნარჩუნოს, მკვლევარი იყენებს დამატებით გრაფემებს: **მ, ც, ჟ, შ, ა, ე, რ, ი, ზ** (არაბული მადდა). უნდა აღინიშნოს, რომ დასტამბულ ტექსტებში მთლიანად ვერ მოხერხდა ჯ. ნოლაიდელისული ორთოგრაფიის შენარჩუნება ბეჭდვის სიმწიფეების გამო.

აჭარული კილოს ნიმუშები დართული აქვს შ. ნიჟარაძის მონოგრაფიებს (იხ. ნიჟარაძე, 1957; 1961). მკვლევრის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული მასალები, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში სანდოა, არაა ყოველთვის ერთგვარი. მკვლევარი ერთსა და იმავე ტექსტს სხვადასხვა გამოცემაში განსხვავებულად წარმოადგენს, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის სანდოობას. მკვლევარი აჭარულის ჩასაწერად იყენებს დამატებით გრაფემებს: **მ, ჟ, შ, ა, ე, რ, ი, ზ** (ნიჟარაძე, 1857:5; 1961: 16). საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ ნიმუშს:

I. ეკიდი, შვილებო, თქვენ კიდევ არ იცით თავრობის ყადრი, არ **სტავლულობთ**, რაც **ომ** შიგიძლიან ისე. ჩვენ დროზე **ომ ყოფილყავთ**, შიერი **დეიბოცვოდით**. **დილა-სადამო** წვიმაში, თოვლა-ჟღევპაში ხან ჯალაფ **ვარუნიებდით** და ხან **სხვის კარზე ხიზმეთქრათ ვიყავთ**(წ). ახლა თქვენ ქედფში ხართ გამშპარი. შკოლები ოზოში გაქვან გახსნილი, **წიგინებზე** არ **ფიქროფთ** და სწავლის გადასახადზე. დემამახსოვრეთ, ბაღვებო, აწმისიქით **უსტავლი ხალხი ვებშივით იქნება, ხალხში თავს ვერ გამოყოფს**. კარქათ **დეიფიშმანევით**, დუკვირდით და ისე მეექვცით..."(ნიჟარაძე, 1957:91).

II. ეკიდი, შვილებო, თქვენ კიდევ არ იცით თავრობის ყადრი. არ **სწავლობთ**, რაც **რომ** შიგიძლიან ისე. შვენ დროზე **რომ ყოფილყავთ**, შიერი **დეიბოცვოდით**. **დილა-სადამ** წვიმაში, თოვლა-ჟღევპაში ხან ჯალაფ **ვანურიებდით** და ხან **სხვის ოჯახში მორბედათ ვიყავთ**. ჩემი ომრი **სხვის კარზე გავანურიე**. ახლა თქვენ **ანფერი ზორი** არ გაწუხებენ, ქედფში ხართ გამშპარი. შკოლები ოზოში გაქვან გახსნილი, **წიგინებზე** არ **ფიქრობთ** და სწავლის გადასახადზე. დემამახსოვრეთ, ბაღვებო, აწმისიქით **უსწავლ კაც კაცი არ დაფასებს**. კარქა **დეიფიქრეთ**, დუკვირდით და ისე მეექვცით..." (ნიჟარაძე, 1961:152).

ორივე ტექსტი ჩაწერილია თხილვანაში (ხულოს რ-ნი), ჩანს, ერთი პიროვნებისაგან. განსხვავება მათ შორის სხვადასხვა გამოცემაში საგრძნობია.

აჭარული და ე.წ. იმერხეული დიალექტების მასალები დაბეჭდილია ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ი. ქავთარაძის შრომაში (იხ. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961). აჭარული ტექსტები ჩაუწერიათ ზ. ჯორბენაძეს ს. ძირკვაძეებში და ბეშუმში (ხულო), შ. ნიჟარაძეს – შუახევიში, ვ. კახაძეს – ს. კვამტაში (ქედა), ქ. ლომთათიძესა და

თ. ანდლულაძეს ხულოში, ქედასა და ქობულეთში. იმერხელი კილოს ნიმუშები კი გადმოხეჭილია ნ. მარის „დღიურებიდან“.

ქართული დიალექტოლოგიისათვის საყურადღებოა მ. ცინცაძის მიერ 1950-51 წლებში კირნათსა და მარადიდში ჩაწერილი მეტყველების ნიმუშები, რომლის ნაწილი ლექსიკონითურთ დაიბეჭდა მოგვიანებით (იხ. ცინცაძე, 1998:315-343)<sup>1</sup>, პუბლიკაციას ერთვის მ. ფალავას მცირე განმარტება. ჩანაწერები იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ჩაწერილია 60 წლის წინათ ხეობის მკვიდრის მიერ, რომელიც კარგად აღიქვამდა მშობლიურ დიალექტს. მეორეცაა და მასალა მაშინაა ჩაწერილი, როდესაც ჯერ კიდევ სუსტი იყო სალიტერატურო ენის გავლენა კირნათ-მარადიდის მეტყველებაზე (ხეობაში ჯერ კიდევ არ იყო რადიო და ტელევიზია, იშვიათი იყო გაზეთი, ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი მოხუცები). მესამეცაა და მ. ცინცაძის მიერ ჩაწერილი ტექსტები კლარჯული კილოს ნიმუშებია, რომელიც იმხანად საერთოდ უცნობი იყო ქართული მეცნიერებისათვის. ვფიქრობთ, მ. ცინცაძის მიერ შეგროვებული კლარჯული მასალები სანდოა, „იგი გამოდგება საყრდენ მასალად ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველების პროფილის განსაზღვრისას“ (ფალავა, 2003:98).

სამხრული კილოების, უპირველესად აჭარულის, შემდეგ შავშურის (მაჭახლური კილოკავი) და კლარჯულის (კირნათ-მარადიდის მეტყველება) მნიშვნელოვანი მასალაა დაცული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში. მასალები შეკრებილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირის მიერ აჭარის არ სოფლებში. მასალა მრავალფეროვანია. ჩანს, ბევრი ჩამწერისათვის უცხოა საკვლევი კილოები, ბუნებრივია, მათი ჩანაწერების სანდოობის ხარისხი დაბალია. ასევე იკვეთება, რომ ექსპედიციის მიერ წინასწარ არაა შემუშავებული მასალის ჩაწერის პრინციპები, კითხვარი, რომლის დაცვა ყველასათვის აუცილებელი იქნება. ექსპედიციის ყველა წევრი იწერს თავისი შეხედულებისამებრ, რაც საბოლოოდ იწვევს მასალის სიჭრელეს. მაგალითისათვის: ერთნი წერენ აა, ეე, იი, ოო, უუ კომპლექსებს, მეორენი – ა, ე, ი, ო, უ. გრძელ, გემინირებულ ხმოვნებს. სხვები კიდევ „გრძელი ხმოვნების“ გვერდით „გრძელ თანხმოვნებსაც“ შენიშნავენ და იმ (მაგ. დამმართა) თანხმოვანთკომპლექსს ისევე ჩაიწერენ, როგორც ეწ. გრძელ ხმოვანს თავზე სწორი ხაზით... აქვე აღვნიშნავთ, რომ მასალები უგროვებიათ იმის მიხედვით, თუ ვის რა პრობლემა აინტერესებდა, უმეტესად დარგობრივი ლექსიკა, ფოლკლორი, ტოპონიმიკა... ძალიან

<sup>1</sup> დასაწინაა, რომ მ. ცინცაძის მასალები დაიბეჭდა როგორც „აჭარული ტექსტები“, რაშიც ჩემი წვლილიცაა. ცდომილების მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ იმხანად ქართული ლინგვისტური ტრადიციით კირნათ-მარადიდის მეტყველება ჯერ კიდევ აჭარულად იყო მიჩნეული, რამდენადაც აღნიშნული სოფლები აჭარის არ ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული (არ იყო გამოიჯნული დიალექტისა და ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრები, რაც არასწორია. ამავე მიზეზით მაჭახლურიც აჭარულის ნაწილად იყო მიჩნეული). მომდევნო კვლევებით დადგინდა, რომ მირვეთი, მარადიდი, კირნათი... ისტორიული კლარჯეთის სოფლებია და აქაურთა მეტყველება კლარჯულია და არა აჭარული.

ცოტაა ტექსტები, სადაც დიალექტების ზოგადი სახე ჩანს. ამ თვალსაზრისით უფრო მეტის მომცემა ფოლკლორული მასალა, რომელშიც დაკვირვებული მკვლევარი დიალექტურ თავისებურებებს ამოიკითხავს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვიტყვით: ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დაცული დიალექტოლოგიური მასალები მრავალფეროვანია, მაგრამ მკვლევარმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მისი გამოყენებისას. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, კვლავაც გაგრძელდეს აჭარულის, განსაკუთრებით ქვემოაჭარულისა და ქობულეთური კილოკავების მასალების შეკრება. შემთხვევითი არ იყო, რომ ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა საველე-შემკრებლობითი საქმიანობა დაიწყო აჭარულის მასალების შეგროვებით. 2001 და 2002 წლებში ექსპედიციები მოეწყო ხიხაძირის ხეობასა და ღორჯომის თემში (ექსპედიციის მიერ ჩაწერილი მასალები ინახება ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრში).

სამხრული დიალექტების შესწავლის ახალი ეტაპი იწყება XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან შემკრებლობითი მუშაობა. აღსანიშნავია ქ-ნ შუშანა ფუტკარაძის საქმიანობა. მან თურქეთელ ქართველებში შეკრიბა და გამოაქვეყნა საინტერესო დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური და ფოლკლორული მასალები (იხ. ფუტკარაძე, 1993), მიმოქცევაში შემოვიდა ქართული მეცნიერებისათვის მანამდე ნაკლებადცნობილი, ან სრულიად უცნობი მეტყველების ნიმუშები, რომელმაც სრულიად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა სამხრულ მეტყველებაზე.

ჭოროხის ქვეყნების მკვიდრთა მეტყველების ნიმუშების შეგროვებაზე ინტენსიურად მუშაობს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის (შემდეგ – ცენტრი) მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია (ხელმძღვანელი პროფესორი მამია ფაღვავა), რომელმაც დღიდან დაარსებისა მოაწყო ექსპედიციები ზემოაჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, თურქეთის რესპუბლიკის შიგა პროვინციებში გაშენებულ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში, კერძოდ:

- 1995 წლის 31 აგვისტო 13 სექტემბერი – ტაო.
- 2001 წლის 10-27 ივლისი – ხიხაძირის ხეობა (ხულოს რ-ნი).
- 2002 წლის 14-26 ივლისი – ღორჯომი (ხულოს რ-ნი).
- 2005 წლის 23 ივლისი 2 აგვისტო – შავშეთი, იმერხევის ხეობა.
- 2007 წლის 28 ივლისი 16 აგვისტო – კლარჯეთი.
- 2009 წლის 31 ივლისი 16 აგვისტო – შავშეთი, ტაო, ლაზეთი.
- 2010 წლის 26-30 ოქტომბერი – შავშეთი.
- 2011 წლის 20-25 ივლისი – შავშეთი, კლარჯეთი.
- 2012 წლის 2-22 ივლისი – ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები.
- 2013 წლის 6-25 ივლისი – ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები.
- 2013 წლის 2-5 მაისი – კლარჯეთი (სადაზვერვო ექსპედიცია).
- 2013 წლის 3-10 აგვისტო – კლარჯეთი
- 2014 წლის 5-23 ივლისი – ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები.

2014 წლის 1-8 აგვისტო – კლარჯეთი.

2015 წლის 10-12 აპრილი – კლარჯეთი.

2015 წლის 19 ივლისი 4 აგვისტო – ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები.

შავშური კილოსა და ფოლკლორის მასალები (ლექსიკონითურთ) დაიბეჭდა მონოგრაფიაში „შავშეთი“ (იხ. შავშეთი, 2011: 366-614. მასალები ჩაიწერეს და სასტამბოდ მოამზადეს მ. ფალავამ, მ. ცინცაძემ და თ. შიოშვილმა).

ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი ექსპედიციის მიერ შეგროვებული ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალების ნაწილი დაიბეჭდა ცენტრის „კრებულის“ IV, V, VI, VII, VIII, IX ტომებში, ნაწილიც კიდევ ინახება ქართველოლოგიის ცენტრში.

ქართველოლოგიის ცენტრის მიერ შეკრებილი მასალები შეტანილია ქართულ დიალექტურ კორპუსში (**ob. corpora. co**).

სამხრული კილოების მასალები ინახება თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივებში.

მკვლევრისათვის ხელმისაწვდომია ძველი და ახალი თაობის სპეციალისტთა მიერ ჩაწერილი მრავალფეროვანი მასალა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები, როგორც საინტერესო მასალა აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური კილოების შესასწავლად.

**3. სამხრული კილოების კვლევის შედეგები.** სამხრული კილოების კვლევას საფუძველი XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა, თუმცა ზოგიერთი ცნობა მათ შესახებ ადრინდელ წყაროებშიც გვხვდება. მკვლევართა, უპირატესად ისტორიკოსთა ყურადღება მიიქცია ზოგიერთი ტოპონიმის (პირველ რიგში – აჭარა, ჭოროხი, მაჭახელი) ეტიმოლოგიამ (იხ. ბაქრაძე, 1987: 71; Джанаშვილი, 1894:2-3; ჯანაშვილი, 1913:87; Адонц, 1908:26; Кипшидзе, 1911:67).

1873 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით გურიაში, ქობულეთსა და აჭარაში იმოგზაურა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ. მოგზაურობის შედეგები გამოქვეყნდა 1878 წელს (იხ. Бақраძე, 1878), რომლის ქართული თარგმანი დაიბეჭდა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1987 წელს (იხ. ბაქრაძე, 1987).

მკვლევარი აკვირდებოდა აჭარელთა ყოფას, ტრადიციებს, მეტყველებას, იწერდა გეოგრაფიულ სახელებს, სიტყვებს, ცდილობდა ჩაწერილი მასალისათვის შეენარჩუნებინა ბუნებრივი იერი, მაგრამ დაბრკოლებას უქმნიდა ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერები (დ. ბაქრაძის შრომა რუსულად დაიწერა – ავტ.). მოვუსმინოთ ავტორს: „ჩემს „მოგზაურობაში“ გეოგრაფიულ ნომენკლატურასა და, საერთოდ, ადგილობრივ სახელწოდებებს უპირველესად ადგილობრივი ფორმით გადმოვცემ, იმ სახელთა გამოკლებით, რომლებმაც საყოველთაოდ ხმარებულ რუსულ ტრანსკრიპციაში მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება. ამასთან უნდა შევნიშნო, რომ დაბრკოლებას მიქმნის იმ სახელწოდება-

თა გადმოცემა, რომლებიც განსაკუთრებული, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერებით გადმოიცემა. ქართულ ანბანში არის ცხრა ბგერა, რომლებიც სრულიად უცხოა რუსული ენისათვის, ასეთებია: თ, ფ, ყ, ძ, წ, ჭ, ღ, ჯ. მათგან მხოლოდ სამს მოეპოვება შესატყვისი ბგერები ფრანგულ ენაში: ჰ – h aspire, თ – th, ფ – ph, დანარჩენთა აღნიშვნა მიღებულია, ამ წესს ვიცავ მეც: ქ – k (ასპირაციისთ), ყ – k (ღრმად ხორხისმიერი), ძ – ძჰ, წ – ტჰ ან ტჟ, ჭ – ტჟ, ჯ – ძჟ. მაგრამ ეს ბგერები ვერ გამოხატავს მათ ნამდვილ ბუნებას და უცნაურად ჟღერს ქართველის სმენისათვის. ამიტომაც მეც წესად დავიდე, ტექსტი რომ არ აჭრელდეს, „საერთო ანბანურ საძიებელში“ იმ სახელწოდებების გვერდით, რომელიც შეიცავს ერთ-ერთ ამ სამი ბგერიდან, ფრჩხილებში დავწერო იგივე სიტყვა ქართული ასოებით. თქმა არ უნდა, რუს მკითხველს, რომელიც არ იცნობს ქართულის ბგერობრივ სისტემას, ესეც არ შეელოს, მხოლოდ მიახვედრებს, რომ ესა და ეს სახელწოდება ქართულად სხვანაირად გამოითქმის, ვიდრე რუსულად იწერება" (ბაქრაძე, 1987:XVI). მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, რომ დ. ბაქრაძე დაკვირვებული მკვლევარია, იგი კარგად ხედავს იმ სიძნელეებს ქართული სიტყვის რუსულად გადმოცემას რომ ახლავს, ეძებს გამოსავალს, რომ მიახვედროს მაინც რუსულენოვანი მკითხველი, რომ გარკვეულ სხვაობასთან გვაქვს საქმე...

დ. ბაქრაძე მოივლის ქობულეთს (ჩურუქსუ), ბათუმს, აჭარას და გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებებს ადგილობრივთა მეტყველების შესახებ, ხაზს გაუსვამს ქართული ენის მდგომარეობას ოსმალთა გავლენის ქვეშ მყოფ კუთხეებში.

ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ფაქტს: დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ აჭარაში დღემდე ხმარობენ ქართულ დამწერლობას, მაგრამ თუ არ შეეჩვიე, ძნელად გასარჩევიაო. ყოველ შემთხვევაში „ქობულეთურ-აჭარული წერილები, რომელიც გურიაში მაჩვენეს, ძნელად იკითხება, მათი თავისებურება ის არის, რომ ზოგი ასოს ფორმა საგრძნობლად შეცვლილი ან დამახინჯებულია. გარდა ამისა, სიტყვებში, თანხმოვნებს შორის მეტწილად ჩართულია ხმოვანი ი" (ბაქრაძე, 1987:72-73. შდრ. ზ. ჭიჭინაძე წერის ამ სახეობას „ჩვენებურს" უწოდებს. იხ. ჭიჭინაძე, 1913(1). მკვლევარი აქ საუბრობს ე.წ. „დედაბრულ ხელზე", რომელიც აჭარაში, განსაკუთრებით ქობულეთში იყო გავრცელებული და რომელსაც უპირატესად ქალები გამოიყენებდნენ (დაწვრილებით იხ. ხახუტაიშვილი, 2009; 2013; 2012(1), 2014; 2014(1); 2014(2)).

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ აჭარულის შესწავლა დ. ბაქრაძის ხსენებული შრომით იწყება (ფაღავა, 2003:46-54).

1874 წელს ე.წ. თურქეთის საქართველოში სპეციალური მისიით იმოგზაურა გიორგი ყაზბეგმა. 1875 წელს დაიბეჭდა მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები (იხ. Казбеги, 1975. წიგნი 1995 წელს ქართულად თარგმნეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა. იხ. ყაზბეგი, 1995). წიგნს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, პირიქით, გაიზარდა მისდამი ინტერესი ჩვენს დროში, მას შემდეგ, რაც ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლის ახალი ეტაპი დაიწყო.

გ. ყაზბეგმა იმოგზაურა ზემო აჭარაში, შავშეთში, არტანუჯში, ლივანასა და ლაზეთში. მისი ცნობით, სხალთისწყლის ხეობა დაცარიელებული იყო. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ისიც სახელდება, რომ „მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო“ (ყაზბეგი, 1995:41).

საყურადღებოა, რომ მოგზაური მდ. **აჭარისწყალს აჭარას** უწოდებს: „სხალთის ხეობა, რომელიც ხირხათის მთასთან იწყება... მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და აღწევს მდინარეების **სხალთისწყლისა და დიდაჭარისწყლის** შეერთების ადგილამდე (ს. ფურტიოს მახლობლად), აქედან გაერთიანებული წყალი, ვიდრე ჭოროხს შეერთვოდეს, მდ. **აჭარად** იწოდება“ (ყაზბეგი, 1995:41). მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობაა. ჩვენი დაკვირვებით, „აჭარა“ თავდაპირველად მდინარის ან ხეობის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რომ სახელი წარმოშობით ჰიდრონიმია, შემდეგ მოხდა მისი მნიშვნელობის გაფართოება და ქვეყნის სახელად ქცევა (იხ. ფალავა, მგელაძე, 2005:4-18).

აჭარიდან გ. ყაზბეგი შავშეთში გადასულა, იქიდან კიდევ არტანუჯსა ლივანაში. ავტორი აკვირდება აქაური მოსახლეობის ყოფას, მსჯელობს ენობრივი სიტუაციის შესახებ აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში.

აჭარისა და აჭარული კილოს შესახებ ცნობებს ვხვდებით თ. სახოკიას ჩანაწერებში. ავტორი საუბრობს აჭარის საზღვრებზე. მსჯელობიდან ჩანს, რომ **აჭარაში** იგი გულისხმობს **აჭარისწყლის** ხეობას.

მოგზაურობისას თ. სახოკია აკვირდება აჭარელთა ყოფას, ფოლკლორს, ტრადიციებს, მეტყველებას. მკვლევარი მკითხველის ყურადღებას არაერთ საინტერესო ფაქტზე მიაქცევს. მოვიტანთ ერთ-ერთს: „...ერთმა მოხუცმა, რომელმაც მასპინძლის როლი იკისრა, მითხრა: „ბრძანე ბატონო!“ პირველად ვერ მივხვდი იმისი ქართული და ჩემს თავს ვკითხე, რის თქმა უნდა-მეთქი! მაგრამ იმისმა საჭმლისკენ გამოშვერილმა ხელმა მიმახვედრა, რომ საჭმლის ჭამასა მთხოვდა და ჩვენებური „საჭმელი მიირთვი-ის“ მაგიერ „საჭმელი ბრძანე“ ან მარტო „ბრძანე“ სცოდნიათ-მეთქი. მეც არ დავაყოვნე „მებრძანებინა...“ (სახოკია, 1985:62).

მართებულად შენიშნავს თ. სახოკია, „ბმანეს“ აჭარულში სხვა ცნობილ მნიშვნელობებთან ერთად „ჭამის“, „მირთმევის“ მნიშვნელობაც აქვს (ცინცაძე, ფალავა, 1998:197-198).

თ. სახოკიას კიდევ ერთ დაკვირვებაზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას: „...თურქთა ბატონობას, მართალია, ქრისტიანობა განუდევნია აჭარიდან, მაგრამ ქართული ენა მაინც შეურჩენიათ. ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ ყური უნდა შეაჩვიო. პირველ ხანში გიძნელდებათ მათი ნათქვამის გაგება. დიდი განსხვავებაა გურულ სხაპა-სხუპით ლაპარაკსა და აქაურ დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური უფრო ქართლელს მოგაგონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა...“ (სახოკია, 1985:149). საინტერესო დაკვირვებაა. აჭარული გამოთქმა სრულიად განსხვავებულია მო-



საზღვრე გურული გამოთქმისაგან, რითაც იგი ემიჯნება დასავლურ კილოებს და სიახლოვეს იჩენს შავშურთან, კლარჯულთან და ტაოურთან.

„ოსმალს საქართველოს“ შესწავლას დიდი ამაგი დასდო ზ. ჭიჭინაძემ. ცნობილია, რომ მან მრავალგზის იმოგზაურა სამუსლიმანო საქართველოში და საკუთარი წვლილი შეიტანა იქ ქართული წიგნის გავრცელების საქმეში. მოგზაურმა შთამომავლობას დაუტოვა ძვირფასი ცნობები ოსმალთაგან მიტაცებული კუთხეების შესახებ (იხ. ჭიჭინაძე, 1913; 1913(1)). თანამედროვე მკვლევრისათვის ფასეულია ის ტოპონიმიკური მასალა, ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებმა რომ შეგვინახეს. მასალა ფასეულია იმიტომაც, რომ ბევრი გეოგრაფიული სახელი დღეს აღარ იხმარება, მათ თურქული ჩაენაცვლა, ბევრმაც ფონეტიკურად იცვალა სახე.

ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესახებ გარკვეულ ცნობებს ვხვდებით ნ. სოლნიშკინის ნარკვევში (იხ. Солнишкин, 1912. ქართული თარგმანი გამოიცა 1998 წელს. იხ. ჯაფარიძე, 1998). ყურადღებას მივაქცევთ, რომ შრომაში ვხვდებით საინტერესი ტოპონიმიკურ მასალას, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ქართულ გამოთქმას მიუჩვეველ ყურს სწორად ვერ აღუქვამს ქართული საკუთარი სახელები. ამდენად, ზოგიერთი ტოპონიმი არასწორადაა ჩაწერილი, ამიტომაც მკითხველი და განსაკუთრებით ქართული ტოპონიმიკის მკვლევარი ფრთილად უნდა მოეკიდოს ნ. სოლნიშკინის შრომას.

ე.წ. იმერხეულ კილოზე პირველი მეცნიერული დაკვირვება ეკუთვნის ნ. მარს. მართალია, მას შავშთა და კლარჯთა მეტყველება სპეციალურად არ უკვლევია, მაგრამ წმ. გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევის ძიებაში სხვა საკითხებთან ერთად ადგილობრივთა მეტყველებასაც აკვირდებოდა. მანვე ჩაიწერა და გამოაქვეყნა იმერხეული კილოს ნიმუშები მცირე კომენტარებით. ნ. მარის მიერ ჩაწერილი მასალები XX საუკუნის 90-იან წლებამდე ერთად-ერთი წყარო იყო ხსენებული კილოს შესასწავლად (იხ. Март, 1911 ან მისი ქართული თარგმანი: მარი, 2012. შდრ. ჯაფარიძე, 1996). „დღიურებიდან“ ჩანს, რომ ნ. მარმა იმოგზაურა შავშეთსა და კლარჯეთის იმ სექტორში, სადაც ეგულებოდა წმ. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები, სხვაგვარად, მოიარა „ათორმეტ სავანეთა მხარე“ და, ბუნებრივია, მის მიერ შემოტანილი ტერმინი „**იმერხეული კილო**“ პირობითია და სრულიდაც ვერ ასახავს სინამდვილეს.

აი ეს მასალები თუ ნაკვლევი, რომელიც დახვდათ სამხრული კილოების მკვლევრებს XX საუკუნის 20-იან წლებში.

ზემოაჭარული კილოკავის შესახებ პირველი ნაკვლევი ეკუთვნის მაკარ ხუბუას (ხუბუა, 1932). ცნობილია, რომ მკვლევარს 1926 წლის ზაფხულში უმოგზაურია ზემოაჭარაში და უწარმოებია დაკვირვება ადგილობრივთა მეტყველებაზე. მიუხედავად ნაკლისა, მაკარ ხუბუას შრომა იმსახურებს ყურადღებას, რამდენადაც იგი აჭარულის შესახებ პირველი სპეციალური ნარკვევია.

აჭარულის შესწავლაში დიდია ჯემალ (ჯიმშერ) ნოღაიდელის დამსახურება (ნოღაიდელი, 1936; 1960; 1972). დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა მკვლევრის დაკვირვებებს აჭარული კილოკაურ შედგენილობაზე, ლექსიკაზე, ფონეტიკისა და გრამატიკის საკითხებზე.

აჭარულის ზოგიერთი საკითხია განხილული ქ. ლომთათიძის გამოკვლევებში: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში" (ლომთათიძე, 1939), და „დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში" (ლომთათიძე, 1946). ასევე მნიშვნელოვანია ი. მეგრელიძის შრომები: მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში" (მეგრელიძე, 1938) და „ლაზური და მეგრული ფენა გურულში" (Мегрелидзе, 1938).

აჭარულ კილოს ეხებოდნენ პ. ჯაჯანიძე (იხ. ჯაჯანიძე, 1959; 1960; 1961; 1971), კლ. კუბლაშვილი (იხ. კუბლაშვილი, 1962), შ. მიძიგური (იხ. მიძიგური, 1946; 1956, 1970), სტ. მეთეშაშვილი (იხ. მეთეშაშვილი, 1937), ნ. გურგენიძე (იხ. ნ. გურგენიძე, 1973), ნ. მიქელაძე (იხ. ნ. მიქელაძე, 1960; 1970; ტ. ფუტკარაძე (იხ. ფუტკარაძე, 1987), ნ. მგელაძე (იხ. მგელაძე, ფაღავა, 1998; მგელაძე, 1990), ნ. საბაშვილი (იხ. საბაშვილი, 1959; 1963), შ. ფუტკარაძე (იხ. ფუტკარაძე, 1987), მ. ფაღავა (იხ. ფაღავა, 1990; 1995; 2003) და სხვები.

აჭარული კილოს შესწავლას განსაკუთრებული ამაგი დასდო შ. ნიჟარაძემ (იხ. ნიჟარაძე, 1954, 1957; 1961; 1964; 1971; 1975). ქართულ დიალექტოლოგიაში მან პირველმა შემოიტანა ტერმინები **ზემოაჭარული** და **ქვემოაჭარული** ჯ. ნოღაიდელისეული **მთის აჭარულისა** და **ბარის აჭარულის** სანაცვლოდ. მნიშვნელოვანია, რომ შ. ნიჟარაძის მიერ შემუშავებული ტერმინები დამკვიდრდა ქართულ ენათმეცნიერებაში. მკვლევარი რამდენიმე ათეული წელი წარმატებით იკვლევდა აჭარულის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებს, ცდილობდა, გაერკვია აჭარულის ადგილი მომიჯნავე დიალექტებს შორის.

სამხრულ მეტყველებას საინტერესო შრომები უძღვნა მ. ცინცაძემ. აღვნიშნავთ რამდენიმეს: „კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი" (ცინცაძე, 1954). ამ შრომით სპეციალისტები პირველად გაეცნენ ლინგვისტურად და ეთნოგრაფიულად ფრიად საინტერესო მხარის, ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებას. ასევე აღსანიშნავია გამოკვლევები: „დაკვირვებანი ბათუმის რაიონის მკვიდრთა მეტყველებაზე" (ცინცაძე, 1952), „კვლავ არქაიზმების საკითხისათვის აჭარულში" (ცინცაძე, ფაღავა, 1995).

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ონომასტიკისა და დარგობრივი ლექსიკის კვლევის საქმეში. სამხრეთ საქართველოს ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთ საკითხს ეხებოდნენ მ. ჯანაშვილი (იხ. ჯანაშვილი, 1913), ნ. ადონცი (იხ. Адонци, 1908), ს. ჯანაშია (იხ. ჯანაშია, 1959), პ. ინგოროყვა (იხ. ინგოროყვა, 1954), ს. ჯიქია (იხ. ჯიქია, 1958) და სხვები. მათ შრომებში აღწერილია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტოპონიმია და მოცემული ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა.

მაჭახლის ხეობის ტოპონიმის საინტერესო ნარკვევი უძღვნა ა. მსახალაძემ (იხ. მსხალაძე, 1954). ესაა მაჭახლის ონომასტიკის შესწავლის პირველი ცდა.

ყურადღებას იქცევს ი. სიხარულიძის შრომები, მიძღვნილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისადმი (იხ. სიხარულიძე, 1958; 1961; 1979). ნარკვევებში შესწავლილია აჭარისა და კლარჯეთის ტოპონიმია ისტორიული გეოგრაფიის პოზიციებიდან.

ბათუმის ეტიმოლოგიის ცდაა მოცემული მ. ფაღავას ნაშრომში „-უმ/-ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა“ (იხ. ფაღავა, 2009).

ქვემოაჭარის ტოპონიმის სწავლობდა გ. დიასამიძე (იხ. დიასამიძე, 1980; 1980(1); 1981(1); 1981; 1987), ზემო აჭარისას კი – მ. ქამადაძე (იხ. ქამადაძე, 1978; 1978(1); 1978(2); 1978(3); 1981; 1983; 1992; 1999). სამხრეთ საქართველოს ტოპონიმის ნარკვევები უძღვნეს თ. კუკულაძემ (იხ. კუკულაძე, 1981; 1983; 1987; 1990 და ე. ბერიძემ (იხ. ბერიძე, 2006; 2009), ხოლო ლაზურის ფენას აჭარის ტოპონიმიაში – ნ. ახვლედიანმა (იხ. ახვლედიანი, 1999(1); 1999). დღეისათვის აღწერილია აჭარის ტოპონიმია, თუმცა მასალების შეგროვება და ანალიზი კვლავაც გრძელდება.

შავშეთის ტოპონიმის პრობლემებს საინტერესო შრომები უძღვნა ნ. ცეცხლაძემ (იხ. ცეცხლაძე, 2000; 2004; 2011). აღვნიშნავთ, რომ მკვლევარი მონაწილეა არაერთი სამეცნიერო ექსპედიციისა ჭოროხის ხეობაში, თავად შეაგროვა შავშეთის ტოპონიმის მასალები და მოგვცა მისი კლასიფიკაციისა და ანალიზის პირველი ცდა.

შავშეთის ერთი სოფლის (იმნიეთი) მიკროტოპონიმიაა შესწავლილი მ. მიქაუტაძისა და ტ. ფუტკარაძის შრომაში (იხ. მიქაუტაძე, ფუტკარაძე. Cveneburi net.).

კლარჯეთის ტოპონიმის ეძღვნება მ. ფაღავას გამოკვლევები „სუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში“ (იხ. ფაღავა, 2015), „კარ ფუძიანი ტოპონიმები კლარჯეთში“ (იხ. ფაღავა, 2014), „ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის“ (იხ. ფაღავა, 2007:143-149) და სხვ.

ბსუ ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წარმატებით იკვლევენ აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკას. დღემდე დაისტამბა არაერთი საყურადღებო ნარკვევი, კერძოდ, ნ. ნოღაიდელის (იხ. ნოღაიდელი, 1981; 1983; 1986; 1988; 1990; 1998; 2013), ნ. სურმაზას (იხ. სურმავა, 1976; 1979; 1981; 1983; 1987; 1990; 1999). აღვნიშნავთ ასევე მ. კობერიძის ვრცელ ნარკვევს „ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა“ (იხ. კობერიძე, 2011). სავლელ ექსპედიციების შედეგად მოპოვებულია და აღწერილია აჭარულის დარგობრივი ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სამხრულ კილოთაგან აჭარულის კვლევას ხანგრძლივი და უწყვეტი ისტორია აქვს, რასაც ვერ ვიტყვით სხვა სამხრული კილოების შესახებ. შავშურისა და კლარჯულის მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის დასაწყისში ნ. მარის ცნობილი მოგზაურობით, მაგრამ შემდეგ თითქმის ოთხმოცი წელი კვლევები შეჩერდა ცნობილი მიზეზების გამო. XX საუკუნის 80-იანი წლების ბო-

ლოდან ისევ შესაძლებელი გახდა თურქეთის რესპუბლიკაში მოქცეული ქართული დიალექტების კვლევა, მას შემდეგ, რაც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ახალი დიალექტოლოგიური მასალები, მოპოვებული ისტორიულ სამხრეთ საქართველოსა და მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში. 90-იან წლებში დაიბეჭდა შ. ფუტკარადის შრომები: „ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტოკლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით" (სადოქტორო დისერტაცია. იხ. ფუტკარადე, 1995); „ობიექტის პირველი პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებათა შესახებ ლივანურში" (ფუტკარადე, 1993(1)), „თურქიზმები ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში" (ფუტკარადე, 1993(2)), „ტაოს ქართული" (ფუტკარადე, 1994), „კლარჯეთის ქართული" (ფუტკარადე, 1994(1)), „ლივანური ქართულის თავისებურებანი" (ფუტკარადე, 1994(2)), „იმერხევის ქართული" (ფუტკარადე, 1995(1)), რომლებშიც პირველად იყო მიმოხილული სამხრული კილოების თავისებურებები, მოცემული იყო ცდა ცალკეული სამხრული კილოს დახასიათებისა.

სამხრული კილოების კვლევის ახალ ეტაპზე დაისვა სამხრული მეტყველებისა და სამწერლობო ქართულის ურთიერთმიმართების საკითხი. დაისტამბა მ. ცინცადისა და მ. ფაღავას მონოგრაფია „სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა. V-XVIII სს" (იხ. ცინცადე, ფაღავა, 1998) და „სამხრული დიალექტების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება V-XVIII სს სამწერლობო ქართულთან მიმართებით" (იხ. ფაღავა, ცინცადე, 1998: 256-267). შრომებში ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე პირველადაა შესწავლილი არქაიზმები სამხრულ მეტყველებაში და საუბარია სამხრული კილოების როლზე სამწერლობო ქართულის ფორმირებაში.

სამხრული კილოების კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრსა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში (ყოფილი ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის კათედრები).

სამხრულ მეტყველებას ეძღვნება მ. ფაღავას სადოქტორო დისერტაცია „სამხრული დიალექტების ფონემატური სტრუქტურა" (იხ. ფაღავა, 2003) და ცალკეული ნაკვლევი (იხ. ფაღავა, 1990; 1995; 1997; 1999; 2001; 2002 (თანაავტორი); 2002(1); 2002 (2); 2002(3); 2005 (თანაავტორი); 2004; 2007; 2009; 2009 (თანაავტორი ზ. შაშიკაძე); 2009(1); 2010; 2012; 2012(1); 2012(2); 2014, 2014(1); 2014(2); 2014(3); 2015; 2015(1); 2015(2), 2015(3) და სხვა. შავშურისა და ტაოურის ზოგიერთ საკითხზეა მსჯელობა წიგნში „შავშური ჩანაწერები" (იხ. ფაღავა, 2011).

სამხრული კილოების პრობლემებია განხილული მ. ცინცადის შრომებში (იხ. ცინცადე, 2009, 2009(1), 2010). მ. ფაღავასა და მ. ცინცადეს ეკუთვნით ასევე ვრცელი გამოკვლევა „შავშური კილო" (მასალებითა და ლექსიკონით. იხ. შავშეთი, თავი, VI და ნაწილი II, შავშური კილოს მასალები ლექსიკონითურთ. იმავე ავტორების მონოგრაფია „შავშური კილო" მზადაა გამოსაცემად). სამხრული დიალექტების კონკრე-

ტული საკითხებია განხილული ტ. ფუტკარადის (იხ. ფუტკარაძე, 2007), მ. ზარამიდის (იხ. ზარამიძე, 2002; 2010; 2011 (თანავტორი მერი ცინცაძე); 2011; 2013; 2013 (თანავტორი მერი ცინცაძე); 2014; 2014 (თანავტორი გურამ მარკოიძე)... ნ. ცეცხლაძის (იხ. ცეცხლაძე, 2009; 2009(1); 2009 (დ. ახვლედიანის თანავტორობით); 2010 (თანავტორი მ. კიკვაძე); 2011; 2011(1); 2011 (2); 2012 (თანავტორი მ. ხახუტაიშვილი), 2013; 2013(1); 2014 (თანავტორი მზ. ხახუტაიშვილი); 2014...), ნ. ფარტენაძის (იხ. ფარტენაძე, 2009; 2010; 2013; 2013(1); 2013(2); 2013(3), 2013(4), 2013(5), 2014), მ. ხახუტაიშვილის (იხ. ხახუტაიშვილი, 2009; 2009(1); 2009(2); 2012 (თანავტორი ნ. ცეცხლაძე); 2013; 2013(1); 2013(2); 2014(1); 2014(3) 2014...), თ. შიომშვილის (იხ. შიომშვილი, 2013(1) (თანავტორი გ. მახარაშვილი), 2013, თანავტორი გ. მახარაშვილი) და სხვათა ნაკვლევებში.

მ. ჩოხარაძის შრომები ეძღვნება ქართული ენის გეოგრაფიას თურქეთში (იხ. ჩოხარაძე, 2013; 2014; 2014 (თანავტორი თამარ ჩოხარაძე); 2015 (თანავტორი თამარ ჩოხარაძე)... მათში აღწერილია ქართული სოფლები ისტორიულ შავშეთსა და კლარჯეთში და ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებით დაინტერესდნენ თურქი მკვლევრებიც, რაც საინტერესო ფაქტია. თურგუთ აჯარმა 1991 წელს ბათუმის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაიკითხა მოხსენება: „სია იმ ქართული სიტყვებისა, რომელიც არსებობს ართვინის მეტყველებაში“ (იხ. აჯარ, 1991). ავტორი ცდილობს, ართვინის ილის (გუბერნიის) თურქულ მეტყველებაში გამოავლინოს ქართული ელემენტი. თუ რამდენად ახერხებს ქართულის არმცოდნე თურქი ავტორი გაართვას თავი დასმულ ამოცანას, საკითხის სხვა მხარეა. ვფიქრობთ, პრობლემა სწორადაა დასმული. ლინგვისტიკისათვის საინტერესოა არა მარტო თურქულის კვალის ძიება ქართული ენის სამხრულ კილოებში, არამედ ქართულის კვალის ძიებაც თურქულში. საკითხი მნიშვნელოვანია ენათა კონტაქტებისა თუ კულტურათა დიალოგის თვალსაზრისითაც.

თურქიზმებს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ქართულ მეტყველებაში სწავლობს იბრაიმ არისოი, თურქი მკვლევარი (იხ. არისოი, 1997(1); 1997). მისი კვლევები ეყრდნობა შ. ფუტკარადის „ჩვენებურების ქართულში“ დაბეჭდილ დიალექტოლოგიურ მასალებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია, მოკლედ შევაჯამოთ სამხრული კილოების კვლევის შედეგები, კერძოდ:

– შეგროვებულია და მკვლევრისათვის ხელმისაწვდომია სამხრული დიალექტების მრავალფეროვანი მასალა. იგი შეკრებილია როგორც აჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, ისე მის გარეთ. უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მიმოქცევაში შემოვიდა აჭარელ, კლარჯ, შავშ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა სამხრულ მეტყველებაზე.

მნიშვნელოვანი წარმატებებია სამხრული დიალექტების კვლევის საქმეში:

– ორი მონოგრაფია (ჯ. ნოლაიდელი, შ. ნიჭარაძე) და რამდენიმე ათეული სამეცნიერო სტატია მიემდგვნა აჭარული კილოს ფონეტიკისა და გრამატიკის საკითხებს, გვაქვს აჭარული კილოს ლექსიკონი (შ. ნიჭარაძე), დამაჯერებლადაა შესწავლილი აჭარული დიალექტის ლექსიკა (უპირატესად დარგობრივი) და ტოპონიმია.

– რამდენიმე ათეული გამოკვლევა გამოქვეყნდა შავშური კილოს პრობლემებზე. შავშური დიალექტის შესახებ ვრცელი გამოკვლევა შევიდა ავტორთა ჯგუფის მონოგრაფიაში „შავშეთი“ (დიალექტისადმი მიძღვნილი თავის ავტორები მ. ცინცაძე და მ. ფაღავა), ორი მონოგრაფია (ავტორი ნ. ცეცხლაძე) მიემდგვნა შავშეთის ტოპონიმის.

– რამდენიმე ათეული სამეცნიერო სტატია დაიწერა კლარჯულის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებზე, გარკვეული წარმატებებია მიღწეული კლარჯეთის ტოპონიმის კვლევის საქმეშიც.

– შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ტაოური დიალექტი, თუმცა მასაც მიემდგვნა არაერთი გამოკვლევა.

რამდენიმე ნაშრომი, მათგან ერთი მონოგრაფია (ავტორები მ. ცინცაძე და მ. ფაღავა) დაიწერა სამხრული დიალექტებისა და სამწერლობო ქართულის მიმართების საკითხებზე.

შეიძლება ითქვას, დღეისათვის შექმნილია სამხრული მეტყველების ზოგადი ლინგვისტური პორტრეტი.

**4. სამხრული კილოების კვლევის პერსპექტივები.** ჩვენს დროში არის ყველა პირობა სამხრული კილოების საკვლევად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამხრული კილოები, გარდა აჭარულისა, გადაშენების საფრთხის წინაშეა. შავშეთის, კლარჯეთის, ტაოს ადგილობრივი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქართული არ იცის, მეთურქულეა. მეორე, მექართულე ნაწილშიც ქართული იცის უფროსმა, მამებისა და ბაბუების თაობამ, იშვიათად შვილების თაობამაც, ახალთაობამ ქართული აღარ იცის. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართულის მცოდნე შავშეზი, კლარჯეზი, ტაოელები ორენოვნები არიან. მათ ოჯახებშიც უმეტესად პრიორიტეტი თურქულს ენიჭება; ქართული, მშობლიური ენა თანდათან ოჯახური ურთიერთობის ენის ფუნქციასაც თმობს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე:

1. უნდა დაჩქარდეს სამხრული კილოების მასალების შეგროვება, კერძოდ:

ა. ექსპედიციები უნდა მოეწყოს აჭარული დიალექტის, განსაკუთრებით ქვემოაჭარული და ქობულეთური კილოკავების მასალების შესაგროვებლად, რამდენადაც, აშკარაა, რომ სადღეისოდ არაა საკმარისი დიალექტური ტექსტები დასახელებული კილოკავების საკვლევად.

ბ. განსაკუთრებით საშურია შავშური, კლარჯული და ტაოური კილოების მასალების შეგროვება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა: ჩვენმა თაობამ უნდა შეძლოს ჯერ კიდევ ცოცხალი დიალექტების მასალების ჩაწერა და შენახვა.

გ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აჭარელ, შავშ, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების კომპაქტურ დასახლებებში საველე ექსპედიციების მოწყობასა და მათი მეტყველების ნიმუშების ჩაწერას.

2. უნდა გაგრძელდეს სამხრული კილოების ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის პრობლემების კვლევა. არსებული დიალექტოლოგიური მასალები და კვლევები გვაძლევს საშუალებას შეიქმნას შავშური, კლარჯული და ტაოური დიალექტების შესახებ მონოგრაფიები. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი ახალი მასალები დღის წესრიგში აყენებს აჭარულის შესახებ ახალი მონოგრაფიის შექმნას.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხრული კილოების ლექსიკონების შედგენას:

ა. ყველა პირობაა შექმნილი აჭარული კილოს ვრცელი ლექსიკონის შესაქმნელად. ახალ ლექსიკონში თავი უნდა მოიყაროს აჭარული ლექსიკის ყველა მასალამ, დარგობრივმა ლექსიკამ, მცენარეთა სახელებმა, საყოფაცხოვრებო ლექსიკამ და ა.შ.

ბ. უნდა გაგრძელდეს მუშაობა შავშური, კლარჯული, ტაოური დიალექტების სალექსიკონო მასალების შესაგროვებლად. ასევე უნდა აღიწეროს მათი დარგობრივი ლექსიკა. კვლევის საბოლოო მიზანი უნდა გახდეს შავშური, კლარჯული და ტაოური ლექსიკონების შედგენა.

4. უნდა გაგრძელდეს მთელს სამხრეთ საქართველოში ტოპონიმიკური მასალების შეგროვება, სისტემატიზაცია და მეცნიერული აღწერა. ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონში მცენარეთა სახელების შეგროვებასაც. ქართული ტოპონიმია და მცენარეთა სახელწოდებები ჯერ კიდევ ცოცხალია ჭოროხის ხეობის მეთურქულე ნაწილშიც, რაც, ერთის მხრივ, დასტურია რეგიონში ქართველი კაცის მოღვაწეობისა, მეორე მხრივ, ძვირფასი მასალაა სამხრული დიალექტების ლინგვისტური პორტრეტის შესაქმნელად.

5. კვლევის ობიექტი უნდა გახდეს თურქიზმები ქართულში და ქართული ელემენტი ჭოროხის ხეობის თურქულ მეტყველებაში. ორივე მიმართულებით კვლევები წარმოებს, სამომავლოდ საჭიროა მისი გაღრმავება.

## ლიტერატურა

**ახვლედიანი 1999** – ნარგიზ ახვლედიანი, ტოპონიმ **ღვაჩას** ეტიმოლოგიისათვის. ქუთაისური საუბრები, VI, ქუთაისი.

**ახვლედიანი 1999(1)** – ნარგიზ ახვლედიანი, ზანური ტოპონიმები მარეთის ხეობიდან. ბსუ შრომები, III, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.

**Адонц 1908** – Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб.

**Açar 1991** – Türgüt Açar, Artvin açazları üzerine gürgüğe'nin etkeleri. საეთაშორისო სიმპოზიუმი, ბათუმი-სამსუნი (ხელნაწერი).

**Arisoy 1997** – İbrahim Arisoy, Docy karadeniz gürgücesinde Turkce isimler. აჭარის კომეციული ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი.

**Arisoy 1997(1)** – İbrahim Arisoy, Docy karadeniz gürgücesinde Turkce sabatler. აჭარის კომეციული ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი.

**ბარამიძე 2002** – მაია ბარამიძე, ტაოს ქართული ტოპონიმთა. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო ცენტრი, კრებული, II, ბათუმი.

**ბარამიძე 2010** – მაია ბარამიძე, შავშური დიალექტის ლექსიკონი. XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ბარამიძე 2011** – მაია ბარამიძე, მასალები სამხრული კილოების ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონისათვის (შავშეთის ქართულის მიხედვით). I საერთაშორისო კონფერენცია „კულტურათმორისი დიალოგები. შრომები, თელავი.

**ბარამიძე, ცინცაძე 2011** – ზმნის ზოგი თავისებურება კლარჯულში. XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ბარამიძე, ცინცაძე 2013** – მაია ბარამიძე, მერი ცინცაძე, ფონეტიკური მოვლენებისათვის კლარჯულში. XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ბარამიძე 2013** – მაია ბარამიძე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ზოგიერთი თავისებურება. ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული, VII, ბათუმი.

**ბარამიძე, მარკოიძე 2014** – მაია ბარამიძე, გურამ მარკოიძე, კონპოზიციები სამხრულ მეტყველებაში. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, II, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი.

**ბარამიძე 2014** – მაია ბარამიძე, ტოპონიმებისათვის კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, VIII, ბათუმი.

**ბაქრაძე, 1987** – დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი.

**ბაქრაძე 1878** – Д. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Адчар с атласом. СПб.

**ბერიძე 2009** – ეთერ ბერიძე, ნიგალის ხეობა სამეცნიერო წყაროებისა და კარტოგრაფიული მასალების მიხედვით. ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VI, ბათუმი.

**ბერიძე 2006** – ეთერ ბერიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომებში, ბათუმი.

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** – ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

**გვანცელაძე, გვანცელაძე 2000** – გვანცა გვანცელაძე, თეიმურაზ გვანცელაძე, ქართულ დიალექტთა ურთიერთმიმართება და დიალექტური ტექსტის აღქმა-გაგების ხარისხი. XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი.

**გერდერი 1959** – И. Гердер, Избранные сочинения, М-Л.



**გურგენიძე, 1973** – ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბილისი.

**Гусев 1967** – В. Гусев, Эстетика фольклора, М.

**დიასამიძე 1980** – გუგული დიასამიძე, ქვემო აჭარის თხზული ტოპონიმები. საქართველოს სსრ პედაგოგიკის შრომები, VIII, თბილისი.

**დიასამიძე 1980(1)** – გუგული დიასამიძე, მევენახეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში. ჟ. ჭოროხი, 6, ბათუმი.

**დიასამიძე 1981** – გუგული დიასამიძე, პურულთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში. ჟ. ჭოროხი, 3, ბათუმი.

**დიასამიძე 1981(1)** – გუგული დიასამიძე, რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებული ტოპონიმები. სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი.

**დიასამიძე 1987** – გუგული დიასამიძე, მარტივი ტოპონიმები. ჟ. ჭოროხი, 4, ბათუმი.

**Джанашвили 1894** – М. Джанашвили, Абхазия и Абхазцы. ЗКОИРГО, кн. XVI, Тифлис.

**ენუქიძე 1977** – თინა ენუქიძე, გამოკვლევა წიგნზე, ტბეთის სულთა მატთანე, თბილისი.

**თოფურია 1963** – ვარლამ თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. ქესს, III, თბილისი.

**ინგოროყვა 1954** – პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი.

**Казбеги 1875** – Г. Казбеги, Три месяца в Турецкой Грузии, из дневника путешественника, Тифлис.

**კიკვაძე 2012** – მაია კიკვაძე, ქართული ლექსიკა არტანუჯულ თურქულში. II სართაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, ბათუმი.

**Кипшидзе 1911** – И. Кипшидзе, Грамматика грузинского языка, СПб.

**კობერიძე 2011** – მარიამ კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი.

**კუბლაშვილი 1962** – კლარა კუბლაშვილი, დიფთონგიზაცია აჭარულში. ქპი შრომები, 24, ქუთაისი.

**კუკულაძე 1981** – თამარ კუკულაძე, დეხვას ხეობის ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი. ადდლ, IV, თბილისი.

**კუკულაძე 1983** – თამარ კუკულაძე, სამხრეთ საქართველოს ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ადდლ, IV, თბილისი.

**კუკულაძე 1987** – თამარ კუკულაძე, „ტბეთის სულთა მატანეს“ ონომასტიკის ერთი საკითხი. ადდლ, VI, თბილისი.

**კუკულაძე 1990** – თამარ კუკულაძე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმია. ადდლ, VII, თბილისი.

**ლომთათიძე 1938** – ქეთევან ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში. თსუ შრომები, VI, თბილისი.

**ლომთათიძე 1946** – ქეთევან ლომთათიძე, დამოკიდებული წინა-დადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში. იკვ, I, თბილისი.

**მარი 2012** – ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. რუსულიდან თარგმნა რევაზ დიასამიძემ, მამია ფალავას გამოკვლევითა და რედაქციით. ბათუმი.

**მარი 1911** – Георгий Мерчул, Житие св. Григория хандзийского (введение, издание, перевод Н.Я. Марра) с дневником поездки в Шавшетию и Кларджию. кн. Тексты и разисkanie по Армяно-Грузинской филологии, СПб.

**მაკარაძე 1999** – ელგუჯა მაკარაძე, ხალხური პოეტური სიტყვის კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები. ლიტერატურული აჭარა, I, ბათუმი.

**მარტიროსოვი 1972** – არამ მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი.

**მატიანე 1977** – ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი.

**მენტეშაშვილი 1937** – სტეფანე მენტეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. ენიმკის მოამბე, II, თბილისი.

**მეგრელიძე 1938** – იოსებ მეგრელიძე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის ობიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში. თსუ შრომები, VI, თბილისი.

**მეგრელიძე 1938** – И. Мегрелидзе, Лазский и Мегрельский слой в Гурииском. М-Л.

**მგელაძე, ფალავა 1978** – ფხე/ხე – ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები. ბსუ შრომები, II, ბათუმი.

**მგელაძე 1990** – სისხლით ნათესაობის ტერმინთა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი აჭარაში. ადდლ, VII, თბილისი.

**მიქაუტაძე, ფუტკარაძე** – მამია მიქაუტაძე, ტარიელ ფუტკარაძე, იმნიეთის (შავშეთი) მიკროტოპონიმია. ჩვენებური.ნეტ.

**მიქელაძე 1960** – ნაზი მიქელაძე, ქვემოაჭარული კილოკავი. ბპი სტუდენტთა XV კონფერენციის მოხსებათა თეზისები, ბათუმი.

**მიქელაძე 1970** – სოფლის მეურნეობის ლექსიკა ქვემოაჭარულში. ბპი შრომები, XVI, ბათუმი.

**მსუხი** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის.

**მსხალაძე, 1954** – ალექსანდრე მსხალაძე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმისათვის. ბსუ სტუდენტთა შრომები, ტ. I, ბათუმი.

**ნიჟარაძე 1954** – შოთა ნიჟარაძე, მასალები აჭარული დიალექტის ლექსიკონისათვის. ბპი შრომები, III, ბათუმი.

**ნიჟარაძე 1957** – შოთა ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი.

**ნიჟარაძე 1961** – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი.

**ნიჟარაძე 1964** – შოთა ნიჟარაძე, არქაიზმების საკითხისათვის აჭარულ დიალექტში. ბპი შრომები, X, ბათუმი.

**ნიჟარაძე 1971** – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

**ნიჟარაძე 1975** – შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი.

**ნოლაიძელი 1936** – ჯემალ ნოლაიძელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი.

**ნოლაიძელი 1960** – ჯემალ ნოლაიძელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი.

**ნოლაიძელი, I-IV** – ჯემალ ნოლაიძელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I-IV, 1971-1981, ბათუმი.

**ნოლაიძელი 1972** – ჯემალ ნოლაიძელი, აჭარული მიმართება მესხურთან. ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი, II, ბათუმი.

**ნოლაიძელი 1981** – ნანული ნოლაიძელი, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა. ადდლ, III, თბილისი.

**ნოლაიძელი 1983** – ნანული ნოლაიძელი, რთვა-ქსოვის ლექსიკიდან. ადდლ, IV. თბილისი.

**ნოლაიძელი 1986** – ნანული ნოლაიძელი, მშენებლობის ლექსიკა აჭარაში. ადდლ, V, თბილისი.

**ნოლაიძელი 1988** – ხალხური კულტურული ტრადიცია და ლექსიკა. ადდლ, VI, თბილისი.

**ნოლაიძელი 1990** – ნანული ნოლაიძელი, ქართული ენის ლექსიკა და საფეიქრო ტერმინოლოგია. ადდლ, VII, თბილისი.

**ნოლაიძელი 1998** – ნანული ნოლაიძელი, ხატოვანი გამოთქმები და დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. ბსუ შრომები, II, ჰუმანიტარულმეცნიერებათა სერია, ბათუმი.

**ნოლაიძელი 2013** – ნანული ნოლაიძელი, ლექსიკური ძიებანი, ბათუმი.

**Руднев, 1997** – В. Руднев, Словар культуры XX века, М.

**საბაშვილი 1959** – ნადეჟდა საბაშვილი, სოფელ ჩაისუბნის მკვიდრთა მეტყველების თავისებურებანი. ბპი XX სამეცნიერო სესიის თეზისები, ბათუმი.

**საბაშვილი 1963** – ნადეჟდა საბაშვილი, ქვემოაჭარის მთიანი სოფლების მკვიდრთა მეტყველება. ბპი XXIV სამეცნიერო სესიის თეზისები, ბათუმი.

**სახოკია 1985** – თედო სახოკია, მოგზაურობანი ( გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), ბათუმი.

**სიხარულიძე 1958** – იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი.

**სიხარულიძე 1961** – იური სიხარულიძე, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი II, ბათუმი.

**სიხარულიძე 1979** – იური სიხარულიძე, ნიგალი, ბათუმი.

**Солнишкин 1912** – Н. Солнишкин, Артвин и Артвинский округ, Тифлис.

**სოსიური 1977** – Фю Де Соссюр, Труды по языкознанию, М.

**სურმავა 1976** – ნარგიზა სურმავა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან. ადდლ, I, თბილისი.

**სურმავა 1979** – ნარგიზა სურმავა, მერისის ხეობის დარგობრივი ლექსიკიდან. ადდლ, II, თბილისი.

**სურმავა 1981** – ნარგიზა სურმავა, ადამიანთან დაკავშირებული ლექსიკა აჭარაში. ადდლ, III, თბილისი.

**სურმავა 1983** – ნარგიზა სურმავა, სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში (ქედის რაიონის მასალების მიხედვით). ადდლ, IV, თბილისი.

**სურმავა 1987** – ზოგიერთი თავისებური ლექსიკური ერთეულები აჭარულში. ადდლ, V, თბილისი.

**სურმავა 1990** – ნარგიზა სურმავა, მესაქონლეობისა და რძის ნაწარმის შემზადების ლექსიკა აჭარულში. ადდლ, VII, თბილისი.

**სურმავა 1999** – ნარგიზა სურმავა, ქვემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**ფარტენაძე 2009** – ნათელა ფარტენაძე, მო- და შე- ზმნისწინთა ვარიანტები ჩვენებურების მეტყველებაში. XXIX რესპუბლიკური დიალექტური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ფარტენაძე 2010** – ნათელა ფარტენაძე, ზმნისწინთა მონაცვლეობა და დამატებითი ფუნქციები სამხრულ მეტყველებაში. XXX რესპუბლიკური დკონფერენციის მასალები, თბილისი.

**ფარტენაძე 2013** – ნათელა ფარტენაძე, ატრიბუტული მსაზღვრელი მუჰაჯირთა მეტყველებაში. ბსუ შრომები, XIII, ბათუმი.

**ფარტენაძე 2013(1)** – ნათელა ფარტენაძე, სიტყვაწარმოება შავშურში. ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიური მაცნე, 1, თბილისი.

**ფარტენაძე 2013(2)** – ნათელა ფარტენაძე, გარემოება შავშურში. ქუთაისური საუბრები, XIII (113), ქუთაისი.

**ფარტენაძე 2013(3)** – ნათელა ფარტენაძე, მსაზღვრელ-საზღვრული შავშურში. სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, 9, ქუთაისი.

**ფარტენაძე 2013(4)** – ნათელა ფარტენაძე, ბგერის დაკარგვისა და ჩართვის შემთხვევები შავშურში. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №10, ქუთაისი.

**ფარტენაძე 2013(5)** – ნათელა ფარტენაძე, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი სამხრულ მეტყველებაში. XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ფარტენაძე 2014** – ნათელა ფარტენაძე, პირის ნიშნები და პირთა კომბინაციები კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, VIII, ბათუმი.

**ფალავა 1990** – მამია ფალავა, ზოგი ნაწილაკის შედგენილობისა და ფუნქციისათვის სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში. ადდლ, VII, თბილისი.

**ფაღავა 1995** – მამია ფაღავა, აჭარულის ბგერითი შედგენილობიდან, I. დ ბგერა აჭარულში. ბსუ შრომები, I, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.

**ფაღავა 1997** – მამია ფაღავა, მახვილის საკითხისათვის სამხრულ დიალექტებში. კრ. საუნივერსიტეტო მეცნიერებანი ოტი ათასწლეულის მიჯნაზე. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი-თბილისი.

**ფაღავა, ცინცაძე 1998** – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, სამხრული დიალექტების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება V-XVIII სს სა-მწერლობო ქართულთან მიმართებით. ქესს, VII, თბილისი.

**ფაღავა 1999** – მამია ფაღავა, ენობრივი სიტუაციის შესახებ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. კრ. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ბათუმი.

**ფაღავა 2001** – მამია ფაღავა, ტოპონიმ ცხროქას ეტიმოლოგია. ბსუ საქართველოს ისტორიის კათედრა, საისტორიო მაცნე, 10, ბათუმი.

**ფაღავა, კიკვაძე 2002** – მამია ფაღავა, მათა კიკვაძე, საერთოქართველური ლექსიკიდან სამხრულ კილოებში (კაკალი, კაპრახანა, მეცარი, პაწკი, ტომპოყო, დაღალი). ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, II, ბათუმი.

**ფაღავა 2002(1)** – მამია ფაღავა, უმლაუტი სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, II, ბათუმი.

**ფაღავა 2002(2)** – მამია ფაღავა, რ-ს დაკარგვა სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, III, ბათუმი.

**ფაღავა 2002(3)** – მამია ფაღავა, სამხრული დიალექტების ლექსიკიდან I (ბურძღლა, ბული, წირეხი, წაკატი, ხოკერი, ხორა). ბსუ შრომები, IV, ბათუმი.

**ფაღავა 2003** – სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი.

**ფაღავა 2003(1)** – ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი. ბსუ შრომები, V, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.

**ფაღავა... 2004** – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, ელგუჯა მაკარაძე, ლილე თანდილავა, რევაზ დიასამიძე, ტაოური დიალექტის მასალები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი.

**ფაღავა, მგელაძე 2005** – აჭარა, მაჭახელი, ჭოროხი – ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები, VII, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.

**ფაღავა 2007** – მამია ფაღავა, ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟ. მნათობი, I, თბილისი.

**ფაღავა 2013** – მამია ფაღავა, მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორი.

**ფაღავა 2009** – მამია ფაღავა, -უმ/-ომ სყფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები, XIII, ბათუმი.

**ფაღავა 2009(1)** – კვლავ ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის". ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი.

**ფაღავა, შაშიკაძე 2009** – მამია ფაღავა, ზაზა შაშიკაძე, კულტურათა დიალოგი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში და ქართველთა იდენტობის ზოგიერთი საკითხი. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, I საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი.

**ფაღავა 2011** – მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბილისი.

**ფაღავა 2011(1)** – მამია ფაღავა, ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცე. ჟ. სემიოტიკა, 8, თბილისი.

**ფაღავა 2011(2)** – თანდებული შავშურში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III, თბილისი.

**ფაღავა 2012** – მამია ფაღავა, ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. გამოკვლევა წიგნზე: ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი.

**ფაღავა 2012(1)** – მამია ფაღავა, სამხრული დიალექტების ლექსიკიდან II. II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოლოგიაში, ბათუმი

**ფაღავა, მგელაძე 2012** – მამია ფაღავა, ნუგზარ მგელაძე, ქორი (სახლი, ოხორი) მნიშვნელობისათვის ჭოროხის ხეობის ქართულ მოსახლეობაში. ტაო-კლარჯეთი, II საერთაშორისო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები. თბილისი-ბათუმი.

**ფაღავა 2014** – მამია ფაღავა, კარ'ფუძიანი ტოპონიმები კლარჯეთში. XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თბილისი.

**ფაღავა 2014(1)** – მამია ფაღავა, „ევ კილოს“კვალი სამხრეთ საქართველოში. ჰუმანიტარული მეცნიერებანი ინფორმაციულ საზოგადოებაში, II. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი.

**ფაღავა 2014(2)** – მამია ფაღავა. თემის ნიშანთა მონაცვლეობა კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, IX, ბათუმი.

**ფაღავა 2014(3)** – მამია ფაღავა, გვარ-სახელები კლარჯეთიდან. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, VIII, ბათუმი.

**ფაღავა 2015** – მამია ფაღავა, ქართული ენისა და კულტურის კუნძულები მეთურქულე კლარჯეთში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი.

**ფაღავა 2015(1)** – მამია ფაღავა, სუფიქსური წარმოება შავშეთის ტოპონიმიაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.

**ფაღავა 2015(2)** – მამია ფაღავა, ექსპედიციის დღიურები. აჭარა, წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი.

**ფაღავა 2015(3)** – მამია ფაღავა, ჭოროხის „ქვეყნების“ შესწავლის მდგომარეობა და პერსპექტივები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამსვლელი სხდომა აჭარაში. 2014 წლის 3-5 ივლისი (მასალები), თბილისი.

**ფუტკარაძე 1987** – შუშანა ფუტკარაძე, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა. ადდლ, VI, თბილისი.

**ფუტკარაძე 1990** – მეცხვარეობის ლექსიკისათვის აჭარულში. ადდლ, VII, თბილისი.

**ფუტკარაძე 1993** – შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

**ფუტკარაძე 1993(1)** – შუშანა ფუტკარაძე, ობიექტის პირველი პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებათა შესახებ ლივანურში. XV დიალექტოლოგიური სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

**ფუტკარაძე 1993(2)** – შუშანა ფუტკარაძე, თურქიზმები ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში. ბსუ, IV სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და თეზისები, ბათუმი.

**ფუტკარაძე 1994** – შუშანა ფუტკარაძე, ტაოს ქართული. გაზ. ლიტერატურული საქართველო, №37-38, თბილისი.

**ფუტკარაძე 1994(1)** – შუშანა ფუტკარაძე, კლარჯეთის ქართული. გაზ. ლიტერატურული საქართველო, №40-41, თბილისი.

**ფუტკარაძე 1994(2)** – შუშანა ფუტკარაძე, ლივანური ქართულის თავისებურებანი. ჟ. განთიადი, 2, ქუთაისი.

**ფუტკარაძე 1995(1)** – შუშანა ფუტკარაძე, იმერხევის ქართული. გაზ. ლიტერატურული საქართველო, №3, თბილისი.

**ფუტკარაძე 1995** – შუშანა ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

**ფუტკარაძე 1987** – ტარიელ ფუტკარაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში. ადდლ, VI, თბილისი.

**ფუტკარაძე 2007** – ტარიელ ფუტკარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი. ქუთაისი.

**ქავთარაძე 1964** – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს. I, თბილისი.

**ქამადაძე 1978** – მიხეილ ქამადაძე, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესის შესახებ ზემო აჭარის ტოპონიმიში. სმამ, ტ. 89, №1, თბილისი.

**ქამადაძე 1978(1)** – მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმიის ფონეტიკური თავისებურებების შესახებ. სმამ, ტ. 89, №2, თბილისი.

**ქამადაძე 1978(2)** – მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის ოიკონიმების წარმოების ზოგიერთი საკითხი. სმამ, თ. 90, №1, თბილისი.

**ქამადაძე 1978(3)** – მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის მიკროტოპონიმიის წარმოების ზოგიერთი საკითხი. მაცნე/ე, №1, თბილისი.

**ქამადაძე 1981** – მიხეილ ქამადაძე, სუფიქსური წარმოება ზემო აჭარის ტოპონიმიაში. ადდლ, III, თბილისი.

**ქამადაძე 1983** – მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმის მასალები „დროებასა“ და „ივერიაში“. ადდლ, IV, თბილისი.

**ქამადაძე 1992** – მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. ადდლ, VIII, თბილისი.

**ქამადაძე 1999** – მიხეილ ქამადაძე, აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემებთან მიმართებით (სადოქტორო დისერტაცია), ბათუმი.

**ყაზბეგი 1995** – გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი.

**შავშეთი 2011** – მამია ფალავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შამიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტყარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

**შიოშვილი, მახარაშვილი 2013(1)** – თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, კლარჯული ანდაზები. XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**შიოშვილი, მახარაშვილი 2013** – თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, ჩვენებურთა ხალხური მარგალიტები. ყ. ჭოროხი, №5, ბათუმი.

**ჩოხარაძე 2013** – მალხაზ ჩოხარაძე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები ორდუს პროვინციაში. ბსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის I სამეცნიერ კონფერენცია „მუჰაჯირები“, თეხისები, ბათუმი.

**ჩოხარაძე, ჩოხარაძე 2014** – მალხაზ ჩოხარაძე, თამარ ჩოხარაძე, ქართული ენა თანამედროვე თურქეთში. XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი.

**ჩოხარაძე, ჩოხარაძე, 2014** – მალხაზ ჩოხარაძე, თამარ ჩოხარაძე, ქართული ენა და სოფლები ბურსას პროვინციაში. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, II საერთაშორისო კონფერენციის მასალები, I, ბათუმი.

**ჩოხარაძე, ჩოხარაძე 2015** – მალხაზ ჩოხარაძე, თამარ ჩოხარაძე, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები მარმარილოს ზღვის რეგიონში (ქოჯაელი, საქარია, იალოვა). აჭარა, წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი.

**ცეცხლაძე 2009** – ნანა ცეცხლაძე, ფრაზეოლოგიური სინონიმები სამხრულ მეტყველებაში. ბსუ შრომები, XII, ბათუმი.

**ცეცხლაძე 2009(1)** – ნანა ცეცხლაძე, ფრაზეოლოგიური ვარიანტები იმერხეულში. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში II, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ტ. I, ბათუმი.

**ცეცხლაძე, ახვლედიანი 2009** – ნანა ცეცხლაძე, დიანა ახვლედიანი, ანთროპოტოპონიმთა პარალელური ფორმები სამხრულ კილოებში. ქართველური ონომასტიკა. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-



ტეტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო კვლევის ცენტრი, ტ. IV, თბილისი.

**ცეცხლაძე, კიკვაძე 2010** – ნანა ცეცხლაძე, მაია კიკვაძე, ფრაზეოლოგიური სინონიმების მარკირებისათვის სამხრულში. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ცეცხლაძე, კიკვაძე 2010(1)** – სამხრული ფრაზეოლოგიზმების კვლევის ზოგიერთი ასპექტი. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. 2, თბილისი.

**ცეცხლაძე 2011** – ნანა ცეცხლაძე, სინონიმური პარალელიზმი „ჩვენებურთა“ მეტყველებაში. საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი, ჟ. ინტელექტი, 1 (145), თბილისი.

**ცეცხლაძე 2011(1)** – ნანა ცეცხლაძე, -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა თავისებურებანი კლარჯულში. დიდაჭარობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.

**ცეცხლაძე 2011(2)** – ნანა ცეცხლაძე, კალკური და ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმები ჩვენებურთა მეტყველებაში. XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი.

**ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი 2012** – ნანა ცეცხლაძე, მზია ხახუტაიშვილი, -ავ და -ამ თემის ნიშნის ხმარების თავისებურებანი კლარჯული და ქობულეთური კილოკავის მიხედვით. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ცეცხლაძე 2013** – ნანა ცეცხლაძე, ხატოვანი სიტყვა-თქმები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VII, ბათუმი.

**ცეცხლაძე 2013(1)** – მცირე პარემია „ჩვენებურთა“ მეტყველებაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, „ფილოლოგიური მაცნე“ I, თბილისი.

**ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი 2014** – ნანა ცეცხლაძე, მზია ხახუტაიშვილი, ზმნურ ფორმათა ერთი თავისებურება მუჰაჯირთა მეტყველების მიხედვით. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VIII, ბათუმი.

**ცეცხლაძე 2014** – ნანა ცეცხლაძე, ინვერსიულ ზმნათა თავისებურებანი კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VIII, ბათუმი.

**ცეცხლაძე 2000** – ნუგზარ ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი.

**ცეცხლაძე 2004** – ნუგზარ ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი.

**ცინცაძე, ფაღავა 1998** – მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა, V-XVIII სს. ბათუმი.

**ცინცაძე 1952** – მერი ცინცაძე, დაკვირვებანი ბათუმის მკვიდრთა მეტყველებაზე. საქართველოს სსრ სტუდენტთა IV სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა გეგმა და თეზისები, სტალინირი.

**ცინცაძე 1954** – მერი ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი. ბპი სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი.

**ცინცაძე 1957** – მერი ცინცაძე, აჭარულის მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან. თსუ ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა VIII სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

**ცინცაძე, ფაღავა 1995** – მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, კვლავ არქაიზმების საკითხისათვის აჭარულში. XV დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხასენებათა თეზისები, თბილისი.

**ცინცაძე 1998** – მერი ცინცაძე, აჭარული ტექსტები (ჩაწერილი 1951 წელს კირნათსა და მარადიდში), ქესს, VII, თბილისი.

**ცინცაძე 2002** – მერი ცინცაძე, ტაოს ქართულის ზოგიერთი თავისებურება. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, II, ბათუმი.

**ცინცაძე, ფაღავა 2009** – მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, კლარჯული მასალები. რსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VI, ბათუმი.

**ცინცაძე 2009** – მერი ცინცაძე, ფონეტიკური მოვლენები შავშეთის ქართულ მეტყველებაში. რსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VI, ბათუმი.

**ცინცაძე 2010** – მერი ცინცაძე, პარალელური ფორმები შავშეთის ქართულ მეტყველებაში (ფონეტიკა). XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

**ძიძიგური 1974** – შოთა ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური მასალები, თბ.

**ძიძიგური 1956** – შოთა ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ. თბილისი.

**ძიძიგური 1970** – ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ძიძიგური 1957** – შოთა ძიძიგური, რედაქტორის წინასიტყვაობა, წიგნზე: შ. ნიჭარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი.

**ძიძიგური 1946** – შოთა ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში. იკე, I, თბილისი.

**ჭიჭინაძე 1913** – ზაქარია ჭიჭინაძე, ოსმალის საქართველო, ანუ აღწერა ტაო-კლარჯეთისა, ტფილისი.

**ჭიჭინაძე 1913(1)** – ზაქარია ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, აღწერილი ზაქარია ჭიჭინაძისაგან, ტფილისი.

**ხახუტაიშვილი 2009** – მზია ხახუტაიშვილი, ეროვნული თვით-დამკვიდრების ერთ-ერთი კომპონენტი „დედაბრული ხელი“. ჰუმანი-

ტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, I, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი.

**ხახუტაიშვილი 2009(1)** – მზია ხახუტაიშვილი, პრევერბთა თავისებურებანი ქობულეთურ კილოკავში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. I, თბილისი.

**ხახუტაიშვილი 2009(2)** – მზია ხახუტაიშვილი, ქობულეთური კილოკავის მასალები (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით). რსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VI, ბათუმი.

**ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე 2012** – მზია ხახუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე, -ავ და -ამ თემის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი კლარჯული და ქობულეთური მასალების მიხედვით. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ხახუტაიშვილი 2013** – მზია ხახუტაიშვილი, „ველი მწიგნობრობისად“ აჭარაში. ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიური მაცნე, I, თბილისი.

**ხახუტაიშვილი 2013(1)** – მზია ხახუტაიშვილი, დედაბრულის გრაფიკული თავისებურებანი. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორი.

**ხახუტაიშვილი 2013(2)** – მზია ხახუტაიშვილი, ნაწილაკი ქობულეთურ კილოკავში. რსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, VII, ბათუმი.

**ხახუტაიშვილი 2014** – მზია ხახუტაიშვილი, „დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზი. ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი.

**ხახუტაიშვილი 2014(1)** – მზია ხახუტაიშვილი, ზეპირსიტყვიერების უძველესი ჟანრის ნიმუშები „დედაბრულით“ შესრულებულ ხელნაწერებში. ბსუ ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი, „გამონათლევი“, I, ბათუმი.

**ხახუტაიშვილი 2014(2)** – მზია ხახუტაიშვილი, ერთი გრაფემის ხმარებისათვის „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერში. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, II, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი.

**ხახუტაიშვილი 2014(3)** – მზია ხახუტაიშვილი, თემის ნიშანთა უნიფიკაცია კლარჯულში. XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მოხსენებათა გეგმა და თეზისები. თბილისი-მესტია.

**ხუბუა 1932** – მაკარ ხუბუა, ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა, ბათომი.

**ჯანაშვილი 1913** – მოსე ჯანაშვილი, საინგილო. ძველი საქართველო, ტ. II, ტფილისი.

**ჯანაშია 1959** – სიმონ ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. შრომები, III, თბილისი.

**ჯაფარიძე 1996** – შოთა ჯაფარიძე, ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, თბილისი.

**ჯაფარიძე 1998** – შოთა ჯაფარიძე, ართვინი და ართვინის ოლქი რუსული ქვეყანათმცოდნეობის მასალებში, ბათუმი.

**ჯაჯანიძე 1959** – პოლიევქტ ჯაჯანიძე, აჭარული დიალექტის მორფოლოგიის საკითხები. კპი 23-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, ქუთაისი.

**ჯაჯანიძე 1960** – პოლიევქტ ჯაჯანიძე, აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი. კპი 24-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, ქუთაისი.

**ჯაჯანიძე 1961** – პოლიევქტ ჯაჯანიძე, აჭარულის სალექსიკონო მასალები. კპი შრომები, XXIII, ქუთაისი.

**ჯაჯანიძე 1971** – პოლიევქტ ჯაჯანიძე, გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებაში. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.

**ჯიქია 1958** – სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბილისი.

**ჯორბენაძე 1989** – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

### **Mamia Paghava**

#### **Samkhruli Sub-dialects, State of Study and Research Perspectives**

##### **Summary**

The paper deals with the materials of the Samkhruli sub-dialects of the Georgian language – Adjarian, Shavshian, Klarjian, Tao as well as the state of their study and the research perspectives. The paper is supplied with a vast bibliography. It shows that a lot has been done for the study of the Samkhruli sub-dialects. Today the Georgian academic scholarship faces new problems, the solution of which is the issue of the future.

## მამია ფაღავა, ნანა ცეცხლაძე

შავშური კილო.

ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

შავშური კილო ისტორიული შავშეთის მკვიდრთა მეტყველებაა. იგი გავრცელებულია ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკის ართვინის გუბერნიის (ილი) შავშათის ილჩეში (რაიონში). შავშეთის ნაწილად მივიჩნევთ მაჭახელსაც, რომლის ნაწილი, ზემომაჭახელი, შავშათის ილჩეში შედის, ნაწილიც, ქვემო მაჭახელი, – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის (აჭარის არ) შემადგენლობაშია. 50-მდე სოფელი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მუჰაჯირად წასულ და შიგა მიგრაციით გადასახლებულ შავშებს შეუქმნიათ თურქეთის შიგა პროვინციებში.

შავშეთის ნაწილი დღეს მეთურქულეა, ნაწილიც – მექართულე. ქართული შეინარჩუნეს უმეტესად იმერხეველებმა (20-მდე სოფელი), ასევე უსტამისელებმა, ჩიხისხეველებმა და მთელმა მაჭახელმა.

„პარადიგმების“ შედგენისას გამოვიყენეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრთან (ყოფილი **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**, შემდეგ **ქართველოლოგიის ინსტიტუტი**) არსებული მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის (ხელმძღვანელი პროფესორი მამია ფაღავა) მიერ შეკრებილი შავშური კილოს მასალები, რომელსაც იწერდნენ პროფესორი მერი ცინცამე, პროფესორი თინა შიოშვილი, პროფესორი რამაზ ხალვაში და პროფესორი მამია ფაღავა, ასევე ნიკო მარისა და შუშანა ფუტკარაძის ჩანაწერები. შრომაში გათვალისწინებულია შავშური კილოს შესახებ არსებული სამეცნიერო ნაკვლევები.

„**ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები**“ ვუწოდებ ჩვენს შრომას იმიტომ, რომ, შესაძლებელია, მომავალმა კვლევებმა გამოავლინოს განსხვავებული სახელური და ზმნური ფორმები, რამაც შეიძლება გარკვეულად შეცვალოს დღეს არსებული სურათი.

\* \* \*

**1. სახელის ბრუნება.** შავშურ კილოში ბრუნვის ნიშნების ხმარებისას დასტურდება შემდეგი თავისებურებანი: მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს ბრუნვის ნიშნის სრული, არქაული ვარიანტიც და ნ-მოკვეცილიც: **მან/ მა. მან** გვხვდება თანხმოვანფუძიანებთან, **მა** – ხმოვანფუძიანებთან. გამოკვეთილია ასევე სავრცობი ა-ს გამოყენება.

თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას თვალში საცემია **უკუმშველობა**: წყალის, წყალები, ქმარად, ცხვარის, მგელის, მგელები, სომეხები.

შეკუმშული ფორმები იშვიათია: სტუმრები, მუსლიმნები...

### თანხმოვანფუძიანი ფუძეუკუმშვადი

<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ</b>
სახ. (მ) გელ-ი	(მ)გელ-ებ-ი
მოთხ. (მ) გელ-მან	(მ)გელ-ებ-მან
მიც. (მ) გელ-სა	(მ)გელ-ებ-სა
ნათ. (მ) გელ-ის// (მ) გლ-ის	(მ)გელ-ებ-ის
მოქმ. (მ) გელ-ით// (მ) გლ-ით	(მ)გელ-ებ-ით
ვით. (მ) გელ-ათ// (მ) გლ-ათ	(მ)გელ-ებ-ათ
წოდ. (მ) გელ-ო	(მ)გელ-ებ-ო

<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ</b>
სახ. სოფელ-ი	სოფლ-ებ-ი
მოთხ. სოფელ-მან	სოფლ-ებ-მან
მიც. სოფელ-სა	სოფლ-ებ-სა
ნათ. სოფელ-ის// სოფლის	სოფლ-ებ-ის
მოქმ. სოფელ-ით// სოფლით	სოფლ-ებ-ით
ვით. სოფელ-ათ// სოფლ-ათ	სოფლ-ებ-ათ
წოდ. სოფელ-ო	სოფლ-ებ-ო

### ფუძეუკუმშველი

<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ</b>
სახ. ლექს-ი	ლექს-ებ-ი
მოთხ. ლექს-მან	ლექს-ებ-მან
მიც. ლექს-სა	ლექს-ებ-სა
ნათ. ლექს-ი(ს)	ლექს-ებ-ი(ს)
მოქმ. ლექს-ით	ლექს-ებ-ით
ვით. ლექს-ათ	ლექს-ებ-ათ
წოდ. ლექს-ო	ლექს-ებ-ო

<b>მხ. რ.</b>
სახ. ყურძენ-ი
მოთხ. ყურძენ-მან
მიც. ყურძენ-სა
ნათ. ყურძენ-ის
მოქმ. ყურძენ-ით
ვით. ყურძენ-ათ
წოდ. ყურძენ-ო

თანხმოვანფუძიანი სახელები მეტწილად უკუმშველია, უკუმშველი ფორმები აქა-იქ გვხვდება.

სახ. კაი ქალ-ი
მოთხ. კაი ქალ-მა

მიც. კაი ქალ-ს (ა)

ნათ. კაი ქალ-ის

მოქმ. კაი ქალ-ით

ვით. კაი ქალ-ად

წოდ. კაი ქალ-ო

ხმოვანფუძიანი სახელები

კვეცადი ა ფუძიანი ზოგი სახელი ებიან მრავლობით რიცხვში ორ ე-ს იჩენს: თეები, გზეები, ხოჯეები, ყანეები. ისინი უტოლდებიან ე-ფუძიან სახელებს: დღეები, კილდეები. ასიმილირებულ ფორმებთან ერთად გვხვდება დისიმილირებულიც: თხიები, ქვიები, თიები, ბახჩიები, ხოჯიები.

ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელია

**მხ. რ.**

სახ. თა

მოთხ. თა-მ

მიც. თა-სა

ნათ. თ-ის (ა)

მოქმ. თ-ითა

ვით. თა-თ

წოდ. თა-ვ (ო)

**მრ. რ.**

თე-ებ-ი/თი-ები

თე-ებ-მან/ თი- ებ-მან

თეებ-სა/ თი- ებ-სა

თეებ-ისა/ თიებ-ისა

თე-ებ-ითა/ თი-ებ-ითა

თე-ებ-ათა/თი-ებ-ათა

თე-ებ-ო/თი-ებ-ო

კვეცადი (-ე ფუძიანი)

**მხ. რ.**

სახ. დღე-მ

მოთხ. დღე-მ

მიც. დღე-სა

ნათ. დღე-მს

მოქმ. დღე-მთ

ვით. დღე-დ

წოდ. დღე-ო

**მრ. რ.**

დღე-ებ-ი/ დღიები

დღე-ებ-მან/ დღიებ-მან

დღე-ებ-სა/ დღი-ებ-სა

დღეებ-ის/დღი-ებ-ის

დღეებ-ით/ დღიებ-ით

დღეებ-ათ/დღიებ-ათ

დღეებ-ო/ დღიებ-ო

**მხ. რ.**

სახ. მამა-მ

მოთხ. მამა-მა

მიც. მამა-სა

ნათ. მამ-ის

მოქმ. მამ-ით

ვით. მამა-თ

წოდ. მამა-ვ

**მრ. რ.**

მამი-ებ-ი

მამი-ებ-მან

მამი-ებ-სა

მამი-ებ-ის

მამი-ებ-ით

მამი-ებ-ათ

მამი-ებ-ო

**მხ. რ.**

სახ. ნალია-მ

მოთხ. ნალია-მა

მიც. ნალია-სა

ნათ. ნალია-მს

მოქმ. ნალია-მთ

**მრ. რ.**

ნალი-ებ-ი

ნალი-ებ-მან

ნალი-ებ-სა

ნალი-ებ-ისა

ნალი-ებ-ითა

ვით. ნალია-დ	ნალი-ებ-ათა
წოდ. ნალია-ვ	ნალი-ებ-ო

უკვეცელი (-ო ფუძიანი)

**მხ. რ. მრ. რ.**

სახ. კალო	ღვინო
მოთხ. კალო-მა	ღვინო-მა
მიც. კალო-სა	ღვინო-სა
ნათ. კალო-სი	ღვინო-ის
მოქმ. კალო-თ (ი)	ღვინო-ით
ვით. კალო-თ	ღვინო-თ
წოდ. კალო-ებ-ო	ღვინო-ვ

უკვეცელი (-უ ფუძიანი)

**მხ. რ. მრ. რ.**

სახ. ბუ-დ	ბუ-ებ-ი
მოთხ. ბუ-მა	ბუ-ებ-მან
მიც. ბუ-სა	ბუ-ებ (ს)
ნათ. ბუ-დს	ბუ-ებ-ის
მოქმ. ბუ-დთ	ბუ-ებ-ით
ვით. ბუ-თ	ბუ-ებ-ათ
წოდ. ბუ-ვ	ბუ-ებ-ო

**კუმშვად-კვეცადი სახელებია ლახანა – ლახნის, ბახალა – ბახლის, ბაღანა – ბაღნის**

მხ. რ.	მრ. რ.	
სახ. ქვეყანა	ქვეყნ-ებ-ი	ლახანა
მოთხ. ქვეყანა-მა	ქვეყნ-ებ-მან	ლახანა -მა
მიც. ქვეყანა-სა	ქვეყნ-ებ-სა	ლახანა-სა
ნათ. ქვეყნ-ის	ქვეყნ-ებ-ის	ლახნ-ის
მოქმ. ქვეყნ-ით	ქვეყნ-ებ-ით	ლახნ-ით
ვით. ქვეყნ-ათ	ქვეყნ-ებ-ათ	ლახნ-ად
წოდ. ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო	ლახანავ

**საკუთარი სახელები**

**თანზმოვანფუძიანი**

**უკუმშველობა კარგად ჩანს სიტყვებში სომეხები, სომეხეთი**

სახ. სომეხეთ-ი	კახაბერ-ი
მოთხ. სომეხეთ- მან	კახაბერ-მან
მიც. სომეხეთ-სა	კახაბერ-სა
ნათ. სომეხეთ-ის	კახაბერ-ის
მოქმ. სომეხეთ-ით	კახაბერ-ით
ვით. სომეხეთ-ათ	კახაბერ-ათ
წოდ. სომეხეთ-ო	კახაბერ-ო



ხმოვანფუძიანი

სახ. ბორჩხა

მოთხ. ბორჩხა-მა

მიც. ბორჩხა-სა

ნათ. ბორჩხა-ის

მოქმ. ბორჩხა-ით

ვით. ბორჩხა-თ

წოდ. ბორჩხა-ვ

მსაზღვრელ-საზღვრული

სახ. ჩემ შვილ-ი ჩემ შვილ-ებ-ი

მოთხ. ჩემ შვილ-მან ჩემ შვილ-ებ-მან

მიც. ჩემ შვილ-სა ჩემ შვილ-ებ-სა

ნათ. ჩემ შვილ-ის ჩემ შვილ-ებ-ის

მოქმ. ჩემ შვილ-ით ჩემ შვილ-ებ-ით

ვით. ჩემ შვილ-ათ ჩემ შვილ-ებ-ათ

წოდ. ჩემ-ო შვილ-ო ჩემ-ო შვილ-ებ-ო

ჩემ ბაბოი დეესახლა (ბაზგ.); ჩემ პაწაი გოგო მეზნევა (ბრ.); ჩემ სიძემ მოძებნა (მაჩხ.); ჩვენ ჩოზნებმა დემიძახეს (ჩაქ.).

**მხ.რ**

**მრ. რ**

სახ. ფრიალო კილდე ფრიალო კილდი-ებ-ი

მოთხ. ფრიალო კილდე-მან ფრიალო კილდი-ებ-მან

მიც. ფრიალო კილდე-სა ფრიალო კილდი-ებ-სა

ნათ. ფრიალო კილდ-ის ფრიალო კილდი-ებ-ის

მოქმ. ფრიალო კილდ-ით ფრიალო კილდი-ებ-ით

ვით. ფრიალო კილდე-თ ფრიალო კილდი-ებ-ათ

წოდ. ფრიალო კილდე-ვ ფრიალო კილდი-ებ-ო

მხ.რ

სახ. ჩემ- ძმა-ე ჩემ ქალაქ-ი

მოთხ. ჩემ ძმა-მა ჩემ ქალაქ-მან

მიც. ჩემ ძმა-სა ჩემ ქალაქ-სა (ში)

ნათ. ჩემ ძმ-ის ჩემ ქალაქ-ის

მოქმ. ჩემ ძმ-ით ჩემ ქალაქ-ით

ვით. ჩემ ძმა-თ ჩემ ქალაქ-ათ

წოდ. ჩემ-ო ძმა-ო ჩემ-ო ქალაქ-ო

**მხ. რ.**

სახ. ერთი დაია

მოთხ. ერთ დაია-მ

მიც. ერთ დაია-სა

ნათ. ერთ დაიასი

მოქმ. ერთი დაია- თ(ი)

ვით. ერთი დაია-თ

წოდ. ერთ-ო დაია- ვ

**მართული მსაზღვრელი**

სახ. მგელი(ს) ლეკვი	ხეს სახლ-ი
მოთხ. მგელი(ს) ლეკვმან	ხეს სახლ-მა
მიც. მგელი(ს) ლეკვსა	ხეს სახლ-სა
ნათ. მგელი(ს) ლეკვის	ხეს სახლ-ის
მოქმ. მგელი(ს) ლეკვით	ხეს სახლ-ით
ვით. მგელი(ს) ლეკვათ	ხეს სახლ-ათ
წოდ. მგელი(ს) ლეკვო	ხეს სახლ-ო

შავშურ კილოში დასტურდება ისა, ეგა/ მეგა ნაცვალსახელები, მრავლობითში გვაქვს: ესანი, ისენი;

**2. უღლება**

I სერია

1. აწმყო – რას ვიჯები?
2. უწყვეტელი – რას ვიჯებოდი?
3. აწმყოს კავშირებითი – რას ვიჯებოდე?
4. მყოფადი – რას ვიზამ?
5. ხოლმეობით- შედეგობითი - რას ვიზამდი?
6. მყოფადის კავშირებითი – რას ვიზამდე?

II სერია

- 7 წყვეტილი – რა ვქენე?
8. II კავშირებითი – რა ვქნა?

III სერია

9. I თურმეობითი – რა მიქნია?
10. II თურმეობითი – რა მექნა?
11. III კავშირებითი – რა მექნას?

**ერთთემიანი ზმნები**

უღლება I სერია

**აწმყო**

- |            |         |
|------------|---------|
| 1. ვწერავ  | ვწერავთ |
| 2. სწერავ  | სწერავთ |
| 3. სწერავს | სწერვენ |

**უწყვეტელი**

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1. ვწერევდი | ვწერევდით |
| 2. სწერევდი | სწერევდით |
| 3. სწერევდა | სწერევდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

- |              |           |
|--------------|-----------|
| 1. ვწერევდე  | ვწერავდეთ |
| 2. სწერევდე  | სწერევდეთ |
| 3. სწერევდეს | სწერევდენ |

**მყოფადი**

- |              |           |
|--------------|-----------|
| 1. დავწერავ  | დავწერავთ |
| 2. დასწერავ  | დასწერავთ |
| 3. დასწერავს | დასწერვენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

- |               |             |
|---------------|-------------|
| 1. დავწერევდი | დავწერევდით |
| 2. დასწერევდი | დასწერევდით |
| 3. დასწერევდა | დასწერევდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

- |                |             |
|----------------|-------------|
| 1. დავწერევდე  | დავწერევდეთ |
| 2. დასწერევდე  | დასწერევდეთ |
| 3. დასწერევდეს | დასწერევდენ |

**II სერია – წყვეტილი**

- |              |            |
|--------------|------------|
| 1. დავწერევი | დავწერევით |
| 2. დასწერევი | დასწერევით |
| 3. დასწერა   | დასწერენ   |

**II კავშირებითი**

- |             |          |
|-------------|----------|
| 1. დავწერო  | დავწერო; |
| 2. დასწერო  | დასწეროთ |
| 3. დასწეროს | დასწერონ |

**III სერია****I თურმეობითი**

- |              |             |
|--------------|-------------|
| 1. დიმიწერია | დიგვიწერია  |
| 2. დიგიწერია | დიგიწერავან |
| 3. დუუწერია  | დუუწერავან  |

**II თურმეობითი**

- |             |                       |
|-------------|-----------------------|
| 1. დემეწერა | დემეწერეს/ დეგვეწერეს |
| 2. დეგეწერა | დეგეწერეს             |
| 3. დეეწერა  | დეეწერენ              |

**III კავშირებითი**

- |              |                       |
|--------------|-----------------------|
| 1. დემეწეროს | დემეწეროს/ დეგვეწეროს |
| 2. დეგეწეროს | დეგეწერონ             |
| 3. დეეწეროს  | დეეწერონ              |

**I სერია****აწმყო**

- |            |         |
|------------|---------|
| 1. ვჭამავ  | ვჭამავთ |
| 2. სჭამავ  | სჭამავთ |
| 3. სჭამავს | ჭამვენ  |

**უწყვეტილი**

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1. ვჭამავდი | ვჭამავდით |
| 2. სჭამავდი | სჭამავდით |

3. სჭამავდა	სჭამავდენ
<b>აწმყოს კავშირებითი</b>	
1. ვჭამავდე	ვჭამავდეთ
2. სჭამავდე	სჭამავდეთ
3. სჭამავდეს	სჭამავდენ
<b>მყოფადი</b>	
1. შევჭამავ	შევჭამავთ
2. შესჭამავ	შესჭამავთ
3. შესჭამავს	შესჭამვენ
<b>ბოლმეობით-შედევობითი</b>	
1. შევჭამავდი	შევჭამავდით
2. შესჭამავდი	შესჭამავდით
3. შესჭამავდა	შესჭამავდენ
<b>მყოფადის კავშირებითი</b>	
1. შევჭამავდე	შევჭამავდეთ
2. შესჭამავდე	შესჭამავდეთ
3. შესჭამავდა	შესჭამავდენ
<b>II სერია</b>	
<b>წყვეტილი</b>	
1. შევჭამევი	შევჭამევით
2. შესჭამევი	შესჭამევით
3. შესჭამა	შესჭამენ
<b>II კავშირებითი</b>	
1. შევჭამო	შევჭამოთ
2. შესჭამო	შესჭამოთ
3. შესჭამოს	შესჭამონ
<b>III სერია</b>	
<b>I თურმეობითი</b>	
1. შიმიჭმია	შიმიჭმია// შიგვიჭმია
2. შიგიჭმია	შიგიჭმიან
3. შულუჭმია	შულუჭმიან
<b>II თურმეობითი</b>	
1. შემეჭამა	შემეჭამა//შეგვეჭამა
2. შეგეჭამა	შეგეჭამენ
3. შიეჭამა	შიეჭამენ
<b>III კავშირებითი</b>	
1. შემეჭამოს	შემეჭამეს// შეგვეჭამა
2. შეგეჭამოს	შეგეჭამონ
3. შიეჭამოს	შიეჭამონ
<b>I სერია -ი თემის ნიშნაანი (ყიდავს)</b>	
<b>აწმყო</b>	
1. ვყიდავ	ვყიდავთ

2. ყიდავ	ყიდავს
3. ყიდავს	ყიდავენ
<b>უწყვეტილი</b>	
1. ვყიდავდი	ვყიდავდით
2. ყიდავდი	ყიდავდით
3. ყიდავდა	ყიდავდენ
<b>აწმყოს კავშირებითი</b>	
1. ვყიდავდე	ვყიდავდეთ
2. ყიდავდე	ყიდავდეთ
3. ყიდავდეს	ყიდავდენ
<b>მყოფადი</b>	
1. გავყიდავ	გავყიდავ
2. გაყიდავ/გაყიდებ	გაყიდავთ/გაყიდებთ
3. გაყიდავს/გაყიდებს	გაყიდავდენ/გაყიდებდენ
<b>ხოლმეობით-შედეგობითი</b>	
1. გავყიდავდი	გავყიდავდით
2. გაყიდავდი	გაყიდავდით
3. გაყიდავდა	გაყიდავდენ
<b>მყოფადის კავშირებითი</b>	
1. გავყიდევდე	გავყიდევდეთ
2. გაყიდევდე	გაყიდევდეთ
3. გაყიდევდეს	გაყიდევდენ
<b>II სერია</b>	
<b>წყვეტილი</b>	
1. გავყიდევვი	გავყიდევვით
2. გაყიდევვი	გაყიდევვით
3. გაყიდა	გაყიდეს//ნ
<b>II კავშირებითი</b>	
1. გავყიდლო	გავყიდლოთ
2. გაყიდლო	გაყიდლოთ
3. გაყიდლოს	გაყიდლონ
<b>III სერია</b>	
<b>I თურმეობითი</b>	
1. გომიყიდა	გომიყიდა/ გომიყიდა
2. გომიყიდა	გომიყიდან
3. გუყიდა	გუყიდან
<b>II თურმეობითი</b>	
1. გემყიდა	გემყიდა/ გემყიდა
2. გემყიდა	გემყიდან
3. გემყიდა	გემყიდან
<b>III კავშირებითი</b>	
1. გემყიდოს	გემყიდოს/გემყიდოს
2. გემყიდოს	გემყიდოს
3. გემყიდოს	გემყიდონ

-ავ თემის ნიშნიანი ზმნები უწყვეტელსა და მასზე დამყარებულ მწკრივებში -ევ თემას ავლენენ, ვიდ- მიდიანი ფორმები იშვიათია (ლევ-წევდა, ბრუნევდა, დათესევდენ). შავშურში ავ თემის ნიშანი დაერთვის ფუძედრეკად ზმნებასაც: ზილავს, დახრისავთ, ამათ გვერდით გვაქვს სწორი ფორმებიც: ზელს

### I სერია

#### აწმყო

1.ვხნავ	ვხნავთ
2.ხნავ	ხნავთ
3.ხნავს	ხვნენ

#### უწყვეტელი

1.ვხნევდი	ვხნევდით
2.ხნევდი	ხნევდით
3.ხნევდა	ხნევდენ

#### აწმყოს კავშირებითი

1.ვხნევდე	ვხნევდეთ
2.ხნევდე	ხნევდეთ
3.ხნევდეს	ხნევდენ

#### მყოფადი

1.დავხნავ	დავხნავთ
2.დახნავ	დახნავთ
3.დახნავს	დახვნენ

#### ბოლმეობით-შედევობითი

1.დავხნევდი	დავხნევდით
2.დახნევდი	დახნევდით
3.დახნევდა	დახნევდენ

#### მყოფადის კავშირებითი

1.დავხნევდე	დავხნევდეთ
2.დახნევდე	დახნევდეთ
3.დახნევდეს	დახნევდენ

### II სერია

#### წყვეტილი

1.დავხან	დავხანთ
2.დახან	დახანთ
3.დახნა	დახნეს

#### II კავშირებითი

1.დავხნა	დავხნათ
2.დახნა	დახნათ
3.დახნას	დახნან

### III სერია

#### I თურმეობითი

1.დიმიხნია	დიმიხნავან// დიგვიხნავან
2.დიგიხნია	დიგიხნავან
3.დუუხნია	დუუხნავან

**II თურმეობითი**

- |           |                    |
|-----------|--------------------|
| 1.დემეხნა | დემეხნა // დეგეხნა |
| 2.დეგეხნა | დეგეხნენ           |
| 3.დეეხნას | დეეხნენ            |

**III კავშირებითი**

- |            |                      |
|------------|----------------------|
| 1.დემეხნას | დემეხნას // დეგეხნას |
| 2.დეგეხნას | დეგეხნას             |
| 3.დეეხნას  | დეეხნას              |

ავ თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან და ი, ავ, ებ თემისნიშნთან ზმნებსაც:

0/ი/ ებ/ ამ // ავ გააცხელავს, დაამზადავს, დუშმახავს, დეიყვირავს, უმახავთ, უყარავს, აჭრავს, ყიდავს, გავთალავთ (შესაბამისად, მოვჭრევ-დით, წერევდა, ჩეიცვემდა, წერევდა, მოხნევდა...).

I სერია

**აწმყო**

- |           |          |
|-----------|----------|
| 1.ვხკონავ | ვხკონავთ |
| 2.ხკონავ  | ხკონავთ  |
| 3.ხკონავს | ხკონვენ  |

**უწყვეტილი**

- |             |            |
|-------------|------------|
| 1.ვხკონევდი | ვხკონევდით |
| 2.ხკონევდი  | ხკონევდით  |
| 3.ხკონევდა  | ხკონევდენ  |

**აწმყოს კავშირებითი**

- |             |            |
|-------------|------------|
| 1.ვხკონევდე | ვხკონევდეთ |
| 2.ხკონევდე  | ხკონევდეთ  |
| 3.ხკონევდეს | ხკონევდენ  |

**მყოფადი**

- |             |            |
|-------------|------------|
| 1.შევხკონავ | შევხკონავთ |
| 2.შეხკონავ  | შეხკონავთ  |
| 3.შეხკონავს | შეხკონავენ |

**ხოლმეობით-შედევობითი**

- |               |              |
|---------------|--------------|
| 1.შევხკონევდი | შევხკონევდით |
| 2.შეხკონევდი  | შეხკონევდით  |
| 3.შეხკონევდა  | შეხკონევდენ  |

**მყოფადის კავშირებითი**

- |               |              |
|---------------|--------------|
| 1.შევხკონევდე | შევხკონევდეთ |
| 2.შეხკონევდე  | შეხკონევდეთ  |
| 3.შეხკონევდა  | შეხკონევდენ  |

II სერია

**წყვეტილი**

- |              |            |
|--------------|------------|
| 1.შევხკონევი | შევხკონევთ |
| 2.შეხკონევი  | შეხკონევით |
| 3.შეხკონა    | შეხკონენ   |

**II კავშირებითი**

- |            |           |
|------------|-----------|
| 1.შევხკონო | შევხკონოთ |
|------------|-----------|

- |            |          |
|------------|----------|
| 2.შეხკონო  | შეხკონოთ |
| 3.შეხკონოს | შეხკონონ |

**III სერია****I თურმეობითი**

- |             |                         |
|-------------|-------------------------|
| 1.შიმიკონია | შიგვიკონია // შიმიკონია |
| 2.შიგიკონია | შიგიკონავან             |
| 3.შუუკონია  | შუუკონავან              |

**II თურმეობითი**

- |            |                       |
|------------|-----------------------|
| 1.შემეკონა | შეგვეკონა // შემეკონა |
| 2.შეგეკონა | შეგეკონენ             |
| 3.შეეკონა  | შეეკონენ              |

**III კავშირებითი**

- |             |                         |
|-------------|-------------------------|
| 1.შემეკონოს | შეგვეკონოს // შემეკონოს |
| 2.შეგეკონოს | შეგეკონოს//ნ            |
| 3.შიეკონოს  | შიეკონონ                |

**ავ თემისნიშნაიანი ზოგი ზმნა ი თემის ნიშანს დაირთავს მოხნის,**

**მოკლის, უკრის****აწმყო**

- |           |                  |
|-----------|------------------|
| 1. ვუკრავ | ვუკრავთ / ვუკრით |
| 2. უკრავ  | უკრავთ           |
| 3. უკრავს | უკრავენ / უკრენ  |

**უწყვებელი**

- |                      |                      |
|----------------------|----------------------|
| 1.ვუკრევდი / ვუკრიდი | ვუკრევდით / ვუკრიდით |
| 2.უკრევდი / უკრიდი   | უკრევდით / უკრიდით   |
| 3.უკრევდა / უკრიდა   | უკრევდენ / უკრიდენ   |

**აწმყოს კავშირებითი**

- |                      |                      |
|----------------------|----------------------|
| 1.ვუკრევდე / ვუკრიდე | ვუკრევდეთ / ვუკრიდეთ |
| 2.უკრევდე / უკრიდე   | უკრევდეთ / უკრიდეთ   |
| 3.უკრევდეს / უკრიდეს | უკრევდენ / უკრიდენ   |

**წყვებელი**

- |           |         |
|-----------|---------|
| 1. დუუკარ | დუუკართ |
| 2. დუუკარ | დუუკართ |
| 3. დუუკრა | დუუკრენ |

**II კავშირებითი**

- |           |         |
|-----------|---------|
| 1.დუუკრა  | დუუკრათ |
| 2.დუუკრა  | დუუკრათ |
| 3.დუუკრას | დუუკრან |

**III სერია****I თურმეობითი**

- |            |                       |
|------------|-----------------------|
| 1.დიმიკრია | დიგვიკრია // დიმიკრია |
| 2.დიგიკრია | დიგიკრვან             |
| 3.დუუკრია  | დუუკრვან              |

**II თურმეობითი**

- |           |                     |
|-----------|---------------------|
| 1.დემეკრა | დეგვეკრა // დემეკრა |
| 2.დეგეკრა | დეგეკრენ            |



3.დეეკრას	დეეკრან
<b>III კავშირებითი</b>	
1.დეემეკრას	დეევეკრას // დემეკრას
2.დეგეკრას	დეგეკრენ
3.დეეკრას	დეეკრან
<b>I სერია</b>	
-ამ თემის ნიშნიანი ზოგი ზმნა ავლენს ავ თემის ნიშანს ( <b>მიარ-თვავს, ურტყავს</b> ). მათ გვერდით გვაქვს ფორმები: მიართუმენ	
<b>აწმყო</b>	
1. ვასხამ//ავ	ვასხამ
2. ასხამ	ასხამთ
3. ასხამს	ასხამენ
<b>უწყვეტელი</b>	
1. ვასხემდი	ვასხემდით
2. ასხემდი	ასხემდით
3. ასხემდა	ასხემდენ
<b>აწმყოს კავშირებითი</b>	
1.ვასხემდე	ვასხემდეთ
2.ასხემდე	ასხემდეთ
3. ასხემდეს	ასხემდენ
<b>მყოფადი</b>	
1. დავასხამ	დავასხამთ
2. დაასხამ	დაასხამთ
3. დაასხამს	დაასხამენ
<b>ხოლმეობით-შედეგობითი</b>	
1.დავასხემდი	დავასხემდით
2.დაასხემდი	დაასხემდით
3.დაასხემდა	დაასხემდენ
<b>მყოფადის კავშირებითი</b>	
1.დავასხემდე	დავასხემდეთ
2.დაასხემდე	დაასხემდეთ
3.დაასხემდეს	დაასხემდენ
<b>II სერია</b>	
<b>წყვეტილი</b>	
1.დავასხი	დავასხით
2.დაასხი	დაასხით
3.დაასხა	დაასხეს
<b>II კავშირებითი</b>	
1.დავასხა	დავასხათ
2. დაასხა	დაასხათ
3. დაასხას	დაასხან
<b>III სერია</b>	
<b>I თურმეობითი</b>	
1.დიმისხმია	დიგვისხმან
2.დიგისხმია	დიგისხმან
3.დუუსხმია	დუუსხმან

**II თურმეობითი**

- |           |          |
|-----------|----------|
| 1.დემესხა | დეგვესხა |
| 2.დეგესხა | დეგესხან |
| 3.დეესხას | დეესხან  |

**III კავშირებითი**

- |            |           |
|------------|-----------|
| 1.დემესხას | დეგვესხას |
| 2.დეგესხას | დეგესხან  |
| 3.დეესხას  | დეესხან   |

**აწმყო**

- |                  |                 |
|------------------|-----------------|
| 1. ვსვამ//ვსუემ  | ვსვამთ//ვსუემთ; |
| 2. სვამ// სუემ   | სვამთ//სუემთ    |
| 3. სვამს// სუემს | სვამენ//სმენ    |

**უწყვეტილი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. ვსვემდი | ვსვემდით |
| 2. სვემდი  | სვემდით  |
| 3. სვემდა  | სვემდენ  |

**აწმყოს კავშირებითი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. ვსვემდე | ვსვემდეთ |
| 2. სვემდე  | სვემდეთ  |
| 3.სვემდეს  | სვემდენ  |

**მყოფადი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. შევსვამ | შევსვამთ |
| 2. შესვამ  | შესვამთ  |
| 3. შესვამს | შესმენ   |

**ხოლმეობით- შედეგობითი**

- |              |            |
|--------------|------------|
| 1. შევსვემდი | შევსვემდით |
| 2. შესვემდი  | შესვემდით  |
| 3. შესვემდა  | შესვემდენ  |

**მყოფადის კავშირებითი**

- |              |            |
|--------------|------------|
| 1. შევსვემდე | შევსვემდეთ |
| 2. შესვემდე  | შესვემდეთ  |
| 3. შესვემდეს | შესვემდენ  |

**II სერია****წყვეტილი**

- |          |         |
|----------|---------|
| 1.შევსვი | შევსვით |
| 2.შესვი  | შესვით  |
| 3.შესვა  | შესვენ  |

**II კავშირებითი**

- |          |         |
|----------|---------|
| 1.შევსვა | შევსვათ |
| 2.შესვა  | შესვათ  |
| 3.შესვა  | შესვან  |

**III სერია****I თურმეობითი**

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1.შიმისმია  | შიგვისმან |
| 2.შიგისხმია | შიგისმიან |

3. შუუსმია შუუსმან

## II თურმეობითი

1. შემესვა შეგვესვა

2. შეგესვა შეგესვან

3. შეესვას შეესვან

## III კავშირებითი

1. შემესვას შეგვესვას

2. შეგესვას შეგესვან

3. შეესვას შეესვან

## I სერია -ებ თემის ნიშნისანი ზმნები ზოგჯერ დაირთავს ავ-ს

ავ დაერთვის ფუძედრეკად ზმნებსაც: მოკვრეფავ, დავხრესავ

დასტურდება სხვა თემის ნიშანთა მონაცვლეობაც, მაგ.:

ი/ ობ მღერობენ

ი/0 მოვსწველთ

ებ/ ობ- წაავლებს/ წაავლობს, აანთებს/ აანთობს, ასწრებს/ ასწრობს

ებ//0 დუუძახ, შეინახ...

## აწმყო

1. ვანთობ ვანთობთ

2. ანთობ ანთობთ

3. ანთობს ანთობენ

## უწყვეტილი

1. ვანთობდი ვანთობდით

2. ანთობდი ანთობდით

3. ანთობდა ანთობდენ

## აწმყოს კავშირებითი

1. ვანთობდე ვანთობდეთ

2. ანთობდე ანთობდეთ

3. ანთობდე ანთობდენ

## მყოფადი

1. გავანთობ გავანთობთ

2. გაანთობ გაანთობთ

3. გაანთობს გაანთობენ

## ხოლმეობით-შედეგობითი

1. გავანთობდი გავანთობდით

2. გაანთობდი გაანთობდით

3. გაანთობდა გაანთობდენ

## მყოფადის კავშირებითი

1. გავანთობდე გავანთობდეთ

2. გაანთობდე გაანთობდეთ

3. გაანთობდეს გაანთობდენ

## II სერია

## წყვეტილი

1. გავანთევი გავანთევით

2. გაანთევი გაანთევით

3. გაანთო გაანთენ

**II კავშირებითი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. გავანთო | გავანთოთ |
| 2. გაანთო  | გაანთოთ  |
| 3. გაანთოს | გაანთონ  |

**III სერია****I თურმეობითი**

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1. გომინთია | გიგვინთია |
| 2. გიგინთია | გიგინთიან |
| 3. გუუნთია  | გუუნთიან  |

**II თურმეობითი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. გემენტო | გეგვენთო |
| 2. გეგენტო | გეგენტენ |
| 3. გეენტო  | გეენტენ  |

**III კავშირებითი**

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1. გემენტოს | გეგვენთოს |
| 2. გეგენტოს | გეგენტონ  |
| 3. გეენტოს  | გეენტონ   |

**I სერია სტატიკური ზმნა****აწმყო**

- |           |         |
|-----------|---------|
| 1. მაცვია | გვაცვია |
| 2. გაცვია | გაცვიან |
| 3. აცვია  | აცვიან  |

**უწყვეტილი**

- |             |                       |
|-------------|-----------------------|
| 1. მაცვიოდა | გვაცვიოდა/ გვაცვიოდენ |
| 2. გაცვიოდა | გაცვიოდენ             |
| 3. აცვიოდა  | აცვიოდენ              |

**აწმყოს კავშირებითი**

- |              |                        |
|--------------|------------------------|
| 1. მაცვიოდეს | გვაცვიოდეს/ გვაცვიოდენ |
| 2. გაცვიოდეს | გაცვიოდეს/ენ           |
| 3. აცვიოდეს  | აცვიოდეს/ენ            |

**II სერია****წყვეტილი****I თურმეობითი**

- |          |        |
|----------|--------|
| 1. მცმია | გვცმია |
| 2. გცმია | გცმიათ |
| 3. სცმია | სცმიათ |

**II თურმეობითი**

- |           |          |
|-----------|----------|
| 1. მცმოდა | გვცმოდენ |
| 2. გცმოდა | გცმოდენ  |
| 3. სცმოდა | სცმოდენ  |

**III კავშირებითი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. მცმოდეს | გვცმოდეს |
| 2. გცმოდეს | გცმოდენ  |
| 3. სცმოდეს | სცმოდენ  |

**აწმყო**

- |           |         |
|-----------|---------|
| 1. ვდგები | ვდგებით |
| 2. დგები  | დგებით  |
| 3. დგება  | დგებიან |

**მყოფადი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. ავდგები | ავდგებით |
| 2. ადგები  | ადგებით  |
| 3. ადგება  | ადგებიან |

**უწვებელი**

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1. ვდგებოდი | ვდგებოდით |
| 2. დგებოდი  | დგებოდით  |
| 3. დგებოდა  | დგებოდნენ |

**აწმყოს კავშირებითი**

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1. ვდგებოდე | ვდგებოდეთ |
| 2. დგებოდე  | დგებოდეთ  |
| 3. დგებოდეს | დგებოდნენ |

**II სერია****წვებელი**

- |          |         |
|----------|---------|
| 1. ავდექ | ავდექით |
| 2. ადექ  | ადექით  |
| 3. ადგა  | ადგნენ  |

**II კავშირებითი**

- |          |        |
|----------|--------|
| 1. ავდგე | ავდგეთ |
| 2. ადგე  | ადგეთ  |
| 3. ადგეს | ადგენ  |

**I თურმეობითი**

- |               |             |
|---------------|-------------|
| 1. ავმდგარვარ | ავმდგარვართ |
| 2. ამდგარხარ  | ამდგარხართ  |
| 3. ამდგარა    | ამდგარან    |

**II თურმეობითი**

- |                 |               |
|-----------------|---------------|
| 1. ავმდგარვიყავ | ავმდგარვიყავთ |
| 2. ამდგარიყავ   | ამდგარიყავთ   |
| 3. ამდგარიყო    | ამდგარიყვენ   |

**III კავშირებითი**

- |                |              |
|----------------|--------------|
| 1. ავმდგარვიყო | ავმდგარვიყოთ |
| 2. ამდგარიყო   | ამდგარიყოთ   |
| 3. ამდგარიყოს  | ამდგარიყონ   |

**I სერია****აწმყო**

- |          |        |
|----------|--------|
| 1. მქვია | გვქვია |
| 2. გქვია | გქვია  |
| 3. ქვია  | ქვია   |

**მყოფადი**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. მექვება | გვექვება |
| 2. გექვება | გექვება  |

3. ექვება ექვებან

## II სერია

### წყვილი

1. მერქვა გვერქვა

2. გერქვა გერქვან

3. ერქვა ერქვან

### II კავშირებითი

1. მერქვას//მექვიოს გვერქვას//გვექვიოს

2. გერქვას//გექვიოს გერქვან//გექვიონ

3. ერქვას//ექვიოს ერქვან//ექვიონ

### I თურმეობითი

1. მქვებია გვქვებია

2. გქვებია გქვებიან

3. ქვებია ქვებიან

### II კავშირებითი

1. მქვებოდა გვქვებოდა

2. გქვებოდა გქვებოდენ

3. ქვებოდა ქვებოდენ

### III კავშირებითი

1. მქვებიყოს გვქვებიყოს

2. გქვებიყოს გქვებიყონ

3. ქვებიყოს ქვებიყონ

I სერია

### აწყო

1. მინდა გვინდა

2. გინდა გინდანან

3. უნდა უნდანან

### უწყვიტელი

1. მინდოდა გვინდოდა

2. გინდოდა გინდოდენ

3. უნდოდა უნდოდენ

### აწმყოს კავშირებითი

1. მინდოდეს გვინდოდეს

2. გინდოდეს გინდოდენ

3. უნდოდეს უნდოდენ

### მყოფადი

1. მამინდება მაგვინდება

2. მაგინდება მაგინდებიან

3. მუუნდება მუუნდებიან

### ხოლმეობით-შედეგობითი

1. მამინდებოდა მაგვინდებოდენ

2. მაგინდებოდა მაგინდებოდენ

3. მუუნდებოდა მუუნდებოდენ

### მყოფადის კავშირებითი

1. მამინდებოდეს მაგვინდებოდეს

2. მაგინდებოდეს მაგინდებოდენ

3. მუუნდებოდეს მუუნდებოდენ

II სერია

### წყვეტილი

1. მამინდა მაგვინდა

2. მაგინდა მაგინდენ

3. მაუნდა მაუნდენ

### II კავშირებითი

1. მამინდეს მაგვინდეს

2. მაგინდეს მაგინდენ

3. მაუნდეს მაუნდენ

### I თურმეობითი

1. მამნდომებია მაგვნდომებია

2. მაგნდომებია მაგნდომებიან

3. მანდომებია მანდომებიან

### II თურმეობითი

1. მამნდომებოდა მაგნდომებოდეს

2. მაგნდომებოდა მაგნდომებოდენ

3. მანდომებოდეს მანდომებოდენ

### III კავშირებითი

1. მამნდომებოდეს მაგნდომებოდეს

2. მაგნდომებოდეს მაგნდომებოდეს//ენ

3. მანდომებოდეს მანდომებოდენ

### აწმყო

1. მაქ გვაქ

2. გაქ გაქვან

3. აქ აქვან

### უწყვეტილი

1. მქონდა (მქონდენ) გვქონდა

2. ქქონდა ქქონდენ

3. ხქონდა ხქონდენ

### აწმყოს კავშირებითი

1. მქონდეს გვქონდეს

2. გქონდეს გქონდენ

3. ხქონდეს ხქონდენ

### მყოფადი

1. მექნება გვექნება

2. გექნება გექნებიან

3. ექნება ექნებიან

### ხოლმეობით-შედეგობითი

1. მექნებოდა გვექნებოდა

2. გექნებოდა გექნებოდენ

3. ექნებოდა ექნებოდენ

### მყოფადის კავშირებითი

1. მექნებოდეს გვექნებოდეს

2.გექნებოდეს	გექნებოდენ
3.ექნებოდეს	ექნებოდენ
<b>II სერია</b>	
<hr/>	
<b>III სერია</b>	
<b>I თურმეობითი</b>	
1. მქონებია	გვქონია
2. ქქონია	ქქონებთან
3. ხქონია	ხქონიან
<b>II თურმეობითი</b>	
1. მქონოდა	გვქონოდა
2. ქქონოდა	ქქონოდენ
3. ხქონოდა	ხქონოდენ
<b>III კავშირებითი</b>	
1. მქონოდეს	მქონოდენ
2. ქქონოდეს	ქქონოდენ
3. ხქონოდეს	ხქონოდენ
<b>I სერია</b>	
<b>აწმყო</b>	
1. ვარები	ვარებით
2. იარები	იარებით
3. იარებ-ა	იარები-ან
<b>უწყვეტილი</b>	
1. ვარებოდი	ვარებოდით
2. იარებოდი	იარებოდი-თ
3. იარებოდა-ა	იარებოდ-ენ
<b>აწმყოს კავშირებითი</b>	
1. ვარებოდე	ვარებოდე
2. იარებოდე	იარებოდე-თ
3. იარებოდ-ეს	იარებოდ-ენ
<b>მყოფადი</b>	
1. გევარ	გევარავთ
2. გეიარ	გეიართ
3. გეიარს	გეიარებენ
<b>ხოლმეობით- შედეგობითი</b>	
1. გევარდი	გევარდით
2. გეიარდი	გეიარდით
3. გეიარდა	გეიარდ-ენ
<b>მყოფადის კავშირებითი</b>	
1. გევარდე	გევარდეთ
2. გეიარდე	გეიარდეთ
3. გეიარდეს	გეიარდ-ენ
<b>II სერია</b>	
<b>წყვეტილი</b>	
1. გევვარე	გევვარეთ



2. გეიარე	გეიარეთ
3. გეიარა	გეიარეს
<b>II კავშირებითი</b>	
1. გევვარო	გევვართ
2. გეიარო	გეიართ
3. გეიაროს	გეიარონ
<b>III სერია</b>	
<b>I თურმეობითი</b>	
1. გიმივარია	გიგვივარია
2. გიგარია	გიგარია
3. გუუარია	გუუარია
<b>II თურმეობითი</b>	
1. გემევარა	გეგვევარა
2. გეგეარა	გეგეარეს
3. გეეარა	გეეარეს
<b>III კავშირებითი</b>	
1. გევვარო	გევვართ
2. გეიარო	გეიართ
3. გეიაროს	გეიარონ

**უღლება****I სერია****აწმყო**

1. წავდივარ	წავდივართ
2. წადიხარ	წადიხართ
3. წადის	წადიან

**უწყვებელი**

1. წავდიოდი	წავდიოდით
2. წადიოდი	წადიოდით
3. წადიოდა	წადიოდენ

**აწმყოს კავშირებითი**

1. წავდიოდე	წავდიოდეთ
2. წადიოდე	წადიოდეთ
3. წადიოდეს	წადიოდენ

**მყოფადი**

1. წავალ	წავალ
2. წახვალ	წახვალთ
3. წავა	წავლენ

**ბოლმეობით-შედეგობითი**

1. წევლოდი	წევლოდით
2. წეხვილოდი	წეხვილოდით
3. წევლოდა	წევლოდენ

**მყოფადის კავშირებითი**

1. წევლოდე	წევლოდეთ
2. წეხვილოდე	წეხვილოდეთ

3.წევდოდეს II სერია	წევდოდენ
<b>წყვეტილი</b>	
1.წვევლ	წვევლთ
2.წებველ	წებველთ
3. წევდა	წვევლით
<b>II კავშირებითი</b>	
1.წევდე	წევდეთ
2.წებვიდე	წებვიდეთ
3.წევდეს	წევდენ
III სერია	
<b>I თურმეობითი</b>	
1. წევსულვარ	წევსულვართ
2. წესულხარ	წესულხართ
3. წესულა	წესულან

<b>II თურმეობითი</b>	
1. წევსულიყავ	წევსულიყავთ
2. წესულიყავ	წესულიყავთ
3. წესულიყო	წესულიყვენ

<b>III კავშირებითი</b>	
1. წევსულიყო	წევსულიყოთ
2. წესულიყო	წესულიყოთ
3. წესულიყოს	წესულიყონ

შავშურში თვალში საცემია ზმნისწინთა თავისებურებანი: წა ზმნის-წინი გამოიყენება მი-ს ნაცვლად, მა მო-ს (**მაატყვილეფ, მამპარვიე**), გა შე-ს (**გავწუხდე, გავპირდი**), შა- შეს ნაცვალად (**შამოი, შამეიყვანს**); ჩე ჩას ნაცვალად (**ჩეგისხა**)

ახლანდელს შენ ვერ **მაატყვილეფ** (ხევწ.); სოკო ბილა **მააქვან** (ბაზგ.)ხეს **მაახტები** (წეთ.); **მამპარეს** ძალლი (ჩაქ.); **გამამეიყვანა** წყალი (ხევწ.).

მეც **წავდივარ** (ზაქ.); ქალაქებში ვერ **წადიოდენ** (ჩიხ.); სიძე **წადის** და მოდის (მან.).

ავ და ამთემისნიშნაიანი ზმნები უწყვეტელსა და მასზე დაფუძნებულ სხვა მწკრივებში ევ, ემ -ს გვადლევენ. ეს წარმოებაა გავრცელებული:

სიმიინდ **ფქვევდა** (ჩაქ.); **სძინევდა** ოდაში (ბაზგ.); ისიც ასე **სწერევდა** (მაჩხ.).

აქვე გამოკვეთილია სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა ხმარება, დასტურდება ხანმეტი და ჰამეტი ფორმები: შე-ვხკონავთ მოჰკლავ, მიჰსცემდი, მოჰსწველდი, ხქონდა.

ფხალსაც **მოჰხარშავ, დაჰკეპავ** (ხოხ.); ჩალსაც **შეგხკონავთ** (ბაზგ.); **აჰწონავ** ერთ ემესა (ჩაქ.); არ **სწყევლო** არვის (იფხ.).

ერთპირიან ზმნაში ორი პირის ნიშანია: სწყედება, სჩანდა.

დასტუდება უნიშნო ფორმებიც: **ქვია, ქონდა**.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში გამოკვეთილია ან სუფიქსის უნიფიკაცია: **მიდევან** გოგოს ნათესავები (სვირ.); ამათ **ესმიან** (მან.).

იმავთად წყვეტილში ნენ სუფიქსია: ერთი თუთა **გაქჩნენ** (ხევწ.).

თ სუფიქსის ნაცვლად უნდა ზმნას ორმაგი ან დაერთვის: უნდანან: თქვენ გურჯი მღერა **გინდანან?** (უსტ.); ბევრი რახცა **უნდანან** (ჩაქ.).

მყავს ზმნაში არ არის **ს: მყავ-** დედაბერიც მყავ აგზე (უსტ.); აქ ერთი მეზობელი მყავ (მან.).

შავშურში ერთმანეთს ენაცვლება ვნებითი გვარის ფორმათა პრეფიქსული და სუფიქსური წარმოება: გეეთხვა, გეეხარა: წყალსიმერში გევეთხვე (წეთ.); ვინცხას **მეემშევა**, ჭამოს (**ჩაქ.**); ჩემ ბაბოი **დეესახლა** (ბ.); **გეეჩქარე**, ცქვიტაჲ წადი (ნიოლ.).

შავშურის გამოკვეთილი თავისებურებაა იცის შემასმენელთან ქვემდებარის სახელობითში ჩასმა: ხოჯა იცის გურჯული (ა.); თელი სოფელი თურქა არ იცის (მაჩხ.).

გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობითშია: ახლანდელეგმა რომ მოდიან აქა, ისვენ **წადიან** (ხევწ.).

პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება ხშირად სახელობითშია: ჩაი ვადუღებთ (უ.); **ზოგი** მოხარშავ (ზ.).

### შემოკლებათა განმარტებანი

**ხევწ. ხევწრული, ზ. ზიოსი, უ. უსტამისი, ჩაქ. ჩაქველთა, წეთ. წეთილეთი, მაჩხ. მაჩხატეთი, იფხ. იფხრეველი იხილეთ წიგნში: შავშეთი** (ავტორთა ჯგუფი). შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართველოლოგიის ინსტიტუტი. თბ. 2011.

## Mamia Phagava, Nana Tsetskhladze

### The Shavshetian Dialect

#### The Basic Paradigms of Declension and Conjugation

#### Summary

The Shavshetian dialect is a historic speech of the residents of Shavsheti. It is widespread in the district of Shavsheti of the province of Artvin in Turkey. We consider Machaxeli, the first part (Upper Machakheli) of which belongs to the district of Shavshati and the second one (Lower Machakheli) to the Khelvachauri municipality, as a part of Shavsheti. After the Russian-Turkish war of 1877-1878

about 50 villages were created in the inner provinces of Turkey by the Shavshetian people who were Muhajirs or exiled by the internal migration.

The part of Shavsheti uses Turkish while the others use the Georgian language – mostly Imerkhevians (about 20 villages), Ustamisians, Chikhiskhevians and the whole village of Machaxeli.

When creating paradigms we used the materials of the Shavshetian dialect collected by the standing complex expedition at the Kartvelological Centre (formerly, the South-West Georgian Research Centre, later, the Institute of Kartvelology) of Batumi Shota Rustaveli State University.

## ინგა ლუტიძე

### იმერხევის ენობრივი ვითარება.<sup>1</sup> II

დიალექტური მეტყველების შესწავლა ყოველთვის საშური საქმე იყო ენის სრული კორპუსის წარმოსაჩენად. ქართველი ენათმეცნიერები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ მხრივ და ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტი გახდა მონოგრაფიული შესწავლის საგანი. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, პრიორიტეტის კვლევის სხვა მიმართულებებისათვის მინიჭების გამო, ამ მიმართულებით მუშაობა ცოტათი შენედა. ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის ქართველთა, როგორც ისტორიული საქართველოს შემადგენლობაში შემავალი მხარეების მკვიდრთა, ისე მუჰაჯირობის დროს ძალით აყრილ და გადახვეწილ ქართველთა მეტყველების შესწავლა.

„იმერხევი შავშეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იმერხევიში მიმავალი გზა მდინარე ფაფართის (მდ. იმერხევის) ღრმა ხეობას მიჰყვება ისე, რომ გზიდან მხოლოდ რამდენიმე სოფელი მოჩანს. დანარჩენი სოფლები ან ვიწრო ხეობების სიდრემშია შემალული, ანდა მთების მაღალ კალთებზეა გაშლილი გზიდან არ ჩანს. იმერხევი იწყება მდ. ყვირალას სათავეებიდან (ერთვის მდ. ფაფართს), სოფელ ყვირალადან (თურქ. დემირქაფი//დემირყაფი) და გადაშლილია მთელი ხეობის სიგრძეზე სოფელ შერთულამდე. აქ ხეობა მთავრდება, მდ. ფაფართი უერთდება შავშეთიდან მომდინარე სათლელის წყალს, რომელიც აქედან მოყოლებული ჭოროხის ხეობამდე იწოდება შავშეთის წყლად“ (ფუტკარაძე, 1993:32).

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „ნებისმიერი დიალექტის წარმოქმნის საფუძველი ისტორიულია. წარმოქმნის მიზეზები კი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ა) საკუთრივ ენობრივი ფაქტორი – ენის შინაგანი პოტენციის ნაირგვარი გამოვლინება მისი გავრცელების ტერიტორიაზე; ბ) ეთნიკური ფაქტორი; გ) ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორი“ (ჯორბენაძე, 1989:27). „იმერხევიში, მაჭახელსა და ლივანაში არსებული ქართულის ნაირსახეობათა განმსაზღვრელი ენობრივი ნიშანი ემთხვევა ეთნიკურ ნიშანს“ (ფუტკარაძე, 1993:9-10).

იმერხეული დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ნ. მარის მიერ ჩაწერილი უნიკალური მასალების, ტექსტების მიხედვით იყო ცნობილი (H. Mapp, 1910), ხოლო მოგვიანებით იგი მონოგრაფიულად შეისწავლა შ. ფუტკარაძემ (შ. ფუტკარაძე, 1993).

<sup>1</sup> იმერხევის ენობრივი ვითარება. I დაბეჭდილია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 43, 2014 წ.

ა. შანიძე და ა. მარტიროსოვი იმერხეულს სამხრულ-დასავლურ დი-ალექტურ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ (Шанидзе, 1972:16; მარტიროსოვი, 1972:16). ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის აზრით, „ტერმინი იმერხეული ვიწროა და პირობითი. ფართო გაგებით, იგი წარმოადგენს ქართული ენის კილოს, რომელიც იმერხევის გარდა გავრცელებული უნდა ყოფილიყო კლარჯეთის დანაჩენ ნაწილში და ალბათ შავშეთშიც და რომელსაც შეიძლება კლარჯული ან შავშურ-კლარჯული დარქმეოდა“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961:371). შ. ძიძიგურის აზრით, „იმერხეული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კოლოების ჯგუფს, უმთავრესად აჭარულ-გურულს“ (ძიძიგური, 1970:152). შ. ფუტკარაძე იმერხეულის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ დაასკვნის, რომ „იმერხეულზე დაკვირვებით ნათელი გახდა, რომ იგი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს მესხურ-ჯავახურთან და ქართლურთან, ვიდრე დასავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან. ეს ადრეც იყო შემჩნეული ჩვენი ენათმეცნიერების მიერ. ვ. თოფურიას, ივ. გიგინეიშვილის, ივ. ქავთარაძის ავტორობით შექმნილ „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ვკითხულობთ: „იმერხეული კილო აჭარულთან მალიან ახლოს დგას, მაგრამ მასში შემორჩენილი ზოგი ფონეტიკური გრამატიკული მოვლენა (ბგერა ჯ) და ლექსიკური ერთეულები (პაშტა, ნეკერი...), რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისა (ქართლურისა, კახურისა და სხვ.), ადასტურებს მასში ქართლურის ფენის არსებობას, როგორც ეს ისტორიული ცნობების თანახმად მოსალოდნელი იყო“. ახლა, როცა ნ. მარის ჩანაწერებთან შედარებით იმერხეულის შესახებ ვრცელი მასალაა მოპოვებული და დასკვნების გამოსატანად მეტი შესაძლებლობაა შექმნილი, თამამად შეიძლება ზემოთ თქმულის გაზიარება. ჩვენც იმერხეულის მონაცემების გაანალიზების შედეგად დავრწმუნდით, რომ იმერხეული, ტაოს მეტყველებასთან ერთად, უფრო მეტ სიახლოვეს აჟღავნებს აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან, ვიდრე დასავლურთან. ამიტომ ზოგიერთი ადრინდელი მოსაზრება დღეს გადასინჯვას მოითხოვს“ (ფუტკარაძე, 1993:34-35).

2011 წლის ზაფხულში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, რომელმაც იმერხევის ყველა სოფელი მოიცვა, ჩვენი მიზანი საველე ექსპედიციის განმავლობაში ენობრივი ვითარების შესწავლა იყო, რომლის დროსაც, ბუნებრივია, შესაძლებელი იყო მათ მეტყველებაში არსებული ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის აღნუსხვა.

ბრუნვის ნიშანთაგან ამჯერად ყურადღებას სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტებზე შევაჩერებთ:

სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს **-ა** დართული ფორმები: *რაა ქენი იქა?*

მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

ყველა შესაძლო შემთხვევაში იკარგება: *ჩემი კაც ხენჩრეფი ქვიან; მოდით, თქვენ პურ მიგართვამთ: ათა თურქ იმითვიან ალაგი მუცემიან; ჩააა (resp.: ჩაის) გასვამთ.*

საერთოდ, **-ს** იკარგება სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში და ეს თანაბრად ეხება როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანს, ისე III სუბიექტური პირის ნიშანს: *მემრე ხახვი (ხახვს) მოხრაკავ, წყალო (წყალოს) დაასხამ, ოთხ სა-*

ათჷ (საათს) ადუღებ; ყურბან ბაირამ ჭედელაჷ დაკლენ, ზოჯაჷ დაკლენ, ცხვარჷ დაკლენ, მოზვერჷ, კამეჩჷ დაკლენ; ყველაფერჷ არ ჭამჷ (ყველაფერს არ ჭამს); დღესასწული ქნეჷ (resp.: ქნეს).

იკარგება ნათესაობითი ბრუნვის -ის ფორმანტის თანხმობითი -ს ნაწილიც: *ორ დღეჷ უკან* (resp.: ორი დღის წინ).

მოქმედებითი ბრუნვის -ით ფორმანტს ენაცვლება ამავე ბრუნვის -იდან თანდებული: *მე ლაპარაკიდან* (resp.: ლაპარაკით) *არ მევიღალვი*.

პირველი პირის ნაცვალსახელი ხშირად წინადადების ბოლოშია მოქცეული: *აველი იქა მეც; ბორჩხას ჩამოდით, იქა ვარ მე; გამო ერთი, გევიარო მე; იქ მიველ მე, გზა ფინთი იყო, შეგვეშინა ჩვენ; ოთხი დანი, ერთი ძმანი ვართ ჩვენ*.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის **ერთის** მნიშვნელობით ეთნიკური ქართველები იყენებენ **და**-ს, რომელიც, ჩვეულებრივ, წინადადების ბოლოში დგას: *ევიდე, პური ევილო და* (resp.: *ავიდე ერთი, პური ავილო*).

არცთუ იშვიათია **ნარ-თანიანი** მრავლობითის ფორმების გამოყენება; როცა ნარ-თანიან მრავლობითში მდგარ სახელს რიცხვითი სახელით გამოხატული მსაზღვრელი ახლავს, ის საზღვრულთან რიცხვში შეთანხმებულია და -ს ფორმანტითაა წარმოდგენილი: *ოთხი დანი...*

რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებით გამოხატული მსაზღვრელები საზღვრულს მრავლობით რიცხვში ეთანხმება: **ზევრი რაცხეფი გამევიარე, ზევრი სიმწარეფი**.

შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის თვალსაზრისით იმდენად ჭრელი სურათია, რომ რაიმე კანონზომიერებაზე საუბარი პირობითია: **ჩემი ნათქვამ არ მეიწონებს**; ზოგჯერ საზღვრული ამოვარდნილია: *ეს ჩემი მოწონებული ჷ იმა არ უნდა*.

შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმის შედეგად ახალი კომპოზიტებია მიღებული: **ყოვედლი** (resp.: ყოველ დღე) *საქონელ ვაძუებდით*.

მართული მსაზღვრელ-საზღვრულის შერწყმის შედეგადაც მიიღება ახალი კომპოზიტები: **ნამეიკევი** (resp.: ნამვის კევი) *ენ წინ კბილებზე დეგეკვრი*; **საპონ დათვიქონით** (resp.: დათვის ქონი) *აკეთებდენ*.

**იცის** ზმნასთან შეწყობილი III პირის **ესნაცვალსახელი** მრავლობით რიცხვში მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტითაა წარმოდგენილი: **ამათმა ძალიან ბევრი იციან**.

ჭრელი ვითარება გვაქვს ზმნაში მასთან შეწყობილ სახელთა რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით:

1. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მხოლოდობით რიცხვში წარმოდგენილი სახელი (სუბიექტი) მხოლოდობით რიცხვში ითანხმებს: *ძველი იყო სახლი, სამსართულიანი; ჩემი ანაჲ ამ გალიფას ბაბას და იყო; აიშე ეზგიზე სამი თვით დიდი არი*.

2. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მხოლოდობით რიცხვში მდგარი სახელი (სუბიექტი) მრავლობით რიცხვში ითანხმებს: **ჩემ კაც ხენწრეფი ქვიან; ჩემი კაცი** (resp.: **კაცის**) **ნენეჲ ემე რუსიადან მოსული არიან**.

3. გარდაუვალ ერთპირიან ზმნას მრავლობით რიცხვში მდგარი სახელი (სუბიექტი) მრავლობით რიცხვში ითანხმებს: *ბორჩხას ჩუნთანაც მუქციეთ* (resp.: შემოიარეთ); *მერქეზში* (resp.: ცენტრი, რაიონი) *დგახართ თბილისში?*

4. გარდაუვალ ერთპირიან ზმნაში კრებითი სახელით წარმოდგენილი სუბიექტი ზმნას მრავლობით რიცხვში შეითანხმებს: ***ხალხი დაიმალოდენ;*** *სოფლებში ხალხი დაცოტავდნენ;* ***კრეფენ და ხალხი ყიდიან კაკალ.***

5. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილი სუბიექტი წარმოდგენილია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით ***ზოგი***, წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: *დედები აღარ დარჩნენ, ზოგი მოკვდენ.*

6. გარდაუვალ ერთპირიან ზმნაში განუსაზღვრელობითი ***ყველა*** ნაცვალსახელით წარმოდგენილი სუბიექტი ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმებს: *მაშინ ყველა* (resp.: ყველა) ***სახლში იყვნენ.***

7. თუ გარდაუვალ ერთპირიან ზმნასთან შეწყობილ სუბიექტს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზმნა წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით: *ბევრი, ბევრი, ოცდაათი კვამლი რჩებიან; ორი მზა ყოფილან.*

8. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია განუსაზღვრელობითი ***ზოგი*** ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტი და მხოლოდობით რიცხვში მდგარი ობიექტი, გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმით: ***ზოგ სახლი აქვან აქა, 5-6 წელში მოდიან...***

9. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია მხოლოდობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი ობიექტი, გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმით: *მე ქართულები* (resp.: ქართველები) ***მიყვარან.***

10. გარდაუვალი ორპირიანი ზმნაში (ინვერსიული), თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლოდობით რიცხვში მდგარი ობიექტი, მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად ***-თ*** ფორმანტის ნაცვლად გვაქვს ***-ან*** ფორმანტი: *ჩვენი გურჯიჯა მოწონან; ამათ ექნებიან სიმინდი; ჩემ დედებ ქონებიან.*

11. გარდაუვალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მხოლოდობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლოდობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი ერთზე მეტი ობიექტი, დასტურდება მხოლოდობითი რიცხვის ფორმით: *იქ დედამთილი, მამამთილი მყავს, იმას უკან წავალ.*

12. გარდამავალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და მხოლოდობით რიცხვში მდგარი ობიექტი, მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად III სერიამი (ინვერსიულ ფორმებში) ***-თ*** ფორმანტის ნაცვლად გვაქვს ***-ან***: *ძმები გაყრილან, ძველი სახლი დუნგრევიან.*

13. გარდამავალი ორპირიანი ზმნა, თუ მასთან შეწყობილია მესამე პირის მრავლობით რიცხვში მდგარი სუბიექტი და ასევე მრავლობით რიცხვში მდგარი ობიექტი, დასტურდება მრავლობითი რიცხვის ***-ან*** ფორმანტიანი ფორმით: *მათ ჩვენი ქართველები დუქანჯლავან, მუკლავან.*



14. სამპირიან გარდამავალ ზმნაში წარმოდგენილია ირიბი ობიექტის მრავლობითობა: *ათა თურქ იმითვინ* (resp.: იმათთვის) *ალავი მწცემიან; მოდით, თქვენ პურ მოგართვამთ, ჩად გასვამთ.*

მწკრივთა ფორმებიდან იშვიათი ხმარებისაა კავშირებითებისა და II თურმეობითის ფორმები. III კავშირებითის მწკრივის ფორმები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებშიც დალოცვის ფორმულებსა და სადღეგრძელოებში გამოიყენება.

რაც შეეხება თემის ნიშნებს, თემის ნიშნის დართვის ტენდენციას იჩენს როგორც ერთთემიანი, ისე ფუძედრეკადი ზმნები:

1) *ჩვენ ვერ უწერავთ, წყენულობს; წერვა არ იციან; მე დეფიწირავ; რაზე წერავხარ? ღმერთი თელი ერთია, თელი ჯერობენ* (resp.: ყველას სჯერა/სწამს); *აღარ ეცხელება, დაგრილავს;*

2) *არ მიყვარს, მწყენულობს* (resp.: მწყენს).

-ავ თემის ნიშანი -ევ სუფიქსით იცვლება: *მაშინ რაცხას უკრევდენ, ახლაც იმას უკრევენ.*

-ავ თემის ნიშანს -ამ თემის ნიშანი ენაცვლება: *თოვლი რომ მახლოვდება, ჩევიცმამ.*

-ავ თემის ნიშანი იკარგება: ტყეს *მოგვაფდით* (resp.: გავეკაფავდით).

-ამ თემის ნიშანი -ემ სუფიქსადაა სახეცვლილი: *ურტყემდენ.*

-ემ თემის ნიშანი საერთოდ იკარგება: სასმელად მიეტანეს, თორემ წყალი ვინ *მოქცვოდა* (resp.: მოგვცემდა).

**მეორე სერიის მწკრივებში გვაქვს -ევ სუფიქსიანი წარმოება: რად წეიღევით** (resp.: წაიღეთ) *აკვანები? ბისიკლეტი* (resp.: ველოსიპედი) *აულევი* (resp.: ავულე).

„ევ-ი“ სუფიქსი დადასტურებულია ქართლურში, კახურში, მესხურ-ჯავახურში, მთარაჭულში, აჭარულსა და ზემომიერულში (Mapp, 1910:64; იმნაიშვილი, 1988:213; ძიძიგური, 1970:142; ძოწენიძე, 1973:106; ბერიძე, 1988:121; ხუბუა, 1932:18). ამ სუფიქსის წარმოშობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულებით, „ევ“ აორისტის არქაული სუფიქსია, ხოლო „ე“ მისგან მომდინარე (როგავა, 1945:648-652), „ი“ კი ანალოგიითაა გაჩენილი (ჩიქობავა, 1936:137), მეორე მოსაზრებით, „ევ“ მიღებულია „დავწევი, გავყევი, დავდევი“... და მათი მსგავსი ზმნების ანალოგიით (თოფურია, 1925:143).

**ბრძანებითის ფორმა თემისნიშნაანია: გაგდევი! ნუ სწერავ!** (resp.: მიატოვე, ნუ წერ!).

საინტერესოა-ამ თემის ნიშნის ნაწილობრივი მოკვეცის შედეგად მიღებული ფორმა, რომელსაც აწმყოს ხოლმეობითის ფუნქცია აქვს: *იქავრო წყალი ვერ მისმის* (resp.: მისვამს), *გერმელი არ არი.*

გაგება ზმნის პირიან ფორმებში როგორც ფორმის თავში, ისე ფორმის ბოლოს თავს იჩენს -ნ სუფიქსი: *ამან არ იცის გურჯიჯა, ისე გნებულობს; იმათი ლაპარაკი (ბორჩხელებისა) ვერ გემიგნია, მაჭახლურისა (მაჭახლელებისა) გეიგნება.*

მათ მეტყველებაზე დაკვირვებისა და ჩაწერილი მასალის ანალიზისას ცხადია, რომ ჭრელი ვითარება გვაქვს, მაგრამ საჭიროდ მივიჩნით ყველა არსებული ფორმის დაფიქსირება. როცა ეთნიკური ენა მხოლოდ საო-

ჯახო და ეთნიკური ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობისთვის გამოიყენება და არ იზღუდება ნორმითა და სტანდარტიზაციის პროცესებით, ფორმარმოების შესაძლებლობები უსაზღვროა.

ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში ფართოდ გავრცელდა შედეგნილ-შემასმენლიანი ფორმები, რაც თავიდანვე, ბუნებრივია, არ იყო დამახასიათებელი მათი მეტყველებისთვის: *ქალამანი მეც ჩასმული მაქვს* (resp.: ჩამიცვამს).

ყურადღებას იპყრობს მათ მეტყველებაში დადასტურებული ვნებითი გვარის ფორმები. გურჯები ქართულში გავრცელებულ დონიანი ვნებითის ფორმებს ინიანი ვნებითის ფორმით ცვლიან: *წყალი არ მეიდუღება* (resp.: ადუღდება).

ინიანი ვნებითის ფორმებს კი საშუალ-მოქმედებითი გვარის ფორმებს უნაცვლებენ: *ტყვილობ* (resp.: იტყუები).

იმერხეულში „ინიანი“ და „ენიანი“ ვნებითის მრავლობითი რიცხვის ფორმები მეორე სერიის მწკრივებში „ენ“ /ნ/ სუფიქსითაა ნაწარმოები. ეს წესი ძველ ქართულშიც მოქმედებდა და ამჟამადაც დაცულია მესხურ-ჯავახურსა და აღმოსავლურ კილოებში (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956:95; იმნაიშვილი, 1974:212; ბერიძე, 1988:122; იმნაიშვილი, 1982:239), გვხვდება ზემოაჭარულშიც (ნიჟარაძე, 1961:90).

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სუფიქსიანი ვნებითის -**ნ/ენ** მაწარმოებელი უნდა ჩანდეს ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში, რის შედეგადაც ზმნის ფორმაში ვნებითის ორმაგი წარმოება გვაქვს როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური: *არ მეიღალენით? გვეიკრიფენით, აქაწრობაში საქმე არ იყო.*

გვაქვს ვნებითის ორმაგი სუფიქსური – დონიანი და -**ნ/ენ**-იანი – წარმოება: *შიგან დაჯოცდენ ფუტკარი* (resp.: შიგნით ფუტკარი დაიხოცა).

ვნებითი გვარისათვის დამახასიათებელი -**ებ** თემის ნიშანი ხშირად იკარგება: *ბადვი გეყოლების* (resp.: გეყოლება), *ყურ გიგდება*.

საშუალ-ვნებითი გვარის ზმნა **ცხელა** ნაკლული მწკრივებს მოსალოდნელი უნიშნო ვნებითის ნაცვლად ონიანი ვნებითის ფორმებით ივსება: აღარ *ეცხელება*, დაგრილავს.

ქართულ ენაში მწკრივნაკლად ცნობილი ზმნები და აგრეთვე მათ მეტყველებაში სახელისაგან ნაწარმოები ზმნები (რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ გვაქვს) დონიანი ვნებითი გვარის ყალიბის წარმოებას გვიჩვენებენ: *სახლი გესურდება, კარ-მიდამო, თოვლდება, ზამთარში დავეცოტავდით, ვეღარ გვიქნია, დავბერდით.*

საინტერესოა უშუალო კონტაქტის ფორმების წარმოება. უშუალო კონტაქტის -*ევ* მაწარმოებელს -**აშ** სუფიქსი ენაცვლება, რომლის გამოყენების არეალი თემის ნიშნად დღეს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში მხოლოდ თხუთმეტოდე ზმნით შემოიფარგლება: *მოდით, თქვენი პურ მოგართვამთ (პურს მოგართმევთ); ჩამ გასვამთ (ჩაის გასმევთ).*

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკის დონეზე ცვლილების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებად ზმნა იცვლება. ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში შეიძლება ყველა სიტყვა, ლექსიკური ერთეული შეიცვა-

ლოს, მაგრამ ზმნა უიშვიათესად. ამიტომ ქართული ზმნის უძველესი ძირები მთელი სისრულითაა წარმოდგენილი გურჯების მეტყველებაში.

რაც შეეხება თანდებულებთან დაკავშირებულ ცვლილებებს:

1. **-ში** თანდებულიან ფორმას ცვლის: 1. სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა მიმართულების ან სადაობის აღსანიშნავად: **ბათუმში** გასვლა მი-  
ნდა, ვერ გავსულვარ; **ბორჩხას** ჩამოდით, მე იქა ვარ; მე **ბორჩხას** ვარ; ეს  
იქა, **გებზეს**, ფაბრიკაში საქმობს; 2. ან სახელი წარმოდგენილია ფუძის სა-  
ხით: **დიობან** (resp.: დიობანშია) არი გათხოვილი.

2. **-თვის** თანდებული იცვლება **-თვის** თანდებულით: *იმითვის*  
*მუწერია*.

3. **-გან** თანდებულს ენაცვლება მოქმედებითი ბრუნვის **-იდან** თან-  
დებული: ამპირა შენიდან (resp.: შენგან) მესმის.

საინტერესოა ზმნისწინთა გამოყენებისას მომხდარი ცვლილებები:

1. **ა-** ზმნისწინს **მო-** ზმნისწინი ცვლის: **მოცივა**, ავანთებ სობას.

2. **გა-** ზმნისწინს **და-** ზმნისწინი ცვლის, რასაც თითოობის ფუნქცია  
აქვს: *რაცხეჭი ჩნდება დასაკეთებელი* (resp.: გასაკეთებელი).

3. **მი-** ზმნისწინს *მიდის* ზმნაში რეგულარულად ენაცვლება **წა-**  
ზმნისწინი: *ზამთარში წადიან ისინი; ანაჲ შესახედი არია* (resp.: მისახე-  
დია).

4. **მო-** ზმნისწინსაც **და-** ენაცვლება: *დევინახო დაქსოვილი*.

5. **შე-** ზმნისწინს **გა-** და **და-** ზმნისწინები ენაცვლება: *ბევრი ვილაპა-  
რაკე, გაგაწუხე; რაზე დაწუხდი?* (resp.: რატომ შეწუხდი?)

არსებითი ცვლილებები არ გვაქვს ზმნიზედების გამოყენების მხრივ:  
*ქვეშ, აქ, იქ//იქა, ორჯერ, ადრე, მაშინ, ძალიან, ისე...*

**წინათ** ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება **წინდაწინა**: *აქმოხველი*  
*წინდაწინა?*

**ში-** თანდებულიანი ფორმით გადმოცემული ზმნიზედა შემდეგი  
ფორმით გვხვდება მეტყველებაში: **ზამთარი** (resp.: ზამთარში) *იზმითში* წა-  
დი.

**წინ** ზმნიზედა **წინაჲ** ფორმით გვაქვს: *მანქანების წინაჲ სახლი ჩემია*.

**წელან** ზმნიზედა **წაღან** ფორმად არის სახეცვლილი: *წაღან ვსვი*.

**ზემოთ** ზმნიზედა **ზედაჲ** ფორმით გვხვდება: *ახლა იქ არი, ზედაჲ*  
(resp.: ზემოთ).

**ძალიან** ზმნიზედის პარალელურად სულ უფრო და უფრო მეტი  
სიხშირით გვხვდება მათ მეტყველებაში შეჭრილი *ფენა*: *ბათუმი ღამეში*  
*ფენა ლამაზია? მეც ფენა კარგი ვარ; ფენა ბევრია, იმათი ლაპარაკი ვერ გე-  
მიგნია*.

დროის აღმნიშვნელ ზმნიზედას *ღამით* ენაცვლება **-ში** თანდებული-  
ანი ფორმა: *ბათუმი ღამეში ფენა ლამაზია?*

**საერთოდ** ზმნიზედას ენაცვლება ამავე მნიშვნელობის თურქული

**ჰიჩ**: *ზექიეს ჰიჩ პურ არ უჭამია, პურ ჰამ ახლა? ამან არ იცის ჰიჩ გურჯიჯა*.

ვითარების ზმნიზედის მაწარმოებელ სუფიქსს **-ნაირად** ენაცვლება  
**-დენ** სუფიქსი: *ჩვენდენ* (resp.: ჩვენნაირად) *ლაპარაკობენ*.

როგორც ცნობილია, ზომა-ოდენობის ზმნიზედათა ერთი ნაწილი  
სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან არის მიღებული: იმდენად, ამ-

დენად... მოცემულ რეგიონში მოცემული ზმნიზედები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: **იმდენი** ლამაზი გახდა იმ წელიწად, ვერ იცნეს ხალხმა, ღმერთმა უნა წიყვანოსო.

საინტერესოა ადგილის სად ზმნიზედისა და უნდა ნაწილაკის შერწყმით მიღებული ფორმა სანა (სად უნდა): ხვალ **სანა** იარო?

ყურადღება მიიქცია დროისა თუ ჯერობის აღსანიშნავად გამოყენებულმა ზმნიზედამ – **ამპირა: ამპირა** (resp.: ახლა, ამჯერად) *შენიდან მესმის*.

დროის აღმნიშვნელი ზმნიზედის **შემდეგ**-ის მნიშვნელობით მხოლოდ **უკან** ზმნიზედას იყენებენ: *იქ ბახალა მყავს, იმას უკან წავალ*.

**მშვიდად** ზმნიზედის ნაცვლად იყენებენ **გულდებრივ**: *გულდებრივ* (resp.: მშვიდად) *იყავი*.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კავშირის გამოყენება ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში. ეს ის ნაწილია მათი მეტყველების, რომელიც ყველაზე მეტად სხვაობს ჩვენი მეტყველებისგან. აგებულიების მიხედვით განსხვავებულ არც შერწყმულ, არც რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებაებში კავშირები არ გვხვდება:

1. სრულიად უკავშიროს: *ბათუმში გასვლა მინდა, ვერ გავსულვარ; მზე გამუა, ძალიან ცხელა, მზე წავა, ძალიან ცივა; ყველაფერ არ ჭამ: კარტოფილ დაბრაწებული, ძველი ლობიო*.

2. **მაგრამ** კავშირს ცვლის თურქული **ამა (ama - მაგრამ)**: *ჩვენ მანქანით ავედით, ამა არ შეგვიშვებს; თელი გურჯია, ამა წერვა-მერვა არ იცინა*.

3. **რომ** კავშირს ცვლის ამავე მნიშვნელობის თურქული კავშირი **ქი (ki - რომ)**, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს და წინადადების ბოლოშია მოქცეული: *აქ ქილისე არ არი ქი* (resp.: აქ რომ ეკლესია არ არის); *ჩვენ არ ვიცოდით ქი* (resp.: ჩვენ რომ არ ვიცოდით).

4. **რომ** კავშირის ფუნქციას მეტყველებაში ასრულებს პაუზა, ინტონაცია, ხოლო

წერისას სასვენი ნიშანი – მძიმე: *შენ გამოხვალ, დიგინახავ* (resp.: შენ რომ მოხვალ, გნახავ); *მე ჩამევიარე, წამეველ, აღარ დავმჯდარვარ; ჩემთან ამოსულიყავ, ამდენ გასწავლიდი* (resp.: ჩემთან რომ ამოსულიყავი, რამდენს დაგასწავლიდი).

5. **რომ** კავშირის ფუნქცია მათ მეტყველებაში შეთავსებული აქვს სხვათა სიტყვის ნაწილაკებს: *ეზგი შენ უთხარი, მარტო დავწუხებთ-თქო; მითხრა გალიბამა, იქ არიანო; ქალები ყვიროდენ, დავგიანდაო, ესენი აქ დგანან*.

კავშირები, რომლებიც მათ მეტყველებაში დავადასტურეთ, **და** და **თუ** კავშირებია, **და** უფრო ხშირად, **თუ** კი ძალზე იშვიათად: *ჩაი გავაკეთოთ და ვლიოთ-მეთქი და არა ქნეს; ჩავაყრი, თუ გცივა*.

საუბრისას ხშირად იყენებენ სხვათა სიტყვის ნაწილაკებს: *ჩეიაროს-მეთქი, არ ჩავარდეს კიბეზე; ანაჯან დაბრუნდიო, არ დავბრუნდები-მეთქი*.

ასევე ზმნას ხშირად მოსდევს თურქული –*ია* ნაწილაკი – *ხომ* ნაწილაკის მნიშვნელობით: *მე ვსაქმობ-ია* (resp.: მე ხომ ვსაქმობ).

თურქული -*ია* ნაწილაკი მეტყველებაში მოდალურ *უნდა* ნაწილაკ-თანაა შერწყმული: *ოსმანმა წაგასხა უნაია* (resp.: ოსმანმა უნდა წაგიყვანოთ?).

**აი** და **მაინც** შორისდებულთა ნაცვლად რეგულარულად იყენებენ თურქულ *იშტე*-ს: *ბაირამი გათავდა და იშტე სახლში არ ილევა საქმე*.

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს უქონლობა-უყოლობის სახელთა წარმოება. უქონლობა-უყოლობის სახელებს თურქეთის ეთნიკური ქართველები **უ-** პრეფიქსით აწარმოებენ: *უდუქორწილებელი* (resp.: დაუქორწინებელი), *უდუუკვლელებსა* მისცემენ; *უგუუტეკავი* (resp.: გაუტეკავი), *უჩუმალაი* (resp.: ჩუმად), *უდუჭრელი* (resp.: დაუჭრელი), *უჭერთლოი* (resp.: ხერთალის გარეშე).

სტატის შ. ფუტკარადის სიტყვებით დავამთავრებთ: „ჩვენ მიერ მოპოვებული „ზღვაში წვეთის“ ტოლია. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ჯერ კიდევ ბევრგანაა დარჩენილი ისეთი ხეობა და თემი, სადაც ქართველ მეცნიერს დღემდე ფეხი არ დაუდგამს. ვინ იცის, რამდენი საინტერესო ენობრივი ფორმა ელოდება მკვლევარს მთების კალთებზე არწივის ბუდესავით გაშენებულ სოფლებში. საგულისხმოა ისიც, რომ ყოველწლიურად ამ ქვეყნიდან მიდიან აქაურ მკვიდრთა უხუცესი წარმომადგენლები და თან მიჰქვთ არა მარტო წინაპართა ხელიდან ხელში ნაგოგმანები ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, არამედ ამ ხალხის ისტორიის ქარცეცხლში მახვილივით ალესილი ქართული სიტყვებიც. ამიტომ მეტად საშური, გადაუდებელი საქმეა ტაო-კლარჯული ცოცხალი ქართული მეტყველების ნიმუშების დროულად შეგროვება, მისი მეცნიერული შესწავლა“ (ფუტკარაძე, 1993:12).

## ლიტერატურა

**ბერიძე 1988** – ბერიძე გრ. ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** – გიგინეიშვილი ი. თოფურია ვ. ქავთარაძე ი. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

**თოფურია 1925** – თოფურია ვ. ქართლური, არილი, ტფ., 1925.

**იმნაიშვილი 1974** – იმნაიშვილი გრ. ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

**იმნაიშვილი 1988** – იმნაიშვილი გრ. ძველი ქართული ენის საყრდენი დიალექტის ზოლური სხვაობების ისტორიისათვის, იკვ, ტ. 27, თბ., 1988.

**იმნაიშვილი 1982** – იმნაიშვილი ი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1982.

**მარი 1910** – Марр Н. Дневник поездки в Шавшетию и Кладжетию, см. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. 7. С.-Петербург. 1910.

**მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956** – მარტიროსოვი ა. იმნაიშვილი გრ. ქართული ენის კახური დიალექტი. თბ., 1956.

**მარტიროსოვი 1972** – მარტიროსოვი ა. ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. თბ., 1972.

**ნიჟარაძე 1961** – ნიჟარაძე შ. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათ., 1961.

**როგავა 1945** – როგავა გ. აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის „ევ“ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, 6, № 8, თბ., 1945.

**ფუტკარაძე 1993** – ფუტკარაძე შ. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართველურ ენათა განყოფილება; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1993.

**შანიძე 1957** – Шанидзе А. Принципи классификации грузинских диалектов. Труды объединенной научной сессии Академии Наук Закавказских республик по общественным наукам. Баку. 1957, стр. 828-832.

**ჩიქობავა 1936** – ჩიქობავა არნ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.

**ძიბიგური 1970** – ძიბიგური შ. ქართული დიალექტოლოგიური მიეზანი, თბ., 1970.

**ძოწენიძე 1973** – ძოწენიძე ქ. ზემომერული კილო-კავი, თბ., 1973.

**ხუბუა 1932** – ხუბუა მ. ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, ბათ., 1932.

**ჯორბენაძე 1989** – ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

## Inga Gutidze

### The Linguistic Situation in Imerkhevi. II

#### Summary

It was always important to study the dialectal speech to present the entire corpus of a language. Over past two decades the priority was given to the other directions of the research and as a result working in this direction became very slow.

During the field expedition our goal was to study the linguistic situation of Georgians living in Turkey, in particular, in Imerkhevi. It was possible to record the peculiarities of their grammar – the changes in the case markers, pronouns, syntagms, the mixed situation of the number category of nouns, the use and the

change of the stem markers, the conjugation of the verbs with the suffix *-ev* in the screeves of Series II, the forms with the composite-predicates widely spread in the speech of the ethnic Georgians, the peculiarities of the passive voice, some preverbs, postpositions, adverbs, connectors, interjections, particles etc.

The ethnic language that is not limited by the norms and the standardization and which is only used for the communication between the family and the ethnic group members reveals the infinite possibilities of word-formation.

## ხათუნა ყანდაშვილი, ელენე თამაზაშვილი

### III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის „ჩვენებურების ქართულში“

III სერიის მწკრივები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანადაა შესწავლილი წარმოებისა თუ ფუნქციის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში III სერიაში გვაქვს I თურმეობითის, II თურმეობითის და III კავშირებითის მწკრივები. მწკრივთა სახელწოდებები აკაკი შანიძემ დაამკვიდრა. აგრეთვე თურმეობითების ნაცვლად ვხვდებით ტერმინ „შედეგობითსაც“ (ა. არაბული: 1984, გვ. 145), საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად დამკვიდრდა ა. შანიძის მიერ შემოღებული ტერმინი „თურმეობითი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აგრეთვე გამოკვლეულია თურმეობითების ფუნქციებიც. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ I და II თურმეობითის მწკრივები გამოხატავენ უნახავ აქტს, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ უნახავი აქტის გადმოცემა არაა I თურმეობითის ერთადერთი ფუნქცია. ა. არაბული მიუთითებს, რომ I და II თურმეობითს რაც აერთიანებს, ეს არის შედეგობითობა, რეზულტატიურობა, პერფექტულობა. „I თურმეობითით გადმოცემული მოქმედების რეზულტატი აწმყოშია წარმოდგენილი, II თურმეობითით გადმოცემული – ნამყო დროში“ (ა. არაბული: 1994, გვ. 145)

ცალკეულ შემთხვევაში ქართულ დიალექტებში III სერიის მწკრივები წარმოებისა და ფუნქციის თვალსაზრისით სხვაობენ სალიტერატურო ქართულისგან. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, როგორ იწარმოება და რა ფუნქციებს გამოხატავს III სერიის მწკრივები „ჩვენებურების ქართულში“. საკვლევე მასალად გამოვიყენეთ შუშანა ფუტყარაძის 1993 წელს გამოცემული „ჩვენებურების ქართული“. (ტერმინით „ჩვენებურების ქართული“ აღინიშნება თურქეთში მოსახლე ქართველთა მეტყველება). აღსანიშნავია, რომ III სერიის მწკრივებიდან ჩვენ მხოლოდ I და II თურმეობითის ფორმები დავადასტურეთ. როგორც აღინიშნება სამეცნიერო ლიტერატურაში, III კავშირებითის მწკრივი იშვიათად გამოიყენება, თითქმის აღარც კი იხმარება, მას მხოლოდ დალოცვის გამოხატველ ფორმულაში ვხვდებით: **ყოფილიყოს, შეესრულებინოს** და ასე შემდეგ. დალოცვის გამოხატველი წინადადებები ჩვენ საკვლევ მასალაში ვერ დავადასტურეთ და შესაძლოა სწორედ ამიტომ ვერ გამოვავლინეთ III კავშირებითის მწკრივის ფორმები.



საკმაოდ საინტერესოდ წარმოჩინდა I თურმეობითის მწკრივის ფორმები „ჩვენებურების ქართულში“ წარმოების თვალსაზრისით. ზმნურ ფორმათა წარმოება ამ მწკრივში გარკვეულ თავისებურებებს ავლენს. ყურადღებას იქცევს **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნების წარმოება. როგორც წესი, ორივე ტიპის ზმნა I თურმეობითში უღლების ერთსა და იმავე მოდელს მიჰყვება:

1. აქვთ ძველი ქართულისებური წარმოება:

**-ავ** თემისნიშნიანი ზმნები:

„მემრე **მუუკითხვან**, ვინ წევს აქაო“ (60; ინეგოლი)

„ძულებრა არ **მოუნახვან**. მძიმე დრო იყო მაშინ“ (147; სტამბული)

„ჩუენი ეზინეი ქი **მოუპარავან**, ნაშვავებში შეურბენებიან“ (219; იმერხევი)

**-ამ** თემისნიშნიანი ზმნები:

„**უთქმან**, რომ სხუა ახალი მაქინაი მევტანოთ, ის ისაქმებსო“ (60; ინეგოლი)

„სუფრა **დუუდგმან** სადამოს“ (25; ინეგოლი)

„კაცი აღარ მოიდაო, **უთქუამან**“ (259; იმერხევი)

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართულისებურ ფორმებს **-ავ** თემისნიშნიან ზმნებთან უფრო ხშირად ვხვდებით, ვიდრე **-ამ** თემისნიშნიანებთან. ასევე ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც

2. **-ავ** და **-ამ** I თურმეობითში სალიტერატურო ნორმის მიხედვით იწარმოება:

„რაი ინსანე **დამინახავს**, რაი მიწა **დამინახავს**“ (27; ინეგოლი)

„ვირი დავჰკარგე, ხო მარ **დაგინახავსო?** – ძიავ, არ **დამინახავს**“ (282; იმერხევი)

„ვინცხას ქორიც **შოუდგამს** შიგან“ (285; იმერხევი)

„ასე **უთქუამს**, ჩუენ მინდანან ძლათაო“ (297; ლივანური)

„ის **მუუბამს** ხეზე ზეიდან, ჩამოსულა, ქალითვინაც **მუუბამს** წელზე“ (33; ინეგოლი)

3. I თურმეობითში ხშირად გვხვდება ისეთი ფორმები, როდესაც **-ია** დაბოლოება დაერთვის რთულ თემას: **უკითხ-ვ-ია**, **უთქ-მ-ია**.

„კეხიანს **უკითხვია**: რა ქენი, კეხი ჰა წეიღევიო“ (49; ინეგოლი)

„– მაგათ კაბები ჩააცვით, მეიყუანეთ და მეიყიდვიანო, **უთქმია** თამარსა“ (49; ინეგოლი)

„ენ წინ ჯემარას **ურტყმია?**“ (343; მაჭახელური)

„– ენაში მიგორავს დ ავერ **მითქმია**“ (170; ტაო)

**-ია** დაბოლოება აქვს ასევე მარტივ თემას:

„ეიდა **უთქვია** თამარ დდედოფლითვინ, ოქრო აღარ დასჩომია“ (176; ქობაქი)

საკვლევ მასალა საინტერესო და მრავალფეროვანია I თურმეობითის მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით. ყველა ტიპის ზმნური ფუძეების წარმოება შეგხვდა, თუმცა ჩვენ ნაშრომში ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ თავისებურად წარმოებულ ფორმებზე. უნდა აღინიშნოს, რომ თურმეობითის მწკრივებში გვხვდება უმეტესწილად **-ია**

დაბოლოებიანი ზმნები. ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც მრავლობითობის მაწარმოებელი **-თ** სუფიქსის ნაცვლად ჩნდება **-ან** ფორმანტი. მოვიყვანთ ილუსტრაციას საკვლევი მასალიდან, როდესაც მხოლოდობითში მდგარ ქვემდებარეს I თურმეობითის მწკრივით გადმოცემული შემასმენელი შეეწყობა ფორმით მრავლობით რიცხვში:

„შენთვის **მუუცემიან** ერთ არსა“ (31; ინეგოლი)

„ანას და ყოლია გასათხვარი და ის ბაბოთვის **მუუცემიან**“ (99; მუჰაჯირის ნაამბობი)

„ქალებს **დუუძახიან**: – ბაგან ბეგი მომკვდარაო“ (47, ინეგოლი)

**შედარება:** (ვხვდებით მრავლობითობის მაწარმოებელ **-თ** სუფიქსს)

„ესაა კრეველათი სოფელია; გურჯი არიან, ჰამა გურჯიჯა **დავიწყნიათ**“ (171, ტაო)

ხშირია შემთხვევა, როდესაც მხოლოდობითში მდგარ ქვემდებარეს შემასმენელიც მხოლოდობითში ეწყობა და I თურმეობითში, წესის მიხედვით, მხოლოდ **-ია** დაბოლოება მოუდის:

„ბაგან ბეგ **გუუგზაგნია** კაცი“ (47; ინეგოლი)

I თურმეობითში **-ნ** ფორმანტი ჩვეულებრივ აწარმოებს მრავლობით რიცხვს, თუმცა თანამედროვე ქართულის მსგავსად **-თ** მაწარმოებელიც გვხვდება:

„ქალებს **დუუძახიან**: – ბაგან ბეგი მომკვდარაო...“ (47; ინეგოლი)

„ესა კრეველათი სოფელია; გურჯი არიან, ჰამა გურჯიჯა **დავიწყნიათ**“ (171; ტაო)

აგრეთვე შევხვდით ზოგიერთი ზმნის I თურმეობითის თავისებურ წარმოებას, მაგალითად:

„მუჰაჯირობა რომ ქნილა აჭრიდან, ჩუენი ხალხი კარქ მიწებზე **დუუყდუმლებიან**, ეშილ ბურსაში **მუუცემიან** სოფლები“ (42; ინეგოლი)

„**დუუყდუმლებიან**“ ფორმა ნაწარმოებია „**ჯდომა**“ ზმნისგან, ჩართულია **-ებ** თემის ნიშანი, აგრეთვე „**მუუცემიან**“ ზმნასაც აღნიშნულ მწკრივში აქვს **-ემ** თემის ნიშანი და მოუდით **-ია** დაბოლოება.

I თურმეობითში რაიმე განსხვავებულ ვითარებას არ გვიჩვენებს მეშველზმნიანი ფორმები, ჩვეულებრივ, სალიტერატურო ქართულის მსგავსად იწარმოება:

„დილას მოღმა არ **გავსულვარ** ეზოში“ (40; ინეგოლი)

„**მოვსულვართ** და აქ **შამოვფრენილვართ**, აქ გაგვიკეთებია ბუდიები, აქ **მოვფუფუნებულვართ**“ (54; ინეგოლი)

„შენ ჩემთვის **დაწერილხარ**“ (354; მაჭახელური)

თურმეობითების ფუნქციებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ გამოხატავენ უნახავ აქტსა და პერფექტულობას:

„ოტური ნენიდან **გამოტანილი ყოფილა**“ (22; ინეგოლი)

„ესენი ზუელათ ყუელია **ქართული ყოფილა**, დავიწყებთან ქართული, წასულან იქით-აქეთ“ (170; ტაო)

არის შემთხვევა, როდესაც „უნდა“ მოდალობის შინაარსის შემცველი მარცვალი **-ნა** დაერთვის წინამავალ არსებით სახელს და ზმნა შესაბამისად II თურმეობითითაა წარმოდგენილი:

„საჩეჩელინა მეპოვნა დღეს...“ (293; იმერხევი)

შევხვდით II თურმეობითის თავისებურ წარმოებას, თუმცა ამგვარი შემთხვევები ხშირი არ არის. „**დაეპატიყათ**“ ნაცვლად გვხვდება „**დეეპატიყენს**“ ფორმა:

„მულთან **დეეპატიყენს**... იმდენი იცინეს ქი!“ (286; იმერხევი)

„**გქონოდა**“-ს ნაცვლად „**ქქონებოდა**“:

„შენ რომ შინ გულში არ **ქქონებოდა** ჩადებული აქ გადმოსლა, არ გადმოხვიდოდი“ (122; ინეგოლი)

„**დამღუპოდნენ**“ ფორმის ნაცვლად გვხვდება „**დამღუპილიყენენ**“:

„რომე არ **დამღუპილიყენენ**, ორმოზდაათი ოჯალი ვიქნებოდით“ (151; სტამბული)

უმეტეს შემთხვევაში II თურმეობითის მწკრივი პირობის გამომხატველ წინადადებებში გვხვდება:

„ხაპისისხვანი რომ **მეესხა** კაკალსა და **ჩამუარდნილიყო**, **დამცემოდა**, მე გაცვდებოდიო“ (94; თუფუჩქი ნოქანი; ინეგოლის რაიონი“)

„იმფერი კაი ძროხა იყო, ევლიხან რომ არ **მეგეწველა**, ძუძუებიდან დენას დეიწყებდა მე“ (36; ინეგოლი)

„ზაათი სიხი იყო ტყე, ერთ კურდღელ **გეველო**, ვერ დეინახავდი“ (26; ინეგოლი)

II თურმეობითის გადმოცემულია აგრეთვე უნახავი აქტიც:

„ამის თქმელსაც ფარინა **აელო**“ (26; ინეგოლი)

როგორც ზემოთ მივუთითეთ, საკვლევ მასალაში არ შევხვდით III კავშირებითის მწკრივებს, შესაძლოა იმ მიზეზით, რომ III კავშირებითი თითქმის აღარ გამოიყენება და ის მხოლოდ დალოცვის სახის ფორმებშიაა შემორჩენილი.

### ლიტერატურა

**არაბული 1984** – ა. არაბული, მესამე სერიის წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი.

**ფუტკარაძე 1993** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, თბილისი.

**შანიძე 1953** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I გამოცემა, თბილისი.

### **Khatuna Kandashvili, Elene Tamazashvili**

## On the Conjugation of the Verbs of the Screeves of Series III in the Georgian Language of “Chveneburebi”

### Summary

The screeves of Series III are quite interesting in the Georgian language of “Chveneburebi” (Shushana Putkaradze, The Georgian Language of “Chveneburebi”, 1993). In the paper we pay attention to the conjugation of the verbs with the stem markers **-av** and **-am**. As usual, both types of verbs have the same model in Resultative I:

1. The conjugation is similar to Old Georgian:

"memre **muqitxvan**, vin çevs akao" (60; Inegol)

"**utkman**, rom sxua axali makinai mevтанot, is isakmebso" (60; Inegol)

2. The stem markers **-av** and **-am** are conjugated according to the literary norm:

"-rai insani **daminaxavs**, rai miça **daminaxavs**" (27; Inegol)

"niķolasac **utkuams**, čemtanmomiquanot" (201; Imerkhevi)

3. In Resultative I the forms where the ending **-ia** is added to the complex thematic unit can be found very often: **uķitx-v-ia**, **utk-m-ia**

The suffix **-ia** can also be found with the simple thematic unit:

"cida **utkvia** tamar dedoplitvin, okro aყar dasčomia" (176; Kobag)

The situation is the same with the auxiliary verb formation:

"dilas moყma ar **gavsulvar** ezoši" (40; Inegol)

Resultative II is rarely used and is conjugated according to the literary Georgian:

"xapisisxvani rom meesxa kaķalsa da **čamuardniliqo**, **damcemoda**, me gavdebodio" (94; Tupuchki Tokani)

"zaati sixi iqo tყe, ert kurdყel **geevlo**, ver deinaxavdi" (200; Imerkhevi)

## ნატო შავრეშიანი

### რთული თანწყობილი წინადადებისათვის სვანურში

სვანურში პარატაქსული წინადადების შემადგენელ თანასწორ წინადადებებს შორის სხვადასხვა აზრობრივი მიმართება არსებობს. რთული თანწყობილის კომპონენტ წინადადებათა ზმნა-შემასმენლებით შეიძლება გამოიხატოს ერთდროული მოვლენები, თანამიმდევრული მოვლენები, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობა ან დაპირისპირებულობა.

#### მოვლენათა ერთდროულობა:

**თხუმარ ჭუჷანდისგა ხეცხანხ ი კაცხარ გუალჷინ არდახ** (ზუ., სვან. ქრესტ., 36) „თავები კედელში იყო გარჭობილი („გაყრილიყვნენ“) და წვერები ბაგაზე იყვნენ“

**სგუებინ ხეხჷარ ხოჷრხჷ ლჷკილეღჷშ ი ლალჷალჷშ, ეჯარს მიჩა ნჷთი ღჷაჷარ ესჷიმხ ლატმურალჷშ** (ბქ., იქვე, 182) „წინ ქალები მიუძღვით კივილით და მოთქმით, მათ თავისი ნათესავი კაცები მიჰყვებიან სახის ხოკვით“

**ნამ ლგჯის ხჷარიდ ი ონღურიდ აგითე** (ლზხ., იქვე, 252) „ჩვენ ლუჯიში ვართ და მოვდივართ სახლში“

**ხოლა ტარჷს ლგმარ ი შუკჷს ბერი ასოდა** (ლნტ., იქვე, 294) „ცუდი ამინდი ყოფილა და გზაზე ნისლი ჩამოწოლილა („გზას ნისლი დაუდვია“)

**ამხე მეზუისა ლგძიე ხამ ხოგურანანხ ი ეჩხენ ლგქარ კანს ხოზნანდახ** (ჩოლ.) „აქეთა ეზოში დაკლული ღორი წამოეგორებინათ და იქით დაჭრილ ხარს უვლიდნენ“...

#### მოვლენათა თანამიმდევრობა:

**ამ ლღთ ლიმზირს ირომდა, აწიჷდა მეხჷბარარს ი ხოჩამ ლღთს ირომდა** (ზუ., იქვე, 113) „იმ დამეს ლოცვას ჩაატარებდა, პატიჟებდა თანამომძიებებს და კარგ დამეს ატარებდა („იქმოდა“)

**ალი ჟომგედ უბრალად ი ალმარდ ში ლოჷოდა ი ხოჩა ლადედ ხოქჷა** (ლზმ.) „ეს ამოსულა დაუბანლად და ამათთვის ხელი ჩამოურთმევია და მისალმებია“

**ეჩჷამხ ღოშგინ ფადღს, სგ'თჷდახ შგედი ლახჷისა, ჟ'ანხჷიტხ ლეკარ** (ლზხ., იქვე, 247) „გამოევიდათ უკან მდევარი, დაეწივნენ შგედის მთაში, ამოწყვიტეს ლეკები“

**მალფხარ ჩუ შიდეხ სიმინდს ი ქ'ანცეხჷეხ, ჩუ იშხჷნის ბედელისა ლგწმინდაჷეს** (ლნტ., სვან. ქრესტ., 296) გაზაფხულზე დაყრიან სიმინდს და დაბეგვავენ, ინახავენ ბედელში გაწმენდილს“

ყორს სტგლ ათადა ი სგანწყად მამტმნარ გაიოზ (ჩოლ.) „კარი გაი-  
ლო („კარს მჭექარე ხმა გაუვარდა“) და შემოვარდა მთვრალი გაიოზი“...

**მოვლენათა მიზეზშედევობრიობა:**

ღუნ ი ნაჭა ჩქესცჭირხ რუსალდ ი მინ აგით'ანჯადხ ლახენალუმ  
(ბზ., იქვე, 82) „ხბო და ჯაჭვი დაიტოვეს რუსებმა და თვითონ სახლში  
დაბრუნდნენ სიხარულით („გახარებულები“)"

ჯაშაჟდ ისლამ ჩუ ადგარ ამეჩუ ი აყმურზად ხანჯარ ხანგერ ჯა-  
შაჟს (ბქ., იქვე, 185) „ჯაშავმა ისლამი მოკლა აქ და აყმურზამ ხანჯალი  
გაუყარა ჯაშავს“

ეჟინენ ახვიშუდ ბუბადი თოფ ი ჩ'ოთდაგრა ნათხუიარე (ლშხ.,  
იქვე, 253) „ასე ესროლა ბიძიამაც თოფი და მოუკლავს ნანადირევი“

ემხუინ საჟარ ლოქ ამეკედხ ამეჩუ ამშა ლაქუთარდ ი თერალ  
ლგგენე ლოქ ასახუიახ სოფელს (ლნტ., იქვე, 293) „ერთხელ ოსები მო-  
სულანო აქ ამის მოსაპარად და დაბრმავებულები („თვალბმდგარი“)  
დახვედრიათ სოფელს“

გუშგუეარს ქა ლეტუ ხარახ ი ჩუალზიგელის ზაგალოდს სერ  
ეჩანლო (ჩოლ.) „ჩვენებს გასაქცევი გახდომიათ და დასახლებულან ზა-  
გალოდში მერე“...

**მოვლენათა დაპირისპირებულობა:**

იშგნაგი მამ ლასუხ ხოჩა შუკუარ, მარე წიბარარშუ ი მიჯჟრალშუ  
ხუიგჭად თხუმ ი ეჩონ ესღურდად (ბზ., იქვე, 149) „სხვაგანაც არ იყო  
კარგი გზები, მაგრამ წრიაპებით და ძალაყინებით ვიჭერდით თავს და  
ისე მივდიოდით“

ხეჭუდეღ ამის ჩიგუაშუ, მარე პასუხიხუს დემეგ ტიხე (ლხმ.) „ეკი-  
თხება ამას ყველაფერს, მაგრამ პასუხს არ აბრუნებს“

ოჩადდ ნათოფუნ, მარა ეჩშუნენ ზისხ დესა არდა (ლშხ., იქვე,  
253) „ავედით თოფის ნასროლამდე, მაგრამ იქ სისხლი არ იყო“

ხენწიფი გეზალ ლოქ ლი, მარე ეში ჩუ ლოქ ლეჭათუნე ხარ (ლნტ.,  
სვან. პროზ. ტექს., 145) „ხემწიფის შვილი ხარო, მაგრამ მაინც დასა-  
წყველი მყავხარო“

ბოფშარ აგის ოთცჟირა ი ჯაბ გინ ეშ ლახკინა ლანყაჟალთე  
(ჩოლ.) „ბავშვები სახლში დაუტოვებია და თვითონ კი წასულა გასარ-  
თობად“...

რთულ თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებული მარტივი და  
შერწყმული წინადადებები ერთმანეთს შეიძლება უკავშირდებოდნენ  
მაერთებელი კავშირებით ან უკავშიროდ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახ-  
მად, წინადადებათა კავშირიანი შეერთება უფრო გვიანდელი მოვლე-  
ნაა, ვიდრე უკავშირო. „ვარაუდობენ, რომ მარტივ წინადადებებს პირ-  
ველ ხანებში სვამდნენ ერთმანეთზე მიყოლებით რაიმე საგანგებო სი-  
ტყვებით დაკავშირება-გადაბმის გარეშე, ე. ი. უკავშირო შეერთება უფ-  
რო ადრინდელია, ვიდრე კავშირიანი“ (კვაჭაძე, 309).

სვანურის პარატაქსულ წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირთაგან  
ყველაზე ხშირად • „და“ კავშირი გამოიყენება:

ემხუ ბეფშუ ჩუ იგნი ლუკუნკუად ბაჩუცახან ი შიყ ჶემგმანუ ხარ

(ზზ., სვან. ქრესტ., 37) „ერთი ბავშვი მოკაკული დადგება ქვასთან და ზურგი უკან აქვს“

ჩი ტაბავს მიჩა-მიჩა მეღტინ ხაყა ი ეჯმინდ ხეკუტეს ჩიღს ჩუ ლახა-შახ ლეთრე (ლზხ., სვან. პროზ. ტექსტ., 54) „ყოველ სუფრას თავ-თავისი მეღვინე ჰყავს და მათ უნდა დააღვინონ ყველას სასმელი“

ალის მახე ლერქტარ ქ'ოხცადა ი სგა ხოწს' ეჯჟი ქორთე ი ნებოზდ ქეიფ ხარენახ ი ეჯჟი პატიოსანდ ჩ'ოხფიშჟდა (ლზხ.) „ამას ახალი ტან-საცმელი გამოუცვლია და ისე შეუპატიჟებია სახლში და სადამომდე ქეიფი ჰქონათ და ისე პატიოსანდ გამოუშვია („ჩამოუშვია“)

ალე ხმალი ლიხტიე მეტარ ხახადგნდა ი ლასი ეზარ ალ ხმალი (ლზხ., სვან. ქრესტ., 275) „ამ ხმლის მოგება („ხვედრება“) ძალიან უხაროდა და კარგიც იყო ეს ხმალი“

ლიცთე მესტფელაჲ ანჯად ი ეჯდარხენქა ენმეკრე ალ გტემ (ჩოლ.) „წყალზე სოფლელებიც მოვიდნენ და იმათგან გაიგო ეს საქმე“...

ხშირად მაჯგუფებელ-კავშირიანი თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილში გვხვდება ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, რომელთა კონკრეტული მნიშვნელობა გასაგები ხდება პირველ ნაწილში დასახელებული წევრის მიხედვით:

ლაყტბალაჲ ზანგლაჲჲ ქა ხოთრანდახ ი ეჩრ ჰერს მან გულ ჯედენდა (ზზ., იქვე, 95) „შეკრების ზარი გაირჩეოდა და მის ზარს ყველა ხვდებოდა“

მინ ესერ ბანარს სგალახპანჲ ი ეჩხანქა'ესერ ეზერ ლადგარ ხოჯდენიხ (ზზ., სვან. ქრესტ., იქვე, 96) „თქვენ ქვებს მოეფარეთო და იქიდან კარგი მოსაკლავი გაგიხდებათო“

მამტილ დემის ილგტარი ი აშიშ ლელჟ დადტლიშირიგ დემ ლი (ბქ., იქვე, 206) „მამალი არ გასუქდება და ამისი ხორცი დედალის ხორცისთანა ვერ არის“

ბაჰს ქტერწილ ლოქ ხარ ი ეჩოხ ლოქ ასაყა ლეზმენიდ (ლზხ., სვან. პროზ. ტექსტ., 147) „მღვდელს ქორწილი აქვსო და იქ მიმყავსო დასაკლავად“

ლგჭიდად ხაყახ ღუნ ი წანის ხანმეხ ი ეჯნოჟშ ხამთქვეხ ლიზოზხ (ლზხ., სვან. ქრესტ., 265) „დამწყვდეული („დამწყვდეულად“) ჰყავთ ხბო და ცუდბალახას აჭმევენ და იმით აჩვევენ ბალახს“

ალე მეზტბელურ ჯარკს დემ პგწკენტი ი ათხანჲ ამშა ლიმნარი მაკუა? (ჩოლ.) „ამ მეზობლის გარეშე პირს ვერ ვაღებ („ვაპობ“) და ახლაც მისი მოსმენა მინდაჲ“...

თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში დასტურდება უკავშირო შეერთება:

ამნემ სემი ლადელ ქ'ოთხანე, ეჩანლო ხამგერ ხანჯარ ი ქ'ანცგლგრე (ლზხ., იქვე, 282) „ამან სამი დღე დააცალა („დაახანა“), მერე ატაკა ხანჯალი და გამოფატრა“

სგ'ონწტედ სალიგტერდთე, ეჩეწუნე ეშხუ მედუქნე ემბტნდა (იქვე, 263) „შემოვედი სალიგვერდში, იქ ერთი მედუქნე დამხვდა“

სგა ლამბტნდახ მოსწ'დ მიჩა მეხტ, ქა ლემბტი მდა მიშტტი ჯაცა





რო მიებანი, 2011).

ეჯიარ აჩადხ ცხეკთე, ჯეე გინ აგის ასად (ჩოლ.) „ისინი წავიდნენ ტყეში, თვითონ კი სახლში დარჩა“

ქაშ კუმაში ლაჯდათე ემჩედ, ეხუტ გინ აგის ოთცტორა (ჩოლ.) „ქმა-რი საქონლის მოსაყვანად წასულა, ცოლი კი სახლში დაუტოვებია“

მი ჟ'ოხტეკუდ ლეზობი ლამარას, ალე გინ ჩტალპრანჭყელი ლაყტრაჟი (ჩოლ.) „მე მოვუნდი საქმლის მზადებას, ეს კი წამოკოტრი-ალეზულა ლოგინზე“.

ყურადღება უნდა მივაქციოთ სვანურში ზღაპრის ტექსტებში წარმოდგენილ ისეთ წინადადებებს, რომლებიც ფორმალურად პარატაქსული წინადადებების მსგავსია და სადაც ორი წინადადების ერთმანეთთან დასაკავშირებლად წარმოდგენილია **o** „და“, კავშირი:

**ჯამზერახ ღერთემ ი არი ეშხუ მეთხჟიარ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 283) „დაგლოცოთ ღმერთმა და არის ერთი მონადირე“

**ლგზგერჟუ ხიმდ ი ალა ლი ეშხუ მარე** (ზხ., იქვე, 163) „დალოცვილიმც ყოფილიყავით და ეს არის ერთი კაცი“

**აცამზერახ ღერთემ ი ეჯმინემ ლიჯედალუ ხორდგუნად ღერ-ბათჟ!** (ლნტ., იქვე, 345) „დაგლოცოთ ღმერთმა და იმათ მოსვლამდე გაცოცხლოთ („უმყოფებიხართ“) ღმერთმა („ღმერთს)!“

თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ეს წინადადებები ერთმანეთის მიმართ არ არის თანასწორი, რადგან პირველი წინადადება წარმოადგენს მიმართვას (მიმართვას ცალკე, თუ მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ, წინადადებაში სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს) და, ჩვენი აზრით, არც ეს **o** (თითქოსდა კავშირი) არ ასრულებს კავშირის ფუნქციას. აქ საქმე გვაქვს გაბმული მეტყველების დასაწყისთან, კერძოდ, თხრობის დასაწყისში გონების კონცენტრაციის დროს შეყოვნებასთან და ეს **o** სწორედ ამბის გადმოცემის საწყის ეტაპზე წარმოქმნილი პაუზის გამომხატველი უნდა იყოს. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოდგეს ლენტეხურ ტექსტებში დადასტურებული ილუსტრაციები, სადაც მსგავს წინადადებებთან დაცულია ორთოგრაფიული კანონზომიერება და პირველ წინადადებასთან (მიმართვასთან) ჩვეულებრივ წარმოდგენილია ძახილის ნიშანი და მომდევნო წინადადება იწყება ხსენებული **o** - თი, რომელიც კავშირი არ უნდა იყოს:

**ჯამზერახ ღერთემ! ი არი ეშხუ გარდატყუჟ** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 216) „დაგლოცოს ღმერთმა! და არის ერთი მატყუარა“

**ჯამზერახ ღერთემ! ი არი ეშხუ მგლეჩხჟიმ ღვრიბ** (იქვე, 227) „დაგლოცოთ ღმერთმა! და არის ერთი ლეჩხუმელი ღარიბი“

უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესწილად ლენტეხურში (სხვა დიალექტებშიც) მსგავსი სემანტიკის შემცველი წინადადებები ცალ-ცალკე წინადადებებად არის გამოყოფილი და **o**-ს გარეშე იხმარება. ასეთი პაუზის გამოსახატავად გაბმულ მეტყველებაში, საუბრისას, სვანურში ხშირად **o**-ს ენაცვლება **გ**, თუმცა სვანურის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებში აღნიშნული ბგერა არ გვხვდება.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მიმართვა მომდევნო, ბოლო

წინადადებას წარმოადგენს ზღაპრის დასასრულს, მაგ.:

**ბაბა დაჭედ ხოჩა ლირდე-ლიზგე ადვიდ ი ახსამეზრახ ღერთემდ!** (ლნტ., იქვე, 125,15) „ბაბუა დევმა კარგი ცხოვრება-ყოფა გალია და დაგლოცოთ ღმერთმა!"

**ხოჩა ლირდე ედვიდ ი ჯიმზგრახ ღერთემ!** (ლშხ., იქვე, 85,1) „კარგი ცხოვრება გალიეს და ღმერთმა დაგლოცოთ!"

სვანურში მაპირისპირებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება **მარა|მარე|მა**, რომელიც ფუნქციით ქართული **მაგრამ** კავშირის შესატყვისია:

**დადშო ჯაფრანს ემდ ღეთ ხარა ლგდგარ ლატლარ, მარე გუი დეშგდ ხარა ლგჭუე** (ბზ., სვან. ქრესტ., 76) „დადშის ჯაფრანს ათამდე ლატალელი ჰყოლია მოკლული, მაგრამ გული კვლავ არ ჰქონია მოოხებული"

დესამა ენმეკრე ალ მწრად, **მარა** ჩაფლარს ლახსინჯუე ი ჩტათორ მიჩა გეზალ (ლშხ., იქვე, 289) „ვერაფერი გაიგო ამ კაცმა, მაგრამ ფეხსაცმელებს გახედა და იცნო თავისი შვილი"

ექქა დაჭე ჟამეჩედელი ლარმიდ, **მარე** ჩუ მწმ ათორმა (ლნტ., იქვე, 141) „მაშინ დევი ასულა დასაჭერად, მაგრამ ვერ დაუჭერია"

ძღედ შუკუტს ოთგან ლგჰოჭდ, **მა** ეშ დესა ხამურჯდა დემე ლიშტემს (ჩოლ.) „დიდ გზას გაუდგა ოჯახიანად („ოჯახის ყველა წევრიანად"), მაგრამ მაინც არ აპირებდა არსად შესვენებას"...

სვანურში, როგორც მასალამ აჩვენა, **მარა** „მაგრამ" კავშირი იწყებს ყოველთვის თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს და აპირისპირებს მას პირველთან. ზოგჯერ აღნიშნული კავშირი მომდევნო წინადადებას აპირისპირებს სხვა ჯგუფის მაერთებელი კავშირებით შეერთებულ წინადადებებთან:

ლწთი-ლწჰმათეიდ ოჩტადდ ი ჟორა ი ჯულაბ ტიტტელ აჭმახ, **მარე** ლეჭმად ხოლა ლემგრხელ ანხტიდ ეჯ ლადედ (ბქ., სვან. ქრესტ., 209) „სამკალ-სათიბად წავედით კვლავ და ჟორა და ჯულაბი ტიტველი თიბავდნენ, მაგრამ სათიბად ხრიოკი ადგილი შეგვხვდა („ცუდი საქინჭრე") იმ დღეს"

მწა მადდარ გტადა ლწუი, მწა მადწარე ხტასდ, **მარა** ღომდ ნაქიმურ დარ იშგდახ ლიტეხს (ლშხ.) „ხან მშიერს გვიწევდა წასვლა („გვქონდა სასვლელი"), ხან მწყურვალიც ვიყავით, მაგრამ უკან ხელცარიელი („ნამატის გარეშე") არავინ კადრულობდა („კადრულობდნენ") დაბრუნებას"

მოცქტილს მოცქტილჟი ხოზხადა, ქტეყანაჟი ლგთიმ ღტაჟარს ხათშგდა, **მარა** ეშ დეშ ოთლიკტე გუი (ჩოლ.) „შუამავალს („მოციქულს") შუამავალზე უგზავნიდა, ქვეყანაში გამორჩეულ კაცებს არჩევდა, მაგრამ მაინც ვერ მოუღბო გული"...

რამდენიმე წინადადებისგან შემდგარ თანწყობილ წინადადებათაგან ზოგჯერ **მარე** „მაგრამ" კავშირი შუაში მოქცეულ წინადადებას აკავშირებს და აპირისპირებს პირველთან, ხოლო მისი მომდევნო წინადადება მაპირისპირებელკავშირიანი წინადადების სემანტიკის გაგრძელებაა:

მგრზას ღალ შიბ ათქეცა ი სახშტირ ქუთულარქა ლახჭონენა, მარე ეჯღაი ჟ'ახწინენა ი დჷტ ჩ'ოთდაგრა (ლხმ.) „საწყალ მურზას ზონარი გასწყვეტია და შარვალი მუხლებზე შემოჰხვევია, მაგრამ მაინც მორე-ვია და დევი მოუკლავს"

ხტჷჲ ხოთხელნა, მარე დემე მოშ ითხე ი ღოშკინპილს ჟ'ასაგან ეშ-ხუ მარა მოჯამაგირდ (ლნტ., სვან. ქრესტ., 389) „ბევრი უძებნია, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა და ბოლოს დაუდგა ერთ კაცს მოჯამაგირედ"

ქ'ესპირეხ სგობნე მეზგემი ლიტული, მა ჟ'რტედ ენიედრეხ აჯახ ფადსოზ ი ქ'ანდ ოთრგანხ შუკუს მუსი ლაჭბუშ (ჩოლ.) „დააპირეს წი-ნა მოსახლის დამახება, მაგრამ ისევ გადაიფიქრეს სტუმრობა („შეკრე-ბულობა“) ახმურება და კვლავ გაუდგნენ გზას თოვლის გაკვალვით".

რთულ თანწყობილ წინადადებებს შორის დაპირისპირებულობას, ხშირ შემთხვევაში, აძლიერებს მარა „მაგრამ“ კავშირთან ერთად ემი||ემი||ეჯღა||ეჯღა „მაინც“ ნაწილაკი, რომელიც ხან უშუალოდ მო-სდევს კავშირს, ხან სხვა წევრებით არის კავშირისაგან გათიშული, მაგ.:

შიყი ურწჷად ხტამშაედ მ'ნ მიშგტი ჭამ, მარე ეშნ დესამა გულტა (ლშხ.) „თავდაუზოგავად („ზურგის გაუმართავად“) ვმუშაობთ მე და ჩემი ქმარი, მაგრამ მაინც არაფერი გვაქვს"

ჲმიშ ლჷყტფჷს ჲხტჷჲჲ ამირჷან, მარე ჟი დემ ახყტიფ ეჯღაჲ (ბქ., სვან. ქრესტ., 214) „ამის ამოდრობას შეეცადა ამირანი, მაგრამ ვერ ამო-ადრო მაინც"

ხტაჭიმის ხალმოშ მეემედან, მარა ჭიშხმაზგარ დემ ლოხტინდენ ეშნ (ჩოლ.) „მივდევი რაც შემეძლო, მაგრამ ფეხმტკივანი ვერ დავეწიე მა-ინც"

დარ ესჲმ მისკეთე, მარა ეჯღაჲ ლემოჯმაგინ მარ ქორ-მეზგად (ჩოლ.) „არავინ არაფერს მიკეთებს, მაგრამ მაინც უნდა ვემსახურო ოჯახს („სამოჯამაგირეო მაქვს სახლ-ოჯახისთვის")..."

პარატაქსულ წინადადებებში ხშირად გამოიყენება მაცალკევებე-ლი კავშირები: ბზ. იედ – იედ||ედ – ედ „ან – ან“, ბქ. ხედ – ხედ, ლხმ. ჰედ – ჰედ „ან – ან“, ლშხ., ჩოლ. იეს – იეს||ედს – ედს||ეს – ეს „ხან – ხან“, ლშხ. მაჲ – მაჲ, ჩოლ. მაჲ – მაჲ „ხან – ხან“, ბზ. მჲჲ – მჲჲ, ბქ. მჲ – მჲ „ხან – ხან" ხშირია მათი გამეორების შემთხვევები ხშირია თანწყობილი წინადადების ნაწილებში.

მაჲ „ხან" მაცალკევებელი კავშირი, ძირითადად, განმეორებულად იხმარება და ზოგჯერ მასთან ერთად წარმოდგენილია o „და" კავში-რიც. ასეთ თანწყობილ წინადადებაში აღნიშნული კავშირი ხან თავშია მოქცეული, ხან წინადადების შუაში, ხან კიდევ მთლიანი წინადადება უსწრებს წინ:

მჲ ბეფშტიშ ლიგტნი ისმიტ, მჲ ზურჷლჷშ კილ შყედნიტ (ბქ.) „ხან ბავშვის ტირილი ისმოდა, ხან ქალის კვილი („კვილი ვარდებოდა")"

მჲ დეტეე ისგდინიტ ლგმბჷჷ, მჲ გიმიშ ლიძგტებს იტდიტ შგტირტშ (ლხმ.) „ხან ცისკენ იყურებოდა გაკვირვებული, ხან მიწის გასკდომას ნატრობდა სირცხვილით"

მაჲ მაიდარ გტჷდა ლჷზი, მაჲ მაფნარჷ ხტასდ, მარა ღოშდ ნაქიმურ

დარ იშგდახ ლიტებს (ლშხ.) „ხან მშვირებს გვიწევდა წასვლა („გვექონდა წასასვლელი“), ხან მწყურვალის ვიყავით, მაგრამ უკან ხელცარიელი („ნამატის გარეშე“) არავინ კადრულობდა („კადრულობდნენ“) და ბრუნებას“

ამკა ხოლა ლინთჷ ხობა ამჩუ, მან მუსს ოსღჷად ი მან ბიქტ გტიტყნრე კურხჷალისა (ჩოლ.) „ასეთი ცუდი ზამთარი იცის აქ, ხან თოვლი წაგვლევავს ხოლმე, („თოვლს მივყავართ“) და ხან ქარი გვწეწავს („გვიწევს ყინვებში“)

**აეს** მერტყეტელიაჲშ ალგნძაჲდა, **აეს** ეჩა ფას დარ ხანდა (ლშხ.) „ხან მატყუარათი ლანძღავდა, ხან მისი ფასი არავინ ჰყავდა („ჰქონდა“)

**აეს** ნაუჷებას ხაბრალდა მიჩა ნაგლახაის, **აეს** ლეგლირდას იმზეზდა (ჩოლ.) „ხან მოუცლელობას აბრალებდა თავის სიგლახეს, ხან ავადმყოფობას იმიზეზებდა“...

სვანურში **ჰედ|აედ|ედ** „ან“ კავშირი, ძირითადად, განმეორებით იხმარება (თუმცა გვხვდება ცალკეც) და გულისხმობს თანწყობილი წინადადეგების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთის არჩევას, ან ერთ-ერთის შესრულების შესაძლებლობას სხვების გამორიცხვით, აღნიშნულ კავშირთან ერთად შესაძლებელია შეგვხვდეს **ი** „და“ კავშირიც:

**ჰედ** თხეროლრე ლეგლგრად ისყი, **ჰედ** დაშდჷარ ადტრაკატუნეხ ცხეკლისგა (ლხმ.) „ან მგლების დასაგლეჯად გახდება, ან დათვები დატორავენ ტყეში“

**აედ** ლამდაბთე ხელკრლ მიშგჷა ბუბას **ი აედ** ემზუდ ღვრდახ ნეზოზს კუმაში ლახლოთე (ლშხ.) „ან საქმეზე გამოუვლიდა ბიძაჩემს და ან ერთად მიდიოდნენ სადამოს საქონლის დასახვედრად“

ალე ტიშარუ **აედ** მაიდჷშ ანკდენის, **აედ** მახნრა ლენჷოლჷანნეხ ქა (ლშხ.) „ეს ტილიანები ან შიმშილით ამოწყდებიან, ან მუნი გაიყოლებთ“

დეამ იცჷრე ლჷთჷშ ლექჷემს, **აედ** საბანს იმყჷფე ქა (ჩოლ.) „არ იტოვებს დამე ჩასაცმელს, ან საბანს გადაიხდის ხოლმე“

მახჷშის ხოწუნდა ქორა ლითხჷმი ი ლჷქჷსგ მან **ანს** ხან ლეჩჷმე ი **აედ** იმე ხანდ ლეშდაბ (ბზ., სვან. ქრესტ., 24) „ოჯახის უფროსს უწევდა სახლის მართვა და თქმა, ვის რა ჰქონდა გასაკეთებელი და ან სად ჰქონდათ სამუშაო“...

რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, აქ **ხედი** „ან“ კავშირს ენაცვება სემანტიკით იდენტური **მადეა** „ანდა“ ფორმა, რომელსაც, ასევე, წინ შეიძლება **ი** „და“ კავშირი უძლოდეს, მაგ.:

**ხედი** მი ღური, **მადეა** სი ადერ აღწრცახან (ბქ.) „ან მე წავალ, ან შენ წადი ამათთან ერთად“

**ხედი** დშდჷ ადცვრგლისგ ი **მადეა** თხერემი ბედიშდ ენსყი (ბქ.) „ან დათვი დაგლეჯს, ან მგლის კერძი გახდება („მგლის ბედისად გაკეთდება“)...

სვანურში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება **ა** „თუ“ მაცალკევებელკავშირიანი პარატაქსული წინადადეგები:

გაცხადდ ჩოთთჳიფ Ⴕ ხირტყჳელწლდ ლწთაშწწლწ (ლწხ.) „მარ-  
თლა დაუკარგა, თუ იტყუებით გუშინდელივითწ“

ჳწტიხაჲ კოჯხენჳი ნამდაგწრუას Ⴕ დეამ ანიესნახ სერდესწ (ჩოლ.)  
„ამოიტანდნენ კლდიდან მკვდარს, თუ არა იდარდებდნენწ“

აღნიშნული კავშირი თანწყობილის ნაწილებს კითხვითობის სე-  
მანტიკას ანიჭებს.

ქვემოსვანურში ხშირია ქართულის **გინდ** მაცალკევებელი კავში-  
რის გამოყენება რთული თანწყობილი წინადადებების დასაკავშირებ-  
ლად, თუმცა პარალელურად გვხვდება საკუთრივ სვანური **ჯაკუ** „გინ-  
და“ ვარიანტიც:

**გინდ** ზოგლექჳა ეწყიმას თხუმ, **გინდა** სგწთსკინას ლწშხურთე  
(ლწხ.) „გინდ ხიდიდან ჩამოიხრჩოს თავი, გინდა ჩახტეს ცხენისწყალ-  
ში“

ლაგჳანთე **გინდა** სი ადერ ნწთუარალცახან, **გინდა** მი ოთქემნი ძი-  
ნარს სოფლი ხალხს (ჩოლ.) „გასვენებაში გინდა შენ წადი ნათესავებთან  
ერთად, გინდა მე გავყვები დილას სოფლის ხალხს“

**ჯაკუ** ლერექჳი ლაყიდ თეთრს ჯწჳდი, **ჯაკუ** ქა ჯუფშჳდე ექ-  
სკურსიათე (ლწხ.) „გინდა ტანსაცმლის საყიდ ფულს მოგცემ, გინდა  
გაგიშვებ ექსკურსიაზე“

კინჩხჳ ჯიშგობა, **ჯაკუ** ალთას ადე ი **ჯაკუ** ლმშტუტახს ხომგრ  
(ჩოლ.) „კისერიც გიტეხია, გინდა ალთას წადი და გინდა უკანმოუს-  
ვლელს ეძგერე“.

პარატაქსულ წინადადებაში უკავშირო შეერთების ერთ-ერთ ძი-  
რითად საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. სვანურში ხშირია რამ-  
დენიმე თანასწორი წინადადების უკავშირო შეერთების შემთხვევები,  
მაგ.:

**ჩწწზე ლახმვლს ლი ნენსგალისგა სწფ, სწფლისგა ლგვ ზესხ, მიჩა**  
გგრკდიშენ **ჩიწგ ლსგწრა ბაჩწრ** ლგვ (ბქ., სვან. ქრესტ., 185) „ქვედა  
ლახამულაში არის სოფლის მოედანი, მოედანზე დგას ცაცხვი, მის ირ-  
გვლივ ყველგან დასაჯდომი ქვებია („დგანან“)"

**ქწთჳამდ კოჯქა, ხიარ ომყუადდ კოჯჩუ, ჳედ გარ ოჩწადდ ქა,**  
**თგმი აწწად სურუ** (ლხმ.) „გამოვედევნეთ კლდეზე, კინაღამ გადავვარ-  
დით კლდეზე, ძლივსდა გავედით, ძალიან გაგვიჭირდა („თმენა მოვი-  
და“)"

**დესო ქრისტე ლექჳაშხენ აღმწზლი, ჯორჳი ხასკურენა, ქვეყანას**  
**ლგმწშენწჳლი, დეშმწ ლექჳაშხენ აღმწზლი ქჳეყანაწღ ლწშენწჳიხენ** (ლწტ.,  
სვან. ქრესტ., 295) „იესო ქრისტე ქვემოდან მოდიოდა თურმე, ჯორზე  
მჯდარა, ქვეყანას ანაშენიანებდა, ეშმაკი ზემოდან მოდიოდა თურმე  
ქვეყნის აშენებიდან“

**ხოშა ნაღადდ ჳიჳჳაჳს გჳაყა ლანხუბ, თბილისს არიხ, ქუთაშ,**  
**ხონს** (ჩოლ.) „უფრო მეტად ჳივჳავში გყყავს სამმო, თბილისში არიან,  
ქუთაისში, ხონში“...

სვანურში ხშირად გვხვდება ისეთი პარატაქსული წინადადებები,  
რომლებიც სამ და მეტ თანასწორ წინადადებას შეიცავს და ამ წინადა-  
დებათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამოყენებულია სხვადასხვა

კავშირები, თუმცა ზოგჯერ ბოლო წინადადებასთან გვხვდება უკავშირო შეერთების შემთხვევებიც:

დედე დესა ხაშიყიდა ი მიჩა მუს დეშომა ხოჟბუნ, მამა ლაბნრგათე აზოგდახ, მამა ლაფაცხთე აკუნახ ჟმად (ჩოლ.) „დედა არ ახსოვდა, მამამის კი არასდროს ეცალა, ხან სათოხნელად აგზავნიდნენ, ხან საფარცხავად აგდებდნენ უჭმელად“

შუკუტისგა ესნარილდამ ჩაჟ ესთახან მოლაგტაშუ, ლამბინე ლიპრელ ი ლიქინე, იმახათს ჰინგირ ქახსიპუნან, ქანშყად, მარე ეშხუ ჰიშხ აჟჟენდისგა ლახსად (ბჟ., სვან. ქრესტ., 192) „გზაში თურმე ცხენი მოედო რაღაცას, დაიწყო ხტუნაობა და სირბილი, იმახათს უნაგირი შემოუტრიალდა, გადმოვარდა, მაგრამ ერთი ფეხი ავჟანდში შერჩა“

აშხუ დტრეტჟა ეზერ თემ ლემარხ, მარე აშხუნლო ქამხეტეტელიხ, ეშხუ მეზგე გარ ამსედელი (ბზ., იქვე, 98) „ერთ დროს კარგი თემი ყოფილან, მაგრამ კარგა ხნის მერე ამოწყვეტილან, მარტო ერთი ოჯახი დარჩენილა“...

რაც შეეხება ზღაპრებს, ვინაიდან აქ გაბმულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ცხრა და მეტი თანასწორი წინადადების შემცველი რთული თანწყობილი წინადადებები სვანურში:

დედუ ლოქ წიწილს ლახრდი, წიწილს ლოქ კაჩუს ოთჯიდე, კაჩუ ლოქ ჯირას ათყარ, ჯირა ლოქ შგუიზს ლახრდი, შგუიზს ხამს ოთჯიდე, ხამ ლოქ ქულას ლახრდი, ქულას ლოქ ქანშტერნი, სგა ლოქ ოთკუნნე მიჩა კერძმარა ტიშილს ი ჟი ლოქ ენყენე ნიცხენჟი (ლშხ., იქვე, 274) „დედალი წიწილას მომცემსო, წიწილას ჩხიკვს წავუღებო, ჩხიკვი მუხას შეეშვებო, მუხა რკოს მომცემსო, რკოს ღორს წავუღებო, ღორი ჯაგარს მომცემსო, ჯაგარს დავგრეხო, ჩავუგდებ ჩემ ძმობილ ტილსო და ამოვიყვანო წყლიდან“

ნიც ოხვიშუდ ლარას, ლარად ჰემ ლახრმ, ჰემ ფურს ოთჯიდ, ფურდ შჟელ ლახრმ, შჟელ ციცუს ოთჯიდ, ციცუ შდღუგუს ეთყარ, შდღუგუ ჟორმოს ეთყარ, ჟორმოდ ფეტუ ლახრმ, ფეტუ დედუს ოთჯიდ, დედუდ წიწილ ლახრმ, წიწილ კაჩუს ოთჯიდ, კაჩუ ჯირას ეთყარ, ჯირად შგუიზ ლახრმ, შგუიზ ხამს ოთჯიდ, ხამემ ქულა ლახრმ, ქულა ქანშტერნე ბაგრდ ი სგ'რთკუნარ ნიცთემსა მიჩა კერძმარა ტიშილს (ლშხ., სვან. ქრესტ., 274) „წყალი მიუშვა მინდორს, მინდორმა თივა მისცა, თივა ძროხას მიუტანა, ძროხამ შრატი მისცა, შრატი კატას წაუღო, კატა თაგვს შეეშვა, თაგვი ორმოს შეეშვა, ორმომ ფეტვი მისცა, ფეტვი დედალს წაუღო, დედალმა წიწილა მისცა, წიწილა ჩხიკვს მიუტანა, ჩხიკვი მუხას შეეშვა, მუხამ რკო მისცა, რკო ღორს წაუღო, ღორმა ჯაგარი მისცა, ჯაგარი დაგრინა თოკად და ჩაუგდო წყალში თავის მოყვარე ტილს“.

რთულ თანწყობილ წინადადებებში უმეტესწილად ერთიდაიმავე დროისა და კილოს ფორმებია გამოყენებული, ერთი და იმავე მწკრივის, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა ეს იდენტობა დაირღვეს და წინადადების ნაწილებში სხვადასხვა დროის გამოხატველი ზმნა-შემასმენლები შეიძლება დადასტურდეს, მაგ.:

აშხუნ ლეზტბემი ლამრად თანაშემწე **ადგენებ**, მინ ლათხლოთედ **აწადხ** (ბზ., იქვე, 146) „ერთხელ საჭმლის მოსამზადებლად თანაშემწე დააყენეს, თვითონ კვლავ საძებნელად წავიდნენ“

ალი **ადკუიჰ** ა დინად ი **აჰვგრან** მიჩა ბაბას (ბქ., იქვე, 157) „ეს გა- იგო ამ გოგომ და შეეხვეწა თავის ბაბუას“

**ოხტაბე** კიბდონ ი **აშმე** ამეისგა ალი ი ამთეისგა მეკდეს **ჩუაჟუუნე** ჩი (იქვე, 226) „გამოუთალა კიდობანი და უკრავს ამაში ეს და ამაში შემოსულს აძინებს ყველას“

მი დოხტურდ **ღური**, ქორს ი ლირდეს **ქა ჟოდი** ი დოხტურიშ ლე- რექუს **ჟი ხუიყდი** (ლშხ., იქვე, 286) „მე ექიმად წავალ, სახლს და ცხოვ- რებას გავყიდი და ექიმის ტანსაცმელს ვიყიდი“

დემ **იჩმედა** ალ ჭყინტ, მარა **ძალა ხაყერ** ი **სგა ეხბერგანდა** ი **ჩუენ- ნახე** მეჩი მარე (იქვე, 281) „არ შვრებოდა ეს ბიჭი, მაგრამ დააძალა და დაეჭიდა და წააქცია („მოიტნია ქვეშ“) მოხუცი კაცი“

ალიარდ ლასკნალუმ **ადიებ** ნეპოლა დალე ი **ქოსტუიებ** ლექაჩქა ლახროტიდ (ჩოლ.) „ამათმა ხტუნვით წაიღეს ჩიტის ფრთა და მოუსვეს ჭრილობაზე მოსარჩენად“

ძინარუნლო **ხექაზნიელ** მეტრალას, მარა მექაფ ნეპოზს მუმგურალ- ცახან **ლეათგრე** (ჩოლ.) „დილიდან თავს არიდებს მსმელებს, მაგრამ სამაგიეროდ სადამოს დალევს სტუმრებთან ერთად“.

თანწყობილი წინადადებების ნაწილებს მოეპოვებათ საერთო სი- ტყვა, რომელიც წარმოდგენილია პირველ ნაწილში, მეორეში კი გამო- ტოვებულია და იგულისხმება იმავე ან სხვა წევრად:

დაფის მორსალე მეშდემიშდ ალ მორსალ შეყ ლეჟა ლოხშნდა ი ლაყერუმ **ოხკუნრა ყორქა** (ლშხ.) „დაფის ნამცეცების შემყრელისთვის ეს ნამცეცები ზურგზე მიუყრია და ცემით გამოუგდია კარში“

ხეფრებალდახ ღალ **გიგალუ** ლამბაშლას ი ღერბათს ხეკურალდახ ალიარე ხოჩამდ ლირდეს (ჩოლ.) „ეფერებოდნენ მამიდები შვილიშვი- ლებს და ღმერთს ევედრებოდნენ მათ კარგად ყოფნას“.

თუმცა არის შემთხვევები, როცა აღნიშნული საერთო წევრი მეო- რე წინადადებაშიც მეორდება:

**ალე ხმალი** ლიხტიე მეჟარ ხახადგუნდა ი ლასი ეზარ **ალ ხმალ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 275) „ამ ხმლის წილად ხვდომა („ხვედრება“) ძა- ლიან უხაროდა და კარგიც იყო ეს ხმალი“

ესრენიშ ლემარ შტეკმაზგარ **დამტუ** ი ქახოლუმა **დამტუს** ბესოიშ- ხო (ლნტ., იქვე, 307) „თურმე ყოფილა კბილმტკივანი დათვი და გამო- ქცეულა დათვი ბესოსკენ“

**დინა-გეზლირ** გარ ლემოდან ი ჟ'ი ალე **დინაგეზლირდ** ემონანეხ (ჩოლ.) გოგოები მარტო შემეძინა და მოვლითაც ამ გოგოებმა მოძიარეს“

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, სვანურის პარატაქსულ წინადადებებში საკავშირებელ საშუალებად, ძირითადად, გამოიყენება **ი** „და“ მაჯგუფებელი კავშირი, რომელიც ხშირად ითავსებს მაპირის- პირებელი კავშირის ფუნქციასაც, ვინაიდან „**კი**“ და „**ხოლო**“ კავშირები

სვანურში თანწყობილ წინადადებაში არ გვხვდება, მათ ამ სემანტიკით ან **ო** „და“ კავშირი ენაცვლება, ან მოვლენათა დაპირისპირებულობა უკავშირო თანწყობილი წინადადებებით გამოიხატება. თუმცა აღნიშნული კავშირი არ დაისმის თანწყობილის რომელიმე წინადადების შუაში, ან ზმნის წინ, როგორც ეს „**კი**“ კავშირს ახასიათებს, არამედ სწორედ ისე იქცევა, როგორც **ო** „და“ კავშირი და მერთებელი კავშირის ადგილას გვხვდება. სვანურ პარატაქსულ წინადადებაში **კი** კავშირის ფუნქციით გამოიყენება **გინ**- ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სარკაზმის სემანტიკას და რთულ თანწყობილ წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს. სვანურში, სევე, ხშირია მაცალკეებელ კავშირებთან **ო** „და“ კავშირის ხმარების შემთხვევებიც, მსგავსი მოვლენა დასტურდება ქართულშიც, თუმცა არა ასეთი ინტენსივობით.

სვანურ ზღაპრის ტექსტებში წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც ფორმალურად **ო** „და“, კავშირიანი პარატაქსული წინადადების მსგავსია, ერთმანეთის მიმართ არ არის თანასწორი და, შესაბამისად, თანწყობილ წინადადებად არ განიხილება, რადგან პირველი წინადადება წარმოადგენს მიმართვას და არც **ო** არ ასრულებს კავშირის ფუნქციას. იგი ამბის გადმოცემის საწყის ეტაპზე წარმოქმნილი პაუზის გამომხატველია.

### ლიტერატურა

**კვაჭაძე 1977** – კვაჭაძე ლ. „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, თბ., 1977

**სვანური პროზაული ტექსტები 1939** – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბ., 1939

**სვანური პროზაული 1957** – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბ., 1957

**სვანური პროზაული 1957** – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბ., 1967

**სვანური პროზაული 1979** – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, თბ., 1979

**სვანური ენის ქრესტომათია 1987** – სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978



**Nato Shavreshiani**

**On the Compound sentence in Svan**

Summary

In Svan the simultaneous or consistent events, the cause or the results of the events or their opposition can be expressed by the verb-predicates of the clauses of a compound sentence. As usual a connector is a conjunctive conjunction **i** “and” that also has a function of an adversative conjunction as there are not the connectors **ḡi** and **xolo** (both meaning “while”) in the Svan compound sentence. The said connectors are interchanged with the connector **i** “and” or the opposition of the events are expressed by a compound sentence without connectors. In this case the connector is not placed in the middle of a clause or before a verb like the connector **ḡi** (while). It is found in the place of a conjunctive conjunction.

## ნინო შარაშენიძე

### „უნდა“ მოდალური ფორმის ეპისტემიური მნიშვნელობისათვის ქართულში

#### შესავალი

მოდალობის კატეგორიის კვლევისათვის ქართულში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმ ენობრივი საშუალებების გამოკვეთა, რომლებიც მოდალობის კატეგორიის მუდმივ მაწარმოებლად გვევლინება. ამგვარი ფორმების მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ მათ ყველა შესაძლო კონტექსტში მოდალური მნიშვნელობა შეაქვთ. თუ რა მნიშვნელობაა ეს და რა ქვესახეობებს მოიცავს ის სხვადასხვა წინადადებასა თუ დისკურსში, ეს უკვე საფუძვლიანი კვლევის ცალკეული ეტაპებია.

მოდალობის კატეგორიის გამომხატველ მთავარ ფორმებად ქართულ ენაში ჩანს **ნდომა** და **შეძლება** ზმნები (ჰარისი, 1995; ჯორბენაძე 1993; შარაშენიძე 1999), ასევე ნაზმნარი მოდალური ელემენტები, რომლებიც აქამდე გრამატიკაში ნაწილაკების სახედლებით გვევლინებოდა. ასეთებია: **ეგებ** (< ეგების ზმნისაგან მიღებული), **იქნებ** (< იქნების ზმნისაგან მიღებული), **ლამის** (< ლამის ზმნისაგან მიღებული). მოდალობის სიტემის ანალიზისას ასევე გასათვალისწინებელია ის ნაწილაკები, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციითა და სემანტიკური დატვირთვით ქმნიან სხვადასხვა მოდალურ შინაარსს და თითოეული მათგანი კორპუსზე დაყრდნობით ახალ კვლევებს მოითხოვს. ასეთებია: კითხვითი წინადადებების მოდალური სემანტიკის გამომხატველი ნაწილაკები: **განა, ნუთუ, აკი...** პოლიფუნქციური **მაინც** და მოდალობის სხვადასხვა სახეების გამომხატველი **თითქმის, თითქოს, კინაღამ** ნაწილაკები. მოდალური კატეგორიის გამომხატვისათვის ქართულის მნიშვნელოვან მახასიათებლად ჩანს უარყოფის კატეგორიის სრულიად თავისებური სისტემა, რომელიც ასევე საჭიროებს სიდრმისეულ შესწავლას: **არ** – ნეიტრალური ან კატეგორიული უარყოფა, **ნუ** – აკრძალვითი უარყოფა და **ვერ** – შესაძლებლობის უარყოფა. მოდალობის გამომხატველ ყველაზე ძლიერ საშუალებად, ისე როგორც მრავალ ენაში, ქართულშიც გვევლინება **კილო**, რომელიც ენის ზმნურ სისტემაში ფუნქციურ-სემანტიკურად განსხვავებულ რამდენიმე ფორმას (მწკრივს) ქმნის და რომლის ანალიზი მოდალობის კატეგორიის სიდრმისეული ანალიზის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება. ასე რომ, ქართულ ენაში **მოდალური ფორმისა და კილოს** სხვადასხვა კომბინაცია ქმნის იმ მრავალფეროვან ენობრივ მონაცემებს, რომელთა სისტემური ანალიზის გარეშე მოდალობის კატეგორია ენაში შეუსწავლელ ფენომენად შეიძლება ჩაითვალოს.

ამჯერად, ჩვენი ნაშრომი ეხება ერთ სემანტიკურ კონტექსტს: ესაა **უნდა** მოდალური ფორმით გამოხატული **ეპისტემური აუცილებლობა**.

### დეფინიცია

მოდლობის კატეგორიის კვლევისას არაერთი თავისებურება ვლინდება კონკრეტული ენობრივი სისტემისათვის. ზოგადად, მოდალობის ძირითად სახეებად და მისი ანალიზის საყრდენ სისტემად უმეტესად მიჩნეულია მოდალობის კატეგორიის სამი მთავარი სახის გამოკვეთა: **ეპისტემური** (მთქმელის აზრი, დამოკიდებულება სინამდვილისადმი, წინადადებათა გამოხატული რეალობისადმი), **დეონტური** (სავალდებულოდ შესასრულებელი მოქმედება, რომლის კონტროლი ხდება ან შესაძლებელია) და **დინამიკური** (უკავშირდება ფიზიკური შესაძლებლობის, საჭიროების ან მიდრეკილების გამოხატვას) (პალმერი 1999). ამ მოდელში ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეულ სახეს გამოეყოფა **შესაძლებლობისა** და **აუცილებლობის** სემანტიკა<sup>1</sup>. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთ მოდალურ ფორმას სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობა ეძლევა სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითისათვის: **ის ახლა სახლში უნდა იყოს**. მოცემული წინადადების ანალიზი რამდენიმე მოდალური სემანტიკას გულისხმობს: *1. ის აუცილებლად უნდა იყოს ახლა სახლში, რადგან ესაა, ჩემი აზრით, ყველაზე ლოგიკური შესაძლებლობა, რადგან მე მის სახლში სინათლეს ვხედავ; 2. ის ვალდებულია, რომ ამ დროს სახლში იყოს, რაც შეიძლება გულისხმობდეს მორალურ ან ზნეობრივ ვალდებულებას, ან გარკვეული რეჟიმის არსებობას, რაც კონტროლს ექვემდებარება; 3. აუცილებელია, რომ ის ახლა სახლში იყოს, რადგან ოთხი საათია, ხოლო სკოლა ორ საათზე სრულდება*. ამდენად, წინადადების სემანტიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოდალური ფორმის გააზრებაზე, მის გაგებაზე, მის კონკრეტულ სემანტიკასა და ფუნქციურ ანალიზზე. სემანტიკური ანალიზი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როცა ერთი ენობრივი საშუალება სხვადასხვა სახის მოდალობის გადმოსაცემად გამოიყენება. ამგვარი ომონიმია თუ სემანტიკური პოლისემიურობა ქმნის მოდალური ფორმის უფრო სიღრმისეული ანალიზისა და კვლევის აუცილებლობას, რათა გამოვლინდეს ის დამხმარე ენობრივი საშუალებები, რომლებიც განაპირობებს გარკვეული მოდალური სემანტიკის აქცენტირებას წინადადებასა თუ დისკურსში. ამგვარი საშუალებები კი მრავალია: გარკვეული სემანტიკის ზმნები, გარკვეული ზმნური ფორმები, პირის აღნიშვნა კონსტრუქციაში, ზმნის გვარი, მთქმელის დამოკიდებულების გამომხატველი სხვა ენობრივი საშუალებები, როგორებიცაა წინადადებაში ჩართული გამოთქმები (*მე ვფიქრობ* და მისი მსგავსი სხვა) და სხვა. მოდალობის, როგორც ლინგვისტური კატეგორიის, კვლევა აუცილებლად გულისხმობს ამ საკითხების სიღრმისეულ და სისტემურ ანალიზს.

<sup>1</sup> ეს მოდელი სისტემის სახით ჩამოაყალიბა პალმერმა და შემდგომდროინდელი მკვლევრებისათვის ის საყრდენ სისტემად იქცა, გარკვეული დამატებებისა თუ ცვლილებების შემთხვევაშიც კი.

ეპისტემური მოდალობა ერთ-ერთი გამოკვეთილი სახეა მოდალობისა. იგი სუბიექტური მოდალობაა და დეონტურ მოდალობასთან ერთად უპირისპირდება დინამიკურ მოდალობას, რომელიც ობიექტურ მოდალობადაა მიჩნეული. ეპისტემური მოდალობა ქართულში რამდენიმე სახეობას ქმნის, ესენია: **ლოგიკური შესაძლებლობისა<sup>1</sup> და ლოგიკური აუცილებლობის მოდალობა.**

ეპისტემური აუცილებლობის მოდალობა ქართულში გამოხატულია **უნდა** ფორმით., რომელიც თანამედროვე ქართულისათვის ფორმაუცვლელი ელემენტია.

### **ქართული ენის კორპუსი**

კვლევის საყრდენ მასალას წარმოადგენს ქართული ენის კორპუსის სამუშაო ვერსია. კორპუსი შექმნისა და დამუშავების პროცესშია, <sup>2</sup>მაგრამ იგი კვლევისათვის მნიშვნელოვან მასალას იძლევა. კორპუსში შედის თანამედროვე ქართულის მასალა, პრესისა და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. ქართულ კორპუსში **უნდა** მოდალური ფორმის შემცველი კონსტრუქციების რაოდენობა დიდია – იგი მოიცავს 409437 ერთეულს.

### **უნდა – დიაქრონიული ანალიზი**


**უნდა** დამოუკიდებელი ზმნის – „**ნდომა**“ სურვილი, წადილი – მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმაა. თანამედროვე ქართულში იგი გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი ზმნა და როგორც უცვლელი ელემენტი, რომელიც დაერთვის ზმნის ფორმას და ანიჭებს მას გარკვეულ სემანტიკას. დამოუკიდებელი ფუნქციით ზმნა ორ მნიშვნელობას აღნიშნავს:

1. სურვილი აქვს, სწადია: *ბავშვს ძალიან უნდა ნამცხვარი.*
2. სჭირდება, ესაჭიროება: *ამ საკითხს კარგად ახსნა უნდა.*

**უნდა** ფორმამ ფორმოზრივი და ფუნქციური ცვლილების დიდი გზა გაიარა (შარაშენიძე 1999).

<sup>1</sup> **ლოგიკური შესაძლებლობის** მოდალობა ქართულში თავითავად მოიცავს რამდენიმე სახეს: შესაძლებლობის მოდალობა, რომელიც ძირითადად გამოხატულია **შეძლება** მოდალური ფორმით; **ვარაუდის (აღზათობის) მოდალობა**, რომლის გამომხატველი ძირითად საშუალებებად გვევლინება **იქნებ** და **ეგებ** მოდალური ფორმები (**იქნებ** მიღებულია **ყოფნა** ზმნის მომავალი დროის ფორმისაგან, ხოლო **ეგებ** ისტორიულად იყო დამოუკიდებელი ზმნა, ხოლო ამჯერად გრამატიკალიზაციის შედეგად ნაწილაკად ქცეული ფორმა).

<sup>2</sup> ქართული ენის ეროვნული კორპუსი, <http://iness.uib.no/gekko/concordance> **GEKKO[1]** - **თანამედროვე ქართული ენის კორპუსი** კორპუსი მოიცავს ორ სუბკორპუსს: თანამედროვე ქართული ენის კორპუსს (124 055 170 ერთეული) და ქართულ ლიტერატურულ კორპუსს, მორფოლოგიური ანოტირებით (20 903 850 ერთეული). <http://geocorpus.blogspot.com/p/blog-page.html>



**უნ-დ-ა** თავისთავად წარმოქმნილი ფორმაა, რომელშიც ზმნის ძირად **-ნ-** გამოიყოფა ძველ ქართულში ახლანდელი დროის ფორმა იყო: **მ-ი-ნ-ა, გ-ი-ნ-ა, უ-ნ-ა**, ხოლო წარსული დროის გამოხატველი ფორმა იყო: **მ-ი-ნ-დ-ა, გ-ი-ნ-დ-ა, უ-ნ-დ-ა**; მოგვიანებით **დ** სუფიქსი ძირს შეერწყა (იგი მწკრივის ფორმისა და წარსული დროის მაწარმოებელია). ასე რომ, **უნ-დ-ა** ახლანდელი დროის მესამე პირის ფორმად იქცა. საშუალ ქართულში წარსული დროის გამოსახატავად მას ახალი სუფიქსი დაერთო: **მ-ი-ნ-დ-ოდ-ა, გ-ი-ნ-დ-ოდ-ა, უ-ნ-დ-ოდ-ა**. ფორმობრივი ცვლილებების პარალელურად მიმდინარეობდა ამ ზმნური ფორმის ფუნქციური და სემანტიკური ცვლილებაც. მოდალური ელემენტის მიღების პროცესი და მოდალური სემანტიკა ჯერ კიდევ გაურთულებელ ძირს უკავშირდება, ძველ ქართულში აქტიურად მოქმედია ფორმა **გინა / გინა თუ**, რომელიც კავშირის ფუნქციით გამოიყენებოდა და არჩევითობის სემანტიკას გამოხატავდა.<sup>1</sup>

საშუალ ქართულში ჩნდება **უნდა** ფორმის ეპისტემური და დეონტური მოდალობის სემანტიკა. უფრო ადრეულია ეპისტემური შინაარსით

<sup>1</sup> **უნდა** ფორმის ფუნქციური ცვლილების ის გზა, რომელიც მისგან კავშირების მიღებას და რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში მის მონაწილეობას გულისხმობს, ცალკე კვლევის საგანია.

მისი გამოყენება. დეონტური სემანტიკა კი შედარებით მოგვიანებით იკვეთება.<sup>1</sup>

ამდენად, **უნდა** მოდალური ფორმა „ნდომა“ ზმნის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმაა, რომელიც უცვლელი ელემენტია, იგი არც პირებისა და არც რიცხვის მიხედვით არ იცვლება.

**უნდა** გააკეთო  
**უნდა** გააკეთო  
**უნდა** გააკეთოს

**უნდა** გააკეთოთ  
**უნდა** გააკეთოთ  
**უნდა** გააკეთონ

მოცემული ფორმის ამოსავლად მიჩნეულია ჰიპოტაქსური კონსტრუქცია (კოტინოვი 1986; ჯორბენაძე 1993), რომელშიც **მინდა/გინდა/უნდა** ზმნა მთავარ წინადადებაშია, ხოლო დამოკიდებულში კი ზმნა კავშირებითის კილოს ფორმითაა წარმოდგენილი. კავშირის ელიფსისის შედეგად მკვიდრდება ახალი კონსტრუქცია:

**მინდა, რომ გააკეთო > მინდა გააკეთო**

პირველი კონსტრუქცია ჰიპოტაქსის მეშვეობით გამოხატავდა სურვილს, ნდომას იმ მოქმედებისა, რაც დამოკიდებული წინადადების ზმნით არის გადმოცემული, ხოლო მეორე კონსტრუქცია კი არის სურვილის გამომხატველი ბივერბალური კონსტრუქცია, რომელიც სწორედ გარდამავალ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ:

**მინდა გააკეთო > უნდა გააკეთო**

ფუნქციურ-სემანტიკური ცვლილების მომდევნო ეტაპია **უნდა** ფორმის რამდენიმე ახალი მოდალური სემანტიკით დატვირთვა, რაც თანამედროვე ქართულში მიმდინარე პროცესია და იგი თანდათან იფართოებს გამოყენების სფეროს. თანამედროვე ქართულისათვის **მინდა** ზმნის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ნაკლებად პროდუქტულია, მაგრამ მის ნაცვლად აქტიურად გამოიყენება მოდალური კონსტრუქციები:

<b>(1) მინდა გააკეთება –</b>	სურვილის გამომხატველი ინფინიტიური კონსტრუქცია;
<b>(2) მინდა გააკეთო –</b>	სურვილის გამომხატველი მოდალური კონსტრუქცია, <b>მინდა</b> ზმნური ფორმისა და ძირითადი ზმნის კავშირებითი კილოს ფორმის შემცველი. კონსტრუქცია გამოხატავს გადაწყვეტილების, განზრახვის სემანტიკას;
<b>(3) უნდა გააკეთო</b>	ეპისტემური მოდალობის გამომხატველი კონსტრუქცია, <b>უნდა</b> მოდალური ფორმისა და ძირითადი ზმნის კავშირებითის ფორმის შემცველი. გამოხატავს სხვადასხვა ტიპის მოდალობას.

<sup>1</sup> ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნის ძეგლში იკვეთება ვარაუდის სემანტიკა, რომელიც ეპისტემური მოდალობის ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს: „მიბრძანა: სავარსამისძეო, მიკვირს, განა რა უნდა იყოსო?!“ (ამირანდარეჯანიანი, 795, 22); ასევე: უბრძანა ზავარს: ეს რა უნდა იყოს, ესეც გრძნება რამ არიო, თვარა სით აუყვანიათო?“ (რუსუდანიაანი, 297, 25). ვიქრობთ, ვარაუდის სემანტიკის გამომხატვისათვის კითხვით წინადადებაში მეტი შესაძლებლობაა და სწორედ ამ ტიპის წინადადებებში უნდა დაწყებულიყო ამ სემანტიკის გამოვლენა.

<b>(4) უნდა გააკეთო</b>	დეონტური მოდალობის გამომხატველი კონსტრუქცია, <b>უნდა</b> მოდალური ფორმისა და ძირითადი ზმნის კავშირებითი კილოს ფორმის შემცველი.
-------------------------	--

#### ეპისტემური „უნდა“

ეპისტემური მოდალობა წინადადებით გამოხატული რელობისადმი მთქმელის დამოკიდებულებას ავლენს – გამონათქვამი ჭეშმარიტია იმდენად, რამდენადაც მთქმელი ანიჭებს მას ჭეშმარიტების სტატუსს. მთქმელის დამოკიდებულებას კი განსაზღვარვს მისი ცოდნა, მისი რწმენა.

ეპისტემური აუცილებლობა გამოხატავს იმგვარ დამოკიდებულებას, როცა მოლაპარაკე საკუთარი რწმენისა და ცოდნის საფუძველზე თვლის, რომ მის მიერ გამოთქმული აზრი არის სწორი, ჭეშმარიტი და მასში არ შეიძლება დაეჭვება. ესაა ლოგიკური აუცილებლობა, რომელიც შექმნილია მოლაპარაკის დამოკიდებულებით: მოლაპარაკეს მიაჩნია, რომ წინადადებით გამოხატული აზრი არსებული გამოცდილების გათვალისწინებითა და მოლაპარაკის დამოკიდებულების მიხედვით, არის ერთადერთი და ლოგიკური აუცილებლობა. ესაა სუბიექტური მოდალობა, რომელიც განპირობებულია მოლაპარაკის, ანუ სუბიექტის, დამოკიდებულებით, მისი რწმენით ან აზრით.

#### დამხმარე ენობრივი გამოთქმები (ჩართული გამოთქმები) და მოდალური კონსტრუქცია:

ეპისტემური აუცილებლობა ქართულში ძირითადად გამოხატულია **უნდა** მოდალური ელემენტითა და **ზმნის კავშირებითი კილოს** ფორმით. მოდალობით გამოხატულ შინაარსს ზოგჯერ აძლიერებს დამხმარე ენობრივი საშუალებები, რომლებიც თვალნათლივ ავლენს, რომ **მოდალური ფორმითა და ზმნით** გამოხატული მნიშვნელობა არის მოლაპარაკის დამოკიდებულების შედეგად მიღებული დასკვნა. ამგვარი გამოთქმებია: **ვფიქრობ, უეჭველია, წესით, ვგონებ...**

(1) **ვფიქრობ.** აუცილებლად **უნდა ჩატარდეს** ხელახალი არჩევნები, როცა მის უკანონობაზე სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას. უკანონო კი – **ნამდვილად** იყო. [id=231427726174092&cpos=28637745](http://www.legislation.gov.ge/id=231427726174092&cpos=28637745)

მოცემულ წინადადებაში არჩევნების უკანონობა არის არა ობიექტური მონაცემი, არამედ მოცემული მოვლენის სუბიექტური აღქმა. ამ დამოკიდებულებას ავლენს როგორც წინადადების დასაწყისში პირველი პირის ფორმით მოცემული გამოთქმა **„ვფიქრობ“**, არამედ მეორე მითითებაც: **„ნამდვილად“**, რომელიც აზუსტებს მთქმელის სუბიექტურ აღქმას. ორივე ეს ფორმა მთქმელის დამოკიდებულებისა და სუბიექტური პოზიციის გამაძლიერებელ საშუალებად გვევლინება წინადადებაში, ძირითადი მოდალური სემანტიკა კი გამოკვეთილია **უნდა** მოდალური ფორმითა და ზმნით.

(2) **ვგონებ.** გამოძიებამ ეს საკითხები კარგად **უნდა შეისწავლოს** და იფიქროს იმაზეც, ხომ არ გახდა პრემიერი ტენდერის შედეგებით უკმაყოფილოთა შურისძიების მსხვერპლი. [id=231427726174092&cpos=56740244](http://www.legislation.gov.ge/id=231427726174092&cpos=56740244)

(3) „დათა თუთაშხიას“ „ცისკარში“ დაბეჭდვა იმ დროის დიდი პარადოქსიც გახლდათ, რასაც, **უეჭველია**, ჟურნალის იმჟამინდელ რედაქტორს **უნდა ვუმადლოდეთ**. [id=231427726174092&cpo=28648855](https://www.google.com/search?q=უნდა+ვუმადლოდეთ&rlz=1C1GCEW1_1000100000_1000100000_1000100000&id=231427726174092&cpo=28648855)

(4) ახალი სამსახურის ძებნა **წესით** არ **უნდა გაგჭირვებოდეთ**. [id=231427726174092&cpo=56730596](https://www.google.com/search?q=უნდა+გაგჭირვებოდეთ&rlz=1C1GCEW1_1000100000_1000100000_1000100000&id=231427726174092&cpo=56730596)

(2) ნიმუშში მოცემული ფორმა **„ვგონებ“** პირველი პირისა და ხაზგასვლით მიუთითებს მთქმელის სუბიექტურ მოსაზრებაზე, რაც გონისმიერი ანალიზით არის გამყარებული. (3) და (4) წინადადებებში ეპისტემური აუცილებლობის გამაძლიერებელ საშუალებებად გამოყენებულია **„უეჭველია“** და **„წესით“** ფორმები. **„უეჭველია“** მიანიშნებს, რომ წინადადებით გამოხატული აზრი, მართალია, ფაქტი არაა მთქმელისთვის, მაგრამ სუბიექტური ანალიზისა და განსჯის შედეგად იგი ეჭვგარეშე ჭეშმარიტებად მიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს დამოკიდებულება მკვეთრად სუბიექტურია. ხოლო რაც შეეხება **„წესით“** ფორმას, იგი არა მხოლოდ მთქმელის დამოკიდებულებას ავლენს, არამედ უჩვენებს, რომ, მისი მოსაზრებით, ეს კანონზომიერი და ობიექტური ჭეშმარიტებაა.

ასე რომ, **უნდა** ფორმითა და ზმნის კავშირებითი კილოსფორმით გადმოცემული მოქმედება გამოხატავს ეპისტემურ აუცილებლობას, რომელიც მოლაპარაკის, მთქმელის მიერ გამოტანილი დასკვნის ან ანალიზის შედეგად არის მიღებული და რასაც აძლიერებს და ამკვეთრებს დამხმარე ენობრივი საშუალებები ჩართული გამოთქმების სახით.

### **ზმნის პირველი პირის ფორმით გადმოცემული კონსტრუქცია:**

ეპისტემური აუცილებლობის გადმოცემის პროდუქტული საშუალებაა **ზმნის პირველი პირის ფორმით** გამოხატვა. პირველი პირის ფორმით ხაზი ესმება მოლაპარაკის მიერ გამოთქმული აზრის სუბიექტურობას. აქ უნდა გამოიკვეთოს ორი შემთხვევა:

1. ზმნა წარმოდგენილია პირველი პირის **მხოლოდობით** რიცხვიც ფორმით:
2. ზმნა წარმოდგენილია პირველი პირის **მრავლობით** რიცხვის ფორმით:

ზემოთ განხილულ (3) ნიმუშში: პირველი პირისა და მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემული ზმნა ხაზს უსვამს იმას, რომ აზრი პირველი პირის დამოკიდებულებაა, ხოლო მრავლობითის ფორმით კი ამ აზრის, დამოკიდებულების განზოგადება ხდება, რაც ობიექტურ ჭეშმარიტებამდე აყვანის მცდელობაა.

ამგვარივე სემანტიკა ვლინდება (5) ნიმუშშიც, რომელშიც მთქმელის პოზიცია გადმოიცემა **უნდა** მოდალურ ფორმასთან დაკავშირებულ პირველი პირისა და მრავლობითით გადმოცემული ზმნის ფორმით (**უნდა გაესულიყავით**). მთავარი წინადადების ზმნა **„გეთანხმებით“** კი გამოხატავს იმას, რომ დამოკიდებული წინადადებით გამოთქმული აზრი მთქმელის პოზიციაა. ხოლო **უნდა** ფორმა ზნასთან ერთად მოცემული მოსაზრების ლოგიკურ აუცილებლობას გამოხატავს.



(5) **გეთანხმებით**, რომ იმ წელს მართლაც საოცრად ძლიერი გუნდი ვიყავით და ფინალში მაინც **უნდა გავსულიყავით**. id=231382703381881&cpos=1625

ზმნის პირველი პირის ფორმით გადმოცემულ კონსტრუქციაში სწორედ მრავლობითობა უსვამს ხაზს იმას, რომ მოლაპარაკის მიერ გამოხატული პოზიცია და მისი მიდგომა საკითხისადმი არის ობიექტური აუცილებლობა და კანონზომიერება, თუმცა სუბიექტური პოზიციით შეპირობებული. მსგავსი ტიპის კონსტრუქციები მყარ გამოთქმებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამგვარ კონსტრუქციებში **უნდა** მოდალური ფორმა გამოხატავს მთქმელის, მოლაპარაკის მიერ გამოკვეთილ აუცილებლობას, რაც ზმნის პირველი პირის ფორმით აქცენტირდება, ხოლო **მრავლობითობა** კი მას განაზოგადებს და მთქმელის პირად დამოკიდებულებას ობიექტური ჭეშმარიტების ხარისხს ანიჭებს. კორპუსის მასლების ანალიზის შედეგად მიღებული ქვემოთ მოცემული ცხრილი კარგად ავლენს ამ ენობრივი საშუალებით გადმოცემულ ეპისტემური მოდალობას:

<b>უნდა + ზმნის პირველი პირის კონსტრუქცია:</b>	<b>ზმნა მხოლობითში:</b>	<b>ზნა მრავლობითში:</b>
უნდა ვთქვა	953	890
უნდა აღვნიშნო	435	459
უნდა ვუთხრა	130	233
უნდა ვუმაძღლოდე	40	111
მადლობა უნდა ვუთხრა	4	39
უნდა დავძინო	22	40
უნდა ვიფიქრო	76	875
უნდა გითხრა (ობიექტური წყობა)	218	961
<b>სულ:</b>	<b>1878</b>	<b>3608</b>

ფაქტობრივად, მრავლობითის ფორმიანი კონსტრუქცია დაახლოებით ორჯერ მეტია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ **უნდა** და ზმნის პირველი პირის ფორმით გადმოცემული ეპისტემური აუცილებლობა გამოხატავს არა მხოლოდ მთქმელის სუბიექტურ დამოკიდებულებას, არამედ იგი ორიენტირებულია **სუბიექტური დამოკიდებულების ობიექტურ ჭეშმარიტებად ქცევისაკენ**, რაც სწორედ მრავლობითობის სუფიქსით ხდება შესაძლებელი.

### **უნდა მოდალური ფორმით შედგენილი კონსტრუქციები**

როგორც აღინიშნა, **უნდა** მოდალური ფორმის შემცველი კონსტრუქციები კორპუსში მრავალრიცხოვანია. ამ დიდძალი მასალის სემანტიკური ანალიზის შედეგად იკვეთება ეპისტემური აუცილებლობის გამომხატველი სამი კონსტრუქცია. სამივე კონსტრუქცია შეიცავს **უნდა** მოდალურ ფორმას, მაგრამ მასთან დაკავშირებული, კონსტრუქციაში შემავალი ზმნის კილოსა და მწკრივის ფორმის კომბინაციის შედეგად განსხვავებულია მათი სემანტიკური ფუნქცია.

ეპისტემური აუცილებლობის გამოხატვის ძირითად საშუალებად ქართულში გვევლინება **უნდა** + ზმნის **კავშირებითი კილოს** ფორმით შექმნილი კონსტრუქცია. კავშირებითი კილო ირელური მოქმედების გამოხატველი საშუალებაა, ხოლო მოდალური ფორმა კი აკონკრეტებს ზმნით გადმოცემულ შინაარსს და კონსტრუქციას ანიჭებს ახალ ფუნქციურ-სემანტიკურ დატვირთვას (პალმერი 2001; პაპიძე 1981).

### 1. უნდა + მეორე კავშირებითი

ყველაზე უფრო გავრცელებულია **უნდა** მოდალური ფორმისა და **მეორე კავშირებითის** შემცველი კონსტრუქცია. ამ მწკრივის ფორმები ისტორიულადაც და თანამედროვე ქართულშიც სემანტიკურად მრავალაფუნქციურია: იგი გამოხატავდა როგორც კავშირებით კილოს, ისე ბრძანებითა და თხრობით კილოებს (კოტინოვი 1986). სწორედ ეს კომბინაცია გამოიყენება ყველაზე ხშირად როგორც ეპისტემური, ასევე დეონტური მოდალობის გადმოსაცემად. ეპისტემური მოდალობის გამოსახატავად ეს ფორმები ერთდროულად მოიცავენ როგორც სუბიექტური აღქმით გამოწვეულ ლოგიკურ აუცილებლობას, ასევე სასურველობის სემანტიკას: ის რაც მოლაპარაკისათვის მისი პოზიციიდან ობიექტურ და ლოგიკურ აუცილებლობად ითვლება, ასევე არის მისთვის სასურველი. ხშირად ძნელდება საზღვრის გავლება ლოგიკურ აუცილებლობასა და სასურველობას შორის, ამდენად სასურველობა ეპისტემური მოდალობის ერთ-ერთ სემანტიკურ მახასიათებლად შეიძლება გამოიყოს. ის რაც მოლაპარაკისთვის ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენს, არის კიდევ მისთვის სასურველი. ეს რთული სემანტიკური მახასიათებელი **უნდა** კონსტრუქციის შემცველ ბევრ კონტექსტს ახლავს.

**(6)** ახალგაზრდა მსახიობების უმეტესობა კი ასე არ ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ თეატრის ხელმძღვანელობა **უნდა შეიფხვლოს**.  
id=231427726174092&cpos=56719985

**(7)** მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი დარწმუნებულია, რომ „დაწყებული საქმე ბოლომდე **უნდა მიიყვანოს**“. მისი განცხადებით, თეატრში რემონტის დასრულების შემდეგ, ანუ სექტემბერ-ოქტომბერში იგი თანამდებობას დატოვებს. id=231427726174092&cpos=56720003

**(8)** ვგონებ, გამოძიებამ ეს საკითხები კარგად **უნდა შეისწავლოს** და იფიქროს იმაზეც, ხომ არ გახდა [პიროვნება] ტენდერის შედეგებით უკმაყოფილოთა შურისძიების მსხვერპლი. id=231427726174092&cpos=56740244

დეონტური და ეპისტემური მოდალობას არაერთ ენაში გადმოიცემა ერთი და იმავე ენობრივი საშუალებით. მაგრამ მათ შორის კონტექსტუალურ განსხვავებას იწვევს ის, რომ დეონტურ მოდალობას თავისი არსით სჭირდება სუბიექტი, ანუ კონტროლი, რომელიც ასრულებს მოქმედებას, მაშინ როცა ეპისტემური მოდალობა იკვეთება მთელ წინადადებაში და არ მოითხოვს სუბიექტს აშკარად ან ფარულად გამოხატულს (ჰანანი 2009). საანალიზოდ მოცემულ კონტექსტებში ჩანს, რომ მოცემული კონსტრუქციები არ გულისხმობენ მოქმედების აუცილებელ განხორციელებას ვინმეს მიერ, არ ჩანს პირი, რომელიც მოცემული ქმედების განხორციელებისათვის იქნება პასუხისმგებელი. წინადადებით გამოხატული აზრი გულისხმობს

იმას, რომ ეს არის მოლაპარაკის პოზიცია, მის მისრ გამოხატული აუცილებლობა, თუმცა ამ ქმედების განხორციელების გზა კონტექსტში არც ჩანს და არც შეიძლება ჩანდეს. (6) წინადადება პირდაპირ გამოხატავს იმ აზრს, რომ ეს არის ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის მოსაზრება და კონტექსტში არ ჩანს რაიმე იძულების მოხდენის ან ადმინისტრაციული ქმედების პექრსპექტივაც კი, რაც იმთავითვე გამორიცხავს კონტექსტში დეონტური მოდალობის გაგებას. ეპისტემური აუცილებლობა არის პოზიცია, რომლის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულია მოლაპარაკე, მაგრამ იგი არ გულისხმობს ქმედების შესრულების კონტროლს ან პერსპექტივას. (7) წინადადებაში აშკარად ჩანს, რომ კონსტრუქციით გამოხატული ქმედება არის მოლაპარაკის გადაწყვეტილება და მასზე სხვა პირის კონტროლი არც შეიძლება იყოს. (8) წინადადება კი აშკარად გამოხატავს, რომ მომავალი ქმედება, თუ კი იგი განხორციელდება, გულისხმობს მოლაპარაკის პოზიციას და არა რაიმე მექანიზმების არსებობას, რომელიც ამ ქმედებას (საქმის შესწავლას) გააკონტროლებს.

ასე რომ, **უნდა + მეორე კავშირებითის** ფორმით გადმოცემული ეპისტემური აუცილებლობა გამოხატავს მთქმელის, მოლაპარაკის პოზიციას, რომელიც შეპირობებულია მისი ხედვით, მისი აზრით. იგი მოლაპარაკისათვის წარმოადგენს **ლოგიკურად აუცილებელ** ჭეშმარიტებას. კონსტრუქციას ასევე ახლავს **სასურველობის** სემანტიკა, დაფუძნებული იმაზე, რომ რაც მოლაპარაკისათვის ლოგიკური აუცილებლობაა, არის კიდევ სასურველი მისთვისვე.

## 2. უნდა + მეორე თურმეობითი

**უნდა** მოდალური ფორმა გვხვდება მეორე თურმეობითთან. მეორე თურმეობითის მწკრივის ფუნქცია თანამედროვე ქართულისათვის არის შედეგობითობა–რეზულტატიურობა და ევიდენციალობა (გოგოლაშვილი 2011, 762-765).

**უნდა** მოდალურ ფორმასთან ერთად ამ მწკრივის ფორმა მეტად თავსებურ კომბინაციას ქმნის.<sup>1</sup> ამ კონსტრუქციით გადმოცემულია შემდეგი სემანტიკა: **უნდა** მოდალურ ფორმასთან დაკავშირებული ზმნა გამოხატავს იმგვარ ქმედებას, რომელიც მოსალოდნელი იყო და წარსულისათვის წარმოადგენდა ფაქტების ლოგიკურ შედეგს, რეზულტატს. რეზულტატივის სემანტიკა, როგორც ჩანს, კონსტრუქციას ძირითადი ზმნის ფორმით ენიჭება, ხოლო ლოგიკური აუცილებლობის შინაარსს კი მას **უნდა** მოდალური ფორმა ანიჭებს. ამდენად, ესაა სპეციფიკური სემანტიკა, რომელიც გამოხატავს **ლოგიკური აუცილებლობას, მაგრამ განუხორციელებელს**.

(9) *მამუკა უნდა ჩამოსულიყო ავსტრიაში, მაგრამ როგორც გითხარით, არ ჩამოსულა.* [id=234602701088826&cpos=82716](#)

(10) *წესით ჯინჯარაძეს „სოკოლის“ ძირითადში დამკვიდრება არ უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი ფეხბურთელისთვის უკულმა დატრიალდა.* [id=234602701088826&cpos=91942](#)

<sup>1</sup> აღნიშნული კონსტრუქციის შესახებ არაა მინიშნებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

(11) ახალგაზრდა ექიმი კათედრაზე უნდა დაეტოვებინათ, დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე, როგორც მომავალ მეცნიერზე, მაგრამ ომბს მისი გეგმები ისევ შეცვალა. [id=234637438385246&cpos=360000](#)

(9) წინადადებაში ჩანს, რომ ზმნით გამოხატული ქმედება მოსალოდნელი იყო (**უნდა ჩამოსულიყო**). მომდევნო წინადადებაში იმავე სემანტიკის ზმნა მოცემულია **არ** ნაწილაკთან ერთად (**არ ჩამოსულა**), ანუ მოქმედება უარყოფილია. აღნიშნული კონსტრუქცია ხშირად გვხვდება რთულ წინადადებაში, რომელსაც აერთებს **მაგრამ** მაპირისპირებელი კავშირი. მომდევნო (10) და (11) წინადადებებში იგივე ვითარებაა. (10) ნიმუშში ლოგიკურ აუცილებლობას ამყარებთ ჩართული გამოთქმა „**წესით**“, ხოლო (11) წინადადებაში კი მოდალური კონსტრუქციის შემცველ პირველ წინადადებას მოსდევს მეორე წინადადება, ხოლო მესამე წინადადებაში კი უარყოფილია მოდალური კონსტრუქციით გამოხატული ლოგიკური მოსალოდნელობა–აუცილებლობა. ამ სემანტიკის კონსტრუქციები მრავლადაა კორპუსში.

განსხვავებულ სემანტიკას ქმნის მოცემული კონსტრუქცია „**ყოფილიყო**“ ზმნასთან. „**უნდა ყოფილიყო**“ კონსტრუქცია კორპუსში საკმაოდ მრავალრიცხოვანია – იგი მოიცავს 4992 ერთეულს. უმეტესი მათგანი **ვარაუდს, ლოგიკურ აუცილებლობას** გამოხატავს. ვფიქრობთ, ეს განპირობებული უნდა იყოს თავად ზმნის სემანტიკით – მყოფობის, არსებობის განუხორციელებლობა ერთნაირად არ შეიძლება იყოს ყველა კონტექსტის მახასიათებელი. ცხრილში მოცემულია ყოფილიყო ზმნის შემცველი კონსტრუქციები და სემანტიკა;

კონსტრუქცია	ნიმუშთა რაოდენობა კორპუსში	სემანტიკა
უნდა ყოფილიყო	4992	ლოგიკური აუცილებლობა; ლოგიკური აუცილებლობა განუხორციელებელი შედეგით.
არ უნდა ყოფილიყო	664	ლოგიკური აუცილებლობა ვარაუდის სემანტიკით.
რა უნდა ყოფილიყო	90	ლოგიკური აუცილებლობა ემოციური დამოკიდებულებით (გაკვირვება, გაოცება...).
რომ უნდა ყოფილიყო	20	ლოგიკური აუცილებლობა

(12) თუკი ის ვინმეს ხელს უშლიდა, ძნელი **არ უნდა ყოფილიყო** მისი თავიდან მოშორება... [id=234637438385246&cpos=7601033](#)

(13) ზოგისთვის გაუგებარი იყო, **რა უნდა ყოფილიყო** მისი მუშაობის სფერო. [id=234637438385246&cpos=5849709](#)

(14) ჩვენ საუბარი გვაქვს იმ ტრადიციულ, ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებულ განათლების რეფორმაზე, რომელიც სამწუხაროდ, ახლა საქართველოში არ არის, თორემ, რეფორმა **რომ უნდა ყოფილიყო**, ამაზე ორი აზრი არ იყო. [id=234637438385246&cpos=112469022](#)

(12) წინადადება ლოგიკურ აუცილებლობასთან ერთად ვარაუდსაც მოიცავს. ამას კარგად ავლენ სუბსტიტუცია: სავარაუდოა, რომ ეს არ იყო ძნელი. (13) ნიმუში ლოგიკურ აუცილებლობასთან ერთად გაკვირვებასაც

შეიცავს, რასაც ფორმაში „რა“ ფორმის არსებობა განაპირობებს. <sup>1</sup> (14) წინადადებაში კი გადმოცემულია ლოგიკური აუცილებლობა.

შეიძლება ითქვას, რომ **უნდა** მოდალური ფორმითა და მეორე თურმეობითის ზმნით გადმოცემული კონსტრუქციის ძირითადი სემანტიკური მახასიათებელია **ლოგიკური აუცილებლობისა და რეზულტატიურობის** სემანტიკის გამოხატვა.

### 3. უნდა + აწმყოს კავშირებითი

აწმყოს კავშირებითისათვის საერთოდ დამახასიათებელია დროული განუსაზღვრელობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მწკრივის ფორმას ენიჭება კომპლექსური შინაარსი: კილოს მიხედვით იგი არარეალური მოქმედებას გამოხატავს, დროის მიხედვით იგი ზოგადი და დაუკონკრეტებელია (პაპიძე 1984, 83-84). **უნდა** მოდალურ ფორმასთან აწმყოს კავშირებითის ფორმები გამოხატავს ეპისტემურ აუცილებლობას დამატებითი სემანტიკური ნიუანსით:

(15) *კლუბების ხელმძღვანელობას უნდა ახსოვდეს თავისი პასუხისმგებლობა.* [id=234637438385246](#)

(16) *რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელით არ უნდა განისაზღვრებოდეს გუნდის თამაში და შედეგი.* [id=234662252741051&cpos=18885](#)

(17) *„დანდიმ“ მეორე მარცხი იწვნია დიდი ანგარიშით, რაც პირველ რიგში, ალბათ, დაცვის პრობლემებზე უნდა მიუთითებდეს* [id=234637438385246&cpos=190921](#)

**უნდა** მოდალური ფორმისა და აწმყოს კავშირებითით გადმოცემული მოდალური კონსტრუქცია გამოხატავს მთქმელის, მოლაპარაკის იმ პოზიციას, რომელსაც ახლავს მკვეთრად გამოხატული სურვილი, ანუ სასურველობა. (15) წინადადებაში მთქმელი თვლის, რომ აუცილებელია და სასურველი ხელმძღვანელობას ახსოვდეს თავისი პასუხისმგებლობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწკრივის ფორმა არ არის დროში დაკონკრეტებული, იგი ზოგადდროულია, ამდენად, კონტექსტი ადვილად იგუეებს ზოგადი დროის გამომხატველ ზმნიზედასაც – **ყოველთვის**. დროული გაგებისაგან დაცლილია (16) და (17) წინადადებების მოდალური შინაარსიც. მაგრამ (17) წინადადებას ასევე ახლავს **ვარაუდის** სემანტიკაც. აღნიშნული კონსტრუქციის მთავარ სემანტიკურ მახასიათებლად სწორედ ეს მიგვაჩნია – **ლოგიკური აუცილებლობა, ზოგადდროულობა და** დამატებითი მოდალური ნიუანსი – **სასურველობა ან ვარაუდი**.

### დასკვნა

**უნდა** მოდალური ფორმა მეტად პროდუქტიულია და თანამედროვე ქართულში იგი პოლისემანტიკური მოდალური ფორმაა. **უნდა** მოდა-

<sup>1</sup> „რა“ კითხვითი ნაცვალსახელია, მაგრამ იგი ენაში გარკვეული ოდალური ფუნქციით გამოიყენება: „რა ლამაზია!“ – კონსტრუქცია გადმოსცემს აღფრთოვანებას, აღტაცებას, გაკვირვებას ან სხვა კონტექსტუალურ ემოციას.

ლური ფორმითა და ზმნით გამოხატული ეპისტემური აუცილებლობა სხვადასხვა სემანტიკური ფუნქციით გვხვდება:

კონსტრუქცია	სემანტიკური ფუნქცია
<b>უნდა + მეორე კავშირებითი, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა</b> ( <i>უნდა ვთქვათ...</i> )	მთქმელის სუბიექტური დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება ლოგიკურ აუცილებლობას და ახლავს ობიექტური ჭეშმარიტების შინაარსი.
<b>უნდა + მეორე კავშირებითი</b> ( <i>უნდა შეიგვალოს...</i> )	მოლაპარაკის პოზიცია, რომელიც ეფუძნება სუბიექტურ აღქმას და წარმოადგენს ლოგიკურად აუცილებელ ჭეშმარიტებას. იგი გამოხატავს მომავალ დროში შესასრულებელ მოქმედებას, რომელსაც ახლავს სასურველობის სემანტიკა.
<b>უნდა + მეორე თურმობითი</b> ( <i>უნდა ჩამოსულიყო...</i> )	ლოგიკური აუცილებლობა და რეზულტატიურობა.
<b>უნდა + აწმყოს კავშირებითი</b> ( <i>უნდა ახსოვდეს...</i> )	ზოგადდროულობა, ლოგიკური აუცილებლობა, სასურველობისა ან ვარაუდის დამატებითი მნიშვნელობით.

ყველა სემანტიკური ფუნქცია ცალკე შესწავლის საგანია. კორპუსული კვლევა საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის მნიშვნელოვანია, თუმცა ქართული ენის აგლუტინაციური ბუნებიდან გამომდინარე იგი ახალი მეთოდების გამოყენებასაც გულისხმობს. ყოველივე ეს კი მომავალი კვლევების მნიშვნელოვან მიმართულებად ჩანს.

### ლიტერატურა

**ჰარისი 1995** – ჰარისი ა., Modal Auxiliaries in Georgian, “ფილოლოგიური ძიებანი”, თბ. 1195.

**ჯორბენაძე 1993** – ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარო მოდალური ელემენტები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 10, თბ. 1993;

**შარაშენიძე 1999** – ნ. შარაშენიძე, უნდა მოდალური ფორმისა ისტორიისა და მორფოსინტაქსური ანალიზისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, # 4, 1999, გვ. 49–56.

**პალმერი 1999** – Palmer F. R., Modality and the English Modals, Longman, 1999

**კოტინოვი 1986** – კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ. 1986.

**პალმერი 2001** – Palmer F. R., Mood and Modality, Palmer F. R., Mood and Modality, 2001

**პაპიძე 1981** – პაპიძე ა., მეორე კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეოთხე, თბ. 1981.

**ჰაანი 2009** – Haan F. de, 2009. Epistemic must, Studies on English Modality.

**გოგოლაშვილი 2011** – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბ. 2011, გვ. 762–765

**პაპიძე 1984** – პაპიძე ა., აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე თბ. 1984.

**ქართული ენის ეროვნული კორპუსი** – <http://iness.uib.no/gekko/concordance>; <http://geocorpus.blogspot.com/p/blog-page.html>

## Nino Sharashenidze

### On the Epistemic Semantics of the modal form „Unda” in Georgian

#### Summary

Epistemic modality is one of the distinguished forms of modality. There are the following sub-types of epistemic modality in Georgian: **logical possibility and logical necessity**. The epistemic modality of necessity in Georgian is expressed by the form **unda** (must), which in contemporary Georgian does not change its form. **unda** is obtained from the third person singular form of a notional verb **ndoma** (**wish, desire**). In contemporary Georgian it is used as a notional verb and as an unchangeable element added to the verb form with the aim of achieving certain semantics.

The semantics of epistemic and deontic modality of the form **unda** appeared in Middle Georgian.

Epistemic modality reveals the speaker's attitude to the reality expressed by the sentence. The utterance is true to the extent that the speaker attaches a status of the truth to it. The attitude of the speaker, in its turn, is defined by his/her knowledge and belief.

Epistemic modality in Georgian is mainly expressed by the modal element „**unda**” and **the subjunctive mood of a verb**.

The modal content is often enhanced by the additional lingual means which make it obvious that the meaning expressed by **the modal form and the verb** is a conclusion, a result of the speaker's attitude.

One of the productive means of expressing epistemic necessity is the use of the verb in the **first person**. The first person of the verb stresses the subjective nature of the opinion expressed by the speaker. In the construction with the first person of the verb plurality underlines that the position and attitude of the speaker is objective necessity and fact, albeit based on the subjective position.

The semantic analysis of the ample data yields three types of the constructions denoting epistemic necessity.

The most widespread are the constructions consisting of the modal form **unda** and **Subjunctive II**. Epistemic necessity expressed by the word **unda** + **Subjunctive II** refers to the speaker's position based on his/her vision and opinion. For the speaker it is the **logical truth**. The construction also implies the semantics of **desirability**, i.e. what is logical necessity for the speaker is also desirable for him/her.

The key semantic peculiarity of the construction with the modal form **unda** and **Resultative II** is the expression of the **logical necessity and the result**.

A modal construction consisting of the modal form **unda** and **Present Subjunctive** expresses the speaker's opinion accompanied by the obvious desire i.e. desirability. The screeve form does not denote concrete time. The time is general in this case. The key semantic peculiarity of the construction is **logical necessity, generalization of time** and an additional modal meaning – **desirability or assumption**.



**იზა ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-სუბარი,  
რუსუდან იოსელიანი, ნინო ნაკანი**

**ენგურისა და კოდორის ხეობებში ფიქსირებული  
სვანური ტექსტების მორფონოლოგიური  
სეგმენტაციის საფუძვლები**

„სხვა სისტემის ენების გავლენითა და ურთიერთზემოქმედებით იმდენად ნარევი სახე აქვთ კავკასიურ ენებს, რომ გავლენილისა და გამვლენილის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ძნელი ხდება მათ გრამატიკულ-ლექსიკურ უდაბნოში გზის გაგნება“ – განაცხადა ვარლამ თოფურია 1935 წლის 5 აგვისტოს, თავისი სადოქტორო დისერტაციის დაცვის დღეს (თოფურია 2002: 293). ეს მით უფრო სვანურზე ითქმის, სადაც მართლაც ძალზე რთულია მორფონოლოგიურ, მორფოსინტაქსურსა თუ სემანტიკურ ეტიმოლოგიურ ლაბირინთებში შეღწევა არამხოლოდ მომიჯნავე ენათა გავლენის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის ცნობილ უძველეს ქართულ ტექსტებშიც კი დაუდასტურებელ, მაგრამ სავარაუდო არქაულ ლექსემა-მორფემათა გვერდით ინოვაციათა არსებობის გამოც.

ჩვენი ღრმა რწმენით, ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი ენის (სულ ერთია ის სამწერლობო იქნება თუ უმწერლობო) მორფემული ლექსიკონის არსებობა უდავოდ მიუთითებს ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების კონკრეტული დარგის განვითარების მაღალ დონეზე. ამ მხრივ, არც საქართველო ჩამორჩება სხვა ქვეყნებს:

1988 წელს გამოქვეყნდა ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძისა და მ. ბერიძის მიერ შედგენილი „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“; ცოტა ხნის შემდეგ (1989 წ.) დაიბეჭდა გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიანისა და დ. შენგელიას „ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი“, ხოლო 1991 წელს ამავე ავტორთა „სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი“. სამივე წიგნი, ძირითადად, ემყარება რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა) მასალას; შემდგომში ისინი იქცნენ მრავალტომიანი „ქართული ენის სისტემატური აკადემიური კურსის“ დამუშავების ხელშემწყობ პირობად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მაშინ მიმდინარე სამუშაოთა გაშლამ „დღის წესრიგში დასვა ამოცანა ქართული ენის მორფოლოგიურ და სემანტიკურ მონაცემთა სხვადასხვა თვალსაზრისით გაანალიზება-დაჯგუფებისა. აუცილებელი გახდა როგორც საყრდენი მარტივი ფუძეების, ისე მათი საწარმოებელი ელემენტების შესაძლო სისრულით აღწერა, მათი ურთიერთშეწყობისა და შეხამების გათვალისწინება, რაც გარკვეულ წარმოდგენას შე-

გვიქმნიდა ფორმაწარმოებათა შესაძლებლობებზე“ (ქ. ლომთათიძე).

რაკი დღეს, ღვთის წყალობით, უკვე ყველა ქართველურ ენაზე გვაქვს მაღალაკადემიური გრამატიკები და ლექსიკონები, თავისთავად ცხადია, სხვებს არც სვანოლოგები ჩამოვრჩით და იმავე ინსტიტუტის თანამშრომლებმა გადავწყვიტეთ ორტომეული სვანური მორფემული ლექსიკონის შექმნა: სახელები, სახელზმნები და უდეტრები (I ტ.) და ზმნები (II ტ.).

ჩვენი ლექსიკონი ემყარება უამრავ პუბლიკაციას სვანური პროზაული ტექსტებისა, ანდაზა-გამოცანებისა თუ ხალხური პოეზიისა. ამიტომ ჯერჯერობით მხოლოდ ზემოსვანურს მოვკიდეთ ხელი. რაც შეეხება ლაშხურ, ლენტეხურ და ჩოლურულ მეტყველებას, იმედია მათ სხვა სვანოლოგები - ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები შეისწავლიან მომავალში სწორედ ფორმათა სეგმენტირების თვალსაზრისით; საბოლოოდ კი, უკვე წლების შემდეგ, როცა ჩათავდება ეს უაღრესად შრომატევადი სამუშაო, სვანოლოგთა მესამე ჯგუფი, ალბათ, გააერთიანებს ყველა ჩვენგანის ნაღვაწს და შექმნება „სვანური მორფემული ლექსიკონის“ მაღალაკადემიური პუბლიკაცია.

რალა თქმა უნდა, გაცილებით რთულია უმწერლობო ენის მონაცემთა სეგმენტაცია, სადაც არ არსებობს მკაცრად კანონიკური ნორმები და ზოგჯერ ოფიციალურ ტექსტებში იდიოლექტური მოვლენებიც კია ასახული. ამ მხრივ განსაკუთრებით რთულია 48 ფონემის მქონე ენის - სვანურის ვითარება (ცხადია, ამ განცხადებით სრულიადაც არ ვაყენებთ ჩრდილს მეგრულ-ლაზურს!), სადაც როგორც პალატალურმა, ისე ლაბიალურმა თუ ველარულმა უმლაუტმა, ხმოვანთა ოპოზიციურმა (გრძელი და არაგრძელი) დაპირისპირებამ, სახელთა ბრუნების ორფუძიანმა სისტემამ, ათობითი და ოცობითი თვლის დიალექტურმა ნაირსახეობებმა და მათმა ურთიერთშერწყმამ კოდორის ხეობის მოსახლეობის სვანურ მეტყველებაში, ატრიბუტივთა ნაირ-ნაირმა ხარისხებმა, მარტივმა და რთულმა პრევერბებმა თუ თანდებულებმა, ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვის ოთხსაფეხურეობრივმა სისტემამ, ხანმეტურ ფორმათა დღემდე არსებობამ ზმნის პირიან მონაცემებში, ინკლუზივ-ექსკლუზივმა, უღლეზის ურთულეს კომპონენტთა არქაულმა წარმოებამ, სახელებსა და ზმნებში ფართოდ გავრცელებულმა მეორეულმა პროცესებმა (პარადიგმატულ ერთეულთა გასწორების ტენდენციამ ძირითადი ფორმების - სახელობითი ბრუნვისა თუ აწმყოსეული ფუძის მიხედვით), ევიდენციალურმა კატეგორიამ, ტოპიკისა და ფოკუსის ურთიერთმიმართებამ ინფორმაციის სტრუქტურირებაში, „სხვათა სიტყვის“ შემცველი წინადადების სპეციფიკურმა (დანარჩენ ქართველურ ენათაგან სრულიად განსხვავებულმა) კონსტრუქციამ, ათასგვარმა ელიზიურმა ფორმამ, ...ძალზე სერიოზული დაბრკოლებები შეგვიქმნეს „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონზე“ მუშაობის პროცესში.

დიახ, რთულია, ძალზე რთული სვანური ენის მორფონოლოგიაც და მორფოსინტაქსიც. მიუხედავად ამისა, ბუმბერაზი ქართველოლოგის - აკადემიკოს ვარლამ თოფურისა მოწაფემ და მოწაფეთა მოწაფეებმა მაინც არ მოვიხარეთ ქედი სიძნელეთა წინაშე, რადგანაც ღრმად გვწამს, რომ დიდი მოძღვართმოდვრის ნათელი სული და მისი ფუნდამენტური შრომები ყოველგვარს თუ არა, ძირითად დაბრკოლებებს მაინც გადაგვალახინებს. წინამდებარე შესანიშნავი კრებულიც ხომ ბატონი ვარლამის დაარსებულია

სწორედ ჩვენი სტუდენტობის დროს და აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებმა“ არათუ გაუძლო დროის გამოცდას, არამედ მისი ყოველი ტომის პუბლიკაციას დღესაც მოუთმენლად მოელიან როგორც ენათმეცნიერები, ისე ქართველოლოგიის დიდად მოჭირნახულე მკითხველები, გლობალიზაციის პირობებშიც კი რომ არ ასცდნენ ეროვნულ ფესვებს.

მხოლოდ ხსოვნის სადღეგრძელო რომ არ გამოგვივიდეს, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სტატის ავტორებმა 2007-2010 წლებში, უმძიმეს პოლიტიკურსა თუ სოციალურ ვითარებაში, შევისწავლეთ მდინარე კოდორის ზემო წელის (ე. წ. დალის ხეობის) მოსახლეობის მეტყველება და აღმოჩნდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ლექსიკის, გრამატიკული ფორმებისა თუ კონსტრუქციების ერთგვარ სინთეზთან – ინტერფერენციასთან გვქონდა საქმე, რის ჩვენებასაც შევეცადეთ ჩვენს მონუმენტურ ნაშრომში „კოდორული ქრონიკები“, რომლითაც მართლაც გადავარჩინეთ ეს მეტყველება დაღუპვას (2008 წლის 8 აგვისტოს ცნობილი სამხედრო ბატალიების შემდგომ).

თავისთავად ცხადია, სწორედ მაშინ მოვინდომეთ „ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის“ შექმნა, რათა ერთმანეთისგან გაგვერჩია საერთოქართველური წარმომავლობის ზემოსვანური, ოდენ ბალსზემოური, ოდენ ბალსქვემოური და კოდორის ხეობაში სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელთა თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე თანაცხოვრებით (ზოგჯერ ერთ ოჯახშიც კი!) წარმოქმნილი ინტერფერენცირებული ფორმები. ჩვენს ამ თავგანწირვას გაგებით შეხვდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ რუსთაველის ფონდში და ძალზე სასიხარულოა, რომ პროექტი დაგვიფინანსეს.

უკვე ორ წელზე მეტია ვმუშაობთ აღნიშნულ პროექტზე, დაგროვდა უამრავი მასალა, რომელსაც გარკვეული კლასიფიკაცია სჭირდება მაღალი რანგის სპეციალისტთა მიერ, რაც საკმაოდ რთული საქმეა თანამედროვე მეცნიერთათვის შექმნილ არც თუ ისე სახარბიელო პირობებში, მაგრამ რა ვქნათ?! – უმსხვერპლოდ არ კეთდება არანაირი მამულიშვილური საქმე! გარდა ამისა, ჩვენი კვლევის ობიექტი რამდენიმე დიალექტისა და ნაირ-ნაირ კილოკავთა შემცველი ზეპირი მეტყველებაა, რომელიც ყოველთვის განიცდიდა და დღესაც განსაკუთრებით განიცდის როგორც სახელმწიფო, ისე გენეტიკურად მონათესავე თუ ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა გავლენებს. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში ძალზე საშურია ამჟამად არსებულ სვანურ ლექსემათა თუ გრამატიკულ მახასიათებელთა ფიქსირება, რაც ყველაზე ნათლად პარადიგმატულად და სინტაგმატურად სეგმენტირებულ ლექსიკონში წარმოჩინდება. ამ აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

რაკი იმ პუბლიკაციებში, რომლებსაც, ძირითადად, ემყარება „ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი“ წარმოდგენილია სხვადასხვა სოფლის მეტყველება, ბუნებრივია, ჩვენს ნაშრომში აისახა კილოკაური სხვაობანი (ოღონდ, სამწუხაროდ ვეღარ მივუთითეთ მათი წარმომავლობა ისედაც დიდი წიგნის მოცულობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად). ასე მაგალითად: დღეს ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებში, აგრეთვე,

კოდორულ მეტყველებაში აორისტიკული ფორმა შემდეგი აგებულები-საა: მარტივი ან რთული პრევერბი+პირის აღმნიშვნელი პრეფიქსი+მაქცე-ვარი (უმეტესად გაუჩინარებული) + -ე ან -Ø სუფიქსი (მწკრივისა). XX საუ-კუნის I მეოთხედში ვ. თოფურია **ლიგემ** („აგება“) ზმნის საარვისო ქცევის-თვის მხ. რიცხვის III პირში სამ ფორმას გვთავაზობს, რომელთაგან მწკრი-ვის ნიშანი ორ მათგანს (ადგ-ე, ადგგ-ე) მოუდის, მესამე კი (**ადიგ**) ნულო-ვანმაწარმოებლიანია (თოფურია 1931:171). ჩვენი ლექსიკონის ამოსავალ პუბლიკაციებში გავრცელებულია **ადგ-ე** („ააგო, ააშენა“), **ადგგ-ე** საერთოდ არ გვხვდება, ხოლო **ადიგ** გვაქვს, მაგრამ სხვა მნიშვნელობით („ჩააქრო“). რაც შეეხება სათავისო ქცევას, აქაც დომინანტობს **აღგ-ე** („დაიხურა, დაიდ-გა, აიშენა“), **აღიგ** კი გვაქვს იმავე მნიშვნელობით, ოღონდ მხოლოდ 1940 წელს სოფელ ლენჯერში 70 წლის დავით გულედანისაგან ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში:

ათხე რაჟდენს ქორ ხულვე, **აღაღიგეს**ნარ (სვან. ქრესტ. 1978:74, 2-3) - ახლა რაჟდენს სახლი (რომ) აქვს, ეს აიშენა („აიგო“) თურმე (ცხადია, **აღიგ** ფორმის ანლაუტური ხმოვნის სიგრძეს განაპირობებს წინა სიტყვის -აღა-აუსლაუტთან შერწყმა).

რაშია საქმე? - **აღიგ** „აიგო“-ს მნიშვნელობით თანდათანობით გამო-დის ხმარებიდან და მასზე იმარჯვებს **აღგე**? - ეს არც უნდა იყოს გასაკვი-რი, რადგანაც -ე სუფიქსიანი წარმოება აორისტიკში ზმნათა უმრავლესობას ახასიათებს, ნულოვანი კი მეორეულია, მისგან მომდინარე (**აღ-ი-გ-ე-აღ-ი-გ** „აიგო, აიშენა“). ეს რომ ასეა, კარგად ჩანს CMOMIK-ის X ტომის (1890 წ.) ერთ-ერთი ძველი ტექსტიდან (II ნაწილი, 88:14) სადაც სწორედ **აღგე** („ააგო, ააშენა“) არის დადასტურებული და არა **ადიგ**.

ჩვენს ლექსიკონში შეტანილია შესაბამის პუბლიკაციებში წარმო-დგენილი ყველა სიტყვა – სრულმნიშვნელოვანი თუ დამხმარე (სახელები, ზმნები, ზმნისართები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები, შორისდე-ბულები) და ელიზიური შესიტყვებანი, ანუ ერთგვარი თეზაურუსი ზე-მოსვანური მეტყველებისა.

იმის გამო, რომ ორივე ტომი მოცულობით ძალიან დიდია, სამწუხა-როდ ილუსტრაციები ახლავს მხოლოდ ელიზიურ შესიტყვებებს, რომელ-თა ანბანთრიგზე გაწყობა საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად: ექმარ **აღმზგრთაშმედეღიხ** (<აღ-მეზგრ-ს-თე ან-მე-კედ-ე-ღ-ი-ხ, - სვ. პროზ., I, 1939: 401,17) – „ისინი სალოცავში მოსულან“ და ანა-ლოგიურ მონაცემებში **აშმედეღიხ** რომ არ შევიტანოთ **ა** გრაფემაზეც, სა-დაც მითითებული იქნება ამ კონკრეტული შესიტყვების ადგილმდებარე-ობა მორფემულ ლექსიკონში, მაშინ **აშმედეღ** ზმნის გრძელხმოვნიათა ანლა-უტის შემცველი ნამყოსრულის ფორმა (და ყველა მსგავსი პარადიგმა) და-გვეკარგება, რადგანაც ამგვარი სიტყვა-სტატიები სვანურში არ არსებობს, **აშმედეღიხ** ფორმის ანალოგიური მონაცემები მხოლოდ ორი სიტყვის შე-საყარზე, ხმოვნიან აუსლაუტ-ანლაუტურ მორფემათა ზღვარზე წარმოიქ-მნება.

რაც შეეხება თავად ელიზიის პროცესს, ის იმდენადაა გავრცელებუ-ლი სვანურ მეტყველებაში (განსხვავებით იბერიულ-კავკასიურ ენათა სის-ტემისაგან და მსგავსად ფრანგულ-ესპანური ენებისა), მისი გამოტოვება

დაუშვებლად მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის მოცულობა ძალიან იზრდება. გარდა ამისა, ელიზიურ შესიტყვებათა სეგმენტაცია იძლევა შესაძლებლობას უფრო სერიოზული ფონოლოგიური დასკვნების გამოტანისთვის.

ხმოვანთა სიგრძის წარმომავლობასთან დაკავშირებით ქართველოლოგთა შორის ორი, დიამეტრულად ურთიერთსაწინააღმდეგო, თვალსაზრისი არსებობს: ერთნი (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ჰ. ფენრიხი, ი. ჩანტლაძე, ე. გაზდელიანი) აღიარებენ, რომ გრძელი ხმოვნები პოზიციური (კომბინატორული) წარმომავლობისაა (გარკვეულ პირობებში ორი არაგრძელი ხმოვანი ერწყმის ერთმანეთს ან თანხმოვნის დაკარგვის შედეგად ვლებულობთ მის მეზობლად მდებარე ხმოვნის საკომპენსაციო სიგრძეს), ხოლო მეორენი (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ზ. სარჯველაძე, ალ. ონიანი,...) თვლიან, რომ ხმოვანთა სიგრძე საერთოქართველური წარმოშობისაა. „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში“ წარმოდგენილი მასალა სწორედ პირველ თვალსაზრისს უჭერს მხარს, უფრო მეტიც: ანლაუტში **ჰ, ჭ, ზ, რ, უ, ჭ** ფონემები ფაქტიურად არც გვაქვს: სულ თითო-ორჯერ მაგალითია წარმოდგენილი ყველა გრაფემაზე, სადაც აუცილებელი არ არის ვივარაუდოთ, რომ მაინცდამაინც თავდაპირველ სიგრძესთან გვაქვს საქმე (სამწუხაროდ, ამგვარ სიტყვათა ეტიმოლოგიები ჯერჯერობით არაა გამოკვლეული სპეციალურ ლიტერატურაში). რაც შეეხება ინლაუტს, იქ უმრავლეს შემთხვევაში გრძელი ხმოვანი მიღებულია ხმოვანთა შერწყმის შედეგად, გაუჩინარებული თანხმოვნის საკომპენსაციოდ ან მორფემათა ზღვარზე ელიზიურ შესიტყვებებში; აუსლაუტი კი, როგორც წესი, სვანურ ენაში (ყოველ შემთხვევაში ერთი მორფემის ფარგლებში) არ წარმოადგენს ხმოვანთა სიგრძის პოზიციას.

ყოველი ლექსემის სეგმენტაციის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მორფემათა რანჟირების წესებს. სამწუხაროდ, თითქმის წარმოუდგენელია მათი ქრონოლოგიური უწინარესობა-შემდგომადობის ჩვენება უმწერლობო ენის შემთხვევაში, რადგანაც XVIII-XIX საუკუნეებზე ადრინდელი ჩანაწერები არ გვაქვს და, რაც მოგვეპოვება, შეცდომებითაა სავსე, რადგანაც სვანური სიტყვები თუ დიალოგები (იშვიათად გაბმული ტექსტებიც) ჩაწერილია ამ ენის არმცოდნეთა მიერ ლათინური თუ რუსული გრაფემებით. სეგმენტაციისას ძალზე გვეხმარება არა მხოლოდ მორფოლოგიური, მორფოსინტაქსური თუ სემანტიკური ანალიზი საილუსტრაციო მასალისა, არამედ ჩვენი თუ სხვა ქართველოლოგთა სანდო ეტიმოლოგიური დაკვირვებები. ასე რომ, მორფემათა ლექსიკონში წარმოდგენილ სიტყვა-სტატიათა უმრავლესობა შესაძლოა მიჩნეულ იქნას მინიატურულ გამოკვლევადაც.

მაგალითად: ლექსემის **წდგილქაღ** („ისევ ადგილზე, ისევ ადგილის გავლით“) თავდაპირველი სახე ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: **\*ა-დეგ-ილ-ს-ქა-გდ**, რომელშიც **ა-** გამოყოფილია იმიტომ, რომ ამ სიტყვას ვუკავშირებთ **დგ-ომ-ა** ზმნას, სადაც **-ილ** ნამიმღობარი სუფიქსი ჩანს. სვანურში თანდებულები **რა** ჯგუფის სახელს მართავენ მიცემით ბრუნვაში, რომელსაც ხუთი სხვადასხვა მორფემა გამოხატავს იმის მიხედვით, ორფუმიანი ბრუნების სისტემას განეკუთვნება სახელი, თუ ერთფუმიანისას, მაგრამ თითქმის

ყველა შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული საერთოქართველური წარმომავლობის -ს, ამიტომ ჩვენ ძალზე ხშირად აღვადგენთ ამ მორფემას. საანალიზო სიტყვას ბოლოში დაერთვის განმეორებითი მოქმედების გამო-მხატველი -გდ ნაწილაკი, რომლის კომბინაცია წინამავალ -ქა თანდებულ-თან გვაძლევს გრძელხმოვნთან სინკრეტულ ქნდ ფორმას.

რასაკვირველია დეგ->დგ- ძალზე ძველი ეპოქის კუთვნილებაა (დღეს სვანურში „დგომის“ აღმნიშვნელად მხოლოდ -გ- შემოგვრჩა: ზს., ლშხ. ლი-გ-ნ-ე< ლნტ. ლი-გ-ენ-ე, ლ-გ-გ „დგას“), ვიდრე კონკრეტულად ამ სიტყვებში სავარაუდო სხვა მორფონოლოგიური პროცესები (ვთქვათ, მიცემითი ბრუნვის მორფემის გაუჩინარება თანდებულის წინ!), მაგრამ სალექსიკონო მეთოდოლოგია სხვაგვარი სეგმენტაციის შესაძლებლობას არ იძლევა (ყოველი ლექსემის შესახებ გამოკვლევას ხომ არ წარმოვადგენთ, რაც მრავალტომეულის შექმნის აუცილებლობას შეგვიქმნიდა; ამგვარი ლექსიკონის პუბლიკაცია კი უდიდეს ფინანსურ ხარჯებთან თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული – სამწუხაროდ, დიდი ტრადიციების მქონე სვანოლოგთაგან დღეს მხოლოდ თითო-ორიღა შემოგვრჩა და იმათაც საკმაოდ რთულ სოციალურ თუ ეკონომიურ ვითარებაში უწევთ მუშაობა!).

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე დერივაციული სიტყვის, კომპოზიტისა და ზმნის (სახელზმნის) ფორმასაც: დაჭარცახან < დაჯ-გლ-ა-არ-ე-ს-ცა-ხენ-ჟ („თხებთან“), გუელმარშაპრხანქა < \*გუელ-ი-არ-ე-ჟეშაპ-არ-ე-ს-ხენ-ჟ-ქა („გველემაპებისგან“), ადფხაღღაღე < \*ად-ა-ფხა-ღ-ღ-აღ-ე („მიმოვანტა ბევრი ან ბევრჯერ“), ახუშინაურა < \*ად-ხუ-ი-შინ-ა-ურ-ა („მოვიშინაურო“), ქაუტქაბუნენ < \*ქა-ად-ჰ-ა-ქაბ-უნ-ენ („გასცლოდა, გარიდებოდა“), ლაბერგაღაღინაშდ < \*ლა-ბორგ-იაღ-ს-ჟი-გნ-ა-იშ-დ („საჭიდაოდ, ჭიდაობის დროისთვის < საჭიდაოს ა`დ“), სგალოხბეჯგანდ < \*სგა-ლა-ხუ-ე-ბაჯგ-ან-ი-დ („მივეყრდენით<შე-ვ-ე-ბიჯგ-ე-თ“) რაც სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ზმნა მორფოლოგიის მართლაც ყველაზე რთული ნაწილია (ნ. მარი), ხოლო ქართულ-ზანურთან შედარებით სვანური ზმნა კიდევ უფრო რთულია (ვ. თოფურია). „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში“ უამრავი, სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიის ერთდროულად მაჩვენებელი ზმნური ერთეულია (კონკრეტულად ჯერჯერობით ვერ მივუთითებთ მათ რაოდენობას, რადგანაც პუბლიკაციათა ძირითადი ფონდი ბოლომდე არ გვაქვს შეტანილი ლექსიკონში!), რომელთა ანალიზი რეალურად ადასტურებს ავსტრიელი კავკასიოლოგის, პროფესორ ჰუგო შუხარდტის მიერ თითქმის საუკუნენახევრის წინ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ვინც ზმნა იცის, იმან ენაში თითქმის ყველაფერი იცის (იხ. მისი ნაშრომი Über den passive Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, Wien, 1895).

ადრინდელ გამოცემებში პრევერბიანი (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით ე. წ. წინდებულ-თანდებულიანი) ფორმების ფიქსირება საგრძნობლად განსხვავდება ჩვენს ლექსიკონში წარმოდგენილი მონაცემებისგან, რისთვისაც დაგვჭირდა უაღრესად შრომატევადი სამუშაოს შესრულება. ჩვენ შევეცადეთ, გაგვეერთმნიშვნელიანებინა როგორც ხმოვან, ისე თან-ხმოვანაუსლაუტიანი ზმნები და მათთან ერთად შერწყმულად წარმო-

გვედგინა პრევერბები. მართალია, პირველ შემთხვევაში გარკვეულ ფონეტიკურ პროცესებთან (ელიზია, ხმოვანთა შერწყმა) გვაქვს საქმე, მაგრამ პრობლემა გადავწყვიტეთ სემანტიკის სასარგებლოდ. თუ **ლახხტრღ და** ზმნისგან იზოლირებულად დავწერეთ **სგა** („შე“), მაშინ „შეხვდა“ ვეღარ გამოვა მისი ქართული ეკვივალენტი. მართალია, აქ ისე მჭიდრო კონტაქტი არ არის პრევერბსა და ზმნის პირიან ფორმას შორის, როგორც **სგაჩანდ** (<\***სგა-ა-ჩად-ი**>)ის შემთხვევაში გვაქვს, მაგრამ არც **აჩანდ** იქნება „შევიდა“ და არც **ლახხტრღ და** – „შეხვდა“ (პრევერბის გარეშე).

იგივე შეიძლება გვეთქვა დეიქტურ ნაწილაკებთან დაკავშირებით, რომელთა ფიქსირებისას ძველ პუბლიკაციებში ყველაფერი რიგზე არ არის. ცხადია, XX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა იბეჭდებოდა სვანური ფოლკლორული ნიმუშები, ვერც ენათმეცნიერს მოვთხოვთ უახლესი ტიპოგრაფიული ტექნიკის მიღწევათა გათვალისწინებას და ვერც სტამბა-გამომცემლობათა მუშაკებს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ტექსტი ხომ უნდა დავაფიქსიროთ გარკვეულ ფონემათა შესაბამისი გრაფემებით? მაშასადამე, ქვემოთ მოყვანილი ბალსზემოური ფრაზები უნდა წარმოვადგინოთ შემდეგი ტრანსკრიფციით:

ა) თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ლ ე ქ ს ე მ ა თ ა მ ო მ დ ე ვ ნ ო პ ო ზ ი ც ი ა შ ი :

**ამნემდ** ლახტრღ, ა, მუგულდდ (სვ. პროზ., I, 1939: 323,7) – „ისევ დაუძახა **ამან**, **აი**, მტრედმა“;

**ეჯაზრდ** ნაზ ლახტრემხ, ე, მიჩა დიდ ი მუდ (იქვე:345:8) – „**იმათ** ნება მისცეს, **ე**, დედამისმა და მამამისმა“;

**ალაზრს**, ა ხაჯი დაჭითს ი მიჩა ხეხუს, ლგწჰობ ხანდხ (იქვე: 345:12) – „**ამათ**, **აი**, ხოჯა დავითს და მის ცოლს, წვეულება (ძვ. ქ. წეს-ა) ჰქონდათ“;

ბ) ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ლ ე ქ ს ე მ ა თ ა მ ო მ დ ე ვ ნ ო პ ო ზ ი ც ი ა შ ი :

აჩანდ **ალა**(<**ალა**+ა, თუ დეიქტური ნაწილაკი პირველ პირთან სიახლოვეს გამოხატავს, ან **ალა**+ე, თუ დეიქტური ნაწილაკი მეორე პირთან სიახლოვეს გამოხატავს – ფონოლოგიურად ორივე შემთხვევა ერთგვარად ფიქსირდება, ხოლო სემანტიკაზე მიუთითებს ვრცელი კონტექსტი), ჰყინტ- „წავიდა **ეს**, **აი**, ბიჭი“ ან წავიდა **ეს**, **ე**, ბიჭი“.

ნატლა ჴესერ **ეჯას ხერჯ** (<ხერა, ე), ერჯა წიფრახანქა ფიჩქს ქანსყენე (სვ. ქრესტ. 1978: 77,1) – „ნეტავი **იმას**, (ექნება), **ე**, ვინც წიფლისგან სამფეხა მაგიდას გააკეთებს“.

ვ. თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელოზე“ (2008 წ.) დაყრდნობით, ჩვენ „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონშიც“ შემოგვაქვს ორი ახალი სიმბოლო (ა და ე) მორფემათა ზღვარზე, ხმოვნის მომდევნო პოზიციაში, წარმოქმნილ ზოგ სიტუაციათა აღსანიშნავად: **ალა** (< **ალა** + **ა** ) „ეს, აი!“ (შდრ. **ალა** „ეს“ და **ალა** < **ალა** + **ა**? „ეს?“), ერთი მხრივ, და **ეჯა** (< **ეჯა** + **ე**) „ის, ე!“ (შდრ. **ეჯა** < **ეჯა** + **ე** < ერე „ის, რომ“), მეორე მხრივ.

მაშასადამე, ისევე, როგორც „სვანური ენის სახელმძღვანელოში“, აქაც ჩვენ 48 სიმბოლო კი აღარ გვაქვს, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული სპეციალურ ლიტერატურაში 2008 წლამდე, არამედ – 50.

გამოქვეყნებული ტექსტებისაგან განსხვავებულად წარმოვადგენთ, აგრეთვე, „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში“ „და“ კავშირისა და მიმართებითი „-ც“ ნაწილაკის გადმომცემ ფორმებს, რომლებიც სვანურ ენაში ერთი და იმავე -ი ხმოვნით გამოიხატება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში, ოღონდ ხმოვნის აუსლაუტის შემდეგ გვაქვს -ი სონანტი.

ვ. თოფურის აზრით, ი („ც“, კიდევ) **გამლიერებითი ნაწილაკია**, რომელიც მახვილს ატარებს და ზოგჯერ გრძლადაც ისმის (თოფურია 2002: 206): **მურ** („მამაც“), **ბიკრ** ხაჭუდა (კუნძიც ეკიდა“). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანალოგიურ შემთხვევებში მახვილიანი და გრძელი ხმოვნები ისევეა ზემოსვანურ პუბლიკაციებში აღრეული, როგორც ნ. მარის მიერ 1917 წელს პეტროგრადში გამოცემულ არსენ ონიანის ტექსტებში. თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში -ი ნაწილაკი არასდროს არ არის გრძელი, ამიტომ ამგვარი შეცდომები ჩვენ ყველგან გავასწორეთ, რაზედაც ცალკეულ ლექსებთან სქოლიოებში გვაქვს ხოლმე მსჯელობა.

ტექსტების გამომცემლებს ფორმალურად მსგავს, მაგრამ არსებითად განსხვავებულ მონაცემთა სადიფერენციაციოდ შემოღებული აქვთ დეფისი (შდრ. **ლაჯმილა**, **ლახტბა** „ძმებიც“, მაგრამ **ლაჯმილა-ი**, **ლახტბა-ი** „ძმები და“...), თუმცა ამგვარი დემარკაცია ბოლომდე გატარებული არაა. **ნიშგუჲე ჩრჷა** სინტაგმასთან (მაა ხაკუ ამის-ა, **ნიშგუჲე ჩრჷა**? – „რა უნდა ამას-აი, ჩვენს სიძეს და“...) აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია შენიშნავენ: „აქ-ი (ხმოვნის შემდეგ ინისაგან მიღებული) შეცდომა არ არის. ასეთ შემთხვევაში ხშირია „და“-ს დართვა“ (იხ. სვ. პროზ., I: 315,5). რომ ეს ასეა, ჩანს იმავე დიალოგში წარმოდგენილი თითქმის იდენტური წინადადებიდან (**სერ მაა ხაკუ ნიშგუჲე ჩრჷა**? – „აწი რა უნდა ჩვენს სიძეს?“, იქვე: 315, 10) და სხვა დიალოგის (იქვე: 250, 38) დასაწყისიდანაც:

**ჭყინტ აჩაღდდ მერმა ლადალ ლათხუიართე-ი...** – „ბიჭი ისევ წავიდა მეორე დღეს სანადიროდ-და...“;

დეფისით გამოყოფილი ლექსემები (ვგულისხმობთ მხოლოდ „და“ კავშირის გადმომცემის შემთხვევებს) ჩვენს ლექსიკონში დამოუკიდებელ ერთეულებად არ შედის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ სახითაა წარმოდგენილი პროფესორ იოსტ გიპერტის მიერ შედგენილ ინდექსში, რომლის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ორ მაგალითს: **ადბიზნა-ი...** „გაეძლო და...“, **ადზგუჲე...**, „გააგზავნა და...“, (ეს უკანასკნელი განსხვავებული ორთოგრაფიის გამო). როგორც ჩანს, ბალსზემოურ პუბლიკაციებში **ი/ი** მონაცვლეობას განაპირობებს მთქმელის მეტყველების ტემპი – პირველ შემთხვევაში ჩქარი, ხოლო მეორეში – დინჯი. ვფიქრობთ, როცა მეტყველების დინჯ სტილთან გვაქვს საქმე, „და“ კავშირის გადმომცემი **ი** ხმოვანი ნაწილაკის სახით არ უნდა დაერთოს სიტყვას (რაც, სამწუხაროდ, გვხვდება ტექსტებში). ჩვენს ლექსიკონში ასეთ შემთხვევაში **ი** ფიქსირებულია წინამავალი ლექსემისაგან დამოუკიდებლად. იშვიათად ასეთი -ი მახვილიანია და დეფისით იწერება (**ლაღლადა-ი** „წავილოთ თან და...“ **ლეჷა-ი/ლეჷა-ი** „ზემოთა და...“; ერთსა და იმავე ტექსტში). ბუნებრივია, რომ -ი აუსლაუტიან სახელებთან გვაქვს **ი**, მაგრამ **ლეღპიი**(„ლაგამიც“)-ს მსგავსი ჩანაწერიც არაა გამორიცხული. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ანალოგიურ შემთხვევათა ფიქსირებისას ბალსზემოურ პუბლიკაციებში გარკვეული სიჭ-



რელეცაა. არის შემთხვევები, როდესაც -**ი** და -**ი** ორივე ერთადაა ზმნასთან წარმოდგენილი, რაც აშკარა შეცდომა უნდა იყოს: ამნემ ჳალწრ ლოხტდე-**ი** **ი** სგალწდჭირ სგწწჳ მურყტამთესგა-**ი** ხწჳტ (იხ. იქვე, 281:5) – „ამან მკლავები მოხვია-და („მოულო-და“) და შეიმწყვდია („შეიტოვა“) შიგნით კოშკში-და უთხრა“.

ნებისმიერი ლინგვისტური სეგმენტაციის საფუძველია ორიენტაცია სავარაუდო არქაულ ფორმებზე. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, ფორმაცვალეზას სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე განსხვავებული ხასიათი აქვს, მით უმეტეს უმწერლობო ენაში.

ცნობილია, რომ სვანურში არაერთ მორფონოლოგიურ მოვლენას განსაზღვრავს უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე და რედუქცია. ამიტომაც სრულიად არაა გასაკვირი, რომ თავის დროზე ამ ენის დიალექტური დიფერენცირება სწორედ აღნიშნულ მორფონოლოგიურ პროცესთა მიხედვით მოხდა, მაგრამ ზემოსვანური მასალის სეგმენტირებისას ყოველთვის არ დაგვჭირდება თავდაპირველი საფეხურისთვის სავარაუდო არქიფორმათა აღმნიშვნელი სიმბოლოს (\*) გამოყენება, რადგანაც ზემოსვანურ ლექსემათა უმლაუტო ვარიანტები დღემდეა შემონახული ლაშხურ დიალექტში, ხოლო ურედუქციონი - ლენტეხურში.

მოსავარებელია ბრუნება-უღვლილების აღსადგენ მორფემათა საკითხიც: იქ, სადაც სახელთა ფუძეში უმლაუტი არ გვაქვს, ჩვენ აღვადგენთ სახელობითი ბრუნვის ნულოვან მაჩვენებელს (**ყრრ<ყრრა-ი** „კარი“, **გადან<გადან-ი** „ვალი, სესხი“, **თანაფ<თან-აფ-ა-ი** „აღდგომა“, **დნწა<დიენა-ი** „გოგო, ქალიშვილი“ და ა. შ.), ხოლო უმლაუტიან ფუძეებთან წარმოვადგენთ -**ი/-ე** მორფემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ სიტყვის სახელობით ბრუნვას აწარმოებდა ან -**ი**, ან -**ე**. მიუხედავად იმისა, რომ -**ე** უფრო არქაული ჩანს, ჩვენ პირველ ადგილას ვასახელებთ თავის დროზე ძალზე პროდუქტიულ -**ი** მორფემას. რაკი საკლასიფიკაციოდ ასეთი სისტემა ავირჩიეთ, ცხადია, ამ პრინციპს არ ვარღვევთ არც შედარებით გვიან ნასესხებ სახელებში, რომელთა სესხებისას -**ე**, როგორც სახელობითის მორფემა, შესაძლოა აღარ ფუნქციონირებდა.

იგივე შეიძლება ითქვას მეორეულ პროცესებზეც – სახელთა თუ ზმნათა პარადიგმატულ ერთეულთა გასწორებაზე ამოსავალ ფორმათა (სახელობითი ბრუნვა, აწმყოს მწკრივი) მიხედვით. ვთქვათ, ასე: **ბეგარდ<ზეგარა-ი/ე-დ** („ბეგარად“), **ქალწქს<ქალაქ-ი/ე-ს** („ქალაქს“) და მისთანა ფორმების შექმნის დროს სახელობითი ბრუნვის არც ერთი ნიშანი, ალბათ, აღარ ფუნქციონირებდა, მაგრამ ნაუმლაუტარი ფუძე რომ მოთხრობით-ვითარებითში, მიცემითსა ან მოქმედებითშიც გვხვდება შედარებით გვიან ნასესხებ სიტყვებშიც კი, ეს იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველურიდან მომდინარე მასალაში უკვე სახეზე იყო მეორეული პროცესის ამსახველი ყალიბი, რომელიც მოერგო სხვა ენათაგან შემოსულ მასალასაც. მიუხედავად ამისა, სეგმენტაციის დროს ჩვენ მაინც მივუთითებთ სახელობითის იმ მაწარმოებლებს, რომლებსაც თავის დროზე შეეძლოთ უმლაუტის გამოწვევა, რადგანაც ლექსიკონის ფორმატი არ იძლევა ცალკეულ სიტყვა-სტატიებთან ვრცელი მსჯელობის გამართვის შესაძლებლობას.

თითქმის საუკუნის წინ დადგენილი წესის მიხედვით (თოფურია

1927), ნათესაობით ბრუნვაში -**წმ** დაბოლოების მქონე ლექსემები ისტორიულად ხმოვანფუძიანები უნდა ყოფილიყვნენ (**დაშდტწ-შ-\***დაშდტა-იმ „დათვის“), ხოლო -**იმ/-ემ** მორფემიანები - თანხმოვანფუძიანები (**ჭყინტ-იმ** „ბიჭის“), თუმცა ამ წესს, ცხადია, გამონაკლისებიც აქვს (სახ. **გაჩ** „დანა“ - ნათ. **გაჩ-იმ||გაჩა-შ**, სახ. **შკაფ** „კარადა“ - ნათ. **შკაფ-იმ||შკაფა-შ**). იგივე ვითარებაა ასახული ჩვენი ლექსიკონის მასალებშიც, ოღონდ ისტორიულად -**ა** აუსლაუტიანი სახელები მრავლობითი რიცხვის ფორმაში ხან გვამღევენ მოსალოდნელ **წ** ხმოვანს, ხან კი - არა. როგორც ჩანს, მეორე შემთხვევაში მოქმელის ცნობიერების მიხედვით, ამგვარი ლექსემები ტექსტის ჩაწერის დროს აღარ აღიქმებოდა ხმოვანფუძიანებად, რაკილა მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში მათ იგი უკვე მოკვეცილი ჰქონდათ (მაგალითად, აუცილებლად უნდა გვქონოდა **ჩექმწრდ<\*ჩექმა-არ-ე-დ** „ჩექმებმა“, მაგრამ გვაქვს **ჩექმწრდ** და მისთანები).

წინამდებარე ლექსიკონში პირველად იქნება განმარტებული სვანური ზმნის ევიდენციალური ფორმები ამ კატეგორიის შესაბამისად. მართალია, ქართულისგან განსხვავებული რამდენიმე მწკრივი (პირველი სერიის ფუძეზე დამყარებული თურმეობითი I, თურმეობითი II და მყოფადუსრული) ადრინდელ პუბლიკაციებშიც აღწერილად განიმარტებოდა (**ხაირი-ნა/ხაირუნა** „უწერდა თურმე“, **ლემირტნელი** „წერდა თურმე“, **პირუნა** „წერდეს იქნება“), რადგანაც ამ მწკრივთა ბადალი ფორმები სალიტერატურო ქართულში არ მოიპოვება, მაგრამ დანარჩენი სვანური ევიდენციალური მწკრივების (სრული და უსრული პირობითი, ძირითადპრევერბიანი მყოფადი, პირობით-შედეგობითი I, პირობით-შედეგობითი II...) შესატყვისებად ლექსიკონებსა თუ სხვა ტიპის პუბლიკაციებში დაფიქსირებული ქართული ლექსემები სრულად ვერ ფარავდა განსამარტი სვანური ფორმების სემანტიკას, ვინაიდან მხედველობაში არ იყო მიღებული აღნიშნულ მწკრივთა ორგვარი წარმოება და ნიუანსური განსხვავება მათ შორის. ასე მაგალითად, **ადრნა** (სრული პირობითი) ქართულად ყველგან განმარტებულია როგორც „დაწერდა“, სინამდვილეში კი ის ნიშნავს: „აღბათ (შესაძლოა, ნეტავ, იქნებ...) დაწერდა“, ხოლო ქართული „დაწერდა“ (როგორც წარმოებით, ასევე მნიშვნელობით) სვანურში შეესატყვისება მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. „წინდებულ-თანდებულის“ პირობითს: **ჩტწირდა**; იგივე ვითარებაა მყოფადის ფორმებთანაც: ქართულ მყოფადს (წარმოებითაც და სემანტიკურადაც) სვანურში კვლავ „წინდებულ-თანდებულის“ ფორმები შეესაბამება (**ჩტწირი** „დაწერს“), ხოლო ძირითადპრევერბიანი ან რთულპრევერბიანი მყოფადი (**ადრნე**, **ჩტადრნე**) განსხვავებული ნიუანსისა და წარმოებისა და ნიშნავს „აღბათ (შესაძლოა, ნეტავ, იქნებ...) დაწერს“... იგივე ითქმის დანარჩენ ევიდენციალურ მწკრივთა ქართული განმარტებების შესახებაც. რამდენადაც უნახაობისა და საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველ ფორმათა გაერთიანება ევიდენციალობის კატეგორიაში და სათანადო საერთო მორფემის გამოყოფის მცდელობა აქამდე არ ყოფილა, ის არც ასახულა დღემდე გამოცემულ არც ერთ ლექსიკონში. ამრიგად, ჩვენი ნაშრომი ამ მხრივაც იქნება გამორჩეული.

ჩვენი მასალების მიხედვით, გვემლევა შესაძლებლობა არქაული ფორმების ხმარებიდან თანდათანობით გასვლისა და ინოვაციების და-

მკვიდრების თვალყურის დევნებისა. მაგალითად, ნათლად ჩანს, რომ ბრუნების ე. წ. ქართველური სისტემა თანდათანობით ბატონდება სხვა სისტემებზე არა მხოლოდ ბალს ზემოთ, არამედ ბალს ქვემოთაც, სადაც, „სვანური პროზაული ტექსტების“ მეორე ტომის მონაცემთა მიხედვით ბრუნების ორფუძიანი სისტემა ჯერ კიდევ მკვიდრად იყო, მაგრამ, თუ ამ ვითარებას შევადარებთ „კოდორული ქრონიკების“ ტექსტებს, აღმოჩნდება, რომ სრულიად აშკარაა ოთხი ტიპის ბრუნებიდან ერთსისტემიან (ე. წ. ქართველურ) ფორმებზე გადასვლის ტენდენცია, ალბათ, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ პუბლიკაციაში ჩვენი თანამედროვე მთქმელების მეტყველებაა დაფიქსირებული. იგივე შეიძლება გვეთქვა ნამყოფსრულის ნაირ-ნაირ მაწარმოებელთა შესახებაც – თანდათანობით იკიდებს ფეხს -და დაბოლოებიანი წარმოება დანარჩენ ქართველურ ენათა მსგავსად.

მაშასადამე, უკანასკნელ ხანებში აშკარად იგრძნობა სახელმწიფო ენის გავლენა მონათესავე რეგიონულ ენაზე, რაც სრულიად კანონზომიერი მოვლენაა.

მოხარულნი ვართ, რომ ზემოსვანური პუბლიკაციების საფუძველზე შედგენილი ჩვენი ლექსიკონი ადეკვატურად ადასტურებს საუკუნის მანძილზე უმწერლობო ენაში მიმდინარე სემანტიკურსა და გრამატიკულ წიაღსვლებს, რომელთა ფუნდამენტურ ნაშრომში წარმოჩენისათვის არანაირი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, ძალა და ენერჯია არ დაგვიკლია, თუმცა მუშაობისთვის სახარბიელო პირობები არ გვქონია...

## ლიტერატურა

- გაზდელიანი ე.**, ხმოვანთა პოზიციური სიგრძე სვანურში (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 1999;
- გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ.**, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
- გიგინეიშვილი ზ.**, ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში, „მაცნე“, 2, თბილისი, 1973;
- გოგოლაშვილი გ., კვანტალიანი ც., შენგელია დ.**, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი, 1989;
- თოფურია ვ.**, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, თსუ მოამბე, VII, ტფილისი, 1927;
- თოფურია ვ.**, სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931;
- თოფურია ვ.**, სვანური ენის სახელმძღვანელო, წიგნი დაასრულეს და გამოსაცემად მოამზადეს **გ. თოფურიამ და ი. ჩანტლაძემ**, თბილისი, 2008;
- თოფურია ვ.ქალდანი მ.**, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000;
- ონიანი ალ.**, სვანური ენა, თბილისი, 1998;
- სვანური ენის ქრესტომათია**, თბილისი, 1978;
- სვანური ენის პროზაული ტექსტები**, I, ბალსზემოური კილო, თბილისი, 1939;
- სვანური ენის პროზაული ტექსტები**, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი, 1959;
- ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ.**, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური

ლექსიკონი, თბილისი, 2000;

**ქალდანი მ.**, სვანური ენის ფონეტიკა, I, თბილისი 1969;

**შანიძე ა.**, უმლაუტი სვანურში, „არილი“ - ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, ტფილისი, 1925;

**ჩანტლაძე ი., მარგიანი-დადვანი ქ., მარგიანი-სუბარი ქ., საღლიანი მ., იოსელიანი რ.**, კოდორული ქრონიკები, I, თბილისი 2007-2010;

**ჩუხუა მ.**, ქართველურ ენა-კილოთა შდარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003;

**ჯორბენაძე ზ., კობაძე მ., ბერიძე მ.**, სახელურ მორფემათა ლექსიკონი, თბილისი, 1988;

**Топурия В. Т.**, Сванский язык, Языки народов СССР, IV, Москва, 1957;

**Чйкобава А. С.**, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბილისი, 1948;

**Fährnich h.**, Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden –Boston, 2007;

**Iza Chantladze, Ketevan Margiani-Subari, Rusudan Ioseliani,  
Nino Nakani**

**The Bases of the Segmentation of the Svan Texts Found  
in Enguri and Kodori Gorges**

Summary

The dictionary is based on a number of the publications of the Svan prose texts, proverbs and the folk poetry (so far only the Upper-Svan data). The publication is intended to be issued in two volumes: nominals, converbs, udehrs (vol. I) and verbs (vol. II).

All the words of the relevant publications are included in the dictionary – the notional and auxiliary words (nominals, verbs, verbal affixes, postpositions, conjunctions, particles, interjections) and the elision syntagmas. As both of the volumes are large in size, just the elision syntagmas were illustrated; the dictionary includes dialectal differences as it is based on the speech of the different villages.

During the segmentation the huge attention was paid to the morpheme grading rules. Unfortunately, it was impossible to show them chronologically as there are no written texts before XVIII-XIX centuries. The ones that exist are full of mistakes as the Svan words and dialogues (rarely the whole texts) were scribed by the Latin and Russian letters. During the segmentation we used not only the morphonological, morpho-syntactic or semantic analyses of the materials but also the reliable etymological observations by different Kartvelologists or by us. So, most of the entries of the dictionary can be considered as mini researches.

The Upper – Svan Morpheme Dictionary that was compiled on the basis of the Upper-Svan publications adequately confirms the semantic and grammatical digressions in the unwritten language during the whole century.

## ირინე ჩაჩანიძე

### იოჰან ბლარამბერგი (1800 -1878 ) საქართველოში ენების შესახებ

გერმანელი სამხედრო მოღვაწის იოჰან ბლარამბერგის ენციკლოპედიური ტიპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომს „კავკასიის ისტორიული, ტოპოგრაფიული, სტატისტიკური, ეთნოგრაფიული და სამხედრო აღწერა“ (**„Description Historique, Topographique, Statistique, Ethnographique et Militaire du Caucase“**, 1836 ) თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება იმ ევროპელ ავტორთა შორის, რომლებიც წერდნენ კავკასიისა და საქართველოს შესახებ მე-19 საუკუნეში. ტექსტი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან, თარგმნილია ფრანგულიდან რუსულ ენაზე 1992 წელს.

სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღწერასთან ერთად თხზულებაში ვხვდებით საინტერესო და საგულისხმო ცნობებს კავკასიის ხალხის ადათ-წესების, რელიგიის, ენების, ეთნოგრაფიული ყოფის, ბუნებისა და სხვათა შესახებ. იოჰან ბლარამბერგის ცნობები ორგვარი ხასიათისაა: ერთი მხრივ, ეს არის თვითმხილველი ავტორის დაკვირვება კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, მოგზაურის მიერ ნანახი რეგიონების დეტალური აღწერა. მეორე მხრივ, თხზულებაში ჩართულია ვრცელი ისტორიული ექსკურსიები, სადაც მოგზაური უხვად იყენებს მის წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებსა და ევროპაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას საქართველოს შესახებ, რაც უდავოდ, ავტორის ფართო განათლებასა და ერუდიციას მეტყველებს.

მრავალგვარია ის წყაროები, რომლებსაც ბლარამბერგი იყენებდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს აღწერისას. უპირველესად ესაა საკუთარი თვალთ ნანახი. ამ რიგს მიეკუთვნება გეოგრაფიული აღწერილობა, მხარეებისა და ქალაქების გარეგანი სახე, მოსახლეობის ყოფის დამახასიათებელი ნიშნები და სხვა. მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვა პირთა მიერ მიწოდებული ცნობები.

ავტორი ეცნობა გეორგ ფოსტერისა და ჯეიმს კუკის ეთნოგრაფიულ დღიურებს, იაკობ გრიმის ფოლკლორულ მასალებს სახელწოდებით „გერმანიის ისტორიული ძეგლები“, ჰეგელის „იდეალისტურ-დიალექტიკურ თეორიას“ და სხვათა ნაშრომებს. „იმისათვის რომ შექმნა ნაშრომი, აუცილებელია სრულფასოვნად გაეცნო ყველა საინტერესო საკითხებს“, წერს ბლარამბერგი და სკრუპულოზურად სწავლობს ანტიკურისა და შუასაუკუნეების ავტორებს, ევროპელ და არაბ მოგზაურთა დღიურებს, წინამორბედებისა და თანამედროვეების ბელეტრისტიკულ ლიტერატურას, ჩინოვნიკთა ტიპოგრაფიულ ანგარიშებსა და შტაბის მასალებს. იგი თვითონ მო-

ნაწილებს 1830-1840 წლების სამხედრო ექსპედიციებში აფხაზეთიდან დაღესტნის ჩათვლით.

ამჟამად, ავტორის ხელნაწერი ინახება მოსკოვის სამხედრო ისტორიულ არქივში. აქვეა მისი სხვა ხელნაწერი ნაშრომებიც, კერძოდ, “საქართველოს სამხედრო გზის მარცხენა მხარეს დასახლებულ ხალხთა აღწერა”, “აფხაზეთის აღწერა” და ა.შ.

ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ლინგვისტური ხასიათის ინფორმაცია. ნაშრომის ცალკეულ თავებში ავტორი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს კავკასიაში არსებული სხვადასხვა ენის დახასიათებას და იგი ნუმერაციის მიხედვით გამოყოფს იქ გავრცელებულ ენათა შვიდ ძირითად ჯგუფს: 1) აფხაზური ენა; 2) ჩერქეზული ენა; 3) ქისტური ენა; 4) ოსური ენა; 5) ლეზგიური ენა; 6) თათრული ენა; 7) ქართული ენა [2, 42]. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ნაშრომში ავტორი ფაქტობრივ ამ ენათა სოციოლინგვისტურ განზომილებებს გვაწვდის, რაც, რასაკვირველია, უაღრესად ფასეულ ინფორმაციას წარმოადგენს.

რომელიმე ენობრივი სიტუაციის აღწერის დროს, როგორც წესი, ყურადღება ექცევა ამ სიტუაციის ფარგლებში მოქცეული ენების როგორც სოციოლინგვისტურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მახასიათებლებს, თანამედროვე სოციოლინგვისტიკურ გამოკვლევებში, რომლებიც ენობრივი სიტუაციის პრობლემებს ეხება, გამოკვეთილია ამ მნიშვნელოვანი ფენომენის აღწერისას გამოყენებული სამი ტიპის მიდგომა: 1) რაოდენობრივი (კვანტიტატიური), 2) შეფასებითი (აქსიოლოგიური), 3) თვისებრივი (კვალიტატიური). ნიშანდობლივია, რომ იოჰან ბლარამბერგთან წარმოდგენილია ენათა თვისებრივი და შეფასებითი მახასიათებლები [ლელ 2002: 616]. ჩვენ შევეცდებით პუბლიკაციის ტექსტის მიხედვით წარმოვადგინოთ საქართველოში ავტორის მიერ აღწერილი ენები:

„მერვე ენათა ჯგუფს წარმოადგენს სომხური ენა. ყოველი ენა კიდევ იყოფა რამდენიმე დიალექტებად. ამდენი ენისა და კილოკავების შერევა ერთ რეგიონში ქმნის ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას კავკასიის ხალხთა თავდაპირველი ისტორიის ურთიერთობის გასარკვევად. განსხვავებულობა ენებში ქმნის ორი ჰიპოთეზის საფუძველს. პირველის თანახმად, ხალხები, რომლებიც საუბრობენ სხვადასხვა ენებზე, თათრულისა და სომხურის გარდა, კავკასიის ძალიან ძველი, ძირძველი მოსახლეობაა. მეორე ჰიპოთეზის თანახმად კი, ეს უძველესი წინარე ენები განიხილებიან როგორც კავკასიის უძველესი ისტორიის წარმომადგენლები. ყოველი ენა ამ ისტორიის ერთი ძირითადი ეპოქაა, რომელიც განისაზღვრება გარკვეულ ენაზე მოლაპარაკე ხალხით.

ძალიან საინტერესო იქნებოდა გაგვეგო ამ სხვადასხვა ენების წარმოშობა, ჩამოყალიბება და შერევა, რომლებშიც თათრული სიტყვების გარდა, გამოიყენება ასევე რამდენიმე სარმატული სიტყვა. (სარმატები ირანულენოვანი მომთაბარე ტომებია სხვადასხვა სახელწოდებით და მათ შორის ალანები). მაგრამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გავცნოთ ყველა ენას, რომელზეც საუბრობენ კავკასიაში. წინასწარი ცოდნის გარეშე ჩვენ ვერასდროს ვერ შევძლებთ დადებითი შედეგების მიღწევას” (ბლარამბერგი 2010: 42).

„გიულდენშტედტმა, გრაფმა იან პოტოცკიმ და კლაპროთიმ შეადგინეს კილოების სხვადასხვა ლექსიკონები, რომელზეც საუბრობენ კავკასიაში, მაგრამ ეს ლექსიკონები არასრულყოფილია, იმ მიზეზით, რომ თავდაპირველად საჭირო იყო ხორხისმიერი, „ჭიკჭიკა“ და „ყრანტალა“ ბგერების გადმოცემის დამატებითი ნიშნების მოფიქრება, რომლებიც გვხვდება მთის დიალექტებში. ჩვენ ანბანებს არ შეუძლიათ ამ ნიშნების მკაფიოდ გადმოცემა. მოკლედ, ჩვენ კიდევ ველოდებით ფილოლოგს, რომელიც გაერკვეოდა ენებისა და კილოების ქაოსში და შუქს მოფენდა კავკასიის ხალხთა წარმოშობასა და თავდაპირველ ისტორიას. (კლაპროთის მიხედვით, კავკასიური ენები, ოსურის გარდა, შედგება ორი ჯგუფისაგან. აღმოსავლურ ჯგუფს განეკუთვნება ლეზგიური და ქისტური კილოები; დასავლურ ჯგუფში შედგება ჩერქეზული და აფხაზური ტომების სხვადასხვა კილოებისაგან. ეს ენები ახლოსაა ჩრდილო აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ენებთან“ (ბლარამბერგი 2010: 42).

„აფხაზურ ენას გააჩნია მსგავსება ჩერქეზულთან, მაგრამ ითვლება დამოუკიდებელ ენად. გიულდენშტედტი აფხაზურსა და ჩერქეზულს ერთი დედის ასულებად თვლის. მაგრამ პალასი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ აქ ის ძალიან შორს წავიდა: თუმცა აფხაზურში ბევრი ჩერქეზული სიტყვაა შეთვისებული, ამ ენის სახე ჩერქეზულისაგან სრულიად განსხვავებულია“ (ბლარამბერგი 2010: 96).

„ოსური ენის სიტყვები ძალიან მოგვაგონებს ქვემოგერმანიისა და სლავური დიალექტების წარმოთქმას. ხორხისმიერი და შიშინა თანხმოვნების ხშირი შეერთების შედეგად ენა, როგორც ჩანს, უხეშია. რამდენიმე ოსურ რაიონში საუბრობენ „წამხდარ“ (განსხვავებულ) დიალექტზე. კლაპროთი დიდხანს მუშაობდა ამ ენაზე და შეადგინა ოსური ენის მცირე „გრამატიკა“ და „ლექსიკონი“ (ბლარამბერგი 2010: 226). „პლინიუსი საუბრობს მიდიელებისა და სარმატების შთამომავლებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ტანაისის (დონის) სანაპიროზე, ხოლო პტოლემეოსი ასახლებს ამ მდინარის შესართავთან ხალხს, რომლებსაც „ოსიელებს“ უწოდებს. ეს ისტორიული მოწმობები სრულად ადასტურებს ოსების ენას, რომელსაც კლაპროთიმ მიუძღვნა სპეციალური კვლევები. ლექსიკური და გრამატიკული ფორმების მიხედვით განიხილება როგორც კილო და განეკუთვნება ინდოევროპული ენების (ორიგინალში „ინდოგერმანიული“) დიდ განშტოებას. მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვავლინეთ, რომ ძველად ამ ხალხს უწოდებდნენ „სარ-მატ-მიდიელებს“, კიდევ უფრო გასაოცარი გახდა იმის გაგება, რომ იგივე ხალხი-ალანებია, რომლებსაც შუა საუკუნეებში ეკავათ კავკასიის ჩრდილოეთი ოლქები“ (ბლარამბერგი 2010: 201).

„სვანურ ენას არ გააჩნია ოდნავი მსგავსებაც ჩრდილო კავკასიის მთის ენებთან; წარმოთქმა მასში ძალიან რთულია, მაგრამ სვანურ ენას გააჩნია რაღაც მსგავსება ქართულთან. გაგებინების მიზნით, ვაჭარი სვანები სამეგრელოსა და იმერეთში საუბრობენ ქართულად. ძირითადად სვანებს ნაკლები ურთიერთობები აქვთ რუსეთის დაქვემდებარებულ ოლქებთან“ (ბლარამბერგი 2010: 263).

„უზარმაზარი ხევი, რომელიც გადაჭიმულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ყოფს სამეგრელოს სვანებისაგან, რომლებიც სახლობენ იალ-

ბუზის ახლოს. მათ ენაზე სიტყვა „სვანი“ ნიშნავს „მაღალი მთის მცხოვრებს“ (ბლარამბერგი 2010: 254).

იოჰან ბლარამბერგი ნაშრომში ერთ-ერთ თავს უძღვნის საქართველოს მთის რეგიონებსა და იქ არსებულ დიალექტთა დახასიათებას, კერძოდ, ხევსურეთს, თუშეთსა და ფშავს, შემდეგი სათაურით: „ქართველთა ტომები კავკასიის მთებში“ (ბლარამბერგი 2010: 363).

1. ხევსურები (ხევსურეთი)
2. თუშები (თუშეთი)
3. ფშაველები (ფშავი)

„ხევსურები საუბრობენ ქართული ენის დიალექტზე, რომელიც იმდენად შერეულია კავკასიის სხვადასხვა იდიომებით, რომ მათი გაგება ძალიან რთულია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ პოულობენ უძველესი ეკლესიების დიდი რაოდენობით ნანგრევებსა და ქრისტიანობის ნაკვალევს, მათ მაინც არ გააჩნიათ ქრისტიანობაზე თითქმის არავითარი წარმოდგენა. ისინი კერპთაყვანისმცემლები და ცრუმორწმუნენი არიან“ (ბლარამბერგი 2010: 364).

„თუშებით დასახლებული რაიონი სავსეა ფლატოვანი კლდეებით, რომელზეც ისინი თაყვანს სცემენ წმინდა ილიას და მსხვერპლად სწირავენ საქონელსა და ცხვარს. ისინი ლოცულობენ ამ კლდეების წინაშე; მათ სწამთ სიზმრების და თავიანთი მღვდელთმსახურების წინასწარმეტყველებისა. თუშები საუბრობენ ქართულ ენაზე. უცხო ტომების შერევისა და ნასესხობის შედეგად, მათი ენა და რელიგიური წარმოდგენები სახემეცვლილია. წოვები და პირიქითელები საუბრობენ ჯერ კიდევ ქისტურ დიალექტზე“ (ბლარამბერგი 2010: 369).

შეიძლება ითქვას, რომ ბლარამბერგის ნაშრომი შეიცავს უაღრესად საინტერესო ფაქტობრივ მასალას კავკასიისა და საქართველოს ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის. თხზულების ღირსებად მიჩნეულია ის, რომ გარდა პირადი დაკვირვების საფუძველზე გამოყენებული მასალისა, იგი საარქივო და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, უხვად სარგებლობს წინამორბედთა – გიულდენშტედტის, პოტოცკის, კლაპროთის, პალასის და მალტ-ბრიუნის ლინგვისტური მონაცემებით. ბუნებრივია, ბლარამბერგისათვის, როგორც უცხოელისათვის, ძნელი იყო ბოლომდე ჩასწვდომოდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და ობიექტურად შეეფასებინა იგი. ამის გამო მისი ნაშრომი არ არის დაზღვეული ენათმეცნიერული უზუსტობებისაგან, მით უფრო ავტორს ჩვენ ვერ მოვთხოვთ ლინგვისტურ განათლებას. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ამცირებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავემოწმებით არნოლდ ჩიქობავას სიტყვებს: „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემთხვევითი ხასიათის ცნობებს ამ ენათა შესახებ, ლექსიკურ ჩანაწერებს, ცალკეულ ფრაზებს და სხვა, რაც შეიძლება აღმოაჩნდეს უცხოელ მოგზაურებს ანდა დადასტურდეს წარწერებში (თუ სხვა ენაზე შესრულებულ ხელნაწერებში). ქართულისათვის ასეთი მასალა საინტერესო არაა, მაგრამ უმწერლო ენების (ანდა ახალსამწერლო ენების) შესახებ ამას ვერ ვიტყვით: ყოველგვარი დოკუმენტაცია,



რასაც შეუძლია ამ უმწერლო ენათა ძველი ვითარების შესახებ გარკვეული ცოდნა შეგვძინოს, მეცნიერულად ფასეულია ამ ენათა ისტორიისათვის და მამასადამე, ამ ენათა შესწავლის ისტორიაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული“ (ჩიქობავა 1965: 20).

იოჰან ბლარამბერგის მიერ წარმოდგენილი ცნობები უფრო მეტად ფასეულია იმდროინდელი კავკასიის ეთნოლინგვისტური სიტუაციის რეკონსტრუქციისათვის ისტორიული და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცნობები გამოიყენება როგორც დიაქრონიული სოციოლინგვისტიკის ობიექტი.

### ლიტერატურა

**ჩიქობავა 1965** – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი.

**ბლარამბერგი 2010** – Бларамберг И., Историческое, топографическое, статистическое и этнографическое описание Кавказа, Москва.

**ლელ 2002** – Лингвистический Энциклопедический Словарь, изд. „Большая Российская энциклопедия“, Москва .

### Irine Chachanidze

#### Johan Blaramberg (1800-1878) on the languages of Georgia

##### Summary

Among the works written about the Caucasus region and Georgia in the 19th century by the European authors a prominent place is occupied by one of the best encyclopedic books by a German military figure Johann Blaramberg – „The Historical, Topographic, Statistic, Ethnographic and Military Description of the Caucasus’ (DESCRIPTION HISTORIQUE, TOPOGRAPHIQUE, STATISTIQUE, ETHNOGRAPHIQUE ET MILITAIRE DU CAUCASE, 1836). The text consists of three parts and was translated from French into Russian in 1999.

Along with the military, political and economic description a lot of interesting and noteworthy information concerning the customs and traditions, the religion, the languages, the ethnographic life of the Caucasian people, the nature and many other issues can be found in his work. The information provided by J. Blaramberg can be divided into two categories: on the one hand, the work includes the observation of the author about the situation in the Caucasus, the detailed description of the regions seen by the traveler and on the other hand, it involves the long historical excursions where the author uses the records of the previous European travelers and the scientific literature about Georgia in Europe that speaks about a rich educational background and the erudition of the author.

Linguistic materials are the most valuable for us. In several chapters the author pays much attention to the description of the different languages existing in

the Caucasus region and classifies them under seven main language groups: 1) The Abkhazian language; 2) The Circassian language; 3) The Kist language; 4) The Ossetian language; 5) The Lezgian language; 6) The Tatar language; 7) The Georgian language. In the presented paper the focus is drawn upon the languages in Georgia described by Blaramberg. (The text of the publication is used).

“The Abkhazian language has similarities with the Circassian language but is considered to be an isolated one. Guldenshtedt discusses the Abkhazian and the Circassian languages as two children of the same mother. However, Pallas does not agree with him and claims that Abkhazians use some Circassian words but the base of the Abkhazian language is totally different from the Circassian one.”

“The words from the Ossetian language remind the pronunciation of the Low German and the Slavic dialects. Due to the frequent combination of laryngeal and hushing consonants the language seems to be rough. In some Ossetian regions people use ‘lewd’ (different) dialect. Claprot worked on this issue for a long time and composed a brief grammar and a dictionary of the Ossetian language.”

“Svan language has nothing in common with the mountain language of the North Caucasus; the pronunciation is very difficult but the Svan language has something similar to Georgian. For the communicative purposes the Svan merchants use Georgian in Samegrelo and Imereti. Generally, the Svan people have few relations with the areas subjugated by Russia”.

The paper discusses and analyses the data of the German author about the mountain dialects of the Georgian language.

**მერაბ ჩუხუა**

**ძირითადი ფონეტიკური პროცესები სვანურში  
(თანხმოვნები)**

§ 1. **ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება სვანურში.** სვანური ენის ზმნური სისტემის მონოგრაფიულად შესწავლის პერიოდში, კერძოდ, ჯერ კიდევ 1931 წელს, აკად. ვ. თოფურია შენიშნავდა, რომ ზემოსვანური **სგ** კომპლექსი დისიმილაციის გზითაა **სკ** კომპლექსისაგან წარმომდგარი, ამას ავტორს აფიქრებინებდა ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში არსებული **შქ, შკ, სკ** კომპლექსების სვანურ ნიადაგზე **შგ** და **სგ** კომპლექსებად შეცვლა: ლაშქარი – ლაშგარ, ჭიშკარი – ჭიშგარ, კოშკი – კოშგ, წისქვილი – წისგვილი, სქელი – სგელი (თოფურია 1931: 65). მოგვიანებით ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების პრობლემას იკვლევდნენ გ. ახვლედიანი, ს. ჟღენტი, გ. როგავა, მ. სუხიშვილი. აკად. გ. ახვლედიანმა თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში – „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949: 383-388) სპეციალურად განიხილა აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა და მიუთითა მსგავსი პროცესის ოსუ ენაში არსებობის შესახებ. ავტორმა სავსებით სამართლიანად, აუცილებლად მიიჩნია გამჟღერებისას ორი სახეობის გამოყოფა: 1. დისტანციური (კოშკი → კოშგ ტიპი) და 2. კონტაქტურ-პროგრესული შქერი → შგორ ტიპი). მანვე ცალ-ცალკე გამოყო და სანიმუშოდ დაალოგა დისტანციური და კონტაქტური დისიმილაციის ნიმუშები სვანურში:

1. ხშულთა რეგრესულ-დისიმილაციური (დისტანციური) გამჟღერების ნიმუშები სვანურში ნასესხები სიტყვები: პალტო → ბალტო: პაპა → ბაპ „მღვდელი“, პაწკი → ბაწკ, პეტრე → ბეტრე, პირწამალი → ბირწამალ, კაკალი → გაკ(რა), კალატოზი → გალტეზ, კირწყალი → გირწყალ, კოწახური → გოწხირ, ტაიჭი → დაიჭ, ტუტა → დტა, კვირიკე → გჭირკ, ლა-გურკა „წმ. კვირიკეს ეკლესია“, ჭაჭ-ებ-ი → ჯაჭ-არ „თირკმლები“...
2. ხშულთა პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშები : კრამიტი → კრამიდ, კოსტა → კოსდა, ტაბაკი → ტაბაგ, ტაშტი → ტაშდ, ტახტი → ტახდ, ყაჭი → ყაჯ, ჭახრაკია → ჭახრაგ(ია), ჭაკი → ჭაგ, ჭიშკარი → ჭიშგარ...

ხშულთა დისტანციურ-დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონეტიკური კანონია ქართველური ენებისათვის, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის უტყუარ ცნობას იძლევა იმის შესახებ, თუ რა წარმომავლობისაა ისტორიულად დისიმილაციური სიტყვა: საკუთარი ლექსიკური ფონდისაა იგი, თუ ნასესხე-

ბი. როგორც პროფ. გ. როგავას ნათლად აჩვენა, ამის ჭეშმარიტ ნიმუშს წარმოგვიდგენს ქართ. **ჭლაკვ**-ი და სვან. **ჭაგუ** (მცენ.) ფუძეთა ურთიერთმიმართების საკითხი. უდავოა, რომ აქ ერთსა და იმავე ფუძესთან გვაქვს საქმე, მაგრამ სვანური **ჭაგუ** ენისათვის მკვიდრი სიტყვა არ არის და ის ნამდვილად ქართულიდან შეთვისებული **ჭლაკვ-ია**, რასაც ის ადასტურებს, რომ ამ ფუძის სვანურ ვარიანტში ქართ. **კ** მკვეთრის შესაბამისად მჟღერი ხშული **გ** არის წარმოდგენილი – **ჭლაკვ** → **ჭაგუ**, ხოლო მსგავსი გარდაქმნა მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში არის შესაძლებელი (როგავა 1984: 25). ამიტომაცაა, რომ სვანურ ენაში დიდი რაოდენობით გვხვდება მკვიდრი სიტყვები, რომლებშიც შედის ორი ან მეტი აბრუტივი, მაგრამ არცერთ ამ სიტყვაში არ ჩანს ყრუ ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება, ასეთებია: **ჭჭკულ** „ძილი“, **კოჭოლ** „მცირე“, **კაპრა** „ნიკაპი“, **პიტოლ** „კვერი“... როგორც გამოჩენილი ლინგვისტები (გ. ახვლედიანი, გ. როგავა) მიუთითებენ: ყრუ ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერებაში არსებითი ხასიათისაა ყრუ ხშულთა დისტანციურ-დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება, რომელიც მხოლოდ ენაში შეთვისებული სიტყვების კანონზომიერებაა. გ. როგავას აზრით, ეს ფონეტიკური კანონი არ მოქმედებს მკვიდრ სიტყვებში.

ვფიქრობთ, აქ ძირითადად სწორად ფორმირებული ფონეტიკური წესი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან დისტანციურ-დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება თავჩენილია სვანური ენის მკვიდრ ძირებშიც, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც ფუძეში ერთდროულად ფიქსირდება ჰომოგენურ-ჰომორგანული აბრუპტივები: პ-პ, ტ-ტ, კ-კ, წ-წ, ჭ-ჭ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყ-ყ წყვილიც, მიუხედავად იმისა, რომ ყ-ს მჟღერი კორელატი არც სვანურს და არც რომელიმე სხვა ქართველურ ენობრივ ქვესისტემას არ მოეპოვება, დისიმილაციური გამჟღერება აქ მაინც განხორციელდა, მხოლოდ, შესაბამისი მჟღერი ფარინგალური რიგის აფრიკატ **გ**-ს უქონლობის გამო, განხორციელდა **ყ** → **გ** ტრანსფორმაცია: ქართ. **ყარყატი** ~ სვან. **გარყან** „ყარყატი“, სვან. **ყურყუ**- (ბზ., ბქ.), **გურყუ**-ე (ლშზ., ლნტ.) „შემოკავება“, **ლუ-ყურყუ**-ე / **ლუ-გურყუ**-ე „შემოკავებული“. და რომ რეგრესულ-დისიმილაციური (დისტანციური) გამჟღერება (მოქმედი) ფონეტიკური პროცესია საკუთრივ-სვანური ფონდის სიტყვებში ნათლად წარმოჩნდება კიდევ ერთ საერთოქართველურ ფუძეში. ცნობილია, რომ ქართ. **წიწკ**-ან-ა „ერთგვარი ჩიტი“ ფუძეს სვანურში **ჯჯკ** „ბელურისნაირი პატარა ჩიტი“ ძირი შეესატყვისება (მ. სუხიშვილი, მ. ჩუხუა), რომელსაც ლაზურში **ჭიჭკ**-ონ-ა „წიწკანა“ შეეფარდება. ამ ქართველურ ძირთა ანალიზისას, სიტყვის ანლაუტში სვანური ქმნის სხვაობას, როცა ლაზურ **ჭიჭკ**- თანმიმდევრობის წილ სვანურ **ჯიჭკ** არის პოვნირი. ცხადია, აქაც **ჭ-ჭ** → **ჯ-ჭ** განხორციელდა სვანურში მოქმედი ხშულთა რეგრესულ-დისტანციური გამჟღერების პროცესის ფარგლებში. ამიტომაც ზემოხსენებულ თითქოსდა ნასესხებ სიტყვათა რიგს სვანურში უნდა გამოაკლდეს შემდეგი ფორმები: **ბაწკ** „პაწკი“, **გაკ**-რა „კაკალი“, **დგტა** „ტუტა“, **გურიკ** „კვირიკა“.

§ 2. **კონტაქტურ-დისიმილაციური გამჟღერება/გამკვეთრება ხშულ თანხმოვნებში.** სვანურ კომპლექსებში მომხდარი ისტორიული ფონეტიკუ-

რი ცვლილება, ანუ კონტაქტურ-დისიმილაციური გამჟღერება ენაში მეტად გავრცელებული პროცესია, იგი მოიცავს როგორც შეთვისებულ, ასევე მკვიდრ სიტყვებს. ამ კანონმა არ იცის არცერთი გამონაკლისი სვანური დიალექტების ფარგლებში (როგავა 1984: 36). როგორც ირკვევა, ისტორიული **სქ, სთ, შქ, შთ, ზთ** რომლებიც სვანური ენის ამოსავალ ფონოლოგიურ სისტემაში ისევე მოქმედებდნენ, როგორც მის ახლომონათესავე ზანურ დიალექტებში, მოგვიანებით შესამჩნევ ცვლილებებს დაექვემდებარნენ, კერძოდ, ლენტეხურში კომპლექსის მომდევნო წევრი გამკვეთრდა – \*შ/სთ → შ/სტ, \*შ \*სქ → შ/სკ, მაშინ, როდესაც დანარჩენ სვანურ დიალექტებში ყრუ ფშვინვიერ ხშულთა გამჟღერება განხორციელდა – \*შ/სთ → შ/სდ, \*შ/სქ → შ/სგ, შდრ. ქართ. ასთაკვ-ი: სვან. (ლენტ.) აშტაკუ, ზს. ჰშდაკუ // ჰშდევუ „ხვლიკი“, ქართ. სთუმ-, სა-სთუმ-ალ-ი : სვან. (ლენტ.) შტიმ, ზს. შდიმ „ყური“, ქართ. სქელ-ი → სვან. სგელ/სკელ, ქართ. ლაშქარი – სვან. ლაშგარ...

მსგავს სიტუაციაში აკად. ვ. თოფურიამ სვანურის **სდ, სგ, შდ, შგ** კომპლექსები დისიმილაციური გზით მიღებულად ჩათვალა და ივარაუდა, რომ ისტორიულად ამოსავალია **სტ, შტ, სკ, შკ** გლოტალიზებული სახეობები (თოფურია 1931: 65).

ზემოჩამოთვლილ კომპლექსთა გენეზისის რკვევისას პროფ. ს. ჟღენტი ვრცლად მიმოიხილავდა დიალექტურ მასალას სვანურში და ასკვნიდა, რომ უძველესია არა მკვეთრსახეობიანი კომპლექსები, არამედ მჟღერსახეობიანი, რის შესახებაც ავტორი მიუთითებდა: „ლენტეხურის მჟღერ ხშულებში მაგარი შემართვისა და დამართვის მოშლა ყველაზე უფრო ნათლად ჩანს კომპლექსების **სგ, სდ, შგ, შდ**-ს ცვლაში. მჟღერ ხშულებში მაგარი შემართვისა და დამართვის მოშლამ ლენტეხურში ხელი შეუწყო პროგრესული ასიმილაციის წარმოშობას: **სგ → სქ, სდ → სთ, შგ → შქ, შდ → შთ**, შემდეგ კი რაგვარობის მიხედვით დისიმილაციის საფუძველზე მივიღეთ: **სქ → სკ, სთ → სტ, შქ → შკ, შთ → შტ**, აქვე საილუსტრაციო მასალად მოხმობილია შემდეგი დიალექტური ნიმუშები: ბზ. ლემესგ – ლნტ. ლემესკ „ცეცხლი“, ბზ. უსგვა – ლნტ. უსკვა „ექვსი“, ბზ. ვისგვ – ლნტ. ვისკვ „ვაშლი“, ლშხ. შგურ – ლნტ. შკურ „სირცხვილი“, ბზ. დაშდვ – ლნტ. დაშტვ... (ჟღენტი 1949: 171).

ეხებოდა რა სპეციალურ ნაშრომში აქ განხილულ პრობლემებს, პროფ. გ. როგავა კომპლექსურად შეისწავლიდა ჩვენთვის საინტერესო საკითხებს როგორც ქართველურ, ისე მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. უმდიდრეს ლინგვისტურ მასალაზე დაყრდნობით მან გააკეთა უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც არსებითად არის განსხვავებული მისი წინამორბედი მკვლევრებისაგან (გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი). ავტორი წერდა: „ამ რიგის კომპლექსებში მომხდარი ცვლილებები ჩვენ სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი. როგორც ლენტეხურის მკვეთრხშულიანი კომპლექსები – **სკ სტ შკ შტ**, ასევე ზემოსვანურისა და ლაშხურის მჟღერხშულიანი კომპლექსები – **სგ სდ შგ შდ** მეორეულია. ორივე რიგის კომპლექსებისათვის ამოსავალია ფშვინვიერხშულიანი კომპლექსები – **სქ სთ შქ შთ**. ფშვინვიერხშულიანი კომპლექსების გადასვლა როგორც მკვეთრხშულიანი კომპლექსებში ლენტეხურ კილოში, ასევე მჟღერხშულიანი კომპლექსებში

ზემოსვანურსა და ლაშხურში ერთიანი ფონეტიკური პროცესია, გამოწვეული კომპლექსების პირველი წევრების **ს** და **შ** სპირანტების მიერ ასპირაციის ჭარბად დახარჯვით, რის შედეგად ფშვინვადაკლებული ხშულები გადავიდნენ ლენტეხურში მკვეთრებში, ხოლო ზემოსვანურსა და ლაშხურში მჟღერებში“ (როგავა 1984: 42-43). გ. როგავას ამ დასკვნიდან ირკვევა, რომ ფონეტიკურად სვანურისათვის მიუღებელია სპირანტი (ს, შ) + ფშვინვიერი ხშული (თ, ქ) თანმიმდევრობები, რაც სხვა სპირანტზეც ვრცელდება – **ხ**. ამიტომაც /ს/შ/ხ/ სპირანტის მომდევნოდ ყრუ ხშულები **ფთქ** კარგავს მისთვის ერთ-ერთ ძირითად მადიფერენცირებელ ნიშანს (ფშვინვიერობას) და ზოგ დიალექტებში მჟღერდება, ხოლო სხვაგან, ლენტეხურში მკვეთრდება. სწორედ ამის გამო გადაშენდა სვანურში ამოსავალი, საერთოსვანური \*სთ, \*შთ, \*სქ, \*შქ, \*ხთ კომპლექსები. თუმცა უფრო გრძელ, სამადგილიან კომპლექსებში მომდევნო **ხ** სპირანტის წყალობით რამდენიმე ძირში მაინც შემოგვრჩა **შთ** კომპლექსი – **შთხ**:

შდრ.: სვან. **შთხარ-/შთხრ** – „თხრა“, ხტ-ა-**შთხრ**-ი „ვეთხრი“, ჟან-**შთხარ**-ე „მოთხრა“,

სვან. ჟო**შთხტ** „ოთხი“, მე-ჟ-**შთხტ**-ე „მეოთხე“...

სვან. ი**შთხტ** „წიხლი“, შდრ. ქართ. **თხუხ**-ი „მსხვილფეხა საქონლის კოჭი“.

ამ რიგის მაგალითებში ისტორიული (ამოსავალი) **შთ** ბგერათკომპლექსი არც ზემოსვანური (**შთ**→**შდ**) და არც ლენტეხური (**შთ**→**შტ**) მიმართულებით არ შეცვლილა. მიზეზი ერთადერთია, სვანურში აკრძალულია **დხ** და **ტხ** სინტაგმატური ჯგუფები ერთი ძირის ფარგლებში. თორემ შეზრუნებული წყობით **ხდ** ზემოსვანურში და **ხტ** ლენტეხურში ადვილი შესაძლებელია, რასაც თვალნათლივ ამოწმებს ნასესხები სიტყვების ადაპტაცია სვანურ დიალექტებში. მაგალითისათვის ავიღოთ ქართული (დიალექტური) სამხთო „საღვთო“ სიტყვის ბედი სვანურში, ამ უკანასკნელმა თანმიმდევრობა **ხთ** სვანურ გარემოში ვერ შეინარჩუნა და ზემოსვანურში, **ხთ** → **ხდ** გამჟღერების ტენდენციის წყალობით, სამხდო ალომორფი მოგვცა, ხოლო ლენტეხურში, როგორც მოსალოდნელი იყო, გლოტალიზებული სამხტო ვარიანტი დაფიქსირდა: რატომ? იმიტომ, რომ ბგერათშეერთების წესი ყრუ სპირანტი + ფშვინვიერი ხშული (თ, ქ, ფ) ტიპის თანხმოვანკომპლექსების შეუთავსებლობის შესახებ სვანურ ენაში დღემდე მოქმედ კანონად ითვლება.

აქვე სპეციალურად უნდა შევჩერდეთ კონტაქტური პროგრესულ-დისიმილაციური გამჟღერება-გლოტალიზაციის შემთხვევების შესახებ სვანურში, ახსნას ითხოვს ქრისდე – ქრისტე, ტაშდ – ტაშდ, ტახდ – ტახტ, კოსდა – კოსტა (ანთროპ.), სდუბანუ – სტუფანუ (ანთროპ.), პრისდაჟ – პრისტაჟ ტიპის შემთხვევების შენარჩუნება, მაგრამ რატომ მოხდა მათი გამჟღერება ზემოსვანურ დიალექტებში? საკითხის ამგვარად დასმისას აუცილებლად გვეჩვენება სესხების გზის გათვალისწინება. ვინაიდან ეს სიტყვები სვანურ დიალექტებში ზეპირი მეტყველების ხდებოდა, როგორც სამხთო „საღვთო“ სიტყვის შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ სვანური ენის გარემომცველ დიალექტებში (მეგრული, რაჭული, იმერული, ლეჩხუმური) სწორედ **სთ**, **შთ**, **ხთ**, **ხგ**, **სგ**, **შგ**, **სქ**, **შქ** ყრუ ფშვინვიერი თან-

ხმოვნური ჯგუფები იყვნენ წარმოდგენილი, ამიტომაც წინამავალ (**ს, შ, ხ**) ყრუ ფშვინვიერი სპირანტების წარმოთქმამ აუცილებელი გახადა ამოსუნთქული ჰაერის ჭარბად დახარჯვა, რისგამოც მომდევნო ყრუ ხშულის არტიკულაციისათვის არ რჩება ჰაერი და იგი წარმოითქმის მინიმალური ფშვინვიერობით, სპირანტს მიაქვს სრულად ფშვინვიერება მომდევნო ყრუ ხშულისა და უფშვინველად წარმოთქმული **ფ, თ, ქ** (რეალურად პრერუპტივები) ლენტეხურში მკვეთრდება (→ **პ, ტ, კ**), ხოლო დანარჩენ სვანურ დიალექტებში მჟღერდება (→ **ბ, დ, გ**).

ცალკე, დამოუკიდებელ ჯგუფად, უნდა გამოიყოს სვანურში სიტყვათა ისეთი წყება, როდესაც, როგორც ნასესხებ, ისე მკვიდრ ძირ-ფუძეებში, დასტურდება ყრუ ფშვინვიერ ხშულთა გამჟღერების საკმაოდ მრავალრიცხოვანი შემთხვევები. აქ წარმოდგენილი ძირები ორგვარ კანონზმიერებას ექვემდებარებიან: 1. მჟღერდება სიტყვის ანლაუტური ან ინლაუტური ფშვინვიერი ხშული, თუ ძირში მოიპოვება **მ ნ რ ლ** სონორი, შდრ. **ფირწალ** // **ბირწალ** „ფიწალი“, **ზარჩხალაი** „გატოტვილი“ – ქართ. **ფარჩხა** „გაფარჩხული“, **ფარჩხ-ი** „წვრილტოტებიანი ხმელი შტო (უფოთლებო)“, ლი-**ზერთხენ-ალ** – ქართ. **ფართხალ-ი**, **მადრჷკ** – ქართ. **მათრაკ-ი**, **ხალდჷმ** // **ფალთჷმ** // **ფათა** „ბანჯგვლიანი“, **ზარდან** – ქართ. **ფართალ-ი**, **ბიდირ** – ქართ. **ფითრ-ი**, **ჯონჯღ** – ქართ. **ჩონჩხი**, **ფერთხენ** // **ზერდღენ** – ქართ. **ფრთხიალი**, **ხანდღუალ** // **ფანთქუალ** „რბილი, ფუმფულა“... 2) მჟღერდება CVC, CVCC ტიპის ძირებში წინამავალი ყრუ ფშვინვიერი ხშული, თუ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში იდენტური ჰომორგანული ყრუ ფშვინვიერი ხშული თანხმოვანი ფიქსირდება: **ბიფხ** „წვეთი, ცვარი“ – ქართ. **ფიფქ-ი**, **გაგ** – **ქაქ** „ფაფა“ – ქართ. (გურ., იმერ.) **ქაქ-ია**/**ქაქ-იე** „ფაფა“... სხვა პოზიციებში ყრუ ფშვინვიერ ხშულთა გამჟღერების ტენდენცია არ შეინიშნება (სუხიშვილი 2007).

§ 3. **სონორებთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები სვანურში.** ამ ფონემებისათვის (**მ ნ რ ლ**) დამახასიათებელია არაერთი ფონეტიკური გარდაქმნა, ხშირად ამა თუ იმ თანხმოვნის წინა პოზიციაში გაჩენა (განვითარება), ზოგიერთი მათგანი იკარგება კიდევაც, ზოგჯერ უკვალოდ. განვიხილოთ თითოეული ფონეტიკური მოვლენა ცალცალკე.

ნაზალური (**მ/ნ**) თანხმოვნები გარკვეულ თანხმოვნებთან (წინ) ჩნდება სვანურში. კერძოდ, ბილაბიალური **მ** სონორი ვითარდება ბაგისმიერების წინ. ეს მოვლენა, დიალექტების მიხედვით, შეინიშნება როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ მასალაში. შდრ.:

ქართ. და**ხალ-ი** → სვან. დამ**ხ**ალ//დამ**ხ**ალ

ქართ. ო**ხ**ოლ-ი → სვან. ომ**ხ**ელ//ო**ხ**ოლ

ქართ. დალუ**პ**ვა → სვან. ლილუმ**პ**ვი (ბქვ.) // ლილუ**პ**ვი (ბზ.)

ქართ. სტა**ფ**ილო → სვან. სტამ**ფ**ილო (ლხმ.)

ქართ. ბი**ბ**ილო → სვან. ბიმ**ბ**ილ

ქართ. კა**პ**-ი → სვან. კამ**პ** (ბქვ.) // კამ**პ** (ბზ.)

სვან. ლი-**ხ**ეც „შეიძლება“, მაგრამ უ-**მხ**ეც „შეუძლო“, ლგ-**მხ**ეც „შემძლე“... როგორც მოსალოდნელი იყო დენტალური რიგის თანხმოვნებთან (**დ თ ტ ძ ც წ**) ფონეტიკურად ვითარდება **ნ** სონორი, რაც თვალნათლივ

ჩანს ნასესხებ, ძირითადად ქართულიდან შესულ მასალაში:

ქართ. და-ტყვევ(ნ)ება → სვან. ლი-**ნტყოუნ**-ე (ბქ.)

ქართ. მოცხარი → სვან. მენცხურ

ქართ. ფოცხვერ-ი → სვან. ფორეცხ//ფორენცხ (ჩბხ.)

მეგრ. კოტო → სვან. კონტ (ბქვ.) „ქოთანი“

ქართ. თხელ-ი → სვან. ლგ-ნთხერ-ე „გათხელებული“

მეგრ. ტყარ-ი „ტყიური“ → სვან. ტყარ „ტყიური“, მაგრამ ლგ-ნტყარ-ე „გატყიურებული“

მეგრ. თხორილ-ი → სვან. თხრილ, მაგრამ ლგ-ნთხორ-ე (ბქვ.) „გათხრილი“... (ქალდანი 1954: 182-83).

ქართულიდან შეთვისებულ ლექსიკურ ერთეულებში ხშირია ძირითადად მ ფონემის გაუჩინარება, რაც სიტყვის ანლაუტში ხორციელდება, ვფიქრობთ, ამ მოვლენას საფუძვლად სინტაგმატური შეზღუდვა უდევს, ე. ი. სიტყვის თავში სუპერირდება მ + ჩქამიერი ტიპის მოდელები:

ქართ. მკუხე – სვან. კუხურ//კუხ

ქართ. მკვირი-ი – სვან. კურიტ (ზხ.) // კურიტ (ბქვ.)

ქართ. მგზავრობა – სვან. გზარობ

ქართ. → მკეც-ი – სვან. კეც

ძვ. ქართ. მჭარ-ი – სვან. კერ (ზხ.) // კერ (ბქვ.) „სამკლავე“...

**შენიშვნა:** სვან. კერ (ზხ.), კერ (ბქ.), „სამკლავე, სახელური“ შეიძლება შეიცავდეს ს.-ქართვ. \*მჭარ – „მხარი“ არქეტიპის სვანურ შესატყვისს (ძვ. ქართ. მჭარ-ი, ზან. ხუჯი//მხუჯ-ი), და ამდენად, თავკიდურ პოზიციამში სვანური მ-ს გაუჩინარება სესხების თავისებურება კი არ იქნება, არამედ ენაში გავრცელებული ფონოტაქტიკური შეზღუდვა, რასაც სვანურში მ + თანხმოვანი თანმიმდევრობის არარსებობა დაედო საფუძვლად. რაც შეეხება ნ. მარის მიერ მოხმობილ სვან. მეჭარ (ზხ., ლნტ.), მეჭერ (ლშხ.) „მკლავი“ ლექსემას, მისი სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტი ქართულში უნდა ჩანდეს სულხან-საბასთან მრავლობითობის ფორმით მოხმობილ სიტყვაში მეჭელ-ნ-ი „მკლავნი“. ასე რომ, ძველ ქართულ მჭარ- ფუმეს სვანურში კერ/კერ „სამკლავე, სახელური“ შეეფარდება, ხოლო საბასეული მეჭელ-ნ-ის ეკვივალენტი სვანურ მეჭერ//მეჭარ ალომორფებში დაჩნდება (შდრ. ქალდანი 1954: 182). თითქოს წინააღმდეგობას ქმნის აუსლაუტში ქართ.: დ : სვან. რ, მაგრამ ამის მარჯვე პარარელი ჩანს ქართ.: ჯამლ-ი : სვან. ჯამირ შესიტყვებაში; შდრ. ასევე ქართ. თხელ- → სვან. ლგ-ნთხერ-ე „გათხელებული“...

დენტალური რიგის ნ სონორის დაკარგვა, როგორც ამას პროფ. მაქსიმე ქალდანი აღწერდა, მეტად გავრცელებული მოვლენაა სვანური ენის ლახამულურ კილოკავში. ამ კილოკავში ბოლოკიდური ნ უჩინარდება უკანაენისმიერ, გუტურალურ თანხმოვანთა (გ კ ლ) მომდევნო პოზიციამში, თანაც, მიუხედავად იმისა, გრამატიკული ფუნქციის მქონეა ეს ნ, თუ არა:

ლახამ. თხარსკ – თხარსკნ (ჩბხ.) „სეტყვა“

ჰერსკიმ ტუფ. – ჰერსკნიმ ტუფ „არჩვის ტყავი“

ჟაბხიგ! – ჟაბხიგნ „ადე“!



გარჯღღლდ – გარჯღღლდ „ბაღლინჯო“ (ქალდანი 1954: 183).

ერთგან **მ** ბალსქვემოურში ასიმილაციით, მომდევნო **პ** ბილაბიალის ზეგავლენით, **მ**-ში ჩანს გადასული, შდრ. ნაპურ „ფრინველი, ჩიტი“ → \*მე-ნპორ-ელ-ი – მე-მპორ-ელ „მფრინავი“. საპირისპირო, ანუ **მ**→**ნ**, ალბათ ასევე ასიმილაციური, პროცესი შეინიშნება ლახამულურ კილოკავში: სვან. მეგრე „მსხვილი“ – ნა-მეგრი „სამარხო“ – ნა-ნგრი (ლხმ.)

სვანური დიალექტების მიხედვით **მ-ნ** მონაცვლეობა (სუბსტიტუცია) სხვა მასალაშიც არის შენიშნული:

ლშხ. ლე-მწირ – ბქვ. ლე-ნწირ „სჯობნი“

ლენტ. ლი-მთხლ-ე – ბქვ. ლი-ნთხლ-ე „დაცვა“

ზ. სვან. (ლხმ.)→ მესტორ – ზს., ბქ. ნესტორ (ანთოპ.)

ზ. სვან. ჩიმთ – ჩბხ. ჩინთ „ჩითი“

ჩბხ. ჩიმჩ – ზს. ბქ. ჩინჩ „ჩრჩილი“

სვან. ბამბა – ბზ. ბანბა „ბამბა“

სვან. ლი-მხუბ-ე – ლშხ. ლი-ნხუბ-ე „ძმობა“

ლშხ. ლი-მბ-ე – ზს. ლი-ნბ-ე „დანებება“ (ქალდანი 1955).

სონორ თანხმოვანთა ცვლილებებიდან ასევე აღსანიშნავია ლატერალური **ლ** ფონემის დელატერალიზაცია-ლაბიალიზაცია სვანურში – **ლ**→**ტ**. ეს ფონეტიკური პროცესი ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ყველა სვანური დიალექტისათვის, შდრ.: ქართ. ძალ-ი: სვან. ჟელტ, ქართ. ვაშლ-ი: სვან. უისგტ, ქართ. დედალ-ი: სვან. დდტ, ქართ. უღელ-ი: სვან. უღტა, ქართ. თოხლ-ი: სვან. დუხტ „ყოჩი, ერკემალი“, ქართ. გულ-იო „მტრედი“ (საბა): სვან. მუ-გტ „მტრედი“, ქართ. იფხლ-ი: სვან. იფხ(ტ) „გვიმრა“, ზან. თოლ-ია: სვან. შდატალ „თოლია“, ქართ. ყეჯალ-ი (საბა): სვან. ყანსკტ „რიკი“... (ჩუხუა 200-2003: 16-17). დღეისათვის **ლ**→**ტ** გარდაქმნა უკვე აღარ არის მოქმედი ფონეტიკური პროცესი სვანურ დიალექტებში, არ ჩანს იგი არც სხვა ქართველურ ენა-კილოებში, თუმცა, როგორც თ. შარაძენიძემ თავის დროზე შენიშნა, ნარნარა **ლ** თანხმოვნის წყვილბაგისმიერ **ტ**-ში გადასვლა ერთგან დღესაც მოქმედა. ავტორი შენიშნავდა, რომ ხაიშურ მეტყველებაში დასტურდება **ტ**-ს შესატყვისობა **ლ**-სთან, მაგალითად, სვან. კნინობითობის -ილდ: ხაიშ. -იტდ (ბელ-ილდ: ბელ-იიტდ „ბელი“), ზმნის თემის ნიშნად სვან. -აღლ: ხაიშ. ატ (ლიბანაღლ: ლიმბანაღლ „დაფიცება“), „მდე“ თანდებულის ფუნქციით სვან. -ალდ: ხაიშ. -ატდ (ლიგალდ: ლიგატდ „მოსვლამდე“), ვნებითის მიმღეობის პრეფიქსად თურმეობითში სვან. ლ: ხაიშ. ტ (ლეჟოლჩედ : ლეჟოტჩედ „ზევით წავიდეთ“) (შარაძენიძე 1955: 127).

მოგვიანებით **ლ**→**ტ** გარდაქმნას დიდი ადგილი დაეთმო პროფ. მ. ქალდანის სპეციალურ ნაშრომში „სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი“, სადაც ყველა შესაძლო ვარიანტი არის გამოვლენილი, ესენია: 1. -ალ-ატ, -ელ-ეტ სახელზმნურ სუფიქსებში – მახ-ატ – მახ-ალ „ცოდნა“, ზურ-ატ – ზურ-ალ „ქალი“, ლი-ბურს-ელ-ი „წვრილმანების ქურდობა“... 2. მრავლობითობის -ილ სუფიქსის გადასვლა -იტ ალომორფად – მარ-იტ – მარ-ილ „კაცები“, დინ-იტ – დინ-ილ „გოგონები“, ჟინ-იტ – ჟინ-ილ „ძერები“, მეჩდ-იტ – მეჩდ-ილ „წასულები“, ლემბ-იტ – ლემბ-ილ „გაახალგაზრდავებული“... 3. თურმეობითებში

გამოყოფილ ვნებითობის **-ოლ** სუფიქსსაც ხაიშურ თქმაში **ოტ** სახეობა ენაცვლება – ხაშხ-**ოტ**-ნა – ხაშხ-**ოლ**-ნა „ეწვეოდა თურმე“..., ხაშხ-**ოტ**-ნა – ხაშხ-**ოლ**-ნა „მოსდიოდა თურმე“, ხაპრ-**ოტ**-ნახ – ხაპრ-**ოლ**-ნახ „ახტებოდნენ თურმე“, ხახელ-**ოტ**-ნა – ხახელ-**ოლ**-ნა „ხვდებოდა თურმე“... (ქალდანი 1955: 153-154).

როგორც თ. შარაძენიძისა და მ. ქალდანის მიერ გამოვლენილი მასალა ამტკიცებს, ხაიშურ მეტყველებაში ცოცხალ პროცესად დარჩა ის გარდაქმნა (**ლ-ტ**), რომელიც ადრე ყველა სვანურ დიალექტს ახასიათებდა ძირ-ფუძის ფარგლებში. განსხვავება ისაა, რომ **ლ**-ს ბილაბიალიზაციამ ხაიშურში თითქმის სრულად მოიცივა როგორც ძირეული, ისე მორფოლოგიური ინვენტარი. თუმცა, სწორედაც რომ საბედნიეროდ, ლაბიალურშივე ორ მაგალითში შემორჩა ამოსავალი **ლ**, მაშინ როდესაც ყველა სხვა დიალექტი **ტ**-ს აჩვენებს: ლხმ. ჭაღ – სვან. ჭაღ „ფუტკრის სენი“, ლისარაღ – ლისარაღ „საშოვრად გამგზავრება“ (ქალდანი 1955: 154).

აქედან ჭაღ/ჭაღ-ში **ლ**-ს შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ძირის ისტორიის დასადგენად. ვინაიდან, როგორც ირკვევა, ქართული ჭეო „ფუტკრის სენი“ ფორმიდან კი არ მომდინარეობს სვანური ჭაღ (ზ. ჭუმბურიძე), არამედ, პირიქით, ქართულ ჭეო-ს დაედო საფუძვლად სვანური ჭაღ // ჭაღ, ეს უკანასკნელი ქართ. კალ- „კვლა“ ზმნის შესატყვისად მიიჩნევა“ (ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი). სვანური ჭაღ თანმიმდევრობა ქართულში ხშირად ეო-დ არის რეალიზებული, შდრ.: სვან. ზესხაღ → ქართ. ზესხო, სვან. ჩაღ → ქართ. ჩეო (სვან. ჩაღ, რომელიც, თავის მხრივ, ქართ. ქავ-ის შესატყვისია), ასევე სვან. ჭაღ → ქართ. ჭეო.

§ 4. **ასიმილაცია და დისიმილაცია სვანურში.** მიუხედავად იმისა, რომ სვანურში, განსხვავებით სხვა ქართველური ენებისაგან, მიუთითებენ ამგვარი ფონეტიკური პროცესების ნაკლებად გავრცელებაზე (ჟღენტი 1949: 159), მაინც შეიძლება მოვიძიოთ არაერთი მაგალითი როგორც ერთი, ისე მეორე სახეობის საილუსტრაციოდ.

ა) თანხმოვნებში განხორციელებული ასიმილაციის ნიმუშად გამოდგებოდა შემდეგი შემთხვევები სვანურის დიალექტებიდან:

**ჯჟ-ჩჟ** – ლიჯჟური – ლიჩჟური „ჯიქურ მისვლა“, „მივარდნა“, ეჯჟას – ეჩჟას „მაშინ“.

**ჯკ-ჭკ** – ეჯკალობ – ეჭკალობ „ისეთი, იმისთანა“, ლიჯკენე – ლიჭკენე „გავსება, გატიკნა“.

**ჯხ-ჩხ** – ჯოჯხეთ – // ჯოჩხეთ „ჯოჯოხეთი“, ეჯხენ – ეჩხენ „იქიდან“

**ჯშ-ჩშ** – ეჯშელდ – ეჩშელდ „იმდენი“

**ეხ-შხ** – ხაჟხა – ხაშხა „ჰქვია“ შდრ. ჟახე „სახელი“

**ეწ-შწ** – იეწტი – იშწტი „მწიფდება“, შდრ. ჟუწტ „მწიფე“

**დტ-თტ** – ლიდტი – ლითტი „სანადიროდ წასვლა“, ლადტელ – ლათტილ „სათხებო“

**დჩ-ჩჩ** – ლადჩურა – ლაჩჩურა „დები“, შდრ. დაჩურ „და“...

**დფ-თფ** – დედფალ – დეთფალ „დედოფალა“.

როგორც ყველა აქ ჩამოთვლილი მაგალითი ამოწმებს, სვანურში კომბინირებული გზით განხორციელებული ასიმილაცია ძირითადად (უმ-

თავრესად) არის რეგრესული მიმართულების (ქალდანი 1955: 160).

ბ) **დისიმილაციური** გარდაქმნის მაგალითების მოხმოვა სვანურში მართლაც ჭირს, აქ თითქმის ერთადერთ ნიმუშად შეიძლება დასახელდეს **რ+რ – რ–ლ** პროცესი, რომელიც სახელთა მრავლობითის წარმოებისას დასტურდება. ეს მოვლენა მოიცავს სვანური ენის სამ ძირითად დიალექტს – ლაშხურს, ლენტეხურს და ბალსხემოურს. ბალსხემოურში ამოსავალი **რ+რ** თანმიმდევრობა უცვლელია.

#### ბქვ. დანარჩენი

ქორ ქორ-წრ ქორ-წლ (ბზ., ლნტ.), ქორა-ალ (ლშხ.) „სახლები“  
ყორ ყორ-წრ ყორ-წლ (ბზ.), ყორტ-წლ (ლნტ.), ყორ-ალ (ლშხ.) „კარები“

კერ კერ-წრ კერ-წლ (ბზ.), კერ-წლ (ლნტ.), კერ-ალ (ლშხ.) „ტახი“  
კირ კირ-წრ კირ-წლ (ბზ.), კირ-წლ (ლნტ.), კირ-ალ (ლშხ.) „ჩლიქი“  
პერ პერ-წრ პერ-წლ (ბზ.), პერ-წლ (ლნტ.), პერ-ალ (ლშხ.) „ქაფი“

ოდენ სვანური რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღერების შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ამ ნაშრომის დასაწყისში (იხ. § 1. პარაგრაფი), ასე რომ, მასზე აქ ვერ შევჩერდებით.

§5. **მეტათეზისი.** აქ ფონეტიკური მოვლენის მეტად საყურადღებო სახეობას წარმოადგენს სვანურში საურთიერთო მეტათეზისი, როგორც ეტყობა, ის ფართოდ იყო ისტორიულად გავრცელებული როგორც ქართული ენის დიალექტებში, ისე სვანურში:

ნახგრწელ (ლშხ.) – ნაწგრხელ (ბქვ.) „ხვართქალა“ (მცენ.)

ჯანგ (ბზ.) – განჯუ (ბქვ.) „ჟანგი“

ჭაიტ (ლხმ.) – ტაიტ (ჩბხ.) „ტაიჭი“

ლიჭუხე (ჩბხ.) – ლიბუჭე (ლხმ.) „ჩატენა“

ლიწხალ (ბქვ.) – ლიხეც (ლშხ.) „ხენემა“

ყტიჩ (ბქვ.) – ქართ. ჩიყვი-ი... (ქალდანი 1955: 169).

**შენიშვნა:** ეს უკანასკნელი **ყტიჩ** სვანური ფორმა ადვილი შესაძლებელია, უკავშირდებოდეს ქართულ **ყვიც**- ფუძეს სიტყვაში **ყვიც**-იანი, რომელსაც, თავის მხრივ, მეგრული **ყვანჩ**-ა შეეფარდება, მაშინ, ცხადია, მეტათეზისზე ვერ ვისაუბრებთ და საერთოქართველურ დონეზე კანონზომიერად რეკონსტრუირდება ს.-ქართველურ \***ყტიც**- არქეტიპი.

§6. **ტ ბილაბიალის ვოკალური წყაროსათვის სვანურში.** ქართველური ენობრივი მონაცემებიდან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია **ო** და **უ** ლაბიალური რიგის ხმოვანთა ნაწილობრივი რედუქციის ფონეტიკური პროცესი – **უ/ო** → **ტ**; შდრ. ქართ. მაწონი / მაწვნის და სვან. ხა-ცომ-ა ~ ხ-ა-ცტმ-ა „უსვია“ ... ტიპის გარდაქმნები დასახელებულ ენებში (ა. შანიძე, გ. მაჭავარიანი, მ. ქალდანი). ქართული **ა** ხმოვნის მისამართით ისიც ითქვა, რომ გარკვეულ პოზიციებში ის სრულად იკუმშება და იკვეცება (ა. შანიძე).

ჩვენი დაკვირვებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისა ჩანს სვანურში გამოვლენილი **ა** ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციის არცთუ იშვიათი ფონეტიკური პროცესები. მხედველობაში გვაქვს **ა** → **ტ** ნაწილობრივი კუმშვის შემთხვევები, რაც დასტურდება როგორც ნასესხებ, ისე საკუთარი

ფონდის ლექსებში. საყურადღებო აქ ისიც არის, რომ, ვოკალური რეფლექსაციის თვალსაზრისით, **ა**-ს რეფლექსი ემთხვევა **ო** და **უ** ხმოვნებისას, ანუ არტიკულაციურად უკანა რიგის ვოკალთა ცვალეზა ანალოგიურია **ა**, თითქოსდა, შუა რიგის ხმოვნის რედუქციისა სვანურში. ე. ი. ენობრივი კლასიფიკაციის დროს, ხმოვანთა ქცევის (resp. კუმშვის) კრიტერიუმით თუ ვიხელმძღვანელებთ, **ო**, **უ** და **ა** ერთად უნდა დაჯგუფდეს. უფრო ადრე სხვა კონტექსტში რ. რობინსონი და ნ. ვატერსონი თავიანთი გამოკვლევების საფუძველზე ასკვნიდნენ, რომ „**ა** ბგერა **ო**-სთან ერთად უნდა დაჯგუფდეს უკანა რიგის ხმოვნებში“ (რობინსონი-ვატერსონი 1969: 152). ქართული **ა** ხმოვნის მსგავს კლასიფიკაციას ემხრობოდა თ. უთურგაიძე (უთურგაიძე 1976 : 5-7).

წარმოვადგენთ სიტყვათა ჩამონათვალს, სადაც თვალნათლივ გამოჩნდება **ა**→**უ** ნაწილობრივი რედუქციის შემთხვევები სვანურში: ქართ. ციცა ~ სვან. ციცუ, ქართ. წაქა ~ სვან. წაქუ „წვეთი“, ქართ. ყანჩა ~ სვან. ყანჩუ, ქართ. ფთა ~ სვან. ფათუ „თმა“, ქართ. მელა ~ სვან. „მალუ“, ქართ. გუგა ~ სვან. გუგუ, ქართ. შუკა ~ სვან. შუკუ, ქართ. ძროხა ~ სვან. ჯუხუ-აი „ცალყვერა ხარი“, ზან. მინთა ~ სვან. მინთუ „პიტნა“, ზან. ზურგა ~ სვან. ზურგუ „ბორცვი“, ქართ. კაბა ~ სვან. კაბუ, ქართ. ყბა ~ სვან. ყ/კაბუ, სვან. გუანცუ ~ სვან. (ლმხ.) გუანცა „ჭინჭრაქა“...

როგორც ჩანს, სვანურისთვის ფაქტობრივი მასალით დამტკიცებული **ა** ხმოვნის ლაბიალიზაციის ფონეტიკური პროცესი ისტორიულად ასევე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართული სამწერლო ენისათვისაც. მსგავსი გარდაქმნის ფაკულტატიური კვალი უნდა ჩანდეს ძველ ქართულშიც. მხედველობაში გვაქვს **ა** ~ **უ** მონაცვლეობის ნიმუშები, შდრ. 1. ს.-ქართვ. \*ყამ – „შიმშილი“ → ქართ. ყამ-, სი-ყუმ-ილი-//სი-ყმ-ილი, ზან. ცომინ// ცუმ-ენ „წყურვილი“; 2. ს.-ქართვ. \*ღად- „ქმნა, თქმა“ → ქართ. ღად-ებ-ა, მ-ღუდ-ელ-ი//მ-ღდ-ელ-ი, ზან. ო-ღოდ-უ „ქმნა, თქმა“...

აქ განხილული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ საერთოქართველური **ა** ხმოვნის წილ ქართულში **ა**-ს პარალელურად **უ** წარმოჩნდებოდა ხოლმე. ვფიქრობთ, მსგავს შემთხვევებში სახეზეა **ა** ვოკალის ნაწილობრივი რედუქციის სვანურისებური მოვლენა. სხვაგვარად ვერ ავხსნით **უ** ბილაბიალის გაჩენას ქართულში. ამ მოვლენის ზ. სარჯველამისეული ახსნა, **უ**-ს ფონეტიკური განვითარების შესახებ, არადამაჯერებელი გვგონია (იხ. სარჯველაძე 1984 : 349).

სვანურისებური **ა**→**უ** ნაწილობრივი რედუქციის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს სხვა ფაქტებიც, რომლებიც აქამდე აუხსნელი იყო ქართულში, როგორცაა: ქართ. რაჭა → რაჭუ-ელ-ი, ქართ. ქართა → ქართუ-ელ-ი, ქართ. შემა → მ-რემუ-ელ-ი...

როგორც ეტყობა, წარსულში **ა**→**უ** ფონეტიკურ გარდაქმნას მეტი გასაქანი ჰქონდა. თუმცა იგი საერთოდ არ შეჰხებია ზანური ენის დიალექტებს, სადაც კუმშვისა და კვეცის შემთხვევები ძნელად თუ მოიძებნება.

### ლიტერატურა

**ახვლედიანი 1949** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

**თოფურია 1931** – ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, თბ., 1931.

**ლეჟავა 2007** – ი. ლეჟავა, დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში. – კრ. ენათმეცნიერების საკითხები, ტ. 1-2, თბ., 2007.

**ქლენტი 1949** – ს. ქლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ. 1949.

**რობინსონი-ვატერსონი 1969** – რ. რობინსონი, ნ. ვატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, კრ. „მიმომხილველი“, ტ. 4-5, თბ., 1969.

**როგავა 1984** – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, II, თბ., 1984.

**სარჯველაძე 1984** – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

**სუხიშვილი 2007** – მ. სუხიშვილი, ფშვინვიერ ხშულთა რეგრესულ-დისტანციური დისიმილაციური გამჟღერებისათვის სვანურში. – კრ. ენათმეცნიერების საკითხები, ტ. 1-2, თბ., 2007.

**უთურგაიძე 1976** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

**ქალდანი 1954** – მ. ქალდანი, ნაზალურ თანხმოვანთა დაკარგვისა და განვითარების საკითხისათვის სვანურ ენაში. – იკე, VI, თბ., 1954.

**ქალდანი 1955** – მ. ქალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი. – იკე, ტ. VII, თბ., 1955.

**შარაძენიძე 1954** – თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით. – იკე, VI, თბ., 1954.

**შარაძენიძე 1955** – თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში. – იკე, VII, თბ., 1955.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

## Merab Chukhua

### The Issues on the Svan Phonetics

#### Summary

The paper deals with some phonetic processes in Svan. The viewpoint was expressed on **w** bilabial sonant: in some cases it is of a vocal origin, namely, it is originated via the reducing (partially) of **a**: **a** → **w**, that is supported by the borrowed material: Geo. *ḡaba* → Svan *ḡabw* 'dress', *ḡanča* → *ḡančw* 'heron'...

The mechanism of dissimilative voicing of glottocclusives is characteristic for Svan, as well. It is turned out that voicing of identical **p-p** → **b-p** // **p-b**, **t-t** → **d-t** // **t-d** // **g-d**, **k-k** → **g-k** // **k-g** glottocclusives took place in prop. Svan (in non-borrowed) roots. We paid attention to the uncommon case of regressive-dissimilative voicing of the pharyngeal affricates of **q-q** type: due to the absence of the relevant voiced, a **q-** glottocclusive turned into **g-** voiced guttural that is supported by the obtained material: cf. US *lu-qurqw-e*, but LS *lu-gurqw-e* 'fenced in/round, bordered'; Svan *garqand* ~ Geo. *qarqat-i* 'stork'...

## როენა ჭკადუა

### ი- პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში

ხმოვანპრეფიქსები, როგორც მოქმედი მორფოლოგიური ელემენტები, ქართველური ზმნის მთელ სისტემაში დასტურდება და ამ ენებში მათი დისტრიბუციის პრინციპი, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, იდენტურია. „სხვა რომ არაფერი არ იყოს ცნობილი ქართულ-ზანურ-სვანურის შესახებ, მხოლოდ მაქცევართა შესატყვისობებიც კი საკმარისი იქნებოდა მათი ნათესაობის დასამტკიცებლად“ (მაჭავარიანი 2002: 99).

აღნიშნულ მორფემათა ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება სხვადასხვა ავტორთან ნაირგვარად არის წარმოდგენილი. ხმოვანპრეფიქსებს (ა-, ი-, უ-, ე-) ტრადიციულად ზმნური კატეგორიების (გვარის, ქცევის, სიტუაციის...) წარმოებასთან აკავშირებენ. აღნიშნული საკითხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებისა და არსებული დებულებების შეფასებითი ანალიზი ქართველ მეცნიერთა (ბ. ჯორბენამე, დ. მელიქიშვილი, მ. სუხიშვილი, თ. მახარობლიძე, მ. ქარქაშაძე და სხვ.) მთელ რიგ შრომებში მოიპოვება.

ზმნის ხმოვანპრეფიქსულ წარმოებას ქართულში სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ბ. ჯორბენამემ, სადაც მეცნიერმა ცალკე თავად წარმოადგინა „ი- პრეფიქსი და უკუქცევითობის კატეგორია ქართულში“ (ჯორბენამე 1983: 106).

ო- პრეფიქსს უკუქცევითობის მნიშვნელობის გამოხატვასთან ჯერ კიდევ ნ. მარი და ჰ. შუხარდტი აკავშირებდნენ (მარი 1925: 136; შუხარდტი 1950: 73); ი- პრეფიქსის ამოსავალ მნიშვნელობად უკუქცევითობას მიიჩნევს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1967: 47); თვით უკუქცევითობას გვარის კატეგორიაში განიხილავს აკ. შანიძე; ქცევის სახეობად თვლის ქ. ლომთათიძე; გვართან და გარდამავლობასთან დაკავშირებულ დამოუკიდებელ კატეგორიას უწოდებს ბ. ჯორბენამე; დიათეზის ერთ-ერთ გამოვლინებად წარმოაჩენს რეფლექსივს დ. მელიქიშვილი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთ სოლიდურ გამოცემაში, როგორცაა „ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (მთ. რედ. ვ. იარცევა), რეფლექსივი, ერთი მხრივ, განხილულია როგორც უკუქცევითი გვარი, რომელიც მიუთითებს მოქმედების მიმართებას მოქმედი პირისაკენ, ისე, რომ ეს პირი ერთდროულად მოქმედების სუბიექტიც არის და ობიექტიც (ლინგ. ენციკ. ლექსიკონი 1990: 160), ხოლო, მეორე მხრივ, იგი ვერსიის ძირითად სინტაქსურ სახესხვაობათა ჩამონათვალში არის შეტანილი, რო-

გორც მისი (ვერსიის) ერთ-ერთი ცენტრისკენული სახე. საილუსტრაციო მასალად მოხმობილია ქართული ზმნის სათავისო ქცევის (ი-შენებს) ფორმა (იქვე 93).

უკუქცევითობა ქართულში საგანგებოდ არის გაანალიზებული „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით). აღნიშნული თემისადმი სპეციალურად მიძღვნილი თავის ავტორი მ. სუხიშვილი იზიარებს შეხედულებას, რომ უკუქცევითობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის რეალიზაციისათვის აუცილებელია სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის კორეფერენტულობა და ამ მიმართების მარკირებულობა (მორფოლოგია 2011: 512). ავტორის აზრით, უკუქცევითობა ქართულში უნდა განისაზღვროს სუბიექტის მიერ გამოხატული მოქმედების უკუქცევითობით თავის თავზე, როგორც პირდაპირ ობიექტზე.

●- პრეფიქსის შემცველი მორფოლოგიური სტრუქტურების ანალიზის შედეგად შემუშავდა მოსაზრება, რომ ამ ფორმანტის ამოსავალი მნიშვნელობა (უკუქცევითობა) „...შედარებით ახალ წარმოქმნილ კატეგორიებში (ქცევასა – სათავისო ქცევის ნიშნად და ვნებითში – ი- პრეფიქსიანი ვნებითის ნიშნად) განაწილდა, ხოლო საკუთრივ უკუქცევით ზმნათა ერთ ნაწილსა შემორჩა აწმყოში“ (ჯორბენაძე 1975: 92).

მიუხედავად იმისა, რომ გვარი და ქცევა სხვადასხვა დონის გრამატიკული მოვლენებია, როგორც ვნახეთ, ●- პრეფიქსიანი (რეფლექსური მნიშვნელობის) ზმნები ხან გვარის კატეგორიაში განიხილება, ხან – ქცევის. მართალია, ამ საკითხის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები არსებობს, მაგრამ იკვეთება თვალსაზრისთა არაერთგვარობა.

სვანური ენის ერთ-ერთ „მოწოდებად“ ვ. თოფურიას მიაჩნია „შუქი მოფინოს ქართულისა და მეგრულის ენობრივ პრობლემებს“ (თოფურია 1967: XX). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უკუქცევითობის საკითხის შემდგომი კვლევისათვის მნიშვნელოვანი იქნება ი- პრეფიქსის ადგილისა და ფუნქციის განსაზღვრა სვანურში და იმის დადგენა, ქმნის თუ არა უკუქცევითობა დამოუკიდებელ სისტემას ამ ენაში.

●- პრეფიქსი, როგორც მოქმედი მორფოლოგიური ელემენტი, სვანურში, ქართულის მსგავსად, დასტურდება, ერთი მხრივ, გარდამავალ, მეორე მხრივ კი, გარდაუვალ ზმნებში.

გარდამავალი, სასუბიექტო ქცევის, ორპირიანი ●- პრეფიქსიანი ზმნები აწმყოში ძირითადად ორგვარი სტრუქტურით დასტურდება:

1. პირის ნიშანი + ი-ხმ. პრ + პირი + ე (სუფიქსი).
2. პირის ნიშანი + ი-ხმ. პრ + პირი + ი (სუფიქსი).

წარმოდგენილი სტრუქტურები მხოლოდ სუფიქსებით (-ე, -ი) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სტრუქტურა შეიწყობს სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს, რომელთა შორისაც კუთვნილებითი ურთიერთობაა. სუბიექტის მოქმედების შედეგი (პირდაპირი ობიექტი) ეკუთვნის მასვე (სუბიექტს).



o - - ე

**o-ტაბ-ე** (ეჯა ეჯას) „o-თლის“ (ის მას) (ნეიტრ. **ა-ტაბ-ე** „თლის“).

**გალტუზ ბანდარს იტაბე**. „ხელოსანი სკამლოგინს ითლის“.

**o-ნზორ-ე** (ეჯა ეჯას) „o-გროვებს“ (ის მას), (ნეიტრ. **ა-ნზორე** „აგროვებს“).

**ლახუეს ამესგა ზურნაზრ თაშს ინზორებს**. „მთაში ქალები ამაში ყველას იგროვებენ“.

**o-ქჩ-ე** (ეჯა ეჯას) „o-ჭრის“ (ის მას) (ნეიტრ. **ა-ქჩ-ე** „ჭრის“).

**დტუშდი ლადანდ მანგ მუტტარიშ ცაგარს იქჩე**. „ორშაბათ დღეს ყველა ასკილის ეკლებს იჭრის“.

o - - o

**o-რშ-o** (ეჯა ეჯას) „[გა<sup>1</sup>-ი-შლ-ი-ს“ (ის მას), (ნეიტრ. **ა-რშ-ი** „შლის“).

**დადა ლაყვრას ირში**. „ბებია ლოგინს იშლის“.

**o-შხტ-o** (ეჯა ეჯას) „იწნავს“ (ის მას) ნეიტრ. **ა-შხტ-ი** „წნავს“

ბაბა ლაშყეს იშხტი „ბაბუა გოდორს იწნავს“.

**o-შხბ-o** (ეჯა ეჯას) იკერავს“ (ის მას), ნეიტრ. **ა-შხბ-ი** „კერავს“

**შუანს ტუფი ჩაფულს მაგ მიჩაუშ იშხბი**. „სვანეთში ტყავის ფეხსაცმელს ყველა თავისით იკერავს“.

სვანურში სასუბიექტო ქცევის o- - o ყალიბს, ხშირ შემთხვევაში, ფორმოზრივ ემთხვევა აბსოლუტური ვნებითის ფორმა (შედარებისათვის: ასეთ დამთხვევას ძვ. ქართულშიც აქვს ადგილი). ინიანი პასივისა და სათავისოს ურთიერთობის საკითხს სპეციალურად ეხება ა. შანიძე (იხ. შანიძე 1980: 354-355). მეცნიერი სხვადასხვა ასპექტში განიხილავს სათავისო ქცევის და ინიანი ვნებითის ურთიერთობას და საბოლოოდ დაასკვნის, რომ ამ ორი გრამატიკული ოდენობის ფორმოზრივი დამთხვევა აიხსნება ინიანი ვნებითის მოქმედებითისგან, სახელდობრ, სათავისო ქცევის ფუძისაგან წარმოშობით (შანიძე 1980: 355).

სვანურში აღნიშნული სტრუქტურები მეტწილად მაშინ ემთხვევა ერთმანეთს, თუ საარვისოსა და სათავისოს ფორმები აწმყოში -o მაზმნავებელი სუფიქსით მთავრდება. მაგ.:

**o-კლ-o** 1. „o-კეტავს“, 2. „o-კეტ-ებ-ა“ (ის). (ნეიტრ. **ა-კლ-o** „კეტავს“).

**ხაჯი-დაუთ ყორაღს იკლი**. „ხაჯი-დაუთი კარებს იკეტავს“.

**ალ ქორაშ ყორ სგაშხენქა იკლი** „ამ სახლის კარი შიგნიდან იკეტება“.

**o-ლფ-არ-o** 1. „o-ფარებს“, 2. „o-ფარება“ (ის). (ნეიტრ. **ა-ლფარ-ი** „ფარებს“).

**მეცხიყი დინილ შართქუილს ილფარი**. „სიცივისას გოგონა საბანს იფარებს“

**ბაჩ იამუშუ ილფარი**. „ქვა ხავსით იფარება“.

ცალკე სისტემას ქმნიან სვანურში პოსესიურ სათავისოებად წოდებული ზმნები, სადაც სუბიექტი მოქმედებს ობიექტზე, რომელიც იმთავითვე მისი საკუთრებაა. „ობიექტად დასახელებულია თავსახურავი, სამკაული, ტანისამოსი (ან მისი ნაწილი), ფეხსაცმელი თუ იარაღი“ (შანიძე: 1980: 328).

**ო-სტტრ-ე** (ეჯა ეჯას). „ი-ხდის“ (ის მას)

**დათა ფაყუს ისტტრე**. „დათა ქუდს იხდის“.

**ო-ქტემ** (ეჯა ეჯას). „ი-ცტამს“

**დედბერ ფატანს იქტემ**. „დედაბერი პერანგს იცვამს“.

**ო-შგტნ-ი** „ი-შიშვლებს“

**ტყებერნარს იდისგ, ხანჯარს იშგვნი** „ქალამნებს იცვამს, ხანჯალს იშიშვლებს“.

ზემოთწარმოდგენილ ყალიბებს იყენებენ სომატურობიექტიანი ზმნები, რომელთა სუბიექტი თავის სხეულზე ან სხეულის ნაწილზე მოქმედებს. ეს ფაქტი შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივი რეფლექსივიზაცია“.

**ო-ზურგტ-ინ-ე** „ი-სრესს“

**მეჯტეგ თერანს იზურგტინე** „მეჯოგე თვალებს ისრესს“.

**ო-სდგტ-ი** „ი-წნავს“

**სიმაქ ფათვს ისდგტი**. „ქალიშვილი თმას იწნავს“.

**ო-რჩხ-გნ-ე** „ი-რეცხავს“

**ტიშკს ირჩხგნე**. „პირს ირეცხავს“.

სრული რეფლექსივიზაციის სახელით არის ცნობილი სუბიექტისა და ობიექტის სრული რეფერენციალური იდენტობა:

**თხტიმს ისელტე** „თავს ირჩენს“

**თხტიმს იწტრი** „თავს ისისხლებს“

**თხტიმს იშარდე** „თავს იმშვიდებს“

შესიტყვებებში „თავს იკლავს“, „თავს ილუპავს“ „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი ფუნქციურად ერწყმის სუბიექტს და არა ფორმალურად. „ფორმალურად ის პირდაპირი დამატებაა (სუბიექტი 2011: 531). ძირითადად ასეა სვანურშიც. **თხტიმს იდგარი** „თავს იკლავს“, **თხტიმს ილტპავი** „თავს ილუპავს“. თუმცა არსებობს გამონაკლისიც. კერძოდ, სვანურის ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავში, აღნიშნულ შესიტყვებაში ზმნა ნეიტრალური ვერსიის ფორმითაა წარმოდგენილი და უკუქცევით ნაცვალსახეულზე (თხტიმ „თავი“) მოქმედება გადადის, როგორც ჩვეულებრივ ობიექტზე. (**თხტიმს** ადგარი „თავს კლავს“, თხტიმს **აღტპავტი** „თავს ლუპავს“).

იდიომატურ გამოთქმებში კი ჩვეულებრივ ი- პრეფიქსიანი რეფლექსივები დასტურდება: **გტის ილტტე** „გულს იოხებს“, **გტის იხერი** „გულის ჯავრს ირის“, **თხტიმს ინკტე** „თავს (ქედს) იხრის“ და ა. შ.

სტრუქტურისა და გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს საკვების მიღების აღმნიშვნელი ზმნები სვანურში. ქართულში ასეთი სემანტიკა უპრეფიქსო **ო + ძირი + ამ** მოდელის გადმოიცემა. „ლექსიკურად სათავისო და მორფოლოგიურად საარვისო (ნეიტრალური) ქცევის ზმნები“ სვანურში მორფოლოგიურადაც სათავისოს ფორმებით დასტურდება. ასე მაგალითად:

**სვამს** „რაიმე სითხეს იღებს ორგანიზმში (ქეგლ-ის თარგმანი).

სვ. **ო-თრ-ე**

**ჰამს** „საჰმელს, საკვებს პირში იდებს, ლეჰავს და ყლაპავს“ (ქეგლ.)

სვ. **o-ზბ-ი**

**ნთჰავს** „ხარბად ყლაპავს, უზომოდ ჰამს“

სვ. **o-ფთჷ-ი**

მსგავსი სემანტიკურ-სტილისტიკური ჯგუფის ზმნებიც სათავისოს ფორმებით გადმოიცემა სვანურში: o-ყლიც-ე „ბევრს სვამს“, o-ყრიაჰნ-ე „ყლურწავს“, o-ბდგნ-ი „მუცელს ივსებს“, o-გჷლიბ-ე „უზომოდ სვამს“ და ა. შ.

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ „...ქცევის შინაარსი ფორმანტმა უნდა აღნიშნოს და არა ფუძემ“ (ჩიქობავა 1998: 28).

ამ ტიპის ზმნებში სუბიექტის მიერ „თავისთვის“ მოქმედება“ სწორედ **o-** ფორმანტით გადმოიცემა სვანურში.

**o-** პრეფიქსი დადასტურებულია ვნებითის ყალიბის ზმნებში ორგვარი მნიშვნელობით: ვნებითებისა და დეპონენსური.

ალ. ონიანი მიიჩნევს, რომ მიუხედავად გამოხატულების პლანის იდენტურობისა, ამ ორი რიგის ვნებითთა მნიშვნელობა იმდენად საპირისპიროა, რომ მათი „...ერთ კატეგორიაში გაერთიანება არ ხერხდება, ეს პრეფიქსი თავისი ბუნებით ომონიმური ხასიათისაა“. მეცნიერი აქტიური სუბიექტის მქონე დეპონენსების ვნებითის მნიშვნელობის ზმნებთან დაკავშირებას შეუძლებლად თვლის (ონიანი 1998: 232).

საკუთრივ ვნებითებსა და დეპონენსებს, გარდა გამოხატულების პლანის იდენტურობისა, ერთმანეთთან აკავშირებს, ის რომ მოქმედების შედეგი უშუალოდ აისახება სუბიექტზე (იქნება ის სულიერი, თუ უსული). მაგ. **o-ჰნ-ი** „დნება“ – შინაგანი პროცესუალური ცვლილებებისა თუ გარეგანი ფაქტორების მოქმედების შედეგად, პროცესის დასრულების შემდეგ უშუალოდ სუბიექტი ხდება **ლგ-ჰნ-ე** „დამდნარი“, ისე როგორც **o-ხრინ-ი** „ბრაზდება“ დეპონენსურ ფორმაში მოქმედების დასრულების შემდეგ სუბიექტი იქნება **ლგ-ხრინ-ე** „გაბრაზებული“. ორივე შემთხვევაში მოქმედების შედეგს „იმკის“ სუბიექტი. ამიტომ არ მიგვაჩნია, რომ „დეპონენსურ ფორმათა ვნებითთან დაკავშირების საფუძველი არ არსებობს, საერთოდ“ (ონიანი 1998: 232).

ვნებითის ყალიბის მქონე ზმნების სემანტიკური ლაბილურობის (პასიურობის პარალელურად მდგომარეობისა და აქტიურობის ფუნქციების გამოხატვის) მიზეზს იმაში ხედავენ, რა სახის სუბიექტია ზმნასთან დაკავშირებული – უსული, სულიერი, თუ სულიერთან გათანაბრებული რაჯგუფის სახელი. ქართულისათვის ეს საკითხი საფუძველიანად არის შესწავლილი. სვანურშიც თითქმის იგივე მდგომარეობა გვაქვს, ოღონდ ამ უკანასკნელში დეპონენსთა რაოდენობა ბევრად მეტია –**ჰლ**, **o-იელ** დაბოლოებიან ზმნათა ხარჯზე. თუკი ქართულში „...საკითხი დეპონენსების შესახებ არსებითად რამდენსამე ზმნას ეხება, რომლებიც აწმყოს წრეში პასივის ფორმას ატარებენ და მნიშვნელობა აქტივისა აქვთ“ (შანიძე 1980: 300),

სვანურში, **o-** პრეფიქსიანი აქტიური ზმნები სოლიდური რაოდენობით დასტურდება. და მათ საერთო აქვთ ძირითადი სემანტიკური მახასიათებელი-უკუქცევითობა: მოქმედების შედეგი განეკუთვნება სუბიექტს, არ სცილდება სუბიექტის „ჩაკეტილ წრეს“. მაგ.:

**მეგემ o-ფრ-o** „ხე ხმება“

**მწრე o-ტტურ-o** „კაცი გიჟდება“

**დავ იხუნალ** „დევი იმუქრება“

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულის ე. წ. უნიშნო ვნებითებისა და დონიანების მორფოლოგიურ ეკვივალენტთა სტრუქტურაში სვანურში, როგორც წესი, სისტემებრივ გვაქვს **o-** პრეფიქსი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანურის ზმნებში „**სუბიექტის წრეში**“ ჩაკეტილი მოქმედების მნიშვნელობები“ თავის გამოხატულებას პოვებს **o-** ფორმანტში. მაგ.:

თბება – „o-ტბიდ-o“

შრება – „o-ფჟუ-o“

ხმება – „o-ფრ-o“

სველდება – „o-ჟრ-o“

შავდება – „o-მშხ-o“

ყვითლდება – „o-ყვთილ-o“ და ა. შ.

ქართულის უნიშნო ვნებითების შესახებ ქ. ლომთათიძე წერს: „ამ ტიპის ზმნები (**თბება, შრება...**) უძველესი კუთვნილება ჩანს ქართული ენისა“. მეცნიერი ერთ საგულისხმო ფაქტზეც მიუთითებს: „...ამჟამად ჩანს ტენდენცია **თბება-**ს ტიპის ზმნათა ნამდვილ ვნებითად გადაკეთებისაც (ზმნა – **თვრება**, ... კილოებში პარალელურად მას უჩნდება ვნებითის ინიშანიც და ვიღებთ „o-თვრება“-ს“ (ლომთათიძე 1953: 80-81).

სავარაუდოდ, „თბება“ ტიპის ზმნები, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „უხსოვარი დროიდან დღევანდლამდე შემონახული, ხოლო **o-ე** ხმოვან-პრეფიქსული დაპირისპირება მოგვიანებით გაჩნდა ქართველურ ზმნის სტრუქტურაში. საერთოდ, ქართულის უნიშნო ვნებითებში პასიური მნიშვნელობები შედარებით მკრთალად აისახება (სუხიშვილი 2011: 490), სვანურის ეკვივალენტებში კი **o-** პრეფიქსი ამოსავალი (რეფლექსური) მნიშვნელობის მატარებელია.

ცალკე საკითხს წარმოადგენს უკუქცევითობის გამოხატულება მედიოაქტიურ ზმნებში, რაც საკმაოდ ვრცლად არის ნაკვლევია ქართულში სპეციალისტების მიერ (ბ. ჯორბენაძე, მ. სუხიშვილი, დ. მელიქიშვილი, მ. ქარქაშაძე და ა. შ.).

ლ. ნოზაძე ქართული მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ანალიზისას ეხება სვანურის მასალასაც. ქართულისა და მეგრულ-ლაზურის მონაცემთა ანალიზი მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ „**o-** პრეფიქსი აწმყოს ფორმებში საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი მედიოაქტივ ზმნებისათვის“ (ნოზაძე 2008: 94). მართლაც, მკვ. ქართულის **o-** პრეფიქსიანი მედიოაქტიურები, სვანურშიც ამ ფორმატით არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც თანამედროვე ქართულში უთავსართონი არიან. მაგ.:

ძვ. ქართ.	o-ნადირობს	– ნადირობს	– სვ.	o-თხუთჳრ
	o-ლოცავს	– ლოცულობს	– სვ.	o-მზირ
	o-ხარებს	– ხარობს	– სვ.	o-ხიადჳლ
	o-მღერ(ი)ს	– მღერის	– სვ.	o-ღრჳლ

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, სვანურის მასალა მხარს უჭერს არნ. ჩიქობავას ცნობილ თვალსაზრისს „პრეფიქსაცია ქართული ენის უძველესი დამახასიათებელი პრინციპია“.

მართალია, ზემოთჩამოთვლილ მედიაოპტიურებში სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ მისი მოქმედება მიზანმიუძღვრება, რამაც გამოხატულობა ჰპოვა ხმოვანპრეფიქსში.

საინტერესო ფაქტს წარმოადგენს, ქართულის ა- პრეფიქსიანი (ყალიბის მიხედვით მოქმედებითი გვარის), ერთვალენტიანი (ა-ხველებს, ა-ბოყინებს). ზმნათა სვანური შესატყვისების ორგვარი წარმოება:

**ბ-ა-ჭუმ-უნ-ე** (ეჯას – მას) „ახველებს“ (ის)  
– **o-ჭუმ-ელ** (ის) („ი-ხველებს-ა“)

**ბ-ა-ფრალ-უნ-ე** (ეჯას – მას) „აბოყინებს (ის)  
– **o-ფრ-ელ** (ის) („იბოყინებს-ა“)

**ბ-ა-ქმალ-უნ-ე** (ეჯას – მას) „ამთქნარებს (ის)  
– **o-ქმ-ელ** (ის) („ი-მთქნარებს-ა“)

სვანურის ფორმით კაუზატიურ (ბ-ა-ჭუმ-უნ-ე (მას)) ტიპის ლექსემებში, სემანტიკური ირიბი ობიექტი, მდგომარეობის განმცდელ სუბიექტად არის გაგებული. ისევე როგორც ქართულში – „ახველებს“ (მას)“.

**ბ-ა-ჭუმ-უნ-ე** ფორმის პარალელურად სვანურში დასტურდება **o-ჭუმ-ელ** (ეჯა) „იხველება (ის)“ ტიპის ზმნები, რომელთაც სახელობით-ბრუნვითი სუბიექტი შეეწყობა და რომელიც „თვითონ“ მოქმედებს, „თვითონ“ განიცდის მოქმედებას. ამ მნიშვნელობის დადასტურებაა **o-** პრეფიქსი **o-ჭუმ-ელ**, **o-ფრ-ელ** „აბოყინებს“ („იბოყინება“), **o-ქმ-ელ** „ამთქნარებს“ („იმთქნარება“) ზმნებში (შდრ. ძვ. ქართულის **o-ჭუთელის**, „**o-ჭუთელების**“ ფორმები“.

სვანურისათვის უცხო არ არის ისეთი ოპოზიციური წყვილები, სადაც დიალექტთა მიხედვით პრეფიქსიანი და უპრეფიქსო სტრუქტურები უპირისპირდებიან ერთმანეთს, გრამატიკული მნიშვნელობა კი იდენტური აქვთ.

ზს.	<b>o-ქეიფ</b>	– ლზბ. <b>ქეიფ-ე</b>	„ქეიფობს“
ზს.	<b>o-ღუჭჳრ</b>	– ლზბ. <b>ღუჭჳრ-ე</b>	„ვაჭრობს“
ბქ.	<b>o-მზირ</b>	– ბქ. <b>მეზრ-ე</b>	„ლოცულობს“ და სხვ.

o- ხმოვანთავსართოვანი წარმოება ახასიათებს **ტირის**, **მღერის**, **ჩივის** ტიპის ზმნებს სვანურში: (**o-გუნ-ო** (ეჯა) – „ტირის“ (ის).

განსაკუთრებით სტაბილური ადგილი უჭირავს **o-** პრეფიქსს **-ჳლ**, **-ოელ** ელემენტთან აბსოლუტურ ზმნათა ფორმებში. **o-** – **-ჳლ...** ტიპის ყალი-

ბი საკმაოდ პროდუქტიულია სვანურში. სამეცნიერო ლიტერატურაში **-ჭლ**, **-ო-ელ** სუფიქსები ზმნური ფუძეების მაწარმოებელ უძველეს აფიქსებად არის მიჩნეული (ჭუმბურიძე 1981: 152; გაგუა 1988: 237). მიუხედავად ამისა, თანამედროვე სვანურში მათი მონაწილეობით შექმნილი ზმნური სტრუქტურები საკმაოდ არის გავრცელებული და სხვადასხვა მორფო-სემანტიკურ ჯგუფებს მოიცავს. აქვე დგება ამ ზმნათა კლასიფიკაციის საკითხიც. ა. შანიძის მიხედვით: თუ ზმნას **ო** პრეფიქსი აქვს და შეიძლება მისი **ე**-დ შეცვლა, პასივის ფორმებთან გვაქვს საქმე. **-ჭლ**-იანი ზმნებისთვის ჩვეულებრივია საოპოზიციო **ო-ე**- პრეფიქსული წარმოება **ო** – **-ჭლ**, **ო** – **-იელ** სტრუქტურის ერთპირიანი ზმნები ყურადღებას იქცევენ არა მხოლოდ დაბოლოების, არამედ **ო**- პრეფიქსის გამოც. კლ. გაგუა წერს, რომ „აწმყომი გამოყენებული **ი** პრეფიქსიანი ყალიბი არის რაღაც ზოგადი, ნეიტრალური, რომელიც ითავსებს, საერთოდ, საშუალო გვარის გაგებას“ (გაგუა 1988: 236). იგი იზიარებს ივ. ქავთარაძის მოსაზრებას, რომ „ვნებითი გვარის აფიქსები, როგორც ამ კატეგორიის საწარმოებელი, მეორეულია გამოყენებით“ (ქავთარაძე 1954: 299).

სვანური მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ **ო**- პრეფიქსი ამ ენაში ფართოდ გამოიყენება და სისტემურ ხასიათს ატარებს იმ შემთხვევებში, როდესაც ზმნით გამოხატული მოქმედება მიიმართება სუბიექტისკენ ან სუბიექტის მოქმედება არის მიზანმიუმატავი, მაგრამ შემოფარგლული სუბიექტის სფეროთი და თუ სუბიექტის „ნამოქმედარი“ აისახება თვით სუბიექტის მდგომარეობაზე.

### ლიტერატურა

**გაგუა 1988** – კ. გაგუა, საშუალო გვარის ზმნათა ერთი სახეობისათვის სვანურში, იკე, XXVII, თბილისი.

**თოფურია 1967** – ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი.

**ლინგვისტურ-ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990** – Лингвистический Энциклопедический словарь с главный Редактор В. Ярцева, Москва.

**მარი 1925** – Н. Марр, Грамматика древнелитературного языка, Ленинград.

**მაჭავარიანი 2002** – გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი.

**მაჭავარიანი 1987** – მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი.

**მელიქიშვილი 2001** – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი.

**მორფოლოგია 2011** – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

**ნოზაძე 2008** – ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

**ონიანი 1998** – ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

**სუხიშვილი 2011** – მ. სუხიშვილი, უკუქცევითობა, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბილისი.

**ქარქაშაძე 2007** – მ. ქარქაშაძე, მედოაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების ურთიერთმიმართება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თბილისი.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, III, თბილისი.

**შუხარდტი 1950** – Г. Шухардт, О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, Эргативная конструкция предложения, Москва.

**ჩიქობავა 1967** – Арн. Чиобава, Картвельские языки, Языки народов СССР, IV, Москва.

**ჩიქობავა 1998** – არნ. ჩიქობავა, სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1981** – ზ. ჭუმბურიძე, ნასახელარი ზმნები სვანურში, ა. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი.

**ჯორბენაძე 1975** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

**ჯორბენაძე 1983** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.

## Roena Chkadua

On the Basic Meaning of the Prefix **i-** in the Svan Verbs

### Summary

The analysis of the Svan language material shows that the prefix **i-** is widely used and its use is of a systematic nature in those cases where the action expressed by a verb is directed to the subject or when the action of the subject is aimless and the results of the actions are reflected in the subject's condition.

## ნანა ხოქოლავა-მაჭავარიანი

### დენდრონიმ ურთხელი-ს ეტიმოლოგიისათვის

გამჭვირვალე სემანტიკის ფიტონიმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულში მცენარეთა მოტივირებული ნომინაცია შეპირობებული ჩანს აღსანიშნის ამა თუ იმ ნიშან-თვისებით. ვფიქრობთ, მოტივირებული უნდა ყოფილიყო ის ფიტონიმებიც, რომელთა სემანტიკა მოცემულ ეტაპზე გაუმჭვირვალეა. ამ რიგისა უძველესი წარმოშობისა და ფართო გავრცელების დენდრონიმები, რომლებიც ერთნაირად მისაღებია ქართული ენის დიალექტებისათვის, მათ თითქმის არ უდასტურდებათ ე. წ. კილოური სინონიმები; მოეპოვებათ შესატყვისობები ქართველურ ენებში და კვლევის შედეგად შესაძლებელი ხდება სავარაუდო საერთოქართველური ფუძე-ძირების აღდგენა. ისინი მეტწილად ენდემურ ხემცენარეთა, ან ჩვენში უძველესი დროიდან დამკვიდრებულთა სახელებია (წიფელი, ცაცხვი, თელა, წაბლი, ლეღვი...).

მარადმწვანე ხემცენარე *Táxus* უმთავრესად *T. baccáta* L.(მაყაშვილი 1961: 68) ჩვენში უძველესი ხანიდანაა ფართო არეალით წარმოდგენილი, მაგრამ მისი ქართული სახელი **ურთხელი** (ვარიანტებით: **ურთხელი**- საბა, ოფიც., მეგრ.; **ურთხველა**, **ურთხმელა** – რაჭ., ლეჩხ., იმერ., აჭ., გურ.; **ურთხლი** – საბა., ქართლ., იმერ.; **ურთხოვარი** – საბა, კახ., ფშ., ხევს.; **ურთხელ**, **ურთხლა**- სვან.) უძველეს დენდრონიმთა ამ რიგისა არ უნდა იყოს, ვინაიდან: 1. მას არ უდასტურდება ფონემათშესატყვისობები ქართველურ ენებში. მეგრული **ურთხელი** (მაყაშვილი 1961; ქობალია 2010) და სვანური **ურთხელ**, **ურთხლა** (მაყაშვილი 1961; დონდუა 2001; ონიანი 1917) ქართული ნასესხობაა; 2. მოეპოვება კილოური სინონიმები (*მდა*, *სატილა* -აჭ; *წუთული* – ქვ. რაჭ; *საჯი* – საბა.; *შაძრა*- სვან.); 3. არ ჩანს ჩვენთვის ხელმისაწვდომ ძვ. ქართულ ტექსტებში (ყველაზე ადრეული წერილობითი დადასტურება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია: **ურთხლი/ურთხელი/ურთხოვარი**).

საანალიზო დენდრონიმი გვხვდება ტოპონიმებში: **ურთხმალი/ურთხლნარი** -ქვ.რაჭ. (ალავიძე 1957: 17); **ურთხნალი**, **ურთხველა** – გურ. (სიხარულიძე 1971: 99, 128, 132); **ურთხლიბოლო** ტყე; **ურთხველაკი** ყანა – ზმ. იმერ. (ძოწენიძე 1974: 594; 613); **ურთხლი ქედი**- ზმ. მაჭახლის ხეობა (ქართული ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010: 171-172.); **ურთხელიანა**-ადგილი ფშავ-ხევსურეთის გზაზე (ცაგარეიშვილი 1983: 5); ჰიდრონიმებში: **ურთხისღელე**-გურ. (სიხარულიძე 1971: 124), **ურთხველაკის** ღელე – ზმ. იმერ. (ძოწენიძე 1974: 589); **ურთხელიში დალი** – სამეგრ. „ურთხლის ღელე“ (დლონტი 1971: 90).

ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული დენდრონიმი გვიანდელი წარმოშობისაა და გამართლებული არ უნდა იყოს სპეციალურ ლიტერატურაში



წარმოდგენილი მსჯელობა საერთოქართველური არქექტიპის ძიება-აღ-დგენისათვის: „ქართულ და სვანურ ძირთა საერთო-ქართველური სტრუქ-ტურა გვავარაუდებინებს საერთო-ქართველურ \*ურთხელ-არქექტიპიდან მათ წარმომავლობას.“ (ივანიშვილი 2014: 89). ამასთან დაკავშირებით სა-მართლიანადაა შენიშნული: „...უხერხული იქნება მეგრული **ურთხე-ლი/ურთხელა** ჩავთვალოთ ქართულიდან ნასესხებ ფუძედ, ხოლო სვანუ-რი **ურთხელ** ლექსემის მიხედვით აღვადგინოთ საერთო-ქართველური **ურთხელ** არქექტიპი“ (ჩანტლაძე, ნაკანი 2014: 35).

*ურთხელი* არის „მაღალი წიწვოვანი ხე; აქვს ძვირფასი მოწითალო ფერის გამძლე მერქანი<sup>1</sup>; იზრდება მთის ტყიან სარტყელში, უპირატესად წიფლნარებში“ (ქეგლი 1986). ამ ხემცენარის გამორჩეული თვისებებია: გან-საცვიფრებლად ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა (ზმირად სამი ათასი წელიც კი) და *მერქნის განსაკუთრებული გამძლეობა, უღებლობა*. ვვიქრობთ, სწორედ ეს უკანასკნელია ამოსავალი ხემცენარის ჩვენთვის სა-ინტერესო სახელისათვის – **ურთხელი** (ფონეტიკური ვარიანტებით).

მეტად საგულისხმოა ნ. კეცხოველის ერთი მითითება: „*ურთხელს, უთხოვარს* – ბერძნები *უდამპალს* უწოდებდნენ. სახარებაში, რომელიც ბერძნულიდან ითარგმნა, *ურთხლის* ნაცვლად *უდამპალია* ნახმარი“ (კე-ცხოველი 1976: 225).

ძვ. ქართულში მართლაც დასტურდება „**ძელი უღბოღველი**“, შდრ.: 1. **უღბოღველი-ი, უღბოღავი-ი** – უღბობელი (აბულაძე 1973: 424); **უღ-ბოღველობა** – განუხრწნელობა, მუდმივობა (სარჯველაძე 1997: 527). ამას-თან, თუკი ახალ ქართულში **ღბობა** ნიშნავს ოდენ „მცენარეულის, რისამე ნაყოფის, ხის მასალისა და მისთანათა წახდენას, გახრწნას“ (ქეგლი 1986), ძველ ქართულში **ღბოღვა**-ს ჰქონდა როგორც ხორცის ხრწნის, ასევე მცე-ნარის მერქნის, ნაყოფის ღბობის მნიშვნელობაც, შდრ.: „ვიდრემდე და-ლპენ ჯორცნი მისნი“ იოზ. 3, 21; „ძელი უღბოღველი“; „ხილი დამპალი და დაყროლებული“ მ. ცხ. 245V; [მაალ-ი] ღბობილი; იხ. დამპალი, ლიემ-პალი, მომპალი, სიმპალე, შემპალი“ (აბულაძე 1973: 292).

„**ძელი უღბოღველი**“ დასტურდება ძველი აღთქმის ქართულ თარ-გმანებში. მოვუხმობთ რამდენიმე ნიმუშს შესაბამისი ახალი ქართული ვერსიის თანხლებით (ბიბლია 1989):

II შჯ. 10,3:

ძვ. ქართული: „ვქმენ კიდობანი *ძელთაგან უღბოღავთა*“ G, – „შე-ვქმენ მე კიდობანი ერთი *ძელთაგან უღბოღველთა*“ M.

ახ. ქართული: „მეც გავაკეთე *ურთხელის* კიდობანი...“

I, ეს. 40,20:

ძვ. ქართ.: „*ძელი* სამე *უღბოღველი* გამოარჩიის ხურომან“...

ახ. ქართ.: „...*უღბოღველ ხეს* ირჩევს, და ეძებს მარჯვე ოსტატს...“

გამ. 37.1:

ძვ. ქართ.: „და ქმნა ბესელიელ კიდობანი იგი სჯულისაჲ *ძელთაგან უღბოღველთა*...“

<sup>1</sup> შდრ.: „**შაირა**-წითელი ხე, ურთხელი... შაირა ხოჩა მეგექ მეგამ ლი (ლენტ.) ურთხელი (კარგი) გამძლე ხეა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 812).

ახ. ქართ.: „გაკვეთა ბეცალიელმა ურთხლისაგან კიდობანი“...

გამ. 25.10:

ძვ. ქართ.: „...და ჰქმნა კიდობანი წამებისა ძელთაგან ულპოლველთა..“;

ახ. ქართ.: „გაკვეთონ კიდობანი ურთხლისაგან...“

ძველი აღთქმის სათანადო ებრაულ, ლათინურ და რუსულ ტექსტებში (გარდა ეს. 40. 20-ისა) გვაქვს დენდრონიმი *šîṭîm/sethim/ситтим*, ახალ ქართულში – *ურთხელი*, ხოლო ძველ ქართულ თარგმანებში ეს დენდრონიმი არ ჩანს, არამედ – „ძელი ულპოლველი/ულპოლავი“, სწორედ ისევე, როგორც შესაბამის ბერძნულ ტექსტში (*ξύλον γὰρ ἄσσηπτον*).

ძველი ქართული სახელები (*ძელი ულპოლველი*, *ძელი ულპოლავი*) ბერძნულიდან უნდა იყოს კალკირებული (ისევე, როგორც რუსული *негной-дерево* (მაყაშვილი 1961), ხოლო დენდრონიმები: *ურთხელი*, *ურთხელი*, *უთხოვარი*, სავარაუდოდ, საბას ქართულის კილოებიდან უნდა ჰქონდეს „სიტყვის კონაში“ შეტანილი. ცნობილია, რომ ეს ბუნებრივი გზაა ლექსიკონში დადასტურებული მცენარეთა არაერთი სახელისათვის.

საგულისხმო დაკვირვებაა: „**ძელი ულპოლველი** ... მწიგნობართა ენის კუთვნილება ჩანს... ისეთივე სტრუქტურისაა, როგორც **ძელი ცხოველი**“... ქრისტიანული გაგებით უმნიშვნელოვანესია „ძელი ცხოველი“/ „სვეტი ცხოველი“ (ბენდელიანი 2011: 16, 19; ხაზი ჩვენია – ნ. ხ.) და, ასევე: „**ძელ-ი ცხოვრებისა** – ჯვარი ქრისტესი“ (აბულაძე 1973: 524).

ერთგვარი შეუსაბამობა ჩანს ი. ბაგრატიონის „საბუნებრივტყველო განმარტებით ლექსიკონში“ ავტორი *ურთხელს* განსხვავებული ხემცენარეების სახელად ადასტურებს: „**ურთხელი** იხ. *Ольха*// *Негнучее дерево*; *Ольха Betula alnus* ურთხელი“; **Негнучее дерево** *Taxus baccata* იხ. *тис* სტახსი, ურთხელი; *Taxus baccata* შტახსი, ტვია, გია<sup>2</sup>“ (ბაგრატიონი 1986: 244, 149, 144, 198).

საანალიზო დენდრონიმები უქონლობის გამომხატველი წარმოქნილი სახელებია, ნაწარმოები **უ--ელ** (*ურთხ-ელ-ი*), **უ---ელ-ა** (*ურთხბ-ელ-ა*, *ურთხ/ვ-ელ-ა*), **უ-** (*ურთხლ-ი*), დერივაციული ფორმანტებით.

ცნობილია, რომ **უ-** პრეფიქსი **-ელ** სუფიქსთან ერთად ზმნის ან მასდარის ფუძეებისაგან აწარმოებს უარყოფის გამომხატველ მიმღეობას. თავის მხრივ, მცენარეთა ქართულ სახელებში **-ელ-ა** სუფიქსით ნაწარმოები ფორმებით ძირითადად აღნიშნულია მცენარის რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობა: მაგ.: ჭყეტ-ელა, ყურწუმ-ელა, ჯდომ-ელა, წიკწიკ-ელა, მჟავ-ელა...<sup>3</sup>

<sup>1</sup> აქ ი. ბაგრატიონი აღწერს *მურყანს*, *ანუ თხმელას*: „ხე არს მაღალი და საკმაოდ მსხვილი, ფოთოლი აქუს მოგურგალო და მომარღვიანო. ქერქი ჩაჭირებულად წითელი. ნაყოფი მისი შედგების ბინდიფერის გურგალთ ზღმურდლთაგან. ხე ესე იხმარების შენობისათვის და სადურგლო ხელოსნობაში სამუშაოდ ... ზღმურდლნი მისნი იხმარებისა იდესმე მელნისათვის ნაცვლად გუნდებისა. (149);

<sup>2</sup> ი. ბაგრატიონი აღწერს *ურთხელს*: „...ხე ესე დაისხამს ფოთოლთა ნემსების სახედ... და არს დაფარული გატკეცილითა მოწითალოს ქერქითა ... ნაყოფთა მისსა შეადგენენ ხილნი, რომელნიცა დამწიფდებიან შემოდგომას და არიან წვრილნი, ჩაჭირებულად ალისფერნი... ხე თავით თვისით არს წითელი, მტკიცე და გრძელსა ხანსა გამძლე, გინა წინააღმდეგ სიღამლისა“ (198).

<sup>3</sup> **-ა** სუფიქსი ქართულში ძირითადად მცენარეთა სახელების ენობრივად გაფორმებისას. ფიტონიმთა საწარმოებლად ენა უპირატესობას სწორედ **-ა** სუფიქსს ანიჭებს. ის დაერ-

სახელში **ურთხელ-ი** (საბა, ქართლ., იმერ.) უ- პრეფიქსი დამოუკიდებელივ აწარმოებს უარყოფის გამომხატველ ფორმას (შდრ.: ძილი>უძილ-ი; კუამლი> უკუამლ-ი).

ამოსავალი ფუძეა **თხრამლ-**. „ამჟამად სალიტერატურო ქართულში **თხრამლი** არ იხმარება, ძველი ქართულისთვის კი ეს სიტყვა ჩვეულებრივია...“ (ჩიქობავა 1938: 74), შდრ.: **თხრამლ-ი** ძვ. ქართ. „მუწუკიდან ნადენი სქელი ჩირქი“ (აბულ.; ქეგლი); **თხრამლი**, **თხამი** „ბაყლი“, „მწიკვილი“, „ჩირქი“, „შარავი“ (საბა); ასევე: **თხამლი** გურ. „ჩირქი“ (შარაშიძე 1938: 31); **თხლამი** იმერ. „ბალღამი“, „ჩირქი“ (ბერიძე 1912: 30; ღლონტი, 1984: 256); **თრამლი** იმერხ. „ჩირქი“ (ფუტყარაძე, 1993: 471). **თხამბლი** (აჭ.) „მუწუკიდან ნადენი სქელი ჩირქი; ბაყლი, წუთხი, შალალი; თხრამლი“ (ნიჭარაძე 1971: 213).

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენენ \***თხამლ-** არქტიპს (Klimov, 1998: 77; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 247). „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „**თხრამლ-** ძირის არქაული სახე დაცული უნდა იყოს დიალექტებში, სადაც **თხამლ-** დასტურდება... არაა გამორიცხული, რომ „შუშანიკის წამების“ თავდაპირველ ტექსტში სწორედ **თხამლ-** ყოფილიყო<sup>1</sup> (საქმე ისაა, რომ ძეგლის ის ნაწილი, სადაც ეს სიტყვა იკითხება, გვიანდელ, XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებშია შემონახული)“. (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 247). გამოთქმულ ვარაუდს ვიზიარებთ. შდრ.: **თხამი**, **თხამლი** საბა, **თხამლი** გურ., **თხლამი** იმერ., თუმცა დასაზუსტებელია **რ-**ს საკითხი<sup>2</sup>. ღირსაცნობია, რომ ის ხშირად ჩნდება ანლაუტში, შდრ.: **თხმელა** და **რთხმელა** (იმერხ. რაჭ. ლეჩხ.) = ჩვ. მურყანი (მაყაშვილი, 1961: 83). **თხევა** ( ძვ. ქ. „ამოღვრა...“) და **რთხევა** (მთიულ.) – ბაზალუყის გადმოსვლა არყის გამოხდის დროს (ღლონტი 1984: 453). ასევე: **ჯღა** და **რჯღა**; (გურ.), **ცხილა** (ქართ.) და **რცხილაი** (ინგ.), **ცხემლა** და **რცხემლა** (აჭ.-გურ.).

ვვარაუდობთ, რომ ისტორიულადაც უნდა გვქონოდა დიალექტური ვარიანტები: **თხამლი** და **რთხამლი** (>თხრამლი).

**თხრამლ-**თან დაკავშირებით დღეს ქართველური ენების მონაცემები ასეთია:

მეგრ.: **თხომ-ურ-ი/თხუმ-ურ-ი** „ჩირქი, თხრამლი“ (ქობალია 2010: 322);

ლაზ.: **თხომ-ურ-ი/თხომრ-ი/თხომზრ-ი** „ჩირქი“ (თანდილავა 2013: 311);

სვან.: **თჷრ/თჷრ/თჷრ** „ჩირქი, ბალღამი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 258); ლე-**თხრ-ე** – 1. „გასახეთი“, „ძირმაგარა“; 2. „მუწუკი“ (იქვე: 196).

ქართულ-ზანური შესატყვისობა უდავოა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 247-248). უფრო რთულადაა სვანურის საკითხი. აღნიშნავენ, რომ

---

თვის როგორც მარტივ, ისე წარმოქმნილსა და რთულ ფუძეებს; გვევლინება არაერთი რთული სუფიქსის შემადგენელ ნაწილადაც... (ხოჭოლავა 2006: 102-104).

<sup>1</sup> გ. კლიმოვის მოსაზრებით, **თხრამლ-** შესაძლოა წარმოიშვა ზმნურ **თხარ-**, **თხრ-** („თხრა“) ძირთან კონტამინაციის შედეგად, თუმცა მკვლევარი არ გამორიცხავს ამგვარ პროცესსაც: **თხამლ-** < **თხრამლ-** (Климов 1964: 98).

<sup>2</sup> „...ნაკლებ მოსალოდნელია, ქართ. **თხრამ-**ში **-რ-** იყოს მეორეული ხასიათისა“ (ჩიქობავა 1938: 74).

„სვანური ექვივალენტი გამოვლენილი არ არის“ (იქვე), რასაც ვერ გავიზიარებთ. (იხ. ჩვენი: „თხრამლის ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში“ (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015).

თავად ქართულ **თხ(რ)ამ-ლ-ს** არაპროდუქტიული **-ლ** სუფიქსით ნაწარმოები ნაზმნარი სუბსტანტივის სახე აქვს (შრდ.: კუამ-ს>კუამ-ლ-ი >კვამ-ლ-ავ-ს). \***ლ-ს** შესატყვისად მეგრულსა და ლაზურში კანონზომიერადაა წარმოდგენილი **-ურ**.

ქართულისათვის ამოსავლად ვვარაუდობთ **/რ/თხ-ამ-** ზმნურ ფუძეს, რომელიც დასტურდება ძველ ქართულში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „ძველ ქართულში **რათხ-/რთხ-** ძირისაგან მრავალი ფუძე იწარმოება“ (ფენრიხი... 2000: 377) და, ასევე: „ქართ. რა-**თხ-** გაშლა, გაჭიმვა... რა- ამ ზმნაში ძირეული არ არის...“ (ჩიქობავა 1938: 283-284).

მისი მრავალი მნიშვნელობიდან (აბულაძე 1973: 347, 20, 65-66, 85-86, 120, 536; საბა 1991:147; სარჯველაძე 2004: 495) ძირითადი ჩანს ჩვენთვის საყურადღებო: **გაშლა**, „**განვრცომა**“, **გადაფარვა**, **განვრცელებ[ული]**, „**გარდაფენა**-სავით“. ისინი უახლოვდება ან თანხვდება სხვა ზმნის მნიშვნელობებს (შრდ.: **თხევა** – „ამოღვრა; ღებინება; გაშლა, დაყრა, დასხმა“...; **გარდათხევა** – „გადადინება“ - აბულაძე 1973: 185, 83) და არ არის გამორიცხული, მომხდარიყო მნიშვნელობათა ერთგვარი კონტამინაცია<sup>1</sup> (გადამკვეთი მნიშვნელობა ჩანს „**გაშლა**“).

ამგვარად, \***თხამ-ს**, **/რ/თხამ-ს** „**იშლება**, **განივრცობა**, **(გადმო)დინდება**“, ხოლო **თხამ-ლ-ი**/**რთხამ-ლ-ი** – „**ნაშალი რამ**, **ნადენი**“. აქცენტი გაკეთებულია „გადმოდინების, ამორწყვის შედეგად მიღებული გადმოღვრილი მასის **გაშლა-განვრცობის** თვისების მქონეობაზე (შრდ.: ამორწყავ-ს – ჩირქს **გამოადენს**... (ქეგლი); ასევე: ძვ. **გამონადინები** – „წუთხი“ (აბულაძე 1973: 43), „ჩირქი“, „**გამონადენი**“ (სარჯველაძე 2004: 393); „თხრამლი **აღმოსდიოდა** ადგილდ-ადგილდ“ (იაკობ ხუცესი 1963: 15); „თხრამლი არს მუწუკის ზრქელი ბაყლი **ნადენი** ...; შარავი სახელი არს ყოველთა წყლულთა **ნადინებ[ი]ს** (საბა 1993: 279). (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ნ. ხ.).

საანალიზო დენდრონიმის მოტივაცია, ჩვენი ვარაუდით, ასეთია: **ურთხმელი/ა** – „ხემცენარე, რომელსაც **თხრამლი** („**ჩირქი**“, „**ნაშალი**“) არ აქვს, არ უჩნდება“, შრდ.: „**ურთხლი** – ძელი ულპოლველი“ (საბა).

საზოგადოდ, ქართული ფიტონიმებისათვის ნიშანდობლივია ამგვარი მოტივაცია – რაიმე ნიშან-თვისების უქონლობა, რაც სათანადოდ ფორმდება კიდევ **უ-** პრეფიქსით, ან **უ-ელ/ა** დერივაციული აფიქსით მაგ.: უხრავი<sup>2</sup>, უწყვეტი, უგრეხ-ელ-ი, უძრახ-ელ-ა, უჭურვ-ელ-ი/უჭურვ-ელ-ა, ულეწ-ელ-ა, უცვეთ-ელ-ა...

დენდრონიმთა წარმოქმნის პროცესი ასე წარმოგვიდგება:

\***რთხამ-ლ-ი** > \***ურთხამლ-ი** > \***ურთხმ-ლ-ი** > **ურთხლი** (საბა, ქართლ. იმერხ.); \***ურთხმლ-ი/ურთხლი** > \***ურთხმ-ლ-ელ-ი**/\***ურთხ-ლ-ელ-ი** > **ურთხმ-ელ-ი/ა** (აჭ., გურ., რაჭ., ლეჩხ., იმ..)/**ურთხ-ელ-ი** (საბა, ოფიც.).

დენდრონიმის მართლწერასთან დაკავშირებით მისაღები შენიშვნაა:

<sup>1</sup> არ გამოვრიცხავთ **თხ-** ძირიდან მათ საერთო წარმომავლობას (იხ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015; იბეჭდება).

<sup>2</sup> შრდ.: **უხრავი** (იმ.), **უხრავა** (მესხ.) – „**მაგარი** ხის ჯიშია“ (დლონტი 1984: 531).

„ქართულ სალიტერატურო ენაში ამჟამად დამკვიდრებულია ფორმა **ურ-თხელი**, მაგრამ მართებული ფორმა უნდა იყოს **ურთხმელ-ი**“ (ბენდელიანი 2011: 15), თუმცა ვერ გავიზიარებთ ამავე ავტორის მოსაზრებას დენდრონიმის ამოსავალ ფუძედ **თხმელ**-ის მიჩნევისა და **ურთხმელ**-სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმად გამოცხადების თაობაზე, შდრ.: „ურთხმელი თხმელაზე უფრო მაგარი (უღპობი) მცენარე“ (ბენდელიანი 2011: 26).

თავის მხრივ, დენდრონიმი **თხმელა** (= ჩვ. მურყანი, *Alnus barbata* – მაყაშვილი 1961: 83) *ურთხლისაგან* სრულიად განსხვავებული, არამონათესავე ხემცენარის სახელია, დადასტურებული ქართულის დასავლურ დიალექტებში: *თხმელა*, *რთხმელა* – იმერ., რაჭ., ლეჩხ.; *თხმელა-გურ*. მას მოეპოვება შესატყვისობები მეგრულსა (თხომ-უ/თხუმ-უ) და ლაზურში (თხომ-უ/ნთხომ-უ/ნთხომბ-უ). ქართულ-ზანური ერთიანობისთვის ადადგენენ \***თხამ**-ს (ფენრიხი..., 2000: 246-247)<sup>1</sup>, რასაც ვიზიარებთ. ჩვენი ვარაუდით, დენდრონიმი **თხმელა-ა-ელ** სუფიქსით ნაწარმოები მიმდებარა (რომელსაც მოგვიანებით დაერთო მაფიტონიმირებელი **-ა** სუფიქსი), შდრ: წით-ელ-ა, ჭრიჭინობ-ელ-ა (წით-ს, ჭრიჭინობ-ს), ე. ი. \***თხამ**-ელ+ა (\***თხამ**-ს „იშლება“, „განივრცობა“) > **თხმელა** „გაშლილ-გავრცელებული“, „მოდებული“. როგორც ჩანს, ხემცენარის სახელდებისთვის ამოსავალია მისი ფართოდ გავრცელების ხასიათი<sup>2</sup>.

დავუბრუნდეთ *ურთხელს*. მისი სხვა კილოური სახელი **უ-თხოვარი-ი** (კახ. ფშ. ხევს.), ასევე, წარმოქმნილია. საწარმოქმნო ფუძეა **თხოვ-**, რომელიც **უ-არ** პრეფიქს-სუფიქსითაა გაფორმებული. **უთხოვარი** სემანტიკური გადააზრების შედეგად მიღებული დენდრონიმია, რასაც ადასტურებს აღმ. საქართველოს მთაში გავრცელებული ხალხური წარმოდგენები და ლეგენდები<sup>3</sup>, რომელთა ერთი ნაწილი თამარ მეფის სახელს უკავშირდება.

შდრ.: „ფშავის საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ხალხის დაკვირვებით, *ურთხოვარი*: „არ ითხოვების სიძვირის, სიმდიდრის, სიძვირფასის გამო. ისეთი ძვირადღირებულია, იმის ფასს ვერ გადაიხდი.“ არის ლეგენდაც, რომ თამარ მეფე ამ ხის ჯიშს არავის აძლევდა და ამიტომაც ეწოდა *ურთხოვარი*... მიუხედავად იმისა, რომ *ურთხოვარი* ძვირადღირებულ ხის ჯიშად ითვლება, ფშავის მოსახლეობა ერიდება მის გამოყენებას და საოჯახო დანიშნულებისათვის *ურთხოვრის* ხის ხმარება ალკვეთილად არის გამოცხადებული...“ძველი წეს-ადათით *ურთხოვრის* გამოყენება ღობედ, შეშად, მასალად არ შეიძლება. ამბობენ, ზოგმა იხმარა და სულ გაწყდაო... ადათს ხომ ვერ გადახვალ, ამბობენ არ შეიძლება, დაიწყებლებიო

<sup>1</sup> თუმცა გ. კლიმოვი ქართულ-ზანური ერთიანობისათვის ადადგენს \***თხმელ**-არქექტის (კლიმოვი 1964: 99); თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი – \***თხმელ**-ს (გამყრელიძე..., 1965: 120).

<sup>2</sup> „**მურყანი** თხმელა (*Alnus*), მცენარეთა გვარი არყისებრთა ოჯახისა... გავრცელებულია ყველგან, გარდა ჯავახეთისა. იზრდება დაბლობებში, მთაში ზღვის დონიდან 1800 მ აღწევს და ტერასების გაყოლებით შერეულფოთლოვან ტყეებში გვხვდება. ჭაობიან, ალუვიურ, ეწერ ნიადაგზე კმნის ტყეს-მურყანარს... იზრდება სწრაფად...“ (ქსე 1974: 202).

<sup>3</sup> „როგით ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ და აინტერესებთ არა სახელწოდებათა გრამატიკული მხარე, არამედ ამ სახელწოდებებში ჩადებული შინაარსი ... სწორედ ხალხის ამ საყოველთაო ინტერესმა და სწრაფვამ დაუდო სათავე ე. წ. **ხალხურ ეტიმოლოგიას**... ამგვარი „მიგნება“ არცთუ იშვიათად პოპულარობას იძენს და ხალხურ ლეგენდადამოცემებსაც დაედება ხოლმე საფუძვლად (ბედოშვილი 2001: 11. ხაზი ჩვენია – ნ. ხ.).

და ვინ მოკიდებს ხელს. მართო ხატს არ წყენს, თუ კირჩხად აუტან...*უთხოვარს* რო ხელი წაავლო, სოფელი აღსდგებოდა ძველად, ავს დაგვმართებსო... ხალხის რწმენით იგი „უკვდავ-უბერებელი“ ჯიშია. „ისეთი ძალა აქ წყლიანში, შვილთაშვილებს ეყოფა...“ (ცაგარეიშვილი 1983: 6-7. ხაზი ჩვენია – ნ. ხ.).

**ურთხლის** სხვა დიალექტური სახელები გვიანდელი წარმოშობისა ჩანს<sup>1</sup> და ერთი ნაწილის მოტივაცია მცენარის ნაყოფის (თესლის) ნიშანთვისებებთანაა დაკავშირებული, მაგ. აჭარული სახელისათვის **სატილია** ნაყოფის სამკურნალო თვისებაა ამოსავალი, შდრ.: **ტილი**, საკრეჭელა – წვრილი გამონაყარი ცხოველის პირის ღრუში (კაშია 1996: 130); „აჭარაში „ურთხლის კაკალი“, თაფლში დანაყილი, ღრძილების დაავადების დროს გამოიყენება: „ახალ ხორცს მოიყვანსო“ (ჩანტლაძე, ნაკანი 2014: 142). სახელისათვის **მადა** (აჭ.) ამოსავალია მცენარის ტოტების ცხოველთა საკვებად, სამკურნალოდ გამოიყენების ხასიათი. შდრ.: „ძროხას აჭმევენ, კარგად იწველება, კბილებს კვეთს საქონელს და მადას უხსნის“ (ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა, ხულოს რ-ნი, სოფ. დიაკონიძეები).

**წუთული** (ქვ. რაჭ.), სავარაუდოდ, მცენარის ნაყოფის ფერს უნდა უკავშირდებოდეს-ნაყოფი წითელი ფერისაა. აღ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ კი მითითებულია, რომ ეს „სახელწოდება მხოლოდ „ნაყოფს“ (თესლს) გულისხმობს“ (მაყაშვილი 1961: 68). ახსნას მოითხოვს სახელები: **საჯი**<sup>2</sup> (საბა) და **შაძრა** (სვან.).

თუკი *Taxus baccata*-ს აღნიშნული ქართველური სახელები გვიანდელი წარმოშობისაა, ხოლო, თავის მხრივ, ხემცენარე უძველესი დროიდანაა ჩვენში გავრცელებული (რელიქტურია), ცხადია, მას უნდა ჰქონოდა საერთოქართველური წარმოშობის არქაული სახელიც. არ გამოვრიცხავთ, რომ ის სემანტიკური გადაწვევების შედეგად სხვა მცენარეთა სახელებში შემორჩა და **ურთხლის** ე. წ. „პირველადი სახელი“ (ან მისი ძირი) მოსაძიებელია სხვა (ძირითადად ენდემურ ბუჩქოვან ან ხემცენარეთა) ქართველურ სახელებში. ვვარაუდობთ, რომ უძველესი ლექსიკური ძირის სემანტიკა მცენარის **მარადმწვანე ბუნებასთან, მის გამძლეობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობასთან – „უკვდავ-უბერებელობასთან“ – უნდა იყოს დაკავშირებული** და მთელ რიგ მითოლოგიურ წარმოდგენებსაც გულისხმობდეს, როგორც ეს ჩანს ინდოევროპული ენებისათვის (Гамкრелиძე... 1984: 628-631). ამის საფუძველს გვაძლევს ურთხელის კულტის ნაკვალევი უძველეს ქართველურ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალებში (ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1999).

<sup>1</sup> ვერ გავიზიარებთ ც. ბენდელიანის მოსაზრებას მათი მოტივაციისა და ეტიმოლოგიის თაობაზე (ბენდელიანი 2011: 29-30).

<sup>2</sup> საინტერესო ჩანს **საჯი**-ს დაკავშირება „**ურთხლის**, როგორც **საკერპო ხის** დასჯასთან“ (ბენდელიანი 2011: 20-23), თუმცა, ვფიქრობთ, მეტი დამაჯერებლობისათვის დამატებითი მასალა და არგუმენტებია საჭირო.

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ალავიძე 1957** – გ. ალავიძე, ქვემო რაჭის ტოპონიმიკური ლექსიკონი, ქუთაისის სახ. ინსტ. შრომები, ქუთაისი.

**არაბული 2001** – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

**ბაგრატიონი 1986** – ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ბედოშვილი 2001** – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბილისი.

**ბენდელიანი 2011** – ც. ბენდელიანი, ურთხელი – ლინგვისტური, ეთნოლინგვისტური და სარწმუნოებრივი ასპექტები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი.

**ბერიძე 1912** – ვუკ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი.

**ზიზლია 1989** – საქართველოს საპატრიარქო, თბილისი.

**გამყრელიძე, ივანოვი 1984** – Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, тбилиси.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**დონდუა 2001** – კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპუ, თბილისი.

**თანდილავა 2013** – ალ. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი;

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**იაკობ ხუცესი 1963** – ი. ხუცესი, „შუშანიკის წამება“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბილისი.

**ივანიშვილი 2014** – მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართველურში, თბილისი.

**კაშია 1996** – რ. კაშია, შინაურ ცხოველთა მკურნალობა (მათხოჯის მასალების მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი.

**კეცხოველი 1976** – ნ. კეცხოველი, მეცხრე მთაც გადავიარეთ, თბილისი.

**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

**მცხეთური ხელნაწერი 1981** – მცხეთური ხელნაწერი, (მოსეს ხუთწიგნეული, ისუ ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი.

**ნიჟარაძე 1971** – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი.

**რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1985**, თბილისი.

**სარჯველაძე 1997** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

**სიხარულიძე 1971** – ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული

გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბილისი.

**ონიანი 1917** – А. Ониани, Сборник сванских названий деревьев и растений, Петроград.

**საბა I, 1991; II, 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

**ფუტკარაძე 1993** – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, 2015** (შემდგენლები: რამაზ ქურდაძე, დოდო შონია, ლილე თანდილავა, ლელა ნიჭარაძე). თბილისი.

**ქართული ეთნოგრაფია/ეთნოლოგია 2010**, როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქეგლი 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

**ქობალა 2010** – ალ. ქობალა, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ქსე 1974** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VII, თბილისი.

**ღლონტი 1984** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

**ღლონტი 1971** – ტოპონიმური ძიებანი, I, თბილისი.

**შანიძე 1984** – ავ. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი.

**შარაშიძე 1938** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი.

**ჩანტლაძე, ნაკანი 2014** – ი. ჩანტლაძე, ნ. ნაკანი, სვანეთის ფლორა, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

**ცაგარეიშვილი 1983** – თ. ცაგარეიშვილი, ცოცხალი ბუნების ძეგლები, უთხოვარი//ძმ. N64, თბილისი.

**ძოწენიძე 1974** – ქ. ძოწენიძე, ზემო იმერული ლექსიკონი, თბილისი.

**ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1999** – ნ. ხაზარაძე, თ. ცაგარეიშვილი, წმინდა ხის კულტი საქართველოში, თბილისი.

**ხოჭოლავა 2006** – ნ. ხოჭოლავა, მცენარეთა სახელდება ქართულში (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, „თხრამლის ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში“, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისი კონფერენცია, გორი (იბეჭდება).



**Nana Khocholava-Machavariani**

On the Etymology of the Word **urtxeli** (Yew)

Summary

**urtxeli** (Yew) is an ancient evergreen tree. Its name seems to have a late origin (the phonetic variants: Gur. **urtxvela**; Rach. Lechkh. Imer. Adjar. Gur. **urtxmela**; Geo. **urtxli**; Kakh. Pshav. Khevsur. **utxovari**; The relevant Svan word form **urtxvel** and Megrelian **urtxeli** are the Georgian borrowings).

The earliest written evidence of the word was found in “Sitkvis Kona” (The Bunch of Words) by Sulkhan-Saba Orbeliani – „**urtxli- zeli ulpolveli**“ (Yew – a non-decaying tree), while in the Hebrew, Latin and Russian texts of the Old Testament the words *šittim/sethim/СИТИМ* are attested. In Modern Georgian we have *urtxli* and in old Georgian translations we find „**zeli ulpolveli / ulpolavi**“ just like in the relevant Greek text (ξύλον γάρ ἄσηπτον). It seems it is the loan-translation from Greek.

In our opinion the said word forms denote inability of something. The initial stem is **txraml-** (cf. Old Geo. **txramli** “thick matter of a botch”). For the unity era of Georgian and Zan the archetype **\*txaml-** was restored (Klimov, 1998: 77; Fähnrich, Sarjveladze 2000:247). **tx(r)am-l-** is a converb formed by the non-productive suffix **-l**. The initial verb is **/r/tx-am-** that is attested in Old Georgian. We have paid attention to one of its meanings - **\*txam-s, / rtxam-s** (It spreads); **txam-l-i/\*rtxam-l-i** - (Something poured; gleet) → **urtxeli/urtxli** (<**\*u-txraml-el-i / u-txram-l-i**) – A tree that is non-decaying or a tree that does not gleet. The name of a tree was motivated by the property of its wood. As for the dialectal word **utxovari** it is a result of the semantic rethinking.

It is also interesting to find out the Proto Kartvelian name of the tree. We think that the semantics of its stem will be connected to being evergreen, durability and the life expectancy. It will be associated with a number of mythological perceptions.

## ცირა ჯანჯღავა

### ლაზური შური „სული“ იდიომატურ გამოთქმებში

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიზმებში მონაწილეობის თვალსაზრისით, სიტყვათა სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფი სხვადასხვაგვარ აქტიურობას გვიჩვენებს. ამ მხრივ გამოსაყოფია ის იდიომები, რომელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი კომპონენტია ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სახელები. საქმე ეხება ე. წ. სომატურ იდიომებს, რომლებიც გამოირჩევიან როგორც რაოდენობრივი, ისე მეტაფორულ-გამომსახველობითი და სტრუქტურული ორგანიზაციის თვალსაზრისით. სამივე ქართველური ენისათვის (resp. იბერიულ-კავკასიური ენებისათვის) დამახასიათებელია „გულის“ ყველაზე ხშირი გამოყენება იდიომატურ გამოთქმებში. ამასთან ერთად, მეგრულ-ლაზური იდიომების ერთ-ერთ კომპონენტად საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვა **შური** „სული“.

მეგრულ-ლაზურ **შურ**-ს ფონეტიკური და სემანტიკური შესიტყვებები მოეპოვება სხვა ქართველურ ენებში, ამიტომ ის საერთოქართველური ლექსიკური ფონდის კუთვნილებად მიიჩნევა (ჩიქობავა 1938: 366; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 423-424).

ლაზური **შურ** – ფუძე მრავალი დერივაციისა და კომპოზიტის შემადგენლობაში შედის; სიტყვაწარმოებით აფიქსებად გამოყენებულია **-ა, ო – ა, -არ, -ონ, -უ**:

შურ-**ა** „სუნი“

**ო** – შურ-**ა** „სუნვა“

შური-**არ**-ი „სუნიანი“

შურ-**ონ**-ი 1. „თხა“; 2. „სუნიანი“.

შურ-**უ** „შური“.

მეგრულშიც გვაქვს **შურ** – ფუძისგან როგორც სუფიქსებით, ისე პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები (შურ-**ამ**-ი „სუნიანი“, შურ-**ელ**-ი „დასუნთქული“, შურ-**ეთ**-ი „საიქიო“... **ნა**-შურ-**ა** „დასუნთქული“, **უ**-შურ-**ე** „უსუნო“, **მა**-შურ-**ალ**-ი „დამსუნთქველი“...).

**შურ**- ფუძეს ემყარება ლაზურში ზმნა: ვი**შურ**ამ „ვყნოსავ“, ფ**შურ**ამ „სუნი მაქვს“, ვო**შურ**ამ „ვასუნინებ“...

**შურ**- ფუძის მონაწილეობით იქმნება კომპოზიტები: **შურიმშინე** „გენაცვალე“; „მიცვალებულის სულის ხსენება“ (**შური** + სასუბიექტო მიმღეობა **მშინე** „მხსენებლი“).

**შურიგედგომერი** „სულდგმული“ (**შური** + საობიექტო მიმღეობა **გედგომერი** „დადგმული“).

**შურიდულოლაფერი** „აქომინებული“, ზედმიწ. „სულჩავარდნილი“ (**შური** + საობიექტო მიმღეობა **დულოლაფერი** „ჩავარდნილი“).

**შურიოკონალუ** „სულის ძვრომა“ („სული სძვრება“) (**შური** + მასდა-რი **ოკონალუ** „ძვრომა“).

მეგრულშიც არაერთი კომპოზიტია ნაწარმოები **შურ-** ფუძის გამოყენებით (**შურ-გური** „სული და გული“, **უშურგურე** „უსულგულო“, **შურკუნტა** „სულმოკლე“, **შურდგემილი** „სულდგმული“, **შურმალაფუ** „მომაკვდავი“, **შურუბუმე** სულგაკმედილი“...).

**შური**, როგორც საყრდენი სიტყვა, წარმოდგენილია მრავალი ლაზური იდიომის შემადგენლობაში. მათგან მეტი წილი ზმნურ შესიტყვებას წარმოადგენს, ამასთან, სახელური ნაწილი, როგორც წესი, პირველ კომპონენტად არის წარმოდგენილი.

შინაარსობრივად აღნიშნული სახის იდიომები ხშირად სიცოცხლეს, ცხოვრებას უკავშირდება.

**შური გედგინ** „სული უდგას, ცოცხალია, ძლივს არის“.

კოჩის გდართენ **შური გედგინ** „კაცს საჭმლით უდგას სული“ (შერო-ზია, მემიშიში 1994: 225).

ანალოგიური კონსტრუქცია წარმოდგენილია არა მხოლოდ მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში, არამედ ქართულსა და სვანურშიც, კერძოდ, **სულ-**ის აღმნიშვნელი სახელობით ბრუნვაში დასმული სიტყვა დაკავშირებულია „დგას“ ზმნის სასხვისო ქცევის ფორმასთან და სათანადო იდიომი ლაზურის მსგავს სემანტიკას გადმოსცემს (შდრ. მეგრ. **შურ უდგუ**, ქართ. **სული უდგას**, სვან. **ქუბინ ხოგ**). ეს იდიომი სპეციფიკურ-ქართველურ იდიომად უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავი აქ ის არის, რომ ამ იდიომს საფუძვლად უდევს სათანადო ენობრივი კოლექტივის მენტალიტეტი, ინტენცია, რომლის თანახმადაც, რაკი სულის სხეულისაგან განშორება არ მომხდარა (ასე ვთქვათ, „სული ადამიანს ჯერ კიდევ სხეულში უდგას“), ის ცოცხალია, მაგრამ ეს სიცოცხლე არ არის უზრუნველი, ლაღი ცხოვრება, ადამიანი „ძლივს არის“.

**შური ქომჩუ** „სული განუტევა, გარდაიცვალა“

ღორმოთის **შუი ქომჩუ** ზედმიწ. „ღმერთს სული მისცა“ (კარტოზია 1993: 261, 15).

სულის განშორება სხეულისაგან სიკვდილს ნიშნავს; სული ადამიანის სიკვდილის შემდეგ ზეცაში მიდის...

არც ქართულისთვის არის მსგავსი გამოთქმა უცხო (შდრ. რუსთაველის „მიცემა სულისა“ თავის მოკვლის მნიშვნელობით).

**შური ოხოსქიდეს** „არაფერი დარჩათ, გაღარიბდნენ“.

ხვალა **შური ოხოსქიდეს** „მარტო სული შერჩათ“.

სულის მეტი რომ არაფერი შერჩება ადამიანს, რომელიც ცოცხლობს, მაგრამ გაჭირვებისგან სულს ღაფავს, მაშინ შეიძლება ითქვას მსგავსი რამ... ასეთივე ვითარებაა სხვა ქართველურ ენა-კილოებშიც.

**შური ნაქაჩუ** „სული შეეხუთა“, ზედმიწ. „სული დაიჭირა“ (თანდილავა 2013: 825).

ამ გამოთქმის სინონიმურია **შური მედუ** „სულის ხუთვა“. მასუმანი ნდლას **შუი ვამეგადუია?** „მესამე დღეს სული არ შეეგხუთაო?“, ზედმიწ. „მესამე დღეს სული არ მოგედოო?“ (კარტოზია 1972: 825).

**შური ქიუხეფს** „სული ამოხდება“, ზედმიწ. „სული წაუვა“.

ზენგინიმ ქესე გუიწკეტაში, ჭუკარას **შური ქიუხთეფსია** „სანამ მდიდრის ქისა გაიხსნება, ღარიბს სული ამოხდებაო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 215).

**შური ქებთუ** „სული ამოუვიდა“, ზედმიწ. „სული ამოვიდა“.

ოჭკომუს **შური ქებთუ** ქაფჩა-კალა მისირი „ქაფშიასთან ჭადის ჭამით სული ამოვიდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994: 246).

**შური ქომოხინწუ** „ამოიხვნემა“.

არ **შური ქომოხინწუა** „ერთი ამოიხვნემაო“ (კარტოზია 1972: 83, 26).

**ჯოდორ აშურს** „ძალი ეძებს“ (ზედმიწ. „ძალი სუნავს“).

სახელური **შურ-** ფუძე აქ ნასახელარ ზმნაშია წარმოდგენილი.

საერთოქართველურ მოვლენად წარმოგვიდგება კავშირიანი შეერთება, რომელიმც შინაარსობრივად იდიომია:

ლაზ. **შური დო გური**

მეგრ. **შურ დო გური**

ქართ. **სული და გული**

ეს სიტყვათშეერთება აღნიშნავს „წამყვანს, მთავარს, ხელმძღვანელს“ (შდრ. რუსული душа ანალოგიური მნიშვნელობით).

## ლიტერატურა

**თანდილავა 2013** – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**კარტოზია 1972** – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**შეროზია, მემიშიში 1994** – რ. შეროზია, ო. მემიშიში, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

**Tsira Janjgava**Laz **šuri** (Spirit) in Idiomatic Expressions

## Summary

In Laz **šuri** (spirit) is one of the signifiant lexical units in terms of being a part of idiomatic expressions. A number of idioms include **šuri** as a pillar word. Most of them are verbal collocations and as a rule a nominal part is represented as the first component.

Those idioms are related to a life by their meaning. In this regard, a specific Kartvelian idiom should be noted in which a word in the nominative case, denoting a spirit is associated to the form of the objective version of a verb – to stand - Laz. **šuri gedgin** Megr. **šuri udgu**, Geo. **suli udgas**, Svan. **kwin xog** (Alive but in a poor condition).

The phrase with a connector that is also an idiom is a common Kartvelian collocation - Laz. **šuri do guri**, Megr. **šur do guri**, Geo. **suli da guli** (leading, chief, head).

## სარჩევი

<b>ს. ბერულავა, მ. ჯღარკავა</b> – გამოსაცემად მომზადებული ლაზური ტექსტების შესახებ.....	3
<b>S. Berulava, M. Jgarkava</b> – On the Laz Texts Prepared for the Edition.....	9
<b>მ. ბუკია</b> – დიმიტრი გულია – ქართველურ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების მკვლევარი.....	10
<b>M. Bukia</b> – Dimitri Gulia – A Researcher of the Kartvelian – Abkhaz Linguistic Relations.....	14
<b>თ. ბურჭულაძე</b> – ერთი სახის წინადადებათა აგებულების თაობაზე ქართულში.....	15
<b>T. Burchuladze</b> – On the structure of a Sentence Type in Georgian.....	19
<b>ე. გაზდელიანი</b> – ვითარებითი ბრუნვის ზოგი საკითხი სვანურში.....	20
<b>E. Gazdeliani</b> – On Some Issues of the Equative Case in Svan.....	29
<b>გ. გოგოლაშვილი</b> – -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ტრანსფორმაციისათვის.....	30
<b>G. Gogolashvili</b> – On the Transformation of the Continual Screeve Paradigm of the Verbs with the Stem Markers <b>-av</b> and <b>-am</b> .....	39
<b>რ. კანაროვსკი</b> – ქართული „-ცხ-“ ძირის აგებულებისა და წარმომავლობისათვის.....	40
<b>R. Kanarowski</b> – On the structure and origin of the Georgian root <b>-cx-</b> . ....	44

<b>თ. ლომთაძე</b> – ბასკურის სოციოლინგვისტური ფუნქციები.....	45
<b>T. Lomtadze</b> – The Socio-linguistic Functions of the Basque Language in Spain.....	64
<b>თ. მახარობლიძე</b> – ზე- პრეფიქსის შესახებ ქართულში.....	66
<b>T. Makharoblidze</b> – On the Prefix ze- in Georgian.....	73
<b>კ. მითაგვარია, ლ. გიგლეშიანი</b> – ზონიშების შემცველი ფრაზეოლო- გიზმები მეგრულში.....	74
<b>K. Mitagvaria, L. Giglemiani</b> – On the Phraseologisms Containing Zoonyms in Megrelian.....	77
<b>ნ. სააკაძე</b> – აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკური ნასესხობანი საჭმელ-სასმლის აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში (ქვემოქართლური კილოკავის მიხედვით).....	78
<b>N. Saakadze</b> – The Azerbaijan-Georgian Lexical Borrowings in the Semantic Field Denoting Food and Drink (Based on the Lower Kartlian Dialect).....	82
<b>მ. საღლიანი</b> – სივრცული ლოკალიზაციისათვის სვანურში II. უსულო <i>საგნების</i> (resp. <i>ობიექტების</i> ) სივრცული ლოკალიზაცია.....	83
<b>M. Saghliani</b> – On the Spatial Localization in Svan II. The Spatial Localization of Inanimate Objects.....	116
<b>მ. სუხიშვილი</b> – ქართულ-ზანური *ღ უ დ- ფუძე და მასთან დაკავში- რებული ფორმალურ-სემანტიკური საკითხები.....	117
<b>M. Sukhishvili</b> – The Georgian-Zan Stem *γud- and the Issues of its Form and Semantics.....	122
<b>მ. ფაღავა</b> – სამხრული კილოები, შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები.....	123

<b>M. Phaghava</b> – Samkhruli Sub-dialects, State of Study and Research Perspectives.....	156
<b>მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე</b> – შავშეთის კილო. ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები.....	157
<b>M. Pagava, N. Tsetskhladze</b> – The Shavshetian Dialect The Basic Paradigms of Declension and Conjugation.....	179
<b>ო. ლუტიძე</b> – იმერხევის ენობრივი ვითარება. II.....	181
<b>I. Gutidze</b> – The Linguistic Situation in Imerkhevi. II .....	190
<b>ბ. ყანდაშვილი, ე. თამაზაშვილი</b> – III სერიის მწკრივთა წარმოები- სათვის „ჩვენებურების ქართულში“ .....	192
<b>Kh. Kandashvili, E. Tamazashvili</b> – On the Conjugation of the Verbs of the Screeves of Series III in the Georgian Language of “Chveneburebi”.....	196
<b>ნ. შავრეშიანი</b> – როტული თანწყობილი წინადადებისათვის სვანურში.....	197
<b>N. Shavreshiani</b> – On the Compound sentence in Svan.....	209
<b>ნ. შარაშენიძე</b> – „უნდა“ მოდალური ფორმის ეპისტემიური მნიშვნელობისათვის ქართულში.....	210
<b>N. Sharashenidze</b> – On the Epistemic Semantics of the modal form „Unda” in Georgian.....	223
<b>ო. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-სუბარი, რ. იოსელიანი, ნ. ნაკანი</b> – ენგურისა და კოდორის ხეობებში ფიქსირებული სვანური ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაციის საფუძვლები).....	225
<b>I. Chantladze, K. Margiani-Subari, R. Ioseliani, N. Nakani</b> – The Bases of the Segmentation of the Svan Texts Found in Enguri and Kodori Gorges.....	236
<b>ო. ჩაჩანიძე</b> – იოჰან ბლარამბერგი (1800 -1878 ) საქართველოში ენების შესახებ.....	237



<b>I. Chachanidze</b> – Johan Blaramberg (1800-1878) on the languages of Georgia.....	241
<b>მ. ჩუხუა</b> – ძირითადი ფონეტიკური პროცესები სვანურში (თანხმოვნები).....	243
<b>M. Chukhua</b> – The Issues on the Svan Phonetics.....	254
<b>რ. ჭკადუა</b> – ი- პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში.....	255
<b>R. Chkadua</b> – On the Basic Meaning of the Prefix <i>i-</i> in the Svan Verbs.....	263
<b>ნ. ხოქოლავა-მაჭავარიანი</b> – დენდრონიმ <i>ურთხელი</i> -ს ეტიმოლოგიისათვის.....	264
<b>N. Khocholava-Machavariani</b> – On the Etymology of the Word <i>urtxeli</i> (Yew).....	273
<b>ც. ჯანჯღავა</b> – ლაზური შური „სული“ იდიომატურ გამოთქმებში.....	274
<b>T. Janjgava</b> – Laz šuri (Spirit) in Idiomatic Expressions.....	277

ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რ. გრიგოლიასი